

რუსთაველის ინსტიტუტი

ქართული ლიტერატურის ძეგლები

II

იოანე პეტრიწის შრომები

ტომი II

ТРУДЫ
ИОАННА ПЕТРИЦИ

Том II

ИЗДАНА И ВСТУПИТЕЛЬНОЙ СТАТЬЕЙ СНАБДИЛИ
Ш. НУЦУБИДЗЕ И С. КАУХЧИШВИЛИ

ილანე პეტრიჭის შრომები

ტომი II

განმარტვად
პროკლესტვს დიალოგოსისა
და კლატონუსისა ფილოსოფიისათვს

ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს

შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა

ბუილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ბუილისი 1937

დაიბეჭდა „ტექნიკა“ შრომა-სტამბაში
კორექტორი — თ. ანდლუაძე; გადაეცა
წარმოებას 15 711—37, ხელმოწერი
ლია დასაბეჭდად 2 :12—37. მთავ
ლიტის № 15534—დ; შეკვეთის
№ 303; ქალაქის ხ. 72 X 108
ანაწყოების ზომა 7 X 11
ტ ი რ ა ე ი 1600.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	VII—VIII
იოანე პეტრიწი და მისი „განმარტებაჲ“	IX—CXII

§ 1 იოანე პეტრიწი და განახლების სკოლა ქართული აზროვნების ისტორიაში (IX—XIX).—§ 2 ბიზანტიური რენესანსი და ქართული ფილოსოფიური სკოლა (XIX—XXXV).—§ 3 იოანე პეტრიწი როგორც მოაზროვნე (XXXV—XXXIX).—§ 4 იოანე პეტრიწის „განმარტების“ შესავალი (XXXIX—L).—§ 5 იოანე პეტრიწის „კომენტარები“ (L—LXXIX).—§ 6 იოანე პეტრიწის ბოლოსიტყვაობა (LXXIX—XCI).—§ 7 იოანე პეტრიწი როგორც ქართული ფილოსოფიის საფუძველმდებელი (XCI—C).—§ 8. ქართული წარმართობა და იოანე პეტრიწის საერო ფილოსოფიური აზროვნება (C—CV).—§ 9 იოანე პეტრიწის ფილოსოფიური სკოლა (CV—CXII).

იოანე პეტრიწისა განმარტებაჲ პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის 1—227
--	---------

იოანე პეტრიწისა წინა-სიტყუაჲ (1—9).—განმარტებაჲ (10—206).—იოანე პეტრიწისა ბოლო-სიტყუაჲ (207—227).

წინასიტყვაობა

წინამდებარე მეორე ტომი „იოანე პეტრიწის შრომებისა“ შეიცავს იოანე პეტრიწის ორიგინალურ ნაშრომს, რომელიც დაწერილია ავტორის მიერ პროკლე დიადოხოსის Σειριχῆσθωσ: μὲ-λσυχῆ-ს («კავშირნი») კომენტარების სახით და რომელსაც ჩვენ —თვით იოანეს მიერ ნახმარ ტერმინის საფუძველზე— „განმარტება“ ვუწოდებთ.

როგორც ჩვენი გამოცემის („იოანე პეტრიწის შრომების“) პირველ ტომშია დაწვრილებით აღწერილი, ხელთნაწერებში «თანაჩართვით», ერთი-მეორის მიყოლებით, არის გადაწერილი როგორც პროკლეს «კავშირნი»-ს თარგმანი, ისე იოანე პეტრიწის საკუთარი „განმარტებები“: თითოეულ თავს პროკლეს «კავშირნი»-სა მოსდევს შესატყვისი „განმარტებები“ იოანე პეტრიწისა. თავდაპირველად კი, თარგმანი და „კომენტარი“ შერეული კი არ ყოფილა, არამედ დაწერილი ყოფილა ცალკ-ცალკე, როგორც კომენი და სხოლიო. ამის შესახებ მოიპოვება მოწმობა ერთი, ქრონოლოგიურად უძველესი ხელთნაწერის (ხელთნაწერი A, XVI საუკუნისა) გადამწერისა, რომელიც სწერს: «შეისწავე, რამეთუ ესე წიგნი, კომენსხოლიოდ აღნაწერი, ამისთვის თანაჩართვით დაეწერეთ, რადთა მწერალთა და მკითხველთა გაუადვილდეს და, ვითა დედასა ეწერა, ეგრე შეცვალებულად დაგვწერია აქაცა. და რომელი პროკლესია „პარა“ დაგვსევამს თავსა შავი წითლითა შემოცული; და რომელი იოანესია „ინი“, რადთა ორთავე ფილოსოფოსთა სიტყუაჲ თვსთვს იცნობებოდეს» (იხ. „იოანე პეტრიწის შრომები“, ტომი I გვ. 3, შენიშვნა **). ამ მოწმობის საფუძველზე ჩვენ განმარტებულად და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ცალკ-ცალკე დაგვებეჟდა «კავშირნი» (როგორც მხოლოდ თარგმანი, თუმცა ალაგ-ალაგ ინტერპრეტირებული) და „განმარტება“ (როგორც სრულიად ორიგინალური ნააზრევი იოანე პეტრიწისა). ამისდა მიხედვით იოანე პეტრიწის წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა¹, როგორც სრულიად ორიგინალური ნაწილები შრომისა, რომლებიც ორგანულ კავშირშია „კომენტარებთან“ (რის შესახებაც იხ. ქვემოთ ჩვენს შესავალ წერილში, გვ. XXXVI შმდ.), იბეჭდება აქვე, მეორე ტომში.

¹) სათაურები „იოანე პეტრიწისა წინა-სიტყუაჲ“ (გვ. 3) და „იოანე პეტრიწისა ბოლო-სიტყუაჲ“ (გვ. 207) ჩვენ გვეკუთვნის.

ცალკე თავების (211 თავის) სათაურები ჩვენ დავეტოვეთ ისეთივე, როგორც აქვთ «კავშირნი»-ს თავებს. თუ რის მიხედვით არის დასათაურებული ეს თავები, ამის შესახებ მკითხველი იპოვის ცნობებს «კავშირნი»-ს შესატყვისი თავებისათვის ჩვენ მიერ მოთავსებულ სქოლიოებში («იოანე პეტრიწის შრომები» ტომი I): ზოგ თავს C და K ხელთნაწერებში აქვთ სათაურები; ზოგი თავისათვის კი სათაური შედგენილია ჩვენ მიერ იოანე პეტრიწის «განმარტების» საფუძველზე, სადაც ავტორი დრო-გამოშვებით აღნიშნავს ხოლმე—ამა-და-ამ თავში პროკლე ამა-და-ამ საკითხზე ლაპარაკობსო; დანარჩენი თავები კი, რომელთა დასასათაურებლად ჩვენ არავითარი მტკიცე დასაყრდენი არ გვქონდა, უსათაუროდ დავეტოვეთ.

თვით ტექსტი «განმარტებისა» დადგენილია რვა ხელთნაწერის საფუძველზე (სია იხ. ბოლოში გვ. 228). ბევრი რამ ხელითწერილ ტრადიციაში არეულია (განსაკუთრებით «იოანე პეტრიწის ბოლოსიტყუაში»), მაგრამ ჩვენ ხელთნაწერების მიერ მოცემული ვარიანტების საზღვრებს, რასაკვირველია, არ გავცილებივართ; ხოლო მკითხველთათვის ტექსტის გაგების გასაადვილებლად ჩვენ დავეურთეთ სრული ლექსიკონი (ბერძნულ-ქართული და ქართულ-ბერძნული),—იოანე პეტრიწის თარგმანების საფუძველზე შედგენილი—რომელიც ჩვენი გამოცემის პირველ ტომშია მოთავსებული¹. ამისათვის ჩვენ მოგვიხდა ხანგრძლივი მუშაობის ჩატარება—გარდა «კავშირნი»-ს ტექსტისა—აგრეთვე იოანე პეტრიწის სხვა თარგმანებზეაც.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა გამოეუცხადოთ სსსრ განათლების სახალხო კომისარიატს, რომლის უშუალო დახმარებით მოხერხდა ამ მუშაობის ჩატარება.

შ. ნუცუბიძე
ს. ყაუხჩიშვილი

¹) პირველ ტომსვე აქვს დართული სრული საძიებელი ორივე ტომისათვის,

იოანე პეტრიწი და მისი „განმარტებაჲ“

§ 1. იოანე პეტრიწი და განახლების სკოლა ქართული აზროვნების ისტორიაში

ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში იოანე პეტრიწის საგანგებო ადგილი უკირავს. ქართული ფილოსოფიური აზროვნების საფუძვლებს (IV—VII სს. ორიენტაციისა და მოწინააღმდეგეთაგან გამიჯვნისას და თეოლოგიურ-ფილოსოფიურ მოძრაობას VIII—XI ს., რომელიც თავისდარიგად ორ საფეხურს შეიცავდა: თეოლოგიურ-დოგმატურს და განახლებისას) მისთვის საშუაღისი ხასიათი აქვს და მხოლოდ პეტრიწის სახით ქართული აზროვნება აღწევს იმ სიღრმესა და მოცულობას, რომელიც, გაცხოველებული შინაგანი ეკონომიკისა და საშინაო და საგარეო პოლიტიკური პირობების ნიადაგზე, ემთხვევა საქართველოს აქტიურ დაახლოვებას მეზობლებთან და საერთაშორისო საქმიანობაში ჩაბმას. განსხვავება, რომელიც არსებობს საქართველოს ყოფა-ცხოვრებაში V—VII და X—XII საუკუნეებს შორის, არსებითად განსაზღვრავს ქართული აზროვნების გაშლის ამპლიტუდას. თუ პირველ პერიოდში საქართველოს ფილოსოფიურ კულტურას არა აქვს პირდაპირი კავშირი დასავლეთთან და ბერძნული ფილოსოფიის ელემენტები სხვათა შუალობით (მაგ. სირიელთა) შემოდის საქართველოში, X—XII სს. მიჯნაზე მდგომარეობა შეცვლილია და საქართველო მოდის დასავლეთთან—ბიზანტიასთან—უკვე თანამშრომლობის ურთიერთობაში. დიდ სავაჭრო გზაზე აქტიურად გამოსული საქართველო უშუალოდ ეზიარება დასავლეთის ფილოსოფიურ საქმიანობას, აგრძელებს საკუთარ ფილოსოფიურ ტრადიციებს, და ბერძნებთან ერთად ჩაებმის იმ დიდ კულტურულ ნაკადში, რომელსაც ადრინდელი ანუ ბიზანტიური რენესანსი ეწოდება.

ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას თავისი ტრადიციები ჰქონდა: იგი არ შექმნილა XI—XII საუკუნეებში, და რთული მოვლენის სახით, ძველის განახლებისა და გაგრძელების ნიადაგზე, ახალ პირობებში უფრო ფართოდ იშლება. X—XI საუკუნის საეკლესიო სააზროვნო განახლების ნიშნებთან შედარებით XI—XII საუკუნეში ახალი, უფრო მაღალი საფეხური უნდა ყოფილიყო მიღწეული. პლატონ-არისტოტელეს „სიმფონიის“ ცდა, რომელიც ქართულმა

ფილოსოფიურ-თეოლოგიურმა აზროვნებამ VII ს. შეთვისა, X საუკუნის მიჯნაზე იმავე თეოლოგიურ გარემოცვაში იქნა აღდგენილი და „ბალავარის“ ახალ ბერძნულ რედაქციაში დროის შესაფერისი გამოხატულება ჰპოვა. საერო ფილოსოფიის ელემენტები და მისწრაფება ჯერ-ჯერობით მეორე ადგილზე უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ. აზროვნების თვალსაზრისით განხილული ურთიერთობა ექვეთიმე ივერსა და ეფრემ მცირეს შორის გაცილებით უფრო მკიდროა, ვიდრე ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწს შორის: ის საფეხური ქართული აზროვნებისა, რომელიც საეკლესიო განახლების ხანას ეკუთვნის, არისტოტელიზმში ფორმალურ დიალექტიკას ხედავდა, ხოლო ნეოპლატონიზმს საეკლესიო მიზნებით უდგებოდა. ორივე შემთხვევაში უპირატესობა და გარდამწყვეტი მნიშვნელობა თეოლოგიურ მომენტს ეძლეოდა.

ეს გარემოება შეუმჩნეველი დარჩა ქართული კულტურის სააზროვნო ხაზის კვლევის პროცესში და ამან გავლენა მოახდინა პეტრიწის ადგილის გამოურკვევლობაზე. აკადემიკოსმა ნ. მარჩმა დიდი ღვაწლი დასდო პეტრიწის სააზროვნო საქმიანობის გამორკვევას, მაგრამ ქართული აზროვნების ისტორიის მთლიანობის გამოურკვევლობამ იგი, საბოლოოდ, შემცდარ გზაზე დააყენა. ქართული სააზროვნო კულტურის ძირითადი კონცეფციის უქონლობამ, აკად. ნ. მარჩი სრულიად დააშორა ქართული რენესანსის გაგებას და აქედან გამომდინარე შემდეგ მცდარ დებულებებამდე მიიყვანა: 1) თითქოს ქართული ფილოსოფიური აზროვნება მხოლოდ XI—XII საუკუნეებიდან იწყებოდეს; 2) თითქოს ეს ფილოსოფიური აზროვნებაც სხვა არა იყოს, გარდა სომხური ფილოსოფიური ნააზრების VII—VIII სს. მიღწევების გადმოღებისა («სკოლოკ») და 3) თითქოს ეფრემ მცირე XI ს-ში პეტრიწის თანამოაზრე და მისი სკოლის მიმდევარი იყო¹.

ამ დებულებით სავსებით არეულია ქართული აზროვნების მთელი ისტორიული პერსპექტივები. მის ძირითად ნაკლს შეადგენს, რომ სრულიად არაა ანგარიშგაწეული ქართული აზროვნების საფეხური IV—VII სს., რის შემდეგ ქართული აზროვნების დოგმატური პერიოდის VIII—X სს. განზე დატოვებით სრულიად უნიადაგო და უტრადიციო ჩანს მეთერთმეტე საუკუნის საერო აზროვნების განახლების ცდები და XII საუკუნის საერო ფილოსოფიის საფეხური. აკად. ნ. მარჩს მხედველობის გარეთ დარჩა ის გარემოება, რომ

¹) *Записки ВОИФАОб* т. XIX, ნაკვ. II—III, გვ. 88, 89, განსაკუთრებით გვ. 94, სადაც ნათქვამია: „По существу же грузинский неоплатонизм XI—XII веков востолько повторяет армянскую философию VII—VIII вв., что первый представляет сколок последнего“.

საქართველოს ფილოსოფიურმა აზროვნებამ სხვისი ნააზრევი კი არა, თავისი საკუთარი გაიმეორა და განაახლა XI—XII საუკუნეთა პირობებში. ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ურთიერთობის საკითხი ყველაზე უფრო ნათელჰყოფს, თუ რაოდენ უმართებულად აქვს აკად. ნ. მარსს წარმოდგენილი ქართული აზროვნების პერსპექტივები, და ეს გარემოება სრულიად მიუღებელ პირობებში აყენებს პეტრიწის ფილოსოფიური საქმის განხილვასა და შეფასებას¹.

პეტრიწის ადგილისა და საქმის გასარკვევად ცოტა უფრო ღრმა ფილოსოფიური კვლევაა საჭირო და უპირველესად ყოვლისა განსახვევებლად ქართული აზროვნების ორი კომპლექსისა, სასულიერო და საეროსი, რადგან სწორედ ამ სხვაობაშია საკითხის მთელი ღრძი. მაშინ შეიძლება გაირკვეს, რომ ეფრემ მცირეს პეტრიწთან არავითარი საქმე არა აქვს, რომ ის სულ სხვა და შეიძლება დაპირისპირებულ ბანაკს ეკუთვნოდეს. ამით გარკვეულობა იქნება შეტანილი თვით საეკლესიო განახლების მომხრეთა საქმეშიაც და საბოლოო მიზანი—საერო ფილოსოფიის და მისგან გამომდინარე ქართული ფილოსოფიური სკოლის საქმეც ნათელი გახდება.

აკად. ნ. მარსი საესებით მართალია, რომ IX საუკუნის „დამცველ“ (ჩვენ ვიტყვოდით „დოგმატურ“) მიმართულებას თეოლოგიურ აზროვნებაში „ნოვატორული“ (ჩვენ ვიტყვოდით „განახლების“) ტენდენცია დიუპირისპირდა. მაგრამ აქ ცოტა მეტია, ვიდრე აკადემ. ნ. მარსი ფიქრობს—არა სიახლე—„ნოვოტორობა“, არამედ განახლება. აკად. ნ. მარსი სიახლეზე ლაპარაკობს, რადგან ის არ უწევს ანგარიშს, რომ საქართველოში აზროვნებას თავისი, საკმაოდ მომწიფებული და, ყოველ შემთხვევაში, გარემოცვის სიმალლეზე (და ხანდახან უფრო მაღლა) მდგომი საფეხური ჰქონდა და X—XI საუკუნეში მის განახლებას ჰქონდა ადგილი, კიდევ მეტი—„დამცველობითი“ ტენდენცია ქართული საეკლესიო აზროვნებისა აგრეთვე გარკვეული ცნება იყო და თავის მთლიანობაში მოიცავდა VIII—X საუკუნეთ: ამის შემდეგ და ამის საწინააღმდეგოდ იწყება საეკლესიო აზროვნების განახლება XI ს.

იოანე საბანისძის „კედლის“ სიმტკიცით მოყოლებული და ვიდრე გრიგოლ ხანძთელის „ჯიკრუალთა განგდების“ პრინციპით გათავებული—VIII და IX საუკუნეები აზროვნებას, რო-

1) აკად. ნ. მარსი ამჩნევს, რომ „Охранительная тенденция IX в. не имела поддержки даже в монастырях“ და „новатор“-თა შორის ასახელებს ექვთიმეს, გიორგისა და ეფრემს, მაგრამ აქაც პეტრიწოვანი სკოლის გავლენას ეძებს, რომელიც, ცხადია, მხოლოდ ეფრემის მიმართ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ ასეთი რამ საზოგადოდ დასაშვებია (op. cit. გვ. 92).

გორც თეოლოგიური დამტკიცების საშუალებას, არ სცნობდა და არ საპირობდა. დარწმუნება რწმენამ მოხსნა და დიალექტიკის ძალა და საპირობა გაუქმებულად ითვლებოდა. ძიებისა და ორიენტაციის ტრადიციები IV—VII საუკუნეებისა მივიწყებულ იქნა; ფიზიკურ-დიალექტიკური გზა ა ბ ო ს ნ ე კ რ ე ს ე ლ ის ა, ანთროპოლოგისტურ-დიალექტიკური — ე ს ტ ა ტ ე მ ც ხ ე თ ე ლ ის ა და დიდებული დაპირისპირება მიწიერი და ზეციერი სინათლისა „ბალავარში“—ე. ი. არისტოტელისა და პლატონისა—მივიწყებულ იქნა და საპირობა გახდა საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური მოღონიერების პირობები, რომ აზროვნების დოგმატიზმისაგან ნელი, მაგრამ მტკიცე ძვრა დაწყებულიყო. გაირკვა, რომ მოპოვებულ დოგმებს მაინც როგორადაც დამტკიცება ესაპირობებოდა თუ იმათთვის არა, ვისაც იგი მიღებული ჰქონდა, იმათთან ბრძოლის დროს მაინც, ვინც სხვაგვარად ჰფიქრობდა. გარეთი მაფიქრებლებისათვის „გარეშე“ სიბრძნე საპირობა აღმოჩნდა. ეფრემ მცირე თეორიული მსჯელობის გზით, ხოლო ექვთიმე იერუსალიმელი (გრძელი) პრაქტიკულ დისკუსიათა გზით ამ საპირობების აღიარებამდე მივიდნენ, ხოლო ორივემ დიალექტიკის თეოლოგიურ-დემონსტრაციული გამოყენების ერთი და იგივე წყარო—საეკლესიო დისკუსიისათვის შეგუებული არისტოტელე, იოანე დამასკელის მიერ დამუშავებული, გამოიყენეს¹.

ეფრემ მცირე ის საფეხურია ქართულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ აზროვნებაში, როდესაც იგი საესებით შეიგნებს, რომ „წინააღმდეგობა“ დაძლევა და საზოგადოდ მათთან დისკუსია შეუძლებელია „თვნიერ ამათ სიტყუათასა“ ე. ი. გარეშე დიალექტიკისა და სილოგისტიკისა: წესი „სიტყუათაჲ“ ანუ შესიტყუათა არისტოტელეს მთავარ ლოგიკურ საქმეს შეადგენდა და, მართალია, იგი ანალიტიკის იმ ნაწილის ღერძი იყო, რომელსაც არისტოტელემ აპოდექტიკა უწოდა, და სადაც აზრთა დაპირისპირება ნაგულისხმევი არ იყო, მაგრამ სწორედ იმ გარემოებამ განსაზღვრა არისტოტელეს ლოგიკის ის ნაწილი, სადაც „შესიტყუათა“ ძალა კიდევ უფრო ნათლად უნდა გამოჩენილიყო, სახელდობრ დიალექტიკა. ამიტომაც იოანე დამასკელის კვალად ეფრემ მცირე საესებით ერკვევა მტკიცების ურთულეს საკითხებში, როდესაც თავის ცნობილ

¹) ეფრემ მცირე აღიარებს, რომ მან გადმოიღო იოანე დამასკელი «საპირობად საკმარად, რაჲთა ამათ მიერ წინააღმდეგობადინ შეილნი გელესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განგვრემდენ მათ»; მინის ასეთი დაზასიათების გარდა ეფრემ მცირე კატეგორიულიდ აცხადებს. «თვნიერ ამათ სიტყუათასა სხუსბრ შეუძლებელ არს სიტყვს გებაჲ წინააღმდეგობათაჲ» (ქრონიკები I, 216).

შესავალში დამასკელის თარგმანისა სილოგიზმსა და დიალექტიკას ერთ სააზროვნო სფეროში ათავსებს და მათ ერთსა და იმავე მიზანს უსახავს¹.

„წინააღმდეგობა“ რაოდენობა და საბაბი მათთან ბრძოლისა არ შემცირებულა XI საუკუნეში. ეფრემ მცირემ კარგად იცის, რომ თეოლოგიურ დისკუსიათა დროს „წინააღმდეგობა“ მხრივ საკითხები ისმება „განუკუთელისათვის“ და „ბუნებისათვის“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მეორე საკითხი, რადგან იგი ეხებოდა ერთს ან ორს ბუნებოვნებას, რაც პრაქტიკაში სომეხ-ქართველთა ძველ სადისკუსიო თეოლოგიურ პრობლემას წარმოადგენდა. აკი სწორედ ამ მხრივ გაიშალა არტანუჯის დისკუსია, სადაც სინამდვილეში ნათელი გახდა, რომ დამასკელის ნაჩვენები გზა ერთად-ერთი საიმედო იყო, თუ კი „წინააღმდეგობი“ აღმოჩნდებოდა «ფლ მეცნიერი წერილთა» და სხვ., როგორც მართლაც აღმოჩნდა მონოფიზიტი სოსთენე, ლრტილას კრებაზე გამოსული².

ამრიგად, სრულიად ნათელია, რომ ქართულ თეოლოგიურ აზროვნებას X—XI სს. მიჯნაზე სავსებით შეგნებული აქვს ფილოსოფიურ-დიალექტიკური არგუმენტაციის მნიშვნელობა და რომ ეს გარემოება შესულია არა მარტო თეორიულ-სამწერლო შეგნებაში, არამედ საქირო პაექრობის პრაქტიკაში. ეს სრულიად ახალი ამბავია VIII—X სს. შედარებით, სადაც დოგმატიზმი პრინციპადაა აღიარებული და ლოგიკური არგუმენტაცია უადგილოა. ამის შეგნების ნიშნები უკვე X საუკ. მიწურულში ჩანს და ექვთიმეს იგი გაგებული ჰქონდა, როცა იოანე დამასკელის საქართველოში შემოტანის საქმეს შეუდგა³. მართალია, ექვთიმეს არ უთარგმნია პირდაპირ იოანე დამასკელის მთავარი თხზულება, რომელიც თეოლოგიურ-ფილოსოფიურ საკითხებს ეხება და მისგან, როგორც ამას იგივე ეფრემ მცირე მოწმობს⁴, გამოკრებითი თხზულება გაუკეთებია სახელდახელოდ სახმარად, მაგრამ ამით არ იცვლება ძირითადი გარემოება, რომ ექვთიმეს დამასკელში არისტოტელეს ლოგიკის ელემენტები აინტერესებდა. თავისთავად ცხადია, რომ ეს ინტერესი საეკლესიო მიზნებით იყო ნაკარნახევი, მაგრამ სწორედ ეს იყო წინ-

¹) ქრონიკები, I, 215 და შმდლ.

²) ამ დისკუსიის შესახებ იხ. ქრონიკები, I, 125—27.

³) საინტერესოა, რომ, როგორც ჩანს. ექვთიმე იერუსალიმელს (გრძელს) არტანუჯის კრებაზე უსარგებლია სწორედ ექვთიმეს მიერ გადმოკეთებულ იოანე დამასკელის თხზულებით, რომლისთვისაც ექვთიმეს „წინამძღვარი“ დაურქმევია (ქრონიკები, I, 125).

⁴) ქრონიკები, I, 216 და შმდლ.

სვლა წინა პერიოდთან შედარებით¹. მთავარი იყო ის, რომ ქართულ-მა ეკლესიამ შეიგნო ლოგიკურ-დიალექტიკური არგუმენტაციის მნიშვნელობა და ექვთიმემ დაიწყო საქმე, რომელიც შემდეგ ეფრემ მცირემ განავრცო და გააღრმავა. ეს ორი ქართველი მწიგნობარი რომ ერთი და იმავე საქმის ირგვლივ და ერთი და იმავე ხაზით მოღვაწიობდა, მიუხედავად მათ შორის ხარისხეული განსხვავებისა, ეს გარემოება კარგად ესმოდათ ქართული მწიგნობრობის მოყვარულთ. ანტონ I კათალიკოზი არა მარტო იმას ადასტურებდა, რომ ექვთიმე და ეფრემ ერთსა და იმავე ნიადაგზე მუშაობდნენ, არამედ იმასაც, რომ ორივემ არისტოტელეს ლოგიკა დაამუშავეს არა უშუალოდ არამედ „ქმნილი“ გადმოცემით „წმინდისაგან დამასკელისა“².

ირკვევა, ამრიგად, რომ ეფრემ მცირე იოანე პეტრიწის სკოლის მიმდევარი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ იგი ფილოსოფიური ხაზით აგრძელებს ექვთიმეს მიერ დაწყებულ საქმეს—დამასკელის რედაქციით საქართველოში დიალექტიკის შემოტანისა, რომ ეს საქიროება აღმოცენდა გარკვეულ პერიოდში, როცა შეგნებულ იქნა წინა დროის დოგმატიზმის (VIII—X სს.) უკმარობა და სილოგისტიკის საღისკუსიო მიუცილებლობა. ამდენად ეს ერთი მთლიანი საქმეა. ექვთიმესა და ეფრემს შორის ლიტერატურული განსხვავება თვით ეფრემის მიერ ყველაზე ნათლადაა მოცემული, როდესაც იგი ექვთიმეს შესახებ გადმოგვცემს, რომ «მას (ე. ი. ექვთიმეს) მადლითა სულისა წმინდისაჲთა კელეწიფებოდა შემატეზაჲცა და კლებაჲცა»³. აქედან ირკვევა, რომ ექვთიმეს დამასკელის თხზულება ალაგ-ალაგ შეუმცირებია, ხოლო ზოგან გაუსრულებია. ჩანს, მისი მიზანი იყო, მიეცა თეოლოგიურ საკითხებზე მოკამათეთათვის სახელმძღვანელო ანუ, როგორც თვითონ უწოდა, „წინამძღუარი“. საქმე რომ სწორედ ასეთს გამოყენებითს მიდგომაში იყო, ამას მოწმობს არტანუჯის დისკუსია, სადაც ექვთიმე იღრუსალიმელს მონაფიზიტობის საწინააღმდეგოდ სწორედ ეს „წინამძღუარი“ გამოუყენებია.

¹) ის გარემოება, რომ ექვთიმე ივერმა იოანე დამასკელს თავისი მონტაჟი გაუკეთა და მას ცოტა რამ სხვა ავტორებიდანაც დაურთო და ამ სახით შექმნა თხზულება, რომელსაც „წინამძღუარი“ უწოდა, ამჟღავნებს ექვთიმეს ლიტერატურულ მეთოდს, რომელიც მან ქართული „ბალაეარის“ ბერძნულად გადაკეთების დროს გამოიყენა.

²) ქრონიკები, I, 220. მართალია, ანტონ I ლაპარაკობს „არისტოტელეებრივ კატილორიაჲ“-ს შესახებ, მაგრამ ეს შეცდომაა, რადგან არისტოტელეს გამოყენების ცენტრი იყო არა „კატეგორიები“ არამედ „შესიტყვება“, რადგან საღისკუსიო მიზნებისათვის მხოლოდ ეს გამოდგებოდა.

³) ქრონიკები I, 216. ეფრემის მიერ ექვთიმეს ეს დახასიათება ნათელსაფენს აგრეთვე იმ მეთოდს, რომლითაც გაკეთებულია ქართული „ბალაეარიდან“ ბერძნული „ბალაეარი“, ე. ი. „შემატებითა და კლებითა“.

აღნიშნული გარემოებანიც სრულიად ნათელსა ჰყოფენ, რომ ნ. მარჩის დებულება ეფრემ მცირისა და პეტრიწის დაახლოვებისათვის მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რომ ეფრემ მცირე, როგორც თვითონაც აცხადებდა, ექვთიმეს გზას აგრძელებდა და, თუ მათ შორის ცოტადენ სხვაობას ადგილი ჰქონდა—ეს იყო სხვაობა განვითარების სხვადასხვა საფეხურისა და არა პრინციპისა. ეს გარემოება ნიშნავდა არა გადმოკეთებას, არამედ თარგმანს და საფილოსოფიო ბაზის განვრცობას: ეფრემს იოანე დამასკელისაგან გადმოწულია საფილოსოფიო ნაწილი ვრცლად და ისიც აღნიშნული აქვს, რომ თეოლოგიური ნაწილი საფილოსოფიოს გარეშე არ იქნება ღირებული¹. ექვთიმეს საქმის ღირსება ეფრემს კარგად ესმის, იგი მას აფასებს, როგორც დამწყებს ფილოსოფიური ელემენტის თეოლოგიაში შეტანისა, და ამის გამო იოანე დამასკელის საქართველოში შემოტანის პიონერს; ეს იქიდანაც ჩანს, რომ ეფრემი მსურველთათვის ექვთიმეს „წინამძღუარის“ რეკომენდაციასაც აკეთებს, მაგრამ იგი აქვე აღნიშნავს, რომ მეტი სივრცისათვის საჭირო იქნება უკვე თვით ეფრემის თარგმანის გამოყენება.

ამით გამორკვეულია, რომ ექვთიმე და ეფრემი ერთსა და იმავე საქმეზე მუშაობდნენ, რომ ეს არის გარკვეული მომენტი ქართულ აზროვნებაში, როდესაც VIII—IX სს. დოგმატიკას სცვლის „გარეშე“ ანუ საერო ფილოსოფიის საჭიროების შეგნება, რომელიც ჯერხნობით, მისი ავტორების აზრით, განისაზღვრება მხოლოდ საღისკუსიოდ „წინააღმდეგობა“ მიმართ და ამიტომაც ამ საფეხურზე ფორმალურ დიალექტიკას შეიცავს, შესიტყვებაზე დამყარებით. ასეთია ეს სრულიად ნათელი და ხელსახები ნაკვეთი ქართული აზროვნების ისტორიაში და მისი ვერ მიგნება და უგულებელყოფა სრულიად არღვევს და შლის ქართული აზროვნების ისტორიულ პერსპექტივებს.

ქართული სააზროვნო კულტურის ისტორიაში გამოთქმულია მეორე შეხედულება, რომელიც თითქოს არ აკავშირებს პეტრიწს ეფრემ მცირესთან, მაგრამ ფაქტიურად მაინც სხვა გამოსავალს ვერ ხედავს და გაურკვეველად აცხადებს, რომ „ეფრემი, როგორც ფილოსოფიურად მომზადებული და განათლებული კაცი, მიმდევარი იყო რომელიმე (!) ფილოსოფიური შკოლისა“. ამ შეხედულების ავტორის აზრით ეფრემი უფრო ნეოპლატონიკოსი იქნებოდა, რად-

¹) «აჲ ესერა გქონან—ამბობს ეფრემი—ასნი თავნი საეკლესიონი ორმოც და ათთა თავთა მიერ საფილოსოფოსოთა გარშეხიდვილნი, და არცა ესენი სრულ არიან უმათოდ, არცა იგინი უამათოდ. ასეთია ეფრემის შეგნება მჭიდრო კავშირისა ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის, რომელიც მას უფრო მეტად აქვს შეგნებული, ვიდრე ექვთიმეს. იხ. ქრონიკები, I, 216.

გან ნეოპლატონიზმი ეფერემის დროს „დიდ ნაბიჯსა სდგამდა ქართულ განათლებულ წრეებში“. ამის საბუთი ავტორის აზრით თითქოს ისიც კი უნდა იყოს, რომ ეფერემ მცირეს ქართულად სათარგმნელად იოანე დამასკელის წიგნი აურჩევია“. ასეთია ეს შეხედულებანი, რომლებიც ქართული კულტურისა და ლიტერატურის საკითხების მკვლევარს პროფ. კ. ქეკელიძეს ეკუთვნის¹.

ეს შეხედულება აკად. ნ. მარრის შეხედულებას ენათესავება და მის შესახებ იგივე გვეთქმის, რაც ზემოთ იყო მოხსენებული ნ. მარრის შეხედულების შესახებ.

პროფ. კ. ქეკელიძის მოსაზრებაში ერთი სწორი აზრია: ეფერემ მცირე უნდა რამე ურთიერთობაში ყოფილიყო საქართველოს სინამდვილეში შემოსულ ამა თუ იმ ფილოსოფიურ სკოლასთან. ასეც რომ იყოს, ეს არ ნიშნავს, რომ იგი ამ სკოლის მიმდევარი უნდა ყოფილიყო; მაგრამ საქართველოში, როგორც გაიკვია, არისტოტელიზმის სახელმძღვანელო თუ საკამათო გამოყენება უფრო ადრინდელი შემოსულია და ეფერემის მიერ იოანე დამასკელის წიგნის არჩევა სათარგმნელად სწორედ ამას ამტკიცებს, ე. ი. სულ სხვას, ვიდრე პროფ. კ. ქეკელიძეს ჰგონია.

მიუხედავად ამისა ეფერემ მცირეს ნეოპლატონიზმთან კავშირი მართლაც აქვს, მაგრამ ეს კავშირი იქ კი არაა, სადაც მას პროფ. კ. ქეკელიძე ხედავს—იქ სწორედ საწინააღმდეგოა—არამედ ფსევდო-დონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმანში². დიონისე არეოპაგელი—V საუკ. მეორე ნახევრის მწერალი—თავისი ფილოსოფიური განწყობით ნეოპლატონიკოსია, მაგრამ სწორედ ის არის დამახასიათებელი ქართული აზროვნების ამ საფეხურისათვის და აგრეთვე ექვთიმესა და ეფერემის ფილოსოფიური აზროვნების მთლიანობისათვის, რომ დიონისე არეოპაგელი ნეოპლატონიზმს ისე უყურებდა, როგორც იოანე დამასკელი არისტოტელეს, ე. ი. საეკლესიო-თეოლოგიური აზროვნებისათვის გამოყენების მიზნით. ამდენად აქ შინაგანი კავშირი აუცილებელია. იოანე დამასკელმა VIII ს. შეიგნო, რომ არისტოტელეს სილოგისტიკა და დიალექტიკა ძალაა, რომლის არგამოყენება ეკლესიას ზიანს აყენებდა, მაგრამ დიონისე არეოპაგელმა კიდევ უფრო ადრე დაინახა, რომ ნეოპლატონიზმი შეიძლება გამოყენებულ იქმნას საეკლესიო მიზნებისათვის, თუ კი საკითხები სათანადოდ დამუშავდება. თავისთავად, ე. ი. დამოუკიდებლად მისგან, თუ რა გამოყენებას აკეთებდა ეკლესია, არც არისტოტელიზმი და არც ნეოპლატონიზმი საქრისტიანო თეოლოგიასთან არავითარ

¹) იხ. ქართ. ლიტ. ისტორია, I, 265.

²) ეფერემ მცირის თარგმანი ფს.-დიონისე არეოპაგელის თხზულებისა იხ. ყოფ. საეკ. მეზ. ხელნაწ. № 163.

კავშირში არაა. ეს თუნდაც იქედან ჩანს, რომ ისტორიულად ამთ-
გან გზა ერთნაირად გახსნილი იყო როგორც ქრისტიანობისა, ისე
წარმომართობისავენ. დიონისე არეოპაგელმა ნეოპლატონიზმის სა-
ქრისტიანო თეოლოგიისათვის გამოყენების გზა აირჩია და, როდესაც
ქართულ აზროვნებას საეკლესიო-თეოლოგიურ განახლების მომენტში
X-XI საუკუნეთა მიჯნაზე საეკლესიო მიზნებისათვის «გარეშეთა»
ფილოსოფიის გამოყენების ნიმუშები დასჭირდა, მან იოანე დამასკე-
ლის გვერდით, რომელმაც არისტოტელეს დიალექტიკის გამოყენების
საქმე გაკვალა, დიონისე არეოპაგელიც აღადგინა, რომელიც იმავე
პრინციპულ ხაზზე ნეოპლატონიზმის გამოყენებას ახორციელებდა.

ქართული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით აქ კიდევ
ერთი დეტალი მოიპოვება: თეოლოგიურ-ფილოსოფიური განახლების
შემდეგ, XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში, ახალ ეკონო-
მიურ და პოლიტიკურ პერსპექტივებთან დაკავშირებით იშლება
საერო ხასიათის ფილოსოფია, ნეოპლატონიზმის ნიადაგზე აღმოცე-
ნებული. საფეხური ნეოპლატონიზმის ფილოსოფიისა, რომელიც სა-
ქართველოს ფილოსოფიურ აზროვნებას უკავშირდება, არის მისი
დიალექტიკური დამუშავების საფეხური, რომელიც პროკლეს სა-
ხელთანაა დაკავშირებული და რომელიც საქართველოში იოანე
პეტრიწმა შემოიტანა. საქმე ისაა, რომ სწორედ პროკლემ მისცა,
როგორც გაირკვევა, ნეოპლატონიზმს დიალექტიკური დაფორმება და
საქართველოში შემოსული ნეოპლატონიზმი მეორე მხრივ ენათესავე-
ბოდა დიონისე არეოპაგელს, რომელმაც ნეოპლატონიზმი სწორედ
პროკლეს რედაქციაში აიღო. ნამდვილი შუამავალი ნეოპლატონიზმსა
და ქრისტიანულ თეოლოგიას შორის იყო დიონისე არეოპაგე-
ლი, რომელიც „ერთის“ თავის საკუთარ თავიდან საფეხურებრივ
დაშორების გამოსაყვანად სწორედ პროკლეს რედაქციით სარგებ-
ლობდა.

აქედან ნათელია, რომ საქართველოში დიალექტიკის საკამათო
ძალის შეგნებასთან დაკავშირებით და არისტოტელიზმის მნიშვნე-
ლობის შეგნებასთან ერთად შემოტანილ იქნა ნეოპლატონიზმის ისე-
თი ფორმა, რომელიც ასევე დიალექტიკურად იყო ავებული, სადაც
პლატონისტური მისტიკა მაღალ საფეხურებზე განიმტკიცებოდა, ხო-
ლო საფეხურების გამოსაყვანად და „ერთისა“ და „მრავლის“ ურთი-
ერთობის გასარკვევად ნასარგებლები იქნა იმავე არისტოტელეს დია-
ლექტიკა და ძალა შესიტყვებათა. ამდენად ეფრემ მცირე დიონისე
არეოპაგელის ქართულ ფილოსოფიურ საქმიანობაში შემოტანით
იმავე ხაზზე რჩებოდა, რომელიც ექვთიმე ივერიით დაიწყო და
რომელიც ფილოსოფიური დემონსტრაციების თეოლოგიურ მტკიცე-
ბათათვის გამოყენებას ნიშნავდა.

ექვთიმე ივერსა და ეფრემ მცირეს კიდევ ერთი შეხების წერტილი ჰქონდათ აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით: ეს შეხების წერტილი პლატონიზმის და არისტოტელიზმის იმ ნაზავთან იყო დაკავშირებული, რომელიც მისტიციზმის მომენტებს ქვეყნიერ ამბებს უკავშირებდა და ზეციურისა და ქვეყნიურის დამოკიდებულებას შეიცავდა. თუ ამ მხარის ნათელსაქმენლად ეფრემ მცირე ნეოპლატონიზმის ქრისტიანულ რედაქციას დაეწაფა, ექვთიმე იმქვეყნიურ-ამქვეყნიურის ურთიერთობისათვის ძველი ქართული ტრადიციის ნიადაგზე დარჩა და იგი „ბალავარის“. ბერძნული რედაქციის გაკეთებაში განასახიერა. ვინაიდან მას, ეფრემის მოწმობით, შემატება და გამოკლება «კელეწიფებოდა», მან, როგორც ქართულზე ბერძნულიდან გადმოღებული „გადმოცემა“ ზოგან განაევრცო სხვა წიგნებიდან ჩანამატით, ზოგან კი შეამოკლა, ისე, პირიქით, ქართულიდან ბერძნულზე გადაღებული „ბალავარი“ ასევე გამართა. ეს საფეხური ქართული მწიგნობრობისა და აზროვნების განვითარებისა აუცილებელი შემზადებაა მეორე საფეხურისა, სადაც ეფრემ მცირემ ორი ქვეყნის მისტიკური ურთიერთობა საფეხურების დიალექტიკურ-ლოგიკურ ურთიერთობამდე გაშალა.

ამით უკვე დამზადებული იყო ის საფეხური ქართული აზროვნებისა, სადაც იოანე პეტრიწი უნდა მოსულიყო: ნეოპლატონიზმი, არა საეკლესიო-თეოლოგიური, არამედ საერო-ფილოსოფიური ტენდენციებით. ამ საფეხურებს შორის რომ კავშირი იყო, ჩანს პროკლეს მიერ დამუშავებულ ნეოპლატონიზმთან დამოკიდებულებაში ორივე მხრივ: საეკლესიოსა და საეროს. აქედან ისიც ნათელია, რომ ქართული აზროვნების პერსპექტივა ისე იშლებოდა, რომ ჯერ ნეოპლატონიზმის საეკლესიო გამოყენება შემოვიდა საქართველოში, ხოლო შემდეგ საერო-წარმართული, აქედან--ჯერ საეკლესიო გამოყენებას აქვს ადგილი და მხოლოდ შემდეგი საფეხური ქართული აზროვნებისა გაიშალა როგორც საერო ფილოსოფია, რომელიც შეუერთდა საერთო ნაკადს ქართული აზროვნებისა და მწერლობის განთავისუფლებისა საეკლესიო გავლენისაგან.

ქართული აზროვნების ამ პერსპექტივიდან ისიც ნათელია, თუ რამდენად შემცდარია აზრი თითქოს პეტრიწი და, ვითომცდა მისი მოწაფე, ეფრემ მცირე, მათი ფილოსოფიური მოღვაწეობის მხრით, VII—VIII საუკუნეთა სომხური ფილოსოფიური საქმიანობის განმეორებას წარმოადგენდეს. ეხლა აშკარაა, რომ ქართული აზროვნების ისტორიამ დააყენა საკითხი X ს. მიწურულში ფილოსოფიის თეოლოგიური მიზნებისათვის გამოყენების შესახებ, ხოლო აქედან განვითარდა ქართული საერო ფილოსოფიური აზროვნება. თუ საეკლესიო განახლებამ ძველი, IV—VII საუკუნეთა, ქართული ფილო-

სოფიური აზროვნების ტრადიციები გამოიყენა, X—XII საუკუნეთა მიჯნაზე ბიზანტიის რენესანსთან აქტიურ თანამშრომლობაში ჩაბმული ქართული აზროვნება, მთელ ქართულ ფილოსოფიურ ტრადიციებზე დამყარებით, სარგებლობს ბიზანტიის პირობებთან შედარებით უფრო ხელსაყრელი მდგომარეობით, რამაც მას ბიზანტიაში ფილოსოფიის ლიკვიდაციის შემდეგ XI ს. კიდევ ერთი საუკუნე განვითარებისათვის წინ გაუშალა და ბიზანტიასთან ერთად დაწყებული საქმის დამოუკიდებლად გაგრძელების საშუალება მისცა.

§ 2. ბიზანტიური რენესანსი და ქართული ფილოსოფიური სკოლა.

იოანე პეტრიწის ფილოსოფიური საქმე ამ პირობებით არის განსაზღვრული. მისი ადგილი ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში სამი მომენტით განიზომება: 1) როგორ გაიმიჯნა პეტრიწი საეკლესიო-თეოლოგიური აზროვნებისაგან; 2) როგორია პეტრიწის დამოკიდებულება ბიზანტიის ფილოსოფიურ რენესანსთან და 3) რა სახით განაგრძო პეტრიწმა ბიზანტიასთან ერთად დაწყებული ფილოსოფიური საქმე, ე. ი. როგორია ის საფუძვლები, რომლებიც მან ქართულ ფილოსოფიურ სკოლას ჩაუყარა.

ასეთია საკითხები, რომლებიც შეადგენენ შინაარსს საერთო საკითხისა პეტრიწისა და ქართული ფილოსოფიური სკოლის შესახებ. ერთის შეხედვით საკითხის ასეთ დაყენებას შეუძლია ზოგიერთი გაუგებრობა გამოიწვიოს. მაგ., თუ პეტრიწი მართლაც ქართულ ფილოსოფიურ ტრადიციებს აგრძელებს და კერძოდ მისი უახლოესი წინამორბედი საფეხურიდან გამოიყვანება და ვითარდება, როგორღაა წარმოსადგენი მისი ბიზანტიურ რენესანსთან, და ისიც აქტიური, თანამშრომლობა? ასევე შეიძლება გაუგებრობა დაბადოს არა მარტო ნეგატიურმა მომენტმა, არამედ პოზიტიურმაც—თუ იოანე პეტრიწი მართლაც ბიზანტიაში შეწყვეტილი ფილოსოფიური საქმიანობის გამგრძელებელია, რაღა შუაშია აქ ქართული ფილოსოფიური სკოლა?

ამ საკითხების გარკვევას უნდა ემსახურებოდეს გამოკვლევა პეტრიწისა და ქართული ფილოსოფიური სკოლის შესახებ. ნ. მარჩი სრულიად სამართლიანად მოითხოვდა დასავლეთის მეცნიერებისაგან ორიენტალისტურ-ბიზანტინისტური კვლევის გამახვილებას. ევროპა რომ გაითავისუფლებდეს თავს ჩვეულებრივი კონცეფციებისაგან აღმოსავლეთის კულტურული ცხოვრების შესახებ, როგორც ფიქრობდა აკად. ნ. მარჩი, მაშინ მართლაც იმავე ევროპული აზროვნებისათვის სულ სხვა ამბები გაიშლებოდა. დღეს აღარაა საქირო ევროპის მეცნიერების მიერ აღმოსავლეთის და კერძოდ საქართველოს სააზროვნო

კულტურის საკითხების გარკვევას დავეუცადოთ. კულტურული რენესანსის ახალ პირობებში ჩვენს მეცნიერებას თვითონ შესწევს ძალა. თავისი საკითხები მოაგვაროს. აქ განსხვავება და სიახლე იმაში იქნება, რომ ქართულ და მასთან ერთად მეზობელი ერების და მათ შორის პირველ ადგილზე სომხური ფილოსოფიური აზროვნების კონცეფცია ცოტა სხვანაირად უნდა იქნას გაშუქებული, ვიდრე ამას აქამდე აკეთებდნენ.

ბიზანტია აღმოსავლური ხალხების დასავლეთის კულტურასთან შეჯვარებისა და თანამშრომლობის კრებადი ცნება იყო. აზროვნების ხაზზე ხდებოდა იგივე, რაც სხვა დარგებში. სხვა ხალხთა შორის, რომლებიც ბიზანტიის კულტურის შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ, ქართველებს თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ. ჯერ კიდევ VII საუკუნეში ქართულ-სომხური ფილოსოფიური შეჯვარების გამომხატველის—დავით უძღვევლის—სახით გაიშალა ამ ორი მონათესავე კულტურის მონაწილეობა ბიზანტიის სააზროვნო კულტურაში. მაგრამ აღნიშნულ კულტურათა პირდაპირი და დამოუკიდებელი მონაწილეობა მწერლობაში ნათლად ჩანს ბიზანტიური რენესანსის დაწყებიდან. განახლების გზაზე დამდგარი საქართველო XI ს. დაუყოვნებლივ იღებს მონაწილეობას ბიზანტიის კულტურულ რენესანსში. და ქართულიდან „ბალავარის სიბძრის“ ბერძნულზე გაკეთებით ექვთიმე ივერიის სახით ერთბაშად შეაქვს ქართული კულტურის ისეთი წვლილი ბიზანტიის კრებად კულტურაში, რომელიც დასავლეთის მწერლობას მნიშვნელოვან კვალს დააჩენს.

ევროპის მეცნიერება, აკად. ნ. მარკის თქმისა არ იყოს, აღმოსავლეთის და განსაკუთრებით ბიზანტიაში ნაკრებ აღმოსავლურ კულტურათა მიღწევებს ყოველთვის მიუდგომელ შეფასებას ვერ უკეთებს. ბიზანტიის რენესანსი ის დიდი პრობლემაა აღმოსავლეთის ხალხების კულტურათა კვლევისათვის, რომლის გარეშე ძნელია ამ კულტურის მოვლენათა სწორი შეფასება. რამდენადაც ბიზანტიის კულტურა კრებადი მოვლენაა, რომლის შინაარსი წინააზიის ქრისტიან ხალხების კულტურათა ვითარებამდე დაიყვანება, ამდენად ამკარაა მკიდრო კავშირი ბიზანტიის კულტურის ბედსა და მასში შემავალ კულტურათა ბედს შორის.

ამიტომაც, როცა ლაპარაკია ბიზანტიის ადრინდელ რენესანსზე და კერძოდ აზროვნების თვალსაზრისით ისმება საკითხი ბიზანტიის რენესანსის ფარგლებისა და ღირებულების შესახებ, ცხადია, ეს საკითხი არაა უმნიშვნელო. ვინც აღიარებს ბიზანტიის რენესანსის მნიშვნელობას, ის იმავე დროს აღიარებს ბიზანტიის კულტურის შემადგენელ ეროვნულ კულტურათა მნიშვნელობასაც და პირიქით—პირველის შეუფასებლობა მეორის შეუფასებლობას ნიშნავს.

აქედან ნათელია, რომ ბიზანტიის რენესანსის მნიშვნელობის სადაოდ გამოცხადება ჩვენთვის დიდი ყურადღების საგანი უნდა გახდეს. ცხადია, სპეციალური გამოკვლევის საქმეა ამ საკითხში ერთგვარი გარკვეულობის შეტანის ცდა, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის მეცნიერებაში, დაწყებული -გასული საუკუნის 70-იან წლებიდან საუკუნის ბოლომდე, არ შეწყვეტილა კამათი ბიზანტიის სააზროვნო რენესანსის მნიშვნელობის შესახებ. ამ კამათში მონაწილეობას იღებდა ცნობილი ისტორიკოსი ლოგიკისა პრანტი და მისი ოპონენტები როზე, შტაპკერი და სხვ. რამდენიც არ უნდა ეცადოს დასავლეთის მეცნიერება ამტიკოს, რომ მაგ. მიქაელ პსელლოსის სახელით ცნობილი „მიმოხილვა“ ვითომცდა პეტრე ესპანელის ლათინური ტრაქტატიდანაა თარგმნილი, ამით ოდნავადაც არ წყდება უარყოფითად ბიზანტიური ფილოსოფიური რენესანსის მნიშვნელობა. იგი მაინც რჩება ერთ-ერთ დიდ ნაკადად, საიდანაც დასავლეთმა ევროპამ მიიღო განახლების სტიმული და სხვა გზებითაც მოსულ მოვლენებთან ერთად შეამზადა დასავლეთ ევროპის რენესანსის საქმე. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ქართული კულტურის წარმომადგენელთა მონაწილეობა ბიზანტიის კრებად კულტურაში.

თუ სააზროვნო განახლების პირველმა, თეოლოგიურ-საეკლესიო საფეხურმა ბიზანტიის კულტურათა შეჯიბრებაში საქართველოს საშუალება მისცა ისეთი მნიშვნელოვანი კვალი დაეტოვებინა, როგორიც იყო „ბალავარი“, მოსალოდნელი იყო, რომ ამავე ქართული სააზროვნო აღორძინების მეორე, უფრო მაღალი საფეხური კიდევ უფრო თვალსაჩინო მონაწილეობას მიიღებდა ბიზანტიურ რენესანსში. ეს კვალი არა მარტო იმით განიზომება, თუ რა მანძილია სააზროვნო ხაზით ექვთიმე ივერსა და ეფრემ მცირეს შორის ერთი მხრით და იოანე პეტრიწის შორის მეორე მხრით, არამედ იმ განსხვავებითაც, რომელიც არსებობს ბიზანტიის რენესანსის აღმავლობასა და მისი დაკნინებისა და ლიკვიდაციის პერიოდს შუა. როცა ექვთიმე ივერი თავისი თხზულებით ბიზანტიის რენესანსში შეიჭრა, უკანასკნელი აღმავლობის ხაზზე იყო, ხოლო როცა მეორე ქართველი—იოანე პეტრიწი იმავე რენესანსში მონაწილეობას იწყებს, ბიზანტიის ფილოსოფიური აზროვნება დევნას განიცდის—დიდი კარის კაცი მიქაელ პსელლოსი მდგომარეობას შეეგუა, ხოლო უფრო გაბედული იოანე იტალი გასამართლებულ იქნა და საეკლესიო ტრიბუნალმა მისი და მის მოწაფეთა დევნა და მათი დაბეჭდება ბიზანტიის მოქალაქეთა პატიოსნობის განმსაზღვრელად აღიარა. დასავლეთიდან მოსულმა რაინდობის ურდომ ცხენების ფეხებით გადათელა ბიზანტიაში დაწყებული დიდი კულტურული აღორძინება—შედგვი აღმოსავლეთის მოწინავე ხალხთა დასავლეთის კულ-

ტურასთან თანამშრომლობისა, და მით ევროპის რენესანსის დასაწყისი ორ საუკუნეზე მეტით დააგვიანა. მართალია, საქართველოში, სადაც ოფიციალური ეკლესიის მხრივ ეფრემ მცირის მიერ საერო ფილოსოფიის შესიტყვება—დიალექტიკის სახით გამოყენებაც კი ოპოზიციას იწვევდა, საერო ფილოსოფიის წარმომადგენელს იოანე პეტრიწს კიდევ მეტი დაბრკოლება უნდა ჰქონოდა, რამაც ის, როგორც გაიჩვენა, სამშობლოს დატოვებად აიძულა და მხოლოდ დემოკრატიული ტენდენციების გამარჯვებამ და საერო და სასულიერო არისტოკრატიის შესუსტების ხანამ მისცა მას საშუალება საქართველოში კვლავ დაბრუნებისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში—გელათის აკადემიაში—მოღვაწეობისა.

განსხვავება ექვთიმე ათონელსა და იოანე პეტრიწს შორის იმ გარეგნულ ფაქტშია, რომ პირველის თხზულება „სიბრძნე ბალაგარისა“ დაწერილია ბერძნულ ენაზე, რის მეოხებითაც იგი ერთბაშად გაიცინო დასავლეთმა და გავრცელდა ბერძნული კულტურის სფეროში, ამის წყალობით სხვა ქვეყნებშიაც და, შემდეგ გადათარგმნილი, მთელს დასავლეთში.

იოანე პეტრიწის მთავარი ფილოსოფიური საქმე—მისი თხზულება „განმარტება პლატონურისა ფილოსოფიისა“ ქართულ ენაზეა მოცემული და ამ გარემოებამ, უეჭველია, დიდი როლი ითამაშა ამ თხზულების შეფასებისა და გავრცელების არის განსაზღვრაში. თავის დროზე ევროპაში ამ წიგნს გავრცელება არ შეიძლება ჰქონოდა და ეს არა მარტო ენობრივი დაბრკოლების გამო. ბიზანტიაში XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე შეწყდა ფილოსოფიური რენესანსი, რის გამოც არც არსებობდა საბაზი და შესაძლებლობა, რომ პეტრიწს თავისი წიგნი ბერძნულად გაეკეთებინა. რაც შეეხება აღმოსავლეთს, აქ იგი აღრევე ითარგმნა ისეთ მოწინავე კულტურის ენაზე, როგორც იყო სომხური¹. ბიზანტიის რენესანსი დაიმსხვრა, ხოლო აღმოსავლეთის მოწინავე ერებს თავისი საკუთარი კულტურის გზები გააჩნდათ. პეტრიწის თხზულება მეტ გავრცელებას ვერ პოუვდა. ბერძნულ ენაზე გაკეთებულს მას შეეძლო მნიშვნელობა მისცემოდა მოგვიანო ხანისათვის, როცა დაისმებოდა საკითხი, თუ რა ბედი ეწია ბიზანტიაში დაწყებულ ფილოსოფიურ რენესანსს. ასეთი კვლევა-ძიება, ცხადია, დადგებოდა იმ ფაქტის წინაშე, რომ ბიზანტიაში დაწყებული და ისტორიული სიტუაციის მიხედვით შეწყვეტილი ფილოსოფიური მოძრაობა გავრცელდა საქართველოში, რომელმაც ისტორიული პირობების მიხედვით ზოგიერთი, ბიზანტიური პოლიტიკის გართულებული საკითხების მოგვარება იკისრა და კიდევ ერთი საუკუნე უაღრესად ხელ-

¹) Н. Я. Марр, *op. cit.* 60 *стр.*

საყრელი პირობები შექმნა დაწყებული ფილოსოფიური საქმის გასაგრძელებლად.

ეს გარემოება, ბუნებრივია, აყენებს საკითხს—ისარგებლა თუ არა ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ, თავდაპირველად ბიზანტიურ ფილოსოფიურ რენესანსთან დაკავშირებულმა, იმ ხელსაყრელი პირობებით, რომლებიც მას „ოქროს ხანამ“ შეუქმნა საქართველოში, და, თუ ისარგებლა, რა მიმართულება მისცა მან ამ ფილოსოფიურ საქმეს. ამ საკითხს მით უფრო აქვს აზრი, რომ თუ უფრო ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში ქართულმა აზროვნებამ შეიტანა დასავლეთის კულტურაში „ბალავარის“ სახით ძველი, რომელმაც ტონი მისცა ევროპულ ჯერ სასულიეროს და შემდეგ რაინდულ-მისტიკურ რომანს, რატომ აო შეიძლება კვლევის საგნად გახდეს საკითხი: ხომ არ გაკეთდა უფრო ხელსაყრელ პირობებში თუ მეტი არა, არა ნაკლები საქმე, რომელიც არ გავიდა ევროპის ცნობის სფეროში მხოლოდ მისი გაუცნობლობისა და მიუწვდომლობის გამო?

ევროპის მეცნიერება დღეს-დღეობით, პროკლეს „კავშირნი“-ს აღმოსავლეთში გავრცელების ძიებისას, წააწყდა მისთვის აქამდე უცნობ ფაქტს, რომ „ძველი ქართული ვერსია იოანე პეტრიწის მიერ გაკეთებული, წარმოადგენს ბერძნულ ტექსტს, სულ უკანასკნელი ერთ საუკუნეზე უფრო ადრინდელს, ვიდრე ჩვენი ბერძნული მანუსკრიპტები“—ეს აზრი ეკუთვნის პროფ. Dodds-ს, რომელიც პეტრიწის თარგმნის მხოლოდ მცირეოდენ ფრაგმენტს იცნობს. მიუხედავად ამისა, ავტორი პეტრიწის თარგმანის პროკლეს ბერძნულ ტექსტთან შედარებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მისი აზრით „პეტრიწი ხანდახან ამატებს სიტყვებს, რომლებიც ბერძნულში არაა გამოხატული“¹. თუ თარგმანის მცირეოდენმა შედარებამ ევროპულ მეცნიერებაზე შთახდინა შთაბეჭდილება პეტრიწის ერთგვარი თავისებურებისა—სრულიად ბუნებრივია საკითხის დასმა—ხომ არ იზრდება ეს თავისებურება მაშინ, როდესაც იოანე პეტრიწი წარმოადგება არა როგორც მთარგმნელი და, მაშასადამე, ტექსტით შებოროკილი, არამედ როგორც მოაზროვნე და, მაშასადამე, ასეთი პირდაპირი დანოკიდებულებისაგან შედარებით თავისუფალი; ხომ არ გაიკვევა მაშინ, რომ საქართველოს ფილოსოფიას აო მარტო ხელთ ჰქონია ადრინდელი ბერძნული ტექსტი, არამედ ისიც, რომ ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფს გაუგრძელებია და მისთვის თავისებური მიმართულება მიუცია; ხომ არ გახდება შესაძლებელი ასეთ პირობებში საკითხი—არსებობს თუ არა საკმაო ნიშანი იმისათვის, რომ „ქართულ ფილოსოფიურ სკოლაზე“ ლაპარაკი საფუძვლიანი იყოს. თუ

¹) Proclus, The Elements of Theology. A revised text... by Dodds. Oxford 1933, გვ. XI.I.

კვლევა ძიება ამ საკითხებს დადებითად გაარკვევს, მაშინ მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიას უნდა დაემატოს ის თავი, რომელიც მას, შესაძლებელია, აკლია და რომლის ადგილია იქ, სადაც წყდება ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსი.

ამ საკითხების ნათელსაყოფად საჭიროა ზედმიწევნითი ფილოსოფიური ანალიზი იოანე პეტრიწის ორიგინალური თხზულების— „განმარტებისა“, რომელიც დაწერილია დროის მოთხოვნის გამო კომენტარის სახით.

ბერძენ ფილოსოფოსთაგან განსხვავებით აღმოსავლეთის მოაზროვნეთ და მათ შორის ქართველ მოაზროვნეთაც უხდებოდათ მთარგმნელის როლში გამოსვლა. პეტრიწსაც მოუხდა უცხო წიგნების თარგმნა. აქამდე ცნობილია მისი თარგმანები ნემესიოსის „ბუნებისათვის კაცისა“ და პროკლეს „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“. ცნობები მისი სხვა თარგმანების შესახებ მოითხოვს შემოწმებას და დამატებითს მიმოძებნას¹. ყოველშემთხვევაში ცნობა იმის შესახებ, რომ იოანე პეტრიწმა თარგმნა და კომენტარიც დაურთო არისტოტელეს თხზულებებს— „ტოპიკა“ (Ἐξ ἑπιπέδου) და „განმარტებისათვის“ (Περὶ ἐρμηνείας)—საესებით დასაშვებია, როგორც სინამდვილე, თუ მხედველობაში იქნება მიღებული, რომ იოანე პეტრიწი იმათ თვალსაზრისს იზიარებდა, რომლებიც პლატონიზმისა და არისტოტელიზმის ნიადაგზე იდგნენ, და აღნიშნული თხზულებებით ხშირად სარგებლობდა.

როგორც ავტორები, რომლებიც იოანე პეტრიწს სათარგმნელად აურჩევია, ისე ის გარემო, რომელშიაც ის მუშაობდა, პლატონიზმის და არისტოტელიზმის შეთანხმების ანუ „სიმფონიის“ ნიადაგზე იდგნენ. ნემესიოს ემესელი თავის თხზულებაში „ბუნებისათვის კაცისა“ (Ἐπιπέδου ἀναρχία) უკვე V საუკუნის მიწურულში. ცდილობდა პლატონისა და არისტოტელეს შუაპოზიციის დაქერას და, თუ სულის ბუნების განმარტებაში არისტოტელეს მიერ თხზულებაში „სულისათვის“ (Περὶ ψυχῆς) მოწოდებულ „ენტელექიის“ ცნებას ებრძოდა და პლატონის „ფედონისა“ და „ტიმოისისაკენ“ იხრებოდა². სამაგიეროდ ნებისათვის მოძღვრებაში იგი გადაჭრით მხარს უჭერდა არისტოტელეს შეხედულებას ნების თავისუფლებისათვის³. მართალია, ამ დაახლოვებას პლატონისა და არისტოტელესი ჯერ კიდევ აკლდა ის პრინციპულობა, რომელიც V საუკუნეში უფრო გაიშალა, მაგრამ ნეოპლატონიზმმა უკვე III საუკუნიდან

¹) იხ. ს. გორგაძის წინასიტყვისობა მის მიერ გამოცემული ნემესიოსის შრომის თარგმანისა.

²) იხ. ს. გ. 2

³) იხ. ს. 29 და შემდეგ.

დაიწყო პლატონ-არისტოტელეს შეერთების საქმის მზადება, და ნემესიოსს საქმაო გამოცდილება ჰქონდა ამ მხრივ თავის განკარგულებაში. ამდენად ნემესიოსი პლატონ-არისტოტელეს შეთანხმების ფილოსოფიის ნიადაგზე იღვა და ცალკე საკითხზე სულის ბუნებისათვის, რომელიც მისი თხზულების მთავარ საქმეს შეადგენს, იგი ამ თვალსაზრისის ნათელყოფს.

ნემესიოსის საქართველოში შემოჭრით იოანე პეტრიწი უეჭველია უკავშირდება ქართული აზროვნების ტრადიციებს, რომლებიც VI—VII სს. განწყობას ემყარებოდა და რომელთაც თავისი დამთავრება „ბალავარის“ პირველს, ქართულ ვერსიაში ჰპოვეს. წარმავალი, ანუ დროული, და მარადიული სულის ცნება და ნების თავისუფლება ამ ვერსიაშიც ჩანს¹ და X—XI სს. მიჯნაზე მისი მხოლოდ გახსენება და დროის მიხედვით გაღრმავება იყო საკირო. „ბალავარის“ ფილოსოფიური შინაარსის ზოგი ადგილის მიხედვით არ უნდა იყოს სადაო — იცნობდა თუ არა იოანე, „ბალავარის“ ქარაუკლი ავტორი, ნემესიოსის თხზულებას, ყოველ შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული არაა: სამაგიეროდ აშკარაა, რომ ამ თხზულებას, რომლის პირდაპირი გავლენა ნათელია „ბალავარში“, უეჭველად იცნობდა მოწინავე ქართველობა, და ამას უნდა გამოეწვია ამ თხზულების ქართულად გაკეთება, და პეტრიწი ამ შემთხვევაშიაც აგრძელებს ქართულ სააზროვნო ტრადიციებს.

„ბალავარის“ ბერძნული რედაქციის ავტორის გამომრკვევთ არ გაუთვალისწინებიათ ის ისტორიულ-ფილოსოფიური ფაქტი, რომ ბიზანტიის ფილოსოფიურ რენესანსში XI საუკუნეში, როცა „ბალავარი“ გაჩნდა ბერძნულ ენაზე, ინტერესი ნემესიოსისადმი უშუალოდ არ არსებობდა. პლატონ-არისტოტელეს ნააზრევის დაახლოებების განახლება ბიზანტიის რენესანსში საზოგადოდ მხოლოდ გარეგნულ ხასიათს ატარებდა. მიქაელ პსელლოს ერთხელ დაინტერესდა ფსიქოლოგიური პრობლემით, მაგრამ მას უფრო მეტაფიზიკური საკითხი იზიდავდა სულის წარმოშობის, ანუ ე. წ. „ფსიქოგონიის“ შესახებ, რომელიც მან გამოხატა თავის კომენტარში „ტიმეოსის შესახებ“ (Εξ τῆς τῆς Πλάτωνος ψυχολογίας). უფრო ადრე, X საუკ., როცა პლატონ-არისტოტელეს თხზულებისადმი ინტერესი იღვიძებდა ბიზანტიაში (მაგ. ფილოსოფოს არეთას სახით), არსად არ ჩანს ინტერესი სპეციალურად ფსიქოლოგიური, ე. ი. სულის საერთოდ, და კერძოდ ადამიანის სულის შესახებ; ამასთან დაკავშირებით არ ჩანს ხსენება ისეთი სპეციალური თხზულებისა სულის ბუნებისათვის, რომელიც პლატონისა და არისტოტელეს გან-

¹) „სიბრძნე ბალავარისა“ ილ. აბულაძის გამ. ტფ. 1937 გვ. 15.

სხვაეგება-დაახლოვებას შეიცავდა. ეს თხზულება კი იყო სწორედ ნემესიოსის ზემოთ მოხსენებული წიგნი.

ამჟამად, რომ იოანე პეტრიწის ძიერ სწორედ ნემესიოსის წიგნით დაინტერესებას თავისი მიზეზი და საბაბი საქართველოს სააზროვნო ტრადიციასა და მწერლობაში უნდა ჰქონოდა, და ეს იყო ის ინტერესი, რომელიც „ბალავარის“ პრობლემასთან იყო დაკავშირებული, სულის სიმალლესა და სიმდაბლესთან და კერძოდ ნებისყოფის თავისუფლებასთან¹. ბრძოლა გულისთქმის წინააღმდეგ, რომელიც ესაქიროება იოდანასუს, ნებაყოფლობით თავის გამოცდის მომენტია. იგი მიჰყვება სურვილს შეფის ასულისა და რჩება მასთან ღამით სრულიად შეგნებულად, თავისი ნებით, რათა გამოსცადოს თავი და ძალა მისცეს „მადლსა მოთმინებისასა“. ეს არის ბრძოლა „ენებათა“ წინააღმდეგ, რომელიც თვალნათლივ არის მოცემული „ბალავარში“ როგორც ქართულ, ისე ბერძნულ ვერსიაში².

კავშირი „ბალავარსა“ და ნემესიოსის თხზულებას („ბუნებისათვის კაცისა“) შორის სრულიად ნათელია.

ამ მუხლში ერთი-მეორეს ხედებიან ნემესიოსი და „ბალავარის“ ავტორი. ნემესიოსი, მსჯელობს რა ნებისყოფის თავისუფლებაზე, უპირისპირებს მას „ენებას“, და ნებისყოფის თავისუფლებას ენებისათვის გაძლებით ზომავს³. ამ მუხლში ის არისტოტელეს ემხრობა, რომლის ფსიქოლოგიურ თხზულებას „სულისათვის“ ვრცლად იყენებს.

ჯერ კიდევ „ბალავარის“ ქართველ ავტორს—იოანე პალესტინელს—უნდა სკოდნოდა ნემესიოსი, ან, ყოველ შემთხვევაში⁴ ორი დიდი თხზულება „სულისათვის“ ბერძნული ფილოსოფიისა—პლატონის „ფედონი“ და არისტოტელეს „სულისათვის“⁵. ის პათოსი ორი ქვეყნის დაპირისპირებისა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე მოცემულია „ბალავარში“, და კერძოდ პათოსი მარადიულ ქვეყანაში სულის ამალღებისა, ფილოსოფიურად შეეძლო დაეწერა ან პლატონის „ფედონის“ მკოდნეს ან მისი იდეების ქრისტიან ავტორებისაგან გადამმუშაებელს, რომელთა შორის, სწორედ სულის საკითხის გამო,

1) „ხოლო მამისა შენისა ფილოსოფოსნი—ეუნებთა იოდანასუს ზანდანი—ზოგნი მოკუდავდ იტყვიან სულსა და ზოგნი უკუდავად“ (გვ. 15, 12-14.). იგივე სულის პრობლემა: „ბუნებით თანა აც ყოველსა სულსა მწუხარებაჲ განშორებისათვის კორცთაჲსა და დატევებისათვის ჰაერისა და ნათელისა“—აქ არისტოტელიზმის კვალია (გვ. 76, 1-4). ამას მოჰყვება მარადიული ქვეყნის დაპირისპირება.

2) „ბალავარი“ გვ. 67—68.

3) Nemesius, თავი 16 და შემდ. აქ მსჯელობაა „ენებისა“ ანუ „ἀνάθη“-ს შესახებ, რომლის პირისპირ ის მისწრაფებისა და ნებისყოფის ἐξ ἑδῆ და „βίαν ἑσθῆς“ განმარტებებს აკეთებს.

4) ნებისათვის თავისუფლებაზე პრაქტიკული ფილოსოფიის თვალსაზრისით არისტოტელე ლაპარაკობს აგრეთვე „ეთიკაში“ (Eth. III და VI).

პირველ ადგილზე ნემესიოსის „ბუნებისათვის კაცისა“ უნდა იქნას დაყენებული ¹.

ქართული სააზროვნო გზის დამოუკიდებლობა აქ უქვევლია. სრულიად ნათელია, რომ ინტერესი ნემესიოსის თხზულებისადმი XI ს. ქართულ აზროვნებაში შეიძლებოდა გაჩენილიყო მხოლოდ იმ სააზროვნო სიტუაციაში, რომელიც ქართული ტრადიციით იყო შემუშავებული. ბერძნულ ფილოსოფიას X—XI საუკუნეში საამისო საბაბი არ გააჩნდა და იქედან ასეთი წაქეზება ვერ წამოვიდოდა. ამდენად ამ შემთხვევაში იოანე პეტრიწი უდაოდ ქართული ფილოსოფიური ტრადიციის ნიადაგზე დგას ². მის მიერ ნემესიოსზე გაჩერება, როგორც სათარგმნელ ობიექტზე, სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო და მაჩვენებელი. ფილოსოფიური რენესანსის აზრი, რომლის მთავარი წარმომადგენელი იოანე პეტრიწი იყო, ასრულებდა და აღრმავებდა იმას, რაც ქართველ მოაზროვნეთა წინა თაობებს იმ სიმაღლეზე ვერ აეყვანათ, როგორც ამას საქმე ითხოვდა. მაგრამ ძველსა და ახალს შორის კავშირი იმაში იყო, რომ X—XI ს. ქართველმა ფილოსოფიურმა აღორძინებამ IV—VII სს. დაწყებული საქმე დაამთავრა ან, ყოველ შემთხვევაში, წინ წასწია.

იოანე პეტრიწმა რომ ნემესიოსის თხზულების თარგმნა ქართული ფილოსოფიური ტრადიციის კარნახით გააქეთა, იქიდანაც ჩანს, რომ მეორე წიგნის—პროკლეს „კავშირნი“-ს სათარგმნელად არჩევის საკითხიც ასეთსავე მდგომარეობაშია: ე. ი. ამ არჩევანს ყველაზე ნაკლები საბაბი აქვს სწორედ ბიზანტიური ფილოსოფიური რენესანსის მხრივ და ყველაზე მეტი ქართული ფილოსოფიური ტრადიციისა და სინამდვილის მიხედვით.

თუ ამ ორ მომენტს შევადარებთ, დავინახავთ ასეთ სურათს: ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსი პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიურ შეხედულებათა გაცხოველებით ხასიათდება. მიქაელ პსელლოსი და იოანე იტალი ორივე ფილოსოფოსის, ე. ი. პლატონისა და არისტოტელეს შესახებ მწერლობენ. ლოგიკის ისტორიკოსმა Prantl-მა დიდი შრომა დახარჯა განსაკუთრებით მიქაელ პსელლოსის

¹) შეად. „სიბრძნე ბალავარისა“ გვ. 44—45 და „*φιλαια*“ XII, 2, 10. ნემესიოსის „ბუნებისათვის კაცისა“ თავი 39.

²) საინტერესოა, რომ „ბალავარის“ და ნემესიოსის წიგნის „ბუნებისათვის კაცისა“ შუა კავშირს Zorenberg-იც კი ხედავს, მაგრამ ასეთი დამთხვევა მას საბუთად მიიჩნია, რომ ქართველი კაცი—ექვთიმე ივერთის ვერ შესძლებდა ასეთი მასალის „ბალავარის“ თხრობაში ჩართვას: იხ. Notice sur le livre de Barlaam et Ioasaph, გვ. 27. P. Peeters-ი ცამდი მართალია, რომ ექვთიმე ივერთის „ბალავარის“ ბერძნული ვერსიის ავტორობაში დაეკვება „მხოლოდ უეცობის შედეგია“ (Analecta Bollandiana ტ. 49).

ფილოსოფიური საქმის გამოსარკვევად. უნდა ითქვას რომ ის შეცდომით მიქაელ პსელლოსის საქმიანობას მხოლოდ ლოგიკაში ხედავდა¹. არაა სწორი, რომ მიქაელ პსელლოსის მთავარი საქმე მხოლოდ მის სახელთან დაკავშირებული თხზულება „*Ἐπιτομή ἐν τῇ ἀποστολεῖς λογικῆς ἐπισημῆς*“ ყოფილიყო; ეს უფრო სახელმძღვანელო იყო, რომელშიაც არისტოტელეს ლოგიკური მოძღვრება მოწაფურად იყო დალაგებული; და ის ასეც იყო გაგებული და გამოყენებული დასავლეთის ფილოსოფიის მიერ². დასავლეთის კულტურის ნაციონალისტური მებოტე მეცნიერნი დაობენ, როგორც ვთქვით, „სინოფისის“ ბერძნულ-ბიზანტიური წარმოშობის წინააღმდეგ, მაგრამ ამით ოდნავადაც არ ისაზღვრება და მცირდება ბიზანტიის კულტურის დას. ევროპაზე გავლენა და არც მიქაელ პსელლოსის მნიშვნელობა. არც მიქაელ პსელლოსის და არც იოანე იტალის ფილოსოფიური ადგილი ამით არ განისაზღვრება და ისინი არ იყვნენ მხოლოდ არისტოტელიკოსები. მათთვის დამახასიათებელია, რომ ორივენი პლატონის და არისტოტელეს აღდგენას, მათი აზრების ქადაგებას ეწეოდნენ, მათი თხზულებიდან ჩანს, რომ ისინი ემყარებოდნენ როგორც არისტოტელეს, ისე პლატონს, ე. ი. ნეოპლატონიზმში დამკვიდრებულ „სიმფონიის“ ხაზს აგრძელებდნენ.

ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსის წარმომადგენელთა პრობლემატიკიდან არა ჩანს ის სპეციფიკური ინტერესი დიალექტიკის სახეობისადმი, რომელიც პროკლე მ შექმნა³. პერიპატეტიკულ და ნეოპლატონისტურ დიალექტიკას შორის ვეებერთელა მანძილი იყო და არც მიქაელ პსელლოსს და არც იოანე იტალს ეს საქმე არ გაუკეთებიათ და ბიზანტიურ-ქართულ ფილოსოფიურ რენესანსში ეს საქმე იოანე პეტრიწმა გააკეთა. ამის გარდა ისმება კიდევ უფრო სპეციალური საკითხი: რატომ აირჩია იოანე პეტრიწმა თავის ყურადღების საგნად პროკლეს სხვა ნაწერთა შორის სწორედ „კავშირნი“? თუ იოანე პეტრიწის მიერ საზოგადოდ პროკლეზე შეჩერება ძნელი ანახსენელია ბიზანტიის ფილოსოფიურ რენესანსიდან, შეუძლებელია პროკლეს თხზულებათაგან სწორედ ამ თხზულების გამორჩევის ახსნა იოანე პეტრიწის მიერ მხოლოდ ბიზანტიურ რენესანსის სააზროვნო სიტუაციიდან.

პროკლეს სხვა თხზულებათაგან „კავშირნი“ გამოირჩევა იმ სპეციფიკური პრობლემატიკით, რომელიც ქვეყნის მთლიანობასა

¹) Prantl, Geschichte der Logik II, Leipzig, გვ. 261—296.

²) იხ. ამის შესახებ Überweg, Grundriss d. Geschichte d. Philosophie, Zweiter Teil, Berlin, 1928, 283 და შემდეგ.

³) Prantl-ი პირდაპირ ამბობს, რომ იოანე იტალი „უფრო წმინდა პერიპატეტიკული დიალექტიკით ისაზღვრებოდა“ („beschränkte sich mehr auf die reine peripatetische Dialektik“ (Gesch. d. Logik, II, 294).

და „ერთისა“ და „მრავლის“ საკითხს ყველაზე მევეთრად ეხებოდა. რა თქმა უნდა, ბიზანტიის ფილოსოფიის საერთო განწყობიდან ნათელი იყო პლატონისა და არისტოტელეს ნააზრევის თანხმობაში მოყვანა. ნეოპლატონიზმის საერთო ხაზს, ამ მიმართულებით გავლენბულს, შეეძლო ამ ამოცანის მომსახურეობაც, და პ რ ო კ ლ ე, ცხადია, ამ ამოცანისათვის ყველაზე უფრო გამოდგებოდა. ამიტომ, როცა ბიზანტიის ფილოსოფოსები შეეცადნენ არისტოტელესა და პლატონის თავისი ძალით აღდგენასა და მორიგებას, გამოიჩვენა, რომ ისინი კომპენდიუმების იქეთ ვერ მიდიოდნენ. ამის საუკეთესო მაგალითი იყო მიქაელ პსელლოსის „სინოფისის“ (Συνοψις) და შემდეგ მიმოხილვანი სულის შესახებ მოძღვრებათა, ფიზიკურ მოძღვრებათა და სხვა ასეთივე იყო ი ო ა ნ ე ი ტ ა ლ ი ს საქმიანობაც, რომელიც აგრეთვე სხვა და სხვა შეხედულებათა მიმოხილვებსა სწერდა, მომეტებულად პლატონ-არისტოტელეს ნაწერებიდან¹.

ასეთ პირობებში თუ ახლის თქმა არც ისე ადვილად ხერხდებოდა, ხოლო ამოცანა პლატონ-არისტოტელეს „სიმფონიის“ სახით წარმოსდგებოდა, უმჯობესი იყო მიმართვა სწორედ იმ ფილოსოფოსებისადმი, რომელთაც ეს „სიმფონიის“ საქმე უფრო ადრე და უკეთესად გააკეთეს. რადგან ნეოპლატონიზმის ტენდენცია იმთავითვე ასეთი ზანდა და პლატონ-არისტოტელეს „სიმფონია“ უნდა მოხერხებულყო, ბუნებრივია, რომ ასეთ შედეგს ყველაზე უფრო მიაღწევდა მოაზროვნე, რომელმაც არსებითად დაამთავრა ნეოპლატონისტური ფილოსოფიური მოძრაობა. ეს კაცი, ცნობილია, იყო პ რ ო კ ლ ე.

პ რ ო კ ლ ე ს, როგორც ნეოპლატონიზმის უდიდეს სისტემატიზატორსა და დამასრულებელს, თანამედროვენი სწორედ ამ მხრივ ახასიათებდნენ, და მის ნააზრევში პლატონ-არისტოტელეს „სიმფონიის“ განმტკიცებას ხედავდნენ. ამას ადასტურებს, როგორც ნეოპლატონიზმის მოგვიანო წარმომადგენელი—მაგ. ს ი მ პ ლ ი ც ი უ ს ი², ისე თვით პროკლეს ბიოგრაფოსი—მისი მოწაფე მ ა რ ი ნ ი. პროკლე, სიმპლიციუსის აზრით, სავსებით ამოკლებს პლატონსა და არისტოტელეს შორის შესაძლებელ წინააღმდეგობას და უთანხმოებას (διαφωνία) და ის მხოლოდ ერთ მუხლამდე დაყავს—სახელდობრ—თუ არისტოტელე მოძრაობას მხოლოდ საგნებში განიხილავდა; პლატონი მოძრაობაში „არსებულის გვარს“ (γένος εἰς εἶδος) ხედავდა. ს ი მ პ ლ ი ც ი უ ს ი თავის მხრივ თანაუგრძობობდა პ რ ო კ ლ ე ს ასეთ მი-

¹) ი ო ა ნ ე ი ტ ა ლ ი ს ფილოსოფიური თხზულებები აქამდე გამოცემული არაა. ადგილი ხელნაწერიდან, Prantl-ის მიერ მოყვანილი, მის ფილოსოფიურ საქმეს ახასიათებს როგორც „ἐκείνουσ ἐξ ἀναφορῆς ἡρησίουται. ე. ი. „გადმოცემას სუადასხვა კვლევა-ძიებათა“ (Prantl, op. cit. II, 294, შენიშვნა, 109).

²) Simplicius, De coelo, 640,27.

მართულებას და დასძენდა, რომ „უკეთესია, რამდენადაც შეიძლება მოჩვენებით უთანხმოებაში აღმოჩენილ იქნას თანხმობა“. მთელი ამ თაობის რწმენა იყო, რომ „უთანხმოება“ (διαφωνία) ფილოსოფოსთა (ე. ი. პლატონ-არისტოტელეს) შორის საქმიანი კი არ იყო (ὅς παρὰμαθεῖν ἔστι ἐστὶ), არამედ მეტყველების მოჩვენებითი ფორმა¹.

პროკლეს მოწაფე და ბიოგრაფოსი, რომელმაც პროკლეს ცხოვრების ვრცელი აღწერილობა დასტოვა, მისი ფილოსოფიის საერთო შეფასებისას სწორედ ამ „სიმფონიისაკენ“ მიმართულ მოღვაწეობას აქცევს დიდ ყურადღებას. პროკლე ამ მხრივ იმდენად მრავალფეროვანადაა წარმოდგენილი, რომ იგი ელნიურ და უცხოურ („ბარბაროსთა“) შეხედულებათა შეთანხმებას ეწეოდა და ერთ მთლიანობაში უნდა ჩამოესხა. ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობის ნიადაგზე ნეოპლატონიზმის დიდი სისტემატიზატორი და დიალექტიკის ოსტატი კი არ უარყოფდა ხელალებით სხვადასხვა შეხედულებათ, არამედ თითოეული მათგანისათვის ნათელი ადგილი უნდა ეპოვნა („ἐξ ἑκάστων ἑξ ἑαυτῶν“), რომ საბოლოოდ მათგან ერთი სიმფონიური მთელი გამოეყვანა (ἐξ ἑσπερῶν ἑξ ἑαυτῶν)².

ამის შემდეგ ცხადია, რომ თუ პლატონ-არისტოტელეს ნაზრების შეთანხმებაზე მიდგებოდა საქმე, უმჯობესი იქნებოდა ისეთი ფილოსოფიისათვის მიმართვა, სადაც სიმფონია ფაქტიურად და თანამედროვეთა მოწმობითაც უკეთესად იყო გამოიხსნული. ამდენად იოანე პეტრიწი უქველად სამართლიანად მოქცეულა, როცა მიქაელ პსელლოსის და იოანე იტალის ცდებს არ გააჰყოლია და სხვა ნიმუში აურჩევია. ამავე დროს კი აქ არ შეჩერებულა და თვით პლატონისა და არისტოტელეს ორიგინალებიდან თარგმნა და შესწავლა უწარმოებია. ამითვე აიხსნება, რომ იოანე პეტრიწი არც ერთ ამ ფილოსოფოსთაგანს არ იხსენიებს თავის დამოუკიდებელ ნაწარმოებში—„განმარტებაში“. იმავე დროს ირკვევა, რომ პროკლესათვის მიმართვა უნდა განსაზღვრული ყოფილიყო არა მარტო ნეგატიურად, ე. ი. რომ მის საშუალებით გაკეთებულიყო ის, რასაც ბიზანტიელი ფილოსოფოსები ვერ იძლეოდნენ, არამედ პოზიტიურადაც, ე. ი. რომ იქ მოპოებული ყოფილიყო ის, რასაც იოანე პეტრიწი ეხებოდა. ეს ამოცანა კი, როგორც ირკვევა, „ერთისა“ და „მრავლის“ ურთიერთობის დადგენაში მდგომარეობდა.

ნეოპლატონისტური ფილოსოფია იმთავითვე დაადგა ამ პრობლემის მოგვარების გზას და ამან განსაზღვრა მისი ხასიათი და მართულება, სადაც უმაღლესი „ერთი“ ქვეყნის მიზეზად გამოდიო-

¹) Simplicius, Phys. 404,16 „αἰλλῶν ἐν ποῦ θύρατος τῆς ἐν τῆ ἰσοχούσῃ διαφωνίᾳ συμφωνίᾳ ἰταμεισθῆναι“.

²) მარინი, პროკლეს ცხოვრება, 22.

და, მაგრამ იმ რიგად, რომ არც მის განყენებულ ერთობლივობას არაფერი დააკლდებოდა და არც ქვეყნის შრავალსახიანობა შეილახებოდა. „ერთი“ როგორც უმაღლესი მიზეზი, რომელიც თავისი ბუნებით სიკეთეა და რომელიც მთელ არსებულს საფუძვლად უდევს ასეთი იყო პრობლემა, რომელიც ნეოპლატონიზმმა იმთავითვე დააყენა და რომელსაც V—VI საუკუნეთა მიჯნაზე ვინმე უცნობმა ავტორმა დიონისე არეოპაგელის სახელის გამოყენებით ის თეოლოგიურ-ფილოსოფიური ფორმა მისცა, რომელიც იშვიათად აზავეებს საქრისტიანო-თეოლოგიურსა და ნეოპლატონისტურ ფილოსოფიურ მომენტებს.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი პირდაპირ მიჰყვება პროკლეს გზას ძირითად საკითხში—თეოლოგიის ცნების განმარტებაში, რომელსაც ის პროკლეს დაგვარად ორ ნაწილად ჰყოფს—დადებით—*ἀναγκαῖα* და უარყოფით—*ἀπεργασίαι*—თეოლოგიად. ამით მოხაზული იყო ორი გზა „ერთიდან“ ქვეყნის საგნებისა და მოვლენისაკენ და მეორე, პირიქით, საგნებიდან „ერთისაკენ“. ეს აზრები მოცემულია ფსევდო-დიონისეს თხზულებაში, რომელიც ქართულად თარგმნა ეფრემ მცირემ—სახელწოდებით „საიდუმლო ღმრთისმეტყუელებისათვის“.

სწორედ ეს ცნება „ღმრთისმეტყუელებისა“ იყო ის რგოლი, რომელიც, პროკლეს თხზულებათა შორის დამუშავებული, მის ნაწარმოებში „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“ გამოვლინდა და რომელიც აკავშირებდა მასთან ერთის მხრივ ფსევდო-დიონისეს, ხოლო მეორე მხრით ქართველ ფილოსოფოსს—იოანე პეტრიწს. პროკლეს თხზულება ფსევდო-დიონისეს ესაჭიროებოდა იმ დიალექტიკურ-მისტიკური სქემისათვის, რომელიც მან თავის თეოლოგიურ მსჯელობებში სსაფუძვლად დაუდო და რომლის მიხედვით ქრისტიანიზაცია გაუქვითა ნეოპლატონიკურ დიალექტიკას. ეს საქმე ფსევდო-დიონისემ მომეტებულად ორ თხზულებაში გააკეთა: „თეოლოგიურ მიმდინარებაში“, რომელშიაც ერთი ღმერთის ქვეყანასთან დამოკიდებულება ქრისტიანულ ცნებებშია გაშლილი და რომელსაც ყველაზე ახლო აკრავს იმავე ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ფსევდო-დიონისეს თხზულება „საღმრთოთა სახელთათვის“. უკანასკნელში უმაღლესი მიზეზი გამოცხადებულია „სიკეთედ“, როგორც ეს ჰქონდა პროკლეს „კავშირნი“-ში, რომელიც იოანე პეტრიწმა სთარგმნა. ეს დახასიათება უმაღლესი მიზეზისა, როგორც „სიკეთის“, კიდევ უფრო ხაზგასმით არის გატარებული პეტრიწის საკუთარ მსჯელობებში. აქ ცხადია, პროკლეს გავლენის გარდა ჩანს თვით პლატონის ზედმიწევნითი ცოდნა და მისი გავლენაც.

ეფრემ მცირემ სთარგმნა ფსევდო-დიონისეს მთავარი თხზულება და ათი ეპისტოლე; აქედან ნათელია, რომ ნეოპლატონიზმი მის

ლოგიკურ-დაფორმებული სახით, რომელიც მას პროკლე მისცა, ქართულ აზროვნებას უკვე XI ს. აინტერესებდა. ეს ბუნებრივია და სავსებით გამოხატავს ქართული აზროვნების იმ საფეხურს, როდესაც ფილოსოფიით სარგებლობა იწყება განსამტკიცებლად საეკლესიო დებულებათა. ეს ინტერესი მომეტებულად ლოგიკური გამართულობით საზრდოობდა და პროკლე იმავე მიმართულებით ჩანდა. მიმზიდველი, როგორც არისტოტელე; განსხვავება იმაში იყო, რომ პროკლე არისტოტელეს მოძღვრების გარდა პლატონიზმის ელემენტებსაც შეიცავდა, და რადგან ნათელი იყო, რომ არისტოტელეს დიალექტიკა ყველგან არა სწედებოდა და ზოგი მომენტი ლოგიკურის მიღმა ალოგიურ ანუ მისტიკურ მისელას საკიროებდა, ამიტომ პროკლე ყველაზე ხელსაყრელი იყო.

პლატონის ფილოსოფიის დალაგება, რომელიც დიალექტიკურ-ლოგიკურ ფორმაშია ჩამოსხმული და ინტუიციას მხოლოდ უმადლეს მომენტის დადგინებაში შეიცავს, მოცემული იყო დიალოგ „პარმენიდში“. როცა არისტოტელეს დიალექტიკის გამოყენების საკითხი წამოიჭრა და მის გვერდით პლატონით სარგებლობის შესაძლებლობა ჩაისახა, საკირო გახდა მოაზროვნე, რომელსაც ფორმალ-დიალექტიკის გზით ამ ორი მოაზროვნის დაახლოება შეეძლო. ამ საქმის გაკეთება სწორედ პროკლემ სცადა. მაგრამ არც არისტოტელეს ლოგიკის და არც პლატონ-არისტოტელეს სიმფონიის შეთვისებისათვის საეკლესიო-თეოლოგიური აზროვნება პირდაპირ ფილოსოფოსებთან მისელას ვერ ახერხებდა. ეს ქართულ თეოლოგიურ აზროვნებასაც, ჩანს, კარგად სცოდნია და ამდენად იგი საეკლესიო აზროვნების განახლების პერიოდში თანამედროვეობის სრულ სიმაღლეზე მდგარა. ამიტომ X—XI საუკუნეში ქართული აზროვნება პირდაპირ ძველ ფილოსოფოსებთან კი არ იჭერს უშუალო კავშირს, არამედ საეკლესიო მოაზროვნეთა მიერ მათი დამუშავების შედეგებით სარგებლობს. არისტოტელეს მიმართ იგი იოანე დამასკელის დამუშავებით სარგებლობს, ხოლო პროკლესა და „სიმფონიის“ საკითხში ფსედო-დიონისეს მიერ შესრულებული დამუშავებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული აზროვნება X საუკუნის მიჯნაზე, განვილილ VIII—IX სს. დოგმატიზმიდან გამოსვლისას და ფილოსოფიით სარგებლობის დასაწყისში, მაინც კიდევ მეტ სიფრთხილეს იჩენს. ექვთიმე ივერი არც იოანე დამასკელის მიერ დამუშავებულ არისტოტელიზმს იღებს სავსებით და თავის მხრივ გადაამუშავებს მას: ზოგ რამეს აკლებს და ზოგს უმატებს და ამ გზით შესდგა მისი „წინამძღუარი“¹. ეფრემ მცირეს

¹) ქრონიკები, I, 218.

ახასიათებს ექვთიმეს ფილოსოფიური პოზიციის გაფართოება: ის, როგორც ცნობილია, უფრო ფართოდ სარგებლობს იოანე დამასკელით—არისტოტელეს ხაზით, და შემოიტანს პროკლეს სახეობის ნეოპლატონიზმს, თუმცა ფსევდო-დიონისეს რედაქციით.

სრულიად უდავოა, რომ იოანე პეტრიწი შემდეგი და უფრო მაღალი ნაბიჯია ქართული აზროვნებისა. ის სიახლის შემტანია, რამდენადაც ალარ კმაყოფილდება საეკლესიო ავტორების მიერ დამუშავებული ფილოსოფიური მასალით, არღეევს „კედელს“¹, რომელიც დოგმატური პერიოდის მემკვიდრეობის სახით აღმართულია აზროვნებასა და მოაზროვნე-ფილოსოფოსთა შორის, აღმართავს საერო ფილოსოფიის დროშას და პირდაპირ გზას კვალავს საერო წარმართ-ფილოსოფოსებისაკენ. არა საეკლესიო რედაქციაში გატარებული ფილოსოფოსები, არამედ პირდაპირი გზა წარმართული ფილოსოფიისაკენ—ასეთია იოანე პეტრიწის ლოზუნგი და ამდენად იგი ქართული აზროვნების ისტორიაში ძირითადი გარდატეხის მაჩვენებელია. მიუხედავად ამ დიდი შედეგისა, იოანე პეტრიწი მაინც სავსებით ქართული ფილოსოფიური აზროვნების ნიადაგზე დგას, მის ამოცანებსა და ტრადიციებს აგრძელებს და ბიზანტიის ფილოსოფიურ რენესანსს ემთხვევა ძებნის საერთო განწყობაში, მაგრამ ბერძნულ ფილოსოფიაშიაც ქართული ფილოსოფიის პრობლემატიკა შეაქვს ძველი, ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის ცოდნისა და გამოყენების ნიადაგზე.

როცა ექვთიმემ ქრისტიანული აზრის დასაბუთება კვლავ საჭიროდ გამოაცხადა, ამით VIII—X საუკუნეთა სააზროვნო განსაზღვრულობა გადალახა და ახალი ეპოქა დაიწყო; როცა ეფრემი უფრო შორს წავიდა—ეს საქმე უკვე უბრძოლველად არ ჩატარებულა: დასაბუთების უფროდ ვრცლად გამოყენების საჭიროება „წინააღმდეგომთა“ მიმართ და პლატონის გამოყენებაც უკვე განდგომად მოეჩვენა კონსერვატიულ წრეებს; მაგრამ ნამდვილი დევნა მხოლოდ იოანე პეტრიწმა განიცადა, რადგან საეკლესიო წრეები, რაგინდ შორს წასულიყვნენ ისინი საფილოსოფიო განახლების თვალსაზრისით, მაინც გარკვეულ საზღვარს—ფილოსოფიის საეკლესიო რედაქციისას, რაგინდ ლიბერალური ყოფილიყო იგი, მაინც ვერ გასცდებოდნენ. ამის იქეთ უკვე დევნისა და ბრძოლის სარბიელი იშლებოდა, მაგრამ განვითარების დიალექტიკურ პროცესში ეს საფეხური წინა საფეხურებზე მოგლეჯას არ ნიშნავდა. იგი თავის დაპირისპირებაშიაც წინა საფეხურებიდან განვითარდა. ექვთიმე ივერი,

¹) ამ „კედლის“ შესახებ ლაპარაკობდა იოანე საბანიძე VIII საუკუნეში.

ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი—ეს ერთი მთლიანი ხაზია განვითარებისა, რომელიც უკანასკნელ მომენტში გამოვლენილ განსხვავების ნიადაგზე თვისობრივ წინააღმდეგობაში გადადის. ეს გზა იმავე დროს საეკლესიო და საერო-ფილოსოფიური აზროვნების გამოიჯვანა იყო.

იოანე დამასკელის ვიწრო და ვრცელი რედაქცია არისტოტელისზმისა და პლატონისზმის პროკლესებური ნაერთი ფსევდო-დიონისეს რედაქციით ის მთლიანი ხაზი იყო, რომელმაც ქართული აზროვნება, საერთო, ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების პირობებში, წარმართული ფილოსოფიის წყაროებამდე მიიყვანა. ამან განსაზღვრა იოანე პეტრიწის ადგილი ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. კიდევ მეტი: იოანე პეტრიწი ბერძნულ ფილოსოფიურ მოძრაობაში თავისი საკუთარი, ქართული აზროვნების ტრადიციით და გზებით განსაზღვრული სახით შედის. მის მიერ პროკლესზე შეჩერება პოზიტიურად გამომდინარეობს ქართული და არა ბერძნული სააზროვნო რენესანსიდან და, ბერძნებთან ურთიერთობით გაძლიერებული, ქართული აზროვნების პრობლემატიკას ემსახურება, რომელიც თანამედროვე საერო ფილოსოფიური მოძრაობის სიმალესზე დგას და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებს. პლატონისზმის და არისტოტელისზმის სიმფონია ფორმალური დიალექტიკისა და მისტიკის სინთეზზე დამყარებული—ასეთი იყო ეს ამოცანა, რომელიც აღმოსავლეთიდან მოსულ ზოგიერთ ელემენტებთან დაკავშირებული განსაკუთრებით იჩენს თავს იოანე პეტრიწის საკუთარ, ორიგინალურ აზროვნებაში, რომელიც წარმოდგენილია მის ნაშრომში „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“.

ამით ამოწურულია საკითხი იოანე პეტრიწის მიერ შერჩეულ სათარგმნელ წიგნთა შესახებ, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევია¹. ნემესიოსის წიგნსა და იოანე დამასკელის თხზულებას შორის შინაგანი კავშირი, რომელიც არისტოტელისზმის ხაზით მიდის, და ნეო-პლატონისზმთან კავშირი, რომელიც ფსევდო-დიონისესეთი განისაზღვრება—ასეთი იყო უშუალო საფუძვრი, რომელზე დამყარებითაც იოანე პეტრიწმა გადალახა იმავე დროს ეს ფარგლები და პირდაპირ

¹) ამით, რა თქმაუნდა, არაა მოხსნილი იოანე პეტრიწის მიერ არისტოტელეს ზოგიერთ თხზულებათა თარგმნის საკითხი. საერთო მდგომარეობისა და თავისი მწერლობაში ზედმიწევნით გამოყენების მიხედვით და განსაკუთრებით მკითხველისათვის საპირო შემთხვევაში არისტოტელეს მითითებით თითქოს იკულისხმება, რომ თანამედროვე ქართველ მკითხველს არისტოტელეს „წესი აღმოჩინებისა“ და სხვა რაღაც თარგმანებიდან ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა (იხ. ს. გორგაძე, წინასიტყვაობა ნემესიოსის შრომის თარგმანის გამოცემისა).

საერო ფილოსოფიისაკენ წავიდა¹. ეს ემანსიპაცია საეკლესიო-თეოლოგიური აზროვნებიდან საერთო მდგომარეობის გამოხატულებას წარმოადგენდა და საფუძველს უშვებდა საერო ლიტერატურის შემუშავებას საქართველოში, რომელიც სასულიერო მწერლობიდან გამიჯვნის ხაზით მიდიოდა. ქართული საერო მწერლობა საქართველოს აზროვნებაში კპოულობს საწყისებს და საბოლოო გამიჯვნისათვის ჯერ საერო განწყობა უნდა შექმნილიყო სოფლმხედველობის ხაზით და მხოლოდ ამის ნიადაგზე გაიმარჯვებდა საერო მწერლობაც.

მთავარ საკითხს იოანე პეტრიწის ფილოსოფიური საქმის შესათესებლად წარმოადგენს მისი საკუთარი ნააზრევის გამორკვევა. თუ იოანე პეტრიწი ქართული ფილოსოფიური ტრადიციების გაგრძელებას აწარმოებდა და ამ ტრადიციის ათვისებით ქართული ფილოსოფიური საქმე უფრო მაღალ საფეხურისკენ მიჰყავდა, მოსალოდნელია, რომ ბიზანტიის საფილოსოფიო რენესანსთან დამთხვევამ მას გზა არსებითად არ შეაცვლევინა და ამ მუშაობის პროცესში მან საკუთარი გზის მონახვა სცადა. ამის გარკვევისათვის აუცილებელია იოანე პეტრიწის ნააზრევის სპეციალური განხილვა. ამით განსაზღვრულია მიზანი გამოკვლევისა: რამდენადაც შესაძლებელია, გამოიკვეთოს ის არე, სადაც იოანე პეტრიწის ნააზრევი ჩანს, თუნდაც ზოგად ხაზებში.

§ 3. იოანე პეტრიწი როგორც მოაზროვნე

იოანე პეტრიწის ორიგინალური ნააზრევი მოცემულია პროკლეს თხზულების „კავშირნი“-ს კომენტარის სახით. ასეთია მისი გარეგნული სახე და ასე იცნობს მას დღემდე მეცნიერება². ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, პროკლეს მიერ გამოთქმული აზრების განხილვა და დასკვნა. თითოეულ ნაწილს, გარეგნულად,

1) თუ რა მდგომარეობაში იყო ქართული კულტურის ძიების საკითხებო, ჩანს იქიდან, რომ მისი მკვლევარნი, მაგ., აკად ნ. მარჩი, ეფრემ მცირის თარგმანთა შორის ნეოპლატონიზმის საფუძველმდებლის ამმონიოს საკას „ნაწარმოებს“ ეძებდნენ: „В перечне трудов Ефрема называот книгу Аммония II, быть может, это известный неоплатоник Аммоний Сакка“: *Зап. ИАО* გვ. 92. პროფ. ქე ქელიძე კი უკვე კატეგორიულად აცხადებს: „ეფრემს, გარდმოცემით უთარგმნია აგრეთვე ამონიოს საკის წიგნი“ (ქართ. ლიტ. ისტ. 1,381). არც ერთ მეცნიერს მხედველობაში არ მიუღია ის გარემოება, რომ ამმონიოს საკას აჩაავითარი წიგნი არ დაუწერია.

2) ნ. მარჩი სამართლიანად ლაპარაკობს, რომ პეტრიწის ფილოსოფიურ ნაწერებს „ახლოს არ გაკარებიან ქართული ლიტერატურის მკვლევარნი“ („К ним близко не подходили исследователи грузинской литературы“ *op. cit* стр. 53). თუ იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შეხედულებებზე ვილაპარაკებთ, სანაწუხაროდ, ნ. მარჩის მონოგრაფიის შემდეგაც მდგომარეობა უცვლელი რჩება.

თითქოს დამოუკიდებელი ხასიათი და მიზანდასახულობა აქვს, მაგრამ ეს ასეა მხოლოდ ასეთი გარეგნული მსჯელობის ნიადაგზე. ფაქტიურად სამივე ნაწილი ერთ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც ჯერ ლაპარაკია საერთო პრინციპებზე, შემდეგ მოდის ამ პრინციპების ერთ-ერთი განსახიერების—ნეოპლატონიზმის უმაღლესი ფორმის და საზოგადოდ პლატონური ფილოსოფიის—განხილვა და ამის შემდეგ ნაცადია მიღებული დასკვნების სოფლმხედველობრივი გამოყენება, სადაც მრავალი პირადი და საზოგადოებრივ-კულტურული მომენტია შეტანილი ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებით. არის თუ არა ყველა ეს ნაწილი ერთნაირი მნიშვნელობის, თუ რომელიმე მათგანი სპარბოზს თავისი ღირებულებით? ასეთი საკითხის დაყენება კანონიერი ჩანს, თუ მოსალოდნელია, რომ იოანე პეტრიწის ორიგინალური ნაწარმოები კომენტარია და მეტი არაფერი; მაშინ პასუხიც სათანადო იქნებოდა. მაგრამ უფრო ახლო განხილვა ნათელს გახდის, რომ თითოეულ ნაწილს თავისი საკუთარი მნიშვნელობა აქვს, და საბოლოო მნიშვნელობას იღებს მხოლოდ ერთ მთლიანობაში. შესავალი იშვიათი პრინციპული გარკვეულობით არჩევს ძირითად ფილოსოფიურ მომენტებს და იმ მოცულობით და მნიშვნელობით, რომ იგი უფრო ტევადი და ფართოა თავისი მნიშვნელობით, ვიდრე ის, რაც მეორე ნაწილში მოჰყვება. ეს მეორე ნაწილი ერთი განსახიერებათაგანია ზოგადი პრინციპებისა, რომლებიც შესავალშია დადგენილი. უკანასკნელი ნაწილი შეიცავს ორივე წინა ნაწილის დასკვნას. მიუყენებს მათ პირად სოფლგაგებასა და ქართული კულტურის პრობლემებს. აქედან შორს არაა დასკვნა, რომ იოანე პეტრიწის საკუთარი ნაწარმოები ერთ მთლიან მოვლენას უნდა წარმოადგენდეს, რომელშიაც კომენტარი ერთი მომენტთაგანია და ისიც უფრო გარეგნული ხასიათისა. ამის მიხედვით იბადება საკითხი—ხომ არაა აქ მოცემული ერთი მთლიანი ნაწარმოები, რომელიც პროკლეს თხზულებას გამოიყენებს როგორც საბაზს ანუ მასალას მონათესავე შეხედულებათა განსავითარებლად მთელი პლატონური ფილოსოფიის „განმარტებაზე“ აგებულს.

აღნიშნული თეზისის აქ მხოლოდ წინასწარი სახით წარმოდგენა შეიძლება და ისიც მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საკითხი უფრო თხზულების არქიტექტონიკას ეხება. შინაარსის განხილვამ ეს საკითხი საბოლოოდ უნდა გაარკვიოს, მაგრამ მანამდეც ირკვევა, რომ არსებობს საბუთები, რომლებიც ასეთი საკითხის წამოყენებას კანონიერსა ჰყოფენ. ასეთი საბუთებია:

1) იოანე პეტრიწი თვითონ აცხადებს, რომ თავისი ცხოვრების მიზანს ის ხედავდა დიდი ფილოსოფიური საქმის გაკეთებაში და თუ მას ხელი შეეწყობოდა თანამემამულეთა მხრივ, მას შეეძლო.

არისტოტელეს ღირებულების საქმე გაეკეთებინა¹. ამ თხზულების დაწერა მოხდა საქართველოში მეორეჯერ დაბრუნების შემდეგ, რა დროისათვისაც იოანე პეტრიწი, როგორც თვითონაც აღნიშნავს, უკვე ერთგვარ თანაგრძნობას, „წყალობათა და თანდგომას“ განიცდიდა და, მაშასადამე, დიდი საქმის გასაკეთებელი პირობები რამოდენიმედ უკვე ჰქონდა.

2) შესავალში წამოყენებულ განსხვავებას უშუალო და შუალობითს ცოდნას შორის იოანე პეტრიწი თავისი თხზულების მესამე ნაწილში ისევ უბრუნდება და მას თავის აზრად აცხადებს. ცნობილია, რომ ეს განსხვავება მას არ დაუდგენია, მაგრამ ეს ისე უნდა იქნას გაგებულ, რომ იოანე პეტრიწი ემხრობა ასეთ შეხედულებას. აქ მნიშვნელობა იმას აქვს, რომ თვალსაზრისი უშუალო, ე. ი. „ხედვითი“, და შუალობითი, ე. ი. „სიტყვრებითი“ (რაც ამ შემთხვევაში ლოგიკურის, ე. ი. ცნებათა საშუალებით შემეცნებას ნიშნავს), მას გატარებული აქვს „მიუდრეკელად“ მთელ თავის ნაშრომში, რითაც მისი მთლიანი მიზანდასახულობა ნათელი ხდება².

3) მესამე საბუთი ისაა, რომ იოანე პეტრიწი დასაწყისში პროკლეს წიგნის თავებს ყოველი ახალი თავის შესავალში წინმიმდღვარებს და მათ რიცხვსაც აღნიშნავს, ხოლო შემდეგში ამ წესს არღვევს და პროკლეს პარაგრაფებს აღარ ასახელებს.

4) იოანე პეტრიწი თავისი აზრის გასაშლელად პროკლეთი სარგებლობს მხოლოდ როგორც საბაბით და ან უკანასკნელის დებულებებს თავისი საკუთარი საბუთებით ამტკიცებს, ან და ისეთ მსჯელობებს ავითარებს, რომელთაც პროკლესთან ან მხოლოდ შორეული, ან სრულებით არაავითარი კავშირი აღარ აქვთ.

თუ მხედველობაში იქნება მიღებული, რომ საერო, წარმართული ფილოსოფია არ სარგებლობდა გაბატონებული ეკლესიის კეთილგანწყობით; რომ, „დავითის წყალობა და თანადგომა“ სრულ თავისუფლებას კიდევ არ ნიშნავდა; რომ იოანე იტალის ბედი პეტ-

¹) «თუმცა მე რაჟე თანსიყუარული და შეწუნაჲ მჩუენებოდა მათგან (ე. ი. ქართველთაგან) ენამცა ენისადა გამეწყო ლა ხედვამცა ფილოსოფოსთა განცდისა მუარისტოტელურა და ღმრთისმეტყუელეება ნივთისაგან მიუხებელი წარმომეყენა» („განმარტებაჲ“ გვ. 222,17-22).

²) „ყოველი აზრი ჩემი... გონებისა და ხედვისათვის არს“—ამის შემდეგ უფრო ნათელი განსხვავებისათვის პეტრიწს მოჰყავს პარალელები: „სიტყვრებითი იყოს გინა და სწაულებლობითი ანუ და ბუნებითი და ღმრთისმეტყუელებითჲ“. „ხედვისა“ და „ბუნებითის“ დაახლოება ის აზრია, რომელიც შემდეგ ფილოსოფიაში განსაკუთრებით დასავლეთში „ბუნებითი სხივის“ პრინციპად გამოუმუყედა—*lumen naturale*, და, დეკარტეს მიერ ევროპის ბურჟუაზიულ კულტურაში შეტანილი, გახდა საფუძველი სხვადასხვა სახის „უშუალო ფილოსოფიისა“, ინტელიციონისმისა—საფრანგეთში, ევიდენტობისა—გერმანიაში და სხვ.

რიწს თვალ წინ ჰქონდა, როდესაც დევნილ მასწავლებელს და მეგობარს ის ერთილა მტკიცე თანამგრძობად შერჩენოდა საერო ფილოსოფიური ფრონტის დევნის გამოწვევსუსტების დროს — ადგილი გასაგები იქნება, რომ იოანე პეტრიწს თავისი აზრებით აშკარა გამოსვლა არ შეეძლო. მართალია, საქართველოში ფილოსოფიური აზროვნების გაგრძელებას, რომელსაც იოანე პეტრიწი ბიზანტიის ფილოსოფიურ აღორძინების დაშობის შემდეგ შეუდგა, უფრო ხელსაყრელი პირობები დაუდგა და ამას კიდევ უნდა გამოელო თავისი ნაყოფი, მაგრამ საქართველოში იოანე პეტრიწის უფროსი თაობიდან ეფრემ მცირე დევნის საგანი გახდა გაცილებით უფრო ნაკლებად გაბედული ფილოსოფიური საქმისათვის¹.

იოანე პეტრიწი უეჭველია თვითონაც გრძობდა, რომ მისდაგვარი აზრებისათვის მაინც ერთგვარი შეგუების სამოსელი იყო საკირო. ეს უკანასკნელი არ შეადგენს მისი ნაწერის ორიგინალურ ნაწილს და შესავალის ერთი ადგილი იმდენად ხელოვნურადაა მიწებებული ფილოსოფიურ აზრთა მიმდინარეობაზე, რომ ჩანართის შთაბეჭდილებასა ქმნის და ასეთადაც ჩაითვლებოდა, რომ მესამე ნაწილში ისეთივე ადგილები უფრო ვრცლად არ იყოს მოცემული. შესავლის ამ ადგილას პეტრიწი ლაპარაკობს პროკლეს მიერ დასმულ საკითხებზე და აღნიშნავს, რომ მან დააწყო «მარტივად წესი და სირაჟ» და შემდეგ ჩამოთვლის, რომ პროკლემ «წარმოაჩინა (წესი) ვითარ გონებისა, სულისა, ბუნებისა და სხეულისა», და დასძენს, რომ ამას ყველაფერს თავის ადგილზე განემარტავო, «რომელი ესე თითოეული თვისა ადგილსა განეპარტოთ». აქ აზრი ლოგიკურად და სტილისტიკურად თავდება და წერტილი უნდა დაისევას, მაგრამ შეგუების აუცილებლობის შეგნებამ ავტორი აიძულა დაემატებინა... «შეწევნითა ღმრთისა სიტყვისა უფლისა ქრისტესითა» (იხ. „განმარტებაჲ“, გვ. 6,3—6). მცირე დაკვირვებაც კი საკმარისია იმის დასაბახად, რომ ეს მიმატება არაერთარ კავშირში არაა აზრის მიმდინარეობასთან და გამოწვეულია ქრისტიანული ნიღაბის ასათარებლად. შესაძლოა ეს სიტყვები შემდეგი დროის ჩანართიც იყოს.

მოგვიანო ხანაში, როცა საეკლესიო დოგმატიზმი კვლავ აღსდგა საქართველოს ისტორიულ უბედურებებთან დაკავშირებით, იოანე პეტრიწი მაინც გადაუწყრიათ, ხოლო გადამწერს არშიაზე მიუწყრია:

¹) იოანე იტალის მიერ იოანე პეტრიწისადმი მიმართვაში, რომელიც თ. უსპენსკის მიხედვით ნ. მარტო თავის ზემოთ მოხსენებულ გამოკვლევაში მოიყვანა, ქართველი ფილოსოფოსი („აფხაზი“) დახასიათებულია როგორც „მეტად განსწავლული“ და „რიზიანი“ („*μειγαστοδυστατος*“), „რომელიც არ მერყეობ და რჩები... სწერს იტალი — ისეთი, როგორადაც მე შენ წინათაც გიცნობდი და ეხლაც გიცნობ“ (ЗНАО, XIX 108).

„რასა ვწერ, ანუ რასა გლახ ემოქმედებ:... ამის წიგნისგან წარწყმ-
და სამგზის წყეული არიოზ და ამისაგანვე განათლებულთა სამგზის
მოიგეს ღმრთისმეტყუელებისა სახელი: დიდთა ბრძენთა დიონოსი
და სხვ.“ (იხ. „განმარტება“, გვ. 9, შენიშენა*) მინაწერის ავტორი
უბრალო გადამწერი არ უნდა იყოს, არამედ კაცი განათლებული,
რადგან მას სკოდნია ფსევდო-დიონისესა და პროკლეს
ნაწარმოებთა შინაშორის არსეული კავშირი. მაგრამ თუმცა წიგნი,
რომლის შნიშენელობა ვერ უარუყვიათ, გადაუწერიათ, ამავე მინაწე-
რის დასასრულში მაინც მიუმატებიათ: „შენ გონებად განწმედილი მოი-
გე ღმრთისა მიმართ და საზღვარსა მამათა წმიდათასა ნუ გარდაჰქლნ-
დები და არა საცდურ გექმნას“ (იქვე).

ასეთ პირობებში იოანე პეტრიწს არ შეეძლო ეწერა სხვა-
გვარად, თუ არა სხვის აზრებზე ამოფარებით და როცა მან თვითონ,
ჩანს, თავისი აზრების განვითარების შემდეგ იგრძნო, რომ ძალზე
შორს წავიდა და წარმართული აზრების გამოთქმას ვერ ასცდა, მე-
სამე ნაწილში საამისო კომპენსაციის გაკეთების მიზნით ისევ შეუდგა
საეკლესიო ავტორიტეტების შეგუებას—ეკრძოდ ბასილ დიდისა, და
ამდენად შესამე ნაწილი თითქოს თვითონ პეტრიწის აზრების
შეგუებითს კომენტარს წარმოადგენს, სადაც ავტორი ცდილობს
მეორე ნაწილში გამოთქმული აზრების შესაძლებელი შთაბეჭდილების
შერბილებას.

ყველა ეს მოსაზრებანი და გარემოებანი შესაძლებელს ჰყოფენ
დაისვას საკითხი: ხომ არ წარმოადგენს პეტრიწის საკუთარი
თხზულება არა ჩვეულებრივ კომენტარს, არამედ პროკლეს წიგ-
ნის—„კავშირნი“—ს გამო დაწერილს დამოუკიდებელ თხზულებას,
რომელსაც ნაწილობრივ კომენტარის ფორმა და არქიტექტონიკა
აქვს, ხოლო შინაარსით სულ სხვანაირად არის გამიზნული. ეს გა-
რემოება უნდა ნათელი გახდეს თვით თხზულების მთავარი მომენტე-
ბის განხილვიდან.

§ 4 იოანე პეტრიწის „განმარტების“ შესავალი

იოანე პეტრიწი ამთავითვე ასხვავებს ცოდნის ორ სახეს,
რომლებიც არიან „სიტყვერებითი“ თუ „ბუნებითნი ხედვანი“. პირვე-
ლი ნიშნავს ლოგიკურს, ცნებების საშუალებით აგებულ ცოდნას.
ტერმინი „სიტყვერებითი“ აქ, ნიშნავს იმას, რაც იწარმოება „შესი-
ტყევიდან“, ე, ი. რამდენიმე ცნების შეერთებიდან. ბერძნები ჰბრძან-
სიტყეას მოიხმარდნენ როგორც აზრის, ისე მისი გამოსატქმელი სა-
შუალების აღსანიშნავად. მაშასადამე, აქ ლაპარაკია ცნებათა საშუა-
ლებით შეკრული ცოდნის შესახებ და მისგან განსხვავებულია მეორე

საშუალება, რომელიც არაა საგანი „ლუაწლისა სასწავლოდსა“, ე. ი. იგი არაა მისაწვდომი ცნებათა შესწავლის გზით, არამედ „ბუნების-თია“ და მხოლოდ მათთვის ხელსაწვდომი ქვეყნის „მუსიკალობა“, ქვეყნის პარამონიული, არალოგიკური წყობა. ეს „მუსიკალობა“ არის ერთგვარი დამატება იმაზე, რაც არის და მყოფობს, ე. ი. ეს იმაზე მეტია, რაც არის, და მყოფთა ურთიერთობის გამომაჩინებელი; მის საშუალებით «აღმოჩინების... ნათხზი მყოფთა აგებულებისა და ურთიერთისა ზიარებისა და განყოფილებისა» („განმარტება“, 4, 27-28.).

ასე ერთი ხელის დაკვრით ქართველმა ფილოსოფოსმა ნათლად მოხაზა პრობლემა, რომელიც ძიების საგანი უნდა იყოს: ერთია ცნებათა წყობა, რომელიც ლოგიკურ რიგს შეადგენს, სადაც დამოკიდებულება ასევე ლოგიკურია და მისი შესწავლაც შეიძლება; მეორეა—არსებულის „ნათხზი“, რომელიც „მყოფთა ურთიერთობას“ მუსიკალურად და არა ლოგიკურად გამოხატავს და რომლისათვის საჭიროა „ბუნებითი ხედვა“. ერთის სიტყვით, ერთია ცნების ფილოსოფია, მეორე—ხედვის ფილოსოფია.

ამ განცხადებით პეტრიწი უკვე იმთავითვე გასაგებს ხდის დიდ ერუდიციას, რომელსაც იგი ქვევით გამოიჩენს და რომლის მეოხებით იგი იშვიათ უნარს იჩენს არა თუ ნეოპლატონიზმის გაგებისა, არამედ მთელი ანტიკური და მაშასადამე, დასავლეთის ფილოსოფიის ძირითადი ბუნებისა. მომწიფების უმაღლეს საფეხურზე ბერძნულ ფილოსოფიაში ორივე გზა მოქმედებდა: პლატონიცა და არისტოტელეც თავის ფილოსოფიურ სისტემებს ორივე გზით გამოავლენდნენ: ხედვისა და ლოგიკური მტკიცებისა. პლატონისათვის პირველი გზისათვის დამახასიათებელი იყვნენ დილოგები „ფედონი“ და „სიმპოსიონი“, სადაც ხედვითი ფილოსოფიის მომენტები სპარბობენ, ხოლო დამტკიცებითი—ლოგიკური—გზა მომეტებულად გამოყენებულია მაგ., „ტიმეოსში“. არისტოტელესთან ეს გაყოფა უფრო ბუნებრივია: ლოგიკის თეორიის შემქმნელი დამტკიცებითს გზას, ცხადია, ლოგიკურ ნაწერებში ათავსებს. ე. ი. „ანალიტიკებში“, ხოლო ხედვითს ფილოსოფიას „მეტაფიზიკაში“. აქაც, ცხადია, აბსოლუტური განსაზღვრულობა არაა და „ანალიტიკები“ თავდება იმავე უშუალო, დამტკიცების გარეშე მყოფი მომენტებით.

ეს უმაღლესი მომენტები გამოდიან, როგორც საგანი „პირველი ფილოსოფიისა“, რომელიც არსისა და აზრის უმაღლეს საფუძვლებს არკვევს და რომელიც შემდეგში მეტაფიზიკად იქნა წოდებული. მისი საბოლოო საგანი არის „თვითმოქმედი“ აზროვნების სფეროში, რომლისაკენ და რომლისაგან ლოგიკური გზა არ არსებობს (ἄεσις).

ეს მომენტები კარვად ესმის იოანე პეტრიწს; შემდეგში ის

სათანადო ადგილებსაც ასახელებს ბერძენ ფილოსოფოსთა თხზულებებიდან. ნეოპლატონიზმმა აღნიშნული მომენტების განსხვავება გაამახვილა და პროკლემ ფილოსოფიის ცენტრი თავისებურ დიალექტიკაში გადაიტანა, სადაც მთავარი იდეის—სიკეთისა და სუბსტანციის ადგილზე „ერთი“ იქნა მოთავსებული, რომლისგან ყოველი ამოდის და რომლისაკენ ყოველი მიდის. ამავე დროს ნეოპლატონიზმმა თუმცა ორივე გზის, როგორც ხედვითის ისე ლოგიკურის, კანონიერება დასტოვა, მაგრამ მათ შორის სწორღირების ურთიერთობა დაარღვია და „ხედვითი“ ფილოსოფიისაკენ გადახრა დაიწყო¹.

იოანე პეტრიწი ამიტომაც სწორედ ამ მომენტის აღნიშვნით იწყებს და შემდეგ მსჯელობათა ცენტრალურ მომენტად სწორედ ეს განსხვავება სურს გამოაცხადოს, რაც, როგორც გაირკვევა, იშვიათი თანმიმდევრობით არის გატარებული თხზულების სამივე ნაწილში. პროკლეს ღირსებად ავტორს სწორედ ის მიაჩნია, რომ იგი არკვევს მას, რაც პლატონს, პეტრიწის აზრით, გაურკვეველი დარჩა, რადგან ვერ შესძლო იმ „ერთის“ მიწვდომა, რომელიც გონებით მიუწვდომელი აღმოჩნდა, ხოლო ხედვითი ფილოსოფიით პლატონმა სათანადოდ ვერ ისარგებლაო. პროკლე არ დასჯერდა—ამბობს პეტრიწი—რაც „არაობა“, და „ზედ მოჰმართა ნამდვლ ქეშმარიტსა და არსსა“, მაგრამ აქამდე, ე. ი. ნამდვილ არსამდე—*ἐπέκεινθ' ὅθεν*—ამდე პლატონიც მიდიოდაო. პეტრიწი ფიქრობს, რომ საკირო იყო პლატონის იქეთ წასვლა და ამიტომაც „არცა ამათ შორის“, ე. ი. არც ნამდვილად და ქეშმარიტად არსებულთ „დაუტევა საზღვარი თვსთა ხედვათა“, არამედ გადასცდა მას და «თანაჰყუა თვსთა პირველთა, ვიტყვ პლატონისთა და მის უმწუერვალესისაცა გონებებისაგან მიუწვდომელსა ერთსა» (გვ. 5, 4-6).

ამ „ერთის“ შესახებ პლატონსაც ჰქონდა აზრი. მაგრამ ცოტა სხვა მნიშვნელობით: პლატონი თავის იდეებს ხანდახან „მონადებს“, ერთს, „ერთიულს“ უწოდებდა², მაგრამ აქ საგულისხმიერო ისაა, თუ რამდენად ზუსტად აქვს გაგებული პეტრიწის პლატონის „ერთის“ კავშირი არსებობის ანუ ნამდვილად არსებულის—*ἐπέκεινθ' ὅθεν*—იდეასთან. მართლაც და პლატონის „ერთი“ სულ სხვა იყო, ვიდრე პრო-

1) პლატონსა და არისტოტელეს შორის თვით სისტემათა დასაბუთების ტენდენციებში ის განსხვავებაა, რომ პლატონი იწყებს ხედვითი ფილოსოფიით და ათავებს ლოგიკურით („სიტყვებებითით“), ხოლო არისტოტელე—პირიქით—იწყებს ლოგიკურით და ათავებს „ხედვითით“.

2) ასეთი შეხედულება გატარებული აქვს პლატონს „პარმენიდში“: იდეა არის ერთი მიმართ საგანთა სიმრავლისა (Parmenides, 132 AC). იგივე შეხედულებაა „სახელმწიფოში“ (Rep. VI, 493 E. ან 507 B). ტერმინი მონადა—*μονάδες*—მომხარებულია „ფილებოსში“ (Phileb. 15 A).

კლეს და ნეოპლატონიზმის „ერთი“, რადგან პლატონი „ერთს“ უპირისპირებს სიმრავლეს იმავე გვარის მოვლენათა წყობაში და არა საზოგადოდ; ამიტომ საბოლოოდ ეს არაა „ერთი“, რადგან ასეთი „ერთები“ შეიძლება იმდენივე იყოს, რამდენიც საგანთა გვარნი და, მამსადამე, „ერთი“ პლატონისა პირობითი ცნება იყო, სიმრავლის წარმავლობისათვის დაპირისპირებული, და ამიტომ „ნამდვილად არსებული“, წარმავლობისაგან განსხვავებული¹. პეტრიწი კარგად ხედავს, რომ საჭიროა ასევე არა გვარის გამომხატველ „ერთამდე“ რომელიც „ქვემარტ მყოფსა და არსს“ ეხებოდა, არამედ „უმწუერვალესამდე“ და პროკლეს იმას უფასებს, რომ მან „რაოდენ იყო შესაძლო, იმეცადინა ცნობად მყოფთა სასურვოა“. ამ გზით პროკლემ—პეტრიწის გაგებით—ისიც ნათელი გახადა, რაც პლატონთან ნათლად არა ჩანდა². პლატონის სიბრძნის ნათელყოფას— „განცხადებას“—რომელიც საბოლოოდ შესაძლებელი გახდა თურმე მხოლოდ პროკლეს მიერ „ხედვის“ გზაზე დადგომით, იოანე პეტრიწი უპირისპირებს არისტოტელეს და საზოგადოდ მთელი მისი სკოლის— „პეტრიპატოვლთა“—მიერ ნაჩვენებ გზას, რომელიც წარმოდგენილია, როგორც «არისტოტელის-გამოთაჲ სიტყუაჲ კანონთა მიერ შეძერწული». აქ ერთბეღ კიდევ ნათელი ხდება, რომ „სიტყუაჲ“ უეჭველად „ლოგიკურს“ ნიშნავს, რომელიც სილოგიზმის წესებით არის შეკრული ანუ „შეძერწული“. და აი სწორედ ეს სილოგისტურ-ლოგისტური ანუ „შესიტყვთა კანონთათ ჩემებული სიმართლე“ დარღვეულია პლატონის ფილოსოფიაში განცხადებული „ერთით“, რომელიც შესაძლებელი გამხდარა „ხედვითი“ გზის მეოხებით; ამისათვის პროკლეს დასკირებია დაერთო „სიწმიდე და სიცხადე აღმოსაჩენთა... სიმაღლისა თანა ხედვისასა“.

ასეთია პროკლეს მეთოდის დახასიათება, რომელიც, ამბობს პეტრიწი, «თანწარვლის სახედ მივეციოთ საუწყოსა».

იოანე პეტრიწი აღნიშნავს, რომ ქართულად არაა შემოღებული ზუსტი ფილოსოფიური განსხვავებანი, დისტინქციები, და ის, რაც შეუძლებელია ბერძნულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, ქართულად არ მოიპოვებაო. მაგ. „სხუაჲ არს ძალი და მოქმედებაჲ სულისაჲ და სხუაჲ გონებისაჲ“. ჩვენი—განაგრძობს ის—განსხვავებანი არაეინ „დასკურიტნა“ და ამის შემდეგ აკეთებს იმ განმარტებებს, რომლებიც აუცილებელია მისთვის ზემოთ მოყვანილ ორი გზის კანონიერების და

¹ უფრო რეალისტურად განწყობილ: არისტოტელე პლატონის ამ აზრს სწორედ ასევე ხსნიდა და „ერთისა“ და „არსის“ შუა კავშირს ხედავდა—*„αὐτὸ ἓν καὶ τὸ αἴον“*.

² «ბექდულნი და დაჟარულანი პლატონის მიდმოსიტყვსანი განაცხადნა» („განმარტებაჲ“ გვ. 5, 7^გ).

ერთის — „ხედვითის“ — უპირატესობის ნათელსაყოფად. ამის შემდეგ ხდება სამი მომენტის განსხვავება: „ღიანვა“ ე. ი. ღიანოია — სულის ფუნქცია; „ნოიმა“ — გონების ფუნქცია და „ნოიტონ“ — გასაგონი; განსხვავება სამივე მომენტის მიმართ ტარდება მეტ-ნაკლებ სიმარტივისა და სირთულის თვალსაზრისით. „ღიანვა“ არაა „მარტივი და შეუდგმელი“, ე. ი. ნაწილებისაგან შეუდგენელი, რადგან „სულს გაგონება“, ე. ი. რისიმე შემეცნება შეუძლია მხოლოდ რისიმე მიმართ, რაც მას ესაქიროება, და მის გარეთ მყოფი თანდათანობით მისი საგანი ხდება; სული მოქმედებს მხოლოდ რისიმე მიმართ, „მიდმოობასა შორის აქუს ძალი გაგონებისა“, და ამიტომ იგი განსხვავდება გონებისაგან. ამის გარდა კიდევ მეორე ნიშანი მოჰყავს პეტრიწს, რომელიც კიდევ უფრო ღრმა მნიშვნელობისაა: სული თავისი შემეცნების პროცესში მიდის წინ შეცდომებისა და მათი დაძლევის, ე. ი. სინამდვილის გაგების გზით. აუცილებლად ჰეშმარიტი გზით სელა მას იმთავითვე უზრუნველყოფილი არ აქვს, რადგან ეძებს, საფეხურიდან საფეხურზე გადადის შემეცნების ე. ი. ნამდვილად არსის მიღწევამდე. ამიტომაც პეტრიწი ამბობს: სული არაა მარტივი „რამეთუ, შეადგამს არსსა და არასა... ანუ არსსა და არა არსსა.“ ამიტომაც მისი „სახელი შესაფეროა“ არის „მიდმოგონებად ანუ მიდმოგაგონებად“ — ე. ი. იგი მიმართულია რისიმე გასაგებად, მაგრამ იქამდე ერთბაშად ვერ მიდის, ეძებს, არჩევს და ნაბიჯ-ნაბიჯ იძვრის.

აზრის საბოლოოდ ნათელსაყოფად პეტრიწი მოიხმარს თავის დიდ ფილოსოფიურ ერუდიციას და მიმართავს ნეოპლატონიზმის დიდ ლოგიკოსს — პორფირიოსს — რომელიც, სხვათაშორის თვით პროკლეს „კავშირნი“ — ში არსად ნახსენები არაა, და მისი მაგალითით სურს ნათელყოფს თავისი აზრი ლოგიკური და „ხედვითი“ გზის განსხვავებისათვის. სულის მოღვაწეობა ანუ „მიდმოგაგონებად“ სულისა არის „ბიჯებით“ სელა მიზნისაკენ, და არა პირდაპირ და მარტივად — „არა მარტივად მიდრკების მუნ, სადაც მიემართოს. ამის მსგავსად, ამბობს პეტრიწი, სული თავის მიზნისაკენ მიდის მცირე ნაკვეთების გზით, ვიდრე მიზანს მიაღწევდეს¹. აქ შემეცნების მიზნის დახასიათებაცაა მოცემული, რომელიც წარმოდგენილია, როგორც საგნის შემოცემა და დაგვარობის აღმოჩენა — „თვს გუარ ყოთა“.

ასევე ნათელია მეორე გზის გაშუქება; მაგრამ მას პეტრიწი მეტის და ამასთანავე იშვიათის ენთუზიაზმით აკეთებს. სული-საგან განსხვავებით, რომელიც რთული და დანაწევრებული გზით მიიმართება. გონება თავის „გასაგონამდე“ ე. ი. საწვდომ მიზნისაკენ პირდაპირ და, მაშასადამე, მარტივად „ზედ მიესხმის“. პეტრიწი

¹) «სულიცა ამისაგან ამისდად მიღების მცირედ მცირედ, ვიდრემდის არა ყოველი შემოსახოს და შემოიცივას გასაგონოვ და თვს გუარ ყოს» (გვ. 7, 10-11).

აქაც შედარების სახეს მიმართავს, და თუმცა ამ შექთხვევაში არ ასახელებს შედარების წყაროს, მაგრამ აშკარაა, რომ იგი თვით პლატონამდე აღის¹. აქ იოანე პეტრიწი, ლაპარაკობს რა უშუალო შემეცნებაზე. სადაც გონება უშუალოდ ეფინება თავის საგანს, დასძენს, რომ ეს ხდება ისევე, როგორც მზე თავისი სხივებით პირდაპირ—დროს და სივრცის განუსხვავებლად დაფარავს ყოველივეს.

აქედან პეტრიწი განაგრძობს, რომ იგივე უნდა ითქვას გონებაზე, რადგან გონება, როგორც მწვედომი, და „გაგონებაჲ“, როგორც ამ წვედომის გაშლა, ემთხვევიან ურთიერთის უშუალოდ, როგორც მზე და შარავანდნი (გვ. 7,17-18).

აღსანიშნავია, რომ პირველი მაგალითის მოყვანის დროს იოანე პეტრიწი ასახელებს პორფირის და პროკლეს და მეორე მაგალითის მოყვანისას არ ასახელებს მის პირველ ავტორს პლატონს. შესაძლებელია ამას თავისი მიზეზი ჰქონდეს. სიტყვა „ვითარა“ ანუ „ვითარა“ მართალია შედარების გამოხატველია, მაგრამ აქ თითქოს საქმე მართო ანალოგიაში არ უნდა იყოს: ანალოგია აქ მიყვანილია ისეთ მდგომარეობამდე, სადაც იგი თითქმის ყოველივე აზრს კარგავს: შესადა არებელი აღარაა, რადგან ერთის ნიშანი გადატანილია მეორეზე—მზის და სხივთა ურთიერთობის ნიშნები გადატანილია გონებისა და საწვედომის, — „გასაგონოჲ“-ს ურთიერთობაზე. ნიშნების ასეთი გადატანის შემდეგ შედარებას აზრი აღარ აქვს, რადგან თვით ნიშანთა გადატანამ გააუქმა ანალოგია და იგი მსგავსების ისეთ ხარისხამდე მიიყვანა, სადაც იგივეობის მიჯნა ჩანს.

მესამე მომენტის—„ნიოტოჲ“-ს შესახებ პეტრიწი მოკლედ განმარტავს, რომ ეს არის გასაგონი ანუ საგონი; ეს ისაა, რაც ყველაზე მალლა დგას, „ზესთა ძეს“. იგია „საგონი ანუ გასაგონი“ ამბობს პეტრიწი და თავისი ბუნებით მალლა დგას „გამგონეს“ მიმართ. სული სწორედ ეს გამგონე ყოფილა და ამიტომ უფრო დაბლა დგას, ვიდრე გონება, რადგან იგი ემთხვევა გასაგონსა და იგივეა, რაც უკანასკნელი; მაგრამ გონებასაც შეიძლება იგივე მოუვიდეს, როდესაც მასზე მალლა გამოჩნდება „ნამდვლ მყოფი“, რომელიც მას „დაუხვედების“; ასევე ამ ნამდვილ მყოფსაც „დაუხვედების—საღმრთოჲ და ერთებრივი რიცხვ“. შემდეგ ისევ ეს „ღმრთიენიც“ იქცევიან გამგონედ და მათთვის საწვედომი ანუ „გასაგონოჲ“ არის ის, სადაც ხვდება ერთი მეორეს „პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვრობაჲ“. ასე მიდის ეს რიგი „ზესთმდებარე“ ერთამდე, რომელიც გამოცხადებულია „უცნობრად“ და რომელიც ამავე დროს გამოდის როგორც კეთილი; იგი—ამბობს პეტრიწი—აღამიანთა მწარე

1) პლატონს, როგორც ცნობილია „სახელმწიფოში“ (VI წიგნში) აქვს მოყვანილი მზის სახე, როგორც უშუალო წვედომის ანალოგია.

განცდებმა-- „წადილმან პატიჟისამან“ შექმნეს მამა-- ღმერთად. „უცნაურია“, მაგრამ მისდამი ვედრება შეიძლება, როგორც კეთილისადმი.

ამ გზით ირკვევა, რომ არსებობს უმაღლესი „გასაგონოა“, რომელიც ყველაზე უმჯობეს არს“. ამის იქეთ წასვლა სიმაღლისაკენ არ შეიძლება. ამიტომაც აქედან ეხლა ქვევით, ანუ „შემდგომისაკენ“ სვლა არის საჭირო, რადგან ჩვენ, ადამიანები ყოველივეს გავიგებთ შედეგის ანუ „შემდგომის“ მიხედვით. უფრო სწორად და გასაგებად რომ ითქვას: ყოველი არსება შეიცნობის იმ მოქმედების ანუ ძალის მიხედვით, რომელიც ჩვენთვის გაიშლება, როგორც არსების გამოვლენა.

აქ პეტრიწი მიმართავს „ფერის“ მომენტს: „ვითარ ფერცა იყოს მოქმედებაჲ, ეგ ფერვე და ძალი; ვით ფერ ძალი, ეგ სახე და არსებაჲცა“. აქ სამჯერ ერთ მსჯელობაში ნახმარი მომენტი „ფერისა“ გამოხატავს ურთიერთობას, რომელიც გამოითქმის სახითაც, ე. ი. აქ „სახე“ და „ფერი“ გაიგივებულია და ორივე შემთხვევაში გამოსახატავია დამოკიდებულება, რომელიც „არსების“ გამოვლენას წარმოადგენს, მაგრამ არა ლოგიკური გამომდინარეობით, არანედ ძალისა და მოქმედების გაშლით. აქ იოანე პეტრიწი არისტოტელეს გზას მიყვება: რაც ბუნებით, ე. ი. თავის თავად პირველია— იგულისხმება არსება— მას შემეცნება („გონებაჲ“) სწვდება უკანასკნელად; ხოლო რაც ბუნებით უკანასკნელია— ე. ი. არსების გამოვლენა და გაშლაა— იგი ჩვენთვის, ადამიანებისათვის, პირველია, რადგან მათგან ვიწყებთ შემეცნებას.

არისტოტელეს ეს ცნობილი დებულება იშვიათად აქვს გამოყენებული პეტრიწს: თუ „უკანასკნელი“ ე. ი. გამოვლენა მართლაც ავლენს არსებას, მაშინ მარტივი მოვლენა მარტივი არსების გამოვლენა იქნება¹. ამ გზით პეტრიწი კვლავ უბრუნდება გონებისა და სულის განსხვავებას და პირველში მარტივ, ხოლო მეორეში რთულ არსებასა ხედავს. ამ განსხვავებათა გამოყვანის დროს ის უკვე იმოწმებს არისტოტელეს და მის მოძღვრებას მომქმედი გონების შესახებ². ეს განსხვავება კვლავ საბაბს აძლევს იოანე პეტრიწს ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვას გონების თავისებურებას და აღნიშნავს, რომ მას თავისი არსების მიხედვით «თანწარმოდგომილად და სამარადისოდ აქუს მოქმედებაჲ არსებასა თანა და არსებაჲ მოქმედებასა თანა».

¹) «თუ მოქმედებაჲ მის მარტივ და შეუდგმელ, და არსებაჲცა მისი მარტივ და შეუდგმელ, ხოლო თუ მოქმედებაჲ მისი არ მარტივ, და არცა არსებაჲ მისი მარტივ» (გვ. 8. 23-25).

²) «რომელთა იფილოსოფოსეს, მათ შორის ოდენ დასდებს (არისტოტელი) მუქმედებითა სულსა და გონებასა» (გვ. 9, 2-3). შეადარე Aristotelus, De anima I, 418 b.

პეტრიწმა ასე მოქნილად გამოიყენა არისტოტელეს ცნობილი პრინციპი, და მაინც სახეებში წარმოდგენას უბრუნდება და კვლავ მიმართავს უშუალო და უშუალობითს ანუ გონებისა და სულის დაპირისპირებას. როგორც მზეს მარადიულად თან ახლავს სხივები, ისევე გონებას—მიმართება საწვდომისადმი, და ამის გარეთ იგი გონება არც იქნებოდაო. იგი არაა სული, რომელიც თანდათანობით მიდის შემეცნების განვითარებისა და თანდათანობითი წარმატების გზით და დაასკვნის, რომ «ერთბამად გონებად და გასაგონოდ მისი» (გვ. 9, 11).

ამის იქით მაინც არის „ერთი“, რომლის მიმართ „გაგონება“, ე. ი. შემეცნება არ ითქმის. შემეცნების წარმოება ნიშნავს რალაცას არ ცოდნას—განაგრძობს პეტრიწი. იგი „უმეტრებასა თანა შეკრულა“ ე. ი. განსაზღვრულა მით, რაც არ იცის, რის უმეტარია; იგი ისწრაფის ცოდნად, არის „წადიერი გაგონებად“. „ერთი“ არაა ასეთ მდგომარეობაში, იგი ცოდნისა და შემეცნების მიღმაა, „ღეუხვედების“ (ე. ი. ტრანსცენდენტურია) ცნობასა და გაგონებასა, რადგან რა აქვს მას შესაცნობი, როცა ის „არას უმეტარ არს“, ყველაფერი მისი შექმნილია და მან გონებაც თვითონ „აღამყო“? აქედან უკანასკნელი და უმაღლესი ნაბიჯი: განსხვავება გონებასა და „ერთსა“ შორის. გონება, რომელიც სულის მიმართ იმ უპირატესობის მქონე იყო, რომ თავის საგანს, ე. ი. „გასაგონოს“ მარტივად „მიესხმოდა“, „ერთის“ მიმართ მაინც ერთგვარი ნაკლის მქონე გამოდის: იგი ყოველივეს „თითოეულად გაიგონებს“, ე. ი. ქვეყანაში ცალკე მოვლენას ცალკე ხედავს და სიმრავლეს—სიმრავლედ, „ხოლო ერთი ყოველთა და თითოეულთა ერთბრივ“, ე. ი. მთლიანობაში და „გაუნაწილებლად“, „ერთი“ ქვეყნის უმაღლესი მიწეზი და „ერთობის“ არსების მქონე ქვეყანასაც „ერთობრივობაში“ ხედავს.

პეტრიწი აქ ათავებს შესავალს და მიუთითებს ზემოთ წარმოებულ მსჯელობაზე. ამით მას, უეჭველია, იმის თქმაც სურს, რომ თუ გონების გზა უშუალობის სახით იშლებოდა, აქ გონებაზე უფრო მაღალი საფეხურის მიმართ უკვე აღარავითარი „სიტყვერებითი“ გზა აღარ არსებობს, „ვითარ აღმოიჩინა წინაფთვე“. „ხედვითი“ გზა, აშკარაა, აქ კიდევ უფრო დასაშვები უნდა იყოს პეტრიწისათვის ამ უმაღლეს „ერთის“ მიმართ: იგი სიმრავლეში „ერთია“ და „ერთობლიობაში“ სიმრავლე—ასეთია ის ნეოპლატონური დიალექტიკის უმაღლესი საფეხური, რომელიც სწორედ პროკლეს სახით იქმნა მიღწეული.

შესავლის მიმოხილვიდან ნათელია, რომ პეტრიწს შემეცნების ორი გზის განსხვავება აინტერესებს და მათ შორის უპირატესობას ის „ხედვითს“ გზას აკუთვნებს, დაპირისპირებით „სიტყვიერებით“ გზისათვის. არისტოტელეს მიერ დადგენილი განსხვავება „ბუნებით-

სა“ და ჩვენს, $\pi\rho\beta\zeta\ \eta\prime\alpha\zeta$ —ადამიანურს შუა მას გამოყენებული აქვს არსებიდან მოქმედებაზე გადასასვლელად და პირიქით; მაგრამ არისტოტელესაგან განსხვავებით პეტრიწს აქ აინტერესებს არა ლოგიკური გადასვლები, ე. ი. მიზეზიდან გადასვლა იმისაკენ, რაც მიზეზით გამოწვეულია და რასაც პეტრიწი „მიზეზოანს“. უწოდებს, არამედ მიზეზის სიღვა ანუ ხედვა „შემდგომში“. გონება და მასთან ლოგიკა არისტოტელესთანაც მიდის უშუალოდის „მარტივად მისხმის“ შეგნებამდე; მეორე „ანალიტიკაში“ სწორედ ამის აღმოჩენით დაავიკრავინა არისტოტელემ ლოგიკური საქმე¹. მაგრამ პროკლეს დიალექტიკამ აქ შენიშნა, რომ გონება, სულისაგან განსხვავებით, მიდის არა „მცირედ-მცირედ“, არამედ „ერთბამად“, სადაც ერთია გონება და „გავგონებაჲ“; მაგრამ ეს მაინც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ერთში სიმრავლე ჩანდეს და სიმრავლეში—ერთი. გონება სიმრავლეს სიმრავლედ ხედავს და „თითოეულს თითოეულად“. გონებას აქვს უშუალობა, მსჯელობს პეტრიწი, და ამით ის უფრო მალა დგას, ვიდრე სული. დიალექტიკის განვითარების ამ საფეხურზე გონებას არ მიეწერება ჯერ კიდევ ფუნქცია დიალექტიკის წვდომისა, რადგან „ერთი“ „დაეზესთავდების“ გონებას, რომელიც მაინც ასხვავებს „ერთსა“ და მრავალს, „არსებას“ და მის გამოვლენას, უმაღლეს მიზეზს და „მიზეზოანს“, ე. ი. მის მოქმედებას, და, თუმცა თითოეულ მათგანს „ხედავს“, მაგრამ ცალ-ცალკე და არა ერთად.

ამ მსჯელობებით პეტრიწი არა თუ თავისი დროის, ე. ი. XI—XII საუკუნეთა მიჯნის ფილოსოფიის სიმაღლემდე მივიდა, როგორც ის წარმოდგენილი იყო ბიზანტიის ფილოსოფიურ რენესანსში, არამედ იმაზე მალა დადგა. ეს სიმაღლე მოსჩანს, არა მარტო იმაში, რომ პეტრიწმა ლოგიკურ პრობლემათა და მათ შესახებ მოძღვრებათა აღდგენის ნაცვლად, უფრო პრინციპულ საკითხების წამოყენება სცადა, სახელდობრ ისეთების, რომლებიც თვით ლოგიკურ მუშაობას განსაზღვრავდა. ეს ის ძირითადი მომენტი იყო, რომლის მიხედვით ფასი ეძლეოდა ყოველგვარ ცოდნას და სიბრძნეს—„ერთთან“ მისვლის შესაძლებლობის პრობლემა. პლატონის ბიერ წამოყენებული მოძღვრება სიკეთის იდეის შესახებ იგივე უმაღლესი, „ერთის“ იდეა იყო. თუ თითოეულ იდეას ევალეობოდა თანაზიარობით ($\alpha\epsilon\lambda\iota\sigma\iota\sigma\iota\varsigma$) ანუ თანხლებით ($\alpha\alpha\rho\sigma\sigma\iota\varsigma$) საგანთა და მოვლენათა მიზეზი ანუ პირველსახე ($\alpha\alpha\rho\alpha\acute{\zeta}\epsilon\gamma\mu\alpha$) ყოფილიყვნენ²—ეს ყოველივე შესაძლებელი იყო მისთვის იმდენად, რამდენადაც თვით იდეათა ძირში მას გათვალისწინებული ჰქონდა ერთი იდეა, იდეა სიკეთისა. ეს გარემოება პლატონს ყოველთვის მხედველობაში ჰქონდა, რადგან უა-

1) Aritoteles, Anal. post. II.

2) Plato, Tim. 28 C, 46 C და შმდ.; Phaidon 98 B და შმდ.

მისოდ მას ნაბიჯის გაკეთება არ შეეძლო. „ფედონში“ და „სახელმწიფოში“ მან კიდევ მიუთითა გარკვეულად ამ გარემოებას¹⁾; ნამდვილი „პარადეგმა“, ე. ი. პირველსაზე ქვეყნისა სწორედ ის ძირითადი იდეა იყო.

ნეოპლატონიზმი, განსაკუთრებით პროკლეს სახით, სწორედ ამ ძირითადს, „ერთს“ და პირველ სახეს სთვლის მთავარ გარემოებად. არისტოტელეს, როგორც გაირკვა, არ გამოორჩენია ეს მომენტის და ცოდნის უმაღლეს დასაყრდენს თავის საკუთარ თავისაკენ მიმართულ აზრში—*ἡ ἀσπίς*—ში ხედავდა. ამით ორივე შემთხვევაში ეს მომენტის ლოგიკისა და მეტაფიზიკის საზღვარზე იყო მოთავსებული.

პეტრიწმა სწორედ ეს მომენტი და მისი შემეცნებასთან დამოკიდებულება ჩასთვალა ძიების პირველ საქმედ და ბიზანტიის რენესანსში წამოჭრილი ლოგიკური და მეტაფიზიკური საკითხები ისეთ ადგილს გადანასკვია, რომელიც ბერძენებისათვის მიუღწეველი დარჩა. მიქაელ პსელლოსმა და იოანე იტალმა საკითხს—თუ როგორაა შესაძლებელი აზროვნებისა და არსებობის ძირების შემეცნება—ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქციეს. პეტრიწის ფილოსოფიური ინტერესი, როგორც ზევით ითქვა, უკავშირდება ბიზანტიურს, მაგრამ არსებითად ქართული ფილოსოფიური ტრადიციებით განისაზღვრებოდა. მისი საკუთარი ნაწარმოების შესავლის ანალიზმა ნათელი გახადა, რომ მისი მთავარი საკითხია—უმაღლეს საფეხურებამდე ასვლის პრობლემა და მისი „ხედვა“ სინამდვილეში, ხედვა, რომელიც „ფერის“ მიხედვით ხდება, სადაც ნათელი უნდა გახდეს, რომ „არსება“ და „მოქმედება“ ერთ ფერი არიან. ამით გარკვეულად დგება საკითხი პეტრიწის დამოკიდებულებისა თანამედროვე ბერძულ ფილოსოფიასთან ერთის მხრივ და ქართულ ფილოსოფიურ ტრადიციებთან მეორე მხრივ.

პეტრიწის დამოკიდებულების საკითხი ბერძულ ფილოსოფიასთან, ერთის მხრივ და ქართულ ფილოსოფიურ ტრადიციებთან მეორე მხრივ, საბოლოოდ შეიძლება გაირკვეს მხოლოდ მაშინ, როცა მისი ორიგინალური აზროვნება მთლიანად იქნება განხილული. შესავლის განხილვამ ჯერჯერობით ნათელი გახადა, რომ პეტრიწს გარკვეული წარმოდგენა აქვს თავისი ძიების ძირითად პრობლემაზე, რომელიც ეხება გზას, სადაც არსება და მოქმედება ერთი მერიის ფერი უნდა იყვნენ და ეს ფერი „ხედვითი“ წვდომის გზას გამოხატავს, სადაც ლოგიკური, „სიტყვებითი“ უადგილო და გამოუყენებელია მაშინაც კი, როცა იგი გონების საზღვარს აკრავს და თავის გასაგონოს „მარტივად მიესხმის“. ცხადია, რომ ამ საკით-

1) Plato, Phaidon 97 B და შმდ.; „სახელმწიფო“ წ. VI და VII.

ხებს იცნობდა ბიზანტიის რენესანსი და პროკლეს პრობლემატიკა-შიაც ჩახედული იყო, მაგრამ „ხედვისათვის“ ასეთი უპირატესობის მიცემას ის თუნდაც იმიტომ ვერ ახერხებდა, რომ მისი განწყობა მიქაელ პსელლოსის და იოანე იტალის სახით უფრო ლოგიკურის მხარეზე იყო, ხოლო მათ შემდეგ ფილოსოფია საბერძნეთში კვლავ დამცველობითს განწყობას ეძლევა და ნიკოლოზ მეთონელის სახით იგი აპოლოგეტურ-ქრისტიანულ ტრადიციებს უბრუნდება და ამ ნიადაგზე სწორედ პროკლეს თხზულებას „კავშირინ“-ს იღებს განქიქების საგნად.

იმ გარემოებას, რომ ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსიდან ორი გზა გამოდის, ერთი ამ რენესანსის დაცემის მაჩვენებელი ნიკოლოზ მეთონელის სახით, რომელიც პროკლეს მიმართ იმ ბრძოლის წინითაა გაქვნილი, რომელიც ძველი საეკლესიო აპოლოგეტების დოგმატური სულითაა აღსავსე, მათ შორის ყველაზე უფრო პროკოპილაზელისა (415—526 წწ.), ხოლო მეორე—რენესანსის გაგრძელებისა და გაღრმავების—ქართველი ფილოსოფოსის—პეტრიწის მიერ წარმოდგენილი, რომელიც პროკლეს ფილოსოფიის იმ პათოსით სუნთქავს, რომელიც საქართველოში სააზროვნო განახლებამ უკვე XI ს. აღადგინა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შემოტანით,—უნდა გაეფრთხილებინა ქართული კულტურის მკვლევარნი ზოგიერთი დასკვნების გაკეთების დროს. ასეთ დასკვნას წარმოადგენს აკად. ნ. მარჩის დებულება, თითქოს იოანე პეტრიწი ფილოსოფიურ ხაზს იმუშავებდა სრულიად დამოუკიდებელივ წმინდა ქართულ გარემოდან. რა თქმა უნდა, იოანე პეტრიწის დამოკიდებულება მაგ. ნეოპლატონიზმთან წმინდა ქართულ წრეში არ განვითარებულა, მაგრამ მისი ჩასახვა რომ უკვე ქართულ წრეში უნდა მომხდარიყო, ეს უდავოა იქედან, რომ მისი ფილოსოფიური მასწავლებელი ეფრემ მცირე სწორედ ნეოპლატონისტურ თხზულებათა მთარგმნელი იყო. იოანე პეტრიწის თხზულების შესავლის გარჩევამ უდაო გახადა, რომ სწორედ პროკლე—სათაყვანო ნიმუში ქართულად თარგმნილ და იოანესათვის მასწავლებლიდან—ეფრემიდან ცნობილ ფს.-დიონისე არეოპაგელისა, პეტრიწის ინტერესის საგანი უნდა გამხდარიყო ბიზანტიელ ფილოსოფოსებისაგან სრულიად დამოუკიდებელი¹. ეს ცხადია, არ ნიშნავდა, რომ ამ ინტერესის ნიადაგზე ბიზანტიის ფილოსოფიასთან შეხვედრას პეტრიწის აზროვნებაზე გავლენა არ მოეხდინა, და საკითხი სწორედ ისაა, რომ ქართულმა ფილოსოფიურმა ტრადიციებმა მაინც მეტი

1) „Повиднімому, змобоз Б. марчи, не в чисто грузинской среде народился интерес Иоанна к неоплатонизму“. ЗИАО оп. cit. გვ. 97.

შესძლეს და პეტრიწი პროკლეს ფილოსოფიის ნიადაგზე ბერძნებისაგან განსხვავებული გზით წარმართეს.

ამ საკითხთა საბოლოოდ დასადგენად საჭიროა პეტრიწის ნააზრევის მთლიანობაში გამოვლენა.

§ 5. იოანე პეტრიწის „კომენტარები“

პეტრიწის თხზულების მეორე ნაწილი პროკლეს თხზულების „კავშირნი თეოლოგიურნი“-ს კომენტარის ფორმითაა გაშლილი, მაგრამ უკვე იმთავითვე ავტორი თავისუფალი მსჯელობის გზას ირჩევს. მისთვის რომ მთავარი სწორედ იმ გზის შეფასებაა, რომლითაც მიდის აზრი და რა შემთხვევაში იგი „სიტყვებებითა“ და რა შემთხვევაში „ხედვით“, ჩანს იქედანაც, რომ პროკლეს „კავშირნი“-ს პირველისავე თავის გარჩევისას იგი ზედმიწევნით არკვევს პროკლეს მსჯელობის მეთოდს—პირდაპირი და აპაგოგიური მტკიცების სახეებს, ხოლო შემდეგ სილოგიზმის მთელ თეორიას ალაგებს. სილოგიზმის თეორიის დალაგება ხდება არა მოგვიანო ფორმით, არამედ არისტოტელეს „ანალიტიკებში“ მოცემული სახით: ორი „კიდით“ და საშუალოთ „კიდეთა შემკრველით“ (იხ. სქემა გვ. 11).

აღსანიშნავია, რომ სილოგიზმების დალაგებისასაც კი, რომელიც „სიტყვებითს“ კანონებს შეიცავს, პეტრიწი მაინც ცოცხალი დალაგების გზას მიჰყვება, განსაზღვრულ და თვალსაჩინო სახეებით სარგებლობს. ასე მაგ. მტკიცების გაშლისათვის—ამბობს იგი—საჭიროა აზრის საკითხის სახით ანუ „პროვლიმაჲ“-ს სახით წარმოქრა, რადგან თუ არ გამოირკვევა, თუ რა გვესაჭიროება და რა გვაწუხებს, როგორ იქნება „დაკაზმვა აღმოჩინებისა“, ე. ი. სილოგისტური მტკიცების გაშლა. აზრის თვალსაჩინოებისათვის პეტრიწი განაგრძობს: «რამეთუ, უკუეთუ პირველად არა ცნას მკურნალმან სენი, ვითარ დაკაზმოს წამალი» (გვ. 10, 24-25).

პროკლეს პირველი დებულება ეხება „ერთის“ ცნების განმარტებას და შეიცავს ნახევარ გვერდს; პეტრიწის მსჯელობა ამის გამო შეიცავს თოთხმეტ გვერდს. პროკლე არ ამტკიცებს პირდაპირ თავის დებულებას, რადგან იცის, რომ საამისო პირდაპირი დემონსტრაციული საშუალება არ არსებობს. ამიტომ ის მიმართავს არაპირდაპირს, ანუ აპაგოგიურ მტკიცებას: თუ ასე არაა, მაშინ ასეთი და ასეთი შედეგები გამოვა, ხოლო უკანასკნელი დაუშვებელია; მაშასადამე, უნდა მიღებულ იქნას პირველი დებულება. აპაგოგიური საბუთები არაა პირველხარისხოვანი საბუთები; იგი პლატონმა გამოიყენა „პარმენიდეში“, როცა ჯერ კიდევ არისტოტელეს ლოგიკა არ არსებობდა; მისი დამარწმუნებელი ძალა პირობითია: თუ იქნება

მიღებული, რომ უარყოფის შედეგი მიუღებელია, ეს უკანასკნელი არ მტკიცდება, ის დაშვებულია.

პეტრიწი არ გაჰყვა პროკლეს გზას, მას არც ანალოგიისა და არც არავითარი ლოგიკური გზა არ მიაჩნია გამოსაყენებლად „ერთის“ დასამტკიცებლად. პირველი და ერთი უნდა ჩანდეს ყოველივეში „შეურწყმელად“ და ყოველი მასში, რაცხვი არაა შეერთებული სიმრავლე—ამბობს პეტრიწი, „არამედ ერთებრი“ და ამის მტკიცება კი არ შეიძლება, არამედ მოუწოდებს იგი: «იხილე უფროდსად შენიერთა ხედვათა და უმხილებელთა აღმოსაჩენთაჲ» (გვ. 13, 32-33). ამ ერთის „მოქმედება“ არაა მისი შინაგანი იძულება, იგი «ზესთა ძეს ყოველთა ვითარ სიმრავლე ერთსა შორის და ვითარ ერთნი ერთსა შორის». იგი, ბოლოს და ბოლოს, პლატონის „სიკეთა“ ანუ პეტრიწით „კეთილნი კეთილობასა შორის“. ამ სიმალლეზე ისინი ჩვეულებრივი, ლოგიკური გზით არ დაიჭირება: აქედან «ზესთ ჰნათობენ ყოველთა ღრმთებრივთა და ერთებრივთა თჳსთა ნათელთაჲთ, და თან მისცემენ თჳსთა კეთილობათაჲთ და აკეთილებენ ყოველთა». ასე სწყდება, ამბობს პეტრიწი—«ერთებრივისა და სიმრავლისათჳს კანონთაებრ საღრმთისმეტყუელოთასა». საგულისხმიეროა, რომ პეტრიწი ზევით, როცა „კანონთაებრ დადებაზე“ ლაპარაკობდა, მიუთითებდა „კანონთა აღმოსაჩენთა“, ე. ი. ლოგიკურ კანონებს და მათ ზედებს „იძულებით აღმოჩენათა“-ს უწოდებდა. აქ კი დაასკენის: «კანონთაებრ საღრმთისმეტყუელოთასა დაიდვა ფრიად ცხადად» (გვ. 14, 26).

აპაგოგიური საბუთების განხილვისას პეტრიწი ხანდახან მაინც თავის განწყობას ამხელს და, თუმცა პროკლესთან ამის არავითარი კვალი არაა, მაინც ასეთ გამოთქმებს ხმარობს. «არცა ყოველობასა შორის მითესულა სინათლე ერთისაჲ», ე. ი. იმ შემთხვევაში თუ „ერთი“ და მასთან ზიარება უარყოფილი იქნება „წინააღმდეგობთა“ მიერ¹, მაშინ ასეთი შედეგი გამოვა. როცა მტკიცების გზა ამოწურულია, პეტრიწს იგი საკმარისად არ მიაჩნია, რიცხვთა შორის ამ გზით კი არ ვსწვდებით, «არამედ ვხედავთ წესსა შემდგომობითსა სირასა შორის რიცხვსასა» და ჩანს «რიცხეთა-შორისი განთესული ძალი და მოქმედებაჲ» (გვ. 16,7). ეს ის გზაა, რომელიც მან იმთავითვე დასახა, როგორც „არსებისა“ და „მოქმედების“ ურთიერთობა „ერთ ფერად“ წარმოდგენილი. ასე მიდის მთელი პირველი თავი ბოლომდე და ყველგან, სადაც ლოგიკური არგუმენტაცია უსრულო აღმოჩნდება, პეტრიწი მიმართავს „ხატებას“ და მის საშუალებით გაშლილ ხილ-

¹) მსჯელობათა და კამათის „წინააღმდეგობთა“ მიმართ გაშლით პეტრიწში მხილდება ეფრემ მცირის გავლენა. შეად. წინასრუტევაობა იოანე დამასკელის „დიალექტიკისა“.

ვას. როცა დიალექტიკის გზით გაირკვევა, რომ „ერთის“ მზიარებელი სიმრავლეთ გაშლილი „ერთიც არს და არა ერთი, ესე იგი არს ვითარცა ერთქმნილი“, ამ „ერთქმნის“ მომენტებს, პარმენიდედ ან აღებულს, პეტრიწი არისტოტელეს ფილოსოფიის ტერმინებში გადაიტანს და „ძალად ოდენ“ ყოფნას ე. ი. დინამიურ $\epsilon\nu \delta\epsilon\lambda\mu\epsilon\iota$ -ს ცნებას გამოიყენებს, მაგრამ ესეც არ მიაჩნია საკმაოდ და გადადის „ხატებაზე“¹. კიდევ მეტი—პეტრიწი აგრძელებს სახეებს და მიმართავს ზეცისა და მზის სურათს, რომლებიც მყოფნი აღმოსავლეთს „დაკლებულ არიან დასავლეთს ყოფისაგან და ძალად ოდენ არიან დასავლეთს“ ე. ი. მზე აღმოსავლეთშიაც არის და დასავლეთშიაც, მხოლოდ ერთის მხრივ „მოქმედებით“, ხოლო მეორე მხრივ შესაძლებლობაში.

ასე აერთებს პეტრიწი ნეოპლატონისტურ დიალექტიკას არისტოტელეს დინამიურ მეტაფიზიკასთან მზისა და სინათლის, არსებისა და მოქმედების „ფერის“ საშუალებით. ამით ის აფართოებს პროკლეს არგუმენტაციას და ამზადებს ნიადაგს იმ ფილოსოფიური კონცეფციისათვის, რომელიც ლოგიკურის ნაცვლად „ქურეტის“ და „დაქურეტის“ გზას აირჩევს და „გუარის“ ნაცვლად „ფერს“ მოიხმარს. ამით უკვე იხაზება ის ორიგინალური გზა, რომელსაც საფუძველს უყრის პეტრიწი და რომელიც ქართული ფილოსოფიური სკოლის სავალი გზა გახდება. თუ ერთხელ გადაწყდება, რომ მთავარი გზა ფილოსოფიისა არის „ხედვა“, მაშინ მისი იარაღიც ხედვითი სფეროიდან აიღება და იგი „ფერის“ სახით იპოვება. აქეთ წაიყვანა პეტრიწმა არეოპაგელის მისტიციზმი და პროკლეს წინააღმდეგ ქრისტიანულ-დოგმატურ ბრძოლას, როგორც ეს ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსის დაცემის შედეგად ნიკოლოზ მეთონელმა ჩაიდინა, მისი, თუნდაც წარმართული, დაძლევა ამჯობინა. იოანე იტალის წარმართობისათვის ბრალდებამ პეტრიწი ვერ შეაშინა; იგი გაბედულად გააჰყვა „წარმართული“ ფილოსოფიის გზას და საქართველოში საფუძვლები ჩაუყარა მზისა და ფერის იმ სოფლგაგებას, რომელიც ერთი საუკუნის შემდეგ XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე რუსთაველის პოეტურ სოფლშეგრძნობაში უკუიფინა.

პირველი თავი ამ მხრივ სანიშნუშოა, მაგრამ მსჯელობის გაგრძელება იმავე გზას მიჰყვება: მეორე თავშიაც იგივე გამახვილებადია დიალექტიკისა; „ერთის“ ზიარება სიმრავლისათვის ხდება ისი, რომ იგი „დგას და უზიარებელად ეზიარების ყოველთა“. მაგრამ პეტრიწი დასძენს, რომ ერთი „მისთვის ყოველთა შორის თვისა ერთობრივთა ნათელთათ“. აქ ყოველივე ანალოგიის გარეშე პირდაპირ

1) «რომელი ეს სახეთა მიერ ცხად ვყოთ, რამეთუ კუერაზნი ძალად ოდენ არიან მფრინველ და არა მოქმედებით» (გვ. 18,5).

„ერთებრივ ნათელზეა“ ლაპარაკი, რომელიც ისე მიეთესება ყოველივეს, რომ არაფერი აკლდება „ერთს“ და იმავე დროს მაინც აღლევს ნათელს სიმრავლეთ. პეტრიწი ამით ხაზს უსვამს, რომ ეს ურთიერთობა ლოგიკური საშუალებებით არ გამოითქმება. აქ, მისი აზრით, მოცემულია ყველა საფეხურების გავლით „ყოველი ანამკი სამუსიკოთაჲ“, რომელიც სილამაზე და „ბუნებითი მორთულობაჲ“ არის.

რა დამოკიდებულებაა ერთსა, ორსა და სამს შორის? როგორც ბუნებითი რიცხვები—ამბობს პეტრიწი—ისინი სხვადასხვა არიან, მაგრამ ერთად შეკრული და საზღვრის მქონე ხდებიან ერთობით. სხვა არის ორი და სხვა—ორობა, ისე როგორც კაცი და კაცობა. ორი ერთიცაა და არა ერთიც, მაგრამ იქმნება ორობად ერთის საშუალებით, და ეს ხდება იმიტომ, რომ ისინი არიან «ერთისა გუარისა დამტევენნი» (გვ. 19, 33). პეტრიწი ატყობს, რომ „გუარი“ და საზოგადოდ ლოგიკური მიდგომა აქ ყველაფერს არ არკვევს და მიმართავს ორ საბუთს: „ღმრთისმეტყუელებისა“—ელემენტებისა და მათ მთლიანობაში მოცემას, და „ხედვისა“; მას მოჰყავს სფეროთა შესახებ ცნობა—მზე, მთვარე და მნათობთა გზები—და დასძენს: «აწ ესე ყოველნი არიან ცისანი, ხოლო თვთ იგი ცა გუარ და გარეშემცველ ყოველთა» (გვ. 20, 14). ეს ადგილი არ ტოვებს ეჭვს იმაში, რომ პეტრიწი ლოგიკური „გუარის“ ცნებას „ხედვითი“ სახის ინტერპრეტაციას უკეთებს და თუ მსოფლიო მნათობთა ურთიერთობით სახავს მათ, ამით ლოგიკური ნიადაგი საბოლოოდ დატოვებულია: დამოკიდებულება „გუარის“ ელემენტთა შორის, რომელიც ქვემდებარეობით ხასიათდება, მას გადააქვს სახეებში, რისთვისაც „სახის სახის“ წარმოდგენამდე მიდის. ამიტომ მიაჩნია მას ეს გზა თავისებურად, რაზედაც დასძენს: «ესე ვითართა სახეთა და სახის სახეთა მიერ ვიმეცადინოთ განცხადებად» (გვ. 20, 15). ლოგიკური „გუარი“ გაიგივებულია „ხატის ხატთან“.

ამავე იგივეობაზე პეტრიწი მოკლედ ამბობს: «მხოლოდ გონებათაჲ ერთ და ხატ ერთისა» (გვ. 21, 27). „სიტყვურებითი“ არის პეტრიწის აზრით ამ „სახეთა სახის“ ანუ „ხატის ხატის“ მიბაძვა: «ხოლო სიტყვურებრივთა შორის ერთ ქმნა გუარისაჲ ჰბაძავს მას ერთსა» (22, 3). აშკარაა, რომ პირველია „სახედ განცხადება“, და სილოგისტიკა—მხოლოდ მისი მიბაძვა. ასე თანმიმდევროდ მიჰყვება პეტრიწი ერთხელ აღებულ გზას¹.

პეტრიწმა კარგად იცის, რომ მისგან მოწონებული გზა ფილოსოფიაში პოეტური ელემენტის შეტანაა. მაგრამ იგი შეგნებულად მიმართავს მკითხველს: «კუალად სამუსიკელოთაცა რთვათა

1) აქვე პეტრიწის მიერ მოცემულ განმარტებას „განუყოფთელის“ შესახებ მხედველობაში უნდა ჰქონდეს ეფრემ მცირის მიერ დასმული საკითხი (ქრონიკები, I 218).

ზედ მიესხი და მათ შორისცა იხილო ცხადად ქმნული ერთი». ამ-რიგად, „ერთის“ ცხადქმნისათვის უფრო გამოსადეგად არის აღიარებული „სამუსიკელოთა რთვად“, ე. ი. მხატვრული შორთვის ანუ მოკაზმვის გზა. ყოველივე ექვის გასაფანტავად, პეტრიწი აღნიშნავს ამ „რთვის“ ნიმუშებს: «ზოგთა კმათასა და შორთულებასა გუართასა რომელთამე მზისად, რომელთამე კრონოხსლად ანუ დიოხსლად და აფროდიტესლად აღიყვანებს სასწავლოჲ სამუსთაჲ». ყოველივე ექვს გარეშეა, რომ გზა „სასწავლოჲ სამუსთაჲ“ პეტრიწს „ერთის“ განცხადებისათვის უფრო ნათელ გზად მიაჩნია და „სიტყვერებაჲ“ მას შხოლო „ჰბაძავს“ (გვ. 22,22-24).

პეტრიწი დაულაღავედ უბრუნდება თავის გზას: ლოგიკურ-დიალექტიკურ მომენტებს ის მიუდრეკელად ასრულებს „ხედვითი“ მომენტით, იგონებს რა პარამენიდეს ნათქვამს—„ერთისა მიერ ცხოვრებისო ყოველი“. ეს ნიშნავს, პეტრიწით, «დაუდგნეს თუ არს-მან თვთებისა მიერ თვისისა ხატ ქმნასა მის ზესთ არსისა მზისასა», ე. ი. არსების გამოვლენა „ერთისა“, რაც ქმნილ იყო მზის საშუალებით, ანუ მზე იქმნა ხატად ერთისა.

მიდგება რა საქმე ქმნილი და უქმნელი „ერთის“ განსხვავებისათვის, როგორცაა ხუთობა და ხუთი, აქაც პეტრიწი პროკლეს საბუთებს ამატებს, რომ ხუთობა ერთ შემთხვევაში არის „ოდენ გუარ და შხოლოჲ“, ე. ი. შხოლოდ განსაზღვრული გვარი და ამის განსხვავებით დასძენს: «ხოლო ხუთი რიცხეთა შორის იხილვების», რომელსაც იღებს «დაზესთაებულისა ერთისაგან... და დაიხატავს თვს შორისცა და ზედაცა» (გვ. 24, 19--22).

ზოგიერთ შემთხვევაში ხატის აღსანიშნავად პეტრიწი მიმართავს რიცხვს: «თუ გინებს ცნობაჲ მათ ზესთ არსთა ერთთაჲ, მოიღე სახედ რიცხუთ-შორისი ესე ერთი», მაგრამ იქვე უწოდებს მათ „ხატთა—უგუართა“. ჩანს, მისთვის ეს გარემოება არ ემთხვევა ლოგიკურ „გუარს“ (გვ. 30,2).

ცოტა ქვეით: «რიცხუთაცა შორის ჰჰოო ხატი და მსგავსებაჲ ერთისაჲ»; რადგან ის ამ აზრის კონტექსტში პლატონს იხსენიებს, საფიქრებელია, რომ ამ ადგილს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს; თუ მისაღებია ცნობა, რომ პლატონმა თვით მიმართა რიცხვს იდეათა ბუნების გასაგებად, ხოლო პეტრიწი იღებს რიცხვს ხატად და მეორე მხრივ ასეთივე ხატად აღიარებულია მზე, აქედან უკვე მზადდება ნიადაგი მზის არა ანალოგიად, არამედ უფრო არსებითად მისაღებად; რიცხვი პლატონს მარტო ანალოგიად არ მიუღია, არამედ საგანთა არსებად: ამას თავისი მხარეები ჰქონდა, რომელთაც იდეათა და მოვლენათა შორის შეხების შესაძლებლობა უნდა მოეცა. მზეს, როგორც ნათლის წყაროს, ასეთივე

თვისებები მიეწერებოდა, რომელიც „უზიარებელად ზიარებას“ შესაძლებელს ჰყოფდა. აქ უკვე გაკეთებულია დიდი ნაბიჯი მზის ისევე „ერთის“ ხატად მიღებისათვის, როგორც რიცხვი „ერთის“ ხატად იყო მიღებული. „წარმართულ“ გამბედაობას აქ კიდევ ერთი ნაბიჯი რჩებოდა, რომ „ერთსა“ და „ღმერთს“ შუა მზე მოეთავსებინა და ამ გზით ანტიკური ფილოსოფიიდან წარმართულ; სოლარიზმისაკენ გზა გაეკვალა. ამისთვის კი ბიზანტიური რენესანსი არ კმაროდა: წარმართობისათვის ბრადებულნი იტალის შემდეგ ნიკოლოზ მეთონელის დაგვარ საქრისტიანო დამცველებს დაარჩათ მოედანი; იგი შემთხვევით არ იყო პროკლეს საწინააღმდეგოდ განწყობილი. ქართული აზროვნება პეტრიწის სახით სხვა გზით წავიდა; დევნილ იტალის მოწმობით პეტრიწი მტკიცე აღმოჩნდა თავის შეხედულებაში: ბიზანტიელ რენესანსის ეპიგონებისაგან განსხვავებით იგი პროკლეს და ანტიკურობას დაეყრდნო და „წარმართული“ დასკვნებისაკენ მიუდრეკელად მიდიოდა. ფილოსოფიურად „მზისა“ და „ერთის“ დაახლოვება საპირობებდა წარმართულ პათოსს და მაშინ ანალოგიის ადგილს რეალური გაგება დაიქერდა. ქართული საერო ფილოსოფიური აზროვნება ჩანს ამ გზით წასულა XII—XIII საუკუნეთა მიჯნამდე.

ამის შემდეგ მოდის პეტრიწისათვის ჩვეული ტერმინები: „ხედვაჲ სიტყვსაჲ“, ე. ი. სიტყვის აზრი და მნიშვნელობა, რაც ლოგიკური გარემოების „ხედვითი“ ფილოსოფიის ენაზე თარგმნას ნიშნავს (გვ. 31—32). ასეთი მოვლენა ტერმინი—„ხატი კეთილობისა“, სადაც „ხატი“ ნახმარია უკვე უმაღლესი მომენტის პლატონისებურ გამოხატვისათვის, კეთილობისათვის, რომელიც „ერთს“ უდრის (იქვე). „კეთილობას“ პლატონის კვალად, რომელსაც იმოწმებს პეტრიწი, ავტორი აღნიშნავს, როგორც «პირველსა წყაროსა და ერთთა წარმომაყენებელსა, ზესთასა გონებათა მზესა და ზესთ მარტივად დასდებს მას და სატრფოდ» (გვ. 33—34). აქ პოეტური მიდგომა მზისა და სატრფოს გამოყენებით, „ერთის“ კეთილად დასახევას თან ახლავს. პლატონის „ფედროსის“ დამოწმებით ავტორი პირდაპირ განაგრძობს ფილოსოფიური პოეტიკის გზას და ამბობს: «სადა პირველი შენადგი და პირველი შეწყობაჲ, მუნცა პირველი შუენიერებაჲ და სიკეთე». ქვეყნის სიკეთის მეოხებით შეწყობა პეტრიწს, პლატონის კვალად „სამუსოდ“ ე. ი. პოეტურად განაწყობს და იგი შეხარის «შუენიერებათა პირველისა მორთულისათა, სადა იწყო პირველმან ყვაელმან შეწყობისამან და პირველმან ნართმან სამუსთამან მის რჩეულ მეკელოვნისა მიერ წარმოდლებად გუართა გონიერთა» (გვ. 34,8—17).

ეს ადგილი მეტად მნიშვნელოვანია: პოეტურ ფორმაში აქ ნათელი ხდება პეტრიწის ზრახვანი: საქმე ისაა, რომ მშუენიერება და

პარმონია საშუალებადაა გამოცხადებული გონების „გუართა, ე. ი. ლოგიკის ცნებების დღესავეით ნათელსაყოფად, „წარმოდლებად“. აშკარად ნათქვამია, რომ ცხადყოფა, რომელიც აკლია „გუართა გონიერთა“, ე. ი. ლოგიკურს, უნდა მიეცეს მას სხვა გზით—სილამაზისა და შვენიერების დახმარებით.

პეტრიწი რომ სწორედ ამ გზით მიდის, ამას ადასტურებს მის მიერ ჯერ კიდევ შესავალში მოხსენებულის აღდგენა, რომ „არსება“ ჩანს მის ნამოქმედარში; იმავე აზრს პეტრიწი სხვა რედაქციით ასე გამოთქვამს: «ყოველი შობად ნიშნავს წარმოყენებასა ნაშვისასა, ვითარცა გონებად გასაგონსა და სული ნასულსა. ხოლო ხედვად მის ერთისა მზისად არ ესთა». აქედან ირკვევა, რა მკიდრო კავშირია პეტრიწის თხზულების შესავალსა და მეორე ნაწილს შორის, რაც საბოლოოდ ერთი მთლიანი დამოუკიდებელი თხზულების საბუთია (გვ. 35,5-7). „ხედვითი“ ფილოსოფიის პრინციპის გამოვლენა, აქ მოცემული, სხადასხვა სახით მრავალჯერ მეორდება თითქმის ერთსა და იმავე კონტექსტში. ყოველივე, რის „გასაგონად“ ე. ი. შესამეცნებლად „მიცემა“ შეიძლება, «იყოს ანუ გონება, ანუ სული ანუ ბუნება ანუ ესე განხიდული, რომელ არს ცაჲ» (გვ. 35,25-26).

„ხედვითი“ ფილოსოფიის გზაზე იოანე პეტრიწმა უკვე მიიღო მსგავსება „გუარისა“, და „ხატისა“; არსებასა და მის გამოვლენას შორის მან სინათლის ურთიერთობა მოხაზა და მათი „ერთ-ფერად“ შეკვრა განიზარა. ეხლა შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს მისთვის მოვლენათა წყობაში ანუ „სირაში“ სინათლისა და ფერის ისეთი განლაგება, რომ წყობის მომენტების ხარისხეულობა ჩანდეს. თუ მზე ამ სინათლის ურთიერთობის უმაღლესი საფეხურია, მისგან „სირაში“ შვებული სხივი მეტი თუ ნაკლების ნათელით და ფენით უნდა იშლებოდეს. კეთილობა, როგორც ამ უმაღლესი საფეხურის რომელიც ბითი დახასიათება, უმაღლესი მიზეზია. «აწ ესე ყოველნი საზომისაებრ თვსთა რომელობათაჲსა პირველად გაკეთდებიან თვთკეთილობისა მიერ და მერმე სხუათა აკეთილებენ», და ასეთია—ამბობს პეტრიწი— „სხეული ცისა სახეთა ყოველთა“. კეთილობა საფეხურებად იშლება, მაგრამ ზოგს იგი მეტი აქვს, «ხოლო რომელთამე მრუმედ და ბინდის სახით და ზედშემოსრულად და ნაელვად აქუს კეთილობაჲ». ასეთია ყოველივე მოკვდავი „ქმნისა და ხრწნისადა თანშეკრულად“. რომელიც ახლოა უმაღლეს მიზეზთან, უფრო ნათელია და „უმჯობეს... უშორიელესსა მიზეზისა“ ე. ი. იმაზე, რაც ამ მაღალ მიზეზისაგან უფრო დაშორებულია. ყოველი აქედან გამოვა და „მისდავე უკუ იტრფობს“. ეს რიგი ანუ „სირაჲ“ არის: ღმერთი, გონება, სული, ბუნება, სხეული. ყველა ესენი განსხვავდებიან იმით, რომ «რომელნიმე არიან უმახლობელეს თვსთა მიზეზთა და რომელნიმე უშორიელეს» (გვ. 36,15—30).

არისტოტელეს ამ უმაღლესიაკენ გზა, პეტრიწის თქმით, „გუართა-გუარის“ საშუალებითი წარმოდგენაა, მაგრამ დასძენს, რომ მას საფუძვლად მაინც „უცნაური ერთი“ უდევს, რომლის მეოხებით იგი „სრულ იქმნა“. აქ მოჩანს არისტოტელეს გზის უკმარობა, რადგან „გუართა-გუარის“ საშუალებით დადგენილს მაინც „სრულ ქმნა“ ესაჭიროება იმის მიერ, რაც „უცნაური“ რჩება.

სისრულის კეთილობის გამოსახატავად პეტრიწი პოეტურ მეტაფორას მიმართავს და ამ შემთხვევაში ტბას გამოიყენებს: «კეთილობაჲ ვითარცა ტბაჲ რაიმე უკიდოჲ კეთილთაჲ». მხოლოდ ამ გზით იხედების მთელი, როგორც „ბუნებაჲ ცისაჲ“ (გვ. 38,3—7).

სისრულის სურათი, ე. ი. წყობაში განლაგებული მოვლენები „თანტომ“ ან „ერთფერ“ არიან და ყოველი სისრულე მათ სრულმყოფელისაგან მოსდით და ამ „თანტომობისა“ და „ერთფერობის“ ნიადაგზე «ყოველი სრული, სრულმყოფელსა თვისსა ეტრფის» (გვ. 38,19-20).

აქ პეტრიწი თანდათანობით ავიდა პირველ არსისა და მისგან განსრულებულ მოვლენათა შორის იმ სპეციალური ურთიერთობის გაშლამდე, სადაც ნაცვლად „გუართა-გუარის“ გზით პოვნილ „უცნაურისა“ „ერთ-ფერობის“ ნიადაგზე ტრფობის პათოსი იქმნება. ნათელია, რომ ტრფობის ნიადაგის სრულ-ქმნის „ერთ-ფერობა“-ში მონახვით მან უკვე მოამზადა ნიადაგი ქვეყნის გაშლისა სიყვარულისა და ფერის ურთიერთობაში. თუ შემეცნების გაქანება გუართა საშუალებით მხოლოდ „უცნაურის“ საზღვრამდე მივიდა, ამით მან ადგილი დაუთმო ქვეყნის განცდის სხვა ფორმას, რომელიც სრულქმნის მეტ-ნაკლებ ნათელის განლაგებით „ერთ-ფერობის“ კვალ და კვალ ტრფობის განცდას ალაგზნებს. „შუენიერებისა“ და „სამუსოჲ რთვაჲ“-ს გზა აღრე თუ გვიან ამ მომენტამდე უნდა მოსულიყო; საჭირო იყო პროკლეს „აღმოსაჩინთა“ ზედ ამ „დანათხზის“ დართვა. ამით ქართული აზროვნება გარკვეულად თავის საკუთარ გზას დაადგა, რომელზედაც მან საუკუნე იარა და „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრულად უკუიფინა.

პირველი მიზეზი წოდებულია აგრეთვე „ნათელად მარადისობისა“. თავისი აზრის ნათელსაყოფად პეტრიწი უბრუნდება პლატონს, და სოკრატეს პირით მოჰყავს უზენაესი მიზეზის დახასიათება, სადაც „მოიღებს სასახოდ ამას მზესა“ და, უწოდებს რა მას აპოლონს, (სოკრატე) «იტყჳს ვითარმედ აპოლონს მიერ და მისთა დრეკათა ყოველი ესე ქმნას». ამ მსჯელობას მიჰყვება პეტრიწი და ყოველი შენიშვნის გარეშე მოჰყავს იმავე აზრთა განვითარება: «ეგრეთვე მის მიერ მზისა მიერ ყოველი ნაბადი»; იგი ერთია და უცვლელი; არც აღრევს, არცა იცვლების «ხრწნასა და ცვალებასა შორისთა მზე».

ასეთია ამბატებს პეტრიწი „ერთი“: „იგი არ გამრავლდების მყოფთა თანა რაჲთა“, არამედ საკუთარ ბუნებაში რჩება, არ მიჰყვება ბუნებას და არ იზღვება მასთან და რჩება „დიოს“ (ღმერთი). ამ დებულების შემდეგ პროკლე ლოგიკურ მტკიცებას იწყებსო—ამბობს პეტრიწი—«აწ იწყებს აღმოსაჩენთა თხზვასა და კაზმვად» (გვ. 39,14—26).

არსთა წესი, ანუ „სირაჲ“ ითხოვს საზღვარს, რომელიც ქვეყნის წესის თავდებია. ეს აზრი პლატონმა ნათელი გახადა „πᾶρα δὲ — πείραξις“—ის ურთიერთობაში. პროკლე ამ აზრს ავითარებს, მაგრამ პეტრიწს, როგორც ყოველთვის, მტკიცების წესი აინტერესებს: «თუ არაა საზღვარი არსთაჲ, არცა წესი იყოს; და თუ არცა წესი, არცა განგებაჲ; და თუ არცა ვამგე, არცა მხედრი»; და თუ შემდეგ ყოველი ასე წავიდა, მაშინ პეტრიწს პროკლეს აბაგოგიური მტკიცება კი აღარ აინტერესებს, არამედ მეორე, „ხედვითი“ გზა. მართლაც და დასასრულ მოყვანილ რიგისა ის იკითხავს: «თუ არცა რაობაჲ რათაჲვე, სადა ხედვაჲ გუართაჲ». „საზღვარი“ აუცილებელი ყოფილა და ამიტომაც უმაღლესი ძალა „საზღვარის დამსაზღვრელია“ და იმავე დროს „არსთა მხედი“ (გვ. 41,7-11).

პეტრიწი თანდათანობით უკვე შეეჩვია ლოგიკურ გარემოებათა „ხედვითი“ ფილოსოფიის ენაზე გადატანას, როგორიც არის „გუართა ხედვაჲ“. ქვემოთ, არსთა წყობის განხილვისას იგი იმავეს იმეორებს: «ესე არს ხედვაჲ ამის სიტყვსაჲ, ე. ი. მნიშვნელობა. ამით პეტრიწს საბოლოოდ გაკაფულად მიაჩნია გზა, სადაც ლოგიკური ღირებულებანი, მაგ. „მნიშვნელობა“, შეიძლება შეიცვალოს; ხედვად“ (გვ. 42,22).

ამავე მიმართულებით პეტრიწს აღარ უქირს შემდეგ და შემდეგ ყოველი ლოგიკური ოპერაცია სინათლისა და ფერის ენაზე გადაიტანოს. აქამდე ეს მოხდა „სიტყვსა“ და „გუარის“ მიმართ, ეხლა საკიროა უფრო რთული ლოგიკური ოპერაციის, როგორცაა სილოგიზმი, ასევე სინათლისა და ფერის ნიშნის ქვეშ დასმა. საკითხი ეხება „ერთისა“ და „კეთილობის“ იგივეობის დამტკიცებას კი არა... არამედ „ხედვას“; მაშასადამე, მიზანია „იგივეობად დადვას ხედვაჲ ერთისა და კეთილობისაჲ“, როგორ ხდება ეს დადება ხედვისა. პირველი ხომ ლოგიკური ოპერაციაა და დამტკიცებას, დადგენას ნიშნავს; მიუხედავად ამისა პეტრიწი მას ისეთ ინტერპრეტაციას უკეთებს, რომ ცენტრი „დადებიდან“ „ხედვაში“ გადადის; «გესმა—ამბობს პეტრიწი—თუ ვითარ მოქმედებათაგან და შემდგომთა აღმოაბრწყენს სანთელსა აღმოჩენათასა, რაჲთა ერთ და იგივეობად დადვას ხედვაჲ ერთისა და კეთილობისაჲ», და მეტი გარკვეულობისათვის დასძენს: «ერთ არს ყოველი ესე საჩინოჲ ხილული ვითარცა ერთი...» (გვ. 45,9—15).

მოძრაობის საკითხთან დაკავშირებით, მისი სამ სახეობად გაშლის შემდეგ, ისმის საკითხი ერთისა, რომელიც ყოველის „მიმდრეკია“, მაგრამ თვითონ ყოველგვარი მოძრაობის გარეშე დგას «მიუდრეკელად და ზესთა ყოვლისა ცვალებისა და მიდრეკისაგან», და რომელშიც მოთავსებულია «სიკეთეთა და შუენიერებათა წყაროდ და ინდალმად ერთთა შარაევანდოვსაჲ» (გვ. 47,10—13)¹.

ამრიგად, პირველ მიმდრეკი და საზოგადოდ მოძრაობის და ამოძრავების საკითხი პეტრიწისათვის იმავე სინათლის ტერმინებში ისახება. ის ამ აზრს საბოლოო განმარტების დროსაც იმეორებს, „თვიმიმდრეკი“ ე. ი. პირველი მამოძრავებელი, რაც იგივე „ერთი“ და კეთილობაა, «არ ვისგან მიიღებს ცხოვრებასა... არამედ ბუნებად მისსა არს იგი ვითარ ბუნებად ნათლისა» და ამის შემდეგ პლატონის ἀσχοῦρ-ის ცნებას მოიშველებს, და თანაგრძნობით მოჰყავს ზევისის მიერ ქვეყნის მიხედვით „ერთთა მზისად“ ქვეყნის შექმნის ისტორია².

ეს მოშველიება პლატონისა საშუალებას აძლევს პეტრიწს ერთხელ კიდევ გარკვეულად გადაშალოს ქვეყნის წყობის სურათი, სადაც «ყოველი სხეული და სხეულიანი არსებად სულისა მიერ ეზიარების გონიერსა და მიუდრეკელსა არსებასა, ვითარ სული გონებისა მიერ ნამდვლ მყოფისა მორთულებასა», და დასასრულ ყველა ესენი, ე. ი. სულიცა და გონებაც, «ერთბამად სული და გონებად ყოველნი ნამდვლ მყოფისა მიერ მზესა მას ერთთასა» (გვ. 48,10—14).

ამრიგად, დამოკიდებულებათა რიგში აქ ყოველივე ორაზროვნების გარეშე, ე. ი. ყოველივე ანალოგიის გარეშე, მზე გამოცხადებულია „ერთად“, რომელსაც ეზიარება „ნამდვლ მყოფისა მიერ“ ყოველი. პლატონის მოშველიებით და „ტიმეოსის“ წარმართული პათოსით გამხსნეველი პეტრიწი აქ საესებით საერო წარმართული ფილოსოფიის ნიადაგზე დგას.

მთელ თხზულებაში ტერმინი „ხედვაჲ“ ცვლის ლოგიკურ კატეგორიას „მნიშვნელობისა“. გადასვლა ახალ მომენტზე — უკუმიქცევისაკენ, რომელსაც განიცდის ყოველი არსი მიმართ თავის მიზნისა და შემქმნელისა, დიალექტიკის განვითარების ახალ საფეხურზე ასვლას ნიშნავდა. პ რ ო კ ლ ე ს დიალექტიკა თავის ადგილზე მივიდა ამ მომენტამდე³: რატომ ხდება, რომ „უკუნ იქცევიან არსნი თვსდალდე?“.

¹) ტერმინი „ინდალმად“, რომელსაც არა ერთხელ ხმარობს პეტრიწი, არის ბერძნული *ἰσθαλμία*, რომელსაც პეტრიწი „კავშირნი“-ს თარგმანში გადმოგვცემს სიტყვით «შარაევანდელი» (იხ. ზევისი გამოც. „იოანე პეტრიწის შრომები“, ტ. I, გვ. 42,31).

²) „განმარტებაჲ“, გვ. 47—48; შეად. პ ლ ა ტ ო ნ ი ს „I'maios“ 41 D და შმდ.

³) პროკლე „კავშირნი“, თავი 15 (იხ. ზევისი გამოცემა „იოანე პეტრიწის შრომები“, ტომი I, გვ. 14—15).

პეტრიწი იცნობს პროკლეს საბუთებს, მაგრამ ამბობს: „რამეთუ ყოველთა მყოფთა შორის მითესულა ნათელი ერთისა“, ე. ი. მისი პასუხი ეხლა უკვე გამართულია სინათლისა და ფერის ფილოსოფიის ენაზე. ყოველი მოსალოდნელი ექვის თავიდან ასაცილებლად პეტრიწი დასძენს, რომ სინათლეს, ანუ ნათელს ნურგინ გაიგებს. როგორც გარეგნულ მოვლენას. «ხოლო გესმა რაჲ ნათლად, ნუ გარეთ და ზედშემოსრულად იქნო, არამედ გაიგონე იგი თულად; რამეთუ ვითარ თესლად და მიზეზად არისიად, რომლისაჲ იყოს არისია» (გვ. 48, 28-30). ამის შემდეგ შეუძლებელია, რომ პეტრიწი საეგზებით შეგნებულად არ ეპყრობოდეს „სინათლის“ საკითხს. ყოველ შემთხვევაში მისი განცხადების აზრი სწორედ რომ ასეთია. „ერთი“, რომლის დამოკიდებულება პროკლეს მიერ ირკვევა ზემოდან ქვევით და ქვემოდან ზევით, მთავარი მიზეზი, მზე და მზედიანია; ასეთია მისი მრავალი გამოთქმის საშუალება. მოვლენათა მთელ რიგს აქვს მასთან—„ერთთან“ კავშირი. «ყოველთა შორის მითესულ არიან თესლნი მის ერთთა მზისა და მზედიანნი». აშკარაა, რომ „არსთა მზედი“ და „მზე“ ერთი და იგივეა. ყველაფერი მზისაგან არის და „შეეყოფვის მას ზესთათა მზესა ერთსა“. ამის ნათელსაყოფად პეტრიწი მოიშველიებს პლატონს („ფედროს“). სინათლის პრინციპზე პროკლეს საბუთების სრულქმნიდან პეტრიწი გადადის სისტემის აგების ცდისაკენ (გვ. 49, 11 შემდლ.).

„პირველი“ მზე, „ერთი“—„პირველად დაემთხუევის არსთა ყოველთა სიმრავლესა და მრავალსახეობასა მყოფთასა“, რის შემდეგ კვლავ უბრუნდება თავის თავს, სადაც უნდა მოხსნას ყოველივე ლოგიკური გზები და საშუალებანი, რომლებიც მხოლოდ დაღმავალ ურთიერთობისა და განფენისათვის ვარგოდნენ. შექცევითს გზაზე, საკუთარ თავთან მისასვლელად და მასში ჩასაღრმავებლად უნდა გაუქმდნენ არა მარტო „გუარნი“ და „გუარობაჲ გუართაჲ“, არამედ საკითხი თვით „არსებასაც“ უნდა შეეხოს: „განაგდებს თითოგუარობასა გუართასა და თვთ თვისსაცა არსებასა აღიძრკვსო“. ასეთია ის პროცესი შიგმიბრუნებისა და ჩაღრმავებისა, რომელიც ბრუნდება ქვეყნად განფენილობიდან თავის თავში¹. როცა პროცესი ამ საფეხურზე მივა „მოეხუევის პირველად თვის-შორისსა ღმერთსა და ერთსა და მერმე მის მიერ მას გამოუსიტყუსა მზესა ერთთასა“. აქ საგულისხმო ისაა, რომ სინათლისა და მზის შესახებ აშკარადაა ნათქვამი, რომ ისინი „გამოუსიტყუნნი“ ე. ი. ლოგიკური საშუალებით „უთქმელი“ არიან.

¹) Hegel, Geschichte d. Phil. III, 1. ჰეგელი ნეოპლატონიზმის ამ მომენტს გამოხატავს ენება „Er—innerung“-ით, სადაც ხელოვნურმა ტეხილმა სწორედ ჩაღრმავება უნდა გამოხატოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკუნქცევა—რედუქცია—რომელზეაც ლაპარაკობს პეტრიწი, პროკლეს დიალექტიკის ამ საფეხურთან დაკავშირებით, არ უნდა იყოს გაგებული ვრცეულად. პეტრიწი აფრთხილებს მკითხველს: «უკუნქცევაა რაღა გესმას, ნუ ადგილით ოდენ ჰგონებ, ვითარცა სხეულთა ზედა, არამედ უსხეულოდცა ისმინე»; ეს მით უფრო, რომ „უკუნქცევა“ სისრულისაკენ „ღმობაჲ“, სიყვარულის (წინათ პეტრიწი ამბობდა „ტრფობის“) მსოფლიო დასაყრდენია, რადგან „ერთისა“ სიყვარულითა უკუნ იქცევის, რომლის მიზანია «ჰპოვოს თვს-შორისისა ერთისა მიერ საწყური მყოფთაჲ და მზე ერთთაჲ». ერთისა და მზის მიერ ნათელით მოფენილ გზაზე ტრფობითა და სიყვარულით აღინთებიან „ერთ ფერნი“, —ასე დაფორმდა უკვე პროკლეს არგუმენტაციაზე „დანათხზი“ ქართველ ფილოსოფოსის გზა, „ხედვითი“ ფილოსოფიით წარმართული (გვ. 49, 29 შმდლ.).

მიზეზისა და „მიზეზთანთა“ ურთიერთობამ წამოაყენა საკითხი პროკლეს წინაშე პირველ მიზეზის ბუნებისათვის. იგი არის, როგორც პეტრიწი განმარტავს, „არ მოქნე სხვსა მამყოფებელად თვსად“, ე. ი. თავისი არსებობისათვის სხვას არ საჭიროებს, Causa Sui ევროპის მოგვიანო აზროვნებისა. ამის იქეთ არის „ზედმოსრული“ (συσμ-ქεჩუჯძე), «რომელთა—ამბობს პეტრიწი—შემთხუევითად უწოდეს პერიპატოღს გამოთა». ეს უკანასკნელი სადაო აღმოჩნდა; მისი ფასი, როგორც მაგ. სხეულებრივი სილამაზისა „ვითარ მხედველთა შუენებითისა ოდენ სხეულისათა“. ღიდმა პლატონმა—ამბობს პეტრიწი აქ არსებითიც დაინახა, რადგან სხეულებრივ სილამაზეშიც არის თვით სილამაზე, რომელიც ლამაზი საგნისაგან განირჩევა, „რამეთუ მუნ მორთულედაჲ არს“, რომელსაც სამი წყება ან „ფერი“ გააჩნია (გვ. 54, 5—10). ამიტომაც შემთხუევიითის ანუ „ზედშემოსრულის“ გასარკვევად პეტრიწი აყენებს საკითხს: „რაღეე ბუნებითთა ხედვათა შორის ზედშემოსრულად და შემთხუევითად ხედო, ხოლო მუნ არს და ტომ არს“, ე. ი. გვარ-ტომის გასარკვევად პეტრიწს სწორ გზად მიაჩნია „ბუნებითი ხედვა“ (გვ. 54, 21-23). აქედან გაბედული ნაბიჯი „გუარის“ გამხედველობისათვის: «იხილე მექურეტმან, რამეთუ ოდეს არსი ანუ მყოფი სთქვა, მყის თანვე გუარსა წარმოიყენებ ხედულისასა, რაჲც ხროა იყოს გაცდა, ხედული იგი» (გვ. 54, 27-30).

საგულისხმოა, რომ გუარი და ხედვა აქაც იმ ურთიერთობაშია—„გუარი“, ჩანს, დაღმავლობის გამორკვევა უნდა იყოს; ხოლო იწყება თუ არა „უკუნმოქცევა“, გუარი იხსნება და მის ადგილზე ჩნდება „ხედული“ „ფერი“. ისიც აღსანიშნავია, რომ თუ „ნემოთ-ჟერი“ პეტრიწმა წყობის გამოსახატავად ქართული ტერმინით იხმარა, ეხლა იგი ბერძნული ძირით იმავე სიტყვას მოიხმარს—„ხროა“.

რომელიც ბერძნულ $\chi\rho\alpha\mu\alpha$ -სა ანუ $\chi\rho\acute{\alpha}\nu$ -აგან უნდა იყოს, სადაც იგი, აგრეთვე „ფერს“ ნიშნავს. ამრიგად „ფერი“, „ხროამ“—ხედული ქვეყნის ის საშუალებაა, რომელიც „სიტყვებებით“ ქვეყნის „გუარს“ უღრის.

ყველა ამის შემდეგ ძირითადი მიზეზის ანუ მამოძრავებელის საწვდომად სრულიად გასაგებია პეტრიწის მოწოდება: «პირველსავე ხედვასა აღვიდეთ, რომელი გუეტყოდა, ვითარმედ—ყოველი მიმცემი სხვათა აობისაჲ პირველ თვთ იგი არსა». ამის შემდეგ ქმნის იგი ქვეყანას, სადაც იგი თავის რაობისაგან მისცემს მოვლენებს „გუარს“ „ყოველსა სირასა შორის“, რომელიც განლაგდება ხან „ხატის-ხატად“ და ხან „ბინდის გუარ“ (გვ. 55, 5—13). საგულისხმოა, რომ თუ წინათ „ბინდი“ და სინათლე თავის საკუთარ ხაზს არკვევდა, ახლა მთელი ლოგიკური შეცუულია „ხედვითს“ ფილოსოფიაში და ლაპარაკია „ბინდის გუარზე“, როგორც სულზე.

„სირამ“ ქვეყნის წყობის, არსებათა და სულთა განლაგების გამოხატველი ტერმინია. გონება, სული, კავშირნი—ყველა ესენი არის „სირამ“ მთლიანი, სადაც თითოეულს თავისი შინაგანი წყობა აქვს. „ერთი“ არის დასაბამი ანუ „მიზეზი მყოფობისაჲ“, იგი არის პირველ და „მიზეზი არს მის სირამსა“. ყველაფერი ამ სირამში განლაგებულია „ფერის“ მიხედვით და რამდენად იგი თავის დასაბამის ახლოა, იმდენად „ერთის“, რომელსაც თვითონ დასაბამი არა აქვს—თვით არის ყოველის დასაბამი—„ფერია“: «ყოველი მოახლე თვსთა დასაბამთა უდასაბამოჲს ფერა». ყველაფერი პირველ კეთილიდან კეთილდება და «პირველისა მიზეზისაგან იწარმოებესცა სწორედ ყოველთა და აკეთილდებისცა შესაბამად თვსთა განათლებათასა». მაშასადამე, მთელი ქვეყანა უდასაბამოთი დაწყებული, რომელიც სხვათა დასაბამია, განლაგდების სირასა და პირველ სიკეთის მიერ გაკეთილებული წარმოადგენს წყობას, სადაც ყოველივე მოთავსებულია ფერისა და სინათლის მიხედვით, რაც დასაბამთან მეტი თუ ნაკლები სიახლოვით განისაზღვრება. ასე ჩამოყალიბდა თანდათანობითი წყება, რომელიც ქართველმა ფილოსოფოსმა პროკლეს მიყოლით დაამუშავა.

განსხვავებით იმისაგან, რაც თვითონ გააკრვია, როგორც გზა ქვემოდან ზევით, პირისპირ გზისა ზემოდან ქვევით, პეტრიწი აღნიშნავს პროკლეს შესახებ, რომ ის იქაც იცავს პერიპატოელთა მიერ მიღებულს ლოგიკურ გზას. პროკლემ ეს ჩაიდინა—ამბობს პეტრიწი—«რაც სრულ ყვნა ყოველნი ზენანი ხედვანი» და გაიარა სირა „ერთისა“, ნამდვილ მყოფისა, სულისა, სხეულისა და შემდეგ „იწყებს ქუენათაგან ზენათადმი“. რისთვისაც—ამბობს პეტრიწი განსხვავების საჩვენებლად—«გუარსა დაიცავს აქა პერიპატოელთასა». ეს ხაზგასმა

ნათლად აჩვენებს, რომ პეტრიწი აქ გამოყოფს თავისი გზიდან პროკლეს გზას (გვ. 57, 1 შმდლ.).

სულის „თვთმომდრეკობის“ ნათელსაყოფად, რაც თვითმობრობას ნიშნავს, პეტრიწი იღებს ცეცხლის სახეს. აქ ის ნეოპლატონიზმის ფიზიკას ემყარება და მიყვება მას იქაც კი, სადაც გონებისაგან სულის განსხვავება ცეცხლის ხარისხში უნდა მოჩანდეს. სული „დაკლებულა გონებისაგან“ ე. ი. მასზე ნაკლებია, «რამეთუ გონებასა [ცეცხლი] დაუესებლად აქუს თვს შორის».

ხუთი საუკუნის წინ ქართველი მოაზროვნე ა ბ ი ბ ო ს ნ ე კ რ ე ს ე ლ ი «ცეცხლის დაესებასა» ანუ „დაშრეტაზე“ ლაპარაკობდა და ამის ძალით ეძრებოდა მაზღეანიზმს. ხუთი საუკუნის შემდეგ დასავლეთის ფილოსოფიასთან შეხებისას დატოვებულ იქნა ცეცხლის უპირატესობის უარყოფელი თვალსაზრისი და აღმოსავლურმა სტიქიამ თავისი გაიტანა და დაუესებელი ცეცხლის იდეა ქართულ მოაზროვნეს შეათვისებინა. ამაში იყო ძალა საერო ფილოსოფიის ნიადაგზე გადაქრით გადასვლისა და წარმართობასთან დაბრუნებისა.

ამის შემდეგ ისმის საკითხი: როგორია შემეცნება „გუარის“ მეოხებით, როდესაც გუარი წარმოდგენილია როგორც სახე ე. ი. „გაგუარებული სახე“. «აწ გაგუარებულთა სახეთა ზედა განვაშიშულთ სიტყუაჲ»—ამბობს პეტრიწი და ფიქრობს, რომ „გუართა“ საშუალებით იშლება „ცხოვრებისა მრავალგუარობა“. რაც შეეხება უმაღლეს ცოდნას, პეტრიწი თვლის „ძალსა გამგონეობისასა უზესთაესად ზედმოსრულად“. ეს უკანასკნელი შეიძლება ექვს ბადედდეს: მართლაც ზემოთ პეტრიწმა „ზედმოსრულობა“ არაარსებითის, შემთხვევითის ბადად გამოაცხადა არისტოტელეს τῆς ἀπὸ φύσεως ἰσχύος ნიშნებით და ეხლა „უზესთაესი ძალა გამოგონებისა“ ამავე ნიშნით არის დახასიათებული, მაგრამ ამ აზრს არ უშვებს აქვე არისტოტელეს „თვრათენის“¹ ცნების მოშველიება, «რომელ არს ესეთა ნაკადი მზისა შარაჲანდთაჲ». რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ „გაგუარებული სახით“ მოვლენათა და საგანთა შინაგანი წყება გაიგება, მხოლოდ ამის იქეთ ის—ე. ი. ლოგიკური გზა—ვერ წავა და „ძალი გაგონებისა“ ამათთვის წარმოდგენს ზემოდან, გარედან დანათებულ სხივს, ნაკადს მზისა შარაჲანდელისა. გუართა საშუალებით რომ უმაღლესი გონება არ დაიჭირება, ამას პეტრიწი ეხლა აშკარად ნათელყოფს. გონებას «თავსა შორის თვსსა ჰქონან ყოველნი გუარნი არსთანი», მაგრამ არა ისე, როგორც სულს „არამედ გონებით და გაგუარებულად“; მაგრამ ეს თუ მისთვის ღირსებაა სულთან შედარებით, მაინც ნაკლია, რადგან „გუარი“ არაა მიჩნეული

¹ ბუნდამეი ნიშნავს „გარედან“.

„ერთობის“ განმტკიცების გზად. ამიტომაც დასძინს პეტრიწი, რომ გონება «თვთ ამით მოკლებულა პატივსა და ძალსა ერთობისასა, რა-მეთუ გუართა თვს შორის ქონებითა აღგილად გუართად იქმნების და განმრავლებების... და ხედავს თვს შორის სიკშოსა გუართა მორთუ-ლებისასა... და ეს ვითა დაორღების და დასცილღების ერთობასა» (გვ. 58, 17—22).

აქედან სრულიად ნათელია, რომ „გუარი“ არ ყოფილა იარა-ლი, რომლითაც დაიძლევა შინაგანი გაორება, რომ ის მხოლოდ მრავალსახიანობის საწვდომ საშუალებად არის მიღებული, ხოლო უმად-ლეს მთლიანობას იგი თვით არღვევს და ლოგიკურის გზით „დას-ცილღების ერთობასა“. გონების საზღვარიც, მაშასადამე, აქ უნდა იყოს. ჯერ კიდევ შესავალში აღნიშნა პეტრიწმა, რომ გონება სჯობს სულს თავისი უშუალობით, სადაც გონება და გასაგონო ემთხვევიან ერთი მეორეს, მაგრამ იქვე ხაზი გაუსვა, რომ გონებას და მის ია-რალს „გუარს“ არ ძალუძს უმადლესი მთლიანობის მიღწევა. ეხლა პ რ ო კ ლ ე ს არგუმენტაციის განხილვისას იგი მეტის სიმტკიცით უბრუნ-ღება იმავე დებულებას და აცხადებს, რომ გონება სწვღება მხოლოდ იქამდე, ვიდრე მოიხმარება „გუარი“, რის იქეთ მას საქმე აღარ აქვს. «გონებისა ყოველი მოქმედებად ვიდრე და სადამღის მოქმედებს ძა-ლი გონიერი, და გაგუარებულთამღის. ხოლო მეტად ველარა გაზიდავს თვსთა გონიერთა ნათელთა». ამიტომაც გონებას უნდა დაერთოს „ერთისაგან“ მოსული სინათლე, რომელიც მას აღამადღებს გუარ-თა „შხედ“, აზიარებს უზესთაესობას. «ხოლო ერთი და სულსაცა თანა ვითარ ძალსა ცხორებისასა და წყაროსა და გონებასაცა თანა, ვითარცა მზესა გუართასა» (გვ. 58, 24—29).

ეხლა გასაგებია, რომ ეს სინათლე მზისა თუ არ მოეფინა გო-ნების მოქმედებას „თვართენ“ ე. ი. გარედან, ზემოდან, იგი, და-ტვირთული „სიკშოდათა გუართა“ ვერ მივა ერთამდე, „ცილღების ერთობასა“. ამის მიზეზებს პეტრიწი მოკლედ გამოთქვამს: „ერთი ზესთა ძეს გუართა“, რომელიც განსხვავებულა იმ საგნობრივ კონ-კრეტული ერთისაგან, რომელიც „გაგუარებამდე“ არ მისულა (მაგ. ემპირიული საგანი, ნივთი). ეს უმადლესი „ერთი“ არის „მოკლებით გუართაგან“ ე. ი. განთავისუფლებულა „გუარის“. ანუ ლოგიკურის განსაზღვრულობისაგან და ამდენად დიალექტიკის უმწვერვალესობას წარმოადგენს—იგი არის «მსგავს უმსგავსოდ და კუალად უმსგავსოდ მსგავს» ე. ი. ის კიდევ ეკუთვნის ცნებათა მიერ შექმნილ რიგებს და არც ეკუთვნის (გვ. 59, 8).

ლოგიკური გზის შეფასება და მისდამი ერთის ის დამოკიდე-ბუღება, რომელიც განავითარა პეტრიწმა პ რ ო კ ლ ე ს ფილოსოფიის დებუღებათა გარჩევის გზით, აუციღებლად მიიყვანს მას „უკუნმიქ-

ევეის“ უფრო დეტალურ დამუშავებამდე. რაც ლოგიკურის ზევით არის ანუ „წინალოგიკურია“, მისგან არც გამოყვანა შეიძლება არაფრის; მისდამი არც „უკუნქცევის“ ლოგიკური გზა არსებობს. გზა ზევით და გზა ქვევით ერთია. პეტრიწმა იცის, რომ პროკლე «იწყებს ერთისა და უპირველესისა სულისათ და სულთა სიმრავლედში შთაღება და კულად სიმრავლესა და სულთასა ერთისადმი აღყვანებად». ესაა ნამდვილი პრობლემა, სადაც, „რადც იწარმოა ერთისა მიერ გონებისა, მისდადე უკუნ იქცევის“. ასე გაიგო პეტრიწმა დიალექტიკური რკალი და მისი კიბური ისე გაშალა, რომ ყოველივეს თავის „საყოველთაო“ უღვეს ძირში, მაგრამ საბოლოოდ ყველას— «მხოლო ერთთაჲ—მზე იგი ერთთაჲ». ყველაფერი მისგან ამოდის და მისკენვე მიდის, მაგრამ ნათელის და არა „გუართა“ გზით, ე. ი. „პირველთა შორის ხედვითა“ (გვ. 59, 16).

და ამის მიხედვით ყოველი—„სირასა შორის ერთისა“, სადაც ზემოდან დაწყებული ქვემოთ ჩამოდის სირაჲ და პირიქით „შემდგომითი შემდგომად“. ეს ადგილი უნდა იქნას აქ მოყვანილი, რათა ნათელი გახდეს პეტრიწის მიერ წარმოდგენილი ქვეყნის განლაგება, გაკეთებული პროკლეს ნიადაგზე და სინათლის პრინციპის გამოყენებით; ყოველი მაღალი საფეხური მიმდევნოს მიზეზია, ანუ უმაღლესი კეთილობა იწლება საფეხურებრივ კეთილობად. სურათი ასეა გადმოცემული: «ერთნი ნამდგლ მყოფისა, ხოლო ნამდგლ მყოფი გონიერისა არსისაჲ, ხოლო გონიერი არსი—სულისა, ხოლო სული—სულთა, ხოლო სულნი—ბუნებისა, ხოლო ბუნებაჲ—ცისა, ხოლო ცაჲ—ოთხთა კავშირთა, ხოლო ოთხნი კავშირნი—ყოველთა ქმნისა და ხრწნისა ქუეშეთა. ხოლო ერთი იგი და ზენაჲ ყოველთაჲ სწორებით ყოველთა მიზეზ» (გვ. 59--60).

ეს ადგილი მეტად საინტერესოა. მეთოდრიდან აქ სისტემატა ჩანს. „ერთი“ ყოვლის მიზეზია, მაგრამ ისეთ დამოკიდებულებაშია იმასთან, რაც არის „ყოველსა სირასა შორის“, რომ მისკენ ლოგიკური, „გაგუარებული“ გზა არ კრის. მიუხედავად ამისა—ქვეყანა წესია, სადაც ზემოდან ქვევით, და პირიქით, ყველაფერი თავის ადგილზეა: ეს არის არე „პირველთა, შემდგომთა, საყოველთაოთა ნაწილებთა მსგავსთა, უმსგავსოთა, უკულოთა, მეკულოთა». ზევით მეტი სრულქმნაა: ადამიანები ან სულთა სირაში არიან, ან და დროებით—ოთხთა კავშირთა „ქმნისა და ხრწნის ქუეშეთში“. აქ საკითხს წყვეტს, როგორც წინათ გაირკვა, მანძილი მზისაგან. როგორც სინათლის უზესთაესობისაგანი, ყველაფერი „ზემოდანაჲ თავის ადგილზე დაბადებული“, მაგრამ არის „უკუნქცევად წადიერი“ „დაშრეტად ლმობისა ტრფობისასა უზესთაეს სრულყოფის ე. ი. მზის მიმართ (გვ. 60,5 შმდ.).

მთელი კიბური ან „სირაჲ“ მისი გაგებისათვის წარმოდგენილ უნდა იქნას, როგორც „ერთის“ გამოვლენა. ყველა ეს „პირველის“ „ხატის-ხატია“ და მისი ერთობად შეკვრა შემდგომი, ადამიანური, წარმოშობისაა; «შემდგომთაგან ჰკადრა მას სურვილმან ერთობაჲ, ვითარ ერთ მქმნელსა ყოვლისა სირაჲსასა». თავისთავად იგი არც ეს ერთობაა, არამედ თავის თავში დაზესთავებული (გვ. 62, 6-7). მისი ატრიბუტებია: „პირველი მორთული, პირველი სისწორე და პირველი შეენიერება“.

ასეთია პათოსი, რომლითაც ასწერს უზენაესს პეტრიწი, პათოსი, რომელიც მასში პოეტსა და მოაზროვნეს ამხელს (გვ. 62, 28). უმაღლესი საფეხური, მიღწეული ყველა ზემოთ ნახულის შემდეგ — არის მზე. მისგან არის ყოველი სინათლე, ყოველი სიკეთე. თითოეულ საფეხურს მსოფლიო წყობაში თავისი წილი სინათლე აქვს და აძლევს სინათლეს „უმოქენოსა“ ანუ, როგორც პეტრიწი იტყვის „აციკროვნებს“ მას. ეს ტერმინი პროკლესაგან აღებული, პეტრიწის მიერ ახსნილია როგორც „ციკრის ფერ ყოფა“, უმაღლესი საფეხური — მზე არ შეიცნობა: «არცა გრძნოთა ესე მზე... არცა სულითი ცაჲ და მზე, და არცა გონებითი, ვითარ ნამდვლ ნამკი, და ნამდვლ მყოფი». მისკენ მისვლა, მისი წვდობა მხოლოდ იმ გზით შეიძლება, სადაც იგი, როგორც «ერთი და პირველი კეთილობაჲ მზე», ნატერის და წადილის საგნად გადაქცეული, „შეირწყამს“ ყოველ სურვილს, რომელიც ისწრაფის იქ, «სადა აღმართდა ყოველი მუნ მხედი... ყოველთა ცისკართა აღციკრებაჲ... ყოველთა ღღეთა აღღეებაჲ» (გვ. 63, 11-18).

აქ მთელი ქვეყანა სინათლის ხაზზეა განლაგებული: უზენაესი სინათლიდან — მზიდან — უმდაბლესამდე ყოველი გაგებულია, როგორც „ციკრის ფერ ყოფნა“. ქვემოთ მოთავსებულია „უმოქენე“ სინათლისა და ფერისა, ანუ მისი მინიმუმ ფორმაში მქონე; ზემოთ კი „ყოველთა ცისკართა აღციკრებაჲ და ყოველთა ღღეთა აღღეებაჲ“, ე. ი. მარადიული სინათლე. მართალია, არც პროკლე და არც პეტრიწი არ მისულან ამავე აზრის აღმოსავლურ-ინდურ გავლენით შექმნილ ფორმულამდე — „ულამო ღამისა“ ანუ „მზიანი ღამისა“, რომელიც მოცემულია იოანე პეტრიწის სკოლის შემდგომ წარმომადგენელთან — იეზეკიელთან, მაგრამ აქ არსებითად ერთი და იგივე ამბავია. პეტრიწის მიერ განვითარებული პროკლეს წარმოდგენა, გამოთქმული მის მიერ ფორმულით „ყოველთა ღღეთა აღღეება“, ამავე მარადიული სინათლის გამოხატულება და ისევე გამოხატავს ბნელს, როგორც „ულამო ღამე“ ანუ „მზიანი ღამე“. ეს გარემოება იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ პეტრიწის მიერ დაწყებული ქართული ფილოსოფიური სკოლა, იეზეკიელისა და შესაძლოა სხვების სახით აღმოსავლეთის ორიენტაციის გაძლიერების გზით წავიდა, რისთვისაც

ნიადაგი პეტრიწმა მოამზადა. ფაქტი ქართული აზროვნების პეტრიწის შემდეგ განვითარებისა მაინც აშკარად ჩანს ამ მომენტში და შეიძლება ითქვას, რომ ნეგაციაში გამოთქმული მარადიული სინათლე, დაძლეული ღამის სახით, პროკლესაგან ნასესხებ დიალექტიკას სინათლის ფილოსოფიის სფეროში გადაიტანს, და ამდენად ამ მომენტის შენარჩუნების საქმესაც ასრულებს¹.

ამით პეტრიწს მთელი სისტემა დამთავრებულად მიაჩნია: პირველი „ყოველთა უბრწყინვიდეს და არა ვითარ განთვთებულ შორის მწყობრისა სირაფსასა“, ე. ი. „პირველი“ არის არა თავისათვის განშორებულ ქვეყნის სირას ანუ წყობას, მისგან „განთვთებულ“. ქვეყანა ერთი და მთლიანია, შეკრული სინათლით, რომელიც „ყოველთა უნათლებდეს, ვითარ თვს გამოთა“, ე. ი. სინათლე ყოველივეს ანათებს, როგორც მისგან წარმომდგარს (გვ. 64,21).

ასე სცადა ქართველმა ფილოსოფოსმა, პროკლეს ფილოსოფიაზე დამყარებით, ქვეყნის მთლიანობის აღდგენა და გაორებული ქვეყნის ლიკვიდაცია, და ეს მთლიანობა მან ქვეყნის სინათლით შეკვრაში დაინახა. პლატონ-არისტოტელეს ურთიერთობის სახით გაშლილი პრობლემა გაბზარული ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა, რომელსაც მიზნად ისახავდა ბერძნული ფილოსოფია, როგორც ნეოპლატონიზმისა ისე „სიმფონიის“ მომხრეთა სახით და რომლის გაკეთებას ლამობდა საუკეთესო დიალექტიკოსი ნეოპლატონიკოსთა შორის— პროკლე—ქართველმა ფილოსოფოსმა დაამთავრა და ქვეყანა სინათლის სხივებით და „უთვალავი ფერით“ გაშალა: ამაშია ბიზანტიელებთან ერთად დაწყებული ფილოსოფიური რენესანსის ამოცანების დამთავრება. „გუარებით“ მიუწოდმელი მთლიანობა, რომელიც სიმრავლეს იძლეოდა, მაგრამ პეტრიწის აზრით მთლიანობას გამორიცხავდა, „ფერებით“ იქნა გაშლილი, სადაც „ცისკრის ფერით“ დადგენილი საფეხურები უმაღლესი სინათლიდან უმდაბლეს სინათლემდე ჩამოდიოდა და მისი საზღვარი „პირველ მხესთან“ სიახლე-სიშორით განიზომებოდა.

რამდენადაც ბიზანტიის რენესანსმა პლატონ-არისტოტელეს სინთეზის და მთლიანი ქვეყნის პრობლემა კვლავ თავის მიზნად დაისახა, მას პასუხი მხოლოდ ქართველმა ფილოსოფოსმა გასცა და მისი თხზულება „განმარტებაჲ“—რომ ისევე დაწერილიყო ბერძნულად, როგორც ექვთიმე ივერმა გააკეთა ქართულიდან „სიბრძნე ბალავარისა“ ბერძნულად, მაშინ მათი ბედიც ერთნაირი იქნებოდა—პეტრიწის წიგნი ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსის დამთავრებად იქნებოდა აღიარებული დასავლეთის ფილოსოფიის ისტორიკოსთა მიერ.

¹) იხ. ქვემოთ იეზუიტების შესახებ.

„მოკუდავნი ყოველნი“ შედგენილნი არიან ოთხთა კავშირთა-
ანუ ასოთაგან. ისინი არიან: ცეცხლი, ქვეყანა, აირი და წყალნი.
«ესე თან მისცემენ თვსთა რომელობათა ყოველთა მათგან დაკავში-
რებულთა და აღგებულთა». ეს კავშირი რჩება მანამდე, ვიდრე „მო-
კუდავნი“ არიან „ცხოველ“. ცხოველთა ყოველივე თვისება (რომე-
ლობა) არის „მიზეზიანი“ ე. ი. გამოწვეული კავშირთაგან, რომელნი
არიან „მიზეზ“. უმიზეზო არის მხოლოდ „ცაჲ უზესთაესი“. სიკვდი-
ლი—„კავშირთა დაშლა“ და სული შეერთვის სულთა სირასა.

„ერთის“ დამოკიდებულება სიმრავლესთან „ხედვითი“ საქმეა.
მას სამი სახე აქვს: „სამ სახე არს ხედვაჲ“; „ერთი“—რომელიც
არის თავისთავად, „რომელი ზესთა ძეს ყოველსა“; იგი არც არაფერს
იზიარებს და არც რას ეზიარების. ეს არის ცნობილი განმასხვავე-
ბელი ნიშანი ნეოპლატონიზმისა, პლატონთან შედარებით. მეორე
„ხედვაჲ“—როდესაც „ერთი“ სიმრავლეშია მოცემული, „ერთი ხილუ-
ლი შორის სიმრავლესა“; და მესამე—რომელიც არის მოცემული
ცნებაში ანუ „გუარში“ და მასში იხილვების. ასეა განლაგებული
ხილვის ანუ ხედვის საფეხურები, რომელშიაც ლოგიკური, ე. ი.
„გუართაჲ“, მხოლოდ ერთი პატარა ხაწილია და ისიც „ხედვათა“
ერთერთ სახედ არის წარმოდგენილი. „ხედვითი“ ფილოსოფიის უპი-
რატესობა ლოგიკურთან შედარებით აქ თვალნათლივ არის მოცე-
მული (გვ. 66, 35 შმდლ.).

იმავე სისტემას, თავიდან ბოლომდე გაშლილს, კვლავ შლის პე-
ტრიწი სრულქმნის თვალსაზრისით. ის, რაც სრულია, ყოვლის მი-
ზეზი და ყოვლის მხედია. «უსრულესი მყოფთა შორის უმეტ-ხატ არს
ყოველთა მიზეზისა, უმეტეს ამკობს და განზიდავს ნათელსა თვსთა
მოქმედებათასა». აქედან მოდის შემდეგ საფეხურები გონიერისა, სუ-
ლისა, სულთასა, ციერისა მოქმედებისა, ოთხთა კავშირთა და მის
შიგან—ქმნასა და ხრწნასა შორის მყოფთასა. და ყველაფერი ეს
«უხატებენ და უძეგლებენ ყოველთა სწორებით... მზესა ერთთასა».
დამოკიდებულება ყოველ საფეხურს შორის კვლავ არის სიახლე თუ
სიშორე მზისაგან. უმდაბლესი საფეხური „უსახოა“; მაგრამ ამ ტერ-
მინს ორმაგი მნიშვნელობა აქვს პეტრიწთან: „უსახოა“ უდრის „უმ-
სგავსოს“ ე. ი. აქ აღინიშნება, რომ მას არა აქვს არავითარი სხივი
ანუ სახე სინათლისა—პროკლე აქ იტყოდა „გუარისა“; «ვითარცა—
ამბობს პეტრიწი იტყვს ფილოსოფოსი კუალსა გუართასა აღე-
ბად მის შორის». ეს ის მოვლენაა, რომელიც არის „უპირველესი ყო-
ველთა მბადისა». ასევეა განმარტებული უმსგავსო: „უშორეს და უცხო
ყოველთა მხედისა“. მაგრამ არის მეორე მნიშვნელობა „უსახოასა“ და
„უმსგავსოასა“, რომელიც უმდაბლეს საფეხურს კი არ გამოხატავს,
არამედ უმაღლესს. იგი საზღვრული მომენტია, რომელიც იმიტომაც

უსახო ანუ უმსგავსო, რომ არაფერია მის გარეთ, რასაც იგი უნდა ესახოს ანუ ემსგავსოს. ამიტომაც, თუ პირველი უსახობა ანუ უმსგავსობა ნაკლის მაჩვენებელია, მეორე შემთხვევაში უსახობა და უმსგავსობა „უზესთაესობის“ გამომხატველია; იგი, როგორც მიზეზი, სხვა მოვლენათა სახეა, ხოლო პირველი მნიშვნელობითი, ე. ი. „არაეისდა მიზეზი“. ამიტომ პეტრიწი მაღალ სახეს აგრეთვე უწოდებს „უსახო სახეს“ ანუ „უმსგავსო მსგავსს“ (გვ. 69, 19 შმდლ.). „ერთი“ აგრეთვე განიხილება დროულობის, ჟამის თვალსაზრისით, და აგრეთვე ქვეყანა, სიმრავლე. „ნამდვლ-მყოფი და ხატის ხატი იგი მიუღრეკელად იგივეობად“ არის, არ ემორჩილება დროს, „უბერებელ არს, ნიადაგ ყმდების, ნიადაგ ყუაგილდების, არცა ჟამი სძლვს“. იგი დროს გარეშე და უჟამოა. მისგან განსხეავეებით ყოველი ქვემიზეზებით წარმოქმნილი „ჟამითი და ადგილითი არს“ (გვ. 71, 3; 72, 13).

როცა მოვლენათა რიგების შინაურ აგებულებაზე მიდგება საქმე, ირკვევა, რომ ლოგიკური, „გუარი“ ზოგადი გარემოებაა, „ყოვლობაჲ“ როგორც მაგალ. ამბობს პეტრიწი—„კაცსა შორის ყოვლობაჲ კაცი, ცხოველსა შორის ყოვლობაჲ ცხოველობა“. მრავალსახიანობას და „განკუეთას“ ქმნის ადგილი, დრო და „გუარი“, რადგან პირველ შემთხვევაში არაფერია „არ განიჭრების, არც განეყოფის უსხეულობისათვის გუარისა“. მრავალსახიანობას და მრავალფეროვნებას ქმნის ეს საში მომენტი „სამთა ფერთა“. ეგევე მრავალსახიანობა იშლება შემდეგ ოთხთა კავშირთა მიზეზით, „რომელ სამარადისოსა დენასა თანა არიან შეკრულს“: იგი ქმნის მათ რომელობითს წყობას, რადგან იგი არის „რომელობათა თანდათანებულ“. ეს მრავალსახიანობა იხილება „სულსა შორის“, რადგან „ყოველნი რომელობანი და ნაკუეთნი და ფერნი ჰქონან სულსა თვის შორის“. ამ მრავალსახიანობას ვერ იჭერს და ვერ განსაზღვრავს ლოგიკა, „და არცა შეიწირებენ მას თითოსახეობითა გუართაჲთა“ (გვ. 74, 22).

ასე გარკვეულად არის აქ ხაზგასმული ცნებისა და ფერის განსხეავება, საიდანაც ნათელია, რომ ავტორის აზრით „გუარი“ ზოგადობაა, რომელიც ვერ იჭერს სიმრავლის მრავალსახეობას, და თუ წინათ სინათლე და ფერი საჭირო აღმოჩნდა „გუარზე“ მაღლა მდებარე („ერთი გუარსა ზე სძეს“) „ერთის“ მისაღწევად, ეხლა ირკვევა, რომ არც სინამდვილის მრავალფეროვნება დაიჭირება სინათლისა და ფერის გარეშე.

ასეთი გაბედული დასკვნა შეითვისა ქართველმა ფილოსოფოსმა არისტოტელესა და პლატონის მემკვიდრეობის განხილვისას და ქართულ აზროვნებას ამ მიმართულებით გზა უჩვენა. აშკარა იყო, რომ ასეთი აზრთა წყობა ბიზანტიაში ალექსი კომნენის მიერ წარმართული ფილოსოფიის აკრძალვის შემდეგ ვერ გამოქვეყნდებოდა,

მაგრამ არც საქართველოში ჩაუვლია მას ბრძოლისა და ჭიდილის გარეშე. კომენტატორულმა სამოსელმა პეტრიწს მრავალხნის დევნის შემდეგ მაინც სამშობლოში მშვიდობიანი აღსასრულის საშუალება მისცა.

ადამიანის სულში სინათლე და ფერი დასაბამის ნათელისაგან მოდის—ეს დებულება პეტრიწმა მრავალგზის გაშალა. „მზეერთი“ ცენტრია და სინათლე იშლება კვალად სიახლისა მისდამი. ზოგი წავიდა ასეთი წარმოდგენის წინააღმდეგ, ე. ი. „უზესთაეს ერთიდან“ ადამიანის შემეცნების წარმოების წინააღმდეგ, და მით «საუკუნეთა შორის წესნი მყოფთანი აღარღვნეს». ეს პოლემიკა მიმართულია იმათ წინააღმდეგ, რომელთაც „უპატივო ყვნეს დასაბამნი“. ასეთ მოაზროვნეებად პეტრიწი სთვლის სტოელთა და პერიპატოელთ, «რომელნი იტყოდეს ცნობისა და უწყებისა დასაბამთა, და მიზეზთა ამის სხეულისა და განნაწილებულისა არსებისაგან» (გვ. 75, 27—32), ე. ი. ემპირიულისა და ატომისაგან; ეს გნოსეოლოგიური დებულება ერთნაირად ებრძვის, მაშასადამე, როგორც არისტოტელიზმს, ისე სტოიციზმს.

შეწყობილი ქვეყნის ხილვა და მისი ერთობაში დანახვა ტრფობის და სიყვარულის საბაბად არის გამოცხადებული. ეს ჯერ კიდევ ემპედოკლემ იცოდა—ამბობს პეტრიწი—და წესი სიყვარულის თანმხლები იყო. მან, ემპედოკლემ «გონებითი ყოველი აღმკული დაიპყრა და ხუდა სიყვარულსა, რომელ არს ერთობაჲ» (გვ. 79, 21-23). ქვეყნის წყობით სიყვარულის აღძვრა, რომელიც „გონებით დაპყრობის“ შედეგია, ე. ი. გონებრავი სიყვარული, ქართველმა ფილოსოფოსმა, ამრიგად, ხუთი საუკუნით უფრო ადრე იცოდა, ვიდრე იგი ინტელექტუალური სიყვარულის (amor intellectualis) სახით ამცნო ევროპას ფილოსოფოსმა სპინოზამ. ყოველი შექმნილი, ნაწილი ქვეყნის წყობისა «ეტრფის თვისსა წარმომჩენელსა». სიყვარული აქ უკუნმიქვეყნის სახითაა მოცემული. სპინოზას სიყვარული, მართალია, მისი ობიექტი ნაჩვენები იყო ღმერთის სახით (amor dei), მაგრამ მიმართულების შემცველი არ იყო. პროკლეს დიალექტიკის ღერძზე დამაგრებული პეტრიწის მიერ მოცემული სახე სიყვარულისა მიმართულების მქონეა. ყოველი «თვისისა მიზეზისა არს მეტრფე», მისი არის „მწადე“, რომლის მიმართ «უკუნქცეულ არს». სიყვარულის თეორია პეტრიწის მიერ საბოლოოდ გამოთქმულია შემდეგნაირად: «სდევს წადილი მეწადისა საწადსა და მეტრფისა სატრფოსა», «სწყურის მისდამი» და მათი საწადო არის «სანთელი ყუაილთა». ეს უკუნქცევა სიყვარულისა არის «თვისთა დასაბამთადვე ტრფიალება», რომელიც არის «არსი ზესთ არსთა მეცნიერებისა» (გვ. 81, 31 შმდ.). სიყვარულის ძალა იმაშია, რომ იგი აღამაღლებს და

აღიყვანს მეტრფეს. «ტრფიალებითისა სირაფსაგან ვიტყვოთ, ვითარ აღმკრეველთა და აღმყვანეთა». და ამას პეტრიწი დასძინს: «სიგლახაკისაგან სიმდიდრეთა». ეს უკანასკნელი არ შეიძლება გაგებულ იქნას პირდაპირი მნიშვნელობით: აშკარაა, რომ მხატვრულად გაშლილია ამალღების იდეა შედეგად ტრფიალებისა (გვ. 83, 3-4). თვით სახე ამალღებისა და აყვანისა, როგორც გზა სიგლახაკიდან გამოყვანისა, შეიძლება მომდინარეობდეს იმ სოციალური იდეებიდან, რომლებიც საქართველოში შეიმუშავა დიდმა სოციალურმა რეფორმატორმა გიორგი ათონელმა, რომელიც მოიხმარდა ტერმინს „სიგლახაკიდან გამოყვანის“ შესახებ¹.

მაგრამ სიყვარულის ძალა ჰკრავს მხოლოდ იმათ, ვინც ერთი მეორის მსგავსი ანუ ფერია. პეტრიწს აქ აგონდება დიოტიმასა და სოკრატეს ბაასი: ფილოსოფიური ეროსი ანუ „ტრფიალებად“ არის ძალა, რომელსაც მიჰყავს შემდგომი პირველთა მიმართ“. მაგრამ აქვე ხაზგასმულია რომ „ტრფიალებად თვნიერ მსგავსებისა არ ეგოს, რამეთუ არ სადა ეტრფოს უმსგავსოა უმსგავსოსა“. თუ მსგავსება და სახება, როგორც გაირკვა, იგივეა რაც „ერთ-ფერობა“, მაშინ აშკარაა, რომ არ არის ტრფიალება ანუ სიყვარული გარეშე „ერთ-ფერობისა“, მსგავსებისა ანუ შესაფერობისა (გვ. 83, 11—15).

სიყვარული და ტრფიალება, როგორც „წადიერება“, ქვეყნის წყობასთან არის დაკავშირებული. არსის საფეხურებში უნდა იყოს «თესლი მის ზესთადასად», რომლებიც იდრკიან შეერთებად „პირველისა“, რადგან «სატრფო და ჰაზრ მისდა არს შეერთებად» თესლისა «მის ზესთათა ზესთისადა». ტრაგიკული ხასიათი აქვს სიყვარულს მხოლოდ იქ, სადაც ყოველი შეკრულია „ქმნითა და ხრწნითა ოთხთა კავშირთა“, რადგან ასეთ პირობებში სატრფოს უნდა ძებნა, როგორც შესაფერს; ამ საფეხურზე სიყვარული დროსა და სივრცეში იშლება, ვიდრე იგი სატრფოს შეეყრებოდეს. სხვა არის არსის მაღალი საფეხური, რომელიც არაა სფერო არც ადამიანისა და არც ადამიანურ „სულთა“ (იგულისხმება სულიერ მოვლენათა, მხოლოდობითში კი.—„სული“ სუბსტანციალური სულის მნიშვნელობით იხმარება), არამედ გონებისა და გონიერისა და მისგან „ყოველი ნათხზი სირაფსადა მიუდრეკელად ერთ იქმნების“. აქ ტრფობა და სატრფო ერთია „უზესთაესობასა“, რომელი არ არის უადგილობასა და ზედროულობასა შინა, რადგან „უზესთაეს“ სიყვარულს არაფერი აქვს არც საძებარი, არც საბრძოლველი. იმ სიყვარულს «არცა ჟამი, არცა ადგილი შთამოვარდების საშუალ შეყრისათვის» (გვ. 84, 16—20).

აქედან აშკარაა, რომ ადამიანურ ტრფობას ანუ სიყვარულს, როგორც გაშლილს „ოთხთა კავშირს“ ქმნისა და ხრწნის წიაღში,

¹) იხ. „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა“: ათონის კრებული გვ. 312.

სიყვარული მოცემული აქვს როგორც ღმობა, როგორც წამება. ამიტომ სდევს მიჯნურობას გახელება: უმოღვაწეოდ, უქმნელად სატრფოს ძებნა არ ეგების; ამ ღმობასა და წამებას უნდა დრო და უნდა ადგილი, რომ «მეტროფო» და «სატრფო» შეხედნენ ურთიერთს, რადგან ეს პირობებია «საშოვალ შეყრისათვის».

ასე შეკრა ქართველმა ფილოსოფოსმა ქართული სააზროვნო ტრადიციებით და ბერძნული ფილოსოფიის ნიადაგზე სინათლისა და ფერის ქვეყანა და მისი სხივების გასწვრივ სიყვარულის პათოსი გადაავლო, რომლის მაღალი საფეხური „უძრავი“ და „უქამოა“ და ამიტომ „გონიერია“, ხოლო ქვედა, ადამიანური საფეხური, მოძრავი, ღმობით პყრობილი და „დაშრეტად წადიერი“. ამ კონცეფციაში „გონიერ“ ინტელექტუალურ სიყვარულს არ გამოურიცხავს ადამიანური ვნებიანი სიყვარული, როგორც ეს მრავალ საუკუნეთა შემდეგ სპინოზას მოუვიდა, არ გადაუტანია იგი გონებით გასასწორებელ „აფექტთა“ სფეროში, რომ დაესვა პრობლემა გასაწმენდი გონებისა (de emendatione intellectus სპინოზასი); მან ვნებასა და „დაშრეტად წადიერ ტრფობას“ ქვეყნის სირაში თავისი ადგილი უპოვა და სიყვარულის საშუალებით, რომელიც „აღგვამალლებს“, ზეცისა და მიწის შუა კავშირი გააბა, რითაც ასკეტის მს საქართველოში გასამართლებელი გზა აღუქვეთა. ყველა ამისათვის პეტრიწს ერთი გაბედული გარემოება დასჭირდა: კომენტატორის ნიღბ ქვეშ წარმართული ფილოსოფიური რენესანსის ნიადაგზე წარმართობისაკენ ნაბიჯის გადადგმა. ეს მან გაბედა და „სიმტკიცით“, რომელსაც მას ასეთივე წარმართობისათვის გასამართლებული იოანე იტალი უქებდა, უკანასკნელის ხელიდან გავარდნილი დროშა ხელთ აიღო და გელათის აკადემიის საფარში იმ სიმბოლომდე ასწია, რომ საუკუნის ბოლოში ქართველი შოაზროვნის—პეტრიწის ნაღვაწი, ქართველმა ხელოვანმა—რუსთაველმა ამავე წარმართულის გზით სიყვარულის ამბად გაშალა.

ქვეყნის მაღალ საფეხურზე „უსახო სახე“ და „უმსგავსო მსგავსი“ თავისი მნიშვნელობის მქონეა—იგი აქ სავსეობას და სრულქმნას გამოხატავს; მაგრამ ქვემო საფეხურებზე მას თავისი მნიშვნელობა აქვს. აბსოლუტური იგივეობა უარყოფილია, რადგან «არცა მსგავსი თვნიერ უმსგავსობისა და არც უმსგავსობა თვნიერ მსგავსებისა»; მაგრამ აქ საფეხურებრივი განსხვავება იმაშია რომ, «რაოდენ მაღლა, იმდენად მსგავსებად და იგივეობად უჭარბებს», მაგ. ასეთია „გონებითის“ სფერო, ხოლო რაოდენ დაბლა «მუნ ამრუმდების ნათელი იგივეობისა და მსგავსებისა»; და ეს ხდება იქ «სადა—დასძენს პეტრიწი—შთაქრეს ნიეთი» ე. ი. სადაც მატულობს საგანთა სხვაობა მატერიასთან დაკავშირებული (გვ. 88, 1—6).

პეტრიწი, როგორც ქართველი მოაზროვნე, ამ მთლიანობის გაგებაში, რომელსაც წარმოადგენს სირათ გაშლილი ქვეყანა, ბევრგან ამხელს თავისი აზროვნების ქართულ ძირს. „სინათლე“ და „ფერი“ იმ სპეციალური მნიშვნელობით, რომელიც მათ პეტრიწის ნააზრევში აქვთ, ქართულ კულტურაში დიდი ხნის დამკვიდრებული ელემენტები იყო; „ფერის“ ხმარება გვარის მაგივრად ქართულ აზროვნებას უკვე ქართული ენის წარმოშობის ძირებიდან დაეტყო და ხალხური ენის სიღრმეში იყო ჩაქსოვილი, ამიტომაც ქართველ ფილოსოფოსს ამ მხრივ ქართველი ხალხის ენობრივმა სტიქიამ იმთავითვე მისცა სააზროვნო იარაღი, რომლითაც მთელი ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობა არა მარტო გამოითქმოდა, არამედ შეითვისებოდა. პლატონის „კეთილობის“ იდეა, როგორც იდეათა შორის უმაღლესი და მისი წესის გამომხატველი, ვერაინ ვერ მოარიგა არისტოტელეს სილოგისტიკასთან ისე, როგორც პეტრიწმა, და მორიგება მან პლატონის „ეროსისათვის“ გარკვეული შინაარსის მიცემით მოახერხა. ეს ეროსი ანუ „ტრფობაჲ“ სწორედ ამ „ერთ-ფერობის“ ანუ „ერთსახობის, გინა მსგავსების“, ხაზით გაშალა, მაგრამ აქცენტები სწორედ „ფერს“ გაუკეთა, რომელსაც არისტოტელეს „გუარი“ უნდა მოეცვა და მით დიალექტიკურად დაეძლია.

ქართულ კულტურასთან კავშირის გამოვლენაა იქაც, სადაც პეტრიწი მთვარის მნიშვნელობას მალლა სწევს და მას კრონოსის გვერდით ათავსებს. სისტემად გაშლილ ქვეყანაში, საცა „მოახლენი თვსთა დასაბამთაჲსა უსრულ არიან თვსთა უშემდგომესთა“, მალალ საფეხურზე მთვარესა ვხედავთ, რაც ბერძნული აზროვნებისათვის არ იყო დამახასიათებელი. მთვარის ეგოდენ მალლა დაყენება ქართული წარმართობის და მის ნიადაგზე შექმნილი ქართული ხალხური წარმოდგენის შედეგია. ყველაფერი განლაგებულია ისე, რომ «მოახლენ უცთომსა სფეროსა უფრო ღმრთივ, ვიდრე შემდგომთა სფეროსასა: რამეთუ სფეროსა დიდისა კრონოსსა და მთვარისასა»... (გვ. 89, 18—27). ეს ადგილი მეტად საგულისხმოა. იგი განსხვავდება ბერძნულისაგან მთვარის შეფასებაში. პლატონისათვის მთვარე არაა არც მამრობითი და არც მდედრობითი სქესისა, არამედ საშუალოსი¹. ამ შეხედულებიდან აშკარად განსხვავდება ქართული შეხედულება, რომლის თანახმად მთვარე მამრობითი სქესისა იყო². მთვარე, ამის გამო

¹) ἢ οὐ δὲ διὰ ταῦτα τρεῖς τὲς γένῃ καὶ ταυτῶν, οὐ τὸ μὲν ἄδιδον ἢ τοῦ ἡλίου τῆς ἀρχῆς ἔχουσαν, τὸ δὲ μῆλα τῆς γῆς, τὸ δ' ἀμφοτέρων μετέχον τῆς σεληνῆς, δεῖ καὶ ἢ σεληνῆς ἀμφοτέρας μετέχει (პ. ვინაიდან მთვარე ორივე სქესს ეზიარების): Symposium 190b

²) იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ზრის ისტ. ნაწ. პირველი... 1928, გვ. 53—54.

პეტრიწისათვის „უდიდეს“ ღმერთის, კრონოსის მახლობლად, გვერდით დგას, რაც სავსებით ეთანხმება ქართულ წარმართობას¹. მართალია პლატონმაც იცის, რომ კრონოსი ერთი უძველესი ღმერთთაგანია, მაგრამ რომ ის ყველაზე ადრინდელია, არა ჩანს².

ქართველი ფილოსოფოსი მნათობთა სფეროების განლაგებას, ჩანს, საფუძვლად უდებს მათ სიახლოეს დასაბამთან და, ამასთან დაკავშირებით, მათ მეტ-თუ-ნაკლებ სისრულეს. ეს დასაბამი, როგორც გაირკვა, არის მზე, სინათლის და სიკეთის წყარო. ამიტომ ლაპარაკობს ფილოსოფოსი „უფრო მორთულობაზე“ იმათი, ვინც დასაბამთან ახლოებელ დამოკიდებულებაშია და არა „ღმრთიეობაზე“, როგორც ასეთზე. ამიტომაც, „კრონოს“ და „მთვარე“ „უფრო ღმრთიე“ არიან, ვითარცა „მოახლე უცთომსა სფეროსა“ (გვ. 89, 26). ეს რომ ასეა, იქედანაც ჩანს, რომ „კრონოსს“ შეიძლება კიდევ ჰქონდეს შინაგანი განსხვავება იმის მიხედვით, თუ „რა ზომი განყოფილება მოაქვს თვს შორის“. პეტრიწის ქვეყანა დინამიურია: „კრონოს“ შეიძლება მიუახლოვდეს და დაშორდეს მზეს, ცხადია გარკვეულ ფარგლებში, დაურღვევლად მნათობთა სირაფსა. პრინციპი—პეტრიწონული რჩება: სიახლე და სიშორე მზისაგან, როგორც გამოხატულება „კეთილობისა“ თუ „წყრომისა“.

საგულისხმოა, რომ პეტრიწი ანტიკური წარმართული ფილოსოფიის ნიადაგზე ანტიკურ წარმართობას კი არ დაუბრუნდა, აოამედ ქართულ წარმართობას, ხოლო მასში ის ცვლილება მოახდინა, რომელიც მის მიერ აღიარებულ ფილოსოფიურ სოფლგაგებას ესაპირობოდა. ამიტომ იყო, რომ მან ქართულ წარმართულ სისტემაში „კრონოსისა“ და „მთვარის“ შუა მოთავსებული „მზე“ ამოიღო და „პირველად“ და „ერთად“—უოვლის დასაბამად დასახა; ამ გზით მოხვდნენ ერთი მეორის გვერდით „კრონოსი“ და „მთვარე“ პეტრიწის სისტემაში. ამრიგად, თუ ბერძნული ფილოსოფიის რენესანსმა ბიზანტიელი ფილოსოფოსები ანტიკურ წარმართობისაკენ წაიყვანა, ამ ფილოსოფიის გამოყენებით შექმნილმა ქართულმა ფილოსოფიამ პეტრიწი ქართული წარმართობისაკენ გადახარა.

თუ ეს ასე იყო, აქ უნდა დარღვეულიყო კავშირი ქართულ ფილოსოფიურ ტრადიციასა და პეტრიწს შორის. როცა ქართული

1) საბა ორბელიანის ცნობა და მისი განხილვა ივ. ჯავახიშვილთან op. cit. 109 და სხვ. ერთი ადრინდელი ქართულ წყაროთაგან კრონოსის და სხვ. თანმიმდევრობის შესახებ, რომელთაც ეძებს პროფ. ივ. ჯავახიშვილი (იქვე გვ. 111), პეტრიწი უნდა იყოს, რომლის ნაკითხობა და გამოყენება საბას მრავალ სხვა შენობებზეა ემჩნევა.

2) Plato, Symposium 195 f.

აზროვნება მე-VI ს. არისტოტელეს ფიზიკის გამოყენებით ცეცხლის თაყვანისმცემლობას ებრძოდა, აბიზოს ნეკრესელის სახით აცხადებდა: „ცეცხლი დაეშრიტე—არა არს ღმერთი იგი“, რომ ცეცხლი „განსწორებით დადებულ“ არის ყოველ სხვა ნაწილთანაო, და „უკეთუმცა ერთი (ცეცხლი) მეორისმცა აღემატა, განმცაქარდა მეორე იგი“. ასე ზუსტად იცავდა აბიზოს ნეკრესელი არისტოტელეს ფიზიკას, ვინაიდან ებრძოდა წარმართობას, ამ შემთხვევაში ცეცხლთაყვანისმცემლობის სახით¹. როგორ იქცევა პეტრიწი?

პეტრიწისათვის ქვეყნის სურათი იცვლება. ქვეყნის წყობაში, სადაც ოთხი კავშირნი განსაზღვრავენ ახალ სფეროს, იგივე წესია და აქაც ის ეძებს „უფრო ღმრთივ“ ელემენტს, რომელსაც ის სწორედ ცეცხლში ხედავს. ამიტომაც ის აშკარად აცხადებს: «სფეროა ცეცხლისაჲ უფრო ღმრთივ სხუათა ასოთასა», და ის მართოდებულების წამოყენებით არ კმაყოფილდება და ასაბუთებს «რამეთუ საუკუნესა თანგანზომილად თან ჰყვების და სამარადისოდ მიდრკების»². ასე დაუბრუნდა პეტრიწი ძველ ქართულ წარმართობას და აღადგინა მასში ის სახე, რომელიც ქართულმა წარმართობამ მიიღო უცხოურ გავლენათა და გადამუშავების გზით. თუ ქრისტიანობის ნიადაგზე დამდგარი ძველი ქართული წარმოდგენა უპირისპირებდა ერთი მეორეს „ცეცხლსა“ და „ღმერთსა ქეშმარიტსა“³, XI—XII სს. მიჯნაზე ქართული აზროვნება წარმართული ფილოსოფიის ნიადაგზე ცეცხლს „უტომელისა“ და „ღმრთივის“ ატრიბუტებით აღამკობს.

ამავე ხაზზეა მოთავსებული ქვეყნის მთლიან წყობაში „უპირველესის“ და „ერთის“ განუკვეთელად წარმოდგენა. როგორც „პირველი ერთი“ არ არის, შემდგარი ნაწილებისაგან, ისე ცაჲ—„პირველი სხეული“—არაა შემდგარი „ნაწილებითთა სხეულთაგან“: როგორც „ერთს“ უპყრია ქვეყანა, ისე «შვდნი ესე გასფეროებულნი მოქცეენი შვდთა მნათანი—ცისა მიერ მის ერთისა». ოთხი ელემენტიდან გაკეთებული ქვეყანა წარმართება შვიდ მნათობთა მეოხებით და ჩარევით: «ოთხნი ესე გარომელებულნი ასონი შვდთა მიერ მოქცეეთა და მის ერთისა» (გვ. 95, 8-10). მაშასადამე, ყოველივეს, რაც ოთხთა ასოთა ანუ კავშირთა შორის იშლება და უპირველეს ყოვლისა აღამიანი, მისი „ქმნაჲ და ხრწნაჲ“ შვიდთა მნათობთა გამგებლობაშია. აქედან გასაგებია, რომ ვედრებაც აღამიანის ბედის ასე თუ ისე წარმართვისათვის ამ „შვიდთა მნათობთა“ მიმართ უნდა აღიმართოს.

¹) „ასურელ მამათა ცხოვრებათა არქტიპები“—ს. კაკაბაძის გამოკვმა ტფ. 1928 წ., გვ. 44, 45.

²) განმარტებაჲ გვ. 89, 30-31; ასეთივე უპირატესობა ცეცხლისა გვ. 126, 22.

³) იაკობ ხუცესი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი, გვ. 5, ს. გორგაძის გამოკვმა.

სწორედ ასე გაიგო ქართულმა აზროვნებამ იოანე პეტრიწი და პროკლეს შეხედულებაზე ამოფარებული და კომენტარიულად შეპარებული წარმართობა შეიღობა მნათობთა ვედრებად გაშალა. ქართველმა ფილოსოფოსმა წარმართობისაკენ ნაბიჯი გადადგა.

მზე—კეთილობა; კრონოსის მისგან დაშორება დასჭირდა, რომ პირქვეშ გამხდარიყო. ეს კეთილობა გაბნეულია პეტრიწის ქვეყანაში ზემოდან ქვემოთ. «კეთილობაჲ ძეს დაზესთაებულად ნათელსა შორის ერთებრსა და თჳს გამო აწყაროებს მათ ერთებრივთა კეთილობითთა მზეთა» (გვ. 96, 25-26).

ასე გაშლილ ქვეყანას პეტრიწი განმეორებით და რამოდენიმეჯერ გადახედავს წინათ დადგენილი „ხედვით“. ქვეყნის წყობას და კეთილობის განაწილებას, მნათობთა მმართველობას საფუძვლად უდევს ერთი „გუართა მთავარი“, ე. ი. ლოგიკურის ზესთდებული, სხივით შექურვილი მზე. ეს არაა არც შემთხვევითი ამბავი—ამბობს პეტრიწი, არც არისტოტელეს „ენტელექიამ“, «არამედ ვითარ შარავანდი მის გუართ მთავრისაჲ, რომელი იშუა ერთისაგან, ვითარ ერთი, დასაბამად ერთთად, რამეთუ შარავანდმან მისთა მზეთამან ვიდრე და ნივთისადმოცა იწარმოა». ამით ერთხელ კიდევ ხაზგასმულია ქვეყნის მთლიანობა შეკრული შარავანდით მზისა, რომელიც „უმთავრესია“, ე. ი. „აღმატება გუართა“, ე. ი. ლოგიკურს, და ეს სხივები სწვდება ქვემოთაც, სადაც გაბნეულია საგანთა ანუ ნივთთა მრავალსახიანობა და „უგუარობასაცა ნივთისასა აგუარებენ და აღღევებენ“. აქაც სხივია საჭირო, მაგრამ რადგან ეს ქვედა საფეხურია, ეს სხივი არაა ისე ძლიერი, როგორც ზევით—მზის ახლოს. ამიტომ პეტრიწი იქვე ნათელჰყოფს, თუ როგორ ხდება ეს „გაგუარება უგუარობისა“ ანუ „აღღება“: იგი ხდება «მოკლებითა მათითა (სხივთა) გინა თუ აკრებითა, ვითარცა შარავანდდეთაჲთა ბნელ და უმდგო». უფრო ნათლად თქმა შეუძლებელია: ქვედა საფეხურის მიწვედომისას სხივი (შარავანდდი) იკლებს, რადგან ეს საფეხური მოკლებულია სხივის გაღების უნარს—«ბნელი და უმდგო» (გვ. 98, 19—31). ამრიგად, მთელი ქვეყანა გაშლილია მზის (რადგან შარავანდდენი მისია) ნათელის მეტისა და ნაკლების მოფენილობით, რომლის შიგ, შუა საფეხურზე, „გუარიც“ მოქმედებს „აღღებული“, ე. ი. ცნობაში მოყვანილი, ხოლო მალა და დაბლა სხივი „აღმკული“ და სხივი „აკრებული“. სხეულთა ირგვლივ—«ცაჲ სხეულთა ერთი» ანუ მთავარი, სხეულთაგან არ შედგმული, არამედ „მარტივი“ და «რომელობით ასოთა ოთხთა განლაგებული ბუნება», საცა არის ადამიანიც, რომლის ბედს სხეებთან ერთად წარმართავს „შვიდი მნათობი“. ასეთია პეტრიწის ქვეყანა მის ფილოსოფიურ და წარმართულ ასახებაში, და „ბალავარის“ ქართული ვერსიიდან მოტანილი ტერმინოლოგია—რომ ქვეყანას

მბადმან ყოვლისამან მოხედნა»—მხოლოდ ამტკიცებს ქართული აზროვნების განვითარების მთლიანობას, მაგრამ არ აუქმებს პეტრიწის გადახრას წარმართობისაკენ¹.

ზედმიწვევითი ანალიზი ქვეყნისა დროის თვალსაზრისით პეტრიწის მიერ იმავე ფარგლებშია გატარებული, როგორც ქვეყნის სხვა „ხედვანი“. აქაც გარჩეულია ერთიმეორისაგან მთლიანი და ნაწილობითი. ერთი დრო არის მარადიულობა, რომელიც „ერთის“ იგივეობაში, „თვთმიდრეკადობაში“ იგულისხმება, და მეორე—დრო ქვესაფეხურებისა ვიდრე «მეკუდოთა შორის», ე. ი. ადამიანთა. ამ ნაწილში საგულისხმიეროა ქართულ და „ელინურ“ ენათა შედარება დროის გამოსათქმელ საშუალებათა თვალსაზრისით (გვ. 109). პეტრიწმა იცის, რომ უეამობა დროის სამი მომენტის მთლიანობაა შიგნიდან მოხსნილი, ხოლო უფრო ქვევით და მოძრაობასთან (მოძრაე სხეულებთან) დაკავშირებით დროის მთლიანობა ცოტა სხვადასხვაგვარად გაიშლება. ის ამბობს ამის გამო: «სხუებრ იხედვის გარდასრული და მყოფი და მომავალი ცასა შორის, რომელ არს ეამი, და სხუებრ მეკუდოთა შორის, რამეთუ ცისაჲ გარდასრული შეეკვრის მომავალსა და ერთ ექმნების მას». ეს მთლიანობა სახიერდება დროის დიალექტიკაში, რადგან «დასასრული დასაწყის და დასაბამ იქნების სხვსა», ე. ი. ერთი და იგივე მომენტი დროისა დასასრულიც არის და დასაწყისიც (გვ. 110, 11—15).

ნეოპლატონისტური დიალექტიკის ნათელსაყოფად დროის ენაზე პეტრიწი დასძენს, რომ დროის ბრუნვა აღნიშნულისა გამო «სტეროჲს გუარ ჰყოფდეს თვსთა მოქმედებათა». ასეთი ფორმალისტური დიალექტიკური „ხედვის“ გარდა არაფერს უმატებს პეტრიწი მის მიერ პროკლეს ფილოსოფიის განხილვისას შემუშავებულ ქვეყნის სურათს. ამიტომ, არსებითად, მეორე ნაწილი პეტრიწის თხზულებისა, ამით ამოწურულად უნდა ჩაითვალოს. მტკიცების ხერხების განხილვით დაწყებული იგი თანდათან აფართოებდა თავის მიზნებს: ის სარგებლობდა პროკლეს აზრთა მიმდინარეობით და თანდათანობით შლიდა მის მიერ გაგებული ქვეყნის სურათს დრო და დრო პლატონისაკენ (მომეტებულად „ტიმეოსისაკენ“) ექსკურსების მოხდენით.

¹) ქართული „ბალავარის“ ჩამწერმა შეითვისა ნეთლი, რომელიც „მოქმედებათა“ მიხედვით—როგორც იტყოდა პეტრიწი—ასკენიდა „არსებისაკენ“, ხოლო „ბალავარის“ მიხედვით—„შეკმნილისაგან—შემოქმედისაკენ“; ქვეყნის განლაგება კეთილობის ხარისხებით „ბალავარშიაც“ „მბადის“ ანუ „დამბადის“ საკმედითულება: «რომელმან დაბბადა—ამბობს ბალავარი—მყო მე რომელთამე უდარეს და რომელთამე უმჯობესს». ქართული აზროვნების ეს ტრადიციაც ცოცხლობს პეტრიწის აზროვნებაში, ხოლო მან ვხლა სხვა, ფილოსოფიურ-წარმართული, გაშუქება მიიღო. „სიბრძნე ბალავარისა“—ი. ლ. აბულაძის გამოც., ტფ. 1937, გვ. 37—38.

ამ ნაწილში პეტრიწი უპირველესად ყოვლისა იჩენს იშვიათ ერუდიციას ბერძნული ფილოსოფიის დარგში, მისი ყურადღების გარეთ არ რჩება არც ერთი მნიშვნელოვანი აზრი და მოაზროვნე ბერძნული ფილოსოფიისა, და საგულისხმო ისაა, რომ ის თითქმის ყოველთვის წყარობსაც ასახელებს, საიდანაც ესა თუ ის აზრი მოპყავს. ყველაზე მეტის სიმპათიით იგი პლატონს ეპყრობა და მას „ღვთაებრივის“ ეპითეტს უნარჩუნებს. პეტრიწის აზრთა წყობაც რომ განზე იქნას დატოვებული. მართო ასეთი დახასიათება პლატონისა საკმაო იყო, რომ პეტრიწის წიგნი ბერძნულად ვერ დაწერილიყო, რადგან ბიზანტიის ეკლესიის მიერ შედგენილ სინოდიკებში, რომლებიც ფილოსოფოსთა და კერძოდ იოანე იტალის საწინააღმდეგო ბრალდებას წარმოადგენდა, ასეთი გარემოება როგორც ყოველად დაუშვებელი საგანგებოდ იყო გათვალისწინებული. იოანე იტალის გასამართლებისა და მისჯის შემდეგ და ალექსი კომნენის განკარგულების გამო ბიზანტიაში არა თუ პეტრიწის, მისი მასწავლებლის— ფრემციკრის— დიალექტიკაც დაუშვებელ მოვლენად ჩაითვლებოდა. მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ XI—XII სს. მიჯნაზე რაც შეუძლებელი გახდა ბიზანტიის კულტურაში და რამაც შეაჩერა მისი სააზროვნო ზრდა, ის შესაძლებელი შეიქნა საქართველოში, როგორც პირდაპირი გაგრძელება და დამთავრება ანტიკური ფილოსოფიის მიერ დატოვებული საკითხებისა. მართალია, მან სხვა, შინაური, ქართული ტრადიციების გავლენა განიცადა, მაგრამ ესენი იმავე აღმოსავლურ მოვლენათა ნიადაგზე შემუშავდა, რომელთაც საქართველო უფრო ახლო უდგა, ვიდრე ბიზანტია.

ქართული ფილოსოფიური სკოლა ამ ორი პირობის მიხედვით შეიქმნა და შინაურ ეკონომიურ და სოციალ-კლასობრივ ნიადაგზე ჩამოიქნა. ეროვნული გაერთიანებისა და ერთმმართველობის მხარეზე დამდგარი კლასები გახდნენ წინსვლისა და განახლების მატარებელნი; მსახურეული დემოკრატია და ხალხი, გვაროვნულ-ფეოდალური არისტოკრატის წინააღმდეგ დარაზნული, მხარს უჭერდა დავით აღმაშენებელს და რუის-ურბნისის კრებამ ამ დემოკრატიული ფრონტის გამარჯვება განამტკიცა და სახელმწიფოს ახალი ვითარება შექმნა. ამან შექმნა ქართული კულტურის ახალი პირობები. როდესაც ისეთი მოაზროვნე, როგორიც იყო პეტრიწი, თავის ქვეყანაში დაბრუნებული „თანადგომითა და წყალობითა დავეითისა“ თავის რორიგინალურ მწერლობას ეწევა და ქართულ ფილოსოფიურ სკოლას საფუძვლებსა უქმნის, ეს თხზულება— „განმარტებაჲ პროკლე დიოდოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისა“ თავის პირველ ნაწილში თუ მეთოდოლოგიურ საკითხებს არკვევს, მეორე ნაწილში იგი უკვე მთელი ფილოსოფიის სისტემატური დალაგებაჲ პროკლეს ნაზ-

რევის მიყოლით და ხშირად მასზე ამოფარებით. მთავარი განსხვავება, როგორც გაირკვა, იმაშია, რომ იქ, სადაც პროკლე „სიტყვებით“ გზით მიდის, პეტრიწი „ხედვითს“ გზას ირჩევს, რის შედეგად სინათლისა და ფერით მთლიანობაში გაშლილ ქვეყნის სურათს იმუშავებს, რომელიც ბერძნულ და აღმოსავლურ შეხედულებათა ქართულ სააზროვნო კულტურის ნიადაგზე გადამუშავებას წარმოადგენს.

§ 6. იოანე პეტრიწის ბოლოსიტყვაობა

პეტრიწის თხზულების შესაბამე ნაწილად უნდა ჩაითვალოს ის დანართი, რომელსაც იგი თავის თხზულებას უკეთებს „ბოლოსიტყვაობის“ სახით. მის გასაგებად საჭიროა მიღებულ იქნას მხედველობაში ცდა ქრისტიანობასთან თავის ფილოსოფიურ შეხედულებათა შეგუებისა, რომელიც გააკეთა იოანე იტალმა, როდესაც მას საეკლესიო გამომძიებლებმა წარმართობის ბრალდება წარუდგინეს. მართალია, იოანე პეტრიწის მდგომარეობა განსხვავდებოდა იოანე იტალის მდგომარეობისაგან და ოფიციალურ ბრალდებასა და გასამართლებასთან მას საქმე არ ჰქონია, მაგრამ ერთგვარ დევნას ისიც განიცდიდა და ბოლოსაც, როცა იგი დაეითის მოწვევით გელათში მოღვაწეობდა, სრული თავისუფლებით სარგებლობა მაინც არ შეეძლო. მართალია, დაეითმა გაიმარჯვა არისტოკრატიულ წრეებზე, მაგრამ რუის-ურბნისის კრებაზე მის დასაყრდენს საეკლესიო დემოკრატია წარმოადგენდა და ცოტა ხნის შემდეგ მწიგნობართ-უხუცესობის სასულიერო თანამდებობასთან დაკავშირება იმას ნიშნავდა, რომ ეკლესია, თუმცა დემოკრატიული, ძალაში იყო და დაეითი მასთან ურთიერთობის გაფუჭებას პეტრიწის ფილოსოფიისათვის არ მოინდომებდა.

ასეთ პირობებში პეტრიწს ისევე უნდა ეძებნა ოფიციალურ ეკლესიასთან შეგუების გზა, როგორც ეს მისმა მასწავლებელმა და მეგობარმა იოანე იტალმა იძია. მართალია, იოანე იტალი უჭებდა იოანე პეტრიწს სიმტკიცეს და მის შეხედულებათა ერთგულებას, მაგრამ ეს სიმტკიცე პირობითი გარემოება იყო და იგი თვით იოანე იტალმა დაარღვია საეკლესიო გამომძიებელთა წინაშე, როცა ყოველგვარი საშუალება სცადა თავის ნამდვილ შეხედულებათა დასაფარავად და თავისი მოძღვრების ქრისტიანულად მოსაჩვენებლად. თავის „აღსარებაში“, რომელიც იოანე იტალმა საგამომძიებლო კომისიის წევრებს წარუდგინა, იგი ყოველ საშუალებას მიმართავდა, რომ თავისი აზრების „მართლმადიდებლობა“ დაემტკიცებინა. როცა საკითხი მიდგა „მამა ღმერთის და ძის“ ურთიერთობაზე, იოანე იტალის ნეოპლატონური განწყობისათვის ყველაზე მწვავე მომენტი შეი-

ქმნა, რადგან მუდმივი მათი თანაარსებობის აღიარება მას არ შეეძლო. მდგომარეობიდან გამოსასვლელად მან განაცხადა „მწამს... ღმერთის და ადამიანის ერთად ყოფნა და ერთი ჰიპოსტასი ორი ბუნებისაგან („πιστεύω μίαν ἐξ ἑᾶς φύσεων ἰπόστασιν“), რომელთაგან ერთი მას ჰქონდა მარადის („ἔσχεν αἰεί“), ხოლო მეორე მიიღო („τὴν δὲ προσελάβeto“)¹.

ეს დებულება კომპრომისული იყო. ნეოპლატონისტურად ღმერთი უდრიდა „ერთს“, ყოველი სხვა—მის ქვევით უნდა ყოფილიყო; მაგრამ ეს ანტიქრისტიანული იქნებოდა და გამოძიებლებს არ გამოეპარებოდათ. ადამიანობის შემდგომ მოსვლის საკომპენსაციოდ იოანე იტალმა ღვთაებრიობა ქრისტესი „ქონებით“ გამოხატა, მაგრამ რადგან აქ დაფარული ნეოპლატონისტური აზრი მაინც შესამჩნევი გახდა, რადგან ზმნა „ჰქონდა“ („ἔσχε“) მაინც ნიშნავდა, რომ მას ეს შეეძლო მიეღო მამისაგან და, მაშასადამე, მას ღვთაებრივობაში დაქვემდებარებოდა. სწორედ ამის მისაჩქმალავად მიამატა იოანე იტალმა სიტყვა „მარადის“ (αἰεί). ამან საქმეს მაინც არ უშველა, საეკლესიო გამოძიებლებმა. ეს განმარტება უარყვეს და იოანე იტალის წარმართობაში ბრალდება ძალაში დასტოვეს.

პეტრიწის თხზულების მესამე ნაწილი ამ თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული, იმ განსხვავებით, რომ პეტრიწი არაეის გაუსამართლებია, მაგრამ ის ერთგვარ დევნას მაინც განიცდიდა.

ამ დევნის შესახებ პეტრიწი ლაპარაკობს: «ღმობათაგან მიმოვიბნეოდი, სენთა, უცხოებათა და ვერაგობათა საკუმილისგან მექმე აწ ამის ეამის ქართველთა და ბერძენთა შორის». აქ, ჩანს, მას მხედველობაში ჰქონდა როგორც დევნა ბიზანტიაში, რომელიც მან, უეჭველია, იოანე იტალის გასამართლებასთან დაკავშირებით განიცადა, ისე საქართველოშიაც. უკანასკნელის შესახებ ის დასძენს: «ქართველნი თანადგომისა წილ», ე. ი. დახმარების ნაცვლად და იმის თქმისა, რომ განგებას ჩვენთვის ასეთი კაცი მოუცია, და იქნება «ვაძულთ ღმობათა მისთა, უნუგეშინისოთ, რკივილთა მისთა ვეწამლნეთ, დაფარულთა მისთა ცხადად ვემხარკნეთ, რადთა... მსგავსი და ნაცვალი მისი უშთინოთ, რამეთუ მედინისა ბუნებისა არს კაცი და ეამსა რღუევისა მისისასა უცნაურობს». არც ერთი ეს ქართველებს არ გამოუთქვამთ და არ გამოუჩენიათ, ჩივის პეტრიწი: «არ ესთა რად ვერ იგულისხმეეს»; პირიქით, კვალ და კვალ მომჩერებოდენ «სასაფრკოდ სულისა ჩემისა» (გვ. 222,7—13).

აქ მთელი პროგრამა იმისა, თუ როგორ წარმოედგინა იოანე პეტრიწს თავისი ცხოვრების ამოცანა; აშკარა სურათი იმისა, თუ რო-

¹) იოანე იტალის „აღსარება“, მუხლი 3.

გორ დევნას განიცდიდა ის. მაგრამ ერთი ამბავი მაინც ასხვავებს მის ბედს და ეს არის—დავითის გამგონეობა და წყალობა. მაშინ როცა ბიზანტიის კეისარმა—ალექსი კომნენმა იოანე იტალი ეკლესიას პირში მისცა შესაქმელად, ქართველმა მეფემ დავითმა იოანე იტალის და საზოგადოდ ბიზანტიის რენესანსის გამგრძელებელს საქართველოში „გამგონეობა, წყალობა და თანადგომა“ აღმოუჩინა. აქაა მთელი ის რთული ნასკვი, რომელმაც ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას პერსპექტივები გაუშალა. საერო, წარმართულ ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლა ბიზანტიაშიაც იყო და საქართველოშიაც, მაგრამ უკანასკნელში იგი იდეური ბრძოლის ფარგლებში დარჩა და პოლიტიკურ-ორგანიზაციული ხასიათი არ მიუღია. მაშინ როდესაც ოფიციალური წრეები ბიზანტიაში საეკლესიო დოგმატიკის და ობსკურანტიზმის ბანაკში აღმოჩნდნენ რენესანსისა და ჰუმანიზმის პროცესში და მმართველი კომნენები აქტიურად ებრძოდნენ რენესანსს¹,—ქართველი მეფე ჰუმანიზმისა და რენესანსის მხარეზე აღმოჩნდა და როგორც პირადი მწიგნობრობით, ისე უმაღლესი განათლების ახალი კერის—გელათის აკადემიის—შექმნით მტკიცე დასაყრდენი შეუქმნა ქართულ რენესანსს. აქედან გასაგებია, რომ ბიზანტიაში ნაძალადევად შეწყვეტილ რენესანსს, რომელსაც დასავლეთისაკენ ჯერ გასაგებია არ ჰქონდა, მხოლოდ საქართველოში შეეძლო გაგრძელება ეპოვება, როგორც პიროვნული კავშირის—პეტრიწის მეოხებით, ისე ობიექტური პირობების მიხედვით.

მართალია პეტრიწი მწვავედ აღწერს „თავის ტკივილებს“ თხზულების მესამე ნაწილში, მაგრამ განათლებული აბსოლუტიზმის პირობებში, როგორსაც წარმოადგენდა დავით აღმაშენებლის კულტურული პოლიტიკა, ეს „ტკივილები“ მხოლოდ იდეური გაშლის სფეროში უნდა ვიგულისხმოთ. აქაც ქართული აზროვნება ცოტა სხვა პირობებში იყო, რადგან ქართული ეკლესიის დამოკიდებულება საერო ფილოსოფიისადმი განსხვავდებოდა ბიზანტიურისაგან. უკანასკნელი ურიგდებოდა ელინური, წარმართული ფილოსოფიის შეს-

¹) ამ მხრივ დამახასიათებელია ანა კომნენის მიერ იოანე იტალიის ძაგება. ანა კომნენისათვის იოანე იტ.ლი იყო „ბარბაროსი“, კაცი ვაუთლელი და, როგორც უზრდველს ზნობით და ბარბაროსს, არ შეეძლო ფილოსოფიის საფუძვლიანი შესწავლა (ὁὐκ ἠβάρησεν φιλοσοφίας ἐξ βίβλου ἐλπίειν)—აღსაყვე თავველობითა, ამ ბარბაროსული თავაშვებულობით (ἠβρίσθη ἡ ψυχή αὐτοῦ καὶ ἠτόνησεν πρὸς τὴν ἀλήθειαν) უმცენიერებოთაც თავისი თავი ყველაზე მაღლა მოქონდა. (ἄρθε ἡ ψυχή αὐτοῦ ἐπὶ τὴν ἀλήθειαν καὶ πρὸς τὸν μὴ μὴ εἶναι ὁμολογῆσαι); დიალექტიკის შესწავლამ მას ყოველგვარ მხოლოდ შფოთვის ატეხა და სოფისტური ოხუნჯობანი ასწავლა (σοφιστικὰς συζητήσεις ἐρεσχελεῖν): Anna Comnena, Alexias, V, 8 გამ. Schapen-ისა, გვ. 260. ეს ტირადები ალექსი კომნენის მიერ ადმინისტრაციული ზომებით ფილოსოფიური რენესანსის დახრჩობის იდეოლოგიური ზედნაშენი იყო.

წავლას, მაგრამ წინააღმდეგი იყო მისი გამოყენებისა ან მასზე დამყარებისა¹. ამდენად ბიზანტიური ეკლესია XI ს-მდე იმავე თვალსაზრისს იცავდა, რომელზედაც ქართული თეოლოგიური აზროვნება გრიგოლ ხანძთელის დროს, ე. ი. IX საუკუნეში. როგორც გაირკვა, X საუკუნის ბოლოდან ქართული აზროვნება საერო ფილოსოფიისაკენ ნაბიჯსა სდგამს და მიმართავს არისტოტელეს დიალექტიკას, როგორც დემონსტრაციულ-მტკიცების საშუალებას. ექვთიმე ივერიის „მოძღუარი“ ამ პერიოდის დასაწყისია, რომელმაც თავისი გაგრძელება ჰპოვა არსენი იყალთოელისა და განსაკუთრებით ეფრემ მცირის სახით. ბიზანტიის ეკლესია ურჩევს თავის შეკავებას ელინთა ფილოსოფიასა და კერძოდ დიალექტიკით სარგებლობაში, რადგან ამას შეიძლება ცუდი შედეგები მოჰყვეს². ქართულ თეოლოგიურ აზროვნებაში უკვე იყო შინაგანი ბრძოლა და იგი კულტურისა და აზროვნების საკითხში ისევე არ წარმოადგენდა მთლიან ბანაკს, როგორც არ იყო მთლიანი სოციალ-კლასობრივი გენეზისის მიხედვით არც პოლიტიკურ საკითხებში. ეფრემ მცირე სწორედ ეკუთვნოდა განახლების ჯგუფს და იმიტომაც იყო ის პეტრიწის მასწავლებელი.

ამდენად იოანე პეტრიწი უეჭველად აქარბებს თავის ტკივილების აღწერაში: მას ქართული საეკლესიო წრეები არ დახედრიია ერთი მთლიანი ფრონტით, იგი ერთი ხანია გაარღვია ეკლესიის წარმომადგენელთა იმ კლასობრივმა ფენამ, რომელიც გიორგი ათონელის სოციალ-რეფორმატორული მოღვაწეობის ნიადაგზე „მონობიდან გამოყვანილი“ ეკლესიისა და მონასტრების საქმიანობაში ჩაება და საეკლესიო დიდებულთ დაუპირისპირდა. ამ ფენამ გამართა რუის-ურბნისის კრების დემოკრატიული ფრონტი. ჰუმანისტ მეფეს გვერდში ამოუდგა, „განსუქებულნი“ დიდ-გვარიანი; ხელმძღვანელობიდან განუტევა და შეუქმნა ის პოლიტიკურ-კულტურული მდგომარეობა, რომელმაც საქართველოდან ემიგრაციად კვლავ გასული იოანე პეტრიწი არა თუ სამშობლოში, არამედ ჰუმანიზმის და რენესანსის კერაში „ახალ ელდაში“ — გელათის აკადემიაში დააბრუნა.

ამრიგად იოანე პეტრიწის დენის ამბავი იდეურ სფეროს ეკუთვნის; ის აღნიშნავს (გვ. 222, 14), რომ მის წინააღმდეგ გამოსვლა «ორითა იპყრობვოდეს უმეცრებითა: პირველ მარტივად უმეცნეობითა სასწავლოთაათა, და კულაად მეორედ თვთ მის უმეცრებისა უმეცრებითა, ვითარ იტყვს სოკრატ, ვითარმედ ძნელ სენი, არამედ უფიცხეს უმეცრებაჲ სენისაჲ». ეს პოლემიკური ტონი იდეური ბრძოლის გამწვავების მაჩვენებელია: თავის მოწინააღმდეგეთ პეტრიწი ორმაგად უმეცრად

¹) სინოღიკი, თავი I.

²) სინოღიკი, თავი III და VI.

სთვლის—მათ არც რა იციან და ისიც არა უწყიან, რომ უმეტარნი არიან. ასეთ პირობებში ამაოდ ელოდა პეტრიწი, რომ მას თანაგრძნობით მოეპყრობოდნენ. ეს მით უფრო შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, რომ მას თავისი თავი მიაჩნდა არა მარტო „კელოვნება-თაგან სულისათა დაკელოვნებულად“; არამედ „ხედვათაგან გონებისა გაგონებულად“. ეს „ხედვა გონებითი“ მის ფილოსოფიურ პოზიციას ამხელდა და ეს იყო ის „დაფარული“, რომელსაც უნდა მიმზრობდნენ სხვები, ე. ი. მისი აზრების შინზრახვით უნდა გამოქომაგებოდნენ. ამას პეტრიწი გამოთქვამს შემდეგნაირად: „დაფარულთა მისთა ცხადად ვემზარქნეთ“. აკად. ნ. მარრი ამ ადგილს უმართებულოდ კითხულობს—ის თარგმნის: „и обслуживать открыто скрытые его нужды (ор. сн. 96). აქ სრული გაუგებრობაა: ჯერ ერთი არავითარი „нужды“ აქ არაა. ზნა: „ვემზარქნეთ“ პეტრიწთან არ იხმარება „ослуживать“—ის მნიშვნელობით, არამედ მეცნიერული შრომის გაწვევას ნიშნავს; პეტრიწი ამბობს მაგ. „ვითავე ამათსა წინაფთ ნემესიოჲს წიგნისა შეწყობასა შინა მეხარკა“ (გვ. 223,1). აშკარაა, რომ აქ არავითა „მომსახურობაზე“ ლაპარაკი არაა, არამედ გაწვეულ სამეცნიერო ღვაწლზე. ცნებები „დაფარული“ და „ცხად ქმნა“ პეტრიწისათვის ფილოსოფიური კონტექსტია, იხმარება ერთად და ნიშნავს ჯერ გაუშლელი აზრის დასკვნამდე მიყვანას, უცნობის ნაცნობად ქცევას; ასე მაგ., პეტრიწი ამბობს პროკლეს შესახებ—„დაფარულნი პლატონისა სიტყუანი განაცხადნა“, ე. ი. რაც პლატონს ქონდა გულში „ბექლული“; გაუმქლავნებელი „მიდმოჲ“, ეს გახსნა და დასანახი გახადა (გვ. 5,8).

ასეთია ამ ფრაზის კონტექსტი და ფილოსოფიური აზრი. პეტრიწი თავისთავზედაც იმ მეცნიერული ღვაწლის მიხედვით ლაპარაკობს, რომელიც—როგორც პროკლესათვის პლატონის მიმართ—საპირო იყო მისი, ე. ი. პეტრიწის „დაფარულის“ მიმართაც.

რა ქონდა სადაო პეტრიწს? საქართველოში არ იციან მისი აზრით რა არის „სიტყუა“. «ტომითთა შორის ჩუენთა არ აობს ვინცა ვინ თან-მეგზილე და მერქუე, თუ ვით ესე მოქმედებაჲ ძალითისა სიტყუსაჲ». მაგრამ საქმე მარტო ის კი არაა, რომ ამის „თანამეგზილე“, ე. ი. გამხსნელი ანუ „მერქუე“, ე. ი. მოქმელი არავინაა საერთოდ, არამედ მიხედვით „სამოციქულოთა და სხუათა ყოველთა“.

ამრიგად, განსხვავება იოანე იტალსა და პეტრიწს შორის უკვე ამთავითვე ჩანს: პირველს თუ კეისარის მიერ დანიშნული საეკლესიო ძალები თავს ესხმიან, აქ, პიროქით, პეტრიწია შეტევაზე გადასული.

მთავარი საკითხი: „თუ დასაბამსა შორის იყო სიტყუაჲ“ ანუ

„პირველთაგან იყო სიტყუად“ არ შეიძლებოდა სწორად გაეგოთ, «რადგან არა უწყიან, რომელ პირველი შემდგომთა არს პირველი», და ამის გარდა ეს უპირთ გაარკვიონ «არა თუ უცხო ბუნებათა, არამედ ერთ და იგივე ბუნებათა, ვითარ ითქმის კაცი კაცისა პირველად» (გვ. 219, 7—14). ამის შემდეგ, პეტრიწის აზრით, არაა გასაკვირვი, რომ გაუგებრობა გაჩნდეს ისეთ საკითხებში, როგორცაა „პირველისა სიტყვსა“ და „დაბადებულთა“ და „წარმოჩენილთა“ შორის. რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი, ამას პეტრიწი არკვევს დაუყოვნებლივ: «თუ სიტყუა მამისა ღმერთისა პირველად დაბადებულთა და წარმოჩენილთა ძალად პირველ მებრ, აწ მათი, მაგრა თანმებუნებე მათდა და ერთი, ნაბადთა წარმოჩენილთაგანი და არა პირველ საუკუნეთა ყოველთა მამის შორისი» (გვ. 219, 15—19).

მართალია, აზრი აქ პირობითს ფორმაშია მოცემული, მაგრამ ნათელია, რომ თუ პირველი სიტყუა „ეკუთენის მამა ღმერთს, მაშინ ყოველი მისგან ნაბადი აღარ იქნება მისი თანამებუნებე საუკუნეთა შორის“. აქ აშკარა სიმტკიცითაა შენარჩუნებული პროკლეზე დამყარებული სოფლგაგება, რომლის მიხედვით პირველი სხვაა და ყოველი სხვა „მისი უმცირეს და ღრუში მოსული“. ამ აზრის დაცვა იოანე იტალიელი ვერ გაბედა საეკლესიო სამსჯავროს წინაშე. რა განსხვავებაა იოანე იტალისა და იოანე პეტრიწის შორის? იოანე იტალიელი ცდილობდა როგორმე შეეთანხმებინა თავისი ფილოსოფიური იდეები ეკლესიასათვის და ისეთ რედაქციას აძლევდა მას, რომ ეს შეთანხმება თელსაჩინო ყოფილიყო. იოანე პეტრიწი, პირიქით, ამტკიცებს, რომ ეკლესიას აკლია ფილოსოფიასთან შეთანხმება და ამის გარეშე მას არ შეუძლია თავის დოგმატებში გარკვევა. იოანე იტალიელი აცხადებს: „მრწამს რომ მამა ღმერთი და ძე უსაწყისოდ არიან თანაბუნებოვანი და თანაძლიერი“, რომ „ძე დაბადებულთა მამისაგან უწინარეს საუკუნეთა და მის შორის იმყოფება“¹. იოანე პეტრიწმა უარყო ეს დებულება, როგორც ეკლესიასთან მეტად შეგუებული და განაცხადა, რომ „თანამებუნებე“ არაა „საუკუნეთა ყოველთა მამის შორის“; მან მეტიც გაბედა: შესაღარებლად საუკუნეთა შორის თანამებუნებედ ყოფნისა ნიმუშად. მოიყვანა ის, «რომელ არს დასაბამი თვს-შორისისა სიტყვსაჲ ვითარ დისკოდა თუალი შისისაჲ შარავანდეთად» (გვ. 219, 19-20).

აქედან აშკარაა, რომ იოანე პეტრიწი თითქოს იღებს „ნაბადთა“ და „თანამებუნებეთა“ მარადიულ არსებას, მაგრამ ასაბუთებს მას არა ქრისტიანულად, არამედ ფილოსოფიურად და ისიც მზის დისკოსა და სხივთა ურთიერთობით, ე. ი. თავისი სინათლის

¹) იოანე იტალიის აღსარება. 1032 წ. მუხლი პირველი.

ფილოსოფიის გზით. ამდენად პეტრიწი აშკარად წავიდა „სინოდის“ მესამე და მეოთხე თავების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამ „სინოდის“ ნიადაგზე იოანე იტალი ეკლესიამ ანათემა-ჰყო.

ამის ნიადაგზე პეტრიწი ეძებს მოსეს აზრის სწორ გაგებას. მას არ მიაჩნია სწორედ ისეთი გაგება, თითქოს მოსე ასე გადმოსცემდეს კაცის გაჩენას: «მოვედით და ექნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდაო». არამედ «თუ დამხედმან იქურიტენე, იტყვს—მოვედით და ვექნათ კაცი ხატისაებრ და მსგავსისა ჩუენისა» (გვ. 219, 23—25). პეტრიწი მიუთითებს „ხეღვითი“ ფილოსოფიის გზას: „დამხედმან იქურიტენე“, და მაშინ დასაწახი გახდება, რომ მოსეს აზრის ორ რედაქციას შორის დიდი განსხვავება ყოფილა. პეტრიწი თქვამს, რომ სწორია მოსეს რედაქცია და „ნაბადი“ ღმერთის მსგავსი კი არაა, არამედ „მსგავსის მსგავსი“ ანუ „ხატის ხატი“. რის მნიშვნელობაც მან პროკლეს ფილოსოფიის გარჩევისას ზუსტად გააკრევა. ამით პეტრიწი იცავს მისი ქვეყნის წყობას, სისტემად განლაგებულს და „პირველის“ სხივით მეტ-ნაკლებ მსგავსებად შეკრულს.

იოანე პეტრიწი აქაც განსხვავდება იოანე იტალიისაგან. ეკლესიით შეშფოთებული იოანე იტალი დაიბნა ნეოპლატონიზმსა და ქრისტიანულ დოგმატიკას შორის. თავის „აღსარებაში“ ის განავრძობს, რომ „სამი კი არაა მარადიული, არამედ მხოლოდ ერთი, როგორც სამი კი არაა უქმნელი და მიუწვდომელი, არამედ მხოლოდ ერთია უქმნელი და მიუწვდომელი“¹. აქ იოანე იტალს ეკლესიისაგან თავის დაცეაც სურდა და ნეოპლატონიზმის გადარჩენაც: ეკლესიისათვის ერთარსების აღიარება, ხოლო ნეოპლატონიზმისათვის „ერთის“ შენარჩუნება; მას არც ერთი გამოუვიდა და არც მეორე. ეკლესიამ შეამჩნია ფილოსოფიური ტენდენცია, რადგან იოანე იტალი თითოეულ იპოსტასის დასახელებასთან სათანადო ღმერთის პირს არ აღნიშნავდა. მეორე მხრივ აქ არც ნეოპლატონიზმის საფეხურებრივი წყობა გამოვიდა, რადგან იგი ხაზგასმულ „ერთს“ ემსხვერპლა.

პეტრიწის პოზიცია შეუღარებლად უფრო თანმიმდევნოა: ღმერთი (ერთი) ხატი და ხატის-ხატია, ხოლო ქვეყანა სისტემა მეტ-ნაკლებ სინათლით შეკრული.

ასე განსხვავდება იოანე პეტრიწი იოანე იტალის მოსაზრებათაგან და განსხვავდება იმიტომ, რომ, როგორც ითქვა, მათ შორის ამოსავალ წერტილშიაც დიდი განსხვავება იყო და ფილოსოფიური საქმიანობის გარემოშიაც. საბოლოო მსჯელობა ამ საკი-

¹) იოანე იტალის „აღსარება“, მეხლი მეორე.

თხე შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იოანე იტალის ფილოსოფიური ნაწერები, დღემდე გამოუცემელი და ჯეროვნად შეუსწავლელი, განხილული და გამოცემული იქნება¹. მიუხედავად ამისა ეხლაც აშკარაა, რომ იოანე იტალს გარკვეული ფილოსოფიური სახე არ ჰქონია და მისი ინტერესი მაინც უფრო ლოგიკურია, თუმცა არისტოტელეს ლოგიკის პლატონიზმთან შეერთების იდეას ისიც მიზნად ისახავდა. ისე როგორც მიქაელ პსელლოსი, იოანე იტალიც მიმოხილვების შემდგენელი უფრო იყო, ვიდრე მოაზროვნე მკვლევარი, რომელიმე სპეციალურ საკითხებზე მომუშავე. მართალია მას სპეციალური ნაწერი ჰქონდა სილოგიზმების შესახებ²—მაგრამ ისიც ისეთსავე მიმოხილვას წარმოადგენს, როგორებიც არის მისი სხვა თხზულებანიც. ამ მხრივ ყველაზე დამახასიათებელია „გარდმოცემად მრავალთა მიმოხილვათა“, სადაც კომპენდიუმების მეთოდით დალაგებულია ბერძნულ ფილოსოფიის მთავარი საკითხები, ყოველივე დამატებით, განხილვის, ან განვითარების გარეშე³.

იოანე იტალი ძალიან ახლო იდგა პსელლოსთან და მისდევდა იმ მეთოდს, რომელიც ბიზანტიურმა ფილოსოფიურმა რენესანსმა შეიმუშავა და რომელიც ბერძნული ფილოსოფიის შემკვიდრებისათვის იხსნებას ისახავდა მიზნად. ეს მეთოდი უბრალო მიმოხილვებს—*συναψις*—წარმოადგენდა, რომელიც შეიძლებოდა ხან ერთ დარგს ფილოსოფიისას, ხან კი რამდენიმეს შეხებოდა. მიქაელ პსელლოსმა ორივე გზა სცადა და დასწერა როგორც „არისტოტელეს ლოგიკურ მოძღვრებათა მიმოხილვა“, ისე „ყოველმხრივი მოძღვრება“. როგორც ერთში ისე მეორეში იხსნება უბრალო მიმოხილველი და გადმომცემია სხვის მოძღვრებათა. არსად მას აზროვნების ნიშნები და ორიგინალობა არ გამოუჩენია. იტალმა შეითვისა თავის მასწავლებლის მეთოდი და თვითონაც მხოლოდ „გადმოცემების“ გზით მიდიოდა. ეს მეთოდი კარგად დაუხასიათებია თავის დროზე ვილაც უცნობ ავტორს, რომელსაც იოანე იტალის ხელნაწერებისათვის დაურთავს: მისი მეთოდი რეტორიული შეიცავდა მიმოხილვის გზით გადმოცემასა— („ἐξῆις ἰσθῆς ἄλλῃ συναψις“)⁴. ამრიგად „გარდმოცე-

1) იოანე იტალის ფილოსოფიურ ნაწარმოებთა სრული გამოცემა მსოფლიო მეცნიერების ხარვეზია, გამოწვეული ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსის შეუფასებლობით ბურჟუაზიული მეცნიერების მიერ. საბჭოთა საკართველოს მეცნიერების ამოცანათაგანია იოანე პეტრიწის სამშობლოში იოანე იტალის შრომების შესწავლა-გამოცემა. მზადდება დამს. პროფ. გრ. წერეთლისა და პროფ. შ. ნუცუბიძის გამოცემა.

2) იოანე იტალი *Ἐπιτομὴ περὶ τῆς τῶν συλλογισμῶν ἑξέως*.

3) *Ἰσθῆς ἢ Ἰταλός*, *Ἐπιτομὴ ἐξ ἑκαστοῦ ἑτηγματοῦ* (ბერძნ. ხელნაწ. ფ. 279).

4) *Codex graecus Monacensis*, ფურც. 447.

მაე“ („ჯანსაღი“) და „მიმოხილვაე“ („თვალსაზრისი“) ასეთი გზა და მეთოდი იყო, რომლითაც მიდიოდნენ ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსის მეთაურები, და ეს მეთოდი არ დარღვეულა არც მაშინ, როცა ისინი კომენტატორულ გზას ადგებოდნენ¹.

თუ იოანე პეტრიწის შრომა „განმარტებაჲ პლატონურისა ფილოსოფიისა“—მიჩნეული იქნება ერთგვარად გამგრძელებელ და დამამთავრებელ შრომად, რისთვისაც საკმაო საბუთი აღმოჩნდა, მაშინ ბიზანტიის ფილოსოფიურ რენესანსთან შედარებით ქართული ფილოსოფიური სკოლის დამაარსებელი უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს. ამის უტყუარ საბუთს შეიცავს ის, რომ ბიზანტიის ფილოსოფოსები, ვიდრე ისინი არ გასრისა კეისრისა და პატრიარქის აღიანსმა, მიმოხილვისა და გარდმოცემის საფეხურზე იდგნენ: ქართული ფილოსოფია კი—არა მიმოხილვის, არამედ განხილვის, არა „გარდმოცემის“, არამედ გაგრძელების ნიადაგზე იდგა. იოანე პეტრიწის თავდაცვის ფორმა იყო კომენტარი, არსებითად კი, როგორც გაირკვა, ის თავისი დამოუკიდებელი აზროვნებით მიდიოდა, რომელიც ემყარებოდა ბერძნულ და ქართულ აზროვნების ტრადიციებს.

ქართულმა აზროვნებამ „გარდმოცემათა“ საფეხური ჯერ კიდევ მაშინ განვლო, როცა განახლებული საეკლესიო აზროვნება საერო ფილოსოფიას დაეწაფა და საქართველოში ძველ ფილოსოფიურ სისტემათა „გარდმოცემის“ ხანა დაიწყო. აღმოსავლეთში ეს მოძრაობა კარგა ხნით მომზადებული იყო და იგი უკვე იოანე დამასკელს უკავშირდება. მისი „გარდმოცემაჲ“ ბიზანტიის რენესანსისთვის ტონის მიმცემი გახდა. მან თავისი მეთოდით მარტო კი არ მოახდინა გავლენა ბერძნულ რენესანსზე; არისტოტელეს ლოგიკისადმი გარდამწყვეტი ინტერესი, რომელიც ჰელოზს მიჰქაელ პსელლოსსა და იოანე იტალს შინაარსის მხრივაც იოანე დამასკელით განისაზღვრა. ბიზანტიის რენესანსმა მხოლოდ გაათავართო იოანე დამასკელის მუშაობა თავის „ეკლესიისებში“ და „სინოფისისებში“, პრინციპულად კი მისგან განსხვავებული არაფერი გაუკეთებია.

საქართველოში „გარდმოცემათა“ სისტემა ექვთიმე ივერით დაიწყო და ეფრემ მცირით დამთავრდა. საქართველოში რომ სწორედ იმავე სახით შემოვიდა „გარდმოცემათა“ სისტემა, როგორც ბიზანტიის რენესანსში, ჩანს იქიდან, რომ იქაც და აქაც ეს დაუკავშირდა „დიალექტიკისადმი“ ინტერესს, როგორც ეს იმ დროს ესმოდათ. ზემოთ გაირკვა, რომ ეფრემ მცირე იოანე დამასკე-

¹) მაგ. მიქაელ პსელლოსის კომენტარები არისტოტელეს „კატეგორიებისა“ და „პერი ერმინიას“ შესახებ.

ღის „გარდმოცემის“ ქართულ წინასიტყვაობაში საგანგებოდ შეჩერდა დიალექტიკის პრობლემაზე, როგორც იარაღზე, რომლის ძალაა „სიტყვის გებაჲ წინააღმდგომთაჲ“¹.

ეფრემ მცირის მიერ დიალექტიკის მალა დაფასება, რომელიც დაემთხვა საქართველოში „გარდმოცემით“ ფილოსოფიას, ემთხვევა და საესებით ჰვავს ბიზანტიის ფილოსოფიურ რენესანსის მეთაურის—მიქაელ პსელლოსის მიერ დიალექტიკის ასეთსავე მალა დაფასებას: „დიალექტიკა არის,—ამბობს მ. პსელლოსი—ოსტატობათა ოსტატობა და ცოდნათა ცოდნა („Διὰ λέξεων ἡ ἐπιστήμη τῆς τέχνης τῆς ἀληθείας καὶ ἐπιστήμης, ἐπιστήμης“), რომელიც შეიცავს გზას ყოველგვარ ცოდნათა მეთოდების საწყისებისაკენ („πρὸς τὰς ἀρχαίας τῆς φιλοσοφίας ἀρχὰς καὶ τῆς ἐπιστήμης“)².

ამჟამად, რომ დიალექტიკის შეფასებაში ასეთი შეხვედრა ეფრემ მცირესა და მიქაელ პსელლოსს შორის შემთხვევითი არ იყო; ორივე „გარდმოცემით“ ფილოსოფიის მომხრე იყო იმ განსხვავებით, რომ „გარდმოცემით“ ფილოსოფია საქართველოში საეკლესიო რედაქციით შემოდინდა და პირდაპირ წარმართულ ფილოსოფიასთან მისვლა ჯერ შემოღებული არ იყო, რის გამოც იოანე დამასკელის ავტორიტეტი შეიქმნა საჭირო ქართული საეკლესიო განახლების ხალხისათვის, რისგანაც ბიზანტიის რენესანსი, სანამ ის არსებობდა, თავს დამოუკიდებლად გრძნობდა და ამიტომაც პირდაპირ ფილოსოფოსთა წყაროებით სარგებლობდა.³

ეს წყაროებით სარგებლობა მაინც უკვე შემუშავებულ სახელდახელო ცნებების მიმოხილვას შეიცავდა და ახალი არსებითად არაფერი ვაკეთებულა⁴.

ბეტრიწი არ ამოდის სასკოლო კომპენდიუმთა შედგენის მოსაზრებიდან. მისთვის ფილოსოფიური მუშაობა გადაქცეულა ცხოვრებისა და სულიერი სიმშვიდის საკითხად. აღნიშნა რა ნაკლი საქრისტიანო აზროვნებაში ფილოსოფიურ ცნებათა ცოდნისა, პირველი სიტყვის განხილვამ ის ამაში დაარწმუნა და ნამდვილი გადაწყვეტა პრობლემისა მან მზის დისკოსა და შარვანდელის მიმართე-

¹) ქრონიკები, 1, 216.

²) *Μεταξὺ Φιλοσοφίας*, „Σύνοψις“ I, 1. გვ. 1.

³) „რომლისათვის (ე. ი. დიალექტიკისათვის) ჯეროვნად მოუხუმან ესე წმინდასა იოანე დამასკელსა“—ამბობს ეფრემ მცირე, დამასკელის ავტორიტეტზე დამყარებული. ქრონიკები, I, 216.

⁴) ამდენად სამართლიანად უნდა ჩაითვალოს Prantl-ის აზრი, რომ პსელლოსის მიმოხილვა „მთლიანად გადმოგვემს მხოლოდ შინაარსს ანტიკურობის მიწურულში მიღებულ სასკოლო ლოგიკისა“ (Das ganze gibt uns nur den Inhalt der am Schlusse des Altertums recipirten Schul-Logic: Geschichte der Logic II, 265. Prantl-ის დახასიათება შეიძლება გავრცელდეს პსელლოსის სხვა ნაწერებზეც.

ბაში იხილა. მის მსჯელობათა განხილვისათვის იგი მოითხოვს „კეთილ მებჭეს“, რადგან «თუ კეთილ-მებჭემან იხუდრნეს სიტყუანი ჩემნი, მიღმო უსაჯოს გულისკმის ყოფასა». ცხადია, რომ „სიტყუანი“ აქ აზრებს ნიშნავს, რომელთა შეთვისებაზეა ლაპარაკი, და მაშინ, აშკარაა, ფილოსოფოსი ლაპარაკობს თავის აზრებზე, რომლებიც მან წიგნში განაეითარა. იგი ოცნებობს კეთილ მებჭეზე, რომელიც არ დაიცილებს «სამართლივ მოქმედთა, სადა უფროდს ხოლო სიყვარულისადათა ვიწოდო მიერ». მაგრამ ის არაა დარწმუნებული, რომ სიყვარულს დაიმსახურებს, ის უფრო ელის, რომ «უსწავლელობათა და შურთა ზედა დართვითა განმეწობილ იყოს» (გვ. 219,27—31).

პროკლესა და პლატონური ფილოსოფიის „განმარტება“, ჩანს, პეტრიწს დაუწერია იმ მიზნით, რომ თავის მდგომარეობაში გარკვეულობა შეეტანა. სწორი მსჯელობისათვის, ამბობს ის, საჭირო იყო „სახელისა და სიტყვის“ განსხვავების ცოდნა. მაგრამ „სიტყუა“, ე. ი. ლოგიკური, არ კმარა, საჭიროა «ამათ ყოველთა სანთლად დღე ღმრთისმეტყუელებითა ხედვისად და მაუკუდავებელი ნათელი გონებისად» (გვ. 220,7-9).

მაგრამ არც ეს მიაჩნია მას საკმაოდ: საჭიროა სხვადასხვა სარწმუნოებათა შედარება; «და დართე კუალად—ამბობს პეტრიწი—მრავალ გამოცდილებად ტომებთა შორისთა მსხუაებათა... რწმუნებათავე თანა, რომეთუ ამას არა მცირედი გულმეკეობად მობაქუს თვს შორის» (გვ. 220,9). ასეთია სამი მომენტი, რომლებიც პეტრიწს აუცილებლად მიაჩნია სწორი მსჯელობისათვის: ლოგიკურის ბუნება, „მხედველობითის“ მნიშვნელობა და სხვადასხვა ხალხთა სარწმუნოებათა განხილვა. პირველ ორ მომენტზე მსჯელობა მთელი თხზულების გასწვრივ სწარმოებდა და წამყვანი მომენტი იყო. საიდან აიღო პეტრიწმა ეს ფართო შეხედულება „მრავალთა ტომთა გამოცდილებად“—ის შესახებ? ზემოთ საკმაოდ გაირკვა, რომ ეს ქართული კულტურის დამახასიათებელ თვისებას გამოხატავდა, რომელიც მის მრავალფერ ანუ პოლიფონიურ აგებულებაში ჩანდა. პეტრიწი ამდენად ამ შემთხვევაშიაც ქართული კულტურის ტრადიციების ნიადაგზე დგას.

მართალია, ეს ტენდენცია სხვადასხვა სარწმუნოებათა განხილვისა და მათი ასე თუ ისე გამოყენებისა პროკლეს დამახასიათებელიც იყო, რაც ნეოპლატონიზმის გარკვეულ საფეხურს ახასიათებდა, მაგრამ ამისაგან ის სხვა გამოყენებას აკეთებდა: მას სურდა ყოველი სარწმუნოების ამხსნელი და ქადაგი ყოფილიყო¹. პეტრიწს აქ

1) ამდენად მისი ბიოგრაფი მარინი არ იყო მართალი, როცა ფიქრობდა, თითქოს პროკლეს მიზანი იყო „ბერძნულ და ყველა უცხო ღმრთისმეტყველების შეთანხმება“ (*ἀπόστολος καὶ θεολόγος* τὸς καὶ *κρηθροῦ* ἐξ *οὐρανῶν*)

სხვა მიზანი აქვს. მან იცის, რომ სოფლგაგების შეფასებისათვის მრავალ ხალხთა გამოცდილება არ შეიცავს უმნიშვნელო რამეს მსჯელობის სისწორისათვის. პეტრიწი ფიქრობს, რომ ასეთი გამოცდილების უეცრობამ აამხდრა მის წინააღმდეგ ზოგიერთი. «მე აწ, მათ ყოველთა მოუგებელთაგან ვისჯებოდის»; რომ ამ ხალხისათვის ნათელი გაეხადა თავისი შეხედულებანი, მან მიმართა პ რო კ ლ ე ს ფილოსოფიის განხილვას: «რადვე ნაქმადი ტკივილთა ჩემთა საბჭოდ მათ წინა დაედებოდის, ვითავე ხედვათა ჩემთა მაცხოვნებელი». ეს „ხედვათა მაცხოვნებელი“, რომელიც „ითავა“ პ ე ტ რ ი წ მ ა, არის პ რო კ ლ ე; ტკივილი, რომლისაგანაც ამას უნდა განეკურნა პ ე ტ რ ი წ ი, იყო ტკივილი „შორის გონებისათა“ და „არავე სარეცეთა მომდოვრებისა“ და არ მიეცა სულს «სასუენი, ვიდრემდის არა მომხედნა მე გონებითმან ცისკარმან დღეთადმი: და აღვიშურვე ტომისათჳს გუარათა ჩემთასა მე მიდმოობად ენისა ვალექსებული» (გვ. 220,15—25).

ასე ხსნის პეტრიწი თავისი თხზულების დაწერას და აქედან ნათელია, რომ მას თავისი მიზნების და თავისი აზრების ნათელყოფა სურდა პ რო კ ლ ე ს ფილოსოფიის განხილვის გზით. ეს გარემოება უდავოდ უნდა ჩაითვალოს. მართალია ამაზე ლაპარაკი მხოლოდ ამ მესამე ნაწილშია, მაგრამ ამავე გარემოების გარეშე მთელი თხზულების შეფასება და გაგება შეუძლებელია; ხოლო ეს გარემოება უდაოსა ჰყოფს, რომ აქ საქმე გვაქვს საკუთარი მიზნების მქონე დამოუკიდებელ თხზულებასთან, რომელსაც დროისა და პირობების მიხედვით ერთ ნაწილში—უმთავრესში—კომენტატორული გარეგნული ფორმა მიეცა.

რა მიზანს ისახავს პეტრიწი? მან უნდა აცხოვნოს თავის ხედვანი, ე. ი. მისცეს მას შინაგანი კმაყოფილება და იმავე დროს აცდინოს მას უმეტრებითა თუ შურით გამოწვეული მტრობა. როდის დგას მისი აზრით ადამიანი სწორ გზაზე? თუ აქვს პირობები, როდესაც იგი „უცთომელ და ცთომისაგან თავისუფალ არს“; ეს კი იქნება თუ „კაცსა მას ურჩეულესი ნაწილი სიტყუად და ხედვად პირველისა მის სანეტაროსა ბუნებისა არს და მის მიერ ნაქმადთა ყოველთა და უკეთუ ამათ მოქმედებათა მიერ იმოქმედების კაც უცთომელ და ცთომისაგან თავისუფალ არს» (გვ. 214,14-17).

სრულიად ნათელია ეხლა, რომ თავისი მიზნის დასახვესთან ერთად პ ე ტ რ ი წ მ ა აქ ისე გააშუქა საგანი და გზა მოაზროვნისა, რო-

ბ; *Vita Procli*, XXII, 18). ეს მისი ფილოსოფიურ-საკვლევო მიზანი კი არ იყო, არამედ პროფეტური. შეად. Zeller III, 2:840 და შმდ. უფრო სწორია Kirchner-ის მსჯელობა, რომ პროკლეს ფილოსოფია თითქოს მთელი ქვეყნის რელიგიებს (*totius orbis religiones*) აერთებდა; თავის თავს კი მათ ამხსნელად ასაღებდა (*seque eorum explicatricem profiteri ausa est*) იხ. H. J. Mapp op. cit.—93.

გორც ეს მის მიერ გაკეთებული იყო შესავალში. გამოდის, რომ სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად მან მიმართა პროკლეს ფილოსოფიის განხილვას და ამ გზით სურდა გამოეხატა თავისი აზრები. ქეშმარიტი აზრის გამოთქმისათვის მას იმთავითვე გათვალისწინებული ჰქონია ორი გზა: „სიტყუაჲ“ და „ხედვაჲ“. საბოლოო მიზანი უცდომელობისა ყოფილა „პირველის“ ქვერტა და მოქმედება „პირველის“ მიერ „ნაქმადთა“ მიხედვით, რომელი გზაც არის გათვალისწინება „პირველიდან“ ამოსულ ქვეყნის განლაგებისა. იმავე დროს ეს არის უცდომელობის გზაც. ეს ჰქონია, როგორც სახელმძღვანელო, პეტრიწს იმთავითვე და ეხლა ირკვევა, რომ ამ მიზნით განუხილავს მას პროკლეს ფილოსოფია და მასთან ერთად მთელი პლატონური ფილოსოფია. ამდენად საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ იოანე პეტრიწის თხზულება მთლიანი და დამოუკიდებელი ნაწარმოებია, საკუთარ მიზანდასახულობის მქონე.

§ 7. იოანე პეტრიწი, როგორც ქართული ფილოსოფიის საფუძველმდებელი

რაშია პეტრიწის, როგორც ქართული ფილოსოფიის საფუძველმდებლის მთავარი საქმე? უპირველესად ყოვლისა იმაში, რომ ნამდვილი ფილოსოფიური რენესანსი მოცემულია ბიზანტიის რენესანსის მხოლოდ ქართულ გაგრძელებაში. რა ახასიათებდა საშუალო საუკუნეების სქოლასტიკას? ფილოსოფიის დაყენება თეოლოგიაზე დაბლა და მისი მხოლოდ მსახურებრივი გამოყენება. ეს მდგომარეობა ძალიან ადრე დაიწყო და იოანე დამასკელმა მას მხოლოდ ახალი მიმართულება მისცა. პირველი მისი საფეხური ხასიათდება ფილოსოფიის არსებითი გამოყენებით წარმართობის წინააღმდეგ. ეს იყო ფილოსოფიური ფიზიკის გამოყენება. შემდეგ, როდესაც დაირღვა წონასწორობა ფილოსოფიისა და თეოლოგიას შორის— შესაძლებელი გახდა ფილოსოფიიდან მხოლოდ დიალექტიკის გამოყენება. ეს უკვე იოანე დამასკელისა და მისი გავლენის პერიოდია. რენესანსი ნიშნავდა ფილოსოფიის უფლებათა აღდგენას, რაც უპირველეს ყოვლისა ფილოსოფიისა და თეოლოგიის სწორუფლებიანობის აღიარებასაც ნიშნავდა ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსი იდგა ამ გზაზე. მიქაელ პსელლოსმა და იოანე იტალმა ამ საქმის დასაწყისი გამართეს და მათ მიერ დაწყებული საქმე უკვალოდ არ დარჩენილა არც დასავლეთის მიმართ. მათი გავლენა ჯერ არისტოტელიზმის რენესანსის საფუძველად დაედო დასავლეთის ფილოსოფიაში, რაც პლატონის აღორძინების პერსპექტივის გზაზე

იდგა. კომენტების ობსკურანტიზმისა და ქრისტიანული ეკლესიის კავშირმა იოანე იტალის გასამართლებით ეს საქმე დაამხო და იტალის „აღსარების“ სახით ფილოსოფია ისევ თეოლოგიაზე დაბლა დააყენა.

საქართველოში დემოკრატიულ ძალებზე დამყარებით „განათლებული აბსოლუტიზმის“ გამარჯვებამ ქართულ აზროვნებას ახალი და ფართო პერსპექტივები გაუშალა. ამ პირობებში ქართულ ფილოსოფიას წილად ხვდა ბიზანტიური რენესანსის გაგრძელება, ფილოსოფიის თეოლოგიის მიმართ სწორუფლებიანობის აღდგენა და დასავლეთის ფილოსოფიის ამოცანების აღმოსავლური სინათლისა და ფერის სოფლგაგებით დასმა და გადაჭრა¹. თუ იოანე იტალი თავის „აღსარებაში“ ცდილობს ფილოსოფია თეოლოგიას შეუგუოს, იოანე პეტრიწი, პირიქით, ცდილობს ეკლესიის მოძღვრებანი შეუგუოს ფილოსოფიას. თუ იოანე იტალის შემდეგ ბიზანტიის ფილოსოფია ნიკოლოზ მეთონელის სახით გამოდის „პროკლეს კავშირთა თეოლოგიურთა დარღვევით“² და აქედან ნათელია, იგი ჭველ საქრისტიანო დამცველობით მწერლობას დაუბრუნდა და მამასადამე აზროვნების უნარი დაჰკარგა, — საქართველოში აღორძინება იშვიათი სიძლიერით მიდის წინ და საერო აზროვნება საერო ლიტერატურასა ქმნის თავისი ფილოსოფიურ-სოფლმხედველობრივი უშუალო გავლენით.

პეტრიწის ინტერესი პროკლესადმი გამორკვეულია: მას ყოვლის უწინარეს აინტერესებდა იმ გზების განსხვავება, რომლებითაც მიისვლებოდა „ერთამდე“. ცენტრი აქ იყო „სიტყვებებითი“ და „ხედვითი“ გზების განსხვავების დადგენაში. ეს უკვე ნათლად გაირკვა ზემოთ. არც ერთ წარმომადგენელს ბიზანტიისა ეს ინტერესი არ ჰქონდა წამყვანი. იოანე იტალის ინტერესიც აგრეთვე განირჩევა.

¹) სინაოლის ფილოსოფიის ამბავი ნოეპლატონიზმის მსამე საფეხურს სხვა ქვეყნებშიაც დაუკავშირდა. აღმოსავლეთში ეს იყო არაბეთში გავრცელებული „წიგნი მიზეზთა“ („Liber de causis“) და დასავლეთში ალბერტ დიდის თხზულება „მსოფლიოს მიზეზთა და მედინობისათვის“ („De causis et processu universitatis“). ქართველი ფილოსოფოსიც წავიდა ამ გზით, მაგრამ მასში ქართული კულტურის ტრადიციები შეიტანა.

²) ნიკოლოზ მეთონელი Ἐπιπέτης τῆς Πεδιουχῆς στοιχειώσεως Πρόλογος. ამ წიგნის არსებითი ნაწილი გადმოწერილია პროკოპი დახელის თხზულებიდან პროკლეს წინააღმდეგ. პროკოპი დახელი ცხოვრობდა 465-529 წ.

³) ნ. მეთონელის დასახ. თხზულებაში Dem. Rucos-მა პირველად აღმოაჩინა პროკოპი დახელის სიტყვა-სიტყვითი შეტანა (იხ. „სამი დახელი“ *Τρεῖς Ἰαῦται* გვ. 57—69). ამის ირგვლივ გაიპართა აზრთა დიდი. გაცეკა-გამოცეკა J. Dräseke: *Byzant Zeitischrift* VI, 1897; ამის საწინააღმდეგოდ Steglmayr: *Byzantin. Zeitschr.* VIII, 1899. დადგენილად ითვლება, რომ ნ. მეთონელი ბიზანტიურ ფილოსოფიურ რენესანსის დაცემის მჩვენებელია.

მისთვის მთავარია „პირველისა“ და „ნაქმადთა“ დამოკიდებულება, რასაც მამისა და ძის ურთიერთობა უნდა გაერკვია. ნათელი გახდა ამ საკითხში პეტრიწის დაშორება იოანე იტალისაგან, რაც აქედან გამომდინარე ყველა პრობლემას ეხება. სინათლისა და ფერით ქვეყნის მთლიანობად გაშლამ პეტრიწის უპირატესობა მისცა, სადაც მას არ დასჭირდა ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანობის შუა ქანაობა. გარდა ამისა „სინათლის მეტაფიზიკას“ მან „ფერების ფიზიკა“ დაუმატა, რითაც გაიმიჯნა არა მარტო ბიზანტიელებისაგან.

ასევე ნათელია პეტრიწის პოზიცია მიქაელ პსელლოსის მიმართ. მიქაელ პსელლოსი მასწავლებელი იყო იოანე იტალისა და პირველმა განსაზღვრა უკანასკნელის ინტერესი პროკლესადმი. მიქაელ პსელლოსს თავდაპირველად აინტერესებს პროკლეს „კავშირნი“-ში დიალექტიკური პროცესი „ერთისა“ და „სიმრავლის“ ურთიერთობისა¹. მიქაელ პსელლოსის მიერ პროკლესაგან მოყვანილი ორიოდ თავის მაგალითი საკმაოა ჯერ-ჯერობით განსხევების ნათელსაყოფად, რომელიც აქ არის. აღნიშნულ თავეებში პროკლეს აინტერესებს, როგორც ითქვა, „ერთისა“ და „მრავლის“ ურთიერთობა, მიქაელ პსელლოსს კი—დიალექტიკის ნიმუში: ერთიდან ამოსვლა მოვლენათა და მასთანვე „უკუნქცევა“. ამიტომ პროკლემ აქცენტს უკეთებს „ერთისაკენ“ მისვლას ანუ უკუნქცევას. თუმცა ეს თავი სხვანაირად უნდა ყოფილიყო აგებული, რადგან მისი საგანი იყო ის, რაც იბადება „უმრავლესთა მიზეზთაგან“². აზრის მიმდინარეობა აქ ისაა, რომ ნათელი გახდეს სიმრავლედ გაშლილ მოვლენათა და მათ მიზეზთა ურთიერთობა, სადაც უნდა დამტკიცდეს, თუ რა წესითაც წარმოიშობიან მოვლენები (მრავალ მიზეზთაგან); სადაც მათ შუა საფეხურები გააჩნიათ სიმრავლედ გასაშლელად, იმავე სახით ისინი უკუნქცევიან, ანუ «ყოველი უკუნ ქცევაა მათ მიერ, რაოდენთაცა მიერ წარმოარსებაა»³. ეს ადგილი პეტრიწს ისე აქვს ნათარგმნი, რომ მაშინვე თვალსაჩინო ხდება ორი გარემოება: პროკლეს ბერძნულ ტექსტში, როგორც ვხვდავთ, არ არის არც „რაოდენთაცა“ და

¹) მიქაელ პსელლოსი, „Περὶ ἰδέων ἰδέουμένων“ თავი 74. ამ თავში მიქაელ პსელლოსი სარგებლობს პროკლეს დებულებებით, რომლებიც გამოთქმულია „წინმიქცევისა“ და „უკუნმიქცევის“ პროცესში. შუად პროკლემ—„კავშირნი“, თავი 38, 39 (ჩვენი გამოცემა „იოანე პეტრიწის შრომები“, ტ. I გვ. 29).

²) „ἀπὸ τῶν πολλῶν αἰτίων“—პროკლემ „კავშირნი“, თავი. 38 იოანე პეტრიწის თარგმნისას გამოშვებული აქვს „αἰτίων-ის აზრი, რომელიც მას თავის ენაზე (სტილზე) უნდა ეთარგმნა სიტყვა „რამე“-თი; ეს გამოტოვება, როგორც გაირკვევა, განზრახ ჩადენილი უნდა იყოს, რადგან პეტრიწი პროკლეს გადმოცემისას ყოველგვარ გაურკვეველობის ნიშანს აუჯობბის.

³) პროკლემ, „კავშირნი“—ἀπὸ ἐπιπορευῆ ἰσὺ πᾶσι θῆται“, თავი 38.

არც „წარმოარსებაჲ“. აქა პეტრიწის გაგების განსხვავება, როგორც პროკლესი, ისე მიქაელ პსელლოსისაგან. პეტრიწს იშვიათად კარგად ესმის პროკლეს აზრის მიპდინარეობა, და სადაც უკანასკნელი თავისი ფილოსოფიური ტენდენციის ზეგავლენით—„ერთისა“ და „სიმრავლის“ ურთიერთობის გარკვევის ცენტრში მოთავსებით—არღვევს არგუმენტაციის თანმიმდევრობას, პეტრიწი ასწორებს და აესებს ამ ნაკლს და ტექსტის შინაგანი თანმიმდევრობის აღდგენას ესწრაფის.

პეტრიწმა იცის, რომ ამ თავში (38) ლაპარაკი უნდა იყოს მრავალ მიზეზთა და მრავალ შედეგთა შესახებ და საქმე მათი დამოკიდებულების ურთიერთობაშია. ერთისადმი საბოლოოდ მისვლა აქ შორეული ამბავია, რომელიც საზოგადოდ იგულისხმება პროკლესათვის, მაგრამ აქ პრობლემა სწორედ იმაშია, რომ მიზეზთა სიმრავლეს აქვს შედეგთა სიმრავლე და მათი ურთიერთობა ამ ხაზით მიდის. პროკლეს უწერია: „ყოველი უკუნქვევა მათ მიერ, რომელთაცა მიერ (δὲ τῶν) წარმოარსებაჲ“. პეტრიწმა ნაცვლად ამისა იხმარა „რაოდენთაცა მიერ“ და პროკლეს აზრში მოცემული არა მარტო გრამატიკული, არამედ შინაარსეული „მრავლობა“ დასანახი გახადა. პროკლეს სურდა მსჯელობა „სიმრავლეზე“ ყოველგან „ერთის“ დომინანტის ქვეშ დაეყენებია.

ასეთივეა ტერმინი—„ἡ πρῶτη: ε“, რომელიც იოანე პეტრიწს უნდა ეთარგმნა „წინმიქცევად“, რაც შექცევითი იქნებოდა მისივე ტერმინისათვის—„უკუნმიქცევისათვის“ („ἐκαστοφῆ“). აქ პროკლე სწორედ ამ მნიშვნელობით გაიგო და გამოიყენა მ. პსელლოსმა, რამდენადაც ორივე შექცევითს პროკლეს შორის სრული სწორღირება იგულისხმებოდა. უეჭველია, რომ პროკლე სწორად აქვს გაგებული მ. პსელლოსს: დიალექტიკის მიზნებისათვის „წინმიქცევითი“ და „უკუნქცევითი“ გზა ერთნაირი უნდა ყოფილიყო, რადგან პსელლოსისათვის დიალექტიკა ფორმალურად იყო გაგებული¹. პროკლე უეჭველად იმ აზრისაა, რომ აღნიშნულ მომენტში ხაზი გაუსვას სწორედ ამ ორი პროკლესის ერთნაირობას. ამასვე იმეორებს იგი შემდეგ—39 თავშიაც: „ერთარ წინ მიქცა, ეგრეთვე უკუნ ექცევის“². პროკლეს მიზანი ნათელია: ფორმალური დიალექტიკით მას სურს თავიდან აიცილოს ქვეყნის საფესურებად ანუ უწყვეტ რიგად ანუ „სირაჲ“—ს სახით გაშლის ტერითი. ეს უკანასკნელი ველარ გამოიხატებოდა ზოგად ხაზებში ლაპარაკით და დიალექტიკის იმ ფორმალიზმით, როგორც ეს პროკლეს

¹) მიქაელ პსელლოსი „Σημειώσεις“ I.cit.

²) პროკლე—კავშირნი 39 „ἀπὸ τῆς πρῶτης ἐκαστοφῆς, οὕτως ἐπέσειναι“. იოანე პეტრიწს აქაც ნათარგმნი აქვს „πρῶτη: ε“ „იწარმოა“, რაც აგრეთვე ინტერპრეტაციის მაჩვენებელია.

ესმოდა, აქედან ნათელია, რომ, ვინც ფორმალური დიალექტიკით ვერ დაკმაყოფილდებოდა, მისთვის „წინმიქცევა-უკუნმიქცევაში „არაბიჯ-ქაჟი““-ში კი არ იყო საქმე, არამედ რეალურ „წარმოქმნასა“ და შექცევით პროცესში, რომელსაც ეხლა უფრო შინაარსეული ხასიათი უნდა მიეღო. ვინც პირველ ნაბიჯს გადადგამდა და „წინმიქცევის“ არაბიჯის ნაცვლად წარმოქმნის ცნებას ჩასვამდა, იგი პროკლეს ფორმალისტურ დიალექტიკას რეალური ცხოვრების დიალექტიკად აქცევდა, რიგის, სავეობის ანუ „სირაჟ“-ს საკითხს წააწყდებოდა და „უკუნმიქცევა“-ც ცოცხალ პროცესად უნდა ექცია. ეს ნაბიჯი გადადგა პეტრიწმა და ამით პროკლესაც და, ცხადია, პსელლოსაც დასცილდა და უფრო წინ წავიდა.

მიქაელ პსელლოსი დაკმაყოფილდა ფორმალური დიალექტიკით¹. პროკლე ისწრაფოდა „ერთის“ და „სიმრავლის“ ზიარების ნათელიყოფას. იოანე პეტრიწი უკვე თავისი თხზულების სათანადო აღგილზე შეავსებს პროკლეს და ზემოთ უკვე გამორკვეულ, თავის სოფლგაგების ნიადაგზე აყენებს თავის საკითხებს და დებულებებს. პეტრიწი მთლიანი ქვეყნის ფილოსოფოსია: აქედან მისთვის ამოცანა იშლება რეალობისა და სავეობის ხაზით. პროკლე რომ რიცხვობრივად უნდა იქნეს გაგებულნი, ეს თარგმანში მოხერხდა მხოლოდ „რომელთა“-ს (ὁὶ ἄνω-ის) „რაოდენთა““-თი შეცვლით. თავის „კომენტარში“, რომლის დამოუკიდებელი ხასიათი საკმაოდ გაირკვა, პეტრიწი უფრო თავისუფლად გრძნობს თავს და გადადის მნიშვნელობის ანალიზზე: „რაოდენთა“ მიერ იწარმოოს, ეგოდენთა“ მიერ უკუნმიქცეს“. კიდევ მეტი—თუ საქმე მარტო „წინმიქცევაში“ კი არაა, არამედ მის რეალურ შინაარსში, მაშინ „წარმოვლენა“ გარკვეულ წყობას ნიშნავს, ე. ი. „წარმოვლენა შორის სირაჟსა“. ამრიგად, აქ პეტრიწისათვის მთავარი „რაოდენ—ეგოდენ“—კი არაა, არამედ ქვეყნის ცოცხალი მთლიანობა, რომელიც „სირაჟ“-ს წარმოადგენს; ამასთან დაკავშირებით რეალურ შინაარსს იღებს „უკუნმიქცევა“: იგი მარტო ფორმალური, გარეგნული მომენტი კი არაა, არამედ „ტრფობა“ ანუ უკუნტრფობა“, ხოლო ეს „უკუნტრფობაც“ პეტრიწისათვის მსოფლიო ძალაა², რადგან მას საფუძვლად უდევს „მსგავსება“, და პეტრიწისათვის კი „მსგავსებისა მიერ ყოველი ერთქმნად და უკუნტრფობად დასაბამთადმი“. აქ იშლება იოანე პეტრიწისათვის მთლიანი ქვეყნის ამბავი, სადაც მთელი ქვეყანა „სირაჟ“-ს სახით განლაგებულია მსგავსებისა და სიყვარულის საწყისზე ასხმული, და მეტი თუ ნაკლები სიახლე სინათლის ცენტ-

1) მიქაელ პსელლოსი ირ. cit.; loc. cit.

2) იხ. ზემოთ „სიყვარულის თეორია“ იოანე პეტრიწისა.

რის—შისადმი—მეტი თუ ნაკლები სიკეთე და უკუნტრფობა თუ—ქცევად, და „რაოდენცა უმახლობლეს იყოს მსგავსებად, ეგოდენცა და უკუნტკევად“¹.

ასე გაშალა პეტრიწმა თავისი აზრები პროკლეს აზრების გამო და ერთსა და იმავე დროს ნათელი გახდა, რომ მისთვის პროკლე უახლოესი სააზროვნო საბაზი იყო, ხოლო მიქაელ პსელლოსის მიმართ კიდევ უფრო მეტი დაშორება გახდა ნათელი. მიქაელ პსელლოსი, ისე როგორც იოანე იტალი მხოლოდ სამზადისი საფეხურები იყვნენ ბიზანტიური რენესანსის იმ მაღალი საფეხურისათვის, რომლის გაშლა, შექმნილი ბიზანტიის პირობებში, ისტორიამ ქართულ ფილოსოფიას დააკისრა².

მეორე მაგალითი, აქ არის პრობლემა უკუნმიქცივის კონკრეტიზაციისა, რომელსაც პროკლე სამ სახედ ჰყოფს: „მყოფობით“ (ἐπι-στανσις), „ცხოველობით“ (ζωανσις) და „ცნობიერებით“ (γνωστανσις). მთელი „წარმოარსებულის“ შესახებ აქ ნაჩვენებია, თუ როგორ თითოეული საფეხური თავისებურად უკუნმიქცივის („ἐπι-στανσις“) თავის დასაბამისაკენ. თვით თარგმანი, შესრულებული აქვს პეტრიწს იშვიათი სიზუსტით; განსხვავება ეხება მხოლოდ იმავე „წარმოარსებას“ ნაცვლად „წინმიქცივისა“³.

მიქაელ პსელლოსმა ამ ადგილითაც ისარგებლა თავის თხზულებებში და აქაც მისი ინტერესი იმავე ღირებულებათა თანასწორობის გზით უნდა გაშლილიყო, რომელიც ორ მიმართულებათა—წინმიქცივისა და უკუნმიქცივის შორის უნდა ყოფილიყო⁴. პროკლეც მხოლოდ ამ მომენტით არის დაინტერესებული. მართალია, ამ თავის ბოლოში პროკლე ლაპარაკობს „კეთილობის“ მიზნის შესახებ, მაგრამ ჯერ ერთი აქ მხოლოდ შეიძლება იმის გულისხმობა, რომ ლაპარაკი პირველ დასაბამს ეხება, და მეორეც ისა, რომ ამ კეთი-

¹) „უკუნტკევის“ ეს ადგილი, პროკლესგან აღებულნი, საქართველოს ფილოსოფიური აზრისათვის ადრე უნდა ყოფილიყო ცნობილი; იგი აიღო იოანე დამასკელმა და ფსევდო-დონისე არეოპაგელმა თავის „სადეთო სახელთათვის“-ში. შეად. D o o d s, Proclus, გვ 223.

²) აკად. ნ. მარტი აყენებს საკითხს: „не воспроизводит ли на греческом языке Иоанн Петрицкий в комментариях к Проклу толкования своего Византийского текста? საზოგადოდ მარტი აინტერესებს როგორც იოანე იტალის, ისე მიქაელ პსელლოსის მიმართ იოანე პეტრიწის უფრო მსგავსების, ვიდრე განსხვავების საკითხები. ჩვენ ვნახეთ, რომ აქ მსგავსებაც არის და კიდევ მეტი განსხვავებაც. Н. Я. Марр. op. cit. გვ. 99.

³) პროკლე, „კავშირნი“, თავი 39 „ὡς γινώσκουσιν, ὡς εἶπε ἐπίστανσις“ პეტრიწის თარგმანი: „კეთილ იწარმოა ეგრეთვე და უკუნ მიქცივის“. აქ კიდევ უფრო ნათელია პეტრიწის ინტერპრეტაცია.

⁴) მიქაელ პსელლოსი *Περὶ τῶν ἐπι-στανσιῶν*, loc. cit.

ლობის მიზეზისადმი ურთიერთობის გარკვევა მხოლოდ „ცნობიერ“ ქმნილებით განისაზღვრება (αααα τῆς γυναικός).

პეტრიწს როგორც პროკლესი, ისე პსელლოსის მიმართ საკუთარი პოზიცია აქვს, როდესაც მისი სოფლგაგების და სააზროვნო მიზანდასახულობის ბუნება საერთოდ უკვე გაირკვა. საკმარისია სანიმუშოდ ამავე თავის „კომენტარში“ გამოთქმული აზრების მოყვანა, რომ ნათელი გახდეს, რაოდენ ფართოდ და დიდია პეტრიწის საკუთარი, ორიგინალური ნააზრევი, პროკლეს ნეოპლატონიზმის მიდევნებით გაშლილი.

პეტრიწი გადმოსცემს რა თავისი სიტყვებით პროკლეს ნათქვამს, ნათელყოფს ზოგ სიძნელეს; მაგალითად პროკლეს ყრუდ აქვს ნათქვამი, რომ „ცხოველობა“ იწარმოების „მყოფობასა თანა“¹. მაგრამ არსებობს აქ სისტემის სახით რაღაც მტკიცე ურთიერთობა, თუ იგი შემთხვევითია—ეს პროკლესთან ნაჩვენები არაა. ამ ნაკლს ავსებს პეტრიწი იმის აღნიშვნით, რომ პროკლე „ძალთა განყოფს არსებათასა“; რაც შეეხება მესამე საფეხურს—„ცნობიერებითს“ (γυναικός) აქ პეტრიწი ორ მომენტს არჩევს: „სიტყვერებითს“ და „გულისკმისყოფისას“. ეს განსხვავება, როგორც გაირკვა, მთელი მისი მიდგომის დამახასიათებელია, რადგან ლოგიკურის—(სიტყვერებითის) და „ხედვითი“ გზის განსხვავებას ნიშნავს, რომელსაც პეტრიწის მთელი ნააზრევის გასწვრივ მიჰყავართ. მაგრამ ეს ეხება იმ შესწორებანტერპრეტაციას, რომელსაც უკეთებს პეტრიწი პროკლეს ნაწერს. ამის შემდეგ ის გადადის ზედმიწევნით განხილვაზე პროკლეს შეხედულებათა (და არა მიმოხილვაზე, როგორც ამას ჩადიოდნენ მიქაელ პსელლოსი და იოანე იტალი—„სინოფისების“ და „ეკლოსისების“ ავტორები).

ამ ვრცელი განხილვის შესახებ პეტრიწი თვითონ აცხადებს: «აწ სისრულეთა თანა გუჯ განხილვად თითოეულთა ამათ არსებათა» და ამ განხილვის მიზანს იმაში ხედავს, რომ დაადგინოს «ვითარ კბაძვიდენ და ესახებოდინ ზესთ სახეთასა მას არსსა ნამდვლ მყოფობისასა» (გვ. 92, 18-20). როგორაა შესაძლო, რომ არღი ეტრფის თავის დასაზამსა? იოანე პეტრიწის აზრით ეს შესაძლოა იმდენად, რამდენადაც იგი არის „გუარსა შორის შეპყრობით“. თითოეული არსებულელი „გუარის“ საშუალებით მიისწრაფის „ერთისაკენ“, რადგან «წადილი გუარისაჲ წადილ თვისსა ერთისა არს, რამეთუ ერთ ვიდრემე ყოველი გუარი». ამ ნიადაგზე მისი „ეტრფობა“ ანუ „ეტრფიალებად ზესთ ერთისა მის“ აქედან ნათელია, რომ ლოგიკური ანუ „გუარა“ არსებობის ანუ მყოფობის გამოხატულებად, რომ არსებობა „გუარია“ და მყოფობა

¹) პროკლე „კავშირნი“—„εὐ δὲ τῆς μετὰ τοῦ εἰρημ“ 39.

„გუარისა“ და ლოგიკურის სფეროა. სხვა გზაა „ცხოველობის“ გზა: აქ „გუარისაკენ“ სწრაფვა კი არაა, არამედ „მსგავსების წარმოჩენა“. აქ „ერთი“ იპოვება არა როგორც „გუარი“, არამედ როგორც „ხატება“ ანუ, ამბობს პეტრიწი—„წარმოაჩენს მსგავსსა ხატებისათვის მის ერთისა“. ზევით ძალი ცხოველობისა მოცემულია „ვითარ ზესთ დაზესთაებულად“, ხოლო აქა (ე. ი. ქვედა სფეროებში) „ხატოვნებით, ვითარ სამარადისოსა ზედა“, ე. ი. სამარადისოს ანუ მარადიულის გამოვლენა. აქედან კიდევ ერთი ნაბიჯია პეტრიწის მიერ ამ მეორე გზის ნათელყოფისაკენ და ეს „ხატოვნება“ და „მარადობა“ მიმართული იქნება „ვითარ მშესა და სხუათა ვარსკვლავთა ზედა“ (გვ. 93).

ასე დაუფარავად მიდის პეტრიწი მსოფლიო მნათობთა სახის მარადიულობის აღიარებამდე და საგანთა შორის მათი მსგავსების გამოვლენისაკენ. აქ მას აგონდება „ტიმოსის“ გასსხვაებებიანი აჩრდილსა და ნამდივლ სახეს შორის და უჩივის ადამიანის განსაზღვრულობას: «ჩუენ-შორისი ესე კერპი და აჩრდილის დასახვთი ცხოველობაჲ». პეტრიწი შეხარის პლატონის მიერ მის დიאלოგ „ტიმოსს“ში“ ნაჩვენებ ადამიანთა განსაზღვრულობის დაძლევას და „ვითარ უკვდაენი ეგებვიან სამარადისოდ ერთობასა ზედა...“, ეგრეთვე სხუა და სხუაობით მოკუდავთაცა ბუნებაჲ გარდაიხილავს თვს შორის სამარადისოობასა და ესე არს სისრულე ცხოველობითი». ამრიგად პეტრიწს ესმის, რომ ეს მეორე გზა ადვილი მისალწვევი არაა. აქ საკიროა „გარდახილვა თვს შორის სამარადისოობისა“, რომ პლატონს უსაფუძვლოდ არ აღუნიშნავს ადამიანის განსაზღვრულობა; მაგრამ „სისრულე ცხოველობითი“ მას სწამს.

ამის თავდებია „სიტყვერებითი სრულებაჲ“, რომელიც აღმოცენდება „სიტყვს ძალის მითესულობისგან, რომელიც ყოველს განაშუენებს და შეამკობს“ და ისე ფართოდ სწვდება, რომ „ამკობს კელოვნებათა მიერ უმკობელობასა ნიეთისასა და ვითარ კეთილი ღმერთი სახოვან ჰყოფს» ოთხი ელემენტისაგან შექმნილ ქვეყანას. „სიტყუა“, რომელზედაც აქ პეტრიწი ლაპარაკობს არაა „ლოგიკურის“ მნიშვნელი, არამედ „კეთილი ღმერთი“, ე. ი. „პირველის“ გამოხატულება, რომელიც აძლევს ქვეყანას «უმეტესსა წესსა და მორთულობასა» და ამის შემდეგაც «ემხედვარების ყოველსა არსთა... მორთულობასა». აქ უზესთაესი ძალა ანუ „კეთილი ღმერთი“ დასახსიათებელია „ნერგთა ზრდით“, იგი «განაშუენებს და შეამკობს, სადაცა მითესულ იყო ძალი სიტყვსაჲ».

ასე მიდის პეტრიწი იმ „სიტყვსაკენ“, რომელიც მას, როგორც „პირველი“ და „დასაბამი“ აინტერესებდა, როცა ის ქრისტიან მოაზროვნეთაგან ამ პირველ „სიტყვს“ განმარტებას და ნათელყოფას

მოითხოვდა თავისი თხზულების შესამე ნაწილში. განსხვავება იმაშია, რომ აქ ის საღეთო წერილს არ იხსენიებს, პარმენიდეს და ტიმეოსს იმორწმებს, და დაუსახელებლად ლაპარაკობს „ვინმე ბრძენზე“, რომელმაც „სიტყუა“ როგორც „ყოველის მბალი“ შთამოავლინა — ე. ი. ცხადია — ჰერაკლიტეზე.

ასეთია ეს მეორე მაგალითი პროკლეს, მიქაელ პსელლოსის და პეტრიწის ნააზრევის გადანასკვისა. კერძოდ, რაც შეეხება პროკლეს, სრულიად ცხადია, რომ მისი მსჯელობანი პეტრიწისათვის მხოლოდ საბაბია შეხედულებათა მთელი სისტემის გამოსათქმელად, რომელიც იმავე დროს დიდი ფილოსოფიური ერუდიციის მაჩვენებელია, რომლის მიხედვით პეტრიწი სრულიად თავისუფლად გრძნობს თავს ანტიკურ ფილოსოფიურ მწერლობაში. მოყვანილი შედარებებიდან ნათელია, რომ პეტრიწს თავისი საკუთარი გზა ჰქონდა ფილოსოფიაში, რომელიც, არსებითად განსხვავდება ბერძნების გზებისაგან. ის ამოდის ბერძნული ფილოსოფიიდან, მაგრამ მიდის საკუთარი გზით. პროკლე მისთვის დასაყრდენია, მაგრამ მხოლოდ იმდენად რამდენადაც ამან ქართულ აზროვნებას ხელი არ შეუშალა; მიქაელ პსელლოსი და იოანე იტალი მისთვის მხოლოდ საფეხურებია, რომელთაც პეტრიწი არავითარ ანგარიშს არ უწევს. მას საქმე აქვს მხოლოდ პროკლესთან, რომელსაც თავისი მიზნებისათვის იყენებს.

ამდენად პეტრიწის თხზულების დამოუკიდებლობის საბუთებია: 1) წიგნის სამივე ნაწილის, ე. ი. მეთოდოლოგიური შესავლის, „კომენტარის“ და ბოლოსიტყვის შინაგანი მტკიცე კავშირი და მთლიანობა; 2) პეტრიწის მიერ თავისი მიზნისათვის პროკლეს გამოყენებისათვის განცხადება; 3) არსებითი შედარებით განსხვავების აღმოჩენა. ყველა ამის მიხედვით და საერთო მდგომარეობის ნიადაგზე ირკვევა: 1) რომ ქართულ აზროვნებას თავისი ტრადიციები ჰქონდა, რომლებიც ქართულ ფილოსოფიურ სკოლაში, მისი დამაარსებლის პეტრიწის სახით, ახალ პირობებში კვლავ აღსდგენ; 2) რომ ქართული დამოუკიდებელი აზროვნება შეხვდა ბიზანტიურს გარკვეულ საფეხურზე ორივეს განვითარებისა; 3) რომ მიქაელ პსელლოსს და იოანე იტალს ორივეს ფილოსოფიურ მუშაობაზე ხელი ააღებინეს და საეკლესიო და ობსკურანტულმა რეაქციამ ბიზანტიაში ჩაახრჩო დაწყებული ფილოსოფიური რენესანსი; 4) რომ XII ს. ბიზანტიაში იწყება ძველი საეკლესიო დამცველობითი მწერლობის განახლება ნიკოლოზ მეთონელის სახით და იწყება სააზროვნო რეაქცია; რომ ამისაგან განსხვავებულად საქართველოში ხელსაყრელ სოციალ-პოლიტიკური პირობები იქმნება, რაც ხელს უწყობს ბიზანტიის რენესანსის საქართველოში

გაგრძელებას პეტრიწის მიერ შექმნილი ქართული ფილოსოფიური სკოლის სახით¹.

უმალესი საფეხური, რომელზედაც პეტრიწი ლაპარაკობს, და რომელიც უმალეს სისრულეს ნიშნავს, საბოლოოდ ხაზგასმულია თხზულების მესამე ნაწილში, სადაც ფილოსოფოსი აღწევს სინთეზს „გონიერებისა“ და „ხედვისა“, და სადაც ადამიანს „ესხნესმცა თვსნი გონიერნი თუაღნი“, იგი ეზიარება სამოთხეს და «მუნ მესამარადისოე სული ხედაეს გუართა და მზეთა გონიერთა». ასეთია პეტრიწის სა-
მოთხე—აქ წმინდანები და ანგელოზები კი არაა, როგორც აზროვნობდა ქრისტიანული ეკლესია, არამედ „გუარნი და მზენი გონიერნი“. აქაა სინთეზი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურებისა: „გუარნი“ ანტიკური ლოგიკისა შერწყმულია მზესთან და მიღებულია „მზე გონიერი“. ამ სინათლის „ხედვაშია“ უმალესი ქეშმარიტება და „კეთილობაჲ“. ამას ეძებდა პეტრიწი თავისი „მაცხოვნებელის“, ე. ი. პროკლეს ფილოსოფიის განხილვაში (გვ. 206).

§ 8. ქართული წარმართობა და იოანე პეტრიწის საერო ფილოსოფიური აზროვნება

უკანასკნელი საკითხი, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაეწია პეტრიწს და ქართულ აზროვნებას, იყო საკითხი წარმართობისადმი ურთიერთობისა. ეს საკითხი არ იყო პატარა და უმნიშვნელო. ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსი სწორედ ამ საკითხმა გადაიტანა. იგი თავისთავად ისმებოდა ყოველთვის, როცა კი წარმართული ფილოსოფიის აღდგენას ანუ შესწავლაზე მიდგებოდა საქმე. იოანე იტალიის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაში ეს აუცილებლობა წარმართული ფილოსოფიის აღდგენის წარმართობასთან დაკავშირებისა ზოლივითაა გატარებული².

ასეთი აზრი ტრიალებდა არა მარტო დასავლეთში, არამედ აღმოსავლეთშიაც. სომხეთში ბრძოლა ელინურ ფილოსოფოსთა წინააღმდეგ ამავე მოსაზრებითაა ხელმძღვანებული, და ეს მაშინაც კი ხდება, როცა იგივე ბერძნული ფილოსოფია ზოგიერთ შემთხვევაში მაინც გამოყენებულია³. საქართველოში VIII საუკუნიდან ვიდრე ეფრემ მცირის საწინააღმდეგო პოზიციამდე სიტრთხილის სული ტრიალებს, რომ წარმართულმა ფილოსოფიამ თან არ მოი-

¹) ანდენად მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიაში არის ხარვეზი, რომლის შევსება მხოლოდ „ქართული ფილოსოფიური სკოლის“ შესწავლით შეიძლება.

²) სინოდის, განსაკუთრებით თავები 2, 3, 5.

³) ეზნიკ კოლბელი, „მწველებლობათა წინააღმდეგ“, თავი III

ტანოს წარმართობა საზოგადოდ; ბიზანტიაში მიქაელ ჰსელლოსმა, დიდი მდგომარეობის შენარჩუნება ამჯობინა ფილოსოფიას და წარმართობაში ბრალდებულმა თავის ფილოსოფიურ შეხედულებებზე ხელი აიღო; უფრო პრინციულმა იოანე იტალმა სცადა შეგუების გზაზე დადგომა, მაგრამ გასამართლებულ იქნა.

განსაკუთრებული მდგომარეობა იყო პროკლეს მიმართ: მასში, როგორც ანტიკური ფილოსოფიის დამამთავრებელში და წარმართული ღმერთების უნივერსალური კულტის შემმუშაებელში, წარმართობისა და წარმართული ფილოსოფიის აუცილებელი სინთეზის დროშას ხედავდნენ, და როცა კი დაისმებოდა საკითხი წარმართული ფილოსოფიის წინააღმდეგ კრისტიანული თვალსაზრისით ბრძოლისა, შეტევის ობიექტად პროკლეს ირჩევდნენ. როცა მე-5 საუკუნის მიწურულში დაისვა საკითხი წარმართული ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლისა, პროკოპი დაზელი ილაშქრებს პროკლეს წინააღმდეგ¹. იგივე განმეორდა VI საუკუნეში, როცა იოანე ფილოპონმა--ალექსანდრიელმა გრამატიკოსმა და არისტოტელეს კომენტატორმა დასწერა წიგნი პროკლეს წინააღმდეგ².

როგორც კი ბნელმა ძალებმა ჩააქრეს ბიზანტიური აღორძინება და ფილოსოფიის წინააღმდეგ შეტევა ეკლესიის მორიგ საქმედ იქცა, ნიკოლოზ მეთონელი ესხმის თავს წარმართულ ფილოსოფიას და აქაც თავდასხმის საგანი პროკლეა და სწორედ მისი „კაემირნი“³. ამჟამად, რომ პროკლე ითვლებოდა წარმართობის დროშად და მისი სახელი იყო განსახიერება წარმართობისა და ფილოსოფიის სინთეზისა. იგი აქტიური წარმართი იყო და თავისი ფილოსოფიური მოღვაწეობის გარდა წარმართობის აღდგენისა და სისტემატიზაციისათვის იბრძოდა. პროკლე სწერდა გარდა წმინდა ფილოსოფიურ თხზულებათა რელიგიურ-წარმართულ ტრაქტატებსაც, სადაც ის გარდა დასავლეთის მითოლოგიისა ქალღმერთ რელიგიურ შეხედულებებსაც იყენებდა⁴. აღვხედული წარმართი, პროკლე სთხავდა ჰიმნებს ღმერთებისა და მსოფლიო მნათობთა, განსაკუთრებით მზის სადიდებლად. გასაგებია, რომ პროკლე ერთნაირად საინტერესო იყო იმათთვისაც, ვინც წარმართობას ეტრფოდა, და იმათთვისაც, ვინც მისი მოწინააღმდეგე იყო. თვითონ პროკლე ძალიან აფასებდა იამბლიხოსს, რომ-

¹) ეს თხზულება აღმოჩენილ იქნა Dem. Russos-ის მიერ, რის ნიდადაზე, როგორც ითქვა, გაიზარათ Dräseke-სა და Styrhmayr-ის პოლემიკა.

²) „De aeternitate mundi contra Proclum“.

³) ზემოთ დასახელებულ თხზულებაში, „Ανάπτυξις τῆς θεολογικῆς στοιχειώσεως Πρόκλου“ ნიკოლოზ მეთონელი ს.ა.

⁴) ასეთი გაერთიანების და სისტემატიზაციის მიზნებს ემსახურებოდა თხზულება: „სიმფონია ორფეოსის, ჰითაგორის და პლატონისა“ (Συμφωνία Ὀρφείας, Πυθαγόρου καὶ Πλάτωνος“).

ლის გავლენამ კეისარ იულიანეს წარმართობის პათოსი შთაბერა და ქრისტიანობისაგან განდგომილად აქცია.

სწორედ ეს წარმართობის მედროზე პროკლე აირჩია პეტრიწმა თავის „მაცხოვრებლად“. თუ იოანე იტალიის ტრაგედიიდან ამოვალთ და ერთის მხრივ ნიკოლოზ მეთონელს, ხოლო მეორე მხრივ პეტრიწს გავხედავთ, ორივეს ურთიერთობა პროკლესადმი დამოკიდებულების პრიზმაში ტყდება და აქედან ერთის მიმართულებით ბიზანტიის რენსანსის ლიკვიდაცია ისახება თვით ბიზანტიის სააზროვნო დაცემაში ნიკოლოზ მეთონელის სახით, ხოლო მეორე მხრივ მისი გავრძელება ქართულ ფილოსოფიურ სკოლაში იოანე პეტრიწის მეთაურობით.

პროკლეს მიყოლამ იოანე პეტრიწი შეუმჩნევლად წარმართობამდე მიიყვანა. ეს ჩანს არა მარტო იქ, სადაც პეტრიწი პროკლეს მიყოლით და საზოგადოდ ბერძენ ფილოსოფოსთა გავლენით ღმერთებზე ლაპარაკობს ყოველგვარი ფრჩხილების გარეშე და თანაგრძნობით, არამედ ქრისტიანულ წარმოდგენების წარმართულ წარმოდგენებთან შეგუებაში. განმარტა რა ღმერთისა და „ნაბადის“ ურთიერთობა მზისა და სინათლის „ხედვის“ ურთიერთობაში, პეტრიწმა, როგორც ვნახეთ, შეუფარდა მას, და არა პირიქით, მოსეს ნათქვამი ხატისა და მსგავსების შესახებ. ეხლა უკვე გამორკვეულია, რას ნიშნავს პეტრიწის მთლიანი ქვეყნისათვის „ხატი“ და „მსგავსება“. აქ მისული, პეტრიწი აცხადებს, რომ მას იმედი ჰქონდეს, რომ „ვინ კეთილმებჭემან იხუედრნეს სიტყუანი ჩემნი“—ე. ი. თუ ისე იქნება იგი გავებული, რომ ეს გაბორცებებს არ გამოიწვევს, მაშინ ის მეტს იტყოდა. რას იტყოდა მაშინ პეტრიწი?

პეტრიწი მიმართავს ქრისტიან მოწინააღმდეგეთ. «თუმცა სიტყუაჲ სივრცოდმი არ [...] იწარებდა გიჩუნემცა თქუენთა ულუმპიანთა ძლევენი»—ე. ი. თუ სიტყვის გავრძელება [უსიამოვნებას არ გამოიწვევდა], გიჩვენებდით თქვენთა—ქართველ ოლიმპიელთა სიძლიერესა-ო. ვინ არიან ეს ქართველნი ოლიმპიელნი („ულუმპიანნი“)? ცხადია, რომ აქ ლაპარაკია ქართველ წარმართობის ღმერთებზე, რომელთა ახსნას—ისე როგორც ამას სჩადიოდა პროკლე ბერძნული და ქალღური ღმერთების მიმართ—პეტრიწი შეასრულებდა, „კეთილმებჭეთა“ „მიხუედრის“ იმედი რომ ჰქონდეს. ის იცნობს პროკლეს „ორფეოსს“, რამდენიმეჯერ მიმართავს მას თავის თხზულების მესამე ნაწილში და მზადაა ისე სისტემატურად დააღაგოს და ახსნას ქართულ „ულუმპიანთა ძლევენი“ (გვ. 219,26). პეტრიწმა იცის, რომ ასეთი სურათი—„ზესთა მძლისანი“—გაშალა პროკლემ თავის „ორფეოსში“ და შენატრის: «შეწყობა ორფეოჲს წიგნისა სიკეთენი რაულ რავდენ ვინ გარდასცნეს მოსახვასა, ვითარ

რად ზესთა მძლისანი» (გვ. 208,6-7). პეტრიწი ფიქრობს, რომ ჩვენი ქვეყანა და სამოთხეც შეიძლება ასევე გაიშალოს, რადგან ორივე შემთხვევაში ლაპარაკია «ერთითვე საყოველთაოთა მიზეზთა დადებისათვის». მისგან არ განსხვავდება ჩვენი სამოთხე, ამბობს¹ პეტრიწი, რადგან «ჩუენსა მრავალმკულსა სამოთხესა შორის იწარმოების ერთისა ღმრთისა ზესთმექონებობა, ვინაჲ დაუთანებს ყოველთა კელითქმნულთა ... არ დი უჩინო», ე. ი. ცა და ქვეყანა ისევეა ჩვენთვისაც — ფიქრობს პეტრიწი, შეკრული ერთი ძალით, ერთი ღმერთით, რომელიც თანახლავს ყოველივეს, რაც ხელქმნილია. ეს არის მზე „არდი“ და ამის საილუსტრაციოდ მოყავს მსგავსი ადგილი ლოცვისა — «ღმერთმან ჩუენმან ცათა შინა და ქუეყანასა ზედა ყოველი... იქმონდაო». პეტრიწი ფიქრობს, რომ აქ ის აზრია, რომ აქ ერთი და იგივე პათოსია «ყოველთა არსთა ქებათ მექმისა» (გვ. 212,12 შმდლ).

ეს ადგილი მეტად მნიშვნელოვანია. აქ არა მარტო ნაცადია ქრისტიანობასა და წარმართობას შორის წინააღმდეგობის უარყოფა, არამედ ეს გაკეთებულია ქრისტიანობის წარმართობასთან შეგუების გზით, რაც წარმართობის უპირატესობის აღიარებას უდრის. ამის გარდა თვით ეს შეგუება ჩატარებულია პროკლეს „ორფეოსის“ მიხედვით, რაც პირდაპირ გამოწვევას ნიშნავდა ოფიციალური ეკლესიის მიმართ. მესამე და მთავარი კი ის არის, რომ პეტრიწს აღებული აქვს არა ანტიკური ბერძნული წარმართობა, არამედ ქართული, რითაც ის თავისი დამოუკიდებლობის ხაზს აქაც ინარჩუნებს. თუ წინათ, პროკლეს დებულებათა განხილვისას, იგი მიმართავდა მნათობთა ქართულ-ბერძნულ გამოხატულებას, როგორც იყო დიოს, ერმი, მთიები და სხვ., ეხლა თავის წარმართულ სოფლგაგების ცენტრალურ მომენტს — მზეს ის ძველი ქართული წარმართული სახელწოდებით — „არდით“ გამოხატავს¹.

როდესაც პეტრიწი მიმართავს პლატონის, პროკლეს და პავლე მოციქულის შეთანხმებას, ის ამ წამოწყებასაც ქართული წარმართობის ნიადაგზე ამთავრებს. საინტერესოა ეპითეტები, რომლებითაც ის ამკობს თითოეულ დასახელებულ მოაზროვნეთაგანს: „მწუერვალი ფილოსოფოსთა დღისაჲ პლატონ“, „ჩემი იგი ატიკელი პროკლე“ და

1) პროფ. ივ. ჯავახიშვილი გამოსთქავს მოსაზრებას ტერმინ არდადების გარჩევისას, რომ მზეს ქართულად ოდესღაც „არდი“ უნდა ჰქმეოდა, მაგრამ ფიქრობს „ეს სახელი... ჩვენამდის მოღწეულ ძეგლებში რომ აღმოჩნდეს ძნელი მოსალოდნელია“. პეტრიწის თხზულება პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას ადასტურებს — და ეხლა ხელთ გვაქვს ძეგლი, რომელშიაც „არდი“ მზის მნიშვნელობით იხმარება. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერ. ისტ. I, 1928, გვ. 120—21.

„ჩუენი პავლე მოციქული“; როგორც ჩანს აქ ყოველგვარი დაპირისპირება მოხსნილია და ყოველი დასახელებული მოაზროვნე დახასიათებულია დადებითად და მისაღებად. საკითხი ეხება ერთი ძალის „გამომავლობით შთამოდღვანებას“ ქვეყნად. პეტრიწი ჰფიქრობს, რომ აქვე ყველა დასახელებული მოაზროვნე ერთსა და იმავეს ლაპარაკობს. პლატონმა „იხილა ძე... ნათელსა შორის მამისა“. პროკლეს მიხედვით—„პირველი“ ამოძრავდა, „დასაბამსავე დრკა“ და არ დადგა, სანამ არ მივიდა „დგრმად და მისრულებად სამობისა“. ხოლო პავლე მოციქული „თანამეკემობს“—„ძე შორის მოაქუს მამისა ყოველივე სავესებად ღმერთობისა თვისისა“, რომელიც არის „ერთისა მიერ გამომავლობით შთამომძღვანეელი განგებისა“ (გვ. 210, 6 შმდლ.).

ამავე გზით იშლება ქვეყანაზე კეთილობა, რადგან იგი „ერთი“ თუ ღმერთი წარმოადგენს „კეთილობასა წყაროებისასა და ზედკულად თანამეწამე ღმრთისა კეთილობათა მდინეობისა“. ასე ფიქრობს, პეტრიწის აზრით, ყველა დასახელებული მოაზროვნე; თვითონ კი, თანამეწამე ღმრთისა კეთილობისა, რომელიც მან ქართულ წარმართულ „არდით“ გამოხატა, მიღებული აქვს, „ვითარ მთიებად ღმრთისად და მთიებად საუკუნოდ“, ე. ი. აქაც პეტრიწი ძველ ქართულ წარმართულ ღვთაებრივობას—„მთიებს“ მიმართავს. მთიები, იგივე „ასპიროზ“, ძველ ქართულ მნათობთ წარმოდგენაში ბერძნულ აფროდიტეს უდრიდა. იგი ცისკრის ვარსკვლავი იყო და, პეტრიწის ჩვეულებრივი ტერმინით, სიკეთისა და შშვენების გამოსახატავად—„აცისკროვნება“ არის. ამავე მნიშვნელობით არის „მთიები“—„ასპიროზ“—ცისკრის ვარსკვლავი აქ ნახმარი: იგი ქვეყნის მკობის ანუ „ცისკროვნების“ გამომხატველია¹.

ამრიგად, აქ პროკლეს თხზულება „ორფეოსის, პითაგორის და პლატონის სიმფონია“ უნდა იყოს გამოყენებული როგორც ნიმუში, მაგრამ მისი განხორციელება, აშკარაა, სრულიად თავისებურია. აქ „სიმფონიაში“ მოყვანილია—პლატონი, პროკლე, პავლე მოციქული და საქმე თავდება ქართული წარმართობით. ასე მივიდა ქართული გამგრძელე ბერძნული წარმართული ფილოსოფიისა წარმართობამდე, მაგრამ არა ბერძნულ და არც აღმოსავლურ, არამედ ქართულ წარმართობამდე.

პეტრიწს მოეპოვება, ამრიგად, თითქმის ყველა მნათობთა ქართული წარმართული აღმნიშვნელი; მათში მისთვის მთავარია „არდი“—ქართული წარმართობის მზე, ამის შემდეგ პეტრიწი ცდილობს შეუ-

¹) შეად. პროფ. ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია ტ. I. 1928 წ. გვ. 119.

გუოს „ერთი“ და „სამი“ „ყოვლად სახელგანთქმულსა შვდსა, რომელი არცა შობს და არცა იშობების“, ეს შეგუების პროცესი ჩატარებულა ქალღურ-პითაგორულ მანიპულაციებით და ამ გარემოებას მდგომარეობაში ახალი არაფერი შეაქვს. პეტრიწს არც დაუსახავს მიზნად შეიდთა მნათობთა, ქართულ წარმოდგენაში გაშლილთა, „ძლევენი“ ეჩვენებინა. მან ამის შესაძლებლობა აღნიშნა და აქ შედგა, რადგან „კეთილმებქეთა“ იმედი არ ჰქონდა (გვ. 217,25):

აქ თავდება იოანე პეტრიწის მიერ ქართული ფილოსოფიური სკოლის საფუძველდების საქმე. მთავარი მან გააკეთა: ქართული სააზროვნო ტრადიციების ნიადაგზე და ბერძნული ფილოსოფიის მიყოლით მან შესძლო ქართული აზროვნებისათვის საკუთარი ადგილის მონახვა. მსოფლიო—ისტორიული თელსაზრისით კი მან შესაძლებელი გახადა საქართველოს ხელსაყრელი ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გამოყენება ბიზანტიური რენესანსის საქართველოში გაგრძელებისათვის. წარმართულმა ფილოსოფიამ იგი წარმართობას დაუახლოვა და ქრისტიანობის წარმართულ ენაზე გადათარგმნის ცდა გააბედინა. მან დაიწყო ეს საქმე—მაგრამ არ დაუმთავრებია; აღმოსავლეთით მოსულმა გავლენებმა, რომლებიც დაცული იყო ქართულ წარმართობაში, ეს ტენდენცია კიდევ უფრო გააძლიერა და ქართულ „ულუმპიანთა“ ძლევათა „ჩვენების“ საქმე წინ წასწია.

§ 9. იოანე პეტრიწის ფილოსოფიური სკოლა

შედგა ქართული აზროვნება იქ, სადაც დღემდე ცნობილი წყაროებით შედგა იოანე პეტრიწის ფილოსოფიური საქმე, თუ იგი წინ წავიდა? ასეთია პრობლემა, რომელიც დგას ქართულ სააზროვნო კულტურის ძიების წინაშე. თუ მხედველობაში იქნება მიღებული, რომ მთელი XII საუკუნის მწერლობა—განსაკუთრებით პოეზიის სახით ფილოსოფიური აზრის მოძრაობას უკუფენს, მაშინ ეს პრობლემა აქტუალური ხდება. ამ პრობლემის გადაწყვეტა ფაქტობრივ საფუძვლის სიმციროს გამო დღეს-დღეობით ძალზე ბნელია. რას გვაძლევს მაინც ის მასალა, რომელიც აქამდე ცნობილია? განვიხილოთ.

ანტონ კათალიკოზი რამდენიმე მოაზროვნეს ასახელებს XII საუკუნის მანძილზე, მათ შორის: დიმიტრი მეფეს (გარდაიცვალა 1154), იეზეკიელს (გარდ. 1149), სარგის თმოგველს, იოანე ტარიქისძეს და სხვ¹.

ანტონ კათალიკოზის ცნობები თავისთავად საბუთად ვერ გამოდგება. მის დამკველობითს მეტად აქტიურ განწყობას რომ თავი

1) ანტონი, წყობილსიტყვაობა, 763, 766, 768, 782 და სხვ.

დავანებოთ, იგი ხშირად არა სწორ და შეუმოწმებელ ცნობებსაც შეიცავს. ასე მაგ., ანტონი ეფრემ მცირის მასწავლებლად ასახელებს იოანე პეტრიწს, რაც, როგორც გაირკვა, სრულიად ეწინააღმდეგება ქართული აზროვნების ისტორიულ პერსპექტივებს¹.

მის მიერ დასახელებულ ფილოსოფოსთა შორის შეიძლება შევჩერდეთ მხოლოდ ორზე: ესენი არიან—იე ზეკიელი და იოანე ტარიქის ძე. მათი დახასიათებისას უნდა მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ქართული აზროვნება XI—XII საუკუნისა არ წარმოადგენდა მთლიან და შეთანხმებულ მოვლენას. მას, როგორც ყოველთვის, კლასობრივ-იდეოლოგიური დალი აზის და თუმცა იგი საეკლესიო წრებთან არის დაკავშირებული, მაგრამ როგორც ზემოთაც აღინიშნა, სოციალ-პოლიტიკურ ბრძოლებთან დაკავშირებით თვით ეკლესია და სასულიერო წრეები არ წარმოადგენდნენ კომპაქტურ სოციალურ მოვლენას. ამის მიხედვით გაიშალა განახლებისა და კონსერვატორთა ბრძოლაც და XI—XII საუკუნეთა აზროვნებაც ამ თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული. კონსერვატიული წრე ქართულ სასულიერო წოდებაში ძლიერი უნდა ყოფილიყო, თუმცა მისი მდგომარეობა XI—XII საუკუნის ბრძოლებთან დაკავშირებით წინანდებურად მტკიცე აღარ იყო. ამ პირობებს უნდა შეექმნა და შექმნა კიდევ თავისი იდეოლოგიები. მათი მიზანი უნდა ყოფილიყო იმ „გარეშე“ ანუ საერო ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელსაც იმავე ქართულ აზროვნებაში ისეთი წარმომადგენლები გაუჩნდა, როგორც იყო იოანე პეტრიწი.

კონსერვატიულ სააზროვნო წრის სათავეში შექველია დგას არსენ იყალთოელი. თუ ეფრემ მცირის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არ იღებდა მკვეთრს ხასიათს, რადგან ეფრემი არც თვითონ მიდიოდა ძალიან შორს „გარეშე“ ფილოსოფიის საქმეში და პირველი შემთხვევის უმაღლესად იყო შერიგების გზები ეძებნა. სხვა მდგომარეობა შეიქმნა იოანე პეტრიწის გამოვლით, რომელიც სრულიად სხვა გზას დაადგა, და არა თუ არ ფიქრობდა უკან დახევაზე, არამედ ქართულ საეკლესიო კონსერვატორებს, როგორც ენახეთ, უვიცებად, „უცნობოდ“ სთვლიდა. ისიც ვიცით, თუ რაოდენ მწვავედ განიცდიდა ის ბრძოლის სუსხს, რაც თავის მხრივ მას კიდევ უფრო აძლიერებდა.

ასეთ პირობებში კონსერვატიულმა პარტიამ თავისი ლიდერი— არსენ იყალთოელში ჰპოვა. რა უნდა ყოფილიყო მისი საქმე მისი საქმე უნდა ყოფილიყო თეოლოგიური დოგმატიკის დაცვა; ის ასედაც მოიქცა, მაგრამ დრო გამოიცვალა, ფილოსოფიაზე ხელის აღება

1) იქვე, 748.

ექვთიმე ივერის მიერ განმტკიცებული განახლების შემდეგ არ შეიძლება. ძველი დრო „მომადლებულ“ და „უცილებელ“ ქვეშაობებისა მოკვდა. საჭირო შეიქნა მისი ახალ პირობებში გაცოცხლება, განახლების გაკვეთილის გამოყენება, მაგრამ არა ისე, როგორც ეს საერო ფილოსოფიის მოტრფივლებმა ჩაიდინეს და დასასრულ იოანე დამასკელის ანდერძის ნაცვლად თეოლოგია ფილოსოფიას ამსახურეს.

არსენ იყალთოელის გამპრიახობა იმაშია, რომ ის მიხვდა დროის ასეთ მოთხოვნილებას. მან იცოდა, რომ ძველი, თეოლოგიურ-დოგმატური ტრადიციების აღდგენა აღარ შეიძლება, რომ ექვთიმე ივერი ის საზღვარია, რომლის უკან დახევა განუხორციელებელია. მან კვლავ აიღო ხელში იოანე დამასკელის დროშა, რომელიც საერო ფილოსოფიის ხალხმა შეგნებულად ხელიდან გააგდო, და სცადა ამავე დროშის ქვეშ გაეშალა დოგმატიზმისათვის ბრძოლის ახალი ფორმა.

არსენ იყალთოელი ფრიად განათლებული კაცი იყო; მან კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა ბიზანტიაში. იგი უეჭველად გაცნობილი იყო იმ დევნას, რომელიც გამოუცხადა ეკლესიამ ბიზანტიაში წარმართული ფილოსოფიის მიმდევართ. მისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა იოანე იტალის ისტორია და სინოდის მეთხე მუხლის განმარტება, რომ ელინური ფილოსოფია შეიძლება იქნას შესწავლილი, მაგრამ საეკლესიო მიზნებისთვის. ის კარგად იცნობდა მანგანის აკადემიის საქმიანობას, სადაც ის სწავლობდა, და სადაც ტარდებოდა ცხოვრებაში ბიზანტიური ეკლესიის თეოლოგიურ-დოგმატური მიზანდასახულობა. საქართველოში დაბრუნებისას მან დააარსა იყალთოს აკადემია, რომელსაც, საფიქრებელია, იგივე მიზნები დაუსახა¹.

ამას უნდა შეექმნა საქართველოში ის მდგომარეობა, რომ ორი აკადემია იყალთოსა და გელათის, რომელთა შორის დიდი განსხვავება ყოფილა, როგორც ერთი-მეორეს ვერ ურიგდებოდნენ, ყოველ შემთხვევაში ფაქტი ისაა, რომ, მიუხედავად დავითის მიწვევისა, არსენ იყალთოელი გელათის აკადემიის მოღვაწეთა შორის არა ჩანს, რაც გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ გელათის აკადემიაში იოანე პეტრიწი მოღვაწეობდა. შეიძლება ორი აკადემიის არსებობა XII საუკუნის საქართველოში, რომელთაგან ერთი—იყალთოს აკადემია არსენ იყალთოელის სახელს უკავშირდება, ხოლო მეორე—გელათის—იოანე პეტრიწისას, იმის მაჩვენებელი იყოს, რომ პირველი კონსერვატიული აზროვნების ცენტრი იყო, სადაც „სჯულიერი მოღვა-

1) იხ. პროფ. გ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. I, 287.

წენი“ მუშაობდნენ. ხოლო მეორე—რენესანსის ცენტრი, სადაც თუ საესებით „უსჯულო“ არა, ყოველ შემთხვევაში, ეკლესიის თვალსაზრისით არაკეთილსაიმედო ხალხი იყო თავმოყრილი¹.

რას წარმოადგენს არსენ იყალთოელის მთავარი თეოლოგიურ-ფილოსოფიური საკმე? ეს უსათუოდ არის მის მიერ შეწყობილი, ნაწილობრივ მისგანვე თარგმნილი, სხვადასხვა თხზულებათა კრებულები, რომელშიაც სხვათა შორის თექვსმეტი თეოლოგიურ-დოგმატური ნაწარმოებია შესული. ამათ შორის ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა იოანე დამასკელის წიგნის „ცოდნის წყაროს“ ხელ-აბალი თარგმანი, რომელიც არსენს თვითონვე შეუსრულებია. იოანე დამასკელიდან გადმოთარგმნილია ორი ნაწილი: „დიალექტიკა“ და „გარდმოცემაჲ“. წამყვან როლს კრებულში თამაშობს არა ეს ნაწილი, არამედ ანასტასის სინელის წიგნის თარგმანი—სახელწოდებით „წინამძღუარი“.

ეს ის თხზულებაა, რომელიც ჰქონდა ხელთ ექვთიმე ივერს, ეფრემ მცირის მოწმობით, და რომლის მიხედვით ექვთიმემ მის მიერ შეწყობილ იოანე დამასკელის თარგმანს, „წინამძღუარი“ უწოდა. მაგრამ აქ დამახისიათებელი ისაა, რომ თუმცა არსენი თავის კრებულს არ უწოდებს „წინამძღუარს“, მაგრამ, როდესაც ახასიათებს თავის „დოღმატიკონს“, აღნიშნავს: ეს წიგნი „ნამდვილი წინამძღუარი არს წმიდისა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისაჲ“². აშკარაა, რომ ამ განცხადებას თავისი საპოლემიკო მნიშვნელობა ეძლეოდა; შემდგენელს სურდა ხაზი გაესვა „ნამდვილ წინამძღუარისათვის“, რათა იგი გაერჩია მეორე „წინამძღუარისაგან“, რომელიც შეადგინა ექვთიმე ივერმა. სხვა აზრი ამ ხაზგასმას არა აქვს, მით უმეტეს, რომ არსენი მოითხოვს, რომ იგი იყოს „თული, რომლითა ჰხედავს, და პირი, რომლითა ზრახავს, და სასმენელი, რომლითა ესმიან ღმერთშემოსილთა მამათა უცთომელნი მოძღურებანი“. აშკარაა, რომ აქ მხოლოდ თავის წინამძღუარს აღიარებს არსენი ნამდვილ სახელმძღვანელოდ, რათა თავიდან იქნას აცილებული შეცდომანი, რომელნიც, ჩანს, მეორე „წინამძღუარს“ გამოუწვევია.

მიუხედავად ამისა, იოანე დამასკელი მაინც შეტანილია არსენის „დოღმატიკონში“; მაგრამ აქაც სწორედ იგივე ხდება: არსენი თვითონ სთარგმნის ხელახლად იოანე დამასკელის „დიალექტიკასა“ და „გარდმოცემას“, რადგან სხვა თარგმანი, არც ის, რომელიც შესულია ექვთიმეს „წინამძღუარში“, და მით უფრო

1) ქრონიკები, I, 311.

2) Ф. Жордания, Описание, I 232.

არც ეფრემისა, რომელიც აცხადებდა, რომ დოგმატური აზრი „ულონოა თვნიერ სიტყვებებისა“, ე. ი. ლოგიკისა, მისთვის მიუღებელია. ამით, და არა მარტო ფსიქოლოგიური მოსაზრებებით, აიხსნება, როგორც ფიქრობს პროფ. კ. კეკელიძე, არსენის მიერ იოანე დამასკელის ხელახლად თარგმნა. ამისდა მიუხედავად ის „თუალი, რომლითა იხედების უცთომელნი მოძღურებანი“, დიალექტიკით და „გარემე“ ფილოსოფიით როგორღაც მაინც არის შექურცილი.

არსენს არ შეეძლო თავის „დოღმატიკონში“ არ შეეტანა დიალექტიკა და ფილოსოფია საერთოდ. ამას ითხოვდა მისგან ახალი დრო და ახალი ვითარება. იგი ცდილობს შეუგუოს ერთი-მეორეს „უცთომელნი მოძღურებანი“ და ფილოსოფია, მაგრამ ისე, რომ დიალექტიკა დოგმატიკას ემსახურებოდეს. ამით მას სურს აღადგინოს ნამდვილი დამასკელი, მის მიერ ხელახლად საგანგებოდ თარგმნილი და გზა გაუკაფოს ნამდვილ წინამძღუარს „წმიდა კათოლიკეთა ეკლესიისას“.

ასეთია არსენ იყალთოელის თეოლოგიურ-ფილოსოფიური განწყობა. ცხადია, რომ იგი არსებითად განსხვავდებოდა იოანე პეტრიწის ფილოსოფიური საქმისაგან: 1) თუ არსენს ესაჭიროებოდა ფილოსოფია თეოლოგიის სამსახურად, იოანე პეტრიწს მთელი ცენტრი სწორედ ფილოსოფიაში გადაჰქონდა; 2) არსენისათვის სიბრძნე იყო „მარჯუენე მკლავი, რომლითა ესერის და სდევნის სამწვალებლოთა გესლიანსა სიბოროტესა“¹, პეტრიწი კი საერო ფილოსოფიის ნიადაგზე გულდასმით განმარტავდა პროკლეს, „ორფეოსს“, და წარმართ ღმერთებს შორის ქართულ მნათობთა თაყვანისმცემლობის ამოკითხვას სცდილობდა. ამ ორ მიმდინარეობას შორის შერიგება შეუძლებელი იყო და ისინი არცოდეს შერიგებულან და მხოლოდ ქართულ ჰუმანიზმსა და რენესანსს შეეძლო მიეცა საფარი იოანე პეტრიწისათვის.

ნათელია, რომ XII საუკუნის მოაზროვნეთა შეფასება და მათში ქართული ფილოსოფიური სკოლის შესაძლებელ გამგრძელებელთა ძებნა ამ იდეოლოგიური ბრძოლის ფაქტს ვვერდს ვერ აუვლის, რის გამოც ანტონ კათალიკოზის მიერ მიღებული მწკერივი დაუშვებელი და გადასასინჯავია. ამისივე მიხედვით ჩვენ მიერ შერჩეული იოანე ტარიკისძე და იეზეკიელიც ერთ და იმავე სიბრტყეში არი განიხილებიან. აქ თავდაპირველად საინტერესოა გარეგნული მოვლენანი. უმნიშვნელო არაა, რომ არსენ იყალთოელი და იოანე ტარიკისძე ერთად მოსულან საქართველოში 1114

¹) Ф. Жордания, loc. cit.

წელს¹. თავისთავად ეს ფაქტი არაფერს ნიშნავს, მაგრამ საკითხს აყენებს: ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მათი შეხვედრა შემთხვევითი არ იყო? ამაში დასარწმუნებლად კი საჭიროა იოანე ტარიქისძეს მოღვაწეობისათვის მიხედვა. აღსანიშნავია რომ იოანე ტარიქისძე — ფილოსოფიური ინტერესის კაცია. დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით ძნელი გამოსარკვევია, თუ რა დაუწერია იოანე ტარიქისძეს. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარი მაინც ის არის, რომ იოანე ტარიქისძის ინტერესი დიალექტიკა-ლოგიკის გზით მიდის, რომ დიალექტიკა აქაც ისეა გაგებულნი, როგორც იოანე დამასკელთან და რუ სახითაც ის აინტერესებდა არსენ იყალთოელს, ე. ი. როგორც წმინდა ტექნიკური საშუალება მტკიცება-დასაბუთებისა.

გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ორ სხვა, იოანეს მიერ შესრულებულ თარგმანს: სახელდობრ ამონიოს ერმიას ძისა — „განმარტებანი პორფირის შეყვანილობისა“ და „განმარტებანი კატეგორიებისა“². ეს მოვლენა მეტად დამახასიათებელია: იოანე ტარიქისძე გაჰყვა ლოგიკის ფორმალისტურ ნაკადს, სრულიად დაშორებულს შინაარსისაგან. ასეთი უნდა ყოფილიყო მისი ფილოსოფიური განწყობა, რადგან კონსერვატიულ აზროვნებას არ აინტერესებდა ფორმისა და შინაარსის დამთხვევა, მისთვის ლოგიკას მხოლოდ გარეგნული მნიშვნელობა ჰქონდა და ამისათვის ყველაზე გამოსადეგი იყვნენ ნეოპლატონიზმის ეპიგონები, დაცემის ხანის წარმომადგენელნი. ამონიოს ერმიას ძე ერთ ადგილს გამოსთვლის, რომ არსებობს 1512 ერთი-მეორის მოწინააღმდეგე მსჯელობები³. მისთვის უკვე მთელი ლოგიკის აზრი ასეთ ჩხირკედლობასა და გარეგნულ სქემებშია. არსენ იყალთოელის მიერ აღებული კურსი აქ აშკარად იჩენს თავს: თუ პროკლეს, როგორც ნეოპლატონიზმის მწვერვალის, გამოყენებამ საერო ფილოსოფიის მომხრენი შექმნა საქართველოში, იოანე ტარიქისძე განაგრძობს ახალ დროსთან შეგუების საქმეს, მაგრამ პეტრიწისაგან განსხვავებით ნეოპლატონიზმის ეპიგონების და ფორმალისტურ-ლოგიკური სქემატიზმის გზას მიყვება. ეს მეტად დამახასიათებელია და იოანე ტარიქისძეს უდაოდ არსენ იყალთოელის კონსერვატიულ სკოლას აკუთვნებს.

სხვა სურათს წარმოადგენს იეზეკიელი. მის შესახებ მეტად მცი-

¹) ქრონიკები, I, 225.

²) ეს ამონიო იყო პროკლეს მოწაფე. მეორე ამონიოსისაგან განსასხვავებლად მის სახელს მამის სახელსაც ურთავდნენ *Αμμωνίου Πιργιεύου*. ნამა მისაც ჰქონდა დაწერილი წიგნი პორფირის შესახებ: *Προσθεσται ες τὴν εἰσαγωγὴν Προκλήτου*⁴, მაგრამ ქართული თარგმანების ორიგინალები შვილს ეკუთვნის.

³) Prantl, Geschichte der Logik, I, 652.

რე ცნობებია დაცული, მაგრამ ის უეჭველად დიდი მასშტაბის მოაზროვნე ყოფილა, თუ მას იოანე პეტრიწს ადარებდნენ¹. მისი ფილოსოფიური მწერლობის შესახებ არაერთი სანდო ცნობა არ მოიპოვება, მაგრამ საინტერესოა, რომ მას იმ დარგშიაც უმოღვაწეობდა, რომელიც დამახასიათებელი იყო უკანასკნელ ნეოპლატონიკოსებისათვის და შეთვისებულ იქნა იოანე პეტრიწის მიერაც: ეს არის ფილოსოფიური პოეზია. პროკლე ფილოსოფიური პოეზიის დარგში ძალიან დახელოვებული იყო, ის უძღვნიდა ჰიმნებს და ქებათ მსოფლიო მნათობებს და განსაკუთრებით მზეს. იოანე პეტრიწმა შეთვისა ფილოსოფიური პოეზიის გზა და მას ცალკე იამბიკობიც უწერია და გალექსილი თარგმნებიც, მაგ. იოანე სინელის „კლემენტის“ უნდა აღინიშნოს, რომ იოანე პეტრიწს პოეტური ნიჭი არ ეტყობოდა, და თუ ის ფილოსოფიურ პოეზიას მაინც ეწვდებოდა, ჩანს, ეს დროის გემოვნება იყო, ნეოპლატონიკური გავლენითაც გაძლიერებული.

ი ე ზ ე კ ი ე ლ ის ფილოსოფიური პოეზია უფრო მოქნილია ფორმით და დამახასიათებელია შინაარსით. მეტაფორები, ეპითეტები და თვით საგანიც მისი იამბიკობისა სრულიად ნათელყოფს მის პოეტურ ნიჭსაც და იოანე პეტრიწთან მკიდრო კავშირსაც. იამბიკობის აკროსტიხული მოქნილობა კარგადაა გაკეთებული, მისი შინაარსის ბოლოსტრიქონში გაშლით. აქედან ცნობილია ორი იამბიკო, რომლებიც იოანე პეტრიწის მიერ ლექსად ნათარგმნ იოანე სინელის და მესამეც—უცნობ სვიმეონის ქებას შეიცავს.

დამახასიათებელია უკვე პირველი სტრიქონები:

„იძღვენ საცემნი ორფევის კმათ და მხსნენნი...“—

ორფეოსის ხმა, რომლის „დახსნით“ გაათავა იოანე პეტრიწმა, როგორც ვნახეთ, თავისი ტრაქტატი, აქ „საცემთა“ საშუალებით უნდა, დაიხსნას“. ქება მიმართვის სახით გამოთქმულია ნათელისა და ცეცხლის ენაზე:

„ნათელმყოფელო ალთა გულისათა“.....

და მეტაფორა იმავე პეტრიწის ენით როგორც „მუსიკთ კმათასა ზესთა“.

მეორე იამბიკო კიდევ უფრო შესანიშნავია.

„ბუნებითა აღძრვათა წამებრივთა უფლის,

ელვა მდღესე... ნათელ იყო თვალთა თუ ნამდვილნი.

აქ წამებრივადაა წარმოდგენილი ანუ, როგორც პეტრიწი იტყობდა „წამის ყოფად“ უფლის ელვა, რომელიც დღეს ანათებს. აქ უფალი დღის „წამებრივად“, ელვით განმანათლებელ მზედაა მოცემული. აქ ყველაფერია თავმოყრილი: ელვის ის მნიშვნელობა, რომელიც, როგორც ვნახეთ, კვლავ აღადგინა პეტრიწმა მისი ძველი წარმართული მნიშვნელობით, „წამის ყოფა“, და თვალის ანუ „ხედვის“ მომენტიც. ამას მოყვება მიუღრეკელი ფენა ნათელისა ყოველ

1) ა ნ ტ ო ნ ი, წყობილსიტყვაობა, 766, 67.

ნიეთზე—მაღალზე თუ მდაბალზე, უკეთეს „ზესთ მნათი“ კეთილ სა-
ხოვანია“ ანუ „კეთილმორთე“.

აქ პირდაპირი გზაა პეტრიწისაკენ, აქვეა პეტრიწის თქმა მზის-
ლმერთის მიმართ: «მიუდრეკელად ანათებს ყოველსა». და ერთვის პეტ-
რიწისაკენ თქმას, რომ სინათლის მოფენა სიკეთის ანუ „კეთილობის სა-
ხის“—„მორთეს“ მოცემაა ნიეთათვის და ეხება ყოველ „ნათხზს“.

„ნათხზთა რა ამათ ესე ვითართა...

ანთებ თვათა. მუნთა აღისა და უჩინო ყოფად.

აქ ის ზეციური განათებაა მოცემული, რომელიც აღს „უჩინოდ“
ყოფს; ეს ზეციერ აღის უჩინობა პეტრიწს, როგორც ვნახეთ, აგრეთ-
ვე გამოსახული ჰქონდა ქართული წარმართული ღმერთის—მზის—
„არდის“ სახედ—„არდი უჩინოჲ“.

მესამე იამბიკო აღარაა ფორმალურად ისე დამუშავებული:
იგი აღარაა აკროსტიხული. მიუხედავად ამისა აქაც მოცემულია იგი-
ვე სახე ნათელისა და მზისა, რომელიც გაშლილია ქართული წარმარ-
თობის სახეებში: მარადიული სინათლის, ზმისა და „ულამო ღამისა“

„ნათელთა შორის უღამოსა მბრწყინებან.

და უვალისა მზისა ელვარებითა

თანშუებულება მთხოვე უფალთა სუმონ“.

ეს ადგილი აღარ სტოვებს არაერთარ ექვს, რომ აქ მოცემუ-
ლია პეტრიწის სოფლგაგების ნიადაგზე ნათელ ღმერთთან—მზესთან
საშუებლად მიახლოვებაზე, ვედრება და „შუებულება“ მწუხრობის-
გან. ყველაფერი ეს პირდაპირ ეხება იოანე პეტრიწს.

„ულამო ღამე“ და „დაუვალი მზე“—იყო სახეები, რომლებითაც
ქართული წარმართობა გაიშალა აღმოსავლური სოფლგაგების ნია-
დაგზე, სადაც მან სინათლისა და ბნელის დუალიზმი გადალახა და
რომელიც ქრისტიანულ სოფლგაგებაში ტრანსფორმირებული და და-
სავლური ნეოპლატონიზმით გაღრმავებული, იოანე პეტრიწმა კვლავ
აღადგინა და მისი ქრისტიანობასან შეგუება ისევე სცადა, რო-
გორც მრავალ საუკუნეთა წინ ქართველმა უნიონალისტმა (მოზიდანი),
და ნეოპლატონიზმთან შეხებაში მოსულმა ხალხმა (ბაქური) ქრისტიან-
ული კულტურის საქართველოში შემოსვლის პერიოდში სცადეს.

ასე შეიკრა ქართული კულტურის რკალი, თავის შინაარსში და
სიღრმეში გამდიდრებული, და ქართულ რენესანსს დამთავრებული
სახე მისცა. პეტრიწის წარმართული ფილოსოფიიდან წავიდა გზა
ფილოსოფიური პოეზიისაკენ.

მომავალი კვლევის მოვალეობაა ძეგლების ძებნა, პოეზიის და
არსებულის ვლევა, რათა აღდგენილ იქნას ის გზა ქართული საზო-
გონო კულტურის განვითარებისა, რომელზედაც იოანე პეტ-
რიწს გარკვეული და მიმმართველი ადგილი უჭირავს.

იოანე ჰეტრინისა

განმარტებაჲ

პროკლესტუს დიადოხოსისა

და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს

არამედ დაუზევდების ესე ამათ ყოველთა. ხოლო აღმოაჩენს ერთსა სახედ მოღებთა სიმრავლისა და ამის რიცხუთა დასაბამისა ერთისაჲთა და კანონთაებრ «ორღანოჯსათა» აღმოშიარსებს ჩუენ, ვითარმედ პირველად ერთი არს ყოველთა რიცხუთაჲსა.

5 და ვითარცა ესე აღმოაჩინოს და დამსკუთლოს უძრავად და შეურყვევლად ყოვლისა ცთომილისა მბრძოლისაგან, მერმე აღიღებს C 6 მას აღმოაჩენილსა და უმზილებელსა პირსა და სხუასა შემდგომსა აღმოაჩენს, და შემდგომითი შემდგომად ყოველთა ზედა ამას ჰყოფს: რამეთუ პირველ აღმოაჩენილთა მიერ შემდგომთასა დასდებს საფუძ-
10 ველსა აღმოაჩენათასა, და ესრეთ სრულ ჰყოფს, რაჲთა, ვითარცა გუამი, თვისთა ნაწილთა მიერ შედგეს და მოიღოს თვისი ყოველობაჲ.

ხოლო ზედაწარწერილი იტყვს: პროკლე დიადოხოზი პლატონისა ნურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღმრთისმეტყუელეებითნი. A 2a.

ესე პროკლე, მონაცვალე საყდარსა საღმრთოჲსა პლატონის-
15 სა, იყო ტომით ეონიელი, შვილი დიდად დიდთა გუარითა, რომელთა არა ესუა შვილი და ლოცვათა მიერ სამარადისოდ ჰრეკდეს საყდართა ღმრთისა წყალობისათა. ვინაჲ ეუწყა მათ ნაღმრთოჲსა მიერ საუწყოჲსა, ვითარმედ «მოგეცეს თქუენ წული ყრმაჲ, რომელმან წარვლნეს ყოველნი ჰასაკნი ხედვასა შინა ზესთა ნაწილისასა». და ვითარ
20 აღიზნა ჰასაკმან ყრმებრივმან, სიწმიდითა მის შორისთა [ძალთაჲთა] დაფარნა ყოველნი საზომთა უმსგავსოობითა. ვიტყვ პირველად სიწმიდესა და შრეტასა მის შორისთა ნაკურცხალთა სიქაბუქისათა, რომლითა დაღელავს გრძნობადთა და ოცნებათა ესე ძალი სულთა ქმნად | შთამოვრდომილთა. მეორედ სიკმოსა და სიმბზღესა შორის A 2b.
25 ლუაწლსა სასწავლოთასა, ანუ თუ სიტყვერებითთა სთქუა გინა ბუნებითთა ხედვათა, ანუ რიცხუთა და ქუეყანის საზომლოთა და თვთ მის მუსიკელობისა, რომლისა მიერ აღმოაჩინების ანაქუსი ესე და ნათხზი მყოფთა აგებულებისა, და ურთიერთას ზიარებისა და განყოფილებისა, და თუ ვითარ ამათ მიერ კეთილმეტყუეობაჲ ყოველთა ღმრთისა
30 დამბადისაჲ დაუზესთავედების მხედველსა. და კუალად ამათ ყოველთა ბუნებასა თანა ნაწმასნთა ხედვათა ზესთ დაედვა, რამეთუ დაუტევა C 7

1 არამედ <B.— 2-3 ერთისათა CD.— 3 ორღანოსაჲთა CD.— 4 ედ ერთ არს ყთა რიცხუთა პლად C, მას პედეგ ნახეკარ სეკაქონის ზომის ხარკეზი CE-პი.— 7 ამს C.— 8 შემდგომად-ის პედეგ ნახეკარ სტრაქონის ზომის ხარკეზი D-პი.— 9 შემდგომსა A.— 11 მიიღოს Aჰ.— 13 ფილოსოფოსისა D.— 14 საყდართა CDEF, საღთოჲთა B.— 15 ეონიელი B.— 16 ძრეკდა B.— 16-17 საყდართა | კართა CDEF.— 17 მიერ სღასა B.— 19 ზესთა | ზენათა CDE.— 20 მის შორისთა ძალთაჲთა | მისისათა რომელთაჲთა CDF, მის შორისთა [. . .] A, მის შორისთა B, მისთა ძალთათა E.— 22 და [. . . .] მის შორისთა A, და მის შორისთა B.— 23 დაღალავს E — 24 შთანოე [. . .] მეორედ AB (B-პი პედეგ) პედეგულა ერთდომილთა).— 26 ხედვათათაჲ B — ქენისსა B.— 31 ზესთ C; ზესთა-ს C-პი ეოკელოკ-ს უღას ზესთა).

ესე უამსა შორის და ქმნასა ნახიზლნი და მზუელაენი ოდენ არსისანი, რამეთუ თვთ უმრავლესი მათი შეკრულ არაობასა თანა, ვინაჲ ზედ მოჰმართა ნამდვლ ქეშმარიტსა მყოფსა და არსსა. და არცა ამით შორის დაუტყევა საზღვარი თვსთა ზედვითა, რამეთუ თანაჰყუა თვსთა

5 პირველთა, ვიტყვ პლატონისთა და მის უმწუერვალესისაცა გონებისაგან მიუწდომელსა ერთსა. რაოდენ იყო შესაძლო, იმეცადინა ცნობად მყოფთა სასურვოჲ იგი და სატრფოჲ, და ბეკდულნი და დაფარულნი პლატონის მიდმოსიტყვისანი განაცხადნა და მათ შორისი სიბრძნე საუკუნითგან არსთა და თანწარმოდგომილი სარწმუნოებჲა აღასაკუშილა, და ვითარ მათ შორის სწყურის პლატონს მის უოცნოვსა ერთისათვს და ყოველისა გონიერისა და ზესთ გონიერისა აღმკულისათვს. და კუალად წარმორეულთა ზედა და ცეცხლის

10 სახედ დაკვირებულთა პერიპატოელთა არისტოტელის-გამოთა სიტყუაჲ კანონთა მიერ შეძერწული უკუნსცა. და თვთ არისტოტელის მიერ მოპოვნებულთა შესიტყვითა კანონთაჲთ ჩემებული სიბართლე, რომლითა ურღუევედეს პლატონს პერიპატოელნი, განაცხადა და უმდგმო ყო. ხოლო შესამედ ამით ყოველთა ზედა დაპართო სიწმიდე და სიცხადე აღმოსაჩენთაჲ, და სიალღესა თანა ზედვისასა წყაროჲ თარგმანებითა ნადენთაჲ, რომლისათვსცა დიადოხობაჲ, რომელ არს მონაცვალეობაჲ პლატონისი, გარდაისახელა შემდგომთა მიერ. ესე პროკლესთვს თანწარვლის სახედ მივეციოთ საუწყოსა.

ხოლო სტვქიოდ ღმრთისმეტყუელებითად ითქუნეს თავნი ესე. სტვქიოჲ ეწოდების კავშირსა, და ამისთვს დადუა კავშირი, ვითარცა უმარტივესი ყოველისა, რამეთუ სასწავლოდ შემეავლთა ყოველთა პირველად უმარტივესთა ასწავებენ, და შერბელა მათგან შედგმულთა ვითარცა ასოთა მიერ სახელსა, ხოლო სახელთა მიერ თქუმა-

25 სა, და კუალად თქუმისა მიერლა სიტყუასა, ვითარ გვსწავლია ჰქერი ერმინიისა, რამეთუ ყოველთა შედგმულთა მარტიენი უპირველეს,

30 ვითარ ოთხთა ამით კავშირთა—ვიტყვ ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქუეყანასა. ვინაჲ ამითვე სახითა სიტყვსათა კავშირად უწოდა,

7 შებეჭდულნი E.—და <E.—8 მათი ABCDE.—11 უოცნოსაჲ AB, უოცნოსა CDE.—13 პერიპატოელთა AB.—15 მოპოვნებულთათ DE, მოპოვნებულთაჲთ AB.— შესიტყვ(ა)ითა D.—კანუნთათ CF.—ჩემებული <D(სადკეჲსა), C-ჲ ნამატკაჲლა სადკეჲსაჲ ადუაჲ.—16 სიბართლე სიბართლე F.—17 განაცხადანა CDEF; CD-ჲ აჲ ს-ჲეჲს პეჲჲჲჲ ერთი სიტყუჲს წოჲჲს სადკეჲსა.—18 სიტხადე სიბართლე CEF (C-ჲ აჲ ს-ჲეჲს აჲჲჲჲ სეჲჲჲჲ რაჲჲ სიტხადე).—აღმოსაჩენითა D, ხადე აჲჲ ს-ჲეჲს ეკო სიტყუჲს წოჲჲს სადკეჲსა.—19 თარგმანებრთა CEF; აჲ სიტყუჲს პეჲჲჲჲ CD-ჲ მადკეჲს სადკეჲსა.—20 პლატონისი აჲ პეჲჲჲჲ BD-ჲ ერთი სიტყუჲს წოჲჲს სადკეჲსა.—23 სტვქოდ E, სიტვქიოდ B.—24 სიტვქიო B, სტვქოჲ DE.—26 პირველად <AB.—მადგან E.—28 თქმა B.—30 ცეცხლსა ჰაირსა F, ცეცხლ აირსა CE, ცეცხლ ნაირსა D.—უწოდ AB.

ვითარცა უმარტივესთა ყოველთა შორის საღმრთისმეტყუელოთა ხედვათასა. რამეთუ პირველ ერთისა ცნობისა რაჲმცა ცნა ყოველმან მეძიებელმან | ცნობისამან? და ესრეთ მარტივად წესი და სირაჲ, A 3b
რომელ არს ნათხზი ყოველთა, დააწყო და წარმოაჩინა, ვითარ გონე-

ბისა, სულისა, ბუნებისა და სხეულისა, რომელი ესე თითოეული თვისა აღგილსა განვმარტოთ.

ზარან დაესძინოთ მცირედ და კითხვისათვისცა, თუ ვითარ ჯერ არს ამათ სასწავლოჲსა წიგნთა კითხვა, ვითარცა თვთ სოკრატისთვის იტყვან, ვითარმედ იკითხვიდისო სოკრატ, ვითარ იკითხვიდინან 10
ყრმანი მცირენი, და კულად შეექცის მასვე წარკიბულსა, რამეთუ არა თუ გუარსა ჯერ არს საკითხავისასა მიცემაჲ, არამედ ცნობისა და აღუწყებისათვის არს სათანადოჲ, და გაკუეთისა და შედგმისა და უკუნქუევისა და უკუნაჲთ პირთა აღებისა და წერტილთა და სხუათა ყოველთა მძღუართა, ვითარ მახვლსა ოქსიასა, და ვარიასა, 15
რომელ არს მძიმე, და პერისპომენსა, რომელ არს გარემორთბული, და სხუასა ყოველსავე სათანადო არს რაჲთა ეიკმარებდეთ კმასავე თანა და პირსა სიტყვასა, რაჲთა გონებაჲ უცთომელი აღვიუწყოთ. და ესეცა შევისწაოთ, რომელ მალლიად კითხვაჲ მოშლის გაგონებასა, რამეთუ ძგერაჲ კმისაჲ რეც თუ თანა წარიტაცებს გამ- 20
გონესა, რომელ არს სული. და ესე ამისთვის.

ჟულად უკუე სათანადო არს და უფროჲს ხოლო საჭირო ცნობად, ვითარმედ სხუაჲ არს ძალი და მოქმედებაჲ სულისაჲ და სხუაჲ გონებისაჲ. და ყოველთავე ელლინთა ენამზეობასა ზედა თვისი სახელი ჰქვიან, შესაბამი თვისისა არსებისაჲ; ხოლო ჩუენთამან არცა A 4a
თარგმანთა, არცა სხუამან ვინ დასკუირტნა, და აწ მე უზომოდ მიშლის თარგმანსა შინა, რამეთუ ყოველსავე ერთად და სწორად იტყვან C 9
და დასდებენ ჩუენნი. ხოლო აწ ისმინე, რამეთუ სულისასა ეწოდების დიანჯაჲ, ხოლო გონებისასა ნოიმაჲ, ხოლო გასაგონსა და ზესთმდებარესა ნოიტონი. ვინაჲ აწ აღვილო თითოჲ ამათი და 30
განვმარტო.

პირველად უკუე სულისაჲ, რომელ არს დიანჯაჲ. ესე დიანჯაჲ არა არს მარტივი და შეუღდმელი იგი გონებაჲ, არამედ ვითარ მიერგონებაჲ გინა თუ მიდმოგონებაჲ, რამეთუ სულსა მიდმოობასა შორის აქუს ძალი გაგონებისაჲ და შედგმული და არა მარ-

2 პირველ <B.—3 ცნობისამან <F.—5 სულსა D.—6 განვმარტოთ B, განვმარტოთ D.—განვმარტოთ-ის ჰედეგ ზედ-ინწერა- უმეტაჲ: შეწვევითა პირველისა სიტყვსა უფლისა ქრისტესითა.—7 და <AB.—12 და გაკუეთისა| გაკუეთისა AB.—15-16 გარემორთბული| მორთბული F.—18 მალლად codd.—19 ძგერაჲ| ბგერა F.—22 ძალი <E.—23 ენამზეობათა F.—26 შინა| შინას B.—სწორედ E.—28 ნოიმა AB.—ვასაგონოსა F.—და <AB.—29 ნოიტონი ABF.—თითოჲ| თვთოეული F.—30 განვმარტო DEF.— 32 იგი გონებაჲ| გაგონებაჲ AB.

ტივი, ვითარ გონებისაჲ, რამეთუ შეადგამს არსსა და არასა, განი-
 ზრახვიდეს რაჲ, ვითარ იგი ოდეს ვლამოდი რასავე, ვიტყუ, ექმნა ანუ
 არა ექმნა, და მერმელა უკუანაჲს ერთსა რომელსაჲმე ზედა მივიჭაზრვი
 და მივიწადებ ანუ არსსა ანუ არაარსსა, რომლისათჳს რქვან მას
 5 სახელი შესაფეროჲ, რომელ არს მიდმოგონებაჲ ანუ მიდმოგაგონე-
 ბაჲ. «ესთა ჰგავსო, იტყუს პორფირი, მიდმოგაგონებაჲ სულისაჲ,
 ვითარ ოდეს კაცი ბიჯებისა მიერ მივიდოდის, რამეთუ არა მარ-
 ტივად მიდრკების მუნ, სადაცა მიემართოს, არამედ ბიჯთა მიერ
 გზაენითი გზაენად სრულ ჰყოფს თვისსა ნაეალსა. ესთადვე და სული-
 10 ცა ამისგან ამისდად მიდგების მცირედ მცირედ, ვიდრემდის არა ყო-
 ველი შემოსახოს და შემოიცუვას გასაგონოჲ და თჳს გუარ ყოს, რაჲც
 რაჲვე იყოს. ხოლო გონებაჲ ზედ მიესხმის მარტივად, ვითარ აღმო-
 ჰედეს რაჲ მზე და აჰა შარავანდნიცა მისნი უქამოდ და მიუდრე-
 კელად დაჰფარვენ ყოველსა, და არა მცირედ მცირედ მიდგებიან,
 15 არამედ მყის თანავე აღმოჩენასა მზისა დისკოჲსასა აჰა და მი-
 თენაჲცა შარავანდელთაჲ. ესრეთვე და გონებასაცა ზედა იხილო:
 ვინაჲ აჰა გონებაჲ და აჰა ვაგონებაჲ, რამეთუ თანავე წარმოდგო-
 მილა გონებისადა და ვაგონებაჲ, ვითარცა მზისადა შარავანდნი.

ხოლო ნოიტოჲსა რაჲ: რამეთუ ნოიტოჲ ყოველი ზესთა
 20 ძეს ვისდადცა იყოს სანოიტოჲ. გესმაა ნოიტოჲ რასა პრქვან?
 გასაგონსა ანუ საგონსა.

| აწ ისმინე: სხუაჲ არს მოდმოგონებაჲ, ვითარცა აღმოეჩინეთ, C 10
 რამეთუ ითქუა სულისათჳს, ხოლო ვაგონებაჲ გონებისათჳს, და
 იგიცა აღმოიჩინა; და აწ წინა გვც ცნობად, თუ რაჲ არს ნოიტოჲ:
 25 არს ანუ საგონი ანუ გასაგონი. ხოლო ყოველი გასაგონი უმჯობეს
 არს გამგონესა, რამეთუ დაუზესთავედების გასაგონოჲ გამგონესა, ვი-
 თარ აწ სახეთა მიერ საცხადო ვყოთ. რამეთუ სულსა დაუზევდების
 გონებაჲ, და სხუაჲ არსებაჲ მისი და სხუაჲ სულისაჲ, და არს სული
 გამგონე, ხოლო გონებაჲ გასაგონოჲ. და კუალად გონებასა დაუზევე-
 30 დების არსებაჲ ნამდვლ მყოფისაჲ, და არს გონებაჲ გამგონე და
 ნამდვლ მყოფი გასაგონო. და კუალად ნამდვლ მყოფსა დაუზევდების
 საღმრთოჲ და ერთებრივი რიცხუ, რამეთუ სხუა არიან ივინი და სხუა
 არსებაჲ | ნამდვლ მყოფისაჲ, და გამგონე უკუე არს ნამდვლ მყოფი, და A 5a

2 ოდეს <AB.—4 მივიწადები ABF.—5 შესა[. .]როჲ AB (B-ჲ ჰგვკჳ ნამატ-
 ჰულო ფე).—9 თვსთა D.—11. შემოიცუვას AB.—11-12 რა[. . .]ვე AB (B-ჲ ჰგვკჳ
 ნამატჰულო მც რაჲ).—12 ხოლო <B.—15-16 მიენაჲცა AB.—18 გონებისადა <E.—
 და <CDF.—შარავანდი D.—19 ნუ იტოჲსა ADE.—ნოატოჲ D.—20 სანოატოჲ D.
 —გესმაჲ| გარნა CDEF.—23—24 სულისათჳს—ცნობად <D.—23 ვაგონებაჲ| გონე-
 ბაჲ F.—24 გვცს E.—25 საგონოჲ F.—გასაგონოჲ F.—26 დაუზესთავედების C.—27
 ვყოთ E.—29-30 დაუზესთავედების B.—32 იგი ABCDE.—34 უკუე| თუ E.

გასაგონო ზესთ არსებითი რიცხვ. და კუალად გამგონე არიან ღმრთიენი და ზესთ არსნი მხოლონი, და გასაგონო—მათგან პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვროობაჲ, და კუალად გამგონე არიან პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვროობაჲ, ხოლო გასაგონო—

5 სწორად ყოველთაგან ზესთ მდებარე იგი უცნაური ერთი და კეთილობაჲ, რომელსა წადილმან პატივისამან ჰკადრა მას და მამადცა წოდებდაჲ. აწ ესე ყოველნი წესთაებრ თითოეულთა გონებაცა არიან და გასაგონოცა. ვინაჲ სათანადო არს შესწავებით უწყებაჲ, ვითარმედ უმჯობეს არს ყოველი გასაგონოჲ ყოველსა გამგონესა, ვითარცა
10 უმეტეს ღმრთიეი.

და ამათ ზედადართვით საქირო არს ცნობად. გესმა, უწყოდე, რამეთუ ყოველსა არსებასა და გუამოვნებასა შემდგომთაგან გავიგონებთ; ხოლო შემდგომნი არსებათანი არიან ძალნი და მოქმედებანი მათნი და, ვითარფერცა იყოს მოქმედებაჲ, ეგფერვე და ძალი, და,
15 ვითფერ ძალი, ეგ სახე და არსებაჲცა. და კუალად სათანადო არს შესწავებაჲ, რამეთუ პირველნი ბუნებით შორის გაგონებასა გამგონისასა უკუანაჲსკენელ იქმნებიან, და ბუნებით შემდგომნი პირველ, ვითარ არსებაჲ თითოეულისაჲ და მოქმედებაჲ. რამეთუ ბუნებით არსებაჲ უპირველეს, ხოლო ოდეს გავიგონებდეთ რასავე, უკუანაჲსკენელ-

20 თაგან გავიგონებთ, რომელ არიან ძალი და მოქმედებაჲ; რამეთუ, ვითარნიცა იყვნენ ძალნი და მოქმედებანი, მსგავსადვე არსებათა გულის ხუმა ეპყოფთ; რამეთუ ყოველი ძალი და მოქმედებაჲ ვინასავე და რომლისა არსებისაჲ არს. და იყოს თუ მოქმედებაჲ მისი მარტივ და შეუდგმელ, და არსებაჲცა მისი მარტივ და შეუდგმელ. ხოლო თუ
25 მოქმედებაჲ მისი არ მარტივ, და არცა არსებაჲ მისი მარტივ, ვითარ სულისა და გონებისაჲ, რამეთუ შედგმულ გაგონებაჲ სულისაჲ, რომელ არს მოქმედებაჲ, და არსებაჲცა მისი არა მარტივ. ხოლო მოქმედებაჲ გონებისაჲ მარტივ, და არსებაჲცა მისი მარტივ, ვითარ ზენათა შორის აღმოიჩინა. შეისწავე კუალად, ვითარმედ სხუებრ ვიტყვთ

30 ძალთა და მოქმედებათა სულსა ზედა, და სხუებრ გონებასა ზედა, და სხუებრ მის ერთისათჳს ანუ თუ ერთთათჳს. სულისათჳს უკუე ვიტყვთ წარვლის სახედ მცირედ-მცირედ და წარმატებით და ანუ მომგებელად მოქმედებასა ანუ არა, და მართ ძალად ოდენ, ვითარ ყრმათა ანუ უსწავლელთასა, რამეთუ ძალად ოდენ არიან, ხოლო მოქმედები-

35 თისა გონებისაგან უნაწილო, ვითარ აღმოაჩინა არისტოტელეი.

და ამათ ზედადართვით საქირო არს ცნობად. გესმა, უწყოდე, რამეთუ ყოველსა არსებასა და გუამოვნებასა შემდგომთაგან გავიგონებთ; ხოლო შემდგომნი არსებათანი არიან ძალნი და მოქმედებანი მათნი და, ვითარფერცა იყოს მოქმედებაჲ, ეგფერვე და ძალი, და, ვითფერ ძალი, ეგ სახე და არსებაჲცა. და კუალად სათანადო არს შესწავებაჲ, რამეთუ პირველნი ბუნებით შორის გაგონებასა გამგონისასა უკუანაჲსკენელ იქმნებიან, და ბუნებით შემდგომნი პირველ, ვითარ არსებაჲ თითოეულისაჲ და მოქმედებაჲ. რამეთუ ბუნებით არსებაჲ უპირველეს, ხოლო ოდეს გავიგონებდეთ რასავე, უკუანაჲსკენელ-
20 თაგან გავიგონებთ, რომელ არიან ძალი და მოქმედებაჲ; რამეთუ, ვითარნიცა იყვნენ ძალნი და მოქმედებანი, მსგავსადვე არსებათა გულის ხუმა ეპყოფთ; რამეთუ ყოველი ძალი და მოქმედებაჲ ვინასავე და რომლისა არსებისაჲ არს. და იყოს თუ მოქმედებაჲ მისი მარტივ და შეუდგმელ, და არსებაჲცა მისი მარტივ და შეუდგმელ. ხოლო თუ
25 მოქმედებაჲ მისი არ მარტივ, და არცა არსებაჲ მისი მარტივ, ვითარ სულისა და გონებისაჲ, რამეთუ შედგმულ გაგონებაჲ სულისაჲ, რომელ არს მოქმედებაჲ, და არსებაჲცა მისი არა მარტივ. ხოლო მოქმედებაჲ გონებისაჲ მარტივ, და არსებაჲცა მისი მარტივ, ვითარ ზენათა შორის აღმოიჩინა. შეისწავე კუალად, ვითარმედ სხუებრ ვიტყვთ
30 ძალთა და მოქმედებათა სულსა ზედა, და სხუებრ გონებასა ზედა, და სხუებრ მის ერთისათჳს ანუ თუ ერთთათჳს. სულისათჳს უკუე ვიტყვთ წარვლის სახედ მცირედ-მცირედ და წარმატებით და ანუ მომგებელად მოქმედებასა ანუ არა, და მართ ძალად ოდენ, ვითარ ყრმათა ანუ უსწავლელთასა, რამეთუ ძალად ოდენ არიან, ხოლო მოქმედები-
35 თისა გონებისაგან უნაწილო, ვითარ აღმოაჩინა არისტოტელეი.

C II
A 5b

3-4 და კუალად —უსაზღვროობა A-2. *დასაზღვრობა* —9 ყოველი] პირველი AB.—14 ვითარფერვა D, ვითარფერცა იყოს [. . . .]დება A1. - 15 ვითარფერ F.—ეგსახედ F.—17 უკუანაჲსკენე ABD, უკუანაჲსკენე C.—19 გავიგონებთ C.—21-22 გულისცა D, გულის ხმა EF.—22 რამეთუ ყოველი <AB (*დასაზღვრობა*; B-2. უკუაგ *დასაზღვრობა*).—26 სულისა თან გონებისა AB.— 31 თუ <AB.—32 წარმატებითა B.

რამეთუ უფილოსოფოსოთა სულითა ძალად ოდენ იტყვს და არა მოქმედებით, ხოლო რომელთა ფილოსოფოსეს, მათ შორის ოდენ დასდებს მოქმედებითსა სულსა და გონებასა. და კუალად სხუა არს ძალი და მოქმედება გონებისაჲ, ვითარ და არსებაჲცა, რამეთუ თან-
 8 წარმოდგომილად და სამარადისოდ აქუს მოქმედება არსებასა თანა, და არსებაჲ მოქმედებასა თანა, ვითარ მზესა სანიადაგოდ დისკოსა თანა შარავენდნი, ესთავე გონებაჲ თვსსა გასაგონსა თანა, რამეთუ C 12
 სხუა არა რაჲ არს გონებაჲ თვნიერსამარადისოდ გაგონებაჲ. და A 6a
 არა ვითარ სული რაჲთამცა მცირედ-მცირედ წარემატებოდა და
 10 ზედა დაირთვიდა გასაგონთა და ამის გასაგონოდაგან სხუადმი მიდგებოდა, არამედ ერთბამად გონებაჲ და გასაგონოჲ მისი. ხოლო ამის ერთისათვის ვერცა გაგონებასა ვიტყვთ, ამისთვის რამეთუ ყოველი გამგონე უმეტერებასა თანა შეკრულა წადიერი გაგონებად, რომელი არა გაეგონა, და ცნობად, რომელი არა ეცნა. ხოლო იგი დაზესთაე-
 18 ბული ერთი დაუზევდების ცნობასა და გაგონებასა. რამეთუ რაჲ ცნას, რომელი არას უმეტარ არს? ანუ რაჲ გაიგონოს, რომელმან წარმოაარსა და აღამყო არსებაჲ გონებისაჲ? და კუალად გონებაჲ ყოველსავე თითოეულად გაიგონებს და მრავალსა მრავლად, ხოლო ერთი ყოველთა და თითოეულთა ერთებრივ და განუნაწილებელად,
 20 ვითარ აღმოიჩინა წინაჲთვე, რომელი იტყოდა, ვითარმედ ყოველი გამგონე შესაბამად თვსთა არსებათაჲსა იმოქმედებსო. ხოლო მოქმედებაჲ ერთისაჲ ერთებრივ და ზესთ არს შესაბამად ზესთაობისა თვისისა. აწ ესე ფრიად საჭიროჲ ფრიად ცხადად დაიდუა*.

6 და არსებაჲ მოქმედებასა თანა < E.—B არს| არ AB.—11 ერთბამ AB.—16 სცნას E.—22 შესაბამი AB.—23 ფრიად საჭიროჲ| ვ' და საჭიროჲ D, საჭიროჲ E.

*) იოანე კეტრიქის ამ წინა-ტექსტისაჲ ABD სელთინაწერაჲჲ ანაიჲ, ხოლო E ზადო ნაწერაჲ: ანაიჲ: რაქსტო მოღუეს მანაწერა ხანგათო:

ქ. რასა ვწერ ანუ რასა გლახ ემოქმედებ: გარნა გვსწავიეს გუძლთაგან თერიაჲ: და წარმოვსტყუქმნავე: ყოველსა ძალსა ქრისტეს მიერ: ამის წიგნისგან წარწყმდა სამგზის წყუელი არიოზ: და ამისგანვე განათლებულთა სამგზის: მოიგეს ღმრთისმეტყუქმლებისა სახელი: დიდთა ბრძენთა დიონოსი: და ღრილორი: და ვასილი: და სხუათაცა ვიეთმე: შენ გონებაჲ განწმდილი მოიგე ღმრთისა მიმართ: და საზღვარსა მამათა წმიდათასა: ნუ გარდაველდნები: და არა საცთურ გექმნეს:

DEH სელთინაწერაჲჲ ეს მანაწერა პერკინლაი, კინაჲჲს მთ გიგაწერათ სელთ კოსო-ამქველ-ფურცლიანი ღუანა (ამს პესხე: ახ. ზეით, პესკელა, სელთინაწერაჲჲ დეკრა-ღობაჲ).

განმარტება

ზროკლესთეს დიადოხოსისა
და პლატონურისა ფილოსოფიისათეს


თ ა ვ ი 1

მართისა და სიმრავლისათეს

იტყვს ფილოსოფოსი, ვითარმედ «ყოველი სიმრავლე ეზიარების ^{A 6b} რადათავე ერთსა». თანა გუაე გუარსა ბრძენთა სიტყუსადა დაქურეტად, ^{C 13} ვითარმედ ყოველი სიმრავლე ეზიარების ერთსა, და თუ არა, ვიხილოთ, იტყვს, თუ რაოდენი უჯერობაა შეუდგს. ხოლო გამოსცდის მრავალ-
¹⁰ კეტთა პირთა ზედა და, ვითარ ყოვლითურთ ამხილოს, მერმე დაკაზ-
 მულსა აღმოსაჩენთა მიერ მასვე პირველსა სიტყუასა თანგანელის
 სახედ დაამტკიცებს, ვითარმედ ყოველი სიმრავლე ეზიარების ერთსა.
 შეისწავე, ვითარმედ ამას პირველსა სიტყუასა ჰქვან წინჩამო-
 საგდებელი სიტყუაჲ, | ვითარ ოდეს სთქუა ვითარმედ მვე ამას ვიტყვ ^{A 7a}
¹⁵ და შენ წინააღმდეგომო არ იტყვ ამას, მაშა გამოეაჩინოთ კანონთა
 მიერ აღმოსაჩენთაჲსა». და, ვითარცა აღმოაჩინოს იძულებითმან კან-
 ნონმან თანშესიტყვსამან და უკუნ იქცეს წინაგანმწყოჲ უკუნრღუე-
 ვით, და კუალად აღიღებს პირველსა წინჩამოსაგდებელსა სიტყუ-
²⁰ ასა და ეტყვს ვითარმედ «ესრეთ ვიდრემე» ვითარცა აწ აქა იხილე,
 პირველიცა და დასასრული ერთი არს. ხოლო პირველსა ეწოდების
 პროვლიმაჲ, რომელ არს წინჩამოსაგდებელი, ხოლო საშუალსა
 კატასკევი, რომელ არს დაკაზმეაჲ, რამეთუ ამის დაკაზმვისა მიერ
 აღმოიჩინების ყოველი აღმოსაჩინოჲ; და ესრეთვე სხუათაცა ზედა
 იხილო, რამეთუ, | უკუეთუ პირველად არა ცნას მკურნალმან სენი, ^{C 14}
²⁵ ვითარ დაკაზმოს წამალი. აწ ესე ცნობაჲ პროვლიმად ჰრაცხე,
 ხოლო კატასკევი დაკაზმვად, რომელ არს თხზეაჲ და მუშაკობაჲ
 საკმართა აღმოჩენისათა. და კუალად მესამედ სკმპერაზმაჲ,
 რომელ არს თანგასავეალი. და ესე მცირედთა მიერ შემოისაზღვრა

7—8 თანა გუაე—ერთსა < B. — 12 დამტკიცებს D. — 19 და < CDEF. — 20 და < ABC. — 21 წინჩამოსაგდებელი | საშუალ ჩამოსაგდებელი ACDEFH; B-ჰე უ-უ-ლო საშუალ, ჰე-ჰე ა-უ-უ-ჰე-ჰე და ჰე-ჰე-ჰე-ჰე წინ.— 25 დაპლევინოს A. დაპალავინოს B, — 27 სიმპერაზმაჲ H.

კანონი არისტოტელის «ორდანოჯსაჲ», რომლისა თვნიერ ულონო არს რაჲსავე გავონებაჲ სულისა მიერ სიტყვერისა. აჰა და სქიმაჲცა დაედვა, რომელ არს ნაკუეთი.



ხოლო ამას პირველსა საზღვარსა ეწოდების პროტასი, კიდე.
 5 ხოლო საშუალსა კიდეთა შემკრველი. ხოლო დასასრულისასა სკჲ-
 პერაზსაჲ, რომელ არს თანგასაველი ურთიერთას კიდურთაჲ.—შე-
 ისწავენ კანონნი სიტყვერებითნი, რამეთუ არიან ესე ვითარ.—ხედავა,
 ვითარ თანმესაშუელებითა ცხოველისაჲთა აღიარა არსებაჲ კა-
 ცისაღ?—იხილე, ვითარ ყოველი ცნობაჲ და ძიებაჲ საშუალისაჲ არს,
 10 და იგი აზიარებს და შეჰყრის ურთიერთას ორთავე კიდურთა.

ხოლო ეზიარების სიმრავლე ერთსა და ჰგავსცა, რამეთუ ყოვე-
 ლი მზიარებელი მსგავსებისა მიერ ეზიარების თვისსა საზიარებელსა C 15
 და ამისთვის ჰგავს სიმრავლე ერთსა. ხოლო მოილე სახე და დაედვით
 რაოდენიმე რიცხვ სიმრავლისაჲ, იყოს და ასი. წავსმა, ვითარ ასსა-
 15 შორისნიცა მხოლონი და რიცხუნი ყოველნი არიან გათვსვით ერთნი
 თითოეული მათი. და კჲულად თუთ იგიცა გუარამყოფელი, ვიტყვ
 A 8a
 ასობასა, რამეთუ ერთ არს მესაე რიცხვ, რომელმან თვს გუარ ყვნა
 თვს-შორისნი ყოველნი ნაწილნი. ხოლო თუთ მესაე იგი არს ერთ
 და ერთის გუარ. ხედავა, თუ ვითარ თან მისცა ერთმან თვისი
 20 თუთობაჲ ყოველთა შორის, ვიტყვ, ნაწილთაჲცა და თუთ მას ყოველო-
 ბასა? ნაწილად იმეცენ რიცხუნი, რომელთაგან შედგა ასობაჲ, ხო-
 ლო ყოველობად თუთ იგი მხოლოჲ ასობისაჲ.

3 სქიმაჲცა საქმიოთა E.—4 კიდე CDEFH.—5 დასასრულსა FH.—7 ვი-
 თარ. კანონნი AB.—10 ურთიერთარს C.—14 იყო E.—21 იმეცენ FI.

იტყვს, ვითარმედ «ეზიარების რაჟთავე ერთსა». აწ ესე სიტყუაჲ უკუნ არღუევს ყოველთა, რომელთაცა დასხნეს დასაბამნი მრავალნი და შემალეს საუკუნესა შორის დამყარებული წესი, არამედ და მყის უჩინო ჰყოფს მათ, ვითარცა ნადედაზარღლეუთა. იტყვს «ეზიარებისო სიმრავლე ერთსა». ვინაჲ აწ ესე საძიებელი ღიდაღ ძნიაღი განვმარტოთ. იტყვს მეძიებელი: უკუეთუ ეზიარების სიმრავლე ერთსა, იყოს ერთიცა მრავალ, რამეთუ, ვითარცა ერთმან თან მისცა თვისსა თვთებისგან და ყო სიმრავლე ერთ, ნაწილთაცა შორის და ყოველბასა რიცხვსასა, მაშა მიიღოს და ერთმანცა სიმრავლისგან, და ვერღარა ეპოოთ უზადოჲ ერთი და არცა დასაბამი ერთებრი, რამეთუ ყოველი მზიარებელი თან მისცემს თვისსა თვთებისგან და კუალად მიიღებს მისისა თვთებისგან, ვითარ ესე იხილვების ყოველთა ზედა ბუნებითთა, ვითარ ცეცხლსა ქუეყანასა წყალსა აირსა, ეზიარებიან ერთიერთას და მისცემენ თვისსა თვთებასა და მისთესვენ ყოველთა შორის. და ამისთვის იტყოდა ღიდი იპპოკრატე, ვითარმედ «ყოველი ყოველსა შორის და თვს-თვს თითოეთული». და თუ ესე ესრეთ, მაშა სადა უზადოდ ერთი და დასაბამი ერთებრი.

C 16
A 8b

ვინაჲ შეწვევითა თვთ მის ერთისაჟთა უმხილვებელთა აღმოსაჩინთა მიერ აღმოვაჩინოთ ზესთმდებარეობაჲ ერთისაჟთა.

იხილე და შეისწავე, რამეთუ სხუა არს ოდეს სთქუა, ვითარმედ «იზიარნეს» და სხუა, თუ «ეზიარა» ანუ თუ «იზიარა». რამეთუ ყოველი ზიარებაჲ რეც თუ სწორთა შორის იხილვების, ვითარ ამათ ოთხთა კავშირთა შორის, რამეთუ ურთერთას თან მისცემენ და მიიღებენ, და არა რომელი ამათ ოთხთა ჰყოვო უზადო და უზიარებელ ერთი ერთისგან. რამეთუ ქუეყანასაცა შორის იხილვების ცეცხლი, ვითარ ქუათა და რკინასა, და ცეცხლსაცა შორის ნაწილი ქუეყანისაჟ, და ესთავე აირსა და წყალსაცა, და რამეთუ არა რაჲ არს მზიარებელთაჲ არ თანმიმღებელ ერთი მეორისგან. არამედ ესე, ვითარმედ «ეზიარების» ანუ «იზიარა» დამისახავს ორსა, ვითარცა ოდესმე უმჯობესისგან უღარესისა მიმართ, ვითარცა მიზეზისგან მიზეზოანისა მიმართ, ვითარმედ იზიარა უზესთაესმან და მიზეზმან თვს-გამოჲ მიზეზოანი და მისცა თვისსა უნაწილოჟსა და მოუკლებელისა მყოფობისგან. და კუალად ეზიარა მიზეზოანი და უღამტეესი თვისსა მიზეზსა და მეზეს-

3 წესი არამედ წესიერად AB.—4 და<ABE.—7 ერთი[. . . .]რამეთუ AB; B-ბი უკლეგ ნაბტუჟლია ცა მრავალ.—11 თვთებისგან და<AB (ხაბჟზი); B-ბი უკლეგ ღამტუჟლია).—12 იხილე [. . . .] ბუნებითა AB; B-ბი უკლეგ უკლეგ უკლეგ ღამტუჟლია და ნაბტუჟლია: იხილვების ყოველთა ზედა.—13 ჰაირსა H.—14 აირსა. ერთას [. . . .] და მისცემენ AB; B-ბი უკლეგ უკლეგ უკლეგ ღამტუჟლია: აირსა. ეზიარებიან ურთიერთარს და მისცემენ.—14 ყოველთა<AB (B-ბი უკლეგ ღამტუჟლია).—15 იპოკრატე E.—19 ერთისა მიერ AB.—21 რამეთუ<AB.—27 ჰაირსა H.—და რამეთუ ზა რამეთუ AB.—29 მისახავს AB.

თაესსათვისა, და არა თუ თან მისცა, არამედ მიიღო და იქმნა, ვითარ იგი, გარნა არა ვითარ თვთ იგი, რამეთუ ზესთ დაწთომილ არს ბუნებითაცა და პატივითა არსებაჲ მიზეზისა მიზეზოანისადმი. ხოლო თუ არა, და არიან სწორ, იყენენ პირველნი და უკუანაასკნელნი სწორ, | და, A 9a

5 ვითარ მიიღებენ უკუანაასკნელნი პირველთაგან მყოფობასაცა და კეთილობასა, ეგთავე და მიიღებდენ პირველნი უკუანაასკნელთაგან, რომელი ესე არს შეუძლებელ და უჯკროცა, და აღიბლალოს ვიდრემე ყოველი წესი და მორთულებაჲ არსთა ანაქუსისაჲ და არცა პირველი იყოს, ვითარ პირველი, და არცა შემდგომი, ვითარ შემდგომი, არა- C 17

10 მედ ესე უკამსო და შეუძლებელ. უზესთმდებარე ვიდრემე ყოველი მიზეზი თვს-გამო მიზეზოანისა, ვითარცა ერთი ერთის-გამოსა, რომელ არს სიმრავლე, ვინაჲ იხილვების სიმრავლესა თვსსა მიზეზსა შორის ერთსა, გარნა არა ვითარ გამრავლებულად და განთვსებულად სიმრავლედ, არამედ ვითარ ერთებრივად და არცა ვითარ შეერთებულად, ამისთვის რომელ ყოველსა შეერთებულსა პირველ თვსსა რიცხვ უნდა და მხოლონი რიცხუთანი, რომელთაგან შეერთებულ იქმნეს. და კუალად უკმს ერთი შემაერთებელი, რამეთუ ყოველსა შეერთებულსა პირველ მყოფი ერთი შეაერთებს, ხოლო ბუნებითსა ერთსა და რომელი იყოს თვთერთ არა რაჲ არს უპირველეს. და თქუას

20 ვინმე არსო უპირველესი, იყოს ვიდრემე სხუაჲ სხვსა უპირველეს და არა სადა ჰპოო ერთი დასაბამი და მისადგომი არსთაჲ, არამედ იყენენ უსაზღვრო და უმიზეზო, რომელი ესე არს შეუძლებელ. რომლისათვისცა არ ეგების, თუმცა პირველ ერთისა იყო ერთი, და არცა პირველ სიმრავლისა შედგმაჲ რაჲსავე ანუ ერთ ქმნაჲ თვნიერ ერთისა. ვინაჲ აწ ცან დიდად სათანადოჲ და საპიროჲ, ვითარმედ ყოველი სიმრავლე ერთსა შორის | იხილვების, ვითარ მიზეზსა შორის A 9b

30 ერთი, რომელმან სიმრავლე შეაერთოს, ვითარცა აღმოიჩინა. რომლისათვისცა ჩანს, ვინაჲმე ერთსა შორის რიცხვ არა შეერთებულნი, არამედ ერთებრი. და კუალად იხილე უფროჲსად შეუნიერთა ხედვითა და უმხილებელთა აღმოსაჩენთაჲ. გესმა, რამეთუ ოდეს იხილო

2 თვთ იგი | იგი თვთ AB.—7 აღიბლალოს | აღიშალოს CDEFH.—12 იხილვების | იღლვების AB.—15-16 რიცხვსა AB.—21 დასაბამი [. . . .] არსთად იყენენ AB; B-სა უკად გ უსწავლებლი და ნამატებლი: დასაბამი და მისადგომი არსთაჲ. არამედ იყენენ.—25 დი და დ დიდად | AB.—25-26 ვითარმედ ყოველი სიმრავლე < AB (იაკუზი, B-სა უკადე არს რამატებლი).—27 არცა განთავის [. . . .] ლებულად AB; B-სა უკადე არს უსწავლებლი და ნამატებლი: განთავსულად და განწვალებულად.—28 და ერთქმნილად < AB (იაკუზი; B-სა უკადე არს რამატებლი).—29 კლ იოსაჲლო რლნი უნებან AB.—უნებან EH.—30 ერთი და ერთი AB.—31 ჩანს | არს BEFH.

ერთსა შორის რიცხვ, ნუ შერეულად ჰგონებ და თვსთა თვთებათა შერეულად, | არამედ განუწყვალებულად განითვთვიან და შეურევენლად C 18
იპყრობენ თვსთა წესთა, გარნა ერთებრივად. ვინაჲ გნებავს თუ სახეთაჲცა მიერ ცხად ეჰყოთ: ვითარ იგი თესლთა შორის წინადათვე
5 არიან ყოველნივე—გული, ღვძლი, ტვნი, სხეულნი, ძუალნი, ძარღუნნი, ფრცხილნი, თმანი—გარნა შეურევენლად. და კუალად მარცვალთაჲცა ზედა ვითარ იფქლსა შორის წუელაჲ, ფხაჲ, ლერწამი, მუკლი—ესე ყოველნი ერთებრივ და არა შეერთებულად, შეურევენლად და არა თანაშერწყმულად. არამედ დასკურიტენ, გესმა, რამეთუ ესე სახენი
10 იგავად ოდენ ესახეებიან და ეიგაეებიან მას ერთებრივსა რიცხუსა და ზესთაობასა ერთისასა, ამისთვის რომელ წინა-უყუჟო ძეს, რამეთუ ერთსა-შორისი რიცხვ და სიმრავლე არა თუ უსრულობისგან სრულებად მოვალს და ძალისგან მოქმედებად, ვითარ ესე თესლთა შორის იხილვების, არამედ ზესთა ძეს ესე ყოველსა არსებასა და ძალსა,
15 და არს ყოვლითურთ თვთ სრულ და ზესთა სრულ, რამეთუ არცა სრულობაჲ ეკადრების მას, ამისთვის რომელ ყოველი სრული წარმატებისგან მოვიდა სრულებად. არამედ ითქუას თუ და იკადროს მოქმედებად და ზესთ მოქმედებად, და არა ესე ვითარად მოქმედებად, რომელიმცა ძალისა და მოქმედებისგან წარმოდგა, ნუ იყოფინ. არა არს
20 ესე ერთებრივსა მას რიცხუსა შორის, არამედ ზესთა ძეს ყოველთა, ვითარ სიმრავლე ღმერთთაჲ ღმერთთა შორის, და ვითარ ერთნი ერთსა შორის, და ვითარ კეთილნი კეთილობასა შორის. და მიერ ზესთ ჰნათობენ ყოველთა, ღმრთებრივთა და ერთებრივთა თვსთა ნათელთაჲთ, და თან მისცემენ თვსთა კეთილობათაჲთ და აკეთილებენ ყოველთა. ესე დიდად სათანადოჲ რიცხუსა ერთებრივისა და სიმრავლისათვის კანონთაებრ საღმრთისმეტყუელო¹თასა დაიდვა ფრიად ცხადად. C 19
30 ვითარ წარვლო სიტყუამან ერთისა და სიმრავლისათვის, რომელსა თვთ ბუნებით ჰქონდეს თვს შორის სიძნელენი, ვინაჲ აწ შეხებების კატასკევისა, რომელ არს დაკაზმვაჲ აღმოსაჩენთაჲ, და იტყვს, ვითარმედ წესი და ბუნებაჲ მაიძულებს ჩუენ, რაჲთა იყოს ერთი უპირატეს სიმრავლისა, მიზეზთათვის პირველ აღმოჩენილთა, ვიტყოდით რაჲ ერთისა და სიმრავლისათვის. ხოლო ითქუას თუ წინააღმდეგობამან ვითარმედ «სიმრავლე და ერთი ანუ არიან სწორ, ვი-

1 და < AB.—6 ფრჩხილნი ABH.—7 წუჟლი H.—10 ესახეებიან CEF.—12 ერთსა შორის D.—15 თვთ თუთ AB.— 17 ითქუას იქას AB; B ზედწერა ჰქვამს ჰესწავლა ითქუას.—18 ერთად AB.—18-19 რომელიცა AB.—20 რიცხუსა AB.— 21 ღმერთთა ღმერთთა ერთსა AB.— და ვითარ ერთნი ერთსა შორის < B.—22-23 ხესთაინათობენ B.—23 და თვსთა AB.—ნათელთა ABFH.—24 კეთილობათა ABH, კეთილობათა F.— 25 რიცხუსა და ერთებრივისა სიმრავლისათვის CDFH, რიცხვისა და ერთებრივისა რიცხვისა და ერთებრივისა სიმრავლისათვის E.— და < B.

თარ სწორგანყოფილნი», ანუ დასძინოს, ვითარმედ «ერთი მეორის- A 10b
 გან იყოს», ანუ «უპირველეს იყოს სიმრავლე ერთსა», ანუ «დაღათუ
 იყოს სიმრავლე შემდგომად ერთისა», მაგრა არაჲ ჰქონდის ერთისგან
 და ვითარ მიზეზისა წარმომაჩენისა თვისსგან. ვინაჲ, რამეცა
 5 ამათგანი წინა განმიწყოს წინაგანწყობმან, ამხილოს მას კანონმან
 აღმოჩენათამან. ვიტყვ, ვითარმედ უკუეთუ სწორ არიან და სწორგან-
 ყოფილ ერთი და სიმრავლე, იყოს ვიდრემე სხუაჲ უპირატესი ერთი,
 რომლისგან წარმოიჩინნეს ორნივე. არამედ ესე აღმოიჩინა, ვითარმედ
 არა არს სხუაჲ უპირველესი ერთი, ამისთვის რომელ იყოს თუ სხუაჲ
 10 სხვსა უპირველეს, ვერ სადა პოვონ არსთა თვისი მისადგოა.

ხოლო თუ დასძინოს კუალად, ვითარმედ ერთი მეორისგან
 იყოს, კუალად შეიმთხვოს უჯერობაჲ, რამეთუ რომელი იტყოდა,
 ვითარმედ «სიმრავლე ერთისგან ჰეშმარიტ», გარნა არა წინა-უყუმო,
 თუმცა ერთი სიმრავლისგან. ამისთვის ვინაჲთგან სწორ ერთი ერთისა,
 15 და არა პირველ სიმრავლისა ერთი, სადაჲთ მოიგო სიმრავლემან
 თვისი არსებაჲ და დგომაჲ წესსა შორის თვისსა, ვიტყვ ნაწილთა
 შორის სიმრავლისათა მხოლოთა ერთთა. რამეთუ სადაცა იპყრა,
 ერთსა იპყრობ. და კუალად თვთ შესახვითი ყოვლობაჲ, რაჲცაჲვე
 იყოს რიცხვ, განაღა ერთი არს. არ ვინაჲ ერთი სიმრავლისგან, არა- C 20
 20 მედ სიმრავლე ერთისგან.

შინაჲ კუალად უკუეთუ თქუას, ვითარმედ «უპირველეს არსო
 სიმრავლე ერთისასა», ეპკითხოთ, თუ სადაჲთ აქუნდეს გებაჲ თვისი:
 ანუ ნაწილთა შორის, ანუ ყოვლობასა შორის, ვინაჲთგან უცხო და A 11a
 ოკერ არს ერთისგან, არამედ იყოს უსაზღვროობით უსაზღვრო, ესე
 25 იგი არს, ვითარმედ, ვინაჲთგან არცა ნაწილთა შორის, არცა ყოვლო-
 ბასა შორის მითესულა სინათლე ერთისაჲ, არ ვინაჲ ჰქონდის სიმრავ-
 ლესა განმსაზღვრებელი თვისი, არამედ იყოს უსაზღვროთა ნაწილთა-
 გან, რომელ არიან მხოლონი, სხუაჲ უსაზღვროჲ ყოვლობაჲ რიცხვსაჲ,
 რომელ არს სიმრავლე. მაგრა უსაზღვროთაგან სხუაჲ უსაზღვროჲ
 30 არა წარმოიჩინოს, ამისთვის რომელ უსაზღვროობასა არა რაჲ არს
 უფროჲს, ხოლო ნაწილთა შორის სიმრავლისათა უფროჲს, რამეთუ
 სადაცა იპყრა, ერთსა იპყრობ. ვინაჲ არ ეგოს, რაჲთამცა იყო რაჲ
 უსაზღვროთაგან უსაზღვრო და არცა თვთ რაჲვე მყოფთა უსაზღვ-
 რო, ამისთვის რომელ ყოველნი ერთისა მიერ არიან განსაზღვრებულ
 35 და ყოველთა ერთისგან აქუს თვისი ყოვლობაჲცა და ნაწილნიცა,
 და გარე შემოსწერს ყოველთა საზღვარი ერთებრი. ვინაჲ არ ეგების
 უპირატესობაჲ სიმრავლისაჲ, არამედ შემდგომ ერთისა.

1 ვითარმედ] ად D.—7 უპირატეს B.—8 რომლისგან] რაჲსგან E.—10 პოვონ
 არსთა თვის ამისაჲ დგოა AB, ჰპოვონ არსთათვის მისადგოა EH.— 13 სიმრავლე
 <E.— 15 არა<D.—16 და დგომაჲ] და დადგომაჲ DEH.—30 წარმოაჩინოს EH.

ვინაჲ და ესეცა დასძინოს თუ წინამეწყემან, ვითარმედ და-
 ლათუ შემდგომად ერთისა არს სიმრავლე, გარნა არა რაჲ აქუს მის-
 გან და არცა რაჲ თან მიუღიეს, ვითარცა მიზეზისა და თვისისა მამ-
 ყოფებელისგან. ვინაჲ ეტყჳს მას ძალი აღმოსაჩინთაჲ, ვითარმედ
 5 უკუეთუ უნაწილო და კიდე-განყენებულ სიმრავლე ერთისგან, ვი-
 თარ მოიგოს საზღუარი და დგომაჲ ანუ ნაწილთა შორის ანუ ყოვე- A 11b
 ლობასა შორის თვისსა, არამედ ვხედავთ წესსა შემდგომობითსა
 სირასა შორის რიცხვისასა, რომელ არს ნათხზი, სადაჲთ აქუს მას C 21
 წესი დაწყობისაჲ და რიცხუთა-შორისი განთესული ძალი და მოქმე-
 10 დებაჲ, ანუ საზღუარი შორის ნაწილთაჲცა და შორის ყოველობასა. რამე-
 თუ ესე პირველვე აღმოიჩინა, ვითარმედ ყოველი ერთისა მიერ განი-
 წესების და დაიწყობვის. ვინაჲვე ზიარებითა ერთისაჲთა წარმოდგა
 ყოველი სიმრავლე და ეზიარების მას, ვითარცა მაარსებელსა თვისსა.

შეისწავე და ესეცა, რამეთუ ზესთ მექონე არს თვთებასა შორის
 16 თვისსა ერთი, და სიმრავლესა შორის აობასა თვისსა ვერ ძალ უც დგო-
 მად თვნიერ ერთისა, არამედ მოქენე არს პირველ თვისსა ერთსა,
 რაჲთა ამყოფოს სიმრავლე. არამედ არ წინა-უკუმო, რამეთუ ესე ზეს-
 თაჲ ერთი თვნიერ სიმრავლისა შეუძლებს ზემექონებით მიუღრე-
 კელად დგომასა და არ ვისსა სხვსა მოქენე, არცა უპირატესისსა; რა-
 20 მეთუ არა რაჲ არს უპირველეს ერთისა, და კუალად არცა შემდგომ-
 თაგან რას მიიღებს და ქტევასა მათსა არ თანა ექტევის.

ვინაჲთგან აღმოჩნდა ერთი უზადოდ და წმიდად და თვთერ-
 თად და ზესთ მდებარედ, თვთ მას ვიტყჳ დასაბამობასაჲცა, ამით
 რომელ დასაბამი ყოველი თან მოაქუს დასაბამიერთა, ვითარცა ხუ-
 25 როჲ ნახუროებთა და ბუნებაჲ ნაბუნებებთა. ხოლო იგი ბევრ და-
 ლექსული ერთი არ ესთა. რამეთუ თანმოაქუს მას ყოველი, ხოლო A 12a
 ყოველნი ერთბამად ვერ უკმაებენ თან მოქონებად მისდა, ვითარცა
 აღმოიჩინა წინაჲთვე ერთისა და რიცხვსა სახედ მოღებითა. რამეთუ
 იტყჳს, ვითარ ერთსა თვნიერ რიცხვსა ძალ უც დგომად, ხოლო
 30 რიცხუსა თვნიერ ერთისა ვერ ვინაჲ. და ესრეთ აღმოაჩენს ოდესმე
 შედარებით პირველობისა და შემდგომობისა, ოდესმე თანდატყუბვისა
 და სწორგანხეთქილობისა, ოდესმე ერთი ერთისა მეორეობისგან, და
 ოდესმე უსაზღვროობით უსაზღვროობისგან, და ოდესმე თვთ მის

3-4 მამყოფებელისგან] მამკობელისაგან EFH.— 5 უკუეთუ <E.— კიდე გან-
 ყვანებულ D, კიდე განთვსებულ H.—13 ყოველისა მაარსებელსა AB.—14 თვისებასა
 F.—15 თვისსა ერთი და სიმრავლესა შორის <B.—აობასა თვისსა] აობასა AB.—20
 რაჲ <ABCEFH.— 21 ქტევასა მათსა თანა ექტევის არა. არ თანა ექტევის AB,
 ქტევასა მათსა თანა ექტევის არა CEFH.— 23 ვიტყჳთ D.—რომელ] რა AB.—27
 თანმოქენებად E.—28 წინაჲთვე] წინაჲთვე ესე CEF, წსაჲთვე ესე D, წინაჲთვე ერთ
 H.—სახედ CEFH.—29 ვითარ] ვითარმედ C.—31 პირველობისა] ცნობისა D, აღმაო-
 ბისა H.—32 სწორგანხეთქილობათა D.

საზღვრისგან, რომელი ესე სხოლიონთა შინა გარდაიქნეს პირველ-
 ვე თვსთა სახუედრთა ადგილთა შინა. ვინაჲ აწ მეორესა|პირსა C 22
 ზედა მოკმართა აღმოჩენათასა, ვინაჲთვან პირველი გაადამანტა და
 ყოვლისა მბრძოლისგან ყო უცხო. ხოლო აწ პირველ აღმოჩენილ-
 § სა უსაფუძველებს მეორისა აღმოსაჩენთა შორის და იტყვს, ვითარ-
 მედ «ყოველი მზიარებელი ერთისაჲ ერთიცა არს და არა ერთი», ესე
 იგი არს ვითარმედ ერთქმნული. ხოლო ქმნულსა ყოველსა პირველ
 თვსსა უნდა სამი: პირველად—რახსა მიმართ იქმნა და გარ-
 დაიკვფრა შორის თვსსა ხატებაჲ ერთისაჲ; მეორედ—რომლისა
 10 მიერ იქმნა და იერთა; მესამედ—რომელთა ნაწილთაგან შედგა,
 ვითარცა ეტყოდა პარმენიდი სოკრატის; რამეთუ პირველ-
 ლად გამონათლებად მის ერთისგან იტყოდა და დადებად თვთებასა
 მსგავსებისა მისისასა, ვითარცა რაჲ ეკმაგიოსა სატვფროსა მი-
 სისასა, რომელი და გახატდებისცა, რამეთუ პირველ ხატ ქმნისა ყო-
 15 ველი ეკმაგიოჲ, რომელ არს ტვფრეაჲ, და მერმელა ხატი; და A 12b
 კუალად მეორედ იტყოდა ძალსა-გამოსა აღმქმნელთა ნართა და
 ნივითთა მის შეერთებულისათვს დამამსგავსებელსა თვსისა უქმნოსა
 ერთობისადმი; ხოლო მესამედ თვთ მათ ნაწილთა, რომელთაგან
 შედგა. რამეთუ იტყვს ესეთთა რიტორთა მიერ, ვითარმედ «ყოვე-
 20 ლივე სამთა მიერ სრულ იქმნებისო».

იხილე, რამეთუ, გესმას რაჲ აქა საღმრთისმეტყუელოთა შო-
 რის ძალი, ნუ მომქმედებასა თანაშესრულად ჰგონებ ძალსა. იუწყე,
 ვითარმედ სხუაჲ არს ძალი ჟამითთა, და მიდრეკითთა, და ბუნებითთა
 შორის; და სხუაჲ ვითარ ერთისათვს იტყვს, ანუ ერთთათვს, ანუ
 25 დაუსაბამოსა სამარადმყოსა შორის დამსკუალულთათვს. ხოლო აწ
 განიცადე კეთილად, რამეთუ სამად განიყოფების სიტყუაჲ ძალისაჲ,
 ანუ ბუნებითთა და ჟამითთა შორის, ვითარ ითნო არისტოტე-

1 გარდაიქნეს AB; B-ზე უკლებლად კი ანუ უკლებლად. — 3 გაადამანტა] გარდამანტა
 E.—7 პირველ] ერთა.—8 პირველად] ად D.—9 შორის თვსსა] თვს შორის
 CDEFH.—ხატითა D.—10 მიერ] მართ AB.—11 ეტყვს DEFH.—12 მის ერთისა გო-
 ნებისად დადებად H.—იტყოდა<CDEF.—და<ABE.—12—14 გამონათლებად—ხატ
 ქმნისა D-ზე უკლებლად: გამონათლებად მის ერთისგან ერთად დადებად შეერთებისა და
 გავსებისა მისისა. ვითარცა რაჲ ეკმაგიოსა სატვფროსა მის ეს ვითა რომელი და
 იგიცა მეტრევე. რამეთუ პირველ კაც ქმნისა.—13 მისისასა] თვსისასა H.—ეკმაგიონსა
 ABH.—14 და<E.—გახატდებისცა] გაცხადებულცა EFH.—15 მერმელა ვითარცა ხა-
 ტი D.—16-17 იტყოდა ძალსა გამოსა აღმქმნელსა თა ნართა. და ნაწილთა მის
 შეერთებულისათაჲ AB, იტყოდა პირველსა გამოსა აღმქმნელსა ნართა და საველთა
 მის შეერთებულისათა D.—16 აღმქმნელთა EH.—17 ნივითთა H.—18 რომელთაგან
 ერთთაგან D.—21 რამეთუ] ვითარ CEFH.—იხილეთ რ' ეტყვს მას რ'ლ აქა.—22
 თანაშეკრულად AB.—23 სხუაჲ] რ'ლ D.—24 სხუაჲ] ე'ა D.—ერთთათვს] ერთისათვს
 D.—25 დაუსაბამოსა] დაუსაბამოსა EFH, დაუშთამოესრე AB.—25 დამსკუალულისა
 მიმართთა H.—26 განიცადე] განვლე D.—27 ანუ] არაჲ

ლი და ყოველმან სტოამან და პერიპატომან, რამეთუ ძალად
 ესვითასა ძალსა იტყოდეს, ვითარ უსრულსა გუარისადმი თვისისა
 ვისდაცა იყოს ძალ, ვითარცა თესლთა და კუერცხთა, და ყოველ-
 თა ნაკელოვნებთა, რომელი ესე სახეთა მიერ ცხად ვყოთ: რამეთუ
 5 კუერცხნი ძალად ოდენ არიან მფრინველ და არა მოქმედებით, და C 23
 ყრმანი ძალად ოდენ ქუეყანისმზომელ და არა მოქმედებით; ეგრე-
 თვე თესლნი. და ესრეთ ყოველი ჟამის ქუეშე და მიდრეკასა შორის
 მოქენე აობისა თვისისა. ვითარ და თვთ ესე ცაჲცა: რამეთუ იყვნენ
 10 თუ აღმოსავლეთს ნაწილნი რაჲვე ცისანი, დაკლებულ არიან დასა- A 13a
 ვლეთს|ყოფისგან და ძალად ოდენ არიან დასავლეთს, ვითარცა
 არს საუწყო მზესა და სხუათა ვარსკულავთა ზედა. და ესეცა ძალი
 შეისწავე ბუნებითად.

ხოლო კუალად სხუაჲ არს ძალი შორის სამარადმყოსა დამს-
 კუალული და მოქმედებასა თანა წარმოდგომილი, ვიტყვ გონებისასა,
 15 რამეთუ სხუაჲ რაჲმცა ნამდვლ მყოფი პირველი გონებაჲ, რომლისა-
 და არსებასავე თანა მოქმედებაჲცა წარმოდგომილ არს, ხოლო ესე
 მოქმედებაჲ გონებისაჲ არა ბუნებითთა მოქმედებათაებრ, რამეთუ
 ბუნებით უსრულობისგან მოვალს სრულებად და ძალი სრული ეპი-
 20 რველების. ხოლო მოქმედებაჲ გონებისაჲ არა თუ ძალისაგან მოქ-
 მედებად მოვალს, გინა უსრულობისგან სრულებად, არამედ არსება-
 სავე გონებისასა თანწარმოდგომილ არს. ხოლო შენ, გენმას რაჲ შო-
 რის საღმრთისმეტყუელოთა მოქმედებაჲ, ნუ ბუნებითად მოქმედე-
 25 ბად ჰგონებ მას, ხოლო საღმრთოთა მოქმედებისათვის წინააღმდეგ
 კმასაყოფელთა აღმოჩენათა მიერ გარდაიდვა. რამეთუ იტყოდა,
 30 ვითარმედ პირველი რიცხვ და უფროჲს ხოლო უოცნოჲ იგი ერთი
 ზესთა ძეს ყოველსა ძალსა და ყოველსა მოქმედებასა, ვითარცა და
 თვთ მას დამბადებელობასა, ამისთვის რამეთუ ყოველი ძალი და
 მოქმედებაჲ ბუნებისადა არს თანაშეკრულ, ხოლო იგი ზესთა

1 რამეთუ შორის ძალად E, შორის ძალად H.—2 იტყოდა D.—3 ძალი AB.—4
 ნაკელოვნებთა] ნაკალებისა ვნებათა D.—5 კუერცხ ძალ არა ოდენ არიან D.—მოქმე-
 დებად CEF, მოქმედებადი H, მოქმედებრ D.—8 მეკონე CH, მეკნე F; მოქენე აღებასა
 თვისისა თანა D.—ცაჲცა AB.—იყვნეს D.—9 რაჲვე ცისანი] რაჲ ესეცისანი D, ორვე
 ცისანი H.—11 და ესეცა] ესე და ეს ვითაჲ CDF;FH.—13 ძალსა D.—14 გონებისად
 D.—15 ნამდვლ მყოფი ცა და თანა გონება H, ნამდვლ მყოფი. ად ყი გონებაჲ AB,
 ნამდვლ მყოფი და პირველი გონებაჲ D.—15-16 რომლისადა] რაჲასადა E.—16 არსე-
 ბისავე თანა CEF;H.—17 რამეთუ<D.—18 ბუნებისა D, ბუნებითი E.—19 გონებისაჲ
 ბუნებისა H.—20-21 არსებასავე თანა გონებისასა D.—21 გენმეს EF.—23 წინააღმდეგ
 ჩვენათავე D.—25 პირველი რიცხვ] საღმრთოჲ რიცხვ AB, არსო რიცხვ D.—26
 ყოველსა ძალსა] ერთისა მიმართ D.—28 ბუნებისაჲ და D, ბუნებისადა და AB.—
 თანაშეკრული AB.—28—ჯ. 19,1 ზესთა ღმერთი განკსნილი ყოვლისა ბუნებისგან
 AB, ზემთა პირველი განკსნილ ყოვლისა ბუნებისგან CEFH, ზესთასა განმკსნელ
 ყოვლისა ბუნებისაგან D.

პირველი განკსნილ ყოველისა ბუნებისგან, ვითარცა პირველთა შორის აღმოიჩინა.

თ ა ვ ი 2

ნაწილთა მიერ შედგმულისა მართისათჳს

5 ყოველი მზიარებელი ერთისაჲ ერთიცა არს და არა ერთი. განმარტებაჲ ესე ამის ხედვისაჲ რიცხუთაცაჲ მოიღებვის და ბუნებითაჲ და სიტყუერებითაჲ, ხოლო ჩუენ ვიწყით რიცხუთა მიერსა ხედვასა, ვითარცა ეტყოდა პარენიდი სოკრატს «ეგგე», რამეთუ რიცხუთა მოვიკსენეთ ჩუენ: რაჲ არს ესე, ანუ რაჲსათჳს დას-

10 დებს სახაროდ პარმენიდი მოკსენებასა რიცხუთასა? სამთა მიზეზთათჳს: პირველად რომელ არა ესახვის მას ზესთ მღებარესა ერთსა, ვითარ ესე მხოლოთა ერთი, რამეთუ დგას და უზიარებელად ეზიარების ყოველთა მხოლოთა და მისთესს ყოველთა შორის თჳსთა A 14a

ერთებრივთა ნათელთაჲთ; მეორედ რომელ დაიცავს თვთებასა თჳსისა თვთებისასა მიუნიკებელად სხვასა, რამეთუ ვერ ვინაჲ იქმნას ღირს მხოლოთა, რაჲთამცა აღვიდა პარტისა თვთ ერთობისასა; მე-

15 სამედ რომელ ყოველი თხზუაჲ და ურთიერთას ზიარებაჲ და ყოველი ანამკი სამუსიკოთაჲ და ბუნებითთა მორთულებათაჲ რიცხუთა მიერ, ხოლო რიცხუნი ერთისა მიერ, ნუჴმე და ყოველნი თხზვანი და რთვანი ერთისა მიერ. ვინაჲ სამართლად ეტყჳს ვითარმედ «ეგგე»,

20 რომელ არს რიცხუთა მოვიკსენეთო. ხოლო ყოველი მზიარებელი ერთისა არს, განალა რომელიმე რიცხვ იყოს და ორი, ვითარცა გზაჲ ერთისა რიცხუთა წარმოშობასა შორის. აწ ესე ორობაჲ ვითარ ორობაჲ სხუაჲ არს ერთისგან, ხოლო იქმნების იგი ერთ; არა თუ არს იგი თვთერთ, არამედ იქმნების ერთ, ესე იგი არს ერთი და არა ერთი. რამეთუ ვითარცა ორი არა არს ერთი, ამისთჳს რომელ არს იგი | ორი, ხოლო ვითარ ორობაჲ არს იგი ერთი, არამედ ვითარ ქმნი-

25 ლი, რამეთუ სხუაჲ არს ორი და სხუაჲ ორობაჲ, ვითარცა კაცი და კაცებაჲ, რამეთუ კაცი ნაწილ და ნაწილთა მიერ შედგმულ, ვიტყვ ნაწილად კაცისად ცხოველსა სიტყუერსა, მოკუდავსა, გონებისადა ზედმიწევნილებისა შემწყნარებელსა. აწ ესე ნაწილნი სხუა და სხუა არიან, ხოლო შეკრბენ რაჲ და საზღვარმან შემოცენეს, იქმნებიან ვითარცა ერთისა გუარისა დამტევენნი და ვითარცა მრავალნი ერთ C 26

A 14b

1 პირველთა] ერთსა D.—6 რიცხვსა შ'რ H.—6-7 ბუნებითთა შ'რ H.—7-8 რიცხუთა მიერსაცა სიტყუასა H.—ეგგე ABCEF, ივაშე (ივაბე?) D. აჲ ზოგჯერ ჰათათათ ანათაჲ წყარათ: ივაბე AB, ივაშე CF, ივშე H; E-სა სჲ რქსტჳთაჲ ჰატან-ლო ივშტ.—9-10 დასდებ ABCEF, მთარსებს D.—10 საღ'თოდ D, სხაროდ AB, სახაროდ CEF, საჭიროდ H.—11 რომელ <F.—12 და <F.—14 ნათელთათ ABH.—20 ეგგე] ესე იგი D.—27 ხ' ვით ორი, ხ' ორობა არს F.

ქმნილნი. ესრეთვე და რიცხუთაცა ზედა იხილო; რამეთუ ვითარ
ორი და სამი სხუა არიან და არა ერთ, რამეთუ შედგეს ნაწილთა
მიერ მრავალთა. ხოლო ვითარ ორობაჲ ანუ ვითარ სამობაჲ ერთ,
რამეთუ გუარ მათდა არს და საზღვარ, და მსგავსადვე ყოველთა
8 რიცხუთა ზედა იპყარ და იხილო*:

და კულად ბუნებითაცა ზედა მხოლოთა შეისწავე. რამეთუ
სხუა არიან მხოლონი რიცხუებრნი, და სხუა მხოლონი ბუნებითნი,
და სხუა მხოლონი ღმრთისმეტყუელებითნი. რომელთა ამათ გაცდა-
სა შორის მოეც გასაგონოჲ და სასმენი. მხოლოჲ უკუე ბუნებათა და
10 ნაწილნი მისნი, რამეთუ ნაწილ ამის ყოვლობისა არიან, ვი-
თარ ქუეყანაჲ, წყალი, აირი, ცეცხლი, სფეროჲ, მოქცევი მთოვარი-
საჲ, აფროდიტისი, ერმისი, მზისაჲ, არიასი, დიოჲსი, კრონოჲსი და
გარემომრთხმელ ყოველთა თვთ უტომელი სფეროჲ. აწ ესე ყო-
ველნი ნაწილნი არიან ცისანი. ხოლო თვთ იგიცა გუარ და გარე-
16 შემცველ ყოველთა. ესე ვითართა სახეთა და სახის სახეთა მიერ ვი-

11 სფეროჲ B.—12 არისი ABD.—კრონოსნი AB, კრონოსნი E.

*) მთელი ეს თავი ამ ადგილამდე D-მ დასრულა (ხელონაწილს უ. 11a—11b):
შოველი მზიარებელი ერთისაჲ. მზიარებელად არა ერთისა: განმარტება ესე
ამას ხედვენ ესე რიცხვთა და მიხეზნი მიიღებვის: და გონებითა და სიტყვარები-
თა: ხოლო აწ ვიტყვთ რიცხვთა: რამეთუ ძლით იხილა და ეტყუაჲ პარმენიდი
სოკრატს. ივამე. რამეთუ რიცხვთა მოკმზავეთ ჩვენდა რაჲ არს ესე, არცა რაჲ-
სათვს მზარსებს საღთოდ პარმენიდი მოკმზებასა რიცხუთა ამათ სამთა მიხეზ-
თაჲსა, პირველად რომელ ამისდა მორთვისა მიერ, ზესთ მდებარესა ერთსა ვითარ
ესე ერთ ერთი, რამეთუ დგა სადა უზიარებელთა ეზიარების პირველთა. და მის-
თესსა ყოველთა შორის თვსთა ერთებრიეთა ნათელთაჲთ, ვინაჲ ამისდა იტყვს
თვთებასა მისისა თვითებისასა მიუნიჭებელად სიტყვსა, რამეთუ [ვ]ერ ვინ მოკმე-
დი თითოეულთა, რაჲთამცა აღვიდა პატრივსა თვთ ერთებრივსა, მესამედ რომელ
ყოველი თხზვაჲ ერთი ერთსა ეზიარება. და ყოველი ანამკი, სამუსიკოთა მიმართ-
ცა მორთულებასა რიცხვთაჲსა, ხოლო რიცხვნი ერთისა მისდა დაადუმე. და
ყოველნი თხზვანი და რთვანი ერთისა მიერ: ვინა სამართლად ეტყვს. ვითარმედ
ესე იგი რომელ არა რიცხვთა მოვაკმენითო, ხოლო ყოველი მზიარებელი ერთი-
საჲ არს. განაღა რომლისა რიცხვ იყოს და ორი ვითარცა გზად ერთისაჲ რიცხვ-
თაჲ წარმოობასაჲ. არამედ იყოს ეამით ერთ. არამედ იქმნების ერთი. ესე იგი
არს ერთი და არა ერთ. რამეთუ ვყოფთ რიცხვსა: ამისთვს რომელ..... არს იგი
ორ, ხოლო ვითარ ორობა არს იგი ერთთა არამედ ვითარ ქმნილი რამეთუ სხუა
არს ორი, და სხუა ორობა, ვითარცა კაცი და კაცებაჲ, რამეთუ კაცი ნიეთთა
და მიწათა მიერ შედგმულ ხოლო ვიტყვთ ნაწილად კაცისად, ცხოველსა სიტ-
ყვარსა მოკვდავსა, გონებისად ვითარმედ მიწენულებისა შემწყნარებელსა: აწ ესე
ნაწილნი სხუა და სხუა არიან: ხოლო შეკრბეს რაჲ და საზღვარმან ესე მოცნეს.
იქმნებიან ვითარცა ერთის გვარისა დამტუნელი. და ვითარცა მრავალნი ერთ
ქმნილნი: ესრეთვე და რიცხვთაცა ზედა იტყვალა, რამეთუ ვითარ ორი და სამი
და სხუა არიან და არა ერთ: რამეთუ შედგეს თითოეულად. რამეთუ მრავალთა.
ხოლო ერთობაჲ ანუ ვითარ სამობაჲ ერთ. რამეთუ გვარ მათდა არს და საზღ-
ვარ, და მსგავსადვე ვითარცა რიცხვთა ზედა. იპყარ და იხილო:—

მეცადინო განცხადებად, რამეთუ გული, ღვძლი, ტვნი, ტყირბი და სხუანი ყოველნივე სხუა და სხუა არიან აგებულებითაჲცა და ცხოვრებითაჲცა, ხოლო იქმნებიან შემასრულებელ ერთისა ცხოველისა, იყოს და კაცისა. და ოდეს ესე თვს-თვს გაბუნებნე, სხუა და სხუა ბუნებაჲ მათი, არამედ ერთბამად ყოველნივე ერთისა ცხოველისა შემასრულებელ. | ეს სახედვე იპყარ ბუნებითაჲცა ზედა, რამეთუ ესე ყოველნი არიან | ნაწილ ცისა, ხოლო ცაჲ ვითარ ცაჲ ერთ და გუარ * ერთისა, გინა თუ ხატის ხატ ერთისა, რომელ ესე არს მხოლოჲ სხეულთაჲ და გუარჲ შემცველი სხეულთაჲ. ვინაჲ ესრეთვე ბუნებასა ზედა იხილო, რამეთუ ყოველი ნაწილებითა ბუნებაჲ ერთისა ბუნებისა მიმართ შეკრებების, ვითარ ბუნებაჲ ყოველთა ცხოველთაჲ ერთისა ცხოველისა მიმართ. და არიან ცხოველნი და ცხოველობაჲ: ცხოველნი უკუე ნაწილ, ხოლო ცხოველობაჲ გუარ და მხოლოობა და ხატ ერთისა. ეს სახედ და სულთაჲცა ზედა: ნაწილ ვიდრემე სულნი ყოველნი, ვითარ ქუეყანისაჲ, წყლისაჲ, აირისაჲ, ცეცხლისაჲ და სხუათა ყოველთა სფეროთაჲ, ხოლო გუარ და მხოლოობა სული უცთომელისა სფეროთაჲ, ანუ თუ უოქიძობა სული საყოველთაოჲ რომელსა დაესდებთ გონების გუარად, ვითარცა ბჭეთა ზედა გონებისათა წარმოდგომილსა. ესე მხოლოობა სულთა და ერთ და ხატ ერთისა. და კუალად არს პირველი გონებაჲ, რომელი პირველად აღმკულად და პირველად შედგმულად აღმოაჩინა სიტყუამან, არს უკუე ნამდვლ მყოფი მხოლოობა ყოველთა გონებათა და ყოველთა არსებათა, არამედ გაგუარებულთა და გასაზებულთა. ხოლო ყოველი სივრცე გონებათაჲ ნაწილ მისდა; არამედ იგი ვითარ ღმერთი და მხედი ყოველთა მის მიერ წარნანაქუსთაჲ. ხატ უკუე ერთისა უზადოჲ პირველი გონებაჲ და მხოლოობაჲ გონებათაჲ. ვინაჲ ნაწილითა არა ერთ, ხოლო ვითარ მხოლოჲ გონებათაჲ ერთ და ხატ ერთისა. და ესთავე | საღმრთოსა რიცხუსა შორის იხილო. რამეთუ ყოველნი რიცხუნი ღმრთებრივთა მხოლოთანი მის სწორებით განყენებულისა ერთისად შეკრებებიან და მათ ორთა წყაროთადმი, რომელნი მის უოც-

C 27
A 151


A 15b

4 იყოს| ვითარ E.—6 ეს სახედ CDEFH.—ბუნებითთაჲცა ზედა და საღმრთოს-მეტყუელთაჲცა ზედა CEF.—7-8 ერთ და გუარ ერთისა| და გუარ და ხატ ერთისა E.—8 რომელ| რ F.—8-9 მხოლოჲ სხეულთაჲ| მხოლოჲ სხეულ AB.—9-10 ბუნებასაჲცა E.—10 ნაწილობითთა E.—16 გუარად-ს| სივრცეჲ იპყარ; სახედ FH.—19 წარმოდგომილსა AB; B-ჲ ჰქვია დ წაუქვია.—21 სიტყუამან| სახემან D.—24 მისთა F.—24-25 ყოველთა| წყლთა AB; B-ჲ ჰქვია წ წაუქვია.—25 წარნაქუსთა ABDEFH; C-ჲჲ ჯარ ეოვლჲ წარნაქუსთა, ჰარ ჰეზწ-რეჲ.—30 მათ| მათ D.

* მ სიტყვებ მითითებან აქვს; ესეცა და ხატ ABF, და ხატ C; D-ს ტყირბ მითითებ აქვს, ხოლო აქვს ანაჲჲ უწერან; E-ს მითითებან არა აქვს, ხოლო და ხატ უცხადო აქვს ტყირბ.

ნოღსგან წარმოიწყაროვნეს და მათ მიერ ყოველნი ესე ქმნილნი C 28
ერთნი მის უქმნოასადმი ალაგყუდეს.

ხოლო სიტყვერებრივთა შორის ერთ ქმნაგუარისაჲ ჰბაძავს მას
ერთსა, ვითარ თანშესიტყუასა შორის. რამეთუ სამ არიან ნაწილნი
6 სკლლოგიზმოხსანი, რომელ არს თანშესიტყუაჲ. ვინაჲ ამას
თანშესიტყუასა სკმპერაზმაჲ ერთ ჰყოფს და ერთის გუარ,
რამეთუ სამთა მიერ საზღვართა ყოველი სკლლოგიზმოჲ და
ერთისა სკმპერაზმაჲსა. ვინაჲ საზღვარნი უკუე იპყრენ ნაწი-
ლად, ხოლო სკმპერაზმაჲ, რომელ არს თანგასავალი გუარად.
10 ხოლო ყოველი გუარი ერთ არს და განუკუეთელი, ვითარცა გვს-



წავეეს. ვინაჲ განუკუეთელ ერქუმის, ამისთვის რომელ თუ რაჲც
რაჲვე დააკლოს საზღვარსა გუარისასა, არლარა არს იგი გუარ,
ვისდაცა იყოს გუარ, რამეთუ, უკუეთუ ანუ სიტყვერი დააკლო ანუ
მოკუდავი ანუ ზედმიწევნულებისა შემწყნარებლობაჲ, არლარა იყოს
15 იგი გუარ კაცისა. და ესე განუკუეთელისათვის შეისწავე.

შინაჲ კუალად სამუსიკელოთაცა რთვათა ზედ მიესხი და მათ
შორისცა იხილო ცხადად ქმნული ერთი. რამეთუ რაჲგუარადცა
მოჭრთო კმაჲ და სამუსიკოჲ, მყის გუარი ზედ ექმნების მას, ვი- A 16a
თარცა ანუ ლმობიერებად აღმძერელი ანუ სიფიცხედ ანუ მავლტოჲ
20 კმაჲ და შორთულებაჲ. ამათ ხილულთა ნახიბლადმი ანუ მდედრი და
თანადამთხე და მარღვ სიმტკიცეთა სულისათაჲ რაოდენნი აღვრიც-
ხუნე, რამეთუ ზოგთა კმათასა და შორთულებასა გუარათასა რომელ-
თამე მზისად, რომელთამე კრონოხსდად, ანუ დიოხსდად და
აფროდიტესდად აღიყვანებს სასწავლოჲ სამუსთაჲ. ხოლო შენ
25 რთვანი და შეწყობანი იპატოჲთ ვიდრე ნიტამდის ნაწილად
იპყრენ, ვითარ და არიანცა, ხოლო ზედამომართებულნი და ბუნე-
ბითნი ურთიერთას ზიარებანი გუარად. ვინაჲ და ყოველთა შორის

3 ერთ ქმნაჲ] ერთ ვინაჲ DH.—6 სეიმპერაზმაჲ AB.—8 სკმპერაზმოხსა
ABC.—10 ერთი არს ABD.—11 ერქმის ABC.—16 რთვათა] რვათა D.—19 აღმძნუ
სიფიცხედ D.—20 ამათ] ამა E.—ამის ხილულთა აღმი. ანუ მდედრი D.—21
თანადამთხე CD.—რაოდენნი] დენნი D, როდენნი E (ხაჲკსაჲ).—22-23 რომელთამე
<D (ხაჲგაჲ).—24 აღიყვანებს სასწავლოჲ] აღისწავლოჲ D (ხაჲკსაჲ ადგაღის).—25
ნაწილად<D (ხაჲკსაჲ).

ხატი და მსგავსებაჲ მის ერთისაჲ. და ესთავე ქუეყანის სამზომლო-
თაცა შორის ცხადად იხილო განმკურეტმან.

| შინაჲ იტყვს, ვითარმედ რომლითა იმრავლა არა ერთ, ხოლო C 29
 რომლითა იენო და დაუდგნა ერთ ქმნასა ერთ. იხილე რამეთუ მრავ-
 5 ლობად იტყვს ნაწილთ-მიერობასა, რამეთუ ყოველი ქმნილი ერთი
 ნაწილთა მიერ შედგების, ხოლო უქმნელსა ერთსა არცა ნაწილნი
 ჰქონან და არცა ასონი და კავშირნი, ამით რომელ ყოველი ასოჲ და
 კავშირი პირველ მისსა არს, ვისდაცა იყოს ასოჲ, ხოლო ერთსა
 უპირველეს არა რაჲ. ეინაჲ ნაწილთ-მიერობაჲ გაეთვთების ყოველსა
 10 ქმნისა მიერ წარმოდგომილსა ერთსა, ხოლო უქმნოჲ ერთი ზესთა
 ძეს ნაწილთ-მიერობასა. და კუალად იენო, იტყვს. ყოველი ვნებაჲ A 16b
 არა ერთ ტომ არს, რამეთუ ვიტყვთ, ვითარმედ იყოს თუ მაერთე-
 ბელი მიუკუდავებელად და მგედ, ვითარ გონებისასა, სულისასა, და
 ბუნებისა, და ცისასა. აწ ესე მაერთებელნი ვნებანი ცხორება მათდა
 15 არიან, რამეთუ იტყვს პარმენიდი, ვითარმედ ერთისა მიერ
 ცხოვნდებისო ყოველი, ესე იგი არს ერთობისა; და დაუდგნაო ერთ
 ქმნასა, რამეთუ დიდ მისდა არს, დაუდგნეს თუ არსმან თვთებისა
 მიერ თვსისა ხატ ქმნასა მის ზესთ არსისა მზისასა, და შესაბამად
 20 თვსთა არსებათაჲსა გარდაიტყფროს ნეტარი იგი ზესთაობაჲ, და
 ცხოვნდეს შორის ერთსა მას, ვითარცა ღმერთსა შორის ღმერთი და
 ვითარცა ერთსა შორის ერთი.

შეისწავე, ვითარმედ მეორესა თავსა შორის ნაწილთა მიერ
 შედგმულისა ერთისათვის იტყვს, რომელი წარმოდგა ზესთა ნაწილ-
 25 თა ერთისა ზიარებითა, და იყო ერთცა და არა ერთ, ვითარცა აღ-
 მოაჩინა სიტყუამან რიცხუთა მიერ, ბუნებითა მიერ, სიტყუერე-
 ბითთა მიერ, იტყოდა რაჲ სკვლოგიზმოჲსა და სკვპერაზ-
 მაჲსათვის, სამუსთა რთვათა და კმათათვის.

თ ა შ ი 3

ქმნულისა ერთისათვის

80 ხოლო აწ წინამდებარესა თავსა შორის იტყვს ქმნულისა C 31
 ერთისათვის და განყოფს მას უქმნელისა ერთისგან. უქმნელ უკუე
 ერთ არს პირველი და ზესთ ერთი, რომლისა სხუაჲ არღ იყოს უპირ-
 მშოეს. ეინაჲ ამის უქმნოჲსა ერთისა მიერ წარმოდგეს მხოლონი
 ქმნულთა ერთთან. ხოლო გაეყოფვისო, იტყვს აქა, ქმნული ერთი

1 ხატი] კ'ტი AB.—ესთავე] ესთა ვიდრე E.—3 რომლითა] ვ'დ თანა H, <D
 (საკუიჲ).—12 არა] არ D.—რამეთუ] ხოლო E.—ვითარმედ <DH.—13 მოკუდა-
 ვებითად D.—სულისასა] კ'ლისსა DH.—18 და შესაბამად] დასაბამად D.—22
 თავსა] თ'ლსა D.—26-27 სკმერაზმოჲსათვის AB.

უქმნელსა ერთსა, ამისთვის რომელ უქმნელი ერთი არა მხოლოთაგან შედგა, ვითარ იგი ქმნული, რამეთუ ქმნულსა ერთსა ჰქონან თვისნი ნაწილნი, ესე იგი არს რიცხუნი ანუ ბუნებითნი იყვნენ ანუ მათი-
 მატრიკებრნი ანუ საღმრთისმეტყუელონი, რამეთუ სამად განიყოფის
 5 ანაქუსი არსთაჲ.

შეისწავე, რამეთუ მხოლონი ნამდვილ მყოფისანი, რომელ არს პირველი აღმკული და პირველი არსებაჲ საღმრთოჲ და ზესთ არსი, პირველი რიცხვ არს და პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვ-
 რობაჲ. რამეთუ ამათ მიერ შედგა პირველი შედგმული და პირველი
 10 ანაქუსი ნამდვლ მყოფისაჲ მის ერთისა მიერ, რომელი ზესთა ძეს ყო-
 ველსა შედგმასა და ნაწილთა მისთა. და კუალად ვითარ ბუნებითთა და სწაელულეებითთა შორის, რომელნი ითქუნეს პირველსა სხოლიონსა
 შორის. ვინაჲ აწ შემოკლებულად გაიმეცნე, რომელ ყოველი ქმნული
 ერთი ურთიერთას ზიარებითა იქმნების ერთ, მოიღე სახედ იგივე
 15 რიცხვ იყოს და ხუთი. აწ ესე ნაწილნი ხუთისანი ურთიერთას იზიარ-
 ნეს და შეადგინეს არსებაჲ ხუთისაჲ; ხოლო ხუთი, ვითარ ხუთი, არს
 სათუალავი რიცხუთა-შორისი, არამედ ვითარ ხუთობაჲ არა სათუა-
 ლავ და არცა ვითარ რიცხუთა შორის, არამედ ოდენ გუარ და მხო-
 ლო და ბუნება, რამეთუ უსკეტო არს. ხოლო ხუთი რიცხუთა შო-
 20 რის იხილვების და სქესისა და შწყობრსა სათუალავეთასა, ვინაჲ
 ამას ყოველსა ნაწილსაცა და გუარსაცა მის დაზესთაებულისა
 ერთისგან მიიღებს და დაიხატავს თვს შორისცა და ზედაცა შორის,
 ვითარ ნაწილთა შორის ზედა, ვითარ გუარ ქმნასა თვისსა ზედა. ესე-
 ცა შეისწავე, გესმაჲ? რამეთუ, ოდეს სთქუა «ხუთი» ანუ სხუაჲ რაჲვე
 25 რიცხვ, ესე ნაწილნი ხუთისანი და რომელთა მიერ ხუთ რიცხუ არიან,
 ვითარ ნაწილნი რიცხვსანი. ხოლო ოდეს ხუთი არა ვითარ ხუთი
 მიიღო, არამედ ვითარ ხუთობაჲ, გინა ვითარ ათობაჲ, რომელ არს

A 17b
C 32

3-4 მათემატიკებრნი EH, მათემატიკებრნი F.—7 აღმკული აღმოჩენა DH.—
 არსი < EH.—7—12 D-ჲ. დასახელებული: პირველი აღმოჩენა და პირველი არ
 იყოს სული. და ზესთ პირველი რიცხუთაგან საზღვარნი, და პირველი უსაზღვ-
 რობაჲ რიცხვისა მის შედგა პირველ შედგმული. და პირველი ანაქუსი ნამდვილ
 მყოფითისა მიერ რომელი ზესთა ძეს ყოველსა შედგმასა და ნაწილთა მისთა. და
 კუალად სხუა მიწთომილებითა შორისი რომელნი.—8 პირველი რიცხვ რიცხვ
 AB.—10 ნამდვლ მყოფი AB.—12 პირველსა < AB.—13 შემოკლებულად გათვთე-
 ბულად D.—გაიმეცნე AB, დაიმეცნე F.—რომელ[რ]ა AB.—14 ურთიერთას ზიარე-
 ბითა ურთიერთთა (არს ერთი H) მოწლე სახედ DH.—16 შეადგინეს D.—18 არცა
 ვითარ რიცხვ იყოს თვინიერ გუარ და მხოლოდ DH.—20 იხილვებისცა CEF.—ხოლო
 ვინაჲ D.—21 ნაწილთაცა AB.—გუარსაცა იგავსაცა D.—22 მოიღებს და დაიტევა
 ერთის გუარსა ზედაცა. შორის ვითარ D, მიიღებს და დაიხატვის ერთის გვარსა
 ზედაცა შორის F.—თვს შორისცა < CE.—23 თვისსა ზედა. ესეცა თვისსა რომელ ესეცა
 CEF, თვისსა რომელმაც ესეცა D.—24 შეისწავე. განწვალა D.—რამეთუ ოდეს არ
 ოდეს F.—25 ხუთ რიცხვ AB.—26 რიცხვთანი D.—27 მიცლს D.—27—კვ. 25, 6

გუარ და ბუნება, განაყენო რიცხვსაგან და უსქესო ჰყო. არცაღა ნაწილნი მისნი იყვნენ, ვითარ ნაწილნი რიცხვსანი, არამედ ვითარ ნაწილნი ამის ვინაჲსამე გუარისანი; და არლარა რიცხუსა შორის გამ-
 5 თულანი, ვითარ რიცხუნი, არამედ ვითარ ასონი საზღვართანი. მოი-
 ლე სახედ სიცხადისათვის, ვითარ, ოდეს სთქუა «კაცი», აწ ნაწილნი
 ამის კაცისა საზღვრისანი არა არიან მარტივ ანუ ცხოველ, ანუ სიტ- A 18a
 ყვერ, ანუ მოკუდავ, ანუ ზედმიწევნულებისა შემწყწარებელ, არამედ ვი-
 თარ ნაწილნი მის ოდენ გუარისანი, რამეთუ ცხოველი, კაცისა მიერ
 მიღებული, არა თუ მარტივად ცხოველსა დაჰნიშნავს. და ესთავე
 10 სხუანი ნაწილნი საზღვრისანი. ვინაჲ აწ ესე სახენი და სიტყუანი
 ბუნებითნი ყოველთავე ზედა იხილნე.

ხოლო «არს თუ იგიო ერთ, არა იქმნეს ერთ. რამეთუ მყოფი
 არა იქმნების რომელი გუარითა წარმოდგომილ იყოს». | ესე არის- C 33
 ტოტელი «ბუნებითთა» შორის აღმოაჩინა, იტყვს ვითარმედ
 15 «მყოფი არა იქმნებისო წარმოდგომილი გუარითა». ესე არს ესე, ვითარ-
 მედ უკუეთუ არს, ვითარღა იქმნეს არსი; რამეთუ ყოველი ქმნილი არა
 არსისგან არსებად იქმნების, ხოლო, ოდეს ქმნაჲ გესმას, გაიგონე,
 რამეთუ არს მრავალსაზე, რამეთუ ანუ სრულიად არაობისაგან მიიღებს
 აობასა, ვითარ ყოველნი შობადნი ანუ ყოველნი ნაკელოვნენი,
 20 რამეთუ არა მყოფნი იქმნეს და წარმოდგეს ანუ კუალად წარმოდგო-
 მილნი და წარმოგუარებულნი იქცეს და იქმნეს სხუად. ვითარ ვიხი-
 ლაეთ ყოველთა შემთხუეულთა. და ზედშემოსრულთა ზედა, ვითარ
 მწუხარებისგან სიხარულად და სიგრილისგან სიმკურვალედ. ესე და

არსსა და იგიონს გინა ვითარ. ათობად, რომელ არს და გამოკუდავს სიტყუანი
 არა არიან მარტივი D-ში ტექსტი დასახელებულია: გინა ვითარ ესრეთთა რომელ არა
 გუარ, მიყენება და განაყენო რიცხვისაგან და უსქესო ჰყოთ ესეცა და ნაწილნი აცა
 მისნი რიცხვებრნი ვითარ ნაწილნი რიცხვისანი. არამედ ვითარ ნაწილნი ამის
 ვინაჲსამე გუარისანი. და არლარაჲ რიცხვსა შორის გამთულანი. ვითარ რა ცხვთა.
 არამედ ვითარ არა საზღვარისანი: მოილე სახედ სიცხადისათვის ვითარ ოდეს
 სთქვაჲ კაცისათვის ნაწილნი. ესე ნაწილნი ჰყოფენ რიცხვთა სირაჲსა: არა არიან
 მარტივი.—1 და განაყენო EFH.—უსქესო CEF.—4 საზღვრისანი CD.—7 მოკუდავე
 მოკლებისა D.—შემწყწარებელნი F.—8 მის ოდენ გუარისანი მისისა გუარისანი
 CD.—კაცი მიერ AB.—10 სიტყუანი სხუანი D.—12 არს თუ იგიო ერთ არს თუ
 იგი ღირდა D, არს თუ იგი პირველ ერთი E.—12-13 რამეთუ მყოფი არა იქმნე-
 ბის, გესმა, თუ ვითარ მყოფი არა იქმნების რომელი გუარითა CEF, რამეთუ
 სრულ არა იქმნების: გესმა, თუ ვითარ მყოფი არა იქმნებიან რომელი გუარით
 D.—14 და იტყვს D.—15 არა არლარა D.—16 უკუეთუ არს მყოფ ვითარღა იქმ-
 ნეს არსი E, უკუეთუ არა, ერთაჲ იქმნეს არლარა D.—17 ქმნაჲ ქმნილი EF.—გეს-
 მეს DE.—19 ვითარცა AB.—ყოველნი გონებანი ანუ ყოველნი კელოვნებანი D.—20
 კუალად სრულიად CE (არაჲ C-ს უწერა კუალად).—21 სხუად სხვა CF; <DH.—
 21—22 ვითარ—ვითარ და ვითარ ვიხილე არა შემთხუეულთა და ზედ შემერ-
 თობითთა (შემოსრულთა H) ზედა. ვითარ DH.—21-22 ვიხილეთ E.—22 ყოველთა <E.

ესე ვითარცა ითქმის კმნად, მაგრა შემთხვეულად და ზედშემოსრულად და არა არსებითად და ბუნებითად. ვინაჲ აწ აქა იტყვს, ვითარმედ «ქმნული და წარმოდგომილი გუარითა არა იქმნებისო». ამათ კანონთა მიერ და ბუნებისა მიერ საქმეთაჲსა ცხად არს, ვითარმედ მყოფი არა იქმნების რომელი გუარითა წარმოდგომილ არს და, თუ ქმნილი ერთი მყოფ და წარმოდგომილ არს, მაშა არა იქმნეს, არამედ ესე შეუძლებელ. თუ ქმნილ და წარმოდგომილ არს და მაარსებელ თვსდად ოდენევე ერთისა კმნაჲ, რამეთუ ყოველსა კმნასა ანუ ჟამი ეუფლები, ანუ საუკუნოჲ, და ვერ ვინაჲ განეველთას ამათ ორთა დასაბამთა, რამეთუ ანუ ჟამითთა შორის ყოველი აგებული. და ბუნებასა და ქცევასა თანა შეკრული, ანუ საუკუნესა-შორისი შეკრული წესსა თანა არსთასა. ხოლო მყოფი, ვითარცა მყოფი, არა იქმნეს გუარითა, რამეთუ ქცევითი კმნაჲ შესაძლო არს, რაჲთა ზედ მიექმნას მყოფსა ამას, არამედ ბუნებითსა და ჟამის-ქუეშესა და არა საუკუნოსა შორის დამსკუალულსა. რამეთუ ყოველი აიდიოჲ მიუდრეკელ გუარითაცა და ზედშემონაქმითა რომელობითა, რამეთუ რომელთა აქა შე მთხუევეითად ვიტყვთ გონიერსა აღმკულსა შორის არიან არსება. არამედ განუკუეთელთა და ნაწილებითთა შემთხუევათა არა არს გუარი და იგავი გონიერსა აღმკულსა შორის, არამედ ოდენ სამარაღისოთა გუარითა, ვითარცა დიდი პლატონ აღმოაჩენს.

თ ა ვ ი 4

სრულ ყო რაჲ მესამისა თავისა აღმოსაჩენი, ზედა მოკმართა მეოთხესა და იტყვს: «ყოველი შეერთებული სხუა არს თვთერთისგან».

1 ესე ვითარცა იყო ითქმის კმნად მაგრა შემთხვევითად და ზედ შემოსრულად F, ესე ვითარცა ყოველი იყოს მისდა კმნად მისდა შემოსრულად და ზედ შემოსრულად D.—2 ბუნებითად მებითად D.—ვინაჲ ესე არს ვითარმედ CEF, ვინაჲ ესრეთ არს ვითარმედ D.—3 არღარა იქმნებისო CEF.—3-4 ამათ საქმეთა კანონთა მიერ და ბუნებისა საქმეთასა ცხად არს E, ამათ და ამის და ყოველთა მის საქმეთაჲსა ცხად არს DH.—5 რომელი გუარითა იყოს და წარმოდგომილ და თუ CEF, თვსდად გუარითა იწარმოა თხრობა მისდა და თუ D.—6-7 წარმოდგომილ [არს CF] თვსდადვე რაჲ იქმნეს და ესე შეუძლებელ CEF, წარმოდგომილ მისდადვე რაჲ იქმნეს და ესე შეუძლებელ DH.—7 არს<DE.—7-8 და მაარსებელ თვსდად ოდენევე ერთისა კმნაჲ არა მყოფი ოდენსე ვე AB.—8—10 დაწესებულ სიტყვებთა ერთისა კმნაჲ, რამეთუ და დაწესებულ სიტყვა აგებული D-ის დაწესებულსა: ერთისა კმნაჲ, და ჟამი ეუწყების ერთსაჲ საუკუნოჲ, და ერთის მისა მიმართ მისგან განბნევითა და მათ არღარა დასაბამთა, რამეთუ ანუ არსსა შორის აგებული.—9 ეუფლების] ეუხვების AB, ეუწყების DH.—14 ამას<CDE.—14-15 საუკუნესა AB.—15 ყოველი<E.—20 გუართა F.—23 მეოთხესა მეორე ესე D.—23-24 სხუა არა თვითებითისგან D.

ამისი უკუე განმარტება ზენათა სხოლიონთა შორის კჳოო, რომელი იტყოდა ვითარმედ «ზიარებითა თვთერთისაჲთა იქმნების ყოველი შერთებული ერთ გუარითაცა და ნაწილითაცა». ვინაჲ კჳალად დასძენს ვითარმედ «თვთ არა არს ერთცა და არა ერთ. ხოლო, თუ ესეცა ერთ და არა ერთ იყოს და პირველსა ერთსა ორივე მრჩობლ ჰქონდის», იყოს სხუაჲ უპირველესი თვთერთისასა, და ესე უსაზღვროთაგან ვიდრე უსაზღურობამდის, და არ ვინაჲ იყოს საზღვარი და დასაბამი მყოფთა წესისაჲ, არამედ ესე შეუძლებელ; იყოს ვინაჲვე თვთერთი მხოლოდ და არა პირველისა ზიარებითა ერთ კმნილი და არცა ნაწილთა მიერ შედგომილი, არამედ თვთერთი წყაროჲ და ჰესთა დასაბამობასაცა; ვითარ პირველ აღმოიჩინა. ხოლო C 35 თუ ერთ და იგივე ერთი და შერთებული, შეემთხვოს უსაზღვრო სიმრავლე მხოლოთა შეერთებულისათა, რომელთაგან წარმოდგა შერთებულნი. არამედ ესე შეუძლებელ, რამეთუ უსაზღვროთა ნაწილ- A 19b თაგან უსაზღვროჲ ყოვლობაჲ არა სადა შედგეს; და არცა ნაწილნი ეგნენ, ვითარ ნაწილნი, რამეთუ უსაზღვროჲ არ ვისდა ნაწილ, ამისთჳს რომელ ნაწილი ნაწილთა არს ნაწილ და არა უსაზღვროთა ნაწილ, რომელი აღმოიჩინა პირველთა შინა კმასაყოფელად.

თ ა ვ ი 5

20 ხოლო აწ მეხუთისა თავისაჲ ვიხილოთ, რომელი იტყჳს, ვითარმედ «ყოველი სიმრავლე მეორე და შემდგომი არს ერთისა». ხოლო თუ ვინ თქუას, ვითარმედ «სიმრავლე უპირველეს ერთისა», არა უკუე ეზიაროს ერთსა, ვინაჲთგან პირველ წარმოიჩინებამდე ერთისა იყოს სიმრავლე, რამეთუ არა არსსა არ ეზიაროს, 25 ამისთჳს რომელ მზიარებელი ერთისაჲ ერთ და არა ერთ არს. და თუ ესე ესრეთ, ვითარცა ზენა იჩუნენა, მაშა იყოს შემდგომად ერთისა ყოველი სიმრავლე, რამეთუ ვერ ვინასა სიმრავლისასა ძალ უც თვნიერ ერთისა წარმოარსებად. და კჳალად უკუეთუ არ ეზიარების სიმრავლე ერთსა, არცა რაჲვე რიცხვ, ვითარ და ასი, იყოს ერთ და 30 არცა ნაწილნი მისნი, არამედ ერთისა მიერ გაერთლების შეასეცა რიცხვ და ყოველნი ნაწილნი მისნი.

3 გუარათაცა და ნაწილთაცა D.—4 და არა არს ერთ AB.—5 ერთი და არა ერთ D.—8 საზღვარ D.—9 ვინაჲ ეწ AB.—პირველისა ზიარებითა, ამისითა ზიარებითა CFH, დააიზაროსა საზღვრებითა D. —9-10 ერთ კმნილი] თვთერთ კმნილი AB.—10 შედგომილა CEF (ეკე CF-ის დაჰე, შედგებულნი).—12 შეემთხვოს უსაზღვრო] იმსაზუროს უსასაობითა. და D, იმსაზუროს უსაზღვრო H.—13 შეერთებულისათა რომელთაგან] შეერთებულისა თვითოეულისაგან D.—14 შეუძლებელ] შეძლებულ D.—18 ნაწილთა D.—26 მაშა იყოს ვინაჲვე (ვინაჲვე EFH) შემდგომად DEFH.

«იყოს სიმრავლე შემდგომად ერთისა, მზიარებელ ერთისა და არ მზიარებულ ერთისგან». ესე უკუე ხედვა არს ესრეთ: *ეზიარების ერთი სიმრავლესა და არ ეზიარების სიმრავლე ერთსა მყოფობად თვისსა არსებისა, რამეთუ არ ვინაჲ ძალ უც სიმრავლესა დგომად თვნიერ მარსებელისა თვისსა ერთისა, ხოლო ერთი არა არს მოქენე მყოფობისა თვისსა სიმრავლისგან, ვითარცა უცხადესთა შორის აღმოიჩინა.

«ხოლო თუ ერთიცა ეზიაროს სიმრავლესა, მყოფობით უკუე იყოს წარმოდგომილ ვითარ ერთი», ესე იგი არს, ვითარმედ არა A 21a
 10 თვთერთი იყოს ვიდრემე ვითარცა გამრავლებული ერთი. ხოლო გამრავლებული ერთი უკუე არს ვითარცა ნაწილთა მიერ შემდგმული და ზიარებით ერთ ქმნული, დაღათუ მოაქუს საოცნი ერთისაჲ, არა არს იგი ქვემარტებით თვთერთ. ვითარ იგი სიმრავლე შერთებულ ერთისა მიერ, ვგრეთვე ერთი გამრავლებულ ზიარებითა სიმრავლი-
 15 საჲთა. ხოლო პირველთა შორის ვრცელად გარდაიდვა, ვითარ სიტყუად და არა სხოლიოდ. ვინაჲ ვპოო მეძიებელმან თქმულსა შორის ერთისა და სიმრავლისათს. C 38

«ხოლო მზიარებელი რაჲთავე ერთი ერთისაჲ, უკუეთუ სხვა მიერ იზიარებოდის, სხუაჲ იგი იყოს პირველ მათ ორთავე». ვინაჲ
 20 აწ სიმრავლე თუ და ერთი იზიარებიან ურთერთას, იყოს ვიდრემე სხუაჲ უპირველესი ერთი მზიარებელი მათი, და ესე ვიდრე უსაზღვროობადმდე: არ ვინაჲ ეზიაროს ერთი სიმრავლესა, არამედ იზიაროს სიმრავლე და თან მისცეს თვისსა ერთობისგან, უქმნელისა და ზესთაჲსა, ერთ ქმნაჲ.

25 ძულად ეძიებს აქა თუ ერთი და სიმრავლე წინაგამწყო არიან ურთერთას, ხოლო ურთიერთას წინაგამწყონი ურთერთას მშრეტ და დამამუე; ვითარ უკუე განემარტოს ესე საძიებელი, რამეთუ ყოველი წინაგამწყოჲ ივლტის ურთიერთობისგან და არა იზიარებს და იქმნების იგი, ისმინე, რაჲთა უფლისა მიერ განვქმარტოთ ესე: პირველად
 30 დაიდებოდედ ბუნებანი წინაგამწყოთანი, რამეთუ წინაგამწყონი განიყოფიან ორად, ვიტყვ, საშუელობითად და უსაშუელოდ; საშუელობითად ვითარცა თეთრი და შავი, რამეთუ ჰქონან მათ სხუანი ფერნი A 21b
 საშუეალ; ხოლო უსაშუელოდ ვითარცა ნათელი და ბნელი, ცხორებაჲ და სიკუდილი და სხუანი ესე ვითარნი. ვინაჲ უკუეთუ ვინ თქუას

1 მზიარებელ უკუე ერთისა CDEFH.—3 ერთსა სიმრავლე და არ ეზიარების ერთს სიმრავლესა CF (სხუაჲჲ ეზიარებულსა C-ზე ეზიარებულსა და არ ეზიარებულსა), ერთსა სიმრავლესა და არ ეზიარების ერთსა სიმრავლე E.—6-7 აღმოაჩინა F.—10 თვთერთ AB.—გამრავლებული ერთი ხოლო < AB.—12 ერთ ქმნული CD.—14 ზიარებითა ერთისა და სიმრავლისათა AB.—32 ჰქონან ჰქვიან AB.

* ან ადგაღზე მათიჲთა ანაჲს სწაჲს: ვერ ჯერ ვარ F, ვერ ჯერა არ D.

15 მათი, რომელი თვსსა ადგილსა სახუედრად აღმოიჩინოს. ვინამ ცან ესეცა, რომელ ცამ მით ისფერებს თვსთა მიღრკეათა, რომელ პირველ თვს-შორისსა სდევს ერთსა. ხოლო ვინამთგან გასხეულებული არს, მიექმნების მას ადგილთა-მიერი მიღრკეამ.

თ ა შ ი 16

20 შანყო რამ სხეული უსხეულომგან, აწ აღმოაჩენს, ვითარმედ ყოველსა სხეულთაგან განყენებულსა არსებასა სხეულთაგან განყენებული და კიდე ჰქონდის თვსი მოქმედებამცა თანავე არსებასა, რამეთუ უკუეთუ|უკუმქცე არს თვსისა თვთებისადმი. ხოლო ყოველი კმამ უკუნქცევასა შორის უსხეულო არს, ვითარ აღმოიჩინა; რამეთუ არ ეგების, თუმცა რამევე სხეულთ-შორისი თვსად უკუმქცევე იყო, ანუ რამევე უსხეულოთამ არ უკუმქცევე თვსდადვე. ხოლო თუ დადევს ვინ მოქმედებამ განყენებულად, ხოლო არსებამ სხეულთ-შორისად, შეიმ-თხვოს პირველ ვერ გებამ საქმისამ, და მერმე უჯერობამ განხილულისამ, რამეთუ იქმნეს პირველი და მიზეზი უკუანამსკნელ, და მიზე- 73

25 ზონანი და შემდგომი პირველ. რომელი ესე არს უმტკიცო, თუმცა არსებამ სხეულთა შორის იყო, ხოლო მოქმედებამ განყენებულ სხეულთა, ამით რომელ ყოველი მოქმედებამ შემდგომი არს არსებისა და ძირ და მიზეზ არსებამ, რომლისგან იწარმოა მოქმედებამან. ხოლო 2 განზიდულა CEF, განზიდულთა AB.—3 დადა განყრილ CEF.—და სხუამ|სხუამ AB.—სფორის B.—4 იყო|იყოს B.—6 არ ეგებოს F.—8 წარმოსდგოდის B.—მიერ <B.—9 სიგრძესა|სიყრმესა I.—10 მექმესა E.—11 ადგილსა მიერსა EH.—12 შინა| შორის E.—უსხეულომსა C.—18 მიექმნების| მექმნების AB, მექმნების D.—23 უკუეთუ| უკუ A,<B.—თვსებისადმი F.—24 უკუნქცევისა D.—29 მიზეზ AB.—31—32 განყენებულ—მოქმედებამ < E (ex homoioteleuto).

თუ მოქმედება განყენებულ და კიდე სხეულთაგან, უფროასლა და უპირველეს არსებაცა მათი. ხოლო უსხეულო ყოველი უქუმქცე თვთ თვსდადვე. ვინაჲ უქუმქცე|თვსდადვე უსხეულოჲ, არამედ ყოველი A 43b უსხეულოჲ განყენებულ სხეულთაგან არსებითცა და მოქმედებით.

5

თ ა ვ ი 17

სრულ ყო რაჲ თავი ათ და მეექუსე, კუალად ზედა დაპართო, ათ და მეშვდე. |ხოლო ამას თავსა შორის თხზვაჲცა კშირი მოაქუს A 44a თვს შორის, და თვთ გონებაჲცა ძნელ და ღრიფა უჩუეველთათვს უსხეულოთა განცდისა. ხოლო ჩუენ თანადგომითა პირველისა ათი-
10 ნაჲსითა აღვძრათ ჩუენ-შორისი ე რ მ ი, რაჲთა მოვიდეს ჩუენდა ქრისტეს მიერ პ რ ო მ ი თ ი ა ჲ *.

** ითქუა პირველთა შორის და აღმოიჩინა, ვითარმედ მიდრეკაჲ სულისაჲ სხუად ნუ ჰგონო, არამედ ცხორებად. და ეს ვითა თუა-
15 ლად და წყაროდ ცხორებისად, რამეთუ სადა წარმოდგომილ სული, ცხორებაჲ წარმოდგომილ. არამედ ესე უსხეულოჲ და თვთ თვს-შო-
რისი ცხორებაჲ ნუ ჰგონო ნაწილთა მიერ სხეულენათა, რამეთუ, ვი-
თარცა იტყვს ი ა მ ე ლ ი ხ ო ს, უსხეულოჲსა ნაწილნი უსხეულოვე. რა-
მეთუ არა სადა შედგეს უსხეულოჲ სხეულთაგან. ხოლო სხეული
20 შედგეს უსხეულოთა მიერ, ვითარ სხეული ე პ ი ფ ა ნ ი ა ჲ ს ა მიერ და სხუათა განსაზიდათა. და კუალად, ვითარცა აღმოაჩინა ა რ ი ს ტ ო -
ტ ე ლ ი, ვითარმედ ურომელოჲ სხეული გარომელდების ოთხთა
რომელობათაგან, ვითარცა რიცხვ თვსთა ნაწილთა მიერ და მორ-
თულებაჲ თვსთა ნაწილთა მიერ. ესე და ეს ვითაჲ ყოველი უსხეუ-
ლოჲ. და ნაწილიცა ითქუმის და ყოვლობა, მაგრა უსხეულო, რა-
25 მეთუ უსხეულოთა ნაწილთაჲთ ყოვლობაჲცა უსხეულო. ესთავე და C 75
სულსაცა ზედა ჰრაცხე ყოვლობაჲცა მისი, და ნაწილნიცა მისნი, და მიდრეკაჲცა. რამეთუ არა თუ ადგილთ-შორისად მიდრეკების სული, რამეთუ ყოველი ადგილთ-შორისად მიმდრეკი|ადგილისგანცა შეი- A 44b
ცვის. ხოლო უსხეულოჲ უდიდო, რამეთუ რომელსა არა ჰქონდის

1 განყენებული D.—უფროასლა] უფროას AB.—8 უჩუეველთათვის E.—9-10 ათინასათაჲ AB, ათინაასათა H.—11 პრომითია] პრომეთია EFH, პრომვილმაჲ C (ზარკუნან დღვლას შეჲდგე ნამეტყუელი; ჰდ. ქკუპოთ ჰენკენ *).—15 წარმოდგომითა D.—17 იამელიტოს E, იამელიტოს D, უამელიტოს F.—20-21 არისტოტელ F.—24 ნაწილ-
ნიცა C.—25 ნაწილთათ ABD.—27 ადგილთა შორისად AB.

* ამ სიტყვაჲჲ მათგანთა არაჲსე სწკრას: პრომითის შემოქმედი A გვანა შედრე-
ლი სელო, პრომვილმაჲ E, პრომელეჲ F.

** ამ აზრის განსწკნე არაჲსე სწკრას: იხილე ყოველი ესე სიტყუებთ სხოლიონთა
ABDEF.

რამდე სიდიდით წარმოდგომავ, უცხო ადგილისგან. ვინაჲ ესეცა აღმოაჩინა, ვითარმედ სული თვისთა მიდრეკათა კუალად თვისდავე მიმართ ჰყოფს, რომელ არიან მოქმედებანი. მოილე სახედ, რამეთუ ოდეს რაჲ გაიგონოს სულმან, არა თუ გარეთაგან უკუნ იქცევის და მიიღებს განაგონსა; ნუ იყოფინ, რამეთუ ესე მოკუდაეთაჲ არს ოდენ გრძნობაჲ და არ გაგონებაჲ. რამეთუ, სულმან რაჲ გაიგონოსო თვისი გასაგონოჲ, აღსძრავსო თვის-შორისთა სიტყუათა არსთასა, იტყვს სოკრატო, და მას გარეთსა ჰაზრსა გასაგონსა პირველად თვის შორის ჰპოებსო, ვითარ სიტყუაჲ და ბჲე არსთაჲ. ხოლო სარკუმელთათ სხუა არაჲ ეხებისო მას, თვნიერ მირულებულთა და რეც თუ შემქნართა ცნობათა კუალად გაესენებაჲ. და ეს ვითა დავესებულთა, კუალად აღნთებაჲ, თუ არა სულსა თვის შორის მოჰქონანო გუარნი მყოფთანი. ვინაჲ მის შორის ცაჲ და ყოველი ნაწილი მისი. აწ ესე თვთმიმდრეკ არს თვისდადვე თვისთა მოქმედებათა, ამისთვის რომელ თვის შორის ჰპოებს მყოფთა ყოველთა და მას მყოფსა ნათელსაცა, რამეთუ, ვითარცა იტყვს «ტიმეოსა» შორის, ვითარმედ ყოველთა მბადმან ღმერთმან კრატირსა შორის, რომელ არს ფეშხუემი, შეზავო საყოველთაოჲ სული, და მისცნა მას ნაწილად სიტყვიანი გუამოვნებითნი არსთანი, რაჲთა თვის-შორის განიცდიდეს ყოველთა მყოფთა, და ოდეს რაჲ მოვიდეს დავიწყებად, სარკუმელთათ ზედ-შემოსრულთა მიერ, კუალად აღიკსენებდეს სიმდიდრეთა მამისათა რომელ დასხნა, და ჰქუსა მის შორის მამამან, და უკუნ იქცეოდის ნერგთად თვისთად ადამ|სამოთხედ.

A 45a
C 76

ვინაჲთგან თანადგომითა პირველისა სიტყვსაჲთა გონებაჲ ამის თავისაჲ კეთილ ნადებ იქმნა. ხოლო ძგერასა და თხზვასა ლექსთასა მკითხულმან მისცეს შეწყობაჲ. არამედ რეცრე და ჩუენცა პატიე ვსცეთ, რამეთუ დიდ არს პირი თუ ვისდმი წიგნისაჲ.

იტყვს: «უკუეთუ ნაწილი მისდრეკსო და ნაწილი მიდრეკების», იყოს სხეულ, ვითარ ესერა ცხოველთა გუამებს ზედა. რამეთუ ანუ ფერკთა მიერ გუამი, ანუ კელთა მიერ ვითარ ცურვათა, და სხუათა ესე ვითართა.

«ანუ ყოველი მისდრეკს. და ნაწილი მიდრეკების». ეს ვითა მისდრეკს ყოველობაჲ ამის ყოველისაჲ, რომელ არს ანაქუსი ცისაჲ, რასაჲე ნაწილთა მისთასა, ვითარ ჰუეყანასა, ანუ რასაჲე სხუასა თანტომსა ამისსა, ანუ და თვთ მათ შვლთა სფეროთასა. ვინაჲ არც

4 გაიგონოს] იგონოს AB.—11 დავესებულთა] დავესებულ D.—15 შორის <AB.—მას მყოფსა] მას მყოფთა CDEFH.—17-18 ფეშხუემში A.—18 მისცა E.—20 ოდეს] ოდესმე AB.—სარკუმელთათ AB, სარკუმელთათ D.—22 დაქუსა CH.—შორის მის D.—23 თვსდად DEF, თვისად AB.—25 ზგერასა H (წინაჲ ვოჲდა ძგერასა).—27 ვინდამი EF.—30 ცურვათა] წურვათა E.—31 ესე ვითათა ABDH.—34 ანუ რასაჲე ნაწილთა სხუასა E.

ესე შესატყვის სულისა, რაჯთამცა იყო რაჲ უსხეულოჲსაჲ, და ვითარ მხოლოჲსა, რაჯთამცა ანუ ყოველი ნაწილსა მისდრეკდა, ანუ ნაწილი ყოველობასა, რამეთუ გაორდეს ესე, ვითარცა მიმდრეკი და მიდრეკადი, და ზესთაჲ და დამხე, და ვითარ მექმი და უქმი; და არლარა ეგოს სული უსხეულობასა შორის ამით მიზეზთათჳს, და არცა მხოლოჲ სულითი ერთ და იგივეობა, და არცა ყოველითურთ უკუმქცევ თჳსდად, და არცა თვთმომდრეკ.

«ანუ ყოველი მისდრეკს და ყოველი მიდრეკების». ეს ვითა სფერებრივითა სხეულთა ზედა, ვითარ მზესა | და მთოარესა და სხუა- A 45b
 10 თა ეს ვითათა. არამედ დაღათუ მეხუთისა არსებისა და უბრწოჲსა, მაგრა სხეულევე, და ვითარ ადგილთ-შორისობითა და ადგილთაგან სხუადობითა, მიდრეკით დაკლებულ უსხეულოთა ხუედრისგან.

«ანუ თუ იყოს ნაწილი სხუაჲ ვითარ მიმდრეკი და სხუაჲ ნაწილი მიდრეკადი. ვინაჲ ესე ვითა ზემო იჩინა, შეუძლებელ ესე მხოლოსა ზედა უსხეულოჲსაჲსა, ამით რომელ შეემთხვევის მას დაფანჩეაჲ და ნაწილთა განყრაჲ, და არლ უკუნ ქცევაჲ თჳსდადვე. რაჲ არს ესე, | თუ არ ვინაჲვე იყოს ესე მყოფობით თვთმომდრეკი არ C 77
 თვთმომდრეკთაგან წარმოდგომილი? გესმა, რამეთუ 'ოდეს მყოფობით თქუას, იტყვის არსებით. ხოლო ოდეს არ თვთმომდრეკთაგან, ესე არს ესე, რომელი იტყოდა, ვითარმედ «ნაწილი მისდრეკს და ნაწილი მიდრეკებისო, ანუ ყოველი ნაწილისადმი, ანუ ნაწილი ყოველისადმი». და კუალად უმრავალსახე გუარი უკუნ ქცევათაჲ, არც ერთი ამათი უკუმქცევე ყოვლად ყოველითურთ თჳსდადვე, არამედ სხეულ და არა უსხეულო. რამეთუ ესე აღმოიჩინა, რომელ ყოველი თვთმიმ-
 20 დრეკი, და კუალად თჳსდადვე უკუმქცე, უსხეულო არს. და ყოველი ყოველითურთ თჳსდადვე უკუნ იქცევის, და არა რაჲ არს მისი ანუ ნაწილსა შორის, ანუ ყოველობასა, რომელიმე უქმ, ხოლო რომელიმე მოქმედ, არამედ ყოველი მისი მოქმედ, ყოველი მისი ცხორება. ესე ამათთჳს ვიტყვივე, გამგონეო.

80 **თ ა ვ ი 18**

წმსდადმებისათჳს არსთაჲსა

ხოლო აწ ამას თავსა შორის დააწყობს და განუსაზღვრებს თითოეულსა თჳსთა საზომთა, მიზეზთა და მიზეზოანთა, და იტყვის: «შოველი მიმცემი სხუათა აობისაჲ პირველ თვთ იგი არს მყოფ და ა». გესმაჲ, თუ ვითარ წარმოაჩინს პირსა? იტყვის: «ყოველი მიმცე-
 85 მი სხუათა აობისაჲ». ესე არს ესე: რამეთუ აობაჲ თ'ანგანწვალებით A 46b

1 იყო რაჲ რაჲ AB.—4 დამევე C.—10 უბრწოჲსა F.—13 და კ უ ა ლ ა დ სხუაჲ CEF.—17, ესე <CD.—34 მიმცემელი C.—35 ყოველი <B.—36 თან გაწულილებით E.

მიიღო არაობისგან; რამეთუ თვით იგი აობაჲ თვისისა მიზეზისგან აქუს ყოველსა მყოფსა. ხოლო ყოველი მიზეზი თან მისცემს თვისისა აობისგან და ააებს წარმოაებულსა ასა. ხოლო აჲ და არსი და მყოფი განიყოფებიან ურთიერთობისგან; რამეთუ არსსა თვისი საზღვარი თან მოაქუს, რამეთუ არსებაჲ არს თვთმდგომი არ მოქენე სხვსა მამყოფებელად თვსდა, ვითარ ზედმოსრულთა, რომელთა შემთხუევითად უწოდეს **პე რ ი ჰ ა ტ ო ა ს - გ ა მ ო თ ა**, ვითარ მხედველთა ბუნებითისა ოდენ სხუელისათა, ხოლო დიდი **პ ლ ა ტ ო ნ** თვით მათ შემთხუევითთა არსებად უწოდეს ნამდვლ ნამქსა და ნამდვლ არსსა შორის, რამეთუ მუნ მორთულებაჲ არს არს. ხოლო აქა შემთხუევა; და მუნ სამნი ესე გასაზიდნი, და ფერნი და ნაკუეთნი, არს არიან და უსხუელო. ხოლო აქა ზედშემოსრულ და შემთხუევა. და მუნ ხუთ ტომად აღავლენს, ვითარ არსებად, თვთობად, სხუაობად, დგომად, მიდრეკად. ვინაჲ ამათ, ვითარცა ტომთა და არსთა, დასხამს გონებითსა და გონიერსა შორის აღმკულსა; და ყოველსა არსსა მის პირველისა არსისაგან წარმოაჩენს; და ყოველსა გუარსა და თვთებასა გუართასა მის პირველისა თვთებისგან წარმოაჩენს; და ყოველსა განყოფასა და გასხუაებისა პირველისა სხუაობისგან წარმოაჩენს; და ყოველსა გებასა | იგი - **C 79** ვეობასა ზედა პირველისა დგომისგან წარმოაჩენს; და ყოველსა შემოქმედებითსა და დაბადებითსა აღძრვასა პირველისა მიდრეკისგან წარმოაჩენს. ვინაჲ აწ იხილენ გამცდემან, რომელ რაჲც რაჲვე ბუნებითთა ხედვათა შორის ზედშემოსრულად და შემთხუევითად | ხედო, **A 47a** მუნ არს და ტომ არს.

ხოლო მყოფი ოდეს სთქუა, ვითარცა **ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი** იტყვს, **25** საზიაროსა სახელსა ქნიშნავ არსისა და შემთხუევითისასა, უფროჲს ვიდრემე არსსა მყოფი, რამეთუ უმეტესთა არს შემცველ.

ხოლო აჲ რაჲთაღა განეყოფის მყოფსა და არსსა, იხილე მქუერეტმან, რამეთუ ოდეს არსი ანუ მყოფი სთქუა, მყის თანავე გუარსა წარმოიყენებ ხედულისასა, რაჲც ხროა იყოს გაცდა ხედული **80** იგი. ხოლო ოდეს ოდენ აჲ ქნიშნვიდეს, მართ ოდენ არაობისგან გაჰყოფს, და რეც თუ ათა შორის წარმოაჩენს, მაგრა უგუაროდ და

3 წარმოაებულსა] წარმოაებისგან **AB**, წარმოებულსა **H**, წარმოებულთა **D**.—5 არ მოქენი **ABD**.—6 თვსდა **AB**.—შემთხუევადი **AB**, შემთხუევედ **D**.—7 ბუნებითისა] ზუსნებითისა **AB**, ბუნებითისა **D**.—9 უწოდ **ADF**, უწოდდ **B** (ჰოდუ დ დჰელადი ოუსჰელი ოუს ნიცელად ანს ჩიქრილი).—16—17 და ყოველსა—წარმოაჩენს < **AB** (*ex homioiteleuto*).—17 თვთებისგან] თვთობისაგან **C**.—და ყოველსა განყოფასა და გასხუაებასა] და ყოველსა გვარსა და თვითებასა გვაროასა **D** (ჰედჰოთ განჰოდჰოთ ანს ჰოენასა წის ტრაჰილადი).—18 პირველისა] რლისა **E**.—20 დაბადებითსა **CDEFH**.—21 იხილე **CF**.—25 ქნიშნავს **F**.—შემთხუევითისა **E**.—27 ხოლო] რ **B**.—28 მქუერეტმან **AB**.—30 ქნიშნვიდენ **D**.—მარტ ოდენ **H**.

პირ-შეუპყრობელად, და მერმე უკუნადასლა ზედა დაჰრთავს ანა, ვი-
თარმედ რადაო, და მიუგებ თანგანელით, ვითარმედ ცეცხლი, აირი,
ანუ გონებაჲ, სული, და ეს ვითაჲ რაჲვე გუარი მყოფთაჲ ესე ფრიად
სათანადოჲ თანგანელის სახედ განეჰმარტეთ.

5 ხოლო ჩუენ პირველსავე ხედვასა აღვიდეთ, რომელი გუეტყო-
და, ვითარმედ «ყოველი მიმცემი სხუათა აობისაჲ პირველ თვთ იგი
არსსა». რამეთუ ყოველი მიზეზი თვს-გამო მიზეზოანსა პირველად
აობასა მისცემს, და მოსწყუედს არათაგან, და მერმელა გუარსა და
თვთებასა თან მისცემს თვისა გუარისა და თვთებისგან. და ამას
10 ჰყოფს შემდგომითი შემდგომად ყოველსა სირასა შორის. ხოლო
პირველთა შორის ძალნი და მოქმედებანი, და თვთ არსებაჲცა წმიდა
და უძლიერეს და უერთისგუარეს. ხოლო განზიდულთა შორის უმრუმე
და ბინდის-გუარ. ეს ვითა თვთ სახეთაჲცა ზედა გიხილავს, რამეთუ
ნამდვლ მყოფსა შორის ყოველნივე წმიდა და ზესთ საუკუნეობითსა | და A 47b
15 ცხოვლოქ ბითსა. ხოლო წარმო წარმოთა რაჲ მისცე, და იგავთაგან C 80
ხატთა ' და ხატის ხატთა და ვიდრე აქა განნაკუეთებულისა არსები-
სადმი ჰპოვნე კერპნი და კერპის კერპნი, და ძალი და მოქმედებაჲ
ყოველი დამრუმებულად.

«გინდავე მიცემული მიმცემელსა შორის უფროჲს ჰგვის მი-
20 ცემულისახა». გესმა, რამეთუ ყოველი ძალი და მოქმედებაჲ მი-
ზეზთა შორის უწმიდე და უილიკრინეს* ჰგვის ვიდრე მიზეზოანთა შო-
რის. და კულად იტყვს, ვითარ იგი არს, მაგრა არა თვთ იგი. გესმა,
ვითარ იგიობაჲ გაჰყოფს მიზეზოანსა მიზეზისგან, რამეთუ ვითარცა
იგიობაჲ მსგავსებასა შორის შემოიცვის. ხოლო ყოველი მსგავსებაჲ
25 ანუ სწორ ჟამთა არს, ანუ პირველობასა და შემდგომობასა შორის
წარმოდგომილ, ვითარცა მიზეზსა და მიზეზოანსა.

თ ა შ ი 19

მიქმნისათვის

სრულ ყო ხედვაჲ მიზეზთაჲ, რომელ არიან გონებანი და ზესთ
30 მათსა ღმერთნი; რომელსა შორის აღმოაჩინა, ვითარმედ უზვედებისო
მიზეზი მიზეზოანსა, ეინაჲ აწ მისცემს კელოვნებასა | მეტყუებისასა A 48a
მხედველსა ნათხზსა სირაჲსასა, და ეტყვს, ვითარმედ ცან და ზედ

1 უკუნადას ზედა C.—2 რაჲ აო ABCDF, რაჲო E ლა S s. v. „*“.—მიუვეგებ
F.—ცეცხლია, აირია S *ibidem*.—ჰაირი H.—3 გონებაჲ S *ibidem*—ეს ვითაჲ| ესე
ვითარი S *ibidem*.—7 არს| არა D.—9 ამს| მს AB.—15 წარმო წარმოთა|
წარმოთა AB.—17 ჰპოვნე| მიჰპოვნე D.—18 დამრუდებულად AB.—22 იტყვს|
იტყვ AB.—ვითარ < AB.—29 სრულ ჰყო რა E.—31 მისცემს H.

მიესხიო, რომელ «ყოველი» რააცა პირველ მიეკმნებოდის რასაც
 ბუნებასა მყოფთასა, ყოველთადა სწორად წარმოდგომილ არს ბუ-
 ნებასა მის ქუეშე წარმოდგომილთასა». ესე იგი არს, ვითარმედ C 81
 პირველი რააცა რავე იყოს მიზეზი, ყოველთა თვს-ქუეშეთადმი სწო-
 რად წარმოსდგომია, ვითარცა ნამდვლ მყოფი ყოველთა მყოფთა, და
 მარად მყოფ ყოველთა საუკუნითთა, და სული საყოველთაო ყოველთა
 სულთა, და ბუნება ყოველთა ბუნებითთა, და ცა ყოველთა მის-
 ქუეშეთა. აწ ესე მხოლონი ეს ვითა ნათხზის თავნი სწორად წარ-
 მოდგომილან ყოველთა თვს-ქუეშეთადმი. ხოლო თუ არ სწორებით,
 არამედ რომელთამე უფრო, ხოლო რომელთამე უმცრო, ანუ ყოველთა
 არა. აწ ისმე, რამეთუ წარმოდგომასა შორის მიზეზისასა მიზეზთან-
 თადმი უმცროას უფროასობა იხილვების, ვითარ რომელნიცა მყოფ-
 თანი უმეტეს ეახლნენ თვსთა დასაბამთა, უფრო მსგავს არიან პირ-
 ველთა მიზეზთა; ხოლო უგანშორებულესნი უფრო უმსგავსო; და ესე
 15 ესრეთ. არამედ თუ ვითარ ხედვა ამისი, ისმინე. გესმა, რამეთუ
 ვითარცა მიზეზი ყოველთა თვს-ქუეშეთად სწორ არს, ხოლო განყო-
 ფილება გუამოვნებათა განჰყოფს მუნით წარმონაარსთა ძალთა,
 თუ არა მყოფი ვითარცა მყოფი ყოველი სწორ მყოფ არს, ვითარცა
 არისტოტელი აღმოაჩინა, იტყვს, რამეთუ აობა სწორად ხუდაო
 20 პირველისა ახსგან ყოველთა მყოფთა და არაფთ უდარეს აობითა
 უკუანაჲსი პირველსა, ხოლო უმჯობეს დარეობა ვითარებასა შორის
 გაქვრდების მყოფთასა. | ვინა ყოველი ვითარება რომელიმე უფრო A 48b
 მსგავს თვსთა დასაწყთა და მიზეზთა, ხოლო რომელიმე უმცრო,
 ვითარცა პირველ იჩინა, რომელი იტყოდა, ვითარმედ ყოველი მოახ-
 25 ლე თვსთა დასაბამთა უდასაბამისფერ. ხოლო თუ რომელთამე იყოს
 მიზეზ მყოფობისა და რომელთამე არა, იუწყე, რომელ ანუ არა პირ-
 ველი მიზეზი არს მის სირაჲსაჲ, ანუ უცხო და ზედშემოსრული, თუ
 არა პირველისა მიზეზისგან იწარმოებესცა სწორად ყოველთა არსთა
 ანაქუსი და აკეთილდებისცა შესაბამად თვსთა განათლებათაჲსა.

30

თ ა ვ ი 20

სული, გონება, სხეულთ მიღრქა

| სრულ ყენა ყოველნი ზენანი ხედვანი, ვითარ თვთ მის ყოველ- A 49b
 თაგან სწორად განყენებულისა ერთისათვს, და ნამდვლ მყოფისათვს,
 და სულისათვს, და სხეულისათვს. აწ კუალად აღიღებს ამათ ზემო
 35 დაღექსულთა ნეტართა და განჰყოფს ერთერთისგან. ხოლო იწყებს

3 წარმოდგომილთა AB—11 ისმე| ისმინე F.—13 უმეტეს <AB.—19 აღ-
 მოიჩინა ABE.—20 მყოფთა H.—22 გაჭვირდების AB.—29 აკეთილდების ცაჲ AB.
 —32-33 ყოველთაგანჲ ყლგან C.

ქუენათაგან ზენათადმი; გუარსა დაიციავს აქა პერიპატოელთასა. ხოლო განწყოფს პირველად სულსა და სხეულსა, თვთმომდრეკობისა და სხვსა მიერ მიმდრეკობისა; და თვთმომდრეკ და თვთცხოველად სულსა დასდებს, ხოლო სხეულსა სხვსა მიერ და არა თვთმომდრეკად;

5 არამედ ვითარ თვთმომდრეკად. რამეთუ იტყვს, ვიდრემდის წარმოდგომილ იყოსო სული სხეულთადა, ჰგავს თვთმომდრეკ ყოფად, ესე იგი არს თვთცხოველად. რამეთუ ვიდრემდის წარმოსდგომოდის სული სხეულსა თანმეარსეობითა მისითა, საგონა თვთცხოველად, რომელ არს თვთმომდრეკაჲ, ესე იგი არს ძალი ცხოველობითი. ხოლო

10 განეყენოს რაჲ, უწყმდების სხეულსა საგონი ესე, რამეთუ სხვსა მიერ იქმნების მიდრეკილ, ვითარცა გამგედ თვსგან ცხორებისაჲ, რომელი ყოველთა მეკუდოთა ზედა იხილევების. ხოლო აობასა ზედა ცისასა არ ესთა, რამეთუ სამარადისოდ თან მიჰზუნებებია მას თვთმომდრეკაჲ და ცხოველობაჲ ნაწილთაცა მისთა და ყოველობასაცა, რამეთუ რომელი უცხოველთა ცხოველ და უდრეკთა თვთმომდრეკ ყოფად საჰაზრო

15 როჰყოფს, რაოდენ პირველად თვთ თანდაარსებულად ჰქონდის ცხოველობაჲ, და არსებაჲ მისი იყოს შორის სამარადისოსა ცხოველობასა.

C 84

A 50a

ხოლო აწ აქა, განეყენა რაჲ სული და სხეული, მიჰმართა განყოფასა

20 სულისა და გონებისასა, არამედ ისმინე: იტყვს, ვითარმედ გონებაჲ მიუდრეკელ არს და მიუდრეკელად მისდრეკსო; ხოლო სული არ ესთა, რამეთუ პირველ თვთმომდრეკი მისდრეკსო სხუათა. რაჲ არს მიდრეკაჲ სულისაჲ, და მიუდრეკელობაჲ გონებისაჲ? თვთმომდრეკაჲ არს თვთცხორებაჲ და თვს შორის ქონებაჲ არსებასავე თანწარმოდგომილად ცხორებისაჲ, ვითარ ცეცხლისადა სამარადისოდ სიმკურვალე, რომელ ესე არს თვთმომდრეკობაჲ, რამეთუ არ ვისგან აქუს და ზედშემოსლვით ცხორებაჲ. ხოლო დაკლებულა გონებისგან, რამეთუ გონებასა დაუესებელად აქუს თვს შორის და თანდაარსებულად გაგონებაჲ, და სამარადისოდ გებაჲ ერთობასა ზედა, და არ მიდრეკად და ქცევად

30 ოდესმე უმეცრებისგან მეცნავობად და ოდესმე უცნავობად. და ესთა სანიადაგოდ მიდრეკა ოდესმე უგუნურებად და ოდესმე მეგონებობად. ხოლო სულსა ცხორებაჲ სამარადისოდ და დაუესებელად წარმოსდგომია, მაგრა გაგონებაჲ არა. ხოლო გონებასა გაგონებაჲცა და ცხორებაჲცა დაზესთაებულად. რამეთუ ცხორებაჲ სულსაჲ ხატ და

35 ალაღმა გონებისა, ხოლო გონებაჲ გონებისაჲ ცხორება და არსება

1 დაიციჳავს E.—5 არამედ ვითარ თვთმომდრეკად < E.—7 თვთ ცხოველად D.—8 თვთ ცხოველად D.—9 ცხოველობითი ABEH.—11 მიდრეკილი C.—13 მიჰზუნებია E.—14 ცხოველობა ABE (აქც და ხყავაჲ).—17-18 ცხოველობასა ABD, ცხოველობისა E.—19 რაჲ < AB.—26 ზედშემოსლვით B.—30 მეცნავობად] მეცნეობად D.—31 მიდრეკა] მიდრეკა ABDEFGH.—მეგონებობად] გონებობად CE.—32 და < AB.

გონებისა. ვინაჲ აწ გაგუარებულთა სახეთა ზედა განვაშიშულოთ სიტყუაჲ. ხედაჲა ცხოველთა მრავალგუარობასა? ცხოვრებასა უკუე დაქბუნებებულად განიცდი მათ შორის, ხოლო ძალსა გამგონეო- C 85
ბიისასა უზესთაესთაჲთ ზედშემოსრულად. ვინაჲ ამისთვის იტყოდა A 50b
5 არის ტოტელი «თვრათენად», რომელ არს ეს ვითა ნაკადი მზისა შარავანდთაჲ სარკუმელთაჲთ და არ შიგნით. შიგნით სულისა ძალი და მოქმედებაჲ ოდენ ცხოვრებისაჲ, ხოლო გაგონებისაჲ საზეს-
თაოთაჲ ზედმიქმნილად. ესე განყოფაჲ სულისა და გონებისათვის ვითა აწ ფილოსოფოსი იტყვს, ვინაჲ კუალად დაუზედაეხს განყოფასა გო-
10 ნებისა და ერთისასა.

იტყვს უკუე, ვითარმედ იმოქმედებსო თვთებასა შორის თვისა გონებაჲ. რაჲ არს ესე? გესმა, გამგონეო, რამეთუ იმოქმედებს თვის შორის, ესე იგი არს მიუდრეკელობაჲ, და არა თუ გარეთ რას არს მოქნე, რაჲთამცა მიდრკა მისდმი, რამეთუ თავსა შორის თვისსა
15 ჰქონან ყოველნი გუარნი არსთანი, ვითარ გონებასა, და არა ვითარ სულსა ოდენ ცხოვლობით, არამედ გონებით და გაგუარებულად, არამედ თვთ ამით მოკლებულა პატივსა და ძალსა ერთობისასა. რამეთუ გუართა თვის შორის ქონებითა, ადგილად გუართად იქმნე-
ბის და განმრავლდების. რამეთუ ყოველი მოქმედებაჲ გონებისაჲ,
20 ვიდრე გაგუარებულთამდე, დახედაეს თვის შორის სიკმოსა გუართა მორთულებისასა და უკუ იმოქმედებს თვისდავე და ეს ვითა დაორდების და დასცილდების ერთობასა და გაეყოფის. ხოლო ერთსა ერთებრივ აქუს თვის შორის სიმრავლე, ვითარ ესე ერთსა ზედა რიცხუთასა.

და კუალად რამეთუ გონებისა ყოველი მოქმედებაჲ ვიდრე | და A 51a
სადამდის მოქმედებს ძალი გონიერი, და გაგუარებულთამდის. ხოლო მეტად ვედარა გაზიდაეს თვისთა გონიერთა ნათელთა. ხოლო ერთი და სულსაცა თანა ვითარ ძალსა ცხოვრებისასა და წყაროსა, და გრ-
ნებასაცა თანა ვითარცა მზესა გუართასა, და კუალად იმრრე და
30 ვიდრე უსახოთა და უგუართოთამდე. და თვთ | მის უგუაროხსა და C 86
ურომელოხსა ნივთისამდე. რამეთუ მის ერთისა მის უაოცა იგი ნივ-
თი, რომელსა არარსად სახელსდჲა სიტყუამან, ვინაჲ და თვთ ესეცა მის ერთისა მიერ. დახედენ, რამეთუ ვითარ ერთისავე მიერ; რამეთუ ვერ განეველთის ერთსა, დაღათუ ვერ გასწუთეს სხუანი ყო-

1 განვაშიშულოთ C, განვაშიშლოთ ABDEH.—3 მათ შორის] მ'თგ' D.—4 უზესთაესთათ AB, უზესთაესთად FH, უზესთაჲთ E.—6 შარავანდდთაჲ E.—11 თვისებასა F.—14 მისდრკა ABDEF.—მისდამი EF.—21 უკუტ მოქმედებს CEH, უკტ მოქმედებს D, უკუტ მოქმედებს F, უკუტ და მოქმედებს A (ADFH-ის ან სიკმოსი უკუტით ან სიკმოსი უკუტით სიკმოსი უკუტით).—თვისდადე F.—23 ერთსა შორის ზედა A.—29 თვთ მის] თვთ C.—30 ურომელოხსა] უროლოხსა E.—31 არარსად] არა არსად ABDF.

ველნი ძალნი, ვითარ სულისაჲ, რამეთუ ვიდრე გაცხოველებულთამდე, ხოლო გონებისაჲ, ვიდრე გაგუარებულთამდე. არამედ უსახოობამდე ნივთისა ვერ რომელი ეკმაა განყრად და წარვლენად თვსთა მოქმედებათა; რამეთუ ვითარ ერთი ერთისა მიერ, დაღათუ უმსგავსო ⁶ შექცევისაებრ პირთაჲსა. რამეთუ იგი ზესთაჲ ზესთთაჲ ერთი ზესთა ძეს გუართა, ხოლო ნივთი, ვითარ ნივთი ერთ, მაგრა უდარეს გუართა ერთი, ვითარ ზესთაჲ მეორე, ვითარ მოკლებით გუართა-გან, და მსგავს უმსგავსოდ, და კუალად უმსგავსოდ მსგავს.

თ ა ვ ი 21

10 არსთა დაწყებისათჳს

ვითარ სრულ მყოფი განყოფასა არსთა და ზესთ არსთა მხოლოთასა, მხოლოდ უკუე ვიტყვთ პირველთა შორის ნათხზსა სირაჲსასა რაჲც რაჲვე | იყოს, ვითარ მხოლოჲ სხეულთაჲ ცაჲ, და მხოლოჲ ^{C 88} ბუნებათაჲ საყოველთაოჲ ბუნებაჲ, და მხოლოჲ სულთაჲ საყოველთაოჲ სული, და მხოლოჲ გონებათაჲ ნამდვლ მყოფი, და მხოლოჲ ერთთაჲ შუე იგი ერთთაჲ. ესე ყოველნი პირველსა შორის ხედვასა განყვნა კმასყოფელთა მიერ აღმოსაჩინთა. ვინაჲ აწ ამას ^{A 52b} თავსა შორის დააწყობს გუარსა სირაჲსასა და იტყვს: * შოველი წესი მხოლოობისგან დამწყებელი იწარმოებს სიმრავლისადმი შედარებულად თვისისა მხოლოჲსა. ესე არს ესე, ვითარმედ ყოველი მხოლოჲ თვისსა შესადარსა და ბუნებისა თვისისა მებუნებესა წარმოსთხზავს სირასა. რამეთუ ერთი ერთთა წარმოსთხზავს, და გონებაჲ გონებათა, და სული სულთა, და ბუნებაჲ ბუნებათა, და სხეული ცისაჲ სხეულთა; და არ შერევენ თვსთა თვთებათა არცა დასაბამნი მათნი, ²⁰ რომელ არიან მხოლონი, და არცა ნათხზი სირათა მათთაჲ შეირწყუმის, არამედ გათვთებულად დაიცავს ყოველი წესსა თვისსა და მისცემს შემდგომითი შემდგომად თვს-ქუეშეთა ყოველთა თვისსა თვთებასა, რომელი არა აქუს სხუათა. ხოლო სირასა შორის ერთისა და უპირველესისა მოახლე უძლიერეს და უერთისგუარეს. და ესრეთ ²⁰ შემდგომითი შემდგომად სხუჲა სხვსა მიზუზ, ვითარ ორი სამისა, ესთადვე და ერთნი ნამდვლ მყოფისა, ხოლო ნამდვლ მყოფი გონიერისა არსისა, ხოლო გონიერი არსი სულისა, ხოლო სული სულთა, ხოლო

1 ვიდრე] ვერ D.—გაცხოველებამდე E, გაცხოველებულადმდე F.—3 ეკმა AB.—5 ზესთაჲ ზესთთაჲ] ზესთათაჲ B, ზესთაჲ ზესთაჲ E.—15 ნამდვილი D.—16 პირველთა F.—18 დააწყობს C.—სირაჲსასა] სულისასა CE.—22 ერთთა] ერთსა AB.—24 სხეულითა AB.—შეპრევენ CDGH.—25-26 შეირწყუმის AB, შეირწყუმის DEFIH.

სულნი ბუნებისა, ხოლო ბუნებაჲ ცისა, ხოლო ცაჲ ოთხთა კავშირ-
 თა, ხოლო ოთხნი კავშირნი ყოველთა ქმნისა და ხრწნისა ქუეშეთა.
 ხოლო ერთი იგი და ზენაჲ ყოველთაჲ სწორებით ყოველთა მიზეზ
 და მიუწუთო, ამით რომელ სწორებით მიზეზ არს ყოველთა, პირ- C 89
 5 ველთა, შემდგომთა, საყოველთაოთა, ნაწილებთა მსგავსთა, უმსგავ-
 სოთა, უკუდოთა, მეკუდოთა.

და კუალად: «სიმრავლე | ყოვლისა წესისაჲ ერთისადმი აღი- A 53a
 ყვანების მხოლოდსა». რამეთუ სხეული ყოველი ცისადმი, ხოლო
 ცაჲ ბუნებისადმი ყოველთა ბუნებათა თანა, ხოლო ბუნებაჲ სული-
 10 სადმი ყოველთა სულთა თანა, ხოლო სული ნამდვლ მყოფისადმი
 ყოველთა სულთა თანა, ხოლო ნამდვლ მყოფი ერთთადმი ყოველთა
 გონებათა თანა, ხოლო ერთნი ერთისადმი ყოველთა მყოფთა თანა.
 ვინაჲ შეისწავე, რამეთუ ყოველსა სირასა შორის თვისი თვთებაჲ
 დაცეულ არს შესაბამი თვსთა დასაბამთაჲ.

და კუალად იტყვს, უკუეთუ უშვ და უნაყოფო იყოსო დასაბამი,
 არცა წარმონათხზი ეგოს, და არცა მხოლოჲ დასაბამისაჲ ჰბაძვიდეს
 პირველსა ერთსა. უშვო, იტყვს, თუ იყოს, არა ჰბაძავს პირველსა
 მიზეზსა მხოლოდსა სირაჲსასა, მით რომელ უნაყოფო. ხოლო ყოვე-
 15 ლი უნაყოფოჲ უქმ, ხოლო ყოველი უქმი უმსგავსო ზესთ მექმისა.

და არცა სირაჲ ერთ იყოს: ესე ესე არს, თუ მხოლოჲ სირაჲ-
 20 საჲ არ მექმე და არცა მეშვე იყოს, არ ებაძვოს ერთსა ერთსა ერთთასა,
 და არ მბაძი მისი პირველ ვერცა წარმოშობს, მეორედ ვერცა
 ათვთებს ჴიცხუს შორის ერთთა, მესამედ ვერცა ურთიერთას ჴიარე-
 ბასა მისცემს და თხზვასა. ხოლო რომელიცა სირაჲ სამისა ამისგან
 25 იყოს დაკლებულ, ვერ სადაჲთ მოიგოს მყოფობაჲ და ვერცა დგომაჲ.

კუალად იტყვს: «თითოეულსა წესსა შორის დამცველი ერთსა
 საზღვარსა და მორთულებასა და თვს შორის მექონე დაწესებულ-
 თა, ურთიერთასცა და ყოვლობისადმი». ისმინე, რამეთუ ყოველი
 რიცხვ სირაჲსაჲ სამთა ხედვითა შორის განიცდების. პირველ, | თუ A 53b
 30 რაჲ საზომი აქუს ბედსა და ხუედრებასა მისსა მის ერთისა მიმართ
 ჴესთაჲსა, თუ ვითარ პატივეცემულა სიახლითა | მისითა. მეორედ, C 90
 თუ ვითარ ჴიარებასა შორის ურთიერთობითსა, და თუ რომლისა
 ხუედრისაჲ არს: საზღვრისა, ანუ უსაზღვროსა, ა რ ტ ი ო ჲ ს ა ანუ
 პ ე რ ი ტ ო ჲ ს ა. ხოლო იმეცნე, რამეთუ ა რ ტ ი ო ჲ უსაზღვრობი-
 35 სადმი აღიყვანების პირველად, ხოლო პ ე რ ი ტ ო ჲ გუარადმი პირვე-

4 მიუწუთო CDEFG, მიუწდომელ B.—9 ბუნებისადმი ბუნებისადა C, ბუნე-
 ბისად E.—10—11 სული—ხოლო <AB (ex homoioteleuto).—11 ერთდამი B.—15
 იყოს B.—18-19 ყოველი სული F.—21 არ ებაძვოს ერთსა ერთთასა H.—22 მბა-
 ძავი E.—წარმოშობს წარმოშობს AB.—23 რიცხუ E.—ერთთასა AB.—24 თვხ
 უასა H.—სირაჲსა. მისა ამისგან D.—30 ბედსა | შვლსა DH, შბედსა E.

ლად, რომელი თვისა ადგილსა მიეცეს გავრცელებულად. მესამედ
 ყოვლობისადმი, ვითარ გუარისად ნაწილნი გუარისანი, რაჲცა რაჲვე
 იყოს გუარი: ანუ ათი, ანუ ასი შენაკეცი ათისაჲ, სრული სრულის-
 გან. ვინაჲ ესე ყოველი იხილო კელოვნებასა შინა კეთილმბადისა
 5 მთხვეელისასა, ბუნებითა რიცხუთა შორის.

რაჲ არს ხედი ამის სიტყვსაჲ, რომელი იტყვს, ვითარმედ «არ
 ვითა ეს რაჲვე თითოეული, არაშედ ეს ვითაჲ ამის ვინაჲსავე წე-
 სისა მყოფი». გესმა, რამეთუ პირველვე ითქუა, ვითარმედ სხუაჲ არს
 ოდეს რასავე გუარსა რიცხვსასა, ვითარ ნათხზსა და სირასა თან
 10 შეატყუებდე, რამეთუ მაშინ არა არს ეს ვითა თვისი, არამედ ეს ვითა
 მის ნათხზისაჲ და სირაჲსა. და კუალად ოდეს რაჲ განიცდიდე, ვი-
 თარცა თვთ მას თვთებასა თვისსა შორის მყოფად და უსკეტოდ,
 მერმე ჰპოვო თვთგუარად და ბუნებად თვისისა თვთებისად.

«ვინაჲ შემდგომად ერთისა პირველისა ერთნი, და შემდგომ-
 15 მად გონებისა პირველისა გონებანი, და შემდგომად სულისა პირ-
 ველისა სულნი, და შემდგომად ყოველთა ბუნებისა სიმრავლე
 ბუნებათაჲ». ესე ხედ'ვაჲ კეთილმდებარე ყო ღმერთმან ზენასა შორის A 54a
 ნახედსა, რომელი იტყოდა მის-გამოობასა ყოველთასა, და კუალად
 უკუბამობასა თვსთა მხოლოთადმი, და თვსით მხოლოდთ მხოლოდ-
 20 სადმი მხოლოთაჲსა, და კუალად მხოლოდ მხოლოთაჲ ერთთადმი, და
 კუალად ერთნი ერთისადმი ერთთაჲსა.

თ ა ვ ი 22

დასაბამებრისა მართისათჳს

ესთა რაჲ სრულ ყვნა ხედვანი ესე საუკუდავითანი, კუალად
 25 მოჰმართა დასაბამებრსა ერთსა, მიზეზსა ყოვლისა სირაჲსასა და იტყვს:

«ყოველი პირველი და დასაბამებრივე მყოფი თითოეულსა შორის
 წესსა არს ერთი». ოდეს გესმას თუ არს ერთი, ნუ მას პირველსა და
 გამოუთქუმელსა ერთსა წაეოცნები, რამეთუ თვთვე ფილოსოფოსი
 განჰყოფს, თქუას რაჲ, ვითარმედ «ყოველიო». ესე ყოვლობაჲ სიმ-
 30 რაველესა შორის იხილვების. თუ არა თვთ საქეშმოჲ ერთი უყოვე-
 ლო არს, და არცა ორ და არცა უმრავლეს ორობისა. თქუა რაჲ,
 ვითარმედ «არცა ორო», მყის საცხადო ყო, ვითარმედ უკუეთუ არ-
 ცა ორ პირველი მიზეზი ყოველსა შორის სირასა, უფროჲს ხოლო C 92
 და არცა მრავალ.

3 შენაკეცა F.—4 ესე] ერთ AB, ესთ DG.—5 მთხვეელისასა ABD.—ბუნებითა.—10 შეატყობდე E.—13 და <D.—19 თვსთა] თვსდა D.—19—20 და თვსით—ერთთადმი <AB (ex homoioteleuta).—20 ერთადმი E.—25 დასამებრსა F.—26 თითოეულს AB.—28 ერთსა <AB.—30 თვთ] თვთი F, თვისი AB.

«არამედ მხოლო კმნილ ყოველი». გესმა, ვითარმედ «მხოლო კმნილ ყოველი»? რაჲც რაჲვე მისცე საგონსა დასი მხოლოთაჲ, ვითარ ცისაჲ, ვითარ გონებისაჲ, ვითარ სულთაჲ, ვითარ ბუნებათაჲ, ესე ყოველნი მხოლონი კმნილად და ხატის ხატად ჰრაცხენ მის თვთ ბუნებით ერთისგან კიდე, რომელი და თვთ მას ერთობასაცა დაუზეს-
 5 თავედების. არამედ შემდგომთაგან ჰკადრა მას სურვილმან ერთობაჲ, ვითარ ერთ მკმნიელსა ყოვლისა სირაჲსასა. ხოლო კეთილობაჲ ვითარ მაკეთებელსა არსთა ყუაველისასა, ხოლო მამობაჲ ვითარ მიზეზსა მყოთა აობისასა. უკუეთუ «ორო», პირველი მხოლოჲ სირაჲსა
 10 არ ეგებისთა შორის დადვა. და კუალად თუ «ორთაგან ერთიო», არც ესე, რამეთუ რაჲც გან რაჲსგანცა არა პირველ, არამედ შემდგომად გ'ამოსა თვისსა.

A 55a

«ანუ სხუაჲ სხვსგან» და არ იყენენ საპირველო, თუმცა მეორე მეორისგანმცა, და იყენეს იგი პირველ, რამეთუ მოაკლდენ ორნივე
 15 პატიესა პირველობისასა. ხოლო ერთი ერთისგან ეგებისცა და ზესთ ეგების, და არა შეშლის წესსა სირაჲსა თხზულებისასა.

ხოლო თუ სხუაჲ უპირველეს მეორისა არ იგიობაჲ. ესე არს ესე, რამეთუ პირველსა და შემდგომსა შორის დიდ არს განაყოფი, ვითარ მიზეზსა და მიზეზოანსა შორისა და წარმოსა და საწარმოსა შორის.

იტყვს ვითარმედ «იყოს რაჲვე მის სირაჲსა და არ ერქუმოდის სხუა თვნიერ პირველობისა». ხედავა, თუ ვითარ განელოფი თხზვამან შუა და აღმოაჩინა, ვითარმედ არს რაჲვე თხზულისაჲ და პირველი ყოვლისა სირაჲსაჲ? ვინაჲ ესე ესრეთ მისცა სისრულესა, ვითარმედ ერთი არსო მიზეზი ყოვლისა სირაჲსაჲ, და არცა ორ, უფ-
 25 როჲს ხოლო არცა სხუაჲ სიმრავლე მიზეზ და დასაბამ, არამედ ერთი მხოლოჲ სხეულთაჲ ცაჲ, და ბუნებათაჲ ერთი ბუნებაჲ, და სულთაჲ ერთი სული, და გონებათაჲ გონებათ-დასაბამი, და ცაჲ გონებათაჲ პირველი მორთული და პირველი სისწორე, და პირველი შუენიერებაჲ ნამდვლ მყოფი. და კუალად განკარგული ზემექონეობით ყოველთაგან
 30 ერთი და უფსკრული კეთილობათაჲ ერთთა და კეთილთაჲ.

C 93

თ ა ვ ი 23

უშოქენოღსთჳს

სრულ ყო რაჲ ესე ხედავა, კუალად მოქენესა და უშოქენოსა აღსიტყუავს და იტყვს, ვითარმედ «ყოველი უშოქენოჲ წა'რმოიყუ-

C 94
A 56a

1—2 გესმა—ყოველი <DEH (ex homoioteleuto).— 4 მის თვთ] მის თჳს AB.
 --7 ერთ] ეს: D.—9 მყოთა] მყოფთა F.— 12 გამოსათჳს ABDE, გამოსა თჳსი F.
 —19 საწარმოსა შორის] წარმოსა შორის ABD.—26-27 და სულთაჲ ერთი სული <E.

ნებს თვსგნით თვსადმი მოქენეთა». ესე საცხადოდ ძეს შორის სუ-
 ლისა ძალთაჲსა და უფროჲს ხოლო ვითარ მრავალგზის დაღუქსუ-
 ლი ზემოთა შორის, ვითარმედ «ყოველი მიზეზი და უმოქენოჲ და-
 უზევედების მიზეზოანსა და მოქენესა». პირველად რამეთუ არსებასა
 მისსა წარმოაყენებს; მეორედ რომელ თვსდადვე უკუ იტრფობს და
 აკეთებს ესე მრავალსაღალადი ერთი, და მის მიერ ყოველნი მიზეზნი
 და ერთნი ერთ იქმნებიანცა და აკეთილდებიანცა.

«და ყოველნი თანმოქენენი გუამოვნებანი უმოქენოჲსა მყო-
 ფისადმი აღიცისკრებენ». გესმა სატრფოთა მათ ხედვათაჲ, რო-
 მელი ცისკრის ფერ ჰყოფს სულთა, რამეთუ გუეტყვს «აღიცისკრე-
 ბენო». მას დღესა შორის იტყვს აღიცისკრებასა, სადა არცა გრძნოთა
 ესე მემზე მზე არს მადღეებელ, და არცა სულითი ცაჲ და მზე, და
 არცა გონებითი, ვითარ ნამდვლ ნამკი და ნამდვლ მყოფი, არამედ
 ერთი და პირველი კეთილობაჲ მზე მის ერთთა და ღმერთთა დღი-
 სა, სადა ჰნატრა ყოველმან წადილმან, სადა შეირწყუა ყოველი
 სურვილი, სადა აღმართდა ყოველი მუნ მხელი, მუნ ვიდრემე ყო-
 ველთა ცისკართა აღიცისკრებაჲ, მუნ ვიდრემე ყოველთა დღეთა აღ-
 დეებაჲ. რამეთუ სამართლიეცა უწოდა ენითმან, ვითარმედ «ცის-
 კარიო», ცისა კარი, რამეთუ ვინაჲთგან ყოველი განხუმაჲ ნათელთაჲ
 ცის გამო არს; ვინაჲ სადა ნათელი დასაბამობითი, მუნ ცაჲ და-
 საბამობითი.

«რამეთუ უმოქენოხა მხოლოჲსაჲ დაუპყრიეს ადგილი და საზ-
 ღვარი, ვითარ თვსად მყოფსა და არა სხვსად». იტყვს, ვითარმედ
 უმოქენოხა მხოლოჲსაჲ დაუპყრიეს ადგილი, პირველსა და მიზეზსა
 სირაჲსასა, და თვთ უმოქენოხა შემდგომთაგან. არამედ სხუათა ყო-
 ველთა თვს-ქუეშეთა თანამიმცემსა თვსთა მყოფობათა და ძალთასა
 მხოლოჲსაჲ დაუპყრიეს ადგილი. რამეთუ ყოველი უმოქენოჲ ზესთა
 ძეს მოქენესა, და არს მხოლო მისდა მიზეზ, ვითარ ცაჲ სხუელთა,
 და სული სულთა, და გონებაჲ გონებითთა. რამეთუ წარმოშობს
 შემძლეთა მისისა ზიარებისათა; რამეთუ აღუქმსო მათსა აობასა,
 რაჲთა დაუდგმიდენ ძალთა და მოქმედებათა მის-გამოთა, და იქმნე-
 ბოდინ თვსისა მხოლოჲსა გუარ.

«ხოლო იყოს თუ უშვ, იყუდნეს თვს შორის, არ ვინაჲ ჰქონ-
 დის ჰატოხანნი». ესე არს ესე: თუ უშვ არს უნაყოფო არს; თუ
 უნაყოფო უმსგავსო პირველსა ერთსა და მეშესა ყოველთასა; რამეთუ

1 თვსდამი E, თვსდმი CDF.—9 სატრფილოთა E.—11 აცისკრებასა ABC,
 აცისკრებასა D.—14 მისი მრ D.—17 ცისკართა-ყოველთა <E (ex homoioteleuto)-
 —18-19 ცისკარი აო ABE.—19 განხუმაჲ AB.—20 ცის გამოჲ C.—23 სხვსად
 სხუად E.—25 უმოქენოჲ AB.—26 მყოფობასა AB.—ძალთაჲსა CD.—31 ძალსა F.—
 33 იყუდნეს F.—35 უნაყოფ ABCEF.

ყოველთა თუალად დღედ და პატიოსნად მსგავსებაჲ წარმოსდგომია ერთისაჲ.

«მინაჲ ყოველი მიმღები ეზიარების, ხოლო მიცემული წარმოდგა, ვითარ ზიარებულნი». ყოველი ბუნებით მზიარებელი მიიღებს ზიარებულისგან ბუნებით.

«ხოლო მიცემული წარმოდგა ვითარ ზიარებულნი». იტყვს, ვითარმედ პირველ მყოფობასა მისცემს მიზეზი მიზეზოანსა, და თვთ იგი მყოფობაჲ მიზეზოანსა ზიარებისგან აქუს. და არ ესთა თუმცა პირველ იყო და შემდგომადმცალა ეზიარებოდა; რამეთუ პირველ აობასა მისცემს და მერმე კეთილობასა, და თვთ იგი პირველიცა მყოფობაჲ კეთილ არს მიზეზისგან მიზეზოანისადმი.

A 57a

«ხოლო რომელი იყოს თვთებასა შორის თვსსა, სხუათად არა არს». ესე არს ესე: რომელი გამხოლოებულ იყოს* და მარტო თვსსა არსებასა შორის და ოდენ თვსდად შემოეცვას თვთებაჲ თვსი, არა არს იგი მიზეზ და მამყოფ სხუათად. ხოლო რომელი თვთცა ეგოს დაუესებელსა თვთებასა შორის თვსსა და სხუანი წარმო წარმოქმნეს და აღუგოს მყოფობაჲ, იგი არს მსგავს მის პირველისა ერთისა და ყოველთა მამისა.

«რათა ყოველთა უბრწყინვიდეს და არა ვითარ გათვთებულნი შორის მწყობრსა სირაჲსასა». იტყვს, რათა ყოველთა სწორებით იყოს მიზეზ მის სირაჲსათა, და ყოველთა უნათლებდეს ვითარ თვსგამოთა, ხოლო გათვთებული შორის მწყობრსა სირაჲსასა არა ყოველთად წარმოდგომილა. რამეთუ ანუ ყოველსა შორის არს, ანუ ერთებრივობასა ყოვლისასა, ანუ უპირატეს ყოველთა. სათანადო არს აწ დაქურჩეტად ჩუენგან ამის ხედვისაჲ. იტყვს, რამეთუ სამ სახედ გაიცდების აწ აქა ერთი. პირველი, ვითარ უპირატესი ყოველთაჲ; მეორე, ვითარ ყოველსა-შორისი და ყოველთადმი განწვალებული და განყოფილი; მესამედ, ვითარ თითოეულისა რიცხვსა თვსსა წესსა დამკველი და თვთებასა მათ შორის განცილილი, ვითარ სამობასა, ორობასა, ექუსობასა, შვდობასა და ოდენ მის რიცხუებრივისა მხოლოჲსა რომლისადაცა იყოს. აწ იხილე, რამეთუ ყოველთადმი განყოფილი და განწვალებული ერთი ვერ შემოჰყარის და შეაერთებს ყოველსა ნათხზსა სირაჲსასა, ამით რომელ თვთ კატეკერმატის ქმნითა და განყოფილ ყოველთადმი, ხოლო განყოფილი ყოველთადმი და მრავალთა მიმართ და-

C 96

A 57b

8 მიზეზოანთა F.—9 შემდგომცალა EFH.—10 კეთილობასა] კეთილ აობასა codd.—11 და მიზეზისგან AB.—21 სირაჲთა E, სისაჲსათა A.—[ვითარ] ვითარცა F.—22-23 ყოველთა F.—24 ყოვლისასა < ABD.—25 ამის] არს E.—28 ვითარ < D.—29 თვთებასა] თვთებულსა D.—33 კატეკერმატის AB.—34 ხოლო განყოფილი ყოველთადმი ხოლო განყოფილ და მრავალთა CDEF, ხოლო განყოფილი და ყოველთა მიმართ H.

* უკისხვანლო ღარი სტრაქონის გასწვრივ ანჲსაჲ წყაროჲ: შეისწავე წა სამბისთვის A.

ფანჯული ვერცა თვთ თავისა თვისისა კმა არს შეკრებად და ერთ
 კმნად, და ვერცა სხუათა უფროას ხოლო; და კუალად ვერცა რას
 თვთთა ერთი შეუძლებს შეკრებად და ერთ კმნად ყოვლობასა სი-
 რაჲსასა. რამეთუ გათვთებული ოდენ არს და მის ერთისა რომლი-
 8 სადცა იყოს, ვითარ ექუსისა, შვდისა და სხვსა რომლისავე რიცხვსა.
 ვინაჲ ესეცა იჩუნება, რომელ ვერ უძლებს ერთ კმნად ნაქუსსა სირაჲ-
 სასა. რომლისათვისცა სათანადო არს, რაჲთა ყოველთა უპირატესი
 ერთი და ზესთაჲ ყოველთაჲ იყოს მაერთებელ და ერთმკმნელ ყოველ-
 10 რისცა გებად მოუკლებელად და სხუათაცა წარმოჩინებად, და არცა
 წარმოყენებულთა შორის აღრევეად თვისთა ზემექონებოთა, და არცა
 თვის შორის შეიწრებად და შერევეად თვთებასა გუართასა, და არცა C 97
 ვითარ განწვალებულად ქონებად. ხოლო აწ იხილე, რამეთუ ესე ოდენ
 შეუძლებს ერთ კმნად ყოველსა ნათხზსა სირაჲსასა, რამეთუ ერთ იქმს
 18 ყოველთა და მიუვლენს ყოველსა ნათხზსა სირაჲსასა გაერთებასა, და
 შემოჰკრებს განწვალებულთა, და ერთ იქმს ყოველსა, რომელი სხუათა
 ერთთა ვერ უძლეს, ვითარ განმრავლებულმან ერთმან, და ვითარ A 58a
 გათვთებულმან ერთმან, ვითარ რომლისამე მხოლოჲსამან, არამედ მან
 ზესთამან ერთმან ყოვლისა სირაჲსამან სიმრავლე ერთ ყო და თვთე-
 20 ბანი რიცხუთანი აერთნა.

თ ა ვ ი 24

მიზეზი, მიზეზოანი, უმიზეზოჲ

ვინაჲთვან ამას ზემოსა თავსა შორის სამად გაყო ერთი, და
 ორნი ერთნი მის ზესთაჲსა ერთისგან წარმოაყენნა, და თვთ ზესთაჲ
 28 სირაჲ ერთი ზესთ დადვა. ხოლო აწ ამას თავსა შორის სამად გაჰ-
 ყოფს მიზეზსა და მიზეზოანსა და უმიზეზოსა: და მიზეზად იტყვეს A 58b
 ძალსა და მოქმედებასა შემოქმედებითსა, რომელი არს მიზეზ; ხოლო C 98
 მიზეზოანად მის მოქმედებისაგან წარმოყენებულსა არსებასა; ხოლო
 30 უმიზეზოდ თვთ პირველსა და უზიარებელსა. არამედ შენ რაჲ უზიარ-
 ებელი გესმეს, ნუ შემდგომთაგან ჰგონებ უზიარებელად, რამეთუ
 ესე მის უოცნოჲსა ოდენ ერთისაჲ არს თვთებაჲ, რომელი ზესთა ძეს
 ყოველთა ერთთა. ხოლო ესე აქა უზიარებელი ერთად გაიგონე, ვი-
 თარ თავი ნათხზისაჲ, რომელი სხუათა ყოველთა წარმოაყენებს თვის-

2 უფროას ხოლო უფროჲ სხუაჲ EFH.—3 თვთთა ABCDEF.—ყოვლობასა
 წყლობასა A, წყობასა B (აქც ლ უაჲლი და აუჲსკჲით).—6 უძლეს AB.—9 ერთთაისა
 A, ერთთაისა B, ერთისა CEH (C-ჲ- ეოჲლე ჰკოჲ თ და აუჲსკჲით), ერთისა F.—10
 სხუათაცა წარმოჩინებად და <E.—12 შეიწრებად) შეიწრებულთა AB.—17—19
 და ვითარ—ზესთამან <D (ex homoioteleuto).—26 და მიზეზად მიზეზად F.

ქუეშეთა მას სირასა შორის. ხოლო თვთ აღარაჲ ჰქონდის თვს წი-
ნაჲთ სხუაჲ მას ნათხზსა შორის. ვინაჲცა ერქუმის მას უზიარებელი,
ვითარმედ უპირველო. ხოლო ყოველსა მიზეზოანსა მიზეზი უზესთავს,
და ყოველსა მიზეზსა უმიზეზოჲ.

3 ძულადცა განემართოთ. იტყვს მიზეზოვნად წარმოყენებულსა
გუამოვნებასა; ხოლო მიზეზად მათ მისდა მიცემულთა ძალთაცა და
მოქმედებათა არსებასავე თანა; ხოლო უმიზეზოდ თვთ მას მიზეზსა
მიმცემთასა.

10 შეისწავე, ვითარმედ, გესმენ რაჲ ძალნი და მოქმედებანი, რო-
მელ არიან მიზეზნი, ნუ ვითარ უარსებოთა ძალთა და მოქმედებათა
ჰრაცხე და ჰგონებ, ვითარ მოკუდავთასა; რამეთუ უკუდავთა მოქმედ-
ბაჲ და ძალი უკუდავ და სამარადისო არს და სამარადმყოსა თან-
გაზიდულ, და დაუბერებელ ყუაიელი უსხეულოთა მოქმედებისაჲ და
არსება მოქმედებაცა მათისა არსებისაჲ. რამეთუ არა თუ | დაეიწყე- A 59a
15 ბისგან აღდგების, და არცა უსრულობისგან მოვა სრულებად, და
არცა ნაკუეთისგან სხუად ნაკუეთად, ვითარ ცისა სხეულთა ზედა,
არამედ მუნ არცა მიდრეკაჲ ჟამსა თანა შეკრული და არცა პირ-
ველი, აწითი და შემდგომითი. რამეთუ ესე ყოველი ესვითაჲ სხე-
ულთა და სხუად შეცვალებად და არა იგივეობასა შორის დამსჭუალულ-
20 თაჲ. ხოლო რომელთა აობაჲ სამარადისო არს, მათი ძალი მოქ-
მედება არს, და მოქმედებაჲ ძალ და მიზეზ ყოველთა სირაჲს-შო- C 99
რისთა მიზეზოანთა. და გაქუს სამი, ვითა ითქუა: მიზეზოანი, მიზეზი
და უმიზეზოჲ. ხოლო მიზეზოანსა მიზეზი ზესთა არს, და კუალად
მიზეზსა უმიზეზოჲ, ამით რომელ მიზეზი მიზეზოანსა შორის განიც-
25 დების, ვისდაცა იყოს მიზეზ, და მიზეზოანი მიზეზსა შორის, ვითარ-
ცა მიმართნი, თანშეკრულ ურთიერთობით. ხოლო უმიზეზოჲ ზესთა
ძეს ამათ ყოველთა, და ითქუმის იგი უმიზეზოდ მიზეზად თვისისა სირაჲ-
სად, ვითარცა ხატი ყოველთა უმიზეზოდ მიზეზისაჲ. ხოლო უმიზეზოდ
მიზეზობაჲ უზიარებლობასა შორის განიცდების. რამეთუ დაღათუ
30 წარმოაარსებს ერთი სიმრავლესა მყოფთასა, არამედ თანაღურვე-
ლად დაიცავს თვსსა მეზეობასა. ვინაჲ მისდავე საბაძავედ ყოველნივე
ხატნი და ხატის ხატნი ვიდრე გაკერპოვნებულისა არსებისადმი.

მინაჲ მოიღე და სახეთაცა ზედა სიცხადე აღმოსაჩენთაჲ. არს
უკუე ცხოველთა მოკუდავთა ანაგები ოთხთა ასოთა მიერ, რომელ A 59b
35 არიან კავშირნი ოთხნი. ესე თან მისცემენ თვსთა რომელობათა ყო-
ველთა მათგან დაკავშირებულთა და აღგებულთა, რამეთუ არიან
ცხოველთა შორის ოთხთა ასოთა კავშირნი, ვითარ ცეცხლი, ქუე-

9 გესმენს F.—10 ვითარ] ვითა CI: H.—11 ჰრაცხე CEF.—12 არს <CDF.—
20 აობაჲ] თბაჲ F.—22 ვითა ითქუა] ვით აღთქუა E: H.—29 მიზეზობაჲ] მიზეზისა
AB.—უზიარებლობასა] უზიარებელთა AB.—31 მეზეობასა D, მიზეზობასა H.

ყანაჲ, აირი და წყალი. აწ ესე მიზეზად იპყრენ ოთხნი ასონი ცხოველთად, ხოლო მათგან თანმინაცემნი რომელობანი მიზეზოანად. და კუალად სიტყუაჲ დამბადებლობითი და ცაჲ უმიზეზოდ მიზეზად. ვინაჲ აწ იხილე დამკურეტმან, რამეთუ ცხოველთ-შორისთა რომელობათა ოთხნი კავშირნი უზესთაეს, მით რომელ მიზეზ ცხოველთა და მათ შორის რომელობათა. ხოლო კუალად ამათ ოთხთა კავშირთა სიტყუაჲ დამბადებლობითი და ცაჲ უზესთაეს, და უმიზეზო მიზეზ ყოველთა აგებულთა.

«ხოლო თანზიარებული ერთისა რომლისადვე არს და არა ყოველთა წარმოდგომილ». ესე არს ესე, ვითარმედ ნაწილებით ზიარებული რაჲსადვე ერთისადა დაცილებულა, და არს უდარეს ყოველთა პირველისა მიზეზისადმი. რამეთუ ყოველთა უპირატესი მიზეზი ყოველთადა სწორებით წარმოდგომილ არს. ხოლო ერთი მისდა ოდენ რომლისად იყოს, ვითარ ნაწილებით ნაწილებითისადმი. «და რამეთუ რომელიმე ყოველთა მიზეზისადმი უთვსეს, ხოლო რომელიმე დამხე და უშორესრე თვს». ესე არს ესე, რამეთუ ყოველნი საყოველთაონი ბუნებანი და მიზეზი უფრო ხატ და უმახლობელეს ყოველთა მიზეზისა, და ვითარცა უმრავლესთა მიზეზ წარმოჩენასა შორის და, რაჲზომითა შორს გამწუთომ შემოკმედებითსა ბადეასა შორის, ეგ-ზომ უთვსეს ყოველთა მიზეზისა. მოილე სახედ, რამეთუ ყოველთა სხეულენათა ცაჲ უფრო საყოველთაო და უთვსეს ყოველთა უპირატესისა მიზეზისა; და კუალად ამას სხეულენასა ცასა ცაჲ სულითი; და კუალად სულითსა ცასა ცაჲ გონებათაჲ. რომელ არს ნამდვლ მყოფი. ვინაჲ ესე უმეტეს მსგაეს ყოველთა მიზეზისა. ვითარ უმეტეს მიზეზი ყოველთა მყოფ წოდებულთაჲსა და უმახლობელესი პირველსა არსთა წყაროსა.

«მითარ რაჲ შემოკლებულად იყოს საჩინო, არს უყუე ერთი პირველი მრავალთაჲ, და კუალად სხუაჲ ერთი ზიარებული შორის მრავალთა, ერთბამად ერთი და არ ერთი». რომელი მითესულა და განწვალებულ შორის მრავალთა. «ხოლო თანზიარებულნი არ ერთ და არა ერთ». გესმა აწ კუალად. და შესწაევებით უწყოდე, ვითარმედ სამსახე არს ხედვაჲ ერთისაჲ, ვითარ ზესთაჲსა პირველისა, რომელი ზესთა ძეს ყოველსა გასაზიდსა რიცხუთასა, და არცა რას ეზიარების პირველ თვსსა, და არცა რას იზიარებს შემდგომად თვსსა, რაჲთამცა

1 წყალნი ABDEFH.—იპყრობენ E.—5—6 ოთხნი—რომელობათა <D (α homoioteleuto).—9 ერთისად D.—11 რაჲსადვე D.—ერთისადა) ერთისა AB.—14 იყოს| იყო იყოს D.—19 შორს| შს D.—განწუთომ (JEFH, გამწუთომ D.—19-20 ეგვზომ C.—29 მითვისლა და განწესებულ E.—30-31 არა ერთ| ერთ D.—31 უწყოდე| უწოდე AB.—33 ყოველთა D.—ეზიარების ეზიარების E, ეზიარების ეზიარების DF.

განიწვალა მათდამი. და კუალად არს სხუაჲ ერთი ხილული შორის სიმრავლესა და თანგანწვალებული სიმრავლესავე თანა. და კუალად სხუაჲ ერთი თითოეულსა ოდენ თვთებასა შორის იხილევების. რომელთა ამათ შესატყვ სახელი|ერქუმის: პირველსა ზესთაჲ მრავალ-
 5 თაჲ, ხოლო მეორესა შორის მრავალთაჲ, ხოლო მესამესა ერთი თვთებასა. შორის გუარათასა. რომელნი პირველმან კმამან ზესთ ერთისამან გასაზიღსა შორის სამარადმყოფსასა დამსკუალნა.

A 60b
C 10b

თ ა ვ ი 25

ს რ უ ლ ი ს ა თ ვ ს

10 სრულ მყოფმან ფრიად ღრიფოჲსა თავისამან აწ ამას ზედ უზედაებს, ვითარმედ «ყოველი სრული აღდგომადი იწარმოებს, რომელთაჲ უძლოს წარმოყენებად». გესმა; ვითარმედ ყოველი სრული, არს თუ სრულ, მყის თან წარმოიყენებს თვს ქუეშე თვს-გამოსა ნაშეთა სირასა, და მისცემს თვისსა თვთებისაგან, რამეთუ ჰბაძაგს ზესთასა
 15 მას სრულებითა. რამეთუ ყოველი უშვი უსრულ არს; ხოლო ყოველი უსრული, რაოდენ იყოს უსრულ, უმსგავსო არს მის ზესთ სრულისა. და კუალად რაოდენ შორს მგზავებელ თვსთა მეშვეობათა, ეგე ოდენ მსგავს მის უმსგავსისა.

«რამეთუ ვითარ იგი კეთილობისა თვისისა, ყოველთა არს
 20 შაიპოსტასებელი მყოფთაჲ». აწ აქა ათა აღქმნისა მიზეზად კეთილობასა იტყვს ყოველთა მხედისა ღმრთისათა. ესე სიტყუაჲ «ტიმეოსს» შინა ფილოსოფოსმან დადგა ყოველთა მხედისაგან არსთა წარმოობისათვს. ეძიებს, თუ რამან აღძრაო მყოფთა წარმოქმნად, რომელი ზესთა ძეს ყოველსა იძულებასა ბუნებისასა და ანანქსა, და
 25 ჰპოებს მას ზერრე ყოველთა ზესთათა. ვინაჲ მიზეზად და საშუალ ვითარ შესაქმედ მბადისგან ნაბადთადმო კეთილობასა დასდებს, რამეთუ იტყვს, ვითარმედ ვითარ ფეშხუე გარდაეცაო ზესთ სრული, რაჲთა სხუანიცა ყვენეს მოზიარე თვსთა კეთილობათა; რამეთუ კეთილობაჲ შურთაგან თავისუფალ და უძალობისგან დაუყენებელ, რამე-
 30 თუ ზესთ ძალთაჲსა არს.

A 61b

«რამეთუ ერთ და იგივეობა კეთილი და ერთი, ვითარ და კეთილგუარობაჲ ერთებრიობისად იგივეობა». ესე ფრიადთა შორის დაილექსა ჩუენ მიერ, ვითარმედ ერთ და იგივე კეთილობაჲ და

4 პირველ E.—6-7 ერთისამან C (ხოლო დამოკიდებულია აქვს ამ სიტყვაზე პითაგორას: ერთისამან).—10 ამას ზედ|ამაზედ E.—11 აღდგომადი| აღმოშობადი P გვ. 22, რ.—15 უსრული codd.—20 შაიპოსტასებელი| მაგუმოვენებელი P გვ. 22, რ.—აქა ათა| აქათა ABCEF.—24-25 და ჰპოებს| რ ჰპოებს AB.—26 შესაქმედ| საქმედ F.—30 ზესთა E.—32 ერთებრივებისად AB.—33 დალექსა DE.—ერთი A.

ერთი, და, სადაცა მითესულა ყუავილი კეთილობისაჲ, მუნცა და ნა- C 103
 თელი ერთისაჲ, რამეთუ არ ეგების კეთილობაჲ თვნიერ ერთისა და
 ერთი თვნიერ კეთილობისა. და კეთილგუარობაჲ ერთებრიობისად
 იგივეობა. გუარი რაჲ თქუა, იტყვს ერთსა, რამეთუ მის ერთისა
 5 მიერ გათვთლებიან და იციან თვთებანი გუართანი. ვინაჲ ერთ
 ბუნებაჲ თითოეულთაჲ და ერთ გუარი და არსებაჲ ყოველთა შორის
 მითესული და განზიდული ვიდრე და მის უმორფოასა ნივთისამდინ.

|«ნაწილ ვიდრემე კეთილისა არს სრული». გესმა, რამეთუ A 62a
 სრული ოდენ ნაწილ არს კეთილობისა, ხოლო კეთილობაჲ ზესთა
 10 ძეს სრულებასა, ვითარ და ნაწილობასა, რამეთუ სრული გასრულე-
 ბულსა ჰრქვან და უნაკლულოსა, ხოლო კეთილობაჲ ზესთ ძეს გას-
 რულებასა, ამით რომელ ყოველსა გასრულებულსა სხუაჲ უკმს პირ-
 ველ თვსსა მასრული, ხოლო კეთილობასა არლარაჲ მოუგიეს უპი-
 რატესი თვსსა სხუაჲ. ზესთ უკუე კეთილობაჲ სრულებასა, ვითარ
 15 მასრული გასრულებულსა.

ხოლო «უსრულესი უმეტეს მზიარებელ კეთილობასა». გესმა,
 რამეთუ უსრულესი უფრო ეძეგლების კეთილობასა, ვითარ ნაშკი იგი
 გუართა ზესთ გონიერთაჲ ნამდვლ მყოფსა შორის. რამეთუ უსრუ-
 20 ლესი მყოფთა შორის უმეტ-ხატ არს ყოველთა მიზეზისა, უმეტეს
 ამკობს და განზიდაეს ნათელსა თვსთა მოქმედებათასა, ვითარ ნამდვლ
 მყოფი საუკუნოასა და ცხოველობისასა; ხოლო იგინი ყოველთა გო-
 ნიერთა არსებათასა; ხოლო გონიერი არსი სულისასა; ხოლო სული
 სულთასა და სულნი ციერისა მოქმედებისასა; ხოლო ცაჲ ოთხთა
 ასოთასა; ხოლო ოთხნი ასონი ყოველთა ქმნასა და ხრწნასა შორის
 25 მყოფთასა. და ესრეთ შესაბამად არსებათაჲსა უხატებენ და უძეგ-
 ლებენ ყოველთა სწორებით განკარგულსა მზესა ერთთასა. და კუა-
 ლად რაოდენ იყოს უდარეს, და უშორესცა; და რაოდენ უშორეს,
 უუქმეს; და რაოდენ უუქმეს, უმსგავსო; და რაოდენ უმსგავსო, უმე- C 104
 30 უცხო ყოველთა მხედისა. A 62b
 ტეს განწილებულ, ეგოდენ დაკლებულ მოქმედებითისა ძალისგან, და

«ვინაჲ ამისგან საცნაურ, რამეთუ უშორიელესი ყოველთა
 მბადისა უმეშვო არს და არ ვისდა მიზეზ». ამას უსახოსა ნივთსა
 იტყვს, რომელ არს უშე და უქმ, და ყოველთა გუართაგან მოკლე-
 ბულ, და ვითარცა იტყვს ფილოსოფოსი კუალსა გუართასა აღებად
 მის შორის.

4 ერთსა] ერთისა EH.—7 ნივთისადმი E.—10 ნაწილებასა D.—11 ჰრქვან A,
 ჰრქვან D.—14-15 გასრულსა AB.—17 უფროს E.—ეძეგლეების ABCE.—27 უდა-
 რესი D.—28 უუქმეს] უუქმემოეს B (არაჲ აგვას).—და რაოდენ უმსგავსო <D
 (ex homoioteleu).—29 განაწილებულ C, განაწილებული BDFH.

თ ა შ ი 26

წარმომართსებელისა მიზევისათჳს

«მოველი წარმომართსებელი მიზევი სხუათაჳ ჰგიეს იგი მიუდრეკელად თჳს შორის და წარმომართსებს შემდგომსა თჳსსა და შემდგომისა შემდგომთა». ესე ესთანი გაგონებანი ოდენ ენებად შეისწავენ მაუკუდაცებელად, თუ ვითარ წარმოიქმს ანაქუსსა არსთასა, და ჰგიეს იგი მიუდრეკელად. გაკსოვსა, რამეთუ პირველთა შორის ერთი იგი ზესთა დადვა და მიუდრეკელობასა(ა? იუწყე, რომელ ყოველი გონებითი და გონიერი არსი მიუდრეკელად მოქმედებს თჳსთა საქმითა, ხოლო მიუდრეკელად მოქმედებაჲ ვერცა სულისა არსებასა შორის ჰპორ და უფროჲსა ვერცა ცისასა. რამეთუ პირველ თვთ მიდრკების სული და სხუაჲ მის ქუეშე ყოველი, და ეგრეთლა მისდრეკს მიდრეკადსა. ხოლო გონებაჲ მიუდრეკელად მიდრკების. აჲ ისმინე, რაჲთა ესეცა სამღდელოჲ საიდუმლოჲ გეუწყოს. რაჲ არს თუ სული მიდრკების თჳსთა მოქმედებათა შორის, ხოლო გონებაჲ არა? ისმინე, რამეთუ სული სხუად და სხუად მოვა ცვალებად: უქმობისგან მოქმედებად და მოქმედებისგან უქმობად; და კუალად მოქმედებათა(ა სცვალებს | სხუად მოქმედებად; და კუალად თვთ მას და ერთსა მოქმედებასა ოდესმე დაიკვირებს და წარებატების მას შორის, ხოლო ოდესმე დაიმრუმებს და მოაკლებს გარდაცემისგან მოქმედებათაჲსა, ვითარ იტყჳს სოკრატე მზე ხედვისაჲ, რამეთუ სული ოდეს იყო თჳსსა მამასა შორის კრონოსს, იყო უხუედრ მისდა, რასტონინ, ავტარკეს და იკანონ. ხოლო ოდეს განსაზიდსა თანა გონიერისა ცისასა, ვითარ ბრუ-დართულ იქმნა და ვითარ ფრთა-დაყრილ მიკი-ლებისგან, მაშინ შთამოიქრა უბეთაგან კრონოჲსთა და ვიდრე ქმნადთა და შობათამდე შთამოეკუეთა. ვინაჲ წყმიდნა მან სამნი იგი ნეტარებითნი წყარონი. და ესე სხუად და სხუად მიქმნისათჳს სულთაჲსა, რომელ არს მიდრეკაჲ. ხოლო კრონოს, რომელ არს სისავსე გონებისაჲ ანუ სინაძღრე, რამეთუ ყოველი მაძღარი სავსე; და დია, რომელ არს ზევს; «დია» მიერსა ერქუმის, რამეთუ მის მიერ ყოველი. ხოლო ზევს დულილსა და გარდამოსაქანსა ცხორებისასა. და კუალად რეა დედასა მდედრთა ძალისასა. ესე სამნი გონიერსა აღმკულსა შორის გამოჩნდეს დასასრულსა ყოველთა გონებათა და გონიერთასა, ხატად და ხატის ხატად ნამდვლ მყოფისა, რომელი არს უძრავი და მიუდრეკელი იგავი შემდგომთაჲ და ხატი ყოველთა ზესთ მექონისა

C 105

A 63b

C 106

3-4 მიუდრეკელად] მოუკლებელად P გვ. 22, 30.—6 მაუკუდაცებელად] და უკუდაცებელად AF.—8 ყოველი] იგი AB.—9 საქმითა H.—14 სამღდელოჲ CEFH. 27 სხუად და სხუად და სხუად CDEH.—30 დია მიერსა] და მიერსა ABD.—31 —გარდამოსაქანსა —32 რეა] არეა F.—33 გონებათა] გონიერებათა E.

ერთისაჲ. ამას ყოველსა აღნამკსა შორის გონებათა და გონიერთასა მოქმედებაჲ მიუდრეკ და იგივეობა და უძრავ და უბერებელ არს, ნიადაგ ყმდების, ნიადაგ ყუავილდების, ნიადაგ აასფოდელყოვდების, A 64a
 სადა არცა ჟამი სძლვს და არცა კუალი მიდრეკისაჲ. ესე აწ, ოჲ
 5 განმგონეო, გიფილოტიმიე.

«ბრამედ ერთი მიუდრეკელად წარმოაყენებს, და თუ ესეცა მიდრეკისა მიერ, იყოს მის შორის მიდრეკაჲ და მიდრეკილი». გეს-
 მა, რამეთუ სადაცა მიდრეკაჲ და მიუდრეკელი, ერთსა და მასვე
 შორის არ იყოს მარტივ და არცა ერთ; რამეთუ გაორდების და
 10 დასცილდების პატივსა ერთობისასა და მოქმედებასა, ვითარ ვიტ-
 ყოდე სულისათვს, რამეთუ თვთმომდრეკად აღმოაჩინა სიტყუამან; ხო-
 ლო ყოველი თვთმომდრეკი, დალათუ თვთმომდრეკ არს და თვთ ცხო-
 რება, არამედ დაკლებულ მიუდრეკელთა სიმარტივისგან და გამრ-
 ჩობლებულ, რამეთუ თვს შორის მოაქუს ორივე, მიმდრეკობაჲცა და
 15 მიდრეკადობაჲცა, და არა არს ერთ. არამედ ჯერ არს, რაჲთა ეპოოთ
 მიუდრეკელად მიმდრეკი. ესე არს ესე, ვითარმედ მიუდრეკელად
 მოქმედი თვსთა მოქმედებათა, რომელ არს პირველი არსებაჲ ნამდვლ
 არსი და ნამდვლ მყოფი.

«რამეთუ ყოველი წარმომაარსებელი ჰბაძავს მას ერთსა ყო-
 20 ველთა წარმოყენებისა მიზეზსა». ითქუა, ვითარმედ ყოველი
 რაჲზომვე მოქენე თვს შორის ძალსა და მოქმედებასა ჰბაძავს და
 ეხატვის ყოველთა წარმომაყენებელსა მიზეზსა, რომელიმე უსხეულოდ
 და ზესთ წმიდად, ხოლო რომელიმე გასხეულებულად და გაკერ- A 64b
 პოვნებულად, შესაბამად არსებათაჲსა: რომელიმე იგავებრიე და
 25 უთვსესად, ხოლო რომელიმე ხატებრიე და გაგუარებულად.

«რამეთუ ყოველგან პირველისგან არა პირველი». გესმეს რაჲ,
 ვითარმედ პირველისა არა პირველი, თვთ თვსგან გაგიცხადებს თვსსა C 107
 სათარგმანოსა. რამეთუ სადაცა გან და გამოჲ, მუნცა შემდგომსა დაძნიშ-
 ნავს, ვის გამოცა და განცა იყოს. ხოლო ყოველი განი და გამოჲ არა პირ-
 30 ველი. და ყოველი წარმომაყენებელი თვს გამო წარმოაყენებს წარმოყე-
 ნებულთა. ვინაჲ მოუკლებელად ეგნენ წარმომყენებელნი. ესე ხედვაჲ
 იტყვს ამას: პირველ, თუ რაჲ არს თვს-გამოჲ, ესე იგი არს, ვითარ-
 მედ არ ზედშემოსრულად, ვითარ შენამთხვ, არამედ თვსისა თვთე-
 ბისგან, თვსისა რომელობისგან, თვსისა იგავისგან, თვსდა მეორედ
 35 თვთებად, თვსდა ხატად წარმოიქმს ყოველი წარმომქმნელი ყოველსა
 თვსგნით წარმოქმნილსა, ვითარ მიზეზი მიზეზოანსა.

4 ჟამი <F.—ოჲ> § H, ოჲ D, ოისა AB, უფალო E, უფლისა F. — 5 გაიფილო-
 ტიმიე F.—8 მიდრეკაჲ მიმდრეკ AB (A-პი ყოყაჲ მიდრეკაჲ, ჰერე ჰუსწოჲჲჲჲჲ). —
 11 თვთმომდრეკად ABDEF.—13-14 გამრჩობლებით E.—15 ერთი ერ ABDEF.—28
 სათარგმნოსა DF, სათარგმნოსა A.—31 წარმომაყენებელნი E.—35 წარმოიქს
 AB.—წარმომქნელი ABCDEH.—36 წარმოქნილსა ABCDE.

ხოლო «რაჯზომვე მოკლებული ვერ უძლებს გებად იგივეობასა ზედა თვისსა». ესე არს ესე, ვითარმედ რაჯცა რაჯვე იპოოს შერყევად თვთებასა მიზეზთა და წარმომაყენთასა, არცა მათ მიერ წარმოყენილი იყვნენ მტკიცე, რამეთუ შეიძრას რაჯ დასაბამი, უმყისეს გამოა დასაბამისგან. რამეთუ ყოველი მიდრეკადთა მიზეზთაგან წარმონაქუსი მიდრეკადი არს და ხრწნადი, ვითარ ესე მნათთა დებითსა ნაკუეთთა ზედა განვიციდით, რამეთუ რაჯც რაჯვე აღქმნეს ზევს და მზემან ესთა დებითა ნაკუეთისაჲთა, იგი დაშალა არის და აპოლოჯს ესთა დებამან, და თვთ მანვე სხუად ნაკუეთად თან-შეცვალებამან. ხოლო ესე შესწავებით იყოს აღნიშნულ, რომელ ყოველი მიუდრეკელთა მიზეზთა წარმონაქმი, მიუდრეკელ და სამარადისო არს. ხოლო ყოველი მიდრეკადთაგან, დალათუ თვთ სამარადისო იყვნენ, არამედ მიდრეკაჲ მათი ჟამითი და ადგილითი არს, და წარმონაარსიცა მათი ხრწნადი და მიდრეკადი არს.

A 65a

16

თ ა ვ ი 27

ამათ თაეთა შორის ფრიად სახაროთა გულსახუმოთა ჯერ არს შესწავებაჲ მეტყუელისაჲ ესთა, ვითარმედ «შოველი წარმომაყენებელი სრულებისა მიერ დაზესთაებითა ძალისაჲთა წარმომაყენებელი არს შემდგომთაჲ». გეტყვს აქა, ვითარმედ ყოველი წარმომაყენებელი თვს გამო სხუასა არსებასა უქცევ და მიუდრეკელ არსო, და მოუკლებელ თვისსა თვთებისგან, მეზესთისა მიერ ძალისა დაზესთაებული, და მგები მიუდრეკელად აობასა ზედა თვისსა. ხოლო თუ რაჯზომვე მოაკლდეს ძალსა წარმომაყენებელისასა, ვერ უძლოს დაცვაჲ თვისისა მყოფობისაჲ უქცეველად, არამედ იქცეს, და თუ იქცეს არლა დაიცივას თვისი იგივეობაჲ. ხოლო ყოველი გამყენე თვისისა იგივეობისაგან, ხრწნილ, პირველ ხრწნისა ქცეულ, ხოლო ქცეული გამგდე პირველ თვისისა აობისაჲ მოკლებისგან ძალისა. ხოლო მგე თვთებასა ზედა თვისსა მოუკლებელ და უქნო ძალისა და მოქმედებისგან. რომელი ესე თვს ეყვის დაუბერებელთა და უსხეულოთა გუართა, საუკუნეობისათვს იგივეობათაჲსა, და უზადოობისათვს არსებათაჲსა; რამეთუ არა თუ ნივთი დაიპყრობს მათ შორის, რომელი არს მიზეზ ხრწნისა და ქცევისა, რომლისათვს იტყვს სოკრატე, ვითარმედ «ნიადაგ მესხუაესა მდედრსა ჰგავსო ნივთი». რამეთუ, ვი-

C 109

A 66a

80

1-2 იგივეობასა EFH (D-ის ე-ჟო-ი იგივეობასა, ჰე-დე ე-ჟუ-ჟი-ი). — 2 იპოოს] იყოოას A, იიყოოას B. — 6 წარმონაქვს AF, წარმონაქვის DE. — 8 დაშალა] დაბალა. E. — 10 შესწავებით] შეცვალებით B. — 10-11 ყოველი] ესე AB. — 12 ხოლო] რ' E. — 16 ამათ თაესა E, ამას თაესა. — ფრიადთა C. — ჯერ არს] ჯერარ D. — 20 სხუასა] სხვსა AB. — 21 მეზესთისა D. — 26 ხრწნილ H. — 29 თვთ H.

თარ რაჲ ეპყრას რაჲვე გუართა აპორრკაჲ, ჰმეცადინოჲს სიელ-
 ტოლად და განგდებად მას, და ზედ მოქმნად და შემოხდად სხუასა, და
 ესრეთ სხვთი სხუად ცვალებად დაუცხრომელად უმდგომომობისათჳს
 თჳსისა მიყუართადმი თჳსთა. ხოლო ვინაჲთგან ნივთი ცის-შორისი
 5 დაიპყრაო ძალმან საზესთაომან და ზეცისმან, და გაუბუნებდა მას
 ხუედრი უკუდავთაჲ, ყო იგი ხატ და აღალმა ცისა გონიერისა,
 და დაასხნა მის შორის სიტყუამან ზესთა არსთამან გუარნი გონი-
 ერთანი, საალალმოდ გაძეგლებულნი. რამეთუ ვითარ იგი ეტყჳს
 ყოველთა მზადისა გამო მორთულებასა ვარსკულაეთასა, თქუენ უკუე
 10 ჰბადევედით ძალსა ჩემსა, აღიქმოდეთ ცხოველთა და ნერგთა ზრდიდით
 და აღორძინებდით, და კულად მოკლებულთა შეიწყნარებდით. ესრეთ
 უკუე იტყჳს ვარსკულაეთადმი დამბადებელისა მიერ და უკუდავ 'ჰყოფს. A 66b
 და უქცევ რომელობითა გუართაჲთა, და მათ შორის დასდებს სიტყუა-
 სა არსებითსა ყოველთა მეკუდოთა და მედინთა ბუნებისასა.

15 «რამეთუ არა თუ განწვალებაჲ არს წარმომარსებელისაჲ
 წარმოარსებულთაგან, რამეთუ არ შეერაბამების ესე ბუნებითსა C 110
 ქმნასა და არცა ქმნისა დასაბამთა მიზეზთა». გესმა, ვითარმედ არა
 არს განწვალებაჲ ანუ განყოფაჲ უსხეულოთა მიზეზთაჲ მიზეზოან-
 თაგან, რაჲთამცა განიყოფოდეს და განიქრებოდეს ურთიერთობისგან,
 20 რამეთუ ყოველი უსხეული მიზეზი ყოველსა მიზეზოანსა შორის, და
 ყოველი მიზეზოანი მიზეზსა შორის. არამედ მიზეზსა შორის ესთა,
 ვითარ ნაწილი ყოვლობასა შორის, ანუ გუარისა, ანუ ტომისასა;
 ხოლო მიზეზი მიზეზოანსა შორის ესთა, ვითარ საყოველთაოჲ ნა-
 წილსა შორის: რამეთუ კაცსა შორის ყოვლობაჲ კაცისაჲ, და ცხო-
 25 ველსა შორის ნაწილებითსა ყოვლობაჲ ცხოველისაჲ; არამედ ვერ
 მიითუალავს საზღვართა მიზეზთასა რაჲვე მიზეზოანი ნაწილებობი-
 სათჳს გუარისა. არამედ რამეთუ ყოველსა მიზეზსა მიზეზოანისადმი
 ყოვლობითი დაუპყრიეს ადგილი, მაგრა არ განიქრების, არცა განე-
 ყოდვის უსხეულობისათჳს გუარისა. რამეთუ ყოველი განყოფადი და
 30 განქრადი ადგილსა შორის, ხოლო ყოველი ადგილის-შორისი შეცვეულ
 ადვილისაგანვე, ხოლო ყოველი შეცვეული გუჲსა შორის განნაკუე-
 თებულსა, ხოლო ყოველი განნაკუეთებული განსაზიდას მიერ სამთა და
 ფერთა, ხოლო ყოველი ამათ მიერ შეცვეული სხეულ და შეცვეულ ადგილსა A 67a
 შორის; და სადა მიზეზი, მუნაჲსა ადგილისგან დაკლებულ მიზეზოანი.

35 ვინაჲ ყოველი ესრეთ მიზეზი მოაკლდების, და იქცევის, და იხრწნების
 1 აპორრგვა AB, აპორვა F.—ჰმეცადინოს AB, ჰმეცადინოჲსა F.—2 განგდებ-
 ბას D.—მას <AB.—სუხუასა H —7 დასხნა—H.—11 აღორძინებდით C.—12 ვარს-
 კულადმი D.—12 უკუდავ ჰყოფს უყოფს AB.—13 რომლობითა AB.—20 უსხეულო
 FF.—22 ყოვლობასა CE.—23-24 ნაწილსა შორის ნაწილთა AB.—კაცისაჲ კაცი
 AB.—28 ყოვლობით F.—30 ადგილსა შორისი F, ადგილს შორისი F.—34 მიზე-
 ზოანი მიზეზოანსა AB.

სამარადისოდ. და არცა წარმომაყენებელი ეგოს ვითარ წარმომაყენებელი და მიზეზი, და არცა წარმოყენებული ვითარ მიზეზოანი, ამით რომელ ჰბაძავს თვსთა დასაბამთა, ვიტყვ ნივთსა, რომელსა ქცევასა და მოკლებასა შორის აქუს მყოფობაჲ. ხოლო უსხეულოჲ ყოველი უქცევ და სამარადისო, და ნიადაგ მიზეზი, და ნიადაგ მიზეზოანი, და ურთიერთას ორივე, და არ მოქენე ადგილსა, ვითარ გონებაჲ, და სული, და სიტყუაჲ, და მიზეზი მისი სული. ხოლო შენ, გესმას რაჲ მიზეზი და მიზეზოანი, ჰრაცხენ წარმომაყენებელად და წარმოყენებულად. გესმა, ვითარმედ არა შეერაბამების ესე ბუნებითსა ქმნასა, და არცა ქმნის დასაბამთა მიზეზთა. ესე არს ესე, ვითარმედ არ შეერაბამებისო ბუნებითთა მიზეზთა და სხეულეანთა ზესთ ბუნებისაჲ და უსხეულოჲ. ბუნებათ მიზეზად იტყვს მიზეზთა ბუნებისათა, ვითარ ოთხთა ამით ასოთა დუ კავშირთა ცხოველთა ზავებისათა. იტყვს, ვითარმედ არ ესახებიანო მიზეზსა უსხეულოთასა ესე ქმნისა და ხრწნისა მიზეზნი ოთხნი კავშირნი, ამით რომელ სამარადისოსა ღენასა თანა არიან შეკრულ. და კუალად რამეთუ ურთიერთას წინამეწყოთა რომელობათა თანდათანებულ და შეცუულ თვსთა შორის ადგილთა. ხოლო რომელობანი უსხეულოთანი არა მბრძოლ ურთიერთას, არ წინამეწყევე, ვითარ ესე ჰხედო სულსა შორის, რამეთუ ყოველნი რომელობანი და ნაკუეთნი და ფერნი და განსაზიღნი ჰქონან სულსა თვს შორის. ხოლო არ წინამეწყევდ და მბრძოლად, და არცა შეაიწრებენ მას თითოსახეობითა გუართაჲთა.

C 111

A 67b

«რამეთუ არა თუ ნივთი იქმნების საწარმო», ესე იგი არს წარმოდგომილ, თუმცა მოქენე იყო ადგილსა, ანუ ჟამითსა წარმატებასა, ანუ მიდრეკასა, ანუ ქცევასა ანუ რასავე ვნებასა; რამეთუ რომელი ამით ყოველთა ზესთა დაიდებოდის, მისი წარმოქმნაჲცა სხუა, და არა რას საჭიროსა თანა შეკრულ, რამეთუ ჰგიეს სამარადისოდ მასეეობასა ზედა თვსსა, და ასხუაებს სხუათა თვსგან წარმოქმნილთა, რამეთუ უქცევად და უცვალეებლად დამყარებულ მეშვეთვთებასა ზედა თვსსა.

თ ა ვ ი 28

«ყოველი წარმომაარსებელი თვისისა არსებისადმი წარმოაარსებს მსგავსსა პირველ უმსგავსოთაჲსა». ესე არს ზედგაჲ ესე, რამეთუ ყოველი, რაჲცა აღიქმს და წარმოაყენებს არსებასა პირველ

C 113

3 ნივთისა D.—17 წინამეწყუოთა F.—რომლობათა E.—18 რომლობანი E.—18-19 არ მბრძოლ C.—22 მბრძოლად ბრძოლად F, მბრძოლად H.—27 ყოველთა ამით რომელი H.—29 მასეეობასა მსგავსებასა E.—30 უქცევად უქცეველად E.

უმსგავსოთაჲსა, მსგავსთა წარმოაყენებს, რამეთუ არა თუ გარეთ-
 ალიქმს, ვითარ ნაკელონებთა რათაჲე, ვითარ ხუროჲ და მკედელი,
 არამედ შიგნით და ბუნებით, რამეთუ კაცსა კაცი უფრო მსგავს,
 ვიდრე დანასახი კაცისაჲ, და ეგრეთვე სხუათა ცხოველთაჲ. და
 5 ერთსა ერთნი უფრო ეთვთებიან, და ღმერთსა ღმერთნი, და ზეს-
 თარსსა ზესთარსნი, და არსსა არსი, და გონებასა გონებანი, და
 სულსა სულნი, და ცასა მნათთა თხზულებაჲ და სფერონი მათნი,
 ვიდრელა ქმნისა და ხრწნის-შორისნი ასონი. ხოლო ყოველთა უშო-
 რესი და უმსგავსოჲ მოკულადეთა და ხრწნადთა ბუნებაჲ, რომლი-
 10 სათვსცა იტყვს ამით კანონთა მიერ და უმხილებელთა აღმოჩენათა,
 ვითარმედ პირველ უმსგავსოთაჲსა მსგავსნი წარმოიყენებიან თხზვასა
 შორის არსთა და ზესთ არსთა სირაებისასა. A 69d.

«მინაჲთგან ანანკებრივთა * ხათანდოთა მიერ უმჯობეს არს
 ყოველი მიზეზი და წარმომარსებელი მისგან წარმოარსებულსა».
 15 აქა ბუნებითსა იტყვს უმჯობესობასა და არა დადებითსა. ხოლო
 ბუნებით მიზეზნი და დასაბამნი უმჯობეს ყოველსა ნადასაბამითსა
 და მიზეზის-გამოსა, ამით რომელ თვთებაჲ არსებისა თვისისაჲ მისგან
 მოუგია, და აობაჲ მისი მისისა არსებისგან აქუს, და მიზეზნი თესლთა
 და მამათა ადგილსა დაიდებიან, ხოლო მიზეზთ-გამოთა ნაშეთა და
 20 წარმოთა საზომი უპყრიეს, ვითარ მამად და მიზეზად, ნამდვლ მყოფსა
 ვიტყვთ მყოფთად, ხოლო ნადვლ მყოფისა მიზეზად ღმერთსა და
 ღმერთთა, ერთსა და ერთთა. ხოლო თუ უმეცრებამან ვის გაზიღნეს,
 ვითარ აფიანის ქმნილმან ჰუნემან და ლაშოდის წაყრად აღვრთა
 ბუნებისა და წესისათა, და თქუნეს მიზეზი და მიზეზოანი სწორად,
 25 პირველად წესი ყოვლისაჲ შეშლად იმეცადინოს, და მერმე უკუა-
 ნაჲსკენელნი და შემდგომნი ყენეს სწორ და პირველცა მიზეზთა და
 მამათა, და აქციოს ნაქუსი არსთაჲ, და საუკუნესა შორის წესნი მყოფ-
 თანი აღარღვნეს და პატივითა არ შესადარითა უპატივო ყენეს შემდ-
 გომნი. რამეთუ რომელთა მიზეზთა და დასაწყითა უპატივო უქმ თვთ
 30 მათ | მიზეზის გამოთა რაჲზომ, ვითარ სტოელთა, და პერიპა-
 ტოჲს-გამოთა, რომელნი იტყოდეს ცნობისა და უწყებისა დასა-
 ბამთა და მიზეზთა ამის სხეულისა და განნაწილებულისა არსებისგან.

«ანუ ყოველითურთ განჭრილ ურთიერთისგან, ანუ შეერთებულცა და განჭრილცა», ანუ ერთ და იგივე. შეისწავე, რომელ

6 არსნი EH.—7 თხზულებანი H.—8 ყოველი H.—12 სირაებისასა] არსები-
 სასა H.—16 ყოველთასა D.—17 თვისისა] თვებისა F.—19 მიზეზთ გამოთა E, მი-
 ზეზსთ გამოთა CDF.—21 მყოფთად] მყოფად AB.—22 ერთთა და ერთსა F.—28 და
 <AB.—28 აღარღვიენეს H.—28—29 ყენეს—უპატივო <D (*ex homoioteleuto*).

* ამ ბიტევისე მითითებით არსაჲსე სწავის: ნუ თუ იძულებითა იტყვს ანუ ბუნე-
 ბითსა ACDEFH.

ყოველითურთ განკრილი არ ეგებოს მიზეზი მიზეზოანისგან. რამეთუ ვითარ თან მისცეს მიზეზოანსა მიზეზმან, უკუეთუ განეკრეს თვისსა მიზეზსა? ვითარ მოვლოს ნათხზმან სირაჲსამან პირველისა მიზეზისგან ვიდრე უკუანაჲსკნებამდე მიზეზისა? ვითარ ერთ იქმნეს ყოველობაჲ სირაჲსაჲ, უკუეთუ არ მიიღონ მის დაზესთაებულისა დასაბამისგან ერთ ქმნაჲ? ვითარ კუალად უკუნ იქცეს თვისთა დასაბამთადმი ატრფიალებული მისდამი?

ხოლო უკუეთუ ერთ და იგივე იყოს მიზეზი და მიზეზოანი, არ ვინაჲ იყოს წარმოარსებაჲ და თხზვაჲ და შეწყობაჲ მყოფთა სამუსიკოჲსაჲ; არ ვინაჲ იყოს ზიარებაჲ, და განყოფილებაჲ, და თვთებაჲ, და განთვთებაჲ. და სადა თვთებანი არა, მუნ არცა საზღვარნი; ხოლო სადა არცა საზღვარნი, მუნ არცა სათანადოჲ აღმოჩენათაჲ, რამეთუ დასაბამ აღმოჩენათჲ საზღვარნი, ვითარ არისტოტელი აღმოაჩინა; ხოლო სადა განქარდა აღმოსაჩენთა იძულებაჲ, მუნ არცა პოვნაჲ ბუნებითთა ხედვათაჲ და უმეტეს ზესთა ბუნებისათაჲ.

ვინაჲ ამით იძულებითთა მიზეზთა მიერ სათანადო არს, რაჲთა ეზიარებოდისცა მიზეზი მიზეზოანსა, და გაეყოფოდისცა, რაჲთა დაიცვას წესი და ბუნებაჲ არსთაჲ, და მოვლოს პირველმან მიზეზმან, და ერთ ქმნას ყოველი, და აკეთილოს თვისთა კეთილობათაჲთ უკუანაჲსკნელთა; არსთა აობაჲ, და ყოველმან იტრფოს მის ერთისადმი თვისთა მიზეზთა მიერ. ითქუმის, ვითარმედ და თვთ იგი ნივთიცა ეტრფვისო მას ზესთა სასოსა, და ამისთვის იპოვებინაო უსახოსაცა შორის კუალნი გუართან, ვითარ რეც თუ მოწადისა შეენებისადმი; რამეთუ ყოველი სიკეთე ანუ ზესთა გუართაჲსა, ვითარ ერთებრივსა შორის აღმკულსა, ანუ გუართა შორის და მყოფთა აგებულებასა. რამეთუ არა არს შეენებაჲ და არცა მორთულებაჲ, რომელიცა თხზვათა და მორთულებათა მის საზესთაოჲსა ერთისათა განეელთა, რომელსა და თვთ მან უმორფომანცა სტრფო ნივთმან. რამეთუ გუართა კუალისა პოვნასა სხუად ნუ რად გაიგონებ თვნიერ წადილსა რასვე შეენებისა და შეწყობისასა. ითქუა, ვითარმედ ყოველი შეენიერებაჲ შეწყობასა და მორთულებასა შორის. ხოლო სადა პირველი შეწყობაჲ, მუნცა და პირველი შეენიერებაჲ, საცნაურ, ვითარმედ ნამდვლ არსსა შორის და ნამდვლ მყოფსა. რამეთუ მოირთო და იმუსიკელა ყოველთა მზადისა მიერ, და დაიდვა ხატად და მსგაესებად მათ ერთებრივთა იგავთაჲსა.

ხოლო «თუ სასწოროდ ორთავე მვნებია, და სასწორ ორნივე

2 მიცეს E.—4 უკუანასკნებამდე F.—ყოველობაჲ CD.—13 არისტოტელ F.—19-20 უკანასკნეთასა A, უკუანასკნეთაცა C, უკანასკნეთაცა E, უკანასკნეთაცა DF.—22 ეტრფვისო E.—25 ანუ გუართა შორის აღმკულსა ანუ გუართა შორის და მყოფთა E.—28 სატრფო H.—29 ნურა რად F.—30 რასავე C.

ურთიერთას ეზიარნენ». ესე არს ხედვამ ესე. ორად იტყვს მიზეზსა და მიზეზიანსა, ხოლო ვნებად ურთიერთას მათ შორის ქმნილსა, ძალსა და მოქმედებასა. რამეთუ ეტყვს მსმენელსა, ვითარმედ უკუეთუ სწორ მათ-შორისი მოქმედებაჲ, მაშა და მოქმედების-გამოცდა ვნებაჲ სწორ. და რომელთა შორის მოქმედებაჲ და ვნებაჲ სწორ, მათი არსებაჲცა სწორ. ხოლო ესე აღმოაჩინა, ვითარმედ სხუამ არს მიზეზისგან მიზეზიანისადმი ძალი და ვნებაჲ, რამეთუ წარმოიქმნს მყოფობასა და არსებასა მიზეზიანისასა; და შემდგომად წარმოქმნისა აკეთილებს მას და მისცემს თვისსა თვთებისგან, და იპყრობს თვს შორის მისთა დასაბამთა. რამეთუ არა თუ გარეთ ეს ვითა გარესა მისცემს; არამედ ვითარ თვს გამო თვისსა. ხოლო მიზეზიანი ჰგიეს მიზეზსა შორის თვისსა, რამეთუ მას შორის უმანვან მას ნაქუსთა თვისთა თვთებანი.

«ხოლო თუ იყოს უმეტეს განწვალებულ, უმეტესცა იყოს სხუა და უცხო თვისსა დასაბამისა და მეშვისგან». იტყვს, ვითარმედ, თუ უმეტეს განშორებულა თვისთა დასაბამთა, უმეტეს უმსგავსო მათდამი; ხოლო უმეტეს უმსგავსოობასა განწვალებად იტყვს დასაბამთაგან, ვითარ ესე მყოფთა სირასა შორის იხილვების.

და კუალად, თუ ვინ დადვას წარმოშობილი საკუთრად სიახლითა და მოუზავებელ მისდამი სიმარჯჯთა, პირველ არ ეგოს ესე, რამეთუ უსხეულოჲ დასაბამი უმარჯოთა თვისსა შეწყნარებისათა არა წარმოაყენებს, ამით რომელ შეუმთხვოს მიზეზსა ვერ სისრულე თვისთა მოქმედებათა შორის.

«ხოლო თანტომი ღმრთივთაჲ თვთ მით მყოფობითა თვისითა, [და] თანღმობილი მათგან, აღრთხმულ არს მათდამი ბუნებით, და წადნოჲს ზიარებასა». ესე იგი არს, ვითარმედ რაჲზომითა უფრო იყოს თანტომ, ეგზომ უმეტეს მსგავს თვისთა მიზეზთა. ხოლო რაოდენ უცხო თანტომობასა მიზეზთასა, უმეტეს უმსგავსო თვისთა მიზეზთადმი. ხოლო რაჲზომ უმსგავსო, ეგოდენ და თანულმო თვს დასაბამთა და მიზეზთაგან.

თ ა ვ ი 29

მსგავსისა და უმსგავსოღსათჳს

«უოველი გზავნამ არსებითი მსგავსებისა მიერ სრულ იქმნების შემდგომთაჲ პირველთა მიმართ». ისმინე, რამეთუ ყოველი გონებაჲ ამის თავისაჲ არს ესე, რამეთუ მსგავსებასა შემოიღებს მესა-

3 მსმენელსა H.—4 მოქმედების-გამოცდა ABCDEF.—7 წარმოიქმნს წარმოაჩენს D.—10 რამეთუ ხ' D.—17 განწვალებულად H.—21 უმარჯუოთა F.—25 აღრთხმულ P გვ. 24,20 (C-ზე სტაქონს ზემო ზწყაჲ აღთხხულ).

შოვლელ წარმომავლებელისგან წარმოყენებულთადმი, და ამის მსგავსებისა მიერ წარმოიქმნ შობასა მიზეზოანისასა მიზეზისგან, და კუალად უკუნ ქცევასა თვისსა დასაბამისადმი. რამეთუ ორთავე მიზეზ მსგავსებაა არს წარმოქმნისაჲცა, და კუალად თვსთა დასაბამთადმი

5 უკუნ ქცევისაჲ. და რაოდენ უფრო მსგავს, უფრო მამახლობელ, და რაოდენ უფრო მახლობელ, უფრო მსგავს. ვინაჲცა სიტყუაჲ ჩემ გონება მზისა პავლესი შემოვალს აქა, რამეთუ იტყვს ხატად და მსგავსად და ეკმაგიოდ * მის ერთისად, რომელსა მამობაჲცა ჰკადრა სიტყუამან. ხოლო მსგავსებისათვს იტყვს, ვითარმედ უცვალებელი ხატიო.
10 ესე აქა დართუაჲ უცვალებელობისაჲ მსგავსებასა დამინიშავს ჩუენ უზომოსა და დაკვირებულსა. და კუალად იტყვს, ვითარმედ მოაქუს ყოველი სიმდიდრე ღმრთისა მამისაჲ თვს შორის. ესე და ეს ვითაინი ყოველნი, და უზომობასა დამისახვენ ჩუენ არსთა და ერთთაჲცა უპირშოვისისა სიტყვასაჲ, რომელსა ფილოსოფოსი უწოდს გუართა
15 გუარად და საზღვართა საზღვრად.

A 72a

ხოლო ჰკრსოჲ ღმრთივთა ნაკუერცხალთაჲ ისაია იტყვს, ვითარმედ ყრმაჲ იშუა ჩუენდაო. ყრმად ვითარ მამისგან წარმონაშვსა, ხოლო ჩუენდაო, ვითარ აწლა ცნობილსა და გაგონებულსა ჩუენგან. და დასაბამი მისი ზედა ბექთა მისთა. ესე არს ხედვაჲ ესე, რამეთუ ბექთა ზედაობითა განუყოფელობასა და ერთებრივობასა დამინიშავს ჩუენ თვისსა მიზეზისა მამისგან. და კუალად ამასცა გარდამოაიგავებს, რამეთუ მკარნი და ბექნი ძალის სახე არიან და ადგილ ძალისა. ხოლო ესე ნიშნავს ესთა მეტყუელი, რომლისა დასაბამი ზედა ბექთა მისთა, ვითარმედ ზედა ძალთა მისთაო, რამეთუ ყოველსა ძალსა მიზეზისგან მიიღებს მიზეზოანი. რამეთუ არა თუ გარეთ და ზედშემოსრულად, არამედ არსებით და უფროჲს ხოლო ზესთ არსებით, ვითარ ერთისგან ერთებით. რამეთუ ერთი პირველ სიმრავლისა ერთსა წარმოშობს და მერმელა სირაჲ ერთთაჲ.

C 118

და კუალად ვითარმედ დიდისა საიდუმლოჲსა ანგელოზიო, ვითარმედ ქადაგი. დიდად საიდუმლოდ უწოდა სრულსა შესაქმსა მყოფთა აგებისასა. ხოლო მესაიდუმლოედ ხედვასა ფილოსოფოსთა დღისასა.

ხოლო აქა საძიებელნი შემოვლენ დიდნი მსგავსისა და ქუმსგავსოჲსათვს. გაქუს ორი მიზეზი მიზეზთაგან მიზეზოანთა წარმოქმნისაჲ, რამეთუ ოდეს მისცე გასაგონოსა მსგავსებაჲ, არა წარმოშობს წარ-

A 72b

5-6 უფრო მამახლობელ—მსგავს < AB (ex homioioteleuto).—5 მახლობელ F.—6 ჩემ D, ჩემი AB, ჩემისა CH-EF.—10 დამინიშნავს CDEFH.—13 ერთთაჲცა < AB.—20 დამინიშნავს CEFH.—27 ერთებრით C.—29 ანგელოსიო CEFH, ანგელოსთ D.—34 გუაქუს D.—35 გასაგონსა D.—არა არ D.

* ამ სიტყუის წითლად არაჲსე დამატებულია: და ბრწყინვალეზად ABCDEFH.

მონაშეთა, ამით რომელ უფროსს ხოლო იპყრობს თვთებასა და იგივეობასა უძრავად. ხოლო მპყრობელი თვთებისა და იგივეობისაა მიზეზ სხ უც შობისაა. ხოლო წარმოქმნაა ყოველი მწყობრსა შორის სირაჲსასა სხ უც შობითისა მიზეზისგან. ხოლო გასხუებაა უცხო

5 თვთობისა და იგივეობისგან. ეინაჲ სხუაჲ ვიძიოთ მიზეზი, რომელი ასხუებდეს ყოველთა წარმონაარსთა ნათხზსა შორის სირაჲსასა, რომელ არს უმსგავსოობაჲ. იუწყე, რომელ უმსგავსოობისა მიერ გასხუადების ყოველი გასხუებული, რამეთუ არა თუმცა იყო ძალი და მიზეზი გამასხუებელი, არამცა ეგო სირაჲ რიცხუთაჲ, არცამცა

10 სირაჲ მყოფთაჲ. ხოლო ეინაჲთგან არს და ჰგიეს სიმრავლე სირათა შორის გასხუებული ურთიერთობისგან, უმსგავსოობისა მიერ განმრავლებულ და გასხუებულა. ხოლო შემოკლებულად იყოს გასაგონო, რამეთუ ყოველი მსგავსებითი ძალი აიგივებს, და არაჲთ განჰყოფს მიზეზისგან მიზეზოანსა; ხოლო შთამოიქრეს რაჲ საშუალ უმსგავ-

15 აოებაჲ, წარმოშობს და სხუა ჰყოქს შობილსა მშობელისგან. და მიზეზოანსა მიზეზისგან. ხოლო ესეცა გაიმეცნე, რომელ ყოველსა უსხეულოსა შორის აღმკულსა უფროსს და უმეტეს მსგავსებასა და თვთობასა დაუპყრია უსხეულოჲ ადგილი. ხოლო სხეულეანსა და განზიდულსა შორის უფროსს ხოლო უმსგავსოობასა, ამისთჳს რომელ

20 მუნ უფრო უზადო და წმიდა ხატნი ერთისანი, ხოლო აქა ბნელ და ბინდის გუარ, ვითარ იტყოდა ეპედოკლი. რამეთუ გონებითი ყოველი აღმკული დაიპყრაო და ხუდა სიყუარულსა. რომელ არს ერთობაჲ. ხოლო მხუელაჲი ესე არსისაჲ, ვიტყჳ გრძნობადსა. ძლევაჲმან დაიპყრაო. ესე იგი არს. რამეთუ სადაცა ძლევაჲ, მუნცა

25 წინამწყოჲ და ბრძოლაჲ. ესე ამის საძიებელისათჳს აწ თანწარელის სახედ ჩემ მიერ დაიდვა.

C 119
A 73a

თ ა მ ი 30

მიზეზისა და მიზეზოანისათჳს

«ჰოველი წარმოარსებული ვისგანვე უსაშოვლოდ ჰგიეს ვიდრე

30 რემე შორის წარმოშაარსებელსა, და წარმოიარსების მისგან». ამით თაეთა შორის ყოველსა მიზეზისა და მიზეზოანისათჳს დაჰლექსაჲს, რამეთუ სხუაჲ არაჲ არს წარმომაყენებელი თჳნიერ მიზეზისა, და არცა რაჲ წარმოყენებელი თჳნიერ მიზეზოანისა.

ხოლო მიზეზოანი და წარმოჲ, შეისწავე, რომელ სამ სახედ

35 გაიცდების. პირველად თჳსსა მიზეზსა შორის, რამეთუ პირველ წარ-

8—9 რამეთუ—გამასხუებელი < AB (ex homoioteleuta). —9 გამსხუებელი D.—12 გასხუებულ H.—13 მსგავსობითი CF.—აიგივებჳს H.—18 თვთებასა DEF.—29 წარმოარსებული წარმოშაარსებელი E.

მოყენების მიზეზსა შორის ეგო მიზეზოანი; კატეტიან, რომელ არს მებრ მიზეზებით; და კულად კათვპარქსინ, რომელ არს მებრ მყოფობით; და კულად კატამეთექსინ, რომელ არს მებრ თანმექონეობით. ხოლო სამნივე ესე გაიგონებთან ესთა:

5 კატეტიან, რომელ არს მიზეზებით; რამეთუ ყოველსა მიზე-
ზოანსა მიზეზსა შორის დაუშსქულავენ თვსნი დასაბამნი, და სამა- A 74a
რადისობს თვსსა მიზეზსა შორის არა ვითარ სხუაჲ სხუასა შორის,
არამედ ვითარ იგივეობაჲ თვთებასა შორის თვსსა. და არცა შეკეცილ
ერთი მიზეზისაჲ და განმრავლებულ, ვითარ აწ სახესაცა ზედა გა-
10 ცხადდეს: რამეთუ ერთსა შორის ყოველი სირაჲ მხოლოთაჲ, ხოლო
ერთი ჰგიეს თვსსა თვთებასა ზედა ერთობისასა და ზესთ აქუს გა-
ნუმრავლებელად ზემეპყრობაჲ თვსი ერთ სახედ ყოველთა უსხეუ-
ლოთა მიზეზთა ზედა, რამეთუ ჰგიან მას შორის და მოაქუს თვს
შორის სიმრავლე მიზეზოანთაჲ შეუვიწრებელად უსხეულოობისათვს
15 გვართაჲსა.

ხოლო კათვპარქსინ, რომელ არს მებრ მყოფობით; წარ-
მოიყენების მიზეზოანი, და გათვთლების თვს შორის, და გაეყოფვის
თვსსა მიზეზსა, და ექმნების შემდგომ და წარმონაარს, და დაკლებულ
ზესთ მექონეობასა თვსისა მიზეზისასა, და მიიღებს მისგან ვითარ
20 კეთილთა თუალისაგან გაკეთებასა, და ყოვლითურთ ჰგიეს მიზეზსა
შორის თვსსა, და ვითარ იგი იგი არს. ხოლო ვითარ მიზეზოანი C 121
სხუაჲ. ხედავა აწ აქა, განმგონეო, ორთა მათ მიზეზთა? ვიტყვ მსგავ-
სებასა და უმსგავსობასა, რამეთუ მსგავსებაჲ იპყრობს მიზეზოანსა
მიზეზსა შორის და ათვთებს თვსსა წყაროსა შორის, ხოლო უმსგავ-
25 სობაჲ ასხუაებს მიზეზოანსა და განუყოფს თვთებათა მიზეზისა
და მიზეზოანისათა. შეისწავე, რამეთუ ყოველი მიზეზოანი უფრო A 74b
შეკეცილა თვსისა მიზეზისასა, რამეთუ მიითულავეს ორთავე, მსგავ-
სებასაცა და უმსგავსობასა. მსგავსებასა, რომლითა ჰგიეს თვთებასა
შორის თვსისა მიზეზისასა, ხოლო უმსგავსობასა, ამით რომელ
30 განსხუაებულა. თვსისა მიზეზისგან, ვითარცა ითქუა, ვითარმედ
მიზეზოანი ჰგიაცა თვსსა მიზეზსა შორის და იწარმოებსცა თვსისა
მიზეზისგან. ვინაჲ ამასცა გაემეცნე, ვითარმედ ყოველი მიზეზი
ზესთ ძეს ყოვლისა მიზეზოანისგან, რამეთუ უმარტივე არს მიზეზი
მიზეზოანსა; ხოლო ყოველი უმარტივესი უზესთაეს შედგომილთაჲსა.

1 ეგოს მიზეზოანი, რომელსა ელლენებრ ეწოდების კატეტიან S. s. v. წიგნი.—2 მიზეზობით H.—3 კათამეთექსინ H.—4 თანმექონეობით ABD.—
5 მიზეზობით F.—6 დაუშსქულავენ ABD. F.—9-10 გაცხადდის H.—10 ყოველი
<ABD.—12 ზემეპყრობაჲ E.—14 უსხეულოობისათვს DE, უსხეულებისათვს F.—
18 იქმნების F.—19 მექონეობისა AB.—თვსისა| თვს E.—20 და თუალისაგან
AB.—23 უმსგავსობასა AB.—27-28 მსგავსებასა AB.—28 უმსგავსობასა AB, უმს-
გავსობასა E.—34 შედგმულთასა H.

და კუალად რამეთუ მიუწუდომელცა მიზეზი მიზეზოანისგან, და, რაჲზომ ჰგავს, მისწუთების მიზეზსა თვისსა; ხოლო, რაჲზომ უმსგავსო არს მიზეზოანი, ვერ კმა ეყოფის მიწუდომად. და ესრეთ ყოველი ნახთზი არსთა სირაჲსაჲ.

5 ხოლო მესამე ხედვაჲ, რომელ არს კატამეთექსინ, ესრეთ იქურიტების; გესმაჲ, განმგონეო, რამეთუ სამ სახეობს აწ აქა გუარი ხედვისაჲ? პირველი კატეტიან, რომელ არს მიზეზობით; მეორე კატეპარქსინ, რომელ არს მყოფობით; მესამე კატამეთექსინ, რომელ არს თანმიქონებით. ეინაჲ აწ ესე თანმიქონებითი ესთა 10 იგულისხმების. მოიღე და სახეცა უპოთ სიცხადისათჳს ნალექსისა; აჰა და იგივე მრავალსალაღლოჲ ერთი: რამეთუ ერთსა შორის ყოველნი დასაწყსნი რიცხუთანი, მაგრა მიზეზებით და ზესთა; და კუალად A 75a ერთის გამო ორი და სამი. აწ ესე სამი სამ სახედ გაიციდების: ვითარ ერთსა შორის მიზეზებით, ვითარ თჳთ თჳს შორის მყოფობით, 15 ვითარ სხუასა შემდგომსა შორის თანმიქონებით.

შეისწავე, რამეთუ ოდეს მიზეზსა შორის იყოს სამი, არ ითქუმის C 122 სამად, მით რომელ ერთებრივ არს და მიზეზობით; და კუალად ოდეს შემდგომსა შორის იყოს სამი, არცა მაშინ ითქუმის სამად, ამით რომელ თანმიქონებით არს და თანმიცემით; ხოლო ოდეს იყოს მყოფობით, მაშინდა არს სამ, და ითქუმისცა და არსცა. ეინაჲ, თუ განწმედილად 20 გახედნე ერთსა, ჰპოო ყოველთა არსთა შორის, თუ რიცხვთი სთქუა თუ ბუნებითი; რამეთუ რიცხუნი ბუნებათა არიან რიცხუ, და არა ბუნებაჲ რიცხუთა, და თჳთბუნებანი თჳს შორის განრიცხულ პირველისა რიცხუსა მიერ და გუართ-მთავრისა, ვითარ აღმოაციკრებს სოკრატე; 25 რამეთუ იტყჳს, ვითარმედ «პირველმან საზომმან ყოველი განზომაო, და პირველმან საზლუარმან ყოველი აღსაზღერაო», რომელსა აწ ჩუენ ძე უწოდეთ:

თ ა ზ ი 31

«პოველი წარმოჩენილი ვისგანვე არსებით უკუნ იქცევის მის- 30 დადვე, სადაჲთ იწარმოებს». იტყჳს, ვითარმედ ყოველი წარმოჩენილი თჳსსა წარმომჩენელსა უკუ ეტრფისო, რამეთუ მის შორის დაუმსკულაენ თჳსისა მყოფობისა მიზეზნი; ხოლო თუ არ უკუ ეტრფის თჳსისა აობისა მიზეზსა, არცა და თჳთ თჳსისა მყოფობისა იყოს მეწადე;

1 მიუწუდომელცა CF, მიუწუთომელცა E.—3 მიწომად CDEFH.—12 დასაწყსნი] და სახენი H.—13. გაიცადების ABH.—20 სამი H.—21 თუ რიცხვთი] თჳთ რიცხვთი H, რიცხვთი AB.—22 ბუნებაჲ რიცხუთაჲ] ბუნებით რიცხუთა EH.—24 გუართა მთავრისა AB.—31 უკუ] უკუ D.—31-32 დაუმსკულაენ ABD.—32—გვ. 82,5 არ უკუ ეტრფის—ხოლო თუ <B (ex homoioteleuto).—33 არცა და] და არცა A.

ხოლო თუ თვისისა აიქმისა არს მეწადე, თვისისა მიზეზისა არს მეტ-C 123
 რფე. ხოლო მეტრფე მიზეზთა და დასაბამთა თვსთაჲ კეთილობისა
 არს მეწადე. ხოლო ყოველი მეტრფე და მეწადე თვისისა საწადლოჲსა
 მიმართ უკუნქეულ არს, რამეთუ სდევს წადილი მეწადისაჲ საწადსა,
 5 და მეტრფისაჲ სატრფოსა, და მიქეულა მისდა მიმართ, და სწურის
 მისდამი; ვითარ ესე ცასა და მნათთა განვიცდით. რამეთუ წადილიცა
 მათი დაუესებელ, და საწადლოცა მათი თანგანუვლელ უსაზღვროო-
 ბითა, და სანთელიცა ყუავილთა მათ საწადლოჲსათა უმრუმ, და ტრფია- A 76a
 ლებაჲცა უმრუმ წადილისაჲ. რამეთუ სხუაჲ არაარაჲ არს ტრფია-
 10 ლებაჲ თვნიერ დაკვირებაჲ ნებასა წადილისასა. ხოლო ყოველი ნე-
 ბაჲ და ყოველი წადილი მაშინლა წადილ და ნება, ოდეს ეგოს
 უმხილებელად მიდმო აღრჩევათაგან სულისათა. თუ არა სადა მოკ-
 ლებაჲ და გავსებაჲ რომელსაცა ნებასა და წადილსა სდევს, იგი არცა
 ნებად ითქუმის, არცა წადილად, არამედ ენებად მაკნიებელად და
 15 თვსთა დართვთა ქცევათა შორის მხრწნელად, თვთ თვისისავე
 ღრამმეტურგიაჲსა, რამეთუ ყოველი წადილი კერპოვნებითი თვთ
 თვსთა სიჰავეთაგანევი განიხრწნების.

«მინაჲ ყოველი იწადებს კეთილსა, და მიმთხუევაჲ მისი
 უმახლობელესისა მიზეზისა მიერ იქმნების». ესე არს ხედვაჲ ესე,
 20 რამეთუ ყოველნი იწადებენ კეთილსა და მას ზესთასა კეთილსა, მაგრა
 უმახლობელესთა მიზეზთა მიერ მიემთხუევიან, ვითარ სახეთაცა ზედა
 იგულისხმე: რამეთუ ცაჲ სულისა მიერ ეტრფის გონებასა; ხოლო
 გონებისა მიერ ზესთასა გონებათასა ნამდვლ მყოფსა; ხოლო ნამდვლ
 მყოფისა მიერ ღმერთსა ღმერთთასა და ერთსა ერთთასა.

25 «რამეთუ რომლისა მიერ აქუს მყოფობაჲ თითოეულსა, მის
 მიერცა და კეთილობაჲ; ხოლო რომლისა მიერ კეთილობაჲ, მის-
 და მიმართცა საწადლო თვისი პირველად; ხოლო რომლისა მიმართ
 საწადლო პირველად, მისდა მიმართცა და იკუნქცევაჲჲ. გესმა
 ოქროსყუავილი ესე და ოქროთხული აღმოჩენისაჲ, | რამეთუ იტყვს, C 124
 30 ვითარმედ ვის გამოცა მიზეზი მყოფობისაჲ, მის მიერცა და კეთი-
 ლობაჲ; ხოლო რომლისა მიერ კეთილობაჲ, მისდამი საწადლო; ხოლო
 სადა პირველი საწადლო, მუნცა პირველი მიქცევაჲ, და კუალად
 უკუნქცევაჲ.

შეისწავე, ვითარმედ სხუასა დამინიშავს ჩუენ მიქცევაჲ, და
 35 სხუასა უკუნქცევაჲ. მიქცევაჲ ოდენ მიწადებასა, ხოლო უკუნქცევაჲ
 ორსა. რამეთუ სადა იყო პირველ, კუალად უკუნ იქცა. არამედ მი-
 ზეზი უკუნქცევისაჲ თვსთა დასაბამთადევი არს ტრფიალებაჲ. რამე-

8 და და ტრფიაებაცა A.—12 აღრჩევათაგან A.—12-13 მოკლებულ AB.
 —17 სიკვეთაგანევი D.—18 იწადების ABD.—26 ხოლო რომლისა მიერ კეთილო-
 ბაჲ ანაიყი დასტკეულ AD.—28 და მისდა AB.—34 დამინიშნავს EFH.

თუ ტრფიალები მთელი უკუ ეტრფის კუალად არსი ზესთ არსთა შუენიერებისა მორთულებათა, ვინაჲცა ძალთა და ანგელთა აღმყვანებლობითთა ტრფიალებითისა სირაჲსგან ვიტყვთ, ვითარ აღმკრველთა და აღმყვანეთა სიგლახაკისაგან სიმდიდრეთა მიმართ მამისათა, ვითარ ეტყოდა იდიოტიმას სოკრატო. რამეთუ ანალოლოდ სულთა სულთა მამისა მიმართ ტრფიალებასა დასდებდა, რამეთუ ამის სანეტაროჲსა ტრფიალებისა მიერ სტრფო მყოფმან მყოფთა მამასა.

თ ა ვ ი 32

10 «შოველი უკუნქცევია მსგავსებისა მიერ აღესრულების, უკუნქცეულთაჲ». საკრველად და აღმყვანებლად შემდგომთა პირველთა მიმართ ტრფიალებასა დასდებენ იდიოტიმა და სოკრატო. ხოლო ტრფიალება თვნიერ მსგავსებისა არ ეგოს, რამეთუ არ სადა ეტრფოს უმსგავსოჲ უმსგავსოსა, ვინაჲ იყოს პირველი მიზეზი მსგავსებაჲ, უკუნქცევისა და აღყვანებისაჲ, მიზეზოანთა თვისთა მიზეზთადმი. C 125

ხოლო თუ თქუას ვინ სწავლის მოყუარეთამან, ვითარმედ ნიეთი უგუაროჲ ყოვლითურთ უმსგავსო არს ზესთა გუართასა, და ვითარ ეტრფის მას, ისმინენ წადილმან მოსწავლისამან, რამეთუ ნიეთი დაღათუ უმსგავსო და უსახო, მაგრა განალა ვითა ნიეთი უსახოჲ ერთი და იგივე არს, და არა სხუა და სხუა, რაჲთა არა გაგუარებულად ვთქუათ იგი. რამეთუ ყოველი სხუა და სხუაობაჲ გუართა განყოფილებისაჲ არს. ხოლო განყოფილებაჲ უსახოსა და უგუაროსა შორის არა არს, და ვინაჲთგან ერთ და იგივე ნიეთი, ვითარ აღმოიჩინა.

25 აწ ისმინე, რამეთუ ერთობითა ჰგავს მას ზესთასაცა ერთთასა, რამეთუ ზესთაჲ ერთთაჲ ერთი, ვითარ ზესთ მდებარე და განყენებული ყოველთაგან ერთი არს, და ვითარ კეთილობასა თანწარმოდგომილ. ხოლო ერთი ნიეთისა უგუაროჲსაჲ დაკლებულ ყოველთა საზღვართა და გუართაგან, და უსახო და უმდგო ყოვლითურთ, ვითარ პლატონ იტყვს, ვითარმედ ოდენ ნამრლუევესა და ეს ვითა ნატოსა გულმყისიერებასა შორის მონაგონი. ხოლო ერთობითა უბადავს და უმსგავსებს ზესთ განკარგულსა ერთსა, და ვინაჲთგან ჰგავს რაჲთვე წადნოჲს ტრფიალებად მისდმი და გაკეთილებად ზესთ კეთილობათა მისთაგან. ესე გაიხარეცე, სწავლის მეძიებელო. A 77b

5 სოკრატის ABDEFH.—6 სულთა სულთა] სულთა AB.—7 სტრფო] სატრფოჲ AB.—17 ჰსთქუას E.—24 არა არს] არს ADEFH (AEFH-ჲ ან სტრფოჲ მითითებით ანაჲსე სწავნა: არა არს; D-ჲ მხოლოდ მითითების ნაშინა; C-ჲჲ არა ჰქაჲდა არს ნამტყულო).—26 მდებარეჲ A.—30 ოდენ] ოდეს H.—31 გულმყისიერებასა C.

რამეთუ ყოველი უკუნშქცევი თვისისა მიზეზისა მიმართ და სა-
 დაათ იწარმოა ისწრაფის შერთვად და წადნოახს, რაათა ერთ ექმნეს
 თვისსა სატრფოხსა. გუესმა აწ აქა და განგუელო დიდი საქანი გუ-
 ლისხუმისყოფისაჲ. ისმინე საიდუმლოჲ მარად მყოფსაჲ ზესთაჲ; C 126^a
 8 იტყვს გებასა—გონებათასა გონიერთასა, სულისასა სულთასა, ბუნე-
 ბისასა ბუნებათასა, სხეულისასა სხეულთასა—ერთ ქმნისა და შეერ-
 თებისა მიერ გებად; რამეთუ რაოდენცა უმეტეს იყვნენ ერთ ქმნად
 და გებად მიზეზოანნი მიზეზთადმი და ნაწილნი ყოველობისადმი,
 ეგოდენ უპატიოსნეს არსი და უფრო ერთის გუარ, ვითარ ნამდვლ
 10 მყოფი ყოველთა მყოფთა, და სული ყოველთა ბუნებათა, და ბუნებაჲ
 ყოველთა სხეულთა. რამეთუ რომელნიცა არსთანი უფრო შეუძლე-
 ბენ ერთ ქმნასა, მოაქუს თვს შორის უპატიოსნესი და პირველობაჲ, A 78^a
 რამეთუ რომელნიმე მიდრეკისა მიერ ერთ იქმნებიან, ვითარ სული,
 რამეთუ არს თვთ თვსდა მიმდრეკ და ვითარ ცაჲ ესე ხილული, რა-
 15 მეთუ დაღათუ სულისა მიერ მიდრეკების და ცხოველობს სულისა მიერ,
 არამედ სატრფო და ჰაზრ მისდა არს შეერთებაჲ თვისისა კენტროფსა
 მიმართ, რომელ არს თესლი მის ზესთათა ზესთისაჲ. ხოლო გონე-
 ბაჲ და გონიერი ყოველი ნათხზი სირაჲსაჲ მიუდრეკელად ერთ იქმ-
 ნების, ამისთვს რომელ არცა ჟამი არცა ადგილი შთამოუვარდების
 20 საშუვალ შეყრისათვს ნაწილთა და მოქმედებათა თვსთაჲსა, რამეთუ
 ჰკიეს უძრავად გამანებული სიტყვსა მიერ შემოქმედებითისა, რო-
 მელმან ვითარცა ღმერთი აღამკო ნამდვლ მყოფი ყოველთა შემდგომ-
 თადმი. და ესრეთ ყოველი არსთა ბუნებაჲ ჰბაძავს თვისსა საგონსა,
 დაღათუ დასცილდების ანუ შეპყრობად ანუ მიმთხუევად, არამედ
 25 ჰგონებს და ჰაზრობს უბე ქმნად მისდა, და წადნოის მისდამი გან-
 ცკბრებული, და ვითარ რაჲ იმისნობს მას, აღმძარცუე და გამგდე
 თვსთა თვთებათაჲ, და ყოველითურთ მიმქმნე მის ზესთ საუკუნოჲსა
 სიკეთისადმი.

თ ა ვ ი 33

80 «ყოველსა შეწარმოესა ვისგანვე და უკუნშქცევსა მრგულივი
 აქუს მოქმედებაჲ».

გუეტყვს ჩუენ ხედვაჲ ამისი, ვითარმედ ყოველი წარმონა-
 რსი და მიზეზოანი კუალად უკუნ იქცევის თვისისა დასაბა-
 მისადმი, რომლისგანცა იწარმოა. არა თუ პირველ წარმოობაჲ იყო
 85 და მერმელა უკუნქცევაჲ, ესეითა სხეულებითთა მიზეზთა და მიზე-

3 განგუელოჲ A.—4 ისმინე<EH.—17 ზესთათა ზესთისაჲ] ზესთაჲსა AB.
 ზესთასა ზესთისა D.—23 საგონსა] საგანსა ABDEFH.—25-26 განცკფრებული
 BCEFH.—27 თვთობათაჲ AB.—30 მრგულივი AB.—35 და მერმელა] მერმელა AB.

ზოანთა ზედა; რამეთუ ვერას შემძლებელ არს სხეული, ვითარ სხეუ-
 ლი, არამედ თანზიარებითა უსხეულოადაცა ჩანს იგი მიზეზად, და
 საგონ არს, მაგრა დასცილდების თვისთა ბუნებითა პატივისა და მოქ-
 მედებასა უსხეულოადაცა, ხოლო ყოველი უსხეულოა მიზეზი ზესთა
 25 ჯამისა წარმოაყენებსცა და კუალად უკუნ * იქცევის თვსდადღე წარმო-
 ნაარსსა, და იქმნებიან მრგულნი, რომელნიმე დიდნი, ხოლო რო-
 მელნიმე მცირენი. უკუეთუ ახლოთა მიზეზოანთაგან იყენენ, იყენენ| და A 79a
 მრგულნიცა მცირე მონაქც. ხოლო უკუეთუ შორს და განზიდულთა
 მიზეზოანთაგან იყოს უკუნქცევაჲ მიზეზთა მიმართ, იყენენ მრგულნი
 10 დიდ და ჰმატდეს სხუაჲ სხუასა, ვითარ და სახეთაცა ზედა განვაცხა-
 დოთ. რამეთუ არს ნამდვლ მყოფი რომელი პირველად არსებად იცნა
 სიტყუამან, და პირველად მორთულებად, და პირველად ნაქუსად, და
 პირველად შეუნიერებად. ხოლო აწ ოდეს|ესე ნამდვლ მყოფი უკუ C 128
 ეტრფეოდის ყოველთა მიზეზსა ერთსა, იქნების მოქცევი მრგულისაჲ
 15 მცირე, რამეთუ პირველი არსებაჲ არს, და უმახლობელეს თვსსა
 მიზეზსა. ხოლო ოდეს ანუ გონიერთაგან იქმნას უკუნქცევაჲ, უფრო
 მრგულნი. და კუალად ოდეს სულისა ანუ სულთაგან, უმეტეს უფრო.
 და კუალად უკუეთუ ანუ ბუნებისაგან ანუ ბუნებითთაგან იქმნეს
 უკუმრგულებაჲ, უმეტეს უფრო. და კუალად უკუეთუ ცისა მიერ და
 20 სხუათა სფეროთაგან უკუნქცევაჲ, უფრო მოქცევი მრგულისაჲ. და
 ესთა იპყარ ვიდრე უსახობამდღე ნიეთისა.

შეისწავე, რომელ ყოველი სხეული, ვითარ იგი არს სხეულ, დაკ-
 ლებულა ღირსებასა და პატივისა დასაბამობისა და მიზეზისასა, ვინაჲ
 სხეულთა შორის მამობაჲცა ზედშემოსრულად, და ოდენ სეხნაობით;
 25 რამეთუ|მამანი და მიზეზნი უსხეულონი, და უსხეულოთა შორის A 79b
 განიცდების მამობაჲ და ძეობაჲ უბრწნელად და სამარადისოდ და
 არა წარმატებით, ვინა მოკლებით, რამეთუ ესე მათი არს, რომელთა
 დასაწყი არაობისგან ჰქონდის. ხოლო აობისანი მარადის აობენ,
 მიზეზნიცა და მიზეზოანნი.

2 უსხეულოთადასა AB.—4-5 ზესთა ძაღლისა ჯამისა A (ძაღლისა-ბ ზეჲთ
 და კუალად სჲ-სჲ-სჲ წერტილად უზს).—7 იყენენ, იყენენ| იყენენ E.—8 შორს|შს ABDE.—9
 მიზეზოანთაჲ E, მიზეზოანთა H, მიზეზოანთათ E.—13 პირველად|ქლ ABCDFH.—
 უკუ უკუმ ABD.—14 ეტრფოდის F.—მქცევი E, მოქცევისა H.—18-19 და კუა-
 ლად—უფრო < D (ex homoioteleu).—19 უკუმრგულებაჲ| უკუთუ მრგულებაჲ (თ
 ზეჲდგ აუხელოა), უკუმ მრგულებაჲ AB (სტ. 17—18 უკუეთუ ანუ ბუნებისგან—და
 კუალად უკუეთუ ოკუარ სწრაჲ AB-ბა), მრგულებაჲ უკუმ E, მგზრგულება უკუმ
 H (H ხედავად სჲ-სჲ-სჲ უფრის მრგულადი და არა მრგულადი).—23 მიზეზისა F.—28
 დასაწყისი ABD.—29 მიზეზოანი AB.

* ან სიტყვაზე მითითებით ანაბე სწრაჲ: ნუ თუ ესრე და კუალად უკუნ იქცეს
 ADH.

თ ა ვ ი 34

«წოველი ბუნებით უკუნქცევალი მისდა მიმართ ჰყოფს უკუნ-
 ქცევასა, ვისგანცა ჰქონდის წარმოება თვისა მდგომარეობისა». A 80b
 გესმა, რამეთუ ბუნებითი დაპრობა უკუნქცევასა? რამეთუ ყოველსა:
 5 ბუნებით უკუნქცევადასა განუწყუდეელი მოუგის და დაუესებელი წა-
 დილი თვსთა დასაწყთა მიმართ. ხოლო სადაცა ბუნებითი და პირ-
 ველი წადილი, მუნცა პირველი უკუნქცევა; ხოლო სადაცა პირველი
 უკუნქცევა, მუნცა ერთ ქმნა მიზეზოანისა და წარმოებადვე; და
 ვისდა მიმართცა ერთ ქმნა, მისდამიცა აღრთხმა თვისა მყოფო-
 10 ბისა. ხოლო ესე ზენათა შორის გვწყის, რომელ ყოველი უკუნ-
 ქცევა და უკუნტრობა მსგავსებისა მიერ აღესრულების, ვითარ
 რა აღმყენისა ძალისა თვსთა დასაბამთადმი.

«ვინა და თანმევე მისი ბუნებით, ვითარ და თანტომი». A 80b
 ხოლო გესმეს რა ვნება აქა აწ, ნუ ზედშემოსრულთა საგონ ჰყოფ, C 130
 16 რამეთუ ზედშემოსრულნი ვნებანი მათნი არიან, რომელთადა ცხო-
 რებაცა ზედშემოსრულად აქუს, ვითარცა |გაცხოველებულთა და
 არა ბუნებით ცხოველთა. ხოლო ოდეს უსხეულოსა არსებისათვს
 გესმას, ვნება თვთებად ჰგონე, რამეთუ თხზვასა შორის ყოველისასა
 ოდეს წესი შემოქმედებითი თხზვიდა ნაქუსსა და სირასა არსთასა,
 20 მაშინ ყოველთა წესისა მიერ რომელიმე რომელსა ბედსა დახუდა,
 ხოლო რომელიმე რომელსა, ვითარ გონება, სული, ბუნება, ცა.
 აწ რომლისცა დახუდომისა იყოს წარმონაარსი, მის ტომცა არს.
 ხოლო შენ ოდეს დახუდომა გესმეს, შეწყობა და ნართი
 არსთა რვთმოხსა თან მოიგონე. რამეთუ ყოველსა შეწყობასა შო-
 25 რის არა ყოველი მასვე და ერთსა მიიღებს ბუნებასა, შორის წესსა
 არსთასა. რამეთუ ესრეთ თქუა წესმან ყოველისამან, ვინ წინააღუდგეს
 მას, ვითარცა იტყვს ტიმეო. ხოლო ოდეს უსხეულოთა ზედა
 გესმეს ვნება აღრვთვად, და წესსა შორის დაწესება მისი ჰრაცხე,
 რამეთუ ესთა თქუაო წესმან ყოველისამან.

30 და კუალად ზედ უკუალადებს თხზვასა და იტყვს, ვითარმედ
 რომელთა ვნება და ბუნება ერთ, და არსებითიცა მყოფობა მათი
 ერთ. ანუ მეორისგან მეორე, ანუ ორნივე ერთბამად სხვსა მიერ არ-
 სისა იმსგავსებოდინ. აწ უკუეთუ ერთ და იგივე არს ბუნება მიზე-
 35 ზისა და მიზეზოანისა, ვითარ ეგოს ერთი ვითარ მიზეზი და სატრ-
 ფო და უკუნსაქციევი, ხოლო მეორე ვითარ უკუმქცე და უკუმტრფე
 და მიზეზიანი. და არცა ორნივე ერთბამად და სწორად სხვსა მი- A 81a

4 უკუნქცევა F.—6 ბუნებით D.—9 აღრთხმა AB.—10 ზენათა თა A (თა
 წარტ-... ნაშედი, რ-... უკუნქცე).—23 შენ] შდ ABDH (H-ს ანაზ-...
 მათი-... შნ).—24 რვთმოხსა] თვთ მოსა AB.—26 ვინ] ვინა ABD, ვინა EFH.

ზეზისგან უზესთაისისა, და არცა ორთავე ერთი და იგივე თვთებაჲ და ვნებაჲ მიზეზსა და მიზეზოანსა, რამეთუ თვისი წესი დაუპყროია და თვისსა წესსა შორის შეცვულა. რამეთუ ესრეთ თქუა წესმან ყოვლისამან, ვითარცა იტყვს ტიმეოს.

5 აკლს უკუე, რაათა მეორესა მეორიხგან ჰქონდის წარმოარსებაჲ და მყოფობაჲ და უკუნქცევაჲ. ხოლო აწ ვხედავთ, რომელ ყოველნი | მყოფნი პირველ პირველსა მყოფსა ეტრფვიან და პირველსა არსებასა, რამეთუ მას შორის განიციდიან პირველსა შუენიერებასა, და პირველსა მორთულებასა, და პირველსა წესსა, და, ვითარ მიიღებენ

10 მისგან მყოფობასა, ეტრფვიან ვითარ მიზეზსა, ვითარ ჰვიან და სამარადისოობენ თვისსა წესსა შორის შეცვულნი მის პირველისა წესისა მიერ, და ვითარ ჰშუენოის მარადის ყუავილი საბწინთა და ინდამათაჲ მის პირველისა შუენიერებისა მიერ, რამეთუ იტყვს სოკრატე

15 «ფედროსა» შორის: ნუ გიკვრსო ნამდვლ მყოფისა ნართთა შუენებაჲ, რამეთუ ერთმან მოჰრთოო და იმუსიკელა «ოქს არისტოტეხნის თეოს» ვითარ რჩეულთ მოქმედმან ღმერთმან. ვინაჲ ყოველი წესი შეირწყუშმის ვითარ საყოველთაოსა შორის წესსა, და ყოველი შუენიერებაჲ ოდენ უმსგავსებს მას რომელიმე ვითარ გახატებული ხოლო რომელიმე ვითარ გაკერპოვნებული და რეც თუ კუალთა

20 ოდენ გარდამტფვრეელი ნამდვლ მყოფობისა შუენიერებათაჲსა; რამეთუ პირველი არსი არს ესე მორთული მის ზესთ არსისაგან: ნუ გიკვრს | ესე, ვითარ ეტყოდა პარმენიდი სოკრატის, ვითარ იყოლა ყრმა. A 81b

თ ა ვ ი 35

25 «წოველი მიზეზოანი ჰვიეს შორის მიზეზსა თვისსა, და იწარმოებს მისგან, და იკუნ იქცევის მისდაღვე», ესე თავი აღმოაჩენს, ვითარმედ ყოველსა მიზეზოანსა თვისსა მიზეზსა შორის დაუმაწვნან არსებინსა თვისისა საფუძველნი. და ვითარ თვთებაჲ დასაბამისაჲ, ეგ სახეცა და დასაბამის-გამოთაჲ. ხოლო თუ ოდენ ეგოს შორის მიზეზსა, არ ვინაჲ განეყოს თვისსა დასაწყსა და არცა წარმოვლოს ნათხზმან სირაჲსამან და არცა გათვთდენ მხოლონი მყოფთანი. ხოლო თუ განეყოს მიზეზსა მიზეზოანი, მყის განყოფასავე თანა დაუერთბამდეს და წარმოობაჲცა მისი, და იყოს ვითარ იგივე სხუაჲ: იგივე უკუე მსგავსებინსა მიერ, ხოლო გასხუაებულ უმსგავსოობისგან, რა-

3 შეცულა E.—5 ჰქონდეს D.—12 საბწინთა] საბწყინთა C.—14 ნართთა<E.—15 მოჰრთო D.—ოს] რთს F.—16 ტეხნის] ტეტნის CDF (A-სე კჲ ე-უ-ლჲ ტეტნის), ტენის EH.—19 ვითარ<AB.—23 იყოლა] იყოლაჲ A, იყოლაჲ B (იყოლაჲ-ღჲ გაღჲყოლა):—31 სირაჲმან AD.

მეთუ მოვალს სიტყუაჲ, ვითარმედ არცა მსგავსი თჳნიერ უმსგავსო-
 5 ბინსა და არცა უმსგავსეობაჲ თჳნიერ მსგავსებისა. მაგრა რომელთამე C 133
 შორის მსგავსებაჲ და იგივეობაჲ უჭარბებს, ვითარ გონებითსა და
 გონიერსა შორის ნამკსა; ხოლო რომელთამე შორის უმსგავსეობაჲ,
 5 ვითარ გრძნობადთა შორის. რამეთუ სადაცა შთაეჭრეს ნივთი, მუნ
 ამრუმდების ნათელი იგივეობისა და მს'გავსებისაჲ. A 82b

«ხოლო თუ ეგოს ოდენ, არაჲთ განეყოს მიზეზსა». და კუალად
 თუ იწარმოოს ოდენ და არ ეგოს მიზეზსა შორის, განეყოს ყოველი-
 თურთ თჳსსა მეშვესა, და არლა უკუ ეტრფოს მისდამი და იწად-
 10 ნოს თჳსი მაერთებელი მიზეზი: რომელ ესე არს უღონო და მარლუ
 წესსა საუკუნოასა ზესთასა. რამეთუ ერთმან თქუაო წესი ყოვლისაჲ.
 ვინაჲ სათანადო არს, რაჲთა ეგოსცა და წარმოიარსოსცა და გას-
 ხუადესცა.

«ხოლო თუ უკუნ იქცევის მხოლოდ, ვითარ არა ჰქონდის არ-
 15 სებაჲცა მისგან?» ესრეთ იტყვს, ვითარმედ უკუნ, ექცევის თუ და არა
 არს მიზეზ მისდა, ვითარ ეგოს ესე? რამეთუ ყოველი უკუმქცე არსე-
 ბითისა მიზეზისა მიმართ თჳსისა უკუნ იქცევის, და არა ვითარ და-
 ხუდეს. რამეთუ უცხოსა ვითარ უკუე ეტრფოს ბუნებით.

«ხოლო თუ ჰგიესცა თჳსსა მიზეზსა შორის; და იწარმოებსცა
 20 და არ უკუნ ექცევის». ესე არს ესე, ვითარმედ ჰგიეს თუ მიზეზსა
 შორის და იწარმოებს, უკუნ ექცეცა თჳსისა წარმომაყენებელისა-
 დმი. რამეთუ არ ვინაჲ ეგოს, რაჲთამცა თჳსისა მყოფობისა მიზეზ-
 სა არა უკუ ეტრფო. ხოლო თუ არ უკუ ეტრფოს არცა ვიდრემე პირ-
 ველ განყოფისა ყოფილ მის შორის. არამედ ესე უღონო არს, რაჲ-
 25 თამცა მიზეზოანი არ იყო თჳსისა არსებისა მიზეზსა შორის. ვინაჲ
 საპირეო არს, რაჲთა უკუ ეტრფოსცა თჳსსა | დასაბამსა. A 83a

«ხოლო თუ ჰგიეს ოდენ, იქცევის და არ იწარმოებს მისგან,
 ვითარ განუყოფელმან შეუძლოს უკუტრფობაჲ მისდადვე?» იტყვს:
 უკუეთუ ჰგიეს და უკუნ ექცევის, ვითარ არ იწარმოებს? რამეთუ
 30 ყოველი უკუნქცევაჲ მეწარმოეთა და განყოფილთაჲ არს: რამეთუ
 განყოფასა და წარმოობასა გებაჲ ეპირატების: ხოლო უკუნქცევისა
 წარმოქმნაჲ და განყოფაჲ, რამეთუ ყოველსა უკუნქცევისა პირველ
 | განყოფაჲ აქუს: რამეთუ რაჲ უკუნ ექცეს, უკუეთუ პირველ არ იწარ- C 134
 მოოს და განეყოს მისგან?

35 «რამეთუ ყოველი უკუნქცევადი ჰბაძავსო აღდნობადსა ვის-
 დადვე». აღდნობად იტყვს, ვითარ ესე ოთხთა ასოთა მიერ შენაზავ-

9 უკუ ეტრფოს] უკუ ეტრ AD, უკუ ეტრფის B, უკუ ეტრფოს H.—
 10 მარღვ F.—18 უკუნ ეტრფოს H.—21 და<AB.—ექცევა D.—23 ხოლო თუ არ
 უკუ ეტრფოს D.—24 განყოფილისა D.—26 უკუ ეტრფოსცა H.—29 არ] არაჲ
 AB, არა E.—35 უკუნქცევაჲ და ჰბაძავსო ABD.

თა *, რამეთუ, დაიკსნნეს რაჲ, კუალად ოთხთა ასოთადვე აღდნებიან. სა-
 კირო არს უკუე, რაჲთა ანუ ეგოს მხოლოდ, ანუ უკუნ ექცეს მხოლოდ,
 ანუ იწარმოოს მხოლოდ, ანუ შეაკრნეს კიდურნი ურთიერთას, ანუ სა-
 შუალ შორის თითოეულსა კიდურთასა იყოს ყოველი. აჲა ყოველთა სახე-
 5 თა მიზეზისა და მიზეზოანისათა გამოსცდის. ხოლო შენ ესე გაიმეცნე,
 რომელ ამათ მიერ მხოლოდ მხოლოთა სირაჲ არსთაჲ არ აღეგების,
 რამეთუ ვერცა გებაჲ ოდენ შეუძლებს მარტოჲ, და ვერცა წარმოქმ-
 ნაჲ მარტოჲ, და ვერცა კიდურთა შემკრველობაჲ ვერ მესაშუეელისაჲ,
 და ვერცა კიდურთა შორის ყოფაჲ ოდენ რას წარმოსთხზა'ვს არსთა A 83b
 10 სირაჲსასა. კიდურად იუწყენ, ვითარ მიზეზი და მიზეზოანი. და ვი-
 თარ ესენი გამარტოებულნი ვერ აკმაენა მყოფთა წარმოშობისათვს,
 მერმე იტყვს, ვითარმედ სათანადო არს, რაჲთა ეგოს ყოველივე შო-
 რის მიზეზსა თვსსა, და იწარმოოს მისგან, და უკუნ იქცეს მისდადვე.

თ ა ვ ი 36

15 | «ყოველთა წარმოობით გამრავლებულთა პირველნი უსრულეს C 135
 შემდგომთა, და შედგომნი უშემდგომესთა თვსთა». ესე გულისკმის
 ყოფაჲ ზემოთაცა შორის გარდამოგვეცემია, ვითარმედ პირველნი და
 მოახლენი თვსთა დასაბამთაჲსა უსრულე არიან თვსთა უშემდგო- A 84a
 მესთა. რამეთუ მოიღე და სახეთაცა ზედა გასაცნაურდეს: რამეთუ
 20 თვთოსა სირასა შორის მყოფთასა უმახლობელესი დასაბამისაჲ უპა-
 ტიოსნეს და უფრო ღმრთივ, ვითარ ოდეს რაჲ იყოს სირაჲ გონე-
 ბათაჲ უმახლობელესი ნამდვლ მყოფისაჲ უფრო ღმრთივ; და ესთა
 შემდგომითი შემდგომად. და კუალად მოახლე სული პირველსა სულსა
 და საყოველთაოსა უფრო ღმრთივ; და კუალად ბუნებაცა მოახლე
 25 პირველსა ბუნებასა ყოვლისასა უფრო ღმრთივ; და კუალად ესთავე
 სხეულთა ზედა, რამეთუ მოახლე უმცთომსა სფეროსა უფრო ღმრთივ,
 ვიდრე შემდგომთა სფეროთასა. რამეთუ სფეროსა დიდისა კრო-
 ნოჲსა სსა და მთუარისასა რაჲზომი განყოფილებაჲ მოაქუს თვს შო-
 რის, და კუალად ქმნისა და ხრწნისა მიზეზთაცა ზედა ესთავე. რამე-
 30 თუ სფეროჲ ეთრიოჲსა ცეცხლისაჲ უფრო ღმრთივ სხუათა ასოთასა
 რამეთუ საუკუნესა თანგანზომილად თან ჰყეების, და სამარადისოდ
 მიდრკების, ვითარცა სხუანი უკუდავისა ხუედრისა ნაწილნი. ვინაჲ
 კუალად უკუნქცევასაცა და უკუტროფობასაცა შორის დაიკვენ თვსთა
 წესთა, რამეთუ წესმან ყოვლისამან ესთა თქუაო, იტყვს ტ ი მ ე ო .

1 დაიხსნენ CE, დაიკსნენ DFH.—17 პირველნი] რ'ნი ABDEH.—20 თვთოსა
 სირასა] თვთ უსასირასა EH—24 უფრო<EH.—26 უმცთოსა სჭერათასა F.

* აჲა აჲე აჲწარაჲ: შეისწავე, ვითარმედ ოთხნი ასონი სადაცა ეწერენ,
 ოთხთა ამთ ნივთთა დაჰნიშნენ AB (დანიშნენ D, დანიშუნენ E, დანიშუნენ E).

თ ა ვ ი 37

«**წოველნი მებრ უკუნქცევით მდგომნი პირველნი უნაკლულეს მეორეთა და ესევე შემდგომითი შემდგომად.**» ყოველი ხედვაჲ ამის თავისაჲ სხუასა გუარსა გვთხრობს ჩუენ სრულებისასა, ვითარმედ

5 სფეროსა შორის არსთა უკუნქცევისასა პირველისად მიზეზისა, შემდგომნი და უკუანაჲსკენელნი უფრო სრულო. ხოლო შენ, გესმას რაჲ სრულებაჲ, ნუ პირველსა და შემოქმედებითსა არსთა წარმოთბ-
 ზვისა სრულებაჲსა ჰგონებ, არამედ უკუნქცევისთა. და კუალად სა-
 დაჲთ იწყეს, და წარმოიარეს მათვე დასაბამთა უკურწყუმითსა, და

10 ვითარ რაჲ სფეროჲ ჰგონე ყოველი ანაქუსი არსთა მორთვისაჲ. ხო-
 ლო ყოველი სფეროჲ უკუნქცევასა შორის უკუანაჲსკენსა ჰყოფს პირველ, ხოლო პირველსა უკუანაჲსკენელ. ხოლო აქა პირველ ყოფაჲ ესთა გამეგონების, რამეთუ ოდეს გასრულდეს ნათხზი სირაჲსაჲ, მა-
 შინ სრულებით უკუანაჲსკენელსა არღარა აქუს ძალი სხვსა წარმოყე-
 15 ნებად, და არცალა წარსძრავს თვსსა თვ'თებასა სხვსა წარმოქმნად, არამედ მყის დასასრულსავე თანა კუალად უკუ ისფერებს თვსთა და-
 საბამთადვე, და არა თუ ჟამი გამოვლის შუა უკუნქცევისადმი. ეს ვითა ხედენ ცისა სფეროსა შორის, რამეთუ ერთ და იგივე წარმოვ-
 ლაჲცა და კუალად უკუნქცევაჲცა, სადაჲთ იწყო წარმოვლილმან *.

20 «**ხოლო თუ უკუნქცევანი იქმნებიან მებრ მრგულივ, ვისგანცა პირველი წარმოობაჲ, მისდადვე და უკუნქცევაჲცა. რამეთუ ზესთ სრულისგან გზავნაჲ წარმოობისაჲ, და უკუნქცევაჲცა ზესთ სრუ-
 ლისადავე.**» გუეტყვს აქა, ვითარმედ, სადაჲთ იწყო პირველმან წარ-
 მოობამან გზავნისამან, კუალად მუნვე და მისდამი პირველიცა უკუნ-
 25 ქცევაჲ. ხოლო ესე საცნაურ თუ სადაჲთ იწყო. იწყო უკუე ზესთ სრულისგან და ზესთ ერთისგან, რამეთუ მის მიერ წარმოექანნეს, უპირატეს ყოველთა პირველთა, წყარონი ორნი: მიზეზნი და ზესთ შესაქმენი მყოთანნი. არ ვითარ ორღანებრივნი და უღარესნი საქმო-
 თანი, არამედ ვითარ ზესთ სრულნი მიზეზნი შემოქმედებითნი და
 30 არა ორღანებითნი. რამეთუ საკუთრებით არცა მიზეზ ერქუმის პლ ა-
 ტონის მიერ ორღანებითთა მიზეზთა, არამედ თანმიზეზ. ხოლო მიზეზი და თანმიზეზი გაიყოფვიან ესთა: რამეთუ მიზეზ გულის კე-

A 85a

C 137

2 პირველნი] პირუღლ EH.—5 სფეროსა] ფეროსსა AEH (A-შ ახლი ზღოთ
 გ-სწ-ჴუღო • სფეროსსა).—9 იწყეს და] იწყე, სადა ABDEFH.—10 სფეროჲა D.—11
 სფეროჲა D.—15 წარსძრავს H.—16 არამედ] რად ABDH.—17 გამოქვლის A.—
 19 უკუნქცევასა D.—21—22 რამეთუ—უკუნქცევაჲცა < D (ex homoioteleuto).—28
 მყოფთანნი DF.—ორღანებრივნი EH.—28-29 საქმეთანი H.—30 ორღანობითნი
 EH.—31 ორღანობითთა EH.

* აბს უკუეჲ შოელი აზრე ე-რე აა. 21,14 აქლი AB-ს.

ლოვნებაჲ მკურნალისაჲ სიმრთელისათჳს, ხოლო თანმიზეზ დაკაზმებაჲ წამალთაჲ. და ესთავე მიზეზ ასოთა მწერალი, ხოლო თანმიზეზ კალამი. ვინაჲ აწ იხილე, რამეთუ მიზეზსა უდარება მიზეზოანი, ხოლო თან-
მიზეზსა ორღანებრივსა ზესთა ძეს. ხოლო ოდეს ორნივე ესე თუალ-
5 ნი მყოფთა აგებისანი მის უთქჳსა მიერ წარმოიყენნეს, ვითარ ზესთ მიზეზნი ერთთა და არსთანი და არა ვითარ თანმიზეზნი, რათამცა უდარეს იყენეს ნამიზეზებთა? და არცა ვითარ მარტივად მიზეზნი, არამედ ვითარ ზესთ მიზეზნი და ზესთ სრულნი, ამით რომელ მიზეზი ყოველი თან მისცემს თჳსისა არსებისგან თჳს გამო მიზეზოანთა. ხო-
10 ლო მათ ზესთ უპყრია თვთებჲა თჳსი არსთა თხზულებისაგან, და ზესთ განკარგულად ჰვიან თჳსსა მიზეზსა შორის, რომელ არს ერთი ზესთაჲ ყოველთა მიზეზთაჲცა. და ამის გამო ყოველნი გამონი, და კეთილთა კეთებანი, და კუალად მისდადვე, რათა დაუწყუდელ იყოს და უსაზღვრო წყაროჲ არსთა დენისაჲცა და კუალად უკუნქცევისაჲ.
15 ხოლო კუალად იტყჳს «უკუნქცევისა შორის» უკუანაჲსკენელი პირველ და უსრულესო. ესთა გაიგონების სიტყუაჲ ესე, რამეთუ, სადაჲთცა დაიწყოს პირველ აღძრვად და აღდგომად მის ზესთ პირ-
ველისადმი, იგიცა უსრულე და უპირველეს არს. ხოლო, ვითარ ვთქუთ, სფეროჲსა უკუნქცევისა შორის უკუანაჲსკენელი იქმნების.
20 პირველ.

თ ა მ ი 38

«პოველი წარმოარსებული უმრავლესთა მიზეზთაგან, რაოდენთაცა მიერ იწარმოოს, ეგოდენთაცა მიერ უკუნ ექცეს». ესთა გუეტყჳს ჩუენ ხედვაჲ ესე, ვითარმედ, რაოდენცა იყენენ მიზეზნი.
25 მიზეზოანისანი წარმოვლასა შორის სირაჲსასა, ეგოდენთაცა საშუ-
ვალთა მიერ კუალად უკუნქცევაჲ პირველისა მიზეზისადვე. რამეთუ არ ეგების, თუმცა უსაშოვლოდ უკუ ეტრფო პირველთა მიზეზთა და დასაწყთა. რამეთუ რაოდენცა იყენენ საშუალნი მიზეზნი, ყოველთა უკუტრფობისა მიერ უნდა უკუტრფობაჲ კუალად პირველისა მიზე-
30 ზისადმი და წყაროჲსა. ხოლო თუ უსაშუელო იყოს, და თანუსაშოვ-
ლოდცა იქმნეს უკუნქცევაჲ. რამეთუ ყოველი უკუნქცევაჲ მსგავსე-
ბისა მიერ. გესმა, ვითარ მსგავსებისა მიერ ყოველი ერთ ქნაჲ და უკუტრფობაჲ დასაბამიადმი? იუწყე, რომელ მსგავსებაჲ ორ სახედ მოქმედებს: პირველად ამყოფებს მიზეზოანსა მიზეზსა შორის, და
35 კუალად უკუ უტრფობს დასაბამისადმი. ხოლო უმსგავსოებაჲ ოდენ-
ასხუაებს და ამრავლებს წარმონაარსთა. და რაოდენცა უმახლობელეს-
იყოს მსგავსებაჲ, ეგოდენცა და უკუნქცევაჲ.

| «ვინაჲ, რაოდენთაცა მიერ ჰქონდის მყოფობაჲ, ეგეოდენთავე მიერ კეთილობაჲ თითოეულისაჲ, ანუ თუ წინა-უკუმო». ესთა იტყჳს, ვითარ, რაოდენთაცა მიზეზთა მიერ ჰქონდის მყოფობაჲ, ეგეოდენთავე მიერ გაკეთილდეს მის-შორისი კეთილობაჲ. «ანუ თუ წინა-უკუმო», ესე იგი არს, ვითარმედ, რაოდენცა მიზეზნი, ეგეოდენცა და კეთილობაჲ; და რაოდენცა კეთილობაჲ, ეგეოდენცა მიზეზნი.

C 139
A 86a

თ ა ვ ი 39

განყოფინსათჳს ძალთა არსებათაჲსა

«შოველი მყოფი ანუ მხოლოდ არსებით ოდენ უკუნ იქცევის, ანუ ცხოველობით, ანუ ცნობიერობით». აწ აქა ძალთა განჰყოფს არსებათასა, რამეთუ რაგუარცა იყოს არსებაჲ, ეგსახეცა და უკუნ-ქცევაჲ მისი. რამეთუ უკუეთუ მხუდარ იყოს ოდენ არსებაჲ, და იყოს დაკლებულ ცხოველობითისა და ცნობიერობითისა ძალისგან; არსებით ოდენ უკუ ეტრფოს, ესე იგი არს მყოფობით. ხოლო თუ ჰქონდის ძალი ცხოველობითი, უკუ ეტრფოს არსებითცა და ცხოველობით. და კუალად, უკუეთუ ჰქონდის ძალი სიტყუერებითი, რომელ არს ცნობითი, უკუ ეტრფოს სიტყუერებით, ესე იგი არს ცნობით და გულისკმისყოფით. ხოლო აწ აქა სისრულეთა თანა გუაც განხილვად თითოეულთა ამთ არსებათა, თუ ვითარ ჰბაძვიდენ და ესახებოდენ ზესთ სახეთასა მას არსსა ნამდვლ მყოფობისასა. რამეთუ რომელთადა მყოფობაჲ ოდენ მხუდარ იყოს, ვითარ სრულიად უსულოთადა, მათდა მყოფობაჲ ოდენ არს სატრფო. რამეთუ დაღათუ უცხო არს ყოვლისა სულითისა და ცხოველობითისა ძალისაგან, მაგრა გუარსა შორის შეჰყრობილ. რამეთუ გაგუარებულ ყოველი მყოფი, იტყჳს პარმენიდი. ხოლო თითოეულისგან მყოფთაჲსა წადილი თჳსისა გუარისაჲ არს. ხოლო წადილი გუარისაჲ წადილ თჳსისა ერთისაჲ არს, რამეთუ ერთ ვიდრემე ყოველი გუარი. ხოლო წადილი თჳსისა და მის-შორისისა ერთისაჲ წადილ და ტრფიალება არს ზესთ ერთისა მის. ვინაჲ ამის მიერ საცნაურ, რომელ ყოველი მეტრფე და მეწადე თჳსისა ერთისაჲ, რომელ არს მყოფობაჲ თითოეულისაჲ, მის ზესთ ერთისა არს მეწადე. და ესე მყოფობითისა აობისათჳს.

A 86b
C 140

ხოლო კუალად ცხოველობითისა ძალისათჳს, თუ ვითარ ეხატვის

9 არსებითი A.—10 ცნობიერებით F.—11—12 ეგსახეცა—არსებაჲ < AB (ex homoioteleuto).—12 არსებაჲ ოდენ H.—13 ცნობიერებითისა F.—15—16 ცხოველობითი—ძალი < F (ex homoioteleuto).—15 ეტრფო ABDEH.—17 უკუეთუ ეტრფოს E.—18 აქა] თქა ABDE, თქვა F, თქუა H; ამ სიტყუეზე მოთხოვით ABDEFH-ს აძმაჲჲ სწრაჲ: ნუ თუ ესრე. ხოლო აწ აქა (აქა აწ D).—21 იყოს] იყო ABDEFH.—ერთარ] ედ F.—24 რამეთუ გაგუარებულ < E. 26 გუარისაჲ] არსებისაჲ AB.—29 მიერ < E.—32 ეხატვის] ეტრფვის AB.

და ეტრფის მას ზესა ზესათასა. ისმინე, რამეთუ ყოველი ძალი ცხოველობითი მსგავსისა წარმოჩენასა შორის სრულ იქმნების, | დალა- A 87a: თუ დაკლებულა სიტყვებრებითისა ძალისაგან, და მართ ოდენ ძალითა ცხოველობითთა აობს. წარმოაჩენს მსგავსსა ხატებისათს მის ერთისა, რამეთუ, ვითარ იგი არაობისგან არს იქმს, და წარმოაჩენს, და აცხოველებს, და აერთებს ყოველსა, ესთავე აქა ძალი ცხოველობითი. არამედ მუნ ვითარ ზესთ დაზესთებულად; ხოლო აქა ანუ ხატოვნებით, ვითარ სამარადისოთა ზედა; ანუ კერპოვნებით, ვითარ მოკუდავთა ზედა; ხატოვნებით და მარადობით, ვითარ მზესა და 10 სხუათა ვარსკულავთა ზედა. რამეთუ აღიქმან და იგიცა მოკუდავთა ნაწილ'ისასა. მაგრა ძრვათა და მიდრკეათა მიერ, ვითარცა ეტყვს მათ ტიმეო რეცა თუ დამბადებელის გამო. ხოლო თქვენ ჰბადევედით ძალსა ჩემსა, აღიქმოდეთ ცხოველთა და ნერგთა ზრდილით უკუე და ალაორძინებდით, ხოლო კულად მოკლებულთა შეიწყნარებდით. ესთა 15 თქუა ტიმეო მბადის გამო მორთულეებისა მიმართ ვარსკულავთაჲსა. ხოლო ჩუენ-შორისი ესე კერპი და აჩრდილის დასახვთი ცხოველობაჲ. აჰა და რეც თუ წარმოაჩენს ორთა მიზეზთათვს: პირველად, რაჲთა უქმ იყოს შობითი და წარმოჩენითი ხატებაჲ მის ერთისაჲ; მეორედ გებისა და სამარადისობისათვს, რამეთუ ვითარ უკუდავნი ეგებვიან 20 სამარადისოდ ერთობასა ზედა უქცეველობითსა, ვერეთევე კულად და კულადობით და სხუა და სხვაობით მოკუდავთაცა ბუნებაჲ გარდაიხილა; ეს თვს შორის სამარადისობასა. და ესე არს სისრულე A 87b: ცხოველობითი.

ხოლო სიტყვებრებითი სრულებაჲ ზესთა ძეს ამათ ყოველთა; 25 რამეთუ უმეტესსა წესსა და მორთულეებასა მიიღებს; რამეთუ განაშუენებს და შეამკობს, სადაცა მითესულ იყოს ძალი სიტყვსაჲ, და ამკობს კელოვნებათა მიერ უმკობელობასა ნიეთისასა, და, ვითარ კეთილი ღმერთი, სახოვან ჰყოფს ზედმიწევნულებათა მიერ ნაზავსა და ნათხზსა ამათ ოთხთა ასოთასა. რომლისათვს თქუა ვინმე ბრძენ- 30 თამან, რამეთუ შთამოავლინაო მბადმან ყოვლისამან სიტყუაჲ არსებითი, რომელ არს სული, რაჲთა ჰკაზმოსო და ალაშკოს პირი ქუეყანისაჲ. ვინაჲ ამათ ყოველთა ზედა არა თავს იღებს ვიდრე აქამდე კმასა და დაშთენასა, არამედ ემხედვარების ყოველსა არსთა ანაქუსსა და მორთულეებასა და მათ მიერ, ვითარცა რაჲ კელპყრობილი, აღი- 35 წვეის არსთა მამისად. და ესე არს უკუტრფობაჲ სულთა თვსთა დასაბამთადევე.

ვინაჲ ესე სრულებანი არსთანი ითქუნეს შესაბამად ბუნებათაჲსა,

1 ზესა] ზესთა F.—3 მართ] შ'რთ ABDH, მიმართ E.—7 დაზესთავებულად E.—8 სამარადისოსა AB.—10 აღიქმენ H.—14 ალაორძინებდით DEH.—16 დასახვთ ABD.—18 შობით და წარმოჩენით EH.—20 ზედა] და E.—21-22 გარდაიხილავეს H

რამეთუ ყოველი უკუმეტრფე, ვითარცა აღიქუსა მზადისა მიერ, ეგესა-
ხედცა უკუ ეტრფვის მქუსეულსა თვსსა, რამეთუ საზომნი | წარმოობა- C 142
თანი მოქცევისა შორის სირაჲსასა კუალად შესაბამადე უკუნ აქცევენ.

თ ა ვ ი 40

5 «ხოველთა სხვსა მიზეზისა მიერ წარმოარსებულთა ეუხუტე-
ბიან და ეძღუანვიან თვთ თვს მიერ წარმოდგომილნი და 'თვთმდგო- C 143
მობითსა არსებასა მომგებელნი». ხედვასა უკუე ამის თავისასა უკმს
კელსა გონებისასა უკუ სუმად თუალთა სულისათა, ხოლო ჩუენ მოვ-
კადოთ საზოგადოსა ერმის, რომელი წინა უძღვს და წინა განურ-
10 ჩეეს ყოველთა მხედთა გონებისათა, რაჲთა მომივლინოს ჩუენ პრო-
მითი ამაწადი ზენათა გაგონებისაჲ. ხოლო სიტყუაჲ იტყვს, ვითარ-
მედ «სხვსა მიერ მიზეზისა წარმოდგომილთა ეუხუტეცეებიან და
ემძღუარვიან თვთ თვსგნით წარმოდგომილნი», რამეთუ უფრო ეხატ-
ვიანო პირველობისაჲ ზესთასა დასაბამსა. ხოლო გესმას რაჲ თუ
15 თვთ თვს მიერ წარმოდგომილიო, ნუ ჰგონო თუმცა არა მის ზეს-
თასა მიერ იტყოდა წარმოდგომასა მათსა, რამეთუ დაურთავს, ვი-
თარმედ უმახლობელეს მის ერთისა არიანო. არამედ, ვითარ გეტყვს,
ხედენ გამგონეო, რამეთუ თითოეულისა სირაჲსა დასაბამთა იტყვს.
რამეთუ დასაბამნი და დასაწყსნი სირათანი არიან, ვითარ პირველი
20 გონებაჲ, რომელსა ვიტყვთ ნამდვლ მყოფად. რამეთუ ესე | ნამდვლ A 89a
მყოფი და ნამდვლ არსი ემთავრების და ეღმრთვის ყოველსა მყოფსა
და არსსა, და ყოველსა წესსა და შეწყობასა, და შეუენიერებასა მის-
შორისი წესი და შეუენიერებაჲ და შეწყობაჲ. რამეთუ ყოველსა
სწორსა მის-შორისი სწორი, და ყოველსა საზომსა მის-შორისი სა-
35 ზომი, რამეთუ ერთისა მიერ მოირთოო, ნუ გიკვრს ესე, ვითარცა
ეტყოდა პარმენიდი სოკრატის. და კუალად: ვითარ პირველი
ცხოველობაჲ ზესთა ძეს ყოველთა ცხოველობისა სირათა; და პირველი
სული სირასა ყოველთა სულთასა; და პირველი ბუნებაჲ სირასა
ყოველთა ბუნებათასა; და პირველი სხეული სირასა ყოველთა სხეულ-
40 თასა. ვინაჲ აწ ისმინე, რამეთუ სირათ-დასაბამნი და დასაწყსნი დაუ-
ბადებელ და უმოქენო, და თვთმდგომ, და თვთარს. რამეთუ არ
წარმოიყენა პირველი გონებაჲ სხვსა გონებისაგან, ხოლო სხუანი
მისგან; და არცა პირველი ცხოველობაჲ სხუა'თა სირაჲს-შორისთა C 144
ცხოველობათაგან; და არცა პირველი და საყოველთაოჲ სული ნაწი-

1-2 ეგესახეცა D, ეგესახედცა C.—2 მქსოველსა ADH, მქსოელსა E, მქსოტლსა B, მქსეელსა F.—8 უკუსხუმად E, უკუსმად EH.—8-9 მოგხადოთ CEFH.—10 მხედ-
ლთა მხედთა ACDH.—12 ეუხუტეებიან F.—15 არა რაჲ ABD.—21 ეღმრთვის |
ემძღუარვის F.—22-23 მის შორის E.—25 მოირთო ABD.—26 იტყოდა ABDEH.

ლებითთა სულთაგან; და არცა პირველი ბუნებაჲ ნაწილებითთა ბუნებათაგან; და არცა პირველი სხეული, რომელ არს ცისაჲ, ნაწილებითთა სხეულთაგან. ვინაჲ ესე ყოველნი დასაბამ და აღუგებელ და აღუქმ თვს-ქუეშეთა სირათაგან. რამეთუ პირველი გონებაჲ ერთისა ⁵ მიერ ოდენ; და პირველი სული პირველისა გონებისა მიერ და მის ზესთაჲსა ერთისა. და პირველი ბუნებაჲ სულისა მიერ და მის ზესთაჲსა ერთთაჲსა; და პირველი სხეული ბუნებისა მიერ და მის ზესთაჲსა ერთთაჲსა. და შვიდნი ესე გასფეროებულნი მოქცევანი ^{A 89b} შვდთა მნათთანი ცისა მიერ და მის ერთისა. და კუალად ოთხნი ესე ¹⁰ გარომელეებულნი ასონი შვდთა მიერ მოქცევთა და მის ერთისა. და კუალად მეკუდროთა ესე ბუნებაჲ ოთხთა მიერ ასოთა და მის ერთისა. ხოლო სული ვიდრე ცხოველთამდე ყოველთა; ხოლო ბუნებაჲ ვიდრე ნერგოვნებითისა ძალისამდე; ხოლო გონებაჲ ვიდრე გუართამდე და გაგუარებულთა ყოველთა; ხოლო ერთთაჲსა შორის ვითარ ზესთ მიზეზი შემოქმედებითი, და გონებათაჲსა შორის, და სულთა, და ბუნებათა, და თვთ მათ სხეულთაჲსა. და კუალად უგუარო უსახოსაჲსა ნიეთსა შორის. არამედ აქა გესმეს რაჲ შორისი, ნუ შემოცვითად ეპაზრვი ერთისასა, არამედ ვითარ ზესთ მიზეზობად და დამბადად პრაქცე ყოველთა სიწლოთაჲსა გონებისათა.

²⁰ აწ ესე ყოველნი სირანი მთავართანი, ვითარ უმიზეზონი და უბადნი, დგანან თვს-ქუეშეთა; სირაჲს-შორისთა ყოველთაგან და წყროიან თვს გამო არსთა ყოველთა ანაქესსა, და აკეთილებენ მყოთა, ვითარ უმახლობელესნი მის ერთისანი.

«ხოლო უთვსესი და უფრო მსგავსი მიზეზთაჲ პირველ უმს-
²⁵ გავსოთაჲსა წარმოიუენა მიზეზისაგან». გესმა, გამგონეო, ვითარ მიზეზად იტყვს მას ზესთასა მიზეზთასა, ხოლო მიზეზთად იტყვს ^{C 145} მრავალთა მიზეზთა? რამეთუ განიყოფვიან ურთიერთას მიზეზი და მიზეზნი: რამეთუ მიზეზნი არიან ნაწილებით და გასხუაებით ურთი- ^{A 90a} ერთობისგან. ვინაჲ თითოეულსა დაუმთავრებია თვს-ქუეშეჲ და თვს-
³⁰ გამოჲ სირაჲ მყოთაჲ; და არა არს სხვსა სირაჲსა მიზეზი სხვსა სირაჲს-გამოთა, ამისთვს რომელ თვთებანი მიუდრეკელ არიან, ხოლო იგი ერთი მიზეზი მიზეზთაჲ და მბადი მბადთაჲ ერთობით მიზეზ ყოველთა მიზეზთა. რამეთუ მის გამო წყარონი ორნი შემოქმედებითნი: პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვროჲ, რომელთა მიერ
³⁵ დგომიჲ ყოველთა მიზეზთაჲ. ხოლო მიზეზნი რაოდენცა უფროჲსთა იყვნენ მიზეზ, უფროჲს მსგავს შესაწყოსა ყოველთა მიზეზთასა, უმიზეზოსა მიზეზსა. და ესეცა მისთა ზესთა მძლავრებათათვს, ვიტყვ

1 სულთაგან—ნაწილებითთა < E.—5 გონებისა მიერ] გონებისა AB.—13 ნერგობითისა F.—26 მიზეზთად] მიზეზად F.—29 თვის ქუეშეჲ C, თვს ქუმშე AB.—34 პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვროჲ] ყლი ს. და ყლი უს. F.

სოკრატეს და პარმენიდის და ზინონს თანდათანაებული, რამეთუ არ მიზეზად ესეითა ზესთ მიზეზად აღმოაჩენენ ერთისათვის.

მტყვს პარმენიდი სოკრატეს, ვითარმედ და აღმოსაჩენსაცა მიზეზისა და მიზეზოანისასა უბრკელა ერთისათვის, ვითარცა ვერ კმასა. რამეთუ იკანოა ყოველი კმა არს, ხოლო ესე ვერ, იკანო მის ზესთ კმისათვის, ამისთვის რომელ ყოველსა მიზეზოანსა მოაქუს ხატი და თვთებაჲ მიზეზისაჲ. ხოლო ესე თვთებათა თვისთა ზესთ იშთენს და არ აღურევს მიზეზოანთა, ვითარცა თქუა მართალმან სიტყუამან: ოჲ სოკრატეს, რამეთუ ერთი თვისთა თვთებათა მიზეზოანთად თანაღმკრევი არ ეგოს უზადო შორის ერთობასა, არამედ იყოს ვითარ განმრავლებული ერთი, ვითარცა თქუა მართალმან სიტყუამან: ოჲ სოკრატეს.

«ხოლო თუ არ იყოს თვთმდგომი», ანუ ესე ვითარად იპაზროს კეთილობაჲ, და ანუ პირველნი კეთილობისა მიერ მდგომ. გესმაჲ, გამგონეო, რამეთუ სამად განპყოფს აწ აქა? იტყვს, ვითარმედ არა არს თვთმდგომი, ესე იგი არს სირათ-მთავარი. რამეთუ თვთმდგომად უწოდა, ვითარცა ყოვლისა სირაჲსასა, და უმოქენოდ, ვითარცა თვისთა შემდგომთაგან არაჲს მიმღებსა. ვინაჲ უკუეთუ არ იყოს თვთმდგომი, არ უკუე გუქონდის უზადოდ უმოქენოჲ, რამეთუ თვთმდგომობასა და თვთმყოფობასა თანა შეაკრა უმოქენეობაჲ: რამეთუ ყოველი თვთმდგომი უმოქენო, და ყოველი უმოქენოჲ თვთმდგომ.

ანუ ეს ვითარად იპაზროს კეთილობაჲ. ესე არს ესე, ვითარმედ ნუ თუ თვთმდგომობად პაზრო პირველი კეთილობაჲ, რამეთუ თვთმდგომი ოდენ უმოქენოჲ არს და სავსე კეთილობითა, ხოლო კეთილობაჲ ძეს დაზესთაებულად ნათელსა შორის ერთებრსა და თვის გამო აწყაროებს მათ ერთებრივთა კეთილობითთა შზეთა.

«თვისგნით უკუე იწარმოებს ვინაჲვე თვთმდგომი». იტყვს, ვითარმედ ყოველი პირველი და მხოლოჲ თვისთა სირათაჲ თვთ იწარმოებსო თვისსა არსებასა, და იქმნების თვთმდგომ. ესე არს ესე, ვითარმედ არ რომელი წარმოიქმს თვისთა შემდგომთაჲ, რამეთუ პირველსა მყოფსა არა თუ მყოფი წარმოიქმს, არამედ ზესთ მყოფი. რომლისათვისცა ერთ იყოს და არა ერთ. ერთად იტყვს, ვითარ მხოლოსა და დასაბამსა ყოველთა თვის-ქუეშეთა სირათასა, ხოლო არ ერთად ვითარ განმრავლებულსა ერთსა. ხოლო განმრავლებულად ერთად აღმოიჩინა წინათა შორის, არა თუ თვთბუნებითი ერთი, არამედ შედგმული ერთი; რამეთუ ნამდვლ მყოფისა ნაქუსნი არიან შედგ-

1 სოკრატის F.—3 სოკრატის F.—4 უბრკმა EF.—9 ოჲ] ო C, ო' ABH, ო' A, უ' E, უფალო F.—12 ოჲ] ო C, ო' ABH, უ' A, უფალო F.—27 უკუე] უკუნ AB.—თვთმდგომი C.—35 ერთი < D.—36 შედგმული] თვთშედგმული (თვთ წაღ-ღაჲს სის-ულ . ლო-ღე ზეჲქე) A.

მულ პირველთა ასოთა სტჳკიოთა მიერ, რომელ არიან პირველნი თესლნი და სტჳკიონი არსთანი. ხოლო ოდეს სტჳკიოდ ანუ თესლად ისმინნე, ნუ უდარესად და გასტჳკიებულად შეჳარცხ, ანუ ვითარ თესლად ბუნებითად; რამეთუ ესე უსრულებისგან სრულე-
 5 ბად მოვლენ. ხოლო სტჳკიონნი ნამდვლ მყოფობისანი ზესთ არსნია და ზესთ სრულნი; რამეთუ არ შედგა უსრულთა ასოთა მიერ ანაჳსი ნამდვლ მყოფისაჲ; იტყჳს პარმენიდი, რამეთუ ერთმან მოჳრთოო ზესთ სრულთა სტჳკიოთა მიერ. ვინაჲ აწ ესე მხოლოჲ და ერთი C 147
 10 ვითარ შედგომილი ერთი.

თ ა ვ ი 41

სხჳსა შორის მდგომისა და თჳთმდგომისათჳს

«ჳოველი სხჳსა შორის მყოფი მხოლოდ სხჳსა მიერ წარმოი-
 ჩინების. ხოლო ყოველი თჳს შორის მყოფი თჳთმდგომარე არს,
 15 ხოლო სხჳსა შორის მყოფი წინამდებარისა მოქენე არ ვინაჲ იყოს თჳსსა წარმომჳქმნელა.»

გესმა აჳა, ოჲ გამგონეო, ხედულო გონებისგან, რამეთუ, რაოდენცა წარჳვლიდეთ, ეგეზომცა დაგჳჳშირდების სიწლოჲ გონებისაჲ? რამეთუ დასაწყითა შორის სიმარტივე მარტივთა და ზესთა
 20 ყოველისა შედგომილებისათა გჳმარტივებდა და გასაგონთაცა. რამეთუ ყოველსა სულსა ბუნებით მოაჳჳუნ თესლნი მის ერთისანი, და თჳს-შორისისა ერთისა მიერ ემხედვარების მას ზესთათაცა ზესა ერთსა,
 და მარტივი ხედვაჲ მარტივსა და შეუდგმელსა ნათელსა აღიციის- A 92a
 25 ხედოს ხედვამან, სიწლოჲ და სიწმიდე დაუმრავალძალდების და C 148
 პოლჳემორთად ასჩნდების; დალათუ იყოს ერთი, ვითარ სამ-
 ლდელონიცა შესამოსნი აღჳაზმულ იყენეს ბრძენთა მიერ, რომელი სხჳსა შთასატევესა ხოროსა შორის სიწლოსა აღწერისასა მიეცეს
 საღმრთოჲ ისტორიაჲ. ხოლო ჩუენ წინამდებარისათჳს ვსთჳჳამთ გან-
 30 მარტებასა.

1 სტჳკოთა E.—2 სტჳკონი E.—სტჳკოდ E.—3 გასტჳკებულად AB.—შე-
 რაცხ DEF.—9 და არსისაჲ D.—10 შედგმული EH.—15 სხჳსა] სხჳსა ACDEFH.
 —არ ვინაჲ] არს ვინაჲ F, არს ვინაჲ ვინა D, არსაჲ ვინაჲ A, არსაჲ ვინა B, არსა
 ვინაჲ EH.—16 წარმომჳქმნელ] წარმომხენელ D.—17 გუესმა ABCDFH.—ოჲ] უო
 E, უფლისა F.—18 წარმოვლიდეთ E.—20 შედგმულებისათა CEH.—21 მოაჳჳუნ
 C, მოაჳჳუნ EH.—24-25 მიხედოს ვნებამან ხედვამან A (ვენებამან წჳტ-
 ლჳჳა ჩსჳჳელ).—26-27 სამლუდელონიცა CEFH.—28 შთასატევესა <E.—29
 ვსთჳჳამთ F, ვჳჳჳათ ABCDE, ვრჳჳჳათ H.—29-30 განმარტებასას-სჳსჳჳჳ A-ჳ: ი
 გწმრ (ჳ. ო. იოანეს განმარტებაჲ).

«შოველი სხუასა შორის მყოფი მხოლოდ სხვსა მიერ წარ-
 მოიჩინების. ხოლო ყოველი თვს შორის მყოფი თვთმდგომარე არს,
 არამედ სხუასა შორის მყოფი და წინამდებარისა მოქენე არ სადა
 იყოს თვსსა წარმოქმნელ». ესე ხედვია არს ესე, რამეთუ გაჰყოფს
 5 გუართა სხეულთ-შორისთა და უსხეულოთა; ხოლო თვთმდგომარედ და
 წყაროდ უხრწნელად თვსთა მყოფობათათვს დასდებს გუართა უს-
 ხეულოთა; და ბუნებით უკუდავებისათვს და დაუესებელისა ცხორე-
 ბისათვს იტყვს მათ მიზეზ თვთ თვსთა თვთებათად, და ზესთ დააშ-
 თენს მათ ყოვლისა ქცევისა და გასხუაებისაგან და ეამითისა მიდ-
 10 რეკისა და ადგილისა შორის შეცვისგან, და იტყვს წარმოუყენებელად
 სხვსგან, რამეთუ ამით უმეტეს გაჰყოფს სხეულენისა გუარისაგან.
 რამეთუ ყოველსა სხე'ულაანსა გუარსა სხვსა მიერ მოუგვის წარმო- A 92b
 ჩენაჲ, და თვთ თვსითა ძალითა უმდგო არს, დაღათუ იყოს და
 ციერი, ამისთვს რომელ ეზრაზა იგი ნივთსა და იქმნა მოქენე, ვი-
 15 თარ ქუემდებარესა ზედშემოსრული. ვინაჲ თქვს მართალმან სიტ-
 ყუამან, ვითარ არ არსი, არამედ ვითარ მზუელავი ოდენ არსისაჲ,
 მაგრა არა ვითარ შემთხუევეითი ნივთთა შორის, ანუ ვითარ ენ ტ ე-
 ლ ე ქ ი ა ჲ; ნუ ჰრქვ ამას ა ფ რ ო დ ი ს ი ე ლ ი ს ა აღმოჩენასა, არამედ
 ვითარ შარაევანდი მის გუართ მთაერისაჲ, რომელი იშვა ერთისგან,
 20 ვითარ ერთი დასაბამად ერთთად. რამეთუ შარაევანდმან მისთა მზე-
 თამან ვიდრე | და ნივთისადმოცა იწარმოა, ხოლო მისგან წარმონი, C 149
 დაღათუ ნივთსა და ქუემდებარესა ეზრაზნეს, ანუ მოქენე იქმნეს,
 არამედ გუარ და არსება არიან, რომელთა აღმოსაჩენი თვს შორის
 მოაქუს თვთ მის ს ო კ რ ა ტ ი ს მიერ დამრავალსახებული «ფ ე დ ო ნ-
 25 ს ა ც ა » შორის და « ა ლ კ ი ვ ი ა დ ს ა », რომელთა შორის ეძიებს
 სულისა და ბუნებისათვს კაცობრივისა, და ვითარ კუალად იტყვს
 ტ ი მ ე ო ბუნებისათვს ყოვლისა. ხოლო აქა ეცეს საცნოსა განმგო-
 ნისასა, რომელ გუარნი არსება და მდგომარეობა არიან, ამით რომელ
 თვსთა წარმოდგომათათ და უგუარობასაცა ნივთისასა აგუარებებს და
 30 ადღებებს. ხოლო მოკლებითა | მათითა, გინათუ აკრებითა, ვითარცა A 93a
 შარაევანდელთაჲთა, ბნელ და უმდგო სხეულთა ანაგი და შერლუ თვს-
 თა ნახიბლთა სხუად ნახიბლად, ხოლო ცის-შორისი ნივთი ხუდაო
 და შებყრობილ იქმნა მთაერობითთა გუართაგან, რამეთუ მზადმან
 ყოვლისამან მიხედნაო ნამდვლ მყოფისა იგავთა, ვინაჲ მოჰართო და
 35 ალაშკო ანაქუსი ცისაჲ ხატად ბირველის მორთულისა და არსისა.

3 არ სადა] არსსა და D.—21 ნივთისადმოცა| ნათლისადმოცა E.—25 ეძებს
 ABDEH.—30 ადღებებს] ადგებენ F.—31 უმდგო სხეულთა] უდგრომელთა D.—
 სხეულთა < A (ა კ კ ჴ ა ; B- ჴ კ კ ჴ ა ჴ ლ ა) . — 32 ნახიბლად] ნახიბლთა A. — სხუად
 ნახიბლად < B (ex homoioteleuta). — 33 გუართაგან] გუართაჲ AB. — 34 მოჰართო
 დაჰართო D. — 35 პირველისა E.

«რამეთუ რომელსა ჰქონდის სიმარჯუე თვისისა მოქმედებისაჲ, სხვსა-მიერსა საფუძველსა არა არს მოქენე, შემცველი თვთებასა თვისსა». გესმაჲ, გამგონეო? რამეთუ იტყვს, ვითარმედ, რომელსა ჰქონდის სიმარჯუე თვისისა მოქმედებისაჲ, შემძლე თვსთა მიერ მოქმედებათა პურობად თვისისა არსებისა, და შემოიკრებდეს განუზნეველად მოქმედებისა მიერ თვსთა ნაწილთა, და ჰქონდის არსებაჲ და მოქმედებაჲ ურთიერთას განუყოფელად. ესე ესე ვითარი გუარი არა არს მოქენე საძირკუთა, ესე იგი არს ქუეშე მდებარეთა. ხოლო გონებასა არა აქუს სხუად განყოფილ მოქმედებაჲ და სხუად არსებაჲ, არამედ ერთბამ ორივე: ვინაჲ შესცავს თვისსა არსებასა თვისისა მიერ მოქმედებისა, და კუალად მოქმედებასა თვისისა მიერ არსებისა; რომლისათვისცა უმოქენო არს ესე ვითარი საძირკუთა მამყოფებელთა. ხოლო ვინაჲთგან არსებ'ასა სულისასა აქუს ესეითაჲ არსებაჲ, რამეთუ განჰყოფს თვსთა მოქმედებათა თვისისა არსებებისაგან, იქმნების

10 მოქენე საძირკუთა და შთამოიკრების სხეულთად, ოდეს რაჲ ანუ სცილდეს მოქმედებაჲ, ანუ სხუად იქცეს მოქმედებად.

C 150
A 93b

«და ესრეთ არს თვს შორის, ვითარ მიზეზსა შორის მიზეზოანი». ისმინე, თუ ვითარ იტყვს. ესე უკუე იცნობა შორის პირველთა, თუ ვითარ მიზეზსა შორის მიზეზოანი, ოჲ გამგონეო; განა-და სამად განიყო ხედვებ მიზეზოანისაჲ: კ ა ტ ე ტ ი ა დ, რომელ არს მებრ მიზეზობით, კ ა თ ვ პ ა რ ქ ს ა დ, რომელ არს მყოფობით, კ ა ტ ა მ ე თ ე ქ ს ა დ, რომელ არს თანმიქონებით, რომელნი მუნ ჰპოვნე. რამეთუ სიწლოსა მიესცენით აღმოსაჩენისასა. ხოლო აწ აქა არცა კ ა თ ვ პ ა რ ქ ს ა დ იტყვს, და არცა კ ა ტ ა მ ე თ ე ქ ს ა დ, არამედ კ ა ტ ე ტ ი ა დ, რომელ არს მებრ მიზეზობით. რამეთუ ითქუა, ვითარმედ მიზეზოანი მიზეზსა შორის მებრ მიზეზოვნებით, და ერთად და იგივეობად, და არა ვითარ სხუაჲ სხუასა შორის. ვინაჲ აწ აქა უსხეულოჲსა გუარისათვს იტყვს, ვითარმედ თვს შორისო, ვითარცა მიზეზოანი მიზეზსა შორის, მაგრა ესეითასა მიზეზოანსა იტყვს,

20 ვითარ არს კ ა ტ ე ტ ი ა .

«ხოლო არა ვითარ ადგილსა შორის, და არცა ვითარ წინამდებარესა შორის». იხილე აქაჲ სიწლოჲ ხედვისაჲ: «არა ვითარ ადგილსა შორის». კუალად სხუათა უძლიერესთა აღმოსაჩენთა დაპრთავს, რამეთუ არა რომელსა უსხეულოთა გუარათასა შესახავს განსაზიდი ადგილისაჲ, ანუ სადაობაჲ, რამეთუ ყოველგან სწორად

6 მიერ < AB. — 8 ქუეშემდე მდებარეთა AD. — 13 არსებაჲ < AB. — 15 საძირკუთა E, საძირკუთა F. — 16 სცალდეს ABDEF (აქაჲ: ნუ თუ სცილდეს ABDEF, ნუ თუ სცალდეს H). — იქცეს] იქმნეს AB. — 18 იცნობა] ენობა. EH. — 19 ოჲ] უფალო EF. — 21 კატვპარქსად H. — 22—24 რომელ არს — კატამეთექსად AD. — აქაჲ: აქაჲ: აქაჲ: აქაჲ: — 24 კატვპარქსად H. — 28 გუარისათვს] გუარისათ და D. — 29 და მიზეზსა AB. — 31 ხოლო] რ' AB. — 32 სიწლოჲ < AB. — 35 სწორი D.

წარმომდგომი არს, და ერთსა ადგილსა შორის, ხოლო სხეულთა-
 შორისი გუარი ადგილსა-შორისად იოცნების და იხილებისცა. რა-
 მეთუ ამას ზედა განსქდა წვალემაჲ არისტოტელის-|გამოთაჲ A 94a
 და ძეულთა ღმრთისმეტყუელთაჲ, რამეთუ პლატონ და ალლაო-
 5 ფიმოს და ორფეეს და ყოველნი ელეაჲთ-გამონი,
 ვითარ ბრძენი ელეატი ქსენ[ოფანი] და სხუანი ყოველნი პი-
 თალოროჲს-გამონი, ვითარ პარმენიდი და ზინონ არა
 აღრევენ უსხეულოთა გუარითა სხეულთა შორის, დაღათუ იყვნენ C 151
 ციერთა ნაწილისანი. არამედ აპორრჯად და ესეთთა ნაშარა-
 10 ვანდედად ნათლად იტყვან სხეულთ-შორისსა ბრწყინვასა გუართასა,
 და ვითარცა მზესა გონიერთა და გონებითთა უფსკრულთაგან წარ-
 მოაყენებენ, ესთავე ყოველსა გუარსა დაღათუ სხეულთ-შორისად
 ჩენილსა. მაგრა გაცდისა მიერ სხეული მის-შორისად ჩენილი, და
 არა მპყრობი მპყრობილსა შორის შეცუულად. და არცა მამკი მკო-
 15 ბილსა შორის, არამედ მკობილი მამკსა შორის. ვინაჲ იტყოდა
 ღმრთივი პლატონ, ვითარმედ თუ ვის უწადოს ხედვამან და გუარ-
 ნი ადგილსა შორის თქუნესო, თქუნესო რეცა თუ შემთხუვეით, რა-
 მეთუ სხეულთა თანშისქესებითა იოცნაო. ესე ესრეთ.

«და არცა ვითარ წინამდებარესა შორის». წინამდებარედ
 20 იტყვს ანუ ვითარ ნიეთსა, ანუ ვითარ სხეულსა შემთხუვეითათვს,
 ხოლო შენ ნუ ჰგონო გუარი უსხეულოთაჲ ესეთთა ქუეყნისმზომელ-
 თა ნაკუეთნი წინამდებარესა შორის, ანუ ვითარ ნართი და შეწყო-
 ბაჲ სამუსიკელოთა შორის ორღანოთა, რამეთუ ესენი სივლტოლასა
 შორის ნივთისასა (ობონტე) წარივლტიან. ხოლო გუარი უსხე- A 94b
 25 ულოჲ სამარადისოობასა შორის დგას, ვითარცა არსებაჲ არსებათ-
 გამოჲ.

1 წარმოდგომი AD.—და ერთსა ადგილსა შორის] მასჲ ჰათოჲჲთი C-ს ად-
 ჰ.ჲჲ სქჲჲჲ: და არა ადგილსა შორის.—2 იოცნების] იცნობების E.—იხილებისცა
 BD, იცნობებისცა ACEH, იცილობისცა F.—4-5 ალლოფიმოს AB, ალილოფიმოს D.—
 5 ელეაჲთ ელეაჲთ-გამონი A.—6 ელეატიქსენი codd. (ელეატკჲსენი F).—8 უსხეუ-
 ლოთა < AB (საკჲჲჲ). - 9 ციერთა] წერილთა AB.—არამედ] და D.—10 სხეულთა
 შორის ბრწყინავს [. . .] და ვითარცა AB.—11 უფსკრულთაგან] უფსკრუ-
 ლთა და D.—12 ყოველთა AB.—13 სხეული] სხ'ლი A, სახელი B.—მის შორისად
 ჩენილი] მისი შესაჩენელი AB.—14 მპყრობილსა] მპყრობელსა A, მპყრობელსა B.—
 14-15 მკობელსა შორის A.—15 არამედ მკობილი მამკსა შორის < E.—16 უწო-
 დოს E.—17 თქუნესო, თქუნესო] თქუნესო AB.—18 იოცნაო] იცნაო E.—21 ეს-
 ვითა] ე ვითა ABFH, ვითა E.—22 ნაკუშთი E.—წინამდებარესა შორის] წინამდე-
 ბარეობს D, წინამდებარეთაჲ AB.—24 ობონტე < C.

თ ა შ ი 42

«შოველი თვთმღვომი თვსლა მიმართ არს უკუშქცევე. რამეთუ თვსგნით იწარმოებს, და უკუნქცევასაცა თვსლა მიმართვე ჰყოფს. რამეთუ სადაჲთ წარმოობაჲ თითოეულინსაჲ, მისდად და

5 **შერაბამებული უკუნქცევაჲ**. თუ ვითარ უკუნ იქცევიან გუარნი A 95a
 უსხეულოთანი და თვთმღვომნი თვსთავე თვთებათა, პირველთა შორის გარდაიცა. ხოლო ესე იტყვის, ვითარმედ, სადაჲთცა არსე-
 ბითი და პირველი აღძრვაჲო, მუნადვე კუალად უკუნ ქცევაჲ შერა-
 ბამებული. გუესმა პირველთა შორის, ვითარმედ ყოველი უსხეულოჲ

10 **გუარი თვსდადვე უკუნ იქცევის და ჰყოფს სფეროსა თვსდამი უკუნ ქცევისასა.** რამეთუ, ოდეს რაჲ თვსთა მიზეზთა ეზიარებოდის, პირ-
 ველ თვს შორის ერთსა ეზიარების და მერმელა თვს-შორისისა ერ-
 თისა მიერ უზესთაესთა ერთთა და მიზეზთა. და ესრეთ ერთითი ერთად ვიდრე ერთთაცა ზესთაჲსადმი ერთისა.

15 «**ხოლო რომელი შემძლე იყოს ჰყრობად თვსლა, შეუძლებს, უკუე ყოველი მიზეზი თვს გამო არსებასავე თანა, რომელ მისცა და კეთილობასაცა არსებისასა**». გუეტყვს, ვითარმედ რომელი მი-
 ზეზთა იყოს ესეითაჲ ძალითა, რომელ პირველ თვთ თვსსა თვთე-
 ბასა იპყრობდეს იგი თვსგნით წარმოარსებულსა, პირველ არსებასა

20 **წარმოუარსებს და მერმე კეთილ ჰყოფს მას, არა თუ არსებაჲ იყო მისი არ კეთილ და შემდგომად გააკეთილა.** არამედ რაჲ არს ესე თუ კეთილ ჰყოფს? ვითარმედ სრულებად მოიყვანებს, ვითარმედ ძალთა მის-შორისთა აღსძრავს მოქმედებად, ვითარმედ კუალად უკუ იტრფობს: ამას და ესეითასა ერქუმის კეთილ ქმნაჲ და გაკეთებაჲ.

25 «**ვინაჲ მისცემს | თვთებასაცა თვსსა. რამეთუ | ესე არს საკუ- თარ თვთმღვომარისა და კეთილობა**». ვითარ მისცემს თვთებასა თვსსა? რამეთუ თვთებანი მიუდრეკელ არიან, რამეთუ არ განველ-
 თის მიზეზსა მიზეზობაჲ თვისი, რაჲთამცა იქმნა მიზეზოან, ვითარ მამასა მამობაჲ, რაჲთამცა მისცა ძესა თვისი მამობაჲ. ხოლო აწ რაჲ

30 **არს ესე, რამეთუ იტყვს, ვითარმედ მისცემს მიზეზოანსა თვთებასაცა თვსსა? ესე არს ესე, ვითარმედ თითოეულთა სირათა შორის, ვითარ ანუ ცხოველობისასა, ანუ გონებისასა, ანუ სულისასა, ანუ ბუნები-
 სასა, ანუ სხეულთასა—ამათ ყოველთა სირათა მთავარნი და პირ-**

C 153
A 95b

4 წარმოებაჲ F.—7 იტყვს] არა იტყვს A (არა წარტალკაჲა ნახულა).—8 მუნადვე] უნდავე D.—10 თვსდამი] თვსდმი CH, თვსდმე D.—13 ესრეთ ერთითა D.—14 ერთად ვიდრე] ერთადვე AB, ერთადვე EH, ერთად ვე D, ერთადვე ვე F.—ზესთაჲსად მიერისაჲ AH, ზესთაჲსად მიერთთა D.—15 შეუძლებენ D.—18 თვთ < D.—21 არა კეთილ EH.—22 ვითარმედ] ფრიად E.—24 გაკეთილება E.—28 მიზეზობაჲ] მიზეზობისასა D.—29 თვისი] თვისა H.

ველნი დასაბამნი სირათანი მისცემენ თვთებათა თვსთა. რამეთუ გონებაჲ პირველი გონებაჲ ჰყოფს შემდგომთა; და ცხოველობაჲ პირველი ცხოველ შემდგომთა; და სული პირველი სულ შემდგომთა; და ბუნებაჲ პირველი ბუნება შემდგომთა; და სხეული პირველი სხეულ შემდგომთა. და არ იცვალეზიან თვთებანი, სხუათა სირათანი სხუათადმი. ესე არს პირველთაგან და მიზეზთა მიცემაჲ თვთებათა შემდგომთა მიმართ.

თ ა ვ ი 43

თვსდადვე უკუნ ჰცემისათვის

10 «წოველი თვსდადვე უკუმქცევი თვთმდგომარე არს, და არსებაჲცა თვსი თვს მიერ აქუს». აქა საძიებელი შემოვა დაფრიალებული სიღრმითა, თუ ვითარ აქუს თვსი არსებაჲ თვს მიერ, რამეთუ ზენათა შორის აღმოიჩინა, ვითარმედ ყოველი არსებაჲ სირასა C 154 შორის მიზეზთაგან მიზეზოანთაჲ, და აწ ვითარ თვთ თვს მიერ. ის-
 15 მინე, თუ რაჲ არს თვსდადვე უკუნ ქცევაჲ უსხეულოჲსა გუარისაჲ. გაკსოვსა, ოდეს ვიტყოდეთ ზენათა შორის, ვითარმედ ყოველი უკუ-
 დაესა ხუედრსა ხუედრებული და უსხეულოჲ გუარი პირველ თვს-
 დამი და თვსისა კენტროჲსადმი უკუ ეტრფისო? ესე არს, განმგო-
 ნეო ხედულო გონებისგან, რამეთუ ყოველთა არსთა შორის დათე-
 20 სულ, ვითარ თესლნი მის ერთთა დღისა ერთისა და კეთილობისანი. ხოლო, ოდეს რაჲ უკუ ეტრფობოდის უსხეულოჲ არსებაჲ თვსდამი, მას თვს-შორისსა ერთსა უკუ ეტრფის, რომელი მოაქუს მიზეზად თვსი-
 და მის მიერ კუალად ზესთათა ერთთა უკუ ეტრფის. და ესთავე მის
 25 გამო უთქვსა ერთისამდის, რომელი ზესთა ძეს ერთობასაცა და თვთ მას კეთილობასა. მაგრა ესე წადილმან ჰკრსოთა ჩვენთა სურვილი-
 სამან ჰკადრნაო, იტყვს სოკრატო.

«ხოლო თუ კეთილობასა თვსსა დაიცავს, და მყოფობაჲცა თვსი A 96b დაიცვას»: ესე იგი არს, ვითარმედ თვს შორის მომგები და მცველი
 30 კეთილობისაჲ და არსებასაცა თვსსა დაიცავს უბრწუნელად, რამეთუ მის-შორისი კეთილობაჲ უკუდავებს და არსებასაცა მისსა, ვითარცა ზესთასა ყოველთა სახრწნოთა. რამეთუ ყოველი ხრწნადი თვთ თვსისა სიპავისაგან იხრწნების.

2 გონება < E.—3 სული პირველ D.—11 შემოვიდა E.—13 ვითარმედ] რ' AB.—სირათა A.—16 ვიტყოდით F.—20 ერთისანი D.—21 ეტრფებოდის DEF, ეტრფებოდის A.—არსებაჲ] არს AD.—თვსდამი CFH, თვსდადმი D.—22 უკუჲ ეტრფის AD.—24 ზესთა D.—25 გამოუთქმელ ერთისა მ'დის D.—32 რამეთუ < A.

თ ა ვ ი 44

«**ძოველი მოქმედებით თვსდადვე უკუნშქტევიღა არსებით-
ცა უკუნქტეულა თვსდადვე**». ისმინე, გამგონეო, სიკშოჲ და
შუენებაჲ აღმოსაჩენთაჲ. გაკსოვსა, ოდეს მოქმედებისა და არსები-
5 სათვს სიწლოსა აღმოსაჩენთასა და სივრცესა თხზულებისასა მივე-
ციოთ? რამეთუ მაშინ ითქუა, ვითარმედ ყოველსა გუარსა არსებაჲ **A 97^a**
დაუმჯობესდების მოქმედებისასა. რამეთუ, ითქუას რაჲ მოქმედებაჲ
ვისი არსო და რომლისა არსებისაჲ, ხოლო ყოველი ვისი და რო-
მლისაჲ შემდგომი არს მისი, რომლისაჲ იყოს და ვისი. და კუალად
10 მიზეზთაგან და მამათა პირველ არსებანი წარმოიყენებიან, და მერ-
მელა მოქმედებანი. ხოლო უკუეთუ თქუას ვინმე ყოველი უკუმეტრფი
პირველ მოქმედებით უკუტრფობად და მერმელა არსებით, დასცილ-
დეს ხედებაჲ ქეშმარიტებისაჲ, რამეთუ არ ეგოს პირველი შემდგომად
და არცა მიზეზი უკუნანახსენელ მიზეზოანისა. ვინაჲ ყოველი უკუ
15 ტრფობაჲ და უკუნ ქტევაჲ პირველად არსებით და მყოფობით, და
შემდგომადლა და მოქმედებითცა. არამედ ესე არ ეგოს, თუმცა არსებაჲ
უკუნ იქცა და უკუ ისტერა თვსდადვე. ხოლო მოქმედებაჲმცა თვსი
არა უკუ იტანა. რამეთუ ყოველსა მოქმონან თვს-გამონი ძალნი
და ნაწილნი თვს თანა, და არა გამოთა და ნაწილთა ყოველი. ესეითა
20 ცასა მოქმონან თვსსა მიდრეკასა შორის სფერონი ყოველნი, და
არა სფეროთა უცთომი სფეროჲ. ვინაჲ შესწავეებით იყოს გასამეცნო,
ვითარმედ ყოველი არსებაჲ უპირველეს უკუ ეტრფოს თვსსა თვთე-
ბასა არსებითსა, ხოლო შემდომადლა მოქმედებაჲ, ვითარ თანტანე-
ბული, მაგრა არა იძულებული. რამეთუ თანტანებისა სახე ორ **C 156**
25 სახე არს: ვითარ იძულებითი, და ვითარ ბუნებითი და შორისი.

«**რამეთუ უმჯობესისა მიერ არს მაარსებელ თვსდა და სრულ
მყოფელ, ვიდრე არა სხვსა მიერ ცხოვნებულ**». დაპრთო კუალად **A 97^b**
აღმოჩენაჲ სიცხადისათვს და თქუა, ვითარმედ უმჯობესისა მიერ
იქმნების სრულ და არსდების. რამეთუ არსებაჲ თვსითა თვსდავე
30 უკუსტერებითა იქმნების უკუდავე და სრულ და არა უდარესითა კერ-
ძოთა.

«**რაჲთა არა მხოლოდ იმოქმედებს ოდენ თვსდა მიმართ, არა-
მედ მყოფობასაცა თვსსა თვს მიერ იპყრობდეს და სრულ მყოფ-
დეს**». გუესმა აქა, ვითარმედ უკუნ ტრფობანი განიყოფვიან. რამე-
35 თუ უკუ ეტრფის არსებაჲ თვსსა ერთებრივსა ერთთასა და კენტრო-
სა, რაჲთა იარსოს თვსისა მიერ ერთისა, და აკეთილდეს თვს-შორი-

8 ვისი და] ვისი AB.—15 პირველად] ად H.—18 ძალნი] ძალი ABCEF.
—19 თვსთანი D.—22 უკუშ ეტრფოს ABDE.—24 რამეთუ თანტანებისა] რლთთა
ტანებისა AB.—26—31 რამეთუ—კერძოთა < A.—32 თვსდა] თვსთა D.

სისა მიერ ღმრთისა. არამედ მოქმედებითი უკუნქცევად შემდგომ-
თავან არს და ვერ ეკმაბების მყოფობითსა მდგომარეობასა, რათამცა
უკუდავ ყო არსება უკუმეტრფისა.

თ ა ვ ი 45

«**პოველი თვთმდგომარე აუგებელ არს, გუამოვნებით.**»
 იტყვს და თან დაუთანაებს თვთმდგომარეობასა ალუგებელ-
 ბასაცა. რამეთუ ყოველი ალგე'ბული ქუე დაუშთების თვთმდგომ- C 157
 რეობასა, რამეთუ დალათუ იყოს უკუდავთა ნაწილისაჲ, ვითარ ესე
 ყოველობაჲ ცისაჲ, რამეთუ არცა მას მოუგის ბუნებით თვთმდგო-
 მარეობაჲ, არამედ დაბუნებებულად და არა ბუნებით. რამეთუ უსხეუ-
 ლოდასა გუარისა თანდაბუნებებითა იქმნა და იპაზრა იგი თვთმდგო- 1
 მარედ. ხოლო ვითარ სხეული უცხო არს ხუედრისა ამისგან, არამედ
 თანმეარსებითა სულისაჲთა იქმნა იგი ვითარ თვთმდგომარე, რა-
 მეთუ ყოველი თვთმდგომარე ალუგებელ. ვინაჲ დაუქსნელცა, რამეთუ
 15 რომელსა თანმიცემით ჰქონდის თვთმდგომარეობაჲ, თანმიცემითცა
 ჰქონდის ალუგებელობაჲ. ხოლო რომელსა თანმიცემით და ზიარე-
 ბით ჰქონდის ალუგებელობაჲ, ცხორებისაცა და უკუდავებაჲ თან-
 მიცემით და ზიარებით ჰქონდის, ვითარცა სხეულთა ცისათა, რამე-
 თუ სხეულთა თანმეარსებითა მის-შორისი ცხოველობაჲცა და
 20 უკუდავებაჲ.

«**და რამეთუ ქმნაჲცა გვარ|ვიდრემე არს, უსრულობისგან A 98b**
 წინმეწყვისა თვისისა სრულებისადმი». ესე სიტყუაჲ დიდად მრუმედ
 დადვა არისტოტელი, ხოლო შენ შენ-შორისი გონებაჲ ხადე
 ერმაულთაგან, ზ გამგონეო, თუ ვითარ «და ქმნაჲცა გუარ ვიდ-
 25 რემე არს». ისმინე, ვითარცა მეცნიერმან გუართამან, რამეთუ გუარი
 ვითარ იყოს რაჲვე გუარი აღარ იქმნების, რამეთუ გუარნი და
 თვთებანი გუართანი მიუდრეკელ არიან, ხოლო ყოველი ქმნაჲ მი-
 დრეკასა შორის იხილვების; ხოლო მიდრეკაჲ უცხო და წინამწყო
 დგომასა და გებასა. ვინაჲ იტყვს არისტოტელი შორის «აკ-
 30 როასსა ფისიკისასა», ვითარმედ ქმნაჲცა გუარ ვიდრემე არს.
 არ იტყვს თუ გუარ, არამედ ქმნაჲცა გუარ ვიდრემე. რაჲ არს ესე?
 რამეთუ ყოველი გზასა და მიდრეკასა შორის ხილული ბუნებითსა,
 ვითარ გუარ არს, მაგრა ჯერეთ არა გუარ, ვითარ სახედ თესლი

1 მოქმედებით C.—5 არს იტყვს A.—9 რამეთუ არცა < AB.—11 პაზრა
 ABCDF.—14 დაუქსნელთა AB.—16—17 ჰქონდის ალუგებელობაჲ — ზიარებით
 < D (ex homoioteleuto).—22 წინმეწყვისა ABD.—და ესე E.—23 არისტოტელმან
 F.—26 აღარ არღა F (მ სიტყუე მითითებით იქმნაჲ უწყა: ნუ უმე აღარ)
 D.—29-30 აკროას საფსიკისასა ABH, ასკროასსა ფსიკისასა C, აკროას საფსი-
 კისასა D, აკროს საფსიკისასა E.—30 ვითარმედ—არს < F.

რამ იქმნებოდის შორის საშოსა ცხოველთასა, ვითარცა რამ გზასა შორის არს ქმნისა და მიდრეკისასა, და ვითარ გუარ არს და არა გუარ. | რამეთუ მაშინდა არს გუარ, ოდეს მიიღოს თვისი სრულებაჲ. და C 158
ესთავე სახლი ქმნასა შორის ხილული ვითარცა სახლ არს და არა
6 სახლ. ხოლო ოდეს მიიღოს გუარი, მაშინ არლარამ იქმნების, რამე-
თუ გუარნი მიუდრეკელ არიან. არამედ ესე და ესეთაჲ ყოველი
სხეულთ-შორისთა გუართა ზედა, ხოლო უსხეულოჲ გუარი და უცხოჲ
წინამდებარისა საფუძველისგან, არ | ვიდრემე მოქენე ესეთათაჲ ზესთა A 99a
ძეს ესეთაჲსა ყოველისაგან.

10 «ხოლო წარმოშობისა არსებისა თვისისაჲ სამარადისო არს,
რამეთუ ნიადაგ მიზეზსა შორის თვისსა ჰგიეს, და უფროჲს ხოლო
ერთ არს თვისისა მარსებელისადმი». კუალად დაჰრთაეს ხედვასა
ხედვათა ზედა და იტყვს, ვითარმედ ყოველი თვთმდგომი და უკუ-
მეტრფე თვსდადვე ჰგიეს თვისსა მიზეზსა შორის, და ერთ არს მას
15 შორის ვითარ იგი ერთ არს თვს შორის. რამეთუ არა თუ გარეთ
უკუ ექმნების მას, რამეთუ ყოველი მიზეზოანი თვისსა მიზეზსა შორის
ერთ, ვითარცა თვს შორის, არამედ მიზეზსა შორის მიზეზობით,
ხოლო თვს შორის მყოფობით, ხოლო შემდგომსა შორის თანმიცე-
მით, ვითარცა პირველთა შორის აღმოიჩინა.

20 **თ ა ვ ი 46**

უხრწნელობისათჳს თვთმდგომისა

«შოველი თვთმდგომი უხრწნელ არს. ხოლო თუ განიხრწნას,
განეყენოს თვთებასა თვისსა».

თანა გუაც, რამთა დაეხედვიდეთ სიწლოსა ხედეისასა. ხოლო C 159
25 ესე ხედვაჲ იტყვს, ვითარმედ, რაოდენითა განეყენებოდის არსებაჲ
თვისსა თვთებასა, ეგოდენცა იქმნების უარსებო და უმყოფო. რამეთუ
პირველ თვსთა მიზეზთადა თანშეკრულ არიან უსხეულონი და უხრწ-
ნელნი გუამნი, და მერმე თვსთა თვთებათა, და რამეთუ განუკიდებე-
ლი აქუს მყოფობაჲ თვისთა მიზეზთაგან. რამეთუ ყოველი ყოველითურთ
30 მიზეზოანი მიზეზსა შორის, ვითარ უსხეულოჲ უსხეულოსა შორის.
ხოლო შენ, მსმენელო, აქა მომეც საცნოჲ ხედვისაჲ, თუ ვითარ
განუყენებელ მიზეზისგან მიზეზოანი. რამეთუ არა თუ ეამი ჩამოე-
ჭრების მათ საშუეალ, ვითარცა პირველობისა და შემდგომობისა,
ვითარ ესე ხრწნაღთა და სხეულოანთა ზედა მიზეზთა და მი-
35 ზეზოანთა და არცა ადგილი ესე სხეულთაჲ შესცავს მათ, ვითარ
კიდე გდებულსა მიზეზოანსა მიზეზისგან; არამედ უპყრიეს მიზეზსა

2 ქმნისა H.—7 სხეული შორისთა F.—15 გარე H.—19 პირველსა AB.—
25 რაოდენთა F.—34 სხეულიანთა C.—ზედა] და EF.—35 მათ] მას F.

მიზეზოანი თვს შორის; და არს ადგილ მისდა, ვითარცა გარეშემ-
 ცველი ძალითა, და არა გარემოთხეული, ვითარ სხეულოანი ესე ად-
 გილი სხეულთადა, არამედ ვითარ ძალი მის-გამოა უზესთავისა ძალსა
 შორის. | და კუალად არცა უსრულობისგან სრულებად მოვა, რა- A100a
 5 მეთუ არა ჰმსთავრობს მას ეამითი წარმატებაჲ, არცა ასაკითი ასა-
 კად მიცვალებაჲ, ამისთვის რომელ მატებასა და მოკლებასა არ
 მიითუალავს. რამეთუ ყოველი მატებაჲ და მოკლებაჲ მიდრეკაჲ არს,
 ხოლო ყოველი უსხეულოჲ გუარი მიუდრეკელ არს, ადგილითაცა
 და რომელობითა. და ესრეთ ჰგვის, ვითარ სიტყუაჲ სულსა შორის,
 10 მიზეზსა შორის მიზეზოანი, და არა რომელთა ამათ სახეთა მიერ
 განუყენების მიზეზსა მიზეზოანი. ხოლო ყოველი განუყენებელი და განუ-
 შორებელი თვისისა თვთებისგან და თვისისა მიზეზისგან უზრწნელ და
 სამარადისო არს, და ჰგვის თვისსა მიზეზსა შორის.

თ ა ვ ი 47

16 განუნაწილებელ ობისათვს თვთმდგომისა

«ყოველი თვთმდგომი უნაწილო არს და მარტივ». იტყვს აღ-
 მოჩენაჲ, ვითარმედ «ყოველი თვთმდგომი უნაწილო არს და მარ-
 ტივ». ხოლო თუ ვინ დადვას ნაწილთ-მიერად და შედგმულად თვთ-
 მდგომი, შეემთხვოს მრავალი უჯერობაჲ: პირველ, რამეთუ მისცემს
 20 მას ასოთა და კავშირთა, რომელთა მიერ შეიყენოს, და იყოს მის
 შორის უმჯობეს უდარესობაჲ, ვითარ ესე ამათ ოთხთა ასოთა მიერ-
 თა ზედა იხილევების; რამეთუ ცეცხლი და აირი უმჯობეს შედ-
 გომილთა შორის, და მათ-მიერიცა რომელობაჲ უმაცხოვენებელეს,
 ვითარ უფროჲ დრასტირიაჲ. ვინაჲ ესე და ესეითაჲ ყოველი უცხო
 25 და არა ჯერ უსხეულოთა გუართა ზედა. განუნაწილებელ ვინაჲვე და
 მარტივ ყოველი თვთმდგომი.

თ ა ვ ი 48

სამარადისო მსთვს

«ყოველი არსამარადისოჲ ანუ თანშედგმული არს, ანუ სხუასა
 30 შორის მდგომი». აწ აქა გაყო ორად არსამარადისოჲ, რამეთუ ყო-
 ველი არსამარადისოჲ | ანუ კავშირთა და ასოთაგან არს შედგმულ, C 161
 და კუალად მათდა მიმართვე აღდნეს, რომელთაგანცა შედგა, ვითარ
 ესე მოკუდავთა ცხოველთა ბუნებაჲ საცნაურ ჰყოფს. და კუალად
 სხუაჲ სახე არსამარადისოობისაჲ, ოდეს იგი იყოს მოქენე წინამდე-

2 ძალისა AB, ძალი D.—3 სხეულთად E.—5 ეამითა AB, ეამით E.— ჰა-
 საკითი ჰასაკად EFH.— 17-18 და მარტივ < AB.— 18 ხოლო თუ ვინ— თვთმდგომი
 ოდეს EFH.— 21-22 მიერთა ზედა | მიერ რთა ზედა D, მიერ რთა ზედა AB.

ბარესა; ვითარცა ფერნი და ნაკუთონი ნივთსა სხეულისასა, რამეთუ იქცეს რაჲ სხეული, მყის იგინი უმყოფო იქმნებიან, ვითარცა სტაგირელისა ენტელექიანი. ხოლო მარტივ ყოველი დაუკსნელ და განუბნეველ და მგებ თვს შორის და თვთმდგომ.

თ ა ვ ი 49

«ყოველი თვითმდგომი სამარადისო არს». რამეთუ თქუნა რაჲ მიზეზნი არსამარადისობისანი, პირველი ასოთა მიერ შედგმულებაჲ, ხოლო მეორე წინამდებარისა მოქენეობაჲ.

თ ა ვ ი 50

საუკუნოდასა და ჟამიერიასათჳს

ამას თავსა შორის ფრიად სათანადონი და ძნელნი მოჰქონან ხედვისა გაცდა-ჰურეტანი: ვითარ თუ რაჲ არს ბუნებაჲ ეამისაჲ, ანუ ვითარ ეამის-შორისნი, და თუ ვითარ აქუს ეამისა მიმართ თვსებაჲ თვისი, და თუ ვითარ განეყოფიან სამარადისოთა მდგომარეობათა.

და უფრო ხალეპო ესე, რომელ ეამი არ ენაცვალეების ხრონოსა, არამედ კეროსა ხოლო კეროჲ ნაწილ ოდენ არს ხრონოდასა. და აწ რაჲ ვყოთ, ზ მოსწავლეო ხედულო გონებისგან, მოვედ და ელლენთა-ვე ენადლეობასა უვაბადლოთ, ვითარცა მქომმარჯუსა გონიერთა ხედვა-^{A102a}თასა. ხოლო ამის ხრონოდასათჳს აღმოსაჩენთა მისცემენ დიდთა უმ-

დაბლესადრე და უშთამოვსად პერიპატოჯოთ არისტოტელის-გამონი. რამეთუ იტყვს არისტოტელი: ხრონოჲ არსო საზომი მიდრეკისაჲ, ვითარად საზომი პირველისა მიდრეკისაჲო. ხოლო პირველი მიდრეკაჲ პირველსა შორის სხეულთასა, რომელსა ცად, ორანოდ, უწოდა გუარმან ელლენთა ენისამან, რომელ

არს ზე-ალსახედი, ანუ საზღუარი ზენაჲ. ამას ორანოსა შორის პირველი მიდრეკაჲ, ვითარცა პირველსა სხეულთასა, ხოლო საზომ მიდრეკისა ხრონოჲ. ხოლო ესე საზღუარი ხრონოსათჳს არისტოტელისი და პერიპატოჯოს-გამოთაჲ არს. ხოლო დიდი პლატონ და ყოველნი ღმრთისმეტყუელნი, ვითარ მეგჳპტელი

დიდი პლოტინოს, კათიგემონი პორფირისი, და დიდი იამ-

1 ფერნი და < AB.— რამეთუ < D.— 3 ყოველი ყნი ყნი A.— 6 თქუა E.— 13 თვთებაჲ F.— 15 ესე არს რომელ D.— 16 კეროსა] კერძოსა C.— კერო] კერძო C.— 17 ხელლენთავე A.— 18 მომმარჯუსა] ომარჯუსა D (წინა ეოჲლა უმარჯუსა).— 22 ვითარად] ვრმედ D (მ წაჲკე-ულა).— 25 ორანოსა] ორლანოსა D.— 28 არისტოტელისა CEFH, არისტოტელისაი A.— 30 პორპირისი ABCDEH, პორფირისი F.— 30-გჳ. 108, 1 იამელიხოსს A, იამელიხოს DEH, იამელიტოს C.

ვლიხოს ფინიკ, გონებაჲ ფინიკელი, დასდებენ ხრონოქსათჳს და იტყჳან ხატად სამარადმყოფსად. რამეთუ ვითარცა სამარად- C 163
 მყოფსა შორის ყოველი მიუღრეკელად, და ვითარ იგივეობასა ზედა
 და მსვეობასა მოუგია არსებაჲცა თჳსი და მოქმედებაჲ განუკუეთელად
 5 არსებისგან, ეგრეთეუ ხრონოქს-შორისსა ყოველსა მიღრეკისა და
 დენისა მიერ. რამეთუ მუნ შორის სამარადისობასა მყოფობაჲ უძ-
 რაჲვად გამანებულ არს, ხოლო აქა ხრონოსა შორის მარადი-
 სობაჲ პირველად და შემდგომად და გარდასრულად, და აწად და
 მომავალად განყოფილ არს: რამეთუ მუნ საუკუნოჲ, ხოლო აქა დი- A 102b
 10 ნებაჲ ხრონებრი; მუნ განუკუეთელი იგივეობაჲ არსებითი, ხოლო
 ხრონოსა შორის განჭრიფი და ცვალებითი. ხოლო მიღრეკასა
 პირველსა, ვითარცა ითქუა, დასდებენ ცასა შორის და იტყჳან და
 აღმრთისმეტყუელებენ მას, რამეთუ ხატად დასდებენ მას პირველისა
 შემოქმედებითისა აღძვრისა მბადისა მიერ ყოველთაჲსა, რამეთუ მან
 15 ზესთამან მიუღრეკელად ჰრთო და აღამუსიკელნა გუარნი გონიერნი
 ნამდვლ მყოფისა მზეთა და ნაქუსთა შორისო. ხოლო შენ ნუ გიკვრს
 ესე, რომელ მუნ მიუღრეკელად ყოველი აღძრვაჲ შემოქმედებითი,
 ხოლო აქა ნიადგ მიღრეკასა შორის. და კუალად მუნ მარადი-
 სობასა შორის, რომელსა არა აქუს გარდასრული და აწი და მო-
 20 მავალი, არამედ ვითარ ერთბამად ყოველი. და აქა ბაძვაჲ ოდენ,
 და მსგავსებაჲ, და ხატ ქმნაჲ; ხოლო მუნ იგივეობაჲ, თვთობაჲ, იგა-
 ვობაჲ. რამეთუ ხატნი ყოველნი იგავთანია ხატ, ვითარცა იტყჳს
 პლატონ, არამედ მუნაჲ აღმკული ყოველი დაიპყრეს იგავთა და
 იგავის იგავთა. ხოლო აქაჲ ესე ნახიბლი დიოქსი ხატთა და ხა-
 25 ტის ხატთა.

ისმინე, ზ გამგონეო ხედულო გონებისგან, რამეთუ მრცხუე-
 ნის მე თვთ მის ქეშმარიტებისგან აქაჲთ წარსულსა და მკუდარსა,
 თუ არსთა წილ არათა გარდმოვაენებდე. იმეცნე, რომელ ხრო-
 ნოსა ჟამი ვერ გარდამოიტვტრავს, არამედ ძალით ოდენ კეროსა,
 30 ხოლო კეროჲ ნაწილი არს და ნაწილის ნაწილი ხრონოქსა. ვინაჲ A 103a
 აწ ესე ყოველი იპყარ შორის გონებასა და ნუ საოცსა. და შეეგხნეთ C 164
 ძალსა ამის თავისასა.

* «შოვლისა ჟამისა მიერ განზომილისა ანუ არსებით ანუ მოქ-
 მედებით ალგებაჲ მისდა არს განზომაჲ ჟამისა-მიერი. ხოლო თუ
 ჟამისა მიერ განიზომების, ესაკუთრების მას».

2-3 სამარადმყოფსა შორის CDEFH.—7 გამანებულ H.—8 შემდგომად და] შემდგომად H.—და აწად] აწად AB.—10 არსებით E.—11 განჭრილი D.—მიღრე-
 კისა CEFH.—21 თვთებაჲ F.—21-22 იგავობაჲ] იგივეობაჲ კეროსა] კერძოსა C.—30
 კეროჲ] კერძოჲ C.—31 იპყრას ABFH (აქაჲჲ; იპყარ FH).
 * მ ი ს რ ა ე ა ი ს წ ს ა მ ა ი ზ ე ზ ე ა ი : იქ ა ნ ე ე . მ ი ს ი ვ ე C .

ვითარ აწ ესე ხედვანი? რამეთუ ესთა, ვითარმედ, რომელსა
ქამი განზომს, ქამივე შეიცავს. ხოლო რაჲ არს ქამისა-მიერი გან-
ზომამ? მოიღე და ცხოველთა ზედა სახე: რამეთუ განზომს ყოველ-
სა ცხოველთა აგებულებასა ქამი, ვითარ მოქცევი შხისაჲ ამის
5 ზოდროსგან ვიდრე ამისდადმდე ესეზომ; და მოქცევი დიოჲსი
ამისდამდე ესეზომ; ვინაჲ ამათ მოქცევთა შორის მიდრეკაჲცა და
ქამი, რომელსა ენი თი ქართულთაჲ წელიწადდ უწოდს. ხოლო
ოდეს რაჲ ვიტყოდით, ვითარმედ ესე ესთენთა წელთაჲ არს, მართ
თან მიუქმთ მის ქამისა მიერ განზომასა. რამეთუ წელიწადი ყოველი
10 ქამისა მიერ და ქამის-შორისისა მიდრეკისა. ხოლო თუ ასაკი ცხო-
ველთაჲ წელიწადისადა არს დამოკიდებულ, ხოლო წელიწადი ყოვე-
ლი ქამიჲ, ნუ უკუე ასაკი ყოველი ქამისადა დამოკიდებულ არს,
და განიზომების მის მიერ, ვითარ ესთენისა და ესთენისაჲ, რომელ-
საცა თანა ჰასაკინიცა სდევდენ, ვითარცა გაზომილნი ქამისა მიერ,
15 და დამოკიდებულნი ქამისადა. ვინაჲ ესე არს განზომამა ქამისა მიერ.
ხოლო თვსებამა ქამისა და ცხოველთაჲ იქმნების ესთა, რომელი
ქამმან წარმოაყენა და ალაგო, ვითარმცა იყო უთვსოჲ მისგან, რა-
მეთუ ქამისა მიერ მყოფობამა და ქცევამა ასაკითი ასაკად, და კუა-
ლად ქამისავე მიერ მოკლებამა ყოველთა ალგებულთაჲ. ესე ამის-
20 თვს, რომელ ხატი და მსგავსებამა არს საუკუნოჲსაჲ, და ვითარცა
მარადმყოსა შეუცავს გონიერად აღმკული თვს შორის და მიუდრე-
კელად, ეგრეთვე გრძნობადი ესე ქამსა საყოველთაოსა: რამეთუ
საყოველთაოჲ ქამი საყოველთაოსა შორის სხეულსა, რომელ არს
C 165 ცაჲ; ხოლო ნაწილებითი ნაწილებითთა შორის სფეროთა; ხოლო
25 ყოველნი ნაწილებითნი საყოველთაოთა მიერ იპყრობვიან, ვითარ
სხუასა ადგილსა შორის აღმოაჩინოს სიტყუამან «ყოელისა და ნაწი-
ლისათვს».

«რამთა ქამთაებრ იყოს, და იმოქმედოს» ქამთაებრ. ესე არს
ესე: რომელსა არსებამა ქამითი მოუგია, და მოქმედებამა ქამითივე
30 აქუს; და ვითარ ქამი მარადის დენასა და გარდადენასა შორის,
ეგრეთვე ქამის-შორისიცა არსებამა დენასა და გარდადენასა შო-
რის. რამეთუ რომელნიმე მოქმედებით ოდენ შორის დენასა, ხოლო
არსებით იგივეობასა და მასვეობასა ზედა, ვითარცა სფეროთა და
მნათთა, რამეთუ მოქმედებამა მარადის ასხუადებების, ხოლო არსებამა
35 უიგივეობს. ხოლო რომელნიმე არსებითცა და მოქმედებით დაუწ-
ყუედელსა შორის დენასა, ვითარ ყოველთა ხრწნადთა ბუნებამა.

2 შეიცავს H.—3 მახე F.—7 ენით ABD.—10 ქამის შს შსისა F.—11
წელიწადისადა ABF.—12 ასაკი < AB.—ქამისადა) ქამისა ABEH.—13-14 რომელსა
E.—18-19 და კუალად] კუალად AB.—29 ქამითი] ქამით F.—ქამითვე F.—33 არ-
სებითი AB.—მასვეობასა] მსგავსებასა E.

ხოლო გონებითი სფეროა ზესთა ძეს ამათ ყოველთა, რამეთუ საუ-
კუნოა განზომს მას, და ჰკიეს ლამპარსა შორის დაუესებელობი- A104a
სასა, არსებითაცა და ქამითა.

«რამეთუ იყო და იყოსი განიყოფვიან ურთიერთას». ესე იგი
6 აჩს, რამეთუ ქამსა განჰყოფენ იყო და იყოსი, და საშუალ მათსა
აწი, ვითარ ელლინებრივ: «ინ», «ესტინ», «ესტე». ამათ წარ-
მოდგომაა გაყვეს ქამისაჲ; რამეთუ სადაცა ქამი ხედავს, და ქამითი
მიდრეკაჲ. ვერაჲ განველთას სამსა ამას, რამეთუ პირველ პირველი
დაიპყრა სხეულთაჲ და უსალმრთოესი, ვიტყვ ცისასა, სამმან ამან;
10 რამეთუ იყო ქცევაჲ სფეროთაჲ, და არს ქცევაჲ სფეროთაჲ, და
იყოს ქცევაჲ სფეროთაჲ. ხოლო ესე შეისწავე, რომელ სხუებრ იხე-
დვის გარდასრული და მყოფი და მომავალი ცასა შორის, რომელ
არს ქამი, და სხუებრ მეკუდოთა შორის, რამეთუ ცისაჲ გარდას-
რული შეეკრვის მომავალსა, და ერთ ექმნების მას, და დასასრული
15 მისი დასაწყის და დასაბამ იქმნების სხვსა, და ჰკიეს იგი უკუდავად C 166
და დაუესებელად; მაგრა კუალად და კუალად და არა მარტივად
უკუდავად, რამეთუ მარტივი უკუდავებაჲ უქცევ და უცვალებელ
არს. ხოლო ცის-შორისი უკუდავებაჲ ქცევით და კუალად და კუა-
ლადითა არს, რამეთუ, ვითარ მოქმედებანი, ეგრეცა და არსებანი.
20 ხოლო ყოველითურთ და ხრწნაღთა ბუნებაჲ ვერ ესთა, რამეთუ
ვერცა მოქმედებათა დასაბამისა და დასასრულისათა კუალად შეაერ-
თებს, ვითარ ცის-შორისი ძალი, და უკუდავ იქმს მათ; და ვერცა
არსებასა თვსსა იპყრობს უკუდავებისა ნეტარებასა შორის; | არამედ A104b
ორითავე იხრწნების და იესების.

25 «ბრა ვინაჲ ევნოს მას წარვლასა შორის ქამისასა, რომელსა
სამარიდისოდ აქუს პირველი მეორისადმი». ესე ხედვაჲ ცისა სფე-
როთა მოქცევისათვს იტყვს, ვითარმედ არა ევნოსო წარვლასა შო-
რის ქამისასა, რომელსა სამარადისოდ ჰქონდის პირველი მოქმედე-
ბაჲ შეკრულად დასასრულისა თანა, და სფეროას გუარ ჰყოფდეს
30 თვსთა მოქმედებათა მობაძავად გონებითისა მოქმედებისა. არაჲ ევნოს
მას, ვითარმედ არა დაიკსნესო, არცა მოაკლდეს მოქმედებაჲ მისი.

«ხოლო თუ სხუა იყოს იყო და სხუა იყოსი, ქმნადი ვიდრემე
იყოს და არ ოდეს მყოფი». ისმინე, რამეთუ აქა გაჰყოფს ქამის-
ქუეშეთა ორად, და იტყვს: უკუეთუ სხუაჲ იყოს იყო, და სხუაჲ იყოსი;
ესე იგი არს, ვითარმედ უკუეთუ არ აზიარებდეს და ერთ იქმოლის

8 განველთას C, განველთოს BDEFH, განველთოს A.—პირველი პირი
E.—11 სფეროთაჲ <AB.—15 მისი <AB.—16 და არა] არა AB.—18 და კუალად
<AB.—18 19 და კუალადითა] კუალადითა DF.—20 ხრწნაღთა <AB (საკეზა).—
ვერ] ვითარ E.—22 ვერცა] ვერა AB.—24 იხრწნების] ...ნების AB.—26—28 მეორი-
სადმი—პირველი —კჳს ABDEFH.—29 შეკრულად] შეკრუად E.—სფეროა F.

გარდასრულსა მოქმედებასა, ვითარ ესე ცისა მოქმედებაჲ აზიარებს და ერთ იქმს დასასრულისა მოქმედებათა პირველისათა თანა, და მრგულად და სფერო ჰყოფს თვსთა მოქმედებათა, ვითარცა ერთი გონებისაჲ და მობაძაჲი მისი. ვინაჲ უკუდაჲ იქმნების და სამარადისო, 5 მაგრა კუალად და კუალად. ხოლო ცხოველთა ესე მოქმედებაჲ ვერ-ლარა უკუ ისფერებს და|სასრულისა მოქმედებათა პირველთა თანა, A 105a რომლისათვსცა სამარადისოდ ქმნასა და ხრწნასა თანა შეკრულა.

«არ ვინაჲ ყოველი იყოს განწვალებასა შორის|მყოფი ჟამე- C 167 ბრივისა მოვლისასა თანგანზიდული მისდა». ესე იგი არს: არმყოფობასა შორის ქონებაჲ მყოფობისაჲ, რამეთუ ქმნადი რომელი იქმნების და არა არს ნამდვლ, ქმნა ვიდრემე იყოს მყოფი. «არ ვინაჲ ყოველი იყოს განწვალებასა შორის მყოფი»: ყოველი ხედვაჲ ამის სიტყვსაჲ ესე არს, ვითარმედ რასაცა ქმნასა შორის აქუს მყოფობაჲ, არა არს ქეშმარიტად მყოფი, არამედ ვითარ არმყოფობასა 10 თანა შეკრული, ამისთვის რომელ ქმნით აქუს მყოფობაჲ; ხოლო ყოველისა ქმნისა შორისისაჲ რომელიმე გარდასრულა, ხოლო რომელიმე ზედ შემოსრულა და არა წარმოდგომილა. არამედ ესეთასა ყოველსა მყოფობაჲ არ მყოფობასა თანა შეუკრავს, და არსი არარსსა.

თ ა ვ ი 51

20 «ყოველი თვთმდგომი დაეზესთაების ჟამისა მიერ განზომილსა არსებით. რამეთუ აღუგებელ არს თვთმდგომი, არ ვინაჲ ჟამისა მიერ განიზომოს».

თვთმდგომარედ იტყვს ყოველსა|აღუგებელსა ბუნებასა, რამე- A 105b თუ ვერ განზომს მას ჟამი, არამედ დაუზესთაედების, და ოდენ 25 საუკუნოჲსა მიერ განიზომების. რამეთუ ორნი არიან საზომნი ყოველისანი, ხოლო მესამე ზესთა ძეს. ორად უკუე საზომად ვიტყვ საუკუნესა და ჟამსა, და კუალად მესამედ მას ზესთათა ზესთასა ერთსა. აწ ისმინე, თუ ვითარ განიზომებიან რომელნიმე ერთისა მიერ, ხოლო რომელნიმე სამარადყოფსა მიერ, ხოლო რომელნიმე ჟამისა 30 მიერ. ვიწყო ქუენათათ წესსა დამკუელი არისტოტელის-გამოთასა. რამეთუ განზომს ჟამი ყოველთა აღგებულთა და დაკნადთა პირველ. რამეთუ ნაწილთა მისთა მოქკაზმავს, და ნივთსა მომმარჯუსა წინა უყოფს, და კუალად ნაწილთა მიერ აღაგებს, და მის- C 168 ცემს საზომსა ცხორებისასა, და თვსთა ორღანოთა მოქკევისა 35 თანა შეაკრავს საზომსა მყოფისა მის აღგებულისასა. ორღანოდ

3 მრგულ ABDEH.—6 დასასრულსა DF.—8 იყოს ყოველი E.—9 თანგანზიდული] თანგანზომილი P გ. კ. 4. 26.—14 არს < AB.—16 შორისაჲ E.—26-27 სკნოჲსა AB, სკნაჲ D.—30 დამკუმილად A, დამკეელად B.—32 აღგებულებისასა C.

უკუე იპყრენ ქამისად თვთ ცაჲ. ვინაჲთგან მიღრეკათა მიერ სრულ ჰყოფს თვისსა ცხორებასა. და კუალად ესე ყოველნი სფერონი და აპოლოს თვისთა ღრეკათა მიერ ოქრომუსიკელი, რამეთუ რთავს ბუნებასა ყოველთა აღგებადთასა, და სხუათა ცთომილთა რთავა თანავე აპოლოს მუსიკელისასა. რამეთუ ესე დიდი აპოლოს პირველ ნივთსა აღუკაზმავს და მერმე ნაწილთა, და მერმელა ყოვლობასა ყოველთა აღგებულთა, და თანა შეაკრავს თვისთა მოქცევათა ხრონოსა, რომელ არს წელიწადი, საზომსა გ'ან- A106a სახილთა და მყოფობისა მათისათა. რამეთუ ხატი არს გონიერისა დიოქსი, და ორღანოჲ მიღრეკისაჲ და ქამისაჲ, აპოლოს ოქრომუსიკელი. ხოლო არი თვთებასა გუარათასა დაიციავს თანაღრეველად, და ურთიერთას თანშეურევენელად ყოველთა ხრწნაღრთა და ნივთსა შორის განზიდულთა გუარათასა. თუ არა, სადაჲთმცა იყო გუარათადა შეურევენლობაჲ ურთიერთას? ესე და ესე ვითარი არს ყოველი ქამისა განზომაჲ. ხოლო განზომაჲ მიერ საუკუნოჲსა არს ესრეთ, რამეთუ არცა განზიდული დასაბამი ერაბამების მათ, რომელთა პირველობაჲ და შემდგომობაჲ არა შეუდგს, არამედ ოდენ შემოქმედებითი და სადაჲთ რეცა თუ აღძრვაჲ წყობისაჲ, მაგრა ნუ ჰგონო ესე ვითა ქამითი, და პირველობასა და შემდგომობასა შორისი. რამეთუ მუნ არ იყო პირველი, ოდეს არ იყო და შემდგომი. ხოლო პირველობაჲ და შემდგომობაჲ არა თუ იყოსობასა და არიყოსობასა შორის იხილვების. რამეთუ ყოველი იყოსი და არიყოსი პირველი და შემდგომი არს. ხოლო ყოველი შემდგომი და პირველი ქამსა შორის, ვითარცა იჩუენა. ხოლო სადა ერთბამ ყოველი და ყოველსა შორის ყოველი, მუნ პირ- 25 ველი და შემდგომი უქმობს და ქამი|მოაკლდების. არამედ საუკუნ- C 169 ნესა შორის პირველობაჲ და შემდგომობაჲ ძალთა და მოქმედებათა ზედა განიცდების. მოვედ და, რაოდენ იყოს შესაძლო, იგავთა ზედა განცხადნენ. ითქუმის უკუე და სული კაცებითი, პირველადცა სული სულისა და შემდგომადცა, ვითარცა განწმედლისაჲ ხედვათა მიერ; A106b 30 და კუალად ვერ თანაკმაჲსა სულისაჲ შორის ხედვათაჲსა, ვითარცა არ მომგისა ფრთეთა ხედვისათა. აწ ითქუა სული პირველად სულისად, არამედ არა ქამითითა პირველობითა და შემდგომობითა. ესე სახე ოდენ არს უსახოთა ძალთა და მოქმედებათაჲ. და კუალად განზომს საუკუნოჲ უსხეულოსა და აღუგებელსა არსებასა. რამეთუ 35 გონიერსა აღმკულსა შორის თვთებანი და განყოფანი გუართანნი. რამეთუ რომელნი განუნაწილებელად იყენეს ნამდვლ მყოფობისა არსე-

1 ქამისგან თვთცა D, ქამისა (პ'ზისა A) ძიერ თვთცა AB.—4 აგებად-
თასა AB.—8-9 განსახილდა F.—17-18 შემოქმედებით F.—სადაჲ E.—20 და შემდგო-
მი| შემდგომი CDEFH.—22 პირველი| და პირველი D.—27 მოედ ABEH.—28 გან-
ცხადნეს F.—29 ვითარცა] ვ'დ F.—34 არსებასა<AB.—36 იყენენ AB.—ყოფისა E.

ბასა შორის გუარნი და ერთებრივ, განინაწილნეს და განითქსნეს გონიერსა შორის აღმკულსა, რომელნი განზომნა არსებამან მარად მყოფისამან. რამეთუ ეს ვითარი არს საუკუნებრი საზომი: პირველად თვთებანი განუყვნა გუართანი და იპყრნა ერთებრივ და შეურევენ-

5 ლად, და კუალად არ უტევა მათ განწვალებად. რამეთუ სამარადისოდ მიზეზონი თვსსა მიზეზსა შორის, ვითარცა სიტყუაჲ სულსა შორის. ვინაჲ ესეთაჲ არს რამეთუ ყოველი საზომი მარად მყოფსაჲ.
 ხოლო ერთებრი რიცხვცა ზესთა ძეს, და შრიცხუველი დაუ-
 ზესთავედების ყოველსა მონაგონსა. არამედ ანუ ხატთა მიერ, ანუ
 10 იგავთა მიერ მეცადინობს სული ცნობად მის უცნოასათვს, და სწყუ-
 რის მისდამი, და რეც თუ გამოუთქმელად ერთ ექმნების მას თვს-
 შორისისა მიერ ერთისა. ხოლო რიცხვ ერთებრი იხილო თვთ ერთსა
 შორის შეურევენელად და შეურწყმელად და განუყოფელად, რომელსა A107a
 მით ეწოდა ერთებრივად რიცხუად, რამეთუ ყოველი მოაქუს თვს
 15 შორის ერთსა, ვითარ ესე რიცხუსა ერთსა შორის ყოველი სიმრავლე
 რიცხუთაჲ შეურევენელად და შეურწყმელად, განუყოფელად და განუ- C 170
 წვალებელად.

თ ა ვ ი 52

სამარადმყოფსათვს

20 მსე თავი ფრიადითა სიწლოჲთა ხედვისაჲთა დაკშირებულა, გ გამგონეო. ხოლო ჩუენ მოვხადოთ სიტყუასა მიზეზსა ყოველთა სიტყუათასა.

«ყოველი მარად მყოფ ერთბამად ყოველი არს». ესე არს ესე, ვითარმედ ერთბამად აქუს ყოველივე, და არა ვითარ ეამის-შორისი,
 25 რაჲთამცა პირველი წარმოსდგომოდა და შემდგომი არა, ვითარ ბუნებითთა და კელოვნებითთა აღგებათა შორის განიცდების. და თვთ მის ცისაცა მოქმედებათა შორის, რამეთუ რომელმანმე | წაიარა, C 171
 ხოლო რომელიმე წარმოქელის, ვითარ პირველი და შემდგომი. ხოლო მარად მყოფა შორისისა არ არის ესთა, რამეთუ ერთბამ ყოვე-
 30 ლი პირველი და შემდგომი, ნაწილი და ყოველი, არსებაჲ და მოქმედებაჲ, მიზეზი და მიზეზონი, ვითარ ზემოთა შორის აღმოვაჩინეთ.

«რაჲზომევე და არს». რაჲ არს თუ რაჲზომევე და არს? ვითარ-

2 განზომნა] განზომდენ AB.—45 შეურეველად ABCD (D-ჲ 5 ეოუ-ღ ჯ^ა აუეკეაო).—8 მრიცხუველი] მრი ცხოველი A, შ'რი ცხოველი H, მიერი ცხოველი E.—10 უუცნოასათვს EH.—15 რიცხუსა <AB.—24 ვითარმედ ყოველი ერთბამად ABD.—28 წარმოვლის EFH, წარმოვლის D, წარმოვქელის A, წარმოვქელის B.—29—30 ხოლო—შემდგომი <D (ex hom.).—31 ზემოთა] ზემოასა A, ზემოსა B.

მედ ანუ გონიერ იყოს ანუ გონებითი, რამეთუ განყოფილ გონიერი გონებისგან, ვითარცა სული სულიერისგან.

«არამედ რაადოდენ შემძლებელ იყოს მყოფობა მისი», ეგოდენ და მოქმედებაცა და ნაწილნი თვისნი მიუდრეკელად მის თანა ერთბამად, «და მოქმედებაცა არსებისა მიმართ». ესრეთ იტყვს, ვითარმედ ყოველსა და გონებითსა შორის არსებასა ერთბამად მოქმედებაცა და არსებაჲ, რამეთუ თან წარმოსდგომია არსებასა მოქმედებაჲ და არა ვითარ სულისაჲ, რამეთუ არსებაჲ სულისაჲ შორის საუკუნოსა, ხოლო მოქმედებაჲ ეამსა შორის. და არა აქუს მოქმედებაჲ არსებასა თანამორბედად და წარმოდგომილად, არამედ წარმატებით, მაგრა არ ზედშემოსრულად, ვითარ აფროდი-სიელსა ეოცნა, არამედ ვითარ თვის-შორისი და აღკსენებითი; ვითარ ცეცხლსა სიმკურვალე არა გარეგნით ვალკვნებისა მიერ, არამედ შიგნით და ბუნებით, ეგრეთვე სულსა მოქმედებათა აღკსენებისა მიერ, ვითარ თვისთა და არა გარეგნით ნაგრძნთა ზედაჲს-ზედათა დაუნჯე-ბისგან. ხოლო ჩუენ წინამდებარესა ხედვასა ამბორს-უყოთ. იტყვს, ვითარმედ რომელთა საზომად სამარადმყოფსა აქუს ყოვლითურთ ყოველი, თვის შორის წარმოდგომილ არს ზესთ ეამთა და მიდრეკა-თა, და პირველ შემდგომობითთა განზიდვათა.

«და ესე მყის მასვე და ერთსა საზომსა შორის სრულებისასა წარმოუჩინია». დაურთო მყისი, ვითარ უქამოჲ და უმსწრაფლესი. რამეთუ «ნ ვ ი», აწი, ეამისათა შორის, და «ს ტ ო მ ი», წინტილი, სხეულ'ისათა შორის ყოველთა უმსწრაფლე და უქამო არიან. რამე-თუ ყოველსა ეამსა უნდა რაჲზომივე განსაზიდი. ხოლო ყოველი ეამ-ნუზიდველი ზესთა ძეს ეამსა და მიდრეკასა. რამეთუ ყოველი უქამოჲ მოქმედებაჲ ზესთა მიდრეკისა. რამეთუ აჰა და მყის ყოველი, და არა პირველსა შორის შემდგომი, არამედ აჰასა და მყისსა შორის არა რომელი პირველი და შემდგომი.

«რამეთუ შარად მყოფ თუ არს, ვითარ და სახელიცა საც-ნაურ ჰყოფს, ვითარმედ „შარად მყოფ“». სხუა ვინაჲვე და სხუა გუარ ყოფაჲ მარად მყოფსაგან, რამეთუ არ ვინაჲ მათ შორის პირველი და შემდგომი ვითარ ეამსა შორის. რამეთუ სადაცა პირველი და შემდგომი გაიცდებიან, ითქუას ქმნად და არა მყოფად. ხოლო ესე გვსწავიეს, რომელ მყოფი არა იქმნების რომელი წარმოდგომი-

1 გონიერი E.—3 რაოდენ C.—შემძლებელ] შესაძლებელ P გვ.ჯ.გ.—მისი < AB.—11-12 აფროდისისიელსა C, აფროდისი სიელსა ABEFH, აფროდისი ესიელსა D.—12 არამედ და ვითარ D.—13 მიერ < AB.—14 მოქმედებით AB.—17—20 სტრა ანუ AB-ზე სტრეპსიანი: ელო სიტყვებო სამარად (17), და მიდრეკათა (18-19), ერთსა (20); B-ს ეს სტრეპსი უკუგზა უკლეგ.—20 ერთთა საზომთა D.—24 რაჲზომვე AB.—30 სხუა ვინაჲვე] სხუასა ვინაჲვე AB. —33 გაიცადებიან ADF, გაიცხადებიან H.

ლა გუარითა, ვითარ არისტოტელი აღმოაჩინა. ხოლო სხეულ-
 ლოანი ესე ნიადაგ იქმნების, რამეთუ პირველმან წარვლო და შემ-
 დგომი ზედ შემოვა, რომელსა ნიადაგ მყოფობაა აქუს ესთა. არა
 ჯერ არს, რაათამცა მყოფ ეწოდაო, იტყვს ღმრთივი პლატონ.
 6 ხოლო თუ ვინ უწოდდესო, ოდენ სენზობით უწოდონ და ნუ არ-
 სებით, ვითარ ცხოველსა და ხატსა.

«ხოლო, სადა არცა პირველი და არცა შემდგომი, მუნ არცა
 იყო და იყოსი, არამედ მხოლოდ ოდენ იყო». ესე ხედვაა სრუ-
 ლებით აწუეეს კიდე უსხეულოთა ნამკისგან გარდასრულსა და მო-
 10 მავალსა, არამედ არსსა ოდენ მისცემს შორის გონიერთა დგომასა.
 ხოლო იყოსა ვითარცა გარდასრულსა და მერმესა ექსორია იქმს, და
 ვითარ ქეშმარიტსა არსსა ოდენ არსსა შორის შემოჰყრებას. რამეთუ 1109a
 თანმობრბელად მოუგიეს მოქმედებაა არსობისად. ვინაჲ ესე იყოს
 საუწყო, რამეთუ მიზეზ გონიერისა ყოვლობისა არს სამარადყოფი.
 15 ხოლო რომელი მიზეზ და მარსებელ სამარადყოფი, ყოველი თვს შო-
 რის და ერთებრივ აქუს, ნაწილნიცა და მოქმედებაცა, მიზეზიცა და
 მიზეზოანიცა.

თ ა ვ ი 53

საუკუნოვსა და საუკუნითათჳს

20 «წოველთა საუკუნითთა უპირველეს არს საუკუნოჲ, და ყო-
 ველთა უამის-შორისთა უამი უპირველეს წარმოდგომილ არს».

აწ ამას თავსა შორის დასდებს დასაბამითა და ელრეობითთა სა-
 ფუძველთა. იტყვს, ვითარმედ ყოველთა სამარადყოფი-გამოთა პმსთაე-
 რობს მარადყოფი, და ყოველთა უამის-გამოთა უამი ჰფლობს, ვინაჲთვან
 25 ყოველგან პირველ მიზეზოანთაჲსა არიან მიზეზნი, და პირველ მიზეზთაჲ-
 სა მიზეზთ ზესთანნი. საუწყო უკუე, ვითარმედ სხუა საუკუნოჲ, და სხუა
 საუკუნესა შორის საუკუნოჲ, და კუალად სხუა მეტრ თვთმყოფი სა-
 უკუნოჲ. აქა თანა გუაც, რაათა აღვიკსენდეთ რომელ ითქუნეს პირ-
 ველთა შორის მიზეზისა და მიზეზოანისათჳს, რაათა ცხად იქმნეს
 30 სიტყუაჲ. |ვიტყოდეთ, ვითარმედ მიზეზოანი განიცდების სამ სახედ: C 174
 კატეტიად, კათვპარქსად და კატამეთექსად. ესთავე იპ-
 ყარ და საუკუნესაცა ზედა, რამეთუ ესე საუკუნოჲ სამ სახედ იხილვების:
 პირველად მიზეზსა შორის, ვითარცა ერთი მას შორის; მერმე თვთე-
 ბასა თჳსსა შორის, რომელ არს მყოფობაჲ მისი; მესამედ თჳს-გამოთა
 36 მისგნით მიზეზოანთა შორის.

1 არისტოტელ F.—1-2 სხეულევიანი EF.—5 უწოდონო AB.—9 უსხეულოთა
 ნამკისგან] უსხეულო (უსხეულო AB) თა მკისგან ABD, უსხეულო თანა მკისგან
 EH.—11 იყოსა] იყოჲსა AB, იყოსსა C.—12 ვითარცა E.—23-32 ვითარმედ—
 იხილვების <A(სარკუზ-):B-ჰ უკესუღაჲ ჰეჲჲჲ.—31 კატვპარქსად BE.—34 თჳსსა <AB

აწ უკუე განეჰმარტოთ ხედული ესე. რამეთუ საუკუნოაჲსა მიზეზად და მამად ნამდვლ მყოფსა დასდებს დიდი პ ა რ მ ე ნ ი დ ი, მას ერთებრსა სფეროსა ნამდვლ მყოფისასა აღმოაჩინს მიზეზად მარად მყოფსად, რამეთუ მის შორის საუკუნოა, ვითარ ერთსა შორის ორი, და კუა-
5 ლად თვს შორის საუკუნოა, ვითარ თვს შორის და თვსსა თვთებასა შორის ორი; და კუალად შემდგომთაჲცა შორის ორი; ვითარ ოთხსა და რეასა შორის. ეს სახედვე და საუკუნოაჲცა და ჟამი სამ სახედ იხილვებიან, და ყოველი მიზეზი და მიზეზოანი: რომელიმე ვითარ მქონებელი ესე არს შემდგომთა-შორისი და მიზეზოანთა, რამეთუ A110a
10 მქონებელნი მიზეზისანი შემდგომნი და მიზეზოანნი არიან, ხოლო რომელიმე ვითარ ქონებული ესე არს მიზეზი მყოფობითი და თვსსა თვთებასა მქონებელი, რამეთუ იგი იქონების შემდგომთა მიერ და მის-გამოთა; ხოლო რომელიმე ვითარ უქონოა. უქონოდ იტყვს, რომელი პირველსა მიზეზსა შორის იხილვებოდის ვითარ ზესთასა შო-
15 რის, ვითარ ორი ერთსა შორის. რამეთუ უქონო არს თვს-გამოთა-გან მიზეზოან. ხოლო ყოველი ესე ხედვაჲ გაიყოფვის სამად: მქონებელად, ქონებულად და უქონოდ. მქონებელად ვითარ მიზეზოანად, რამეთუ აქუს მიზეზი მიზეზოანსა თანა. ხოლო ქონებულად თვთ-მყოფობაჲ მიზეზისაჲ, რამეთუ იგი იქონების. ხოლო უქონოდ ჰრაცხე
20 და ხედენ ზესთ მიზეზსა შორის, ვითარ ერთისა შორის.

„ამათ უკუე მრჩობლთა, პირველთა და თანუქონოთა, ყოველგან ყოველთა შორის იგივე და ერთი საზღვარი.« | იტყვს მრჩობ- C 175
ბლად უკუე და თანუქონოდ პირველთა მიზეზთა სირათასა, ვითარ აწ აქა საუკუნოაჲსა და ჟამისასა. ხოლო ორნი ესე საზომნი დასახნა
25 ყოველთა არსად სახელდებულთანი: რამეთუ ყოველი სამარადისოა საუკუნესა შორის განიზომების, და ყოველი ოდესვეობასა შორის მყოფი ჟამსა შორის.

«ხოლო თანმექონენი მათ შორის მხოლოდ თანმექონე, რომელთა იყვნენ თანმექონე». ესე იგი არს, ვითარმედ ყოველნი მაზიარებელნი პირველთანი ოდენ მზიარებელ პირველთა და თანმექონე. ხოლო ი'გინი უზიარებელ პირველთაგან, რამეთუ შემდგომნი პირ- A110b
ველთაგან მიიღებენ მყოფობასა და არა პირველნი შემდგომთაგან.

«და რომელიმე არს საუკუნოა საუკუნეთაჲ. ხოლო რომელიმე ჟამი ჟამთაჲ, რომელნი არიან თანმექონეთა მავჯამოვნე-
85 ბელ». ხოლო აწ ჩუენ განეიცადოთ, თუ ვითარ არს საუკუნოა საუკუნეთაჲ და ჟამი ჟამთაჲ. აქა კანონი საყოველთაოაჲსა და ნაწი-

1 განეჰმარტოთ AB.—10 მიზეზოანნი] მიზეზოანი B.—11 მყოფობით C, მყოფობის AB.—და თვსსა < AB.—13 ხოლო] რ' E.—16 მიზეზოანთა AB.—18 რამეთუ] და AB.—20 ერთსა E.—24 დასხნა C.—28 თანმექონენი E.—28-29 რომელთა] რათა E.—33 საუკუნოა] საუკუნეა H.

ლებითისაჲ შემოაქუს, რამეთუ საყოველთაოსა და პირველსა საუკუნესა შეუცვან ყოველნი ნაწილებითნი საუკუნენი, და პირველსა საყოველთაოსა ეამსა ყოველნი ნაწილებითნი ეამნი. და ვითარ პირველი საუკუნოჲ პირველსა შორის გონებათასა დამსკუალულა, რომელსა და ვლალადებთ ნამდვლ მყოფად, ეგრეთვე პირველი ეამი პირველსა შორის სხეულთასა, რომელ არს ცაჲ, ეგრეთვეცა და გონებათა მორთულებაჲ ნამდვლ მყოფისაჲ. და ვითარ ესე ცაჲ არს მაგუამოვნებელ და მიზეზ ყოველთა მის გამოთა და ნაწილთა, ეგრეთვე ნამდვლ მყოფი ყოველთა საუკუნეთა, და ვითარცა იტყვს პარმენიდი: «*ეონ ეონი პელაზი*». აჲა სიტყუაჲ ესე განყოფილებითსა მდგომობასა და გათვებითსა გამიცხადებს ჩუენ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ «*საუკუნოჲ საუკუნესა განვლისოჲ*», ვითარმედ შემოსწერსო. რამეთუ არა ერთ და იგივე ბუნებაჲ ყოველთა საუკუნეთაჲ, ვითარ არცა ერთ და იგივე ბუნებაჲ ეამისაჲ. რამეთუ სხუა შენებაჲ* დიდსა შორის სფეროსა ეამისაჲ, და სხუა კრონოჯსსა შორის, და სხუა დიდისა დიოჯსსა და სხუა არისსა, და სხუა დიდისა აპოლოჯსსა, და სხუა ერმის პრომითთა C 176 თაჲ, და სხუა აფროდიტის მახარებელთა ტრფილებათაჲ, და AIIIa სხუაჲ არტემიდიტოჯს ქცევათაჲ. რამეთუ ამათ ყოველთა შორის სხუა და სხუა ქცევაჲ ეამისაჲ, ვითავე და მიდრეკისაჲ. ვინაჲ ამათ სხუაგნით სადაჲთმცა მოეხუნეს ესეითანი ესე ძალნი თვნიერ პირმოთა და მიზეზთაჲსა, რომელ არიან სამარადმყოფნი საუკუნენი.

თ ა ზ ი 54

საზომითაჲს მყოფთა

25 «*ყოველი საუკუნოჲ თანსაქონო არს საუკუნის-გამოთა, და ყოველი ეამი ეამის-შორისთა*». ესე არს ესე ხედული, ვითარმედ ყოველი საუკუნოჲ ყოველთა თვს-გამოთა მისცემს თვსთა თვთებათა, და იზიარებს ვითარცა მიზეზი მიზეზოანთა. ხოლო, ყოველი რაჲ თქუა, სიმრალე დამისახა ჩუენ საუკუნოთა ბუნებისაჲ, და ესთავე 20 და ეამისათვსცა. რამეთუ ყოველი ეამი თან მისცემს თვს-გამოთა და თვს-შორისთა ყოველთა თვსთა თვთებათა.

2 შეუცვენ CEFH.—5 პირველსა] გ'ლსა A.—6 სხეულთა AB.—7 მორთულებაჲ < AB.—11 მდგომობასა] მდგომოობასა F, მდგომარეობასა E.—12 განვლისო ABC, განვლისო D.—15 შენებაჲ] ბუნებაჲ F.—დიდსა < AB.—ეამისო D.—16 და სხუა და დიდისა AB.—16-17 და სხუა არისსა] რ'ისა AB.—17-18 პრომითთა B, პრომითაჲთა A, პრომითათა F, პრომითათა CD.—21—22 თვნიერ—არიან] თვსნი რომელ არიან A (საჯუჲსაჲ აღგაღს).—25 თანსაქონ C.

* ამ სიტყვაზე მოთხოვნი აღნიშვნა: ნუ თუ ბნბ'ჲ B.

«**და მხოლოდ ესე ორნი არიან საზღვარნი და საზომნი მყოფ-**
თა შორის: ცხორებისა და მიდრეკისაჲ.» გესმა ესე, **ჟ** გამგონეო?
 რამეთუ ორ არიან საზომნი და საზღვარნი მყოფთანი, რამეთუ რო-
 მელთამე საუკუნოჲ შემოსწერს და მიითულავს, ესე იგი არს ვი-
 5 თარმედ განზომს; ხოლო რომელთამე ეამი, რამეთუ ყოვლისავე
 ცხორებისა და გუარისა მიზეზ არს საუკუნოჲ. ხოლო ყოვლისა **A111b**
 მიდრეკისა ბუნებისა და თვთმიდრეკისა მიზეზ და მარსებელ ბუნებაჲ
 ეამისაჲ, ვითარ საუკუნოჲსა ხატისა და ალაღმასა; რამეთუ სხუა
 არა რაჲ არს ეამი თვნიერ ძეგლ და ხატ საუკუნოჲსა. და ვი-
 10 თარ, იგი მიუდრეკელობასა და იგივეობასა შორის იქმს და ამგებს **C 177**
 ყოველსა, ესთადვე და ეამი ოდენ უსახებს. რამეთუ მას უდინად
 აქუს თვისი თვთებაჲ, და დამსჭუალულა იგივეობასა ზედა და ნე-
 ტარსა თვთობასა. ხოლო ეამსა სანიადაგოდ მიდრეკისა და სხუა და
 სხუაობასა შორის მოაქუს თვის შორის ყოველი.

«**რამეთუ ყოველი განზომი ანუ ნაწილებით განზომს, ანუ ერ-**
თობით ყოველი ყოველსა მოეზავოს მის მიერ განზომილსა.» აქა ორ
 სახედ განზყოფს ეამსა და ეამის-მიერსაცა განზომასა. რამეთუ ეამი
 ანუ ნაწილებითი არს და განზომს ნაწილებით, ვითარ მოვიდოთ სა-
 ხეთაცა ზედა. რამეთუ ნაწილებითი ეამი ვითარ ესე შვდად განაწილე-
 20 ბულთა სფეროთაჲ, ვითარ მზისაჲ და სხუათა თანტომთა მისთაჲ, რო-
 მელთა ერთი არს აპოლოს, რამეთუ აპოლოს-შორისთა
 ეამთა ქცევისა მიერ განიზომების ყოველი მეკუდოთა ცხოველთა ეა-
 მი. და ყოველთა ამათ გაცხოველებულთა მეკუდოთა-შორისსა ეამსა
 ჰმსთავრობს და იპყრობს მეფობაჲ აპოლოს-შორისთა ეამთაჲ.
 25 და ყოველთა დრეკათა ცხოველობითთა მიდრეკათა მისთა საზომი.
 ვინაჲ ესე ცხად არს ცხოველთა ჰასაკისგან. და კუალად საყოველ-
 თაოჲ ეამი, რომელი განიცდების საყოველთაოსა შორის სფეროსა და
 ყოველობასა შორის (ვისასა, იპყრობს ყოველობასა ოთხთა ამათ კავ-
 შირთა და ასოთასა. რამეთუ ყოველობაჲ ყოველთაჲ სამარადისო
 30 არს, ვითარ ბუნებაჲ ყოველთა სფეროთაჲ და ოთხთა ამათ ასოთაჲ,
 და ვითარ ბუნებაჲ ყოველთა ცხოველთაჲ, და ვინაჲ ერთობით ყო-
 ვლობაჲ ყოველთაჲ საყოველთაოსა შორის ეამსა დამსჭუალულა.
 ხოლო საყოველთაოჲ ეამი საუკუნესა შორის მიუდრეკელად დამტ-
 კიცებულა, და მის-მიერნიცა ყოველნი ვითარ ყოველობაჲ ყოველთა
 35 ბუნებათაჲ. ხოლო ოდეს და ოდესობაჲ მეკუდოთა და ნაწილებითთა

7 თვთმიდრეკისა F—11 ოდენ] ოდეს AB.—12 და დამსჭუალულა] და
 მსჭუალულა EH.—13 თვთებასა EF.—ეამსა] ამას AB.—14 ყოველი თვის შორისი
 C—16 ორ] ვრ H.—18 განზომს H.—18-19 სახეთაცა] საესეთაცა AB.—19 ეამი < A.
 —19—გა 119,5 განაწილებულთა—ცეცხლისაჲ და < A (საწვეთაჲ: მ-ა პეპეგ ან-
 პეპეგა-სხე ზელნიწა-სი შედგოთ).—33 ხოლო] რ F.

შორის, რამეთუ ვინ კაცი მოკუდების, და ვინ ცხენი, და ვინ ირემი, და ვინ თევზი და არა ბუნებაჲ ამათი, ვითარცა კაცებაჲ, ცხენებაჲ და სხუაჲ ესე ვითარი. და კუალად ოთხნიცა ესე ასონი ნაწილებით იქმნებიან და იხრწნებიან და არა ყოვლობით: რამეთუ ნაწილი C 178
 5 იხრწნა ცეცხლისაჲ და გაქუეყანდა, დაიესო რაჲ მის შორის სიმკურვალე; და ნაწილი იხრწნა წყლისაჲ, გაჰაერდა რაჲ და დაავდო A 112a
 თვისი სიგრილე; და ეგრეთვე ნაწილი იხრწნა აირისაჲ და არა ყოვლობაჲ, დაავდო რაჲ თვისი სიმკურვალე, ვითარცა არისტოტელის წიგნსა შორის «ქმნისა და ხრწნისასა» გუასწავლის, რომელ «პერი გენესეოს და ფოროას» უწოდა. ვინაჲ შესწავლებით იყოს საცნაურ, რომელ ყოვლობაჲ ყოველთაჲ საყოველთაოსა ეამსა შორის, ხოლო საყოველთაოჲ ეამი საუკუნესა შორის.

თ ა ვ ი 55

სამარადისოთა და ოდესმეთა განყოფინათჳს

15 . (წოველი მებრ ეამით წარმოდგომილი ანუ სამარადისოთა ეამთა არს, ანუ ოდესშე ნაწილსა შორის ეამისასა გუამოვნებაჲ მოუფიგის.

აწ აქა განჰყოფს სამარადისოთა და ოდესმეთა, რომელ არიან მეკუდონი. რამეთუ ყოველი მეკუდოთა ბუნებაჲ ნაწილებითისა ეამისა მიერ აღგებულ, ხოლო ყოველი უკუდაეთა და სამარადისოთაჲ საყოველთაოჲსა ეამისა მიერ წარმოდგომილ და დამყარებულ შორის საუკუნესა. ხოლო თუ რაჲ არიან საყოველთაონი—ბუნებაჲცა და ეამი—ზემოსა შორის თავსა ვრცელად გარდავდეით.

25 **მინაჲთგან გზავნანი ყოველნი არსებითნი მსგავსებისა მიერ არიან.** გესმაჲ, ზ გამგონეო? რამეთუ იწყო დაკაზმვად კატასკეესა აღმოჩენათასა მსგავსისა და უმსგავსოჲსა მიერ. ვინაჲ აღმოაჩენს, ვითარმედ მსგავსნი უპირველეს და უპირატეს უმსგავსოთაჲსა, და თანშეყოფილ თვსთა მსგავსთადა, და განუკუეთელ მათგან. ხოლო უმსგავსონი რაჲზომითა უმსგავს შორის განზიდულ და 30 რეც თუ უცხო პირველთა და თვსთა დასაბამთა და მიზნითაგან.

«ხოლო უფროჲს ესაკუთრებიან მსგავსნი უმსგავსოთა» თანა, რაჲთა | ხედვათა სიკშოსა და ხუავსა გზაენა უყოფდეთ, და არა ვი- A 113a
 თარცა უწიგნო-უსწავლელნი ჩუენთა ვერ კმაობათა წიგნთა და ხედვათა მიზეზ ჰყოფდეთ და ვაბრალობდეთ. ხოლო აწ აქა ვითარ

5 დაივსო] და ივნო AB.—7 პირისა E.—9 გუასწავლის] გუათავლის AB (B-ს უკუად უხრწნა და გუასწავლის).—10 ვინაჲ] ვინ ABEFH.—15 ეამითი AB.—18—30 აწ აქა—მიზეზთაგან < AB (საქმისა; B ს უკუად უკუეჲთ). —19 მეკდონი B.—მეკდოთა B.—32 ხუავსა] ამს თავსა AB.—34 ყყოფდეთ F.—ვაბრალებდეთ EF.

ორად გაყოფილთა | ალიხუამს ეამის-შორისთა ყოველთა და საყო-
 ველთაოსა ბუნებასა ყოველთასა საყოველთაოსა ცასა შორის, და
 საყოველთაოსა ეამსა შორის დაამტკიცებს, და მას ჰყოფს მსგავს
 და უმეტეს ძეგლ და ხატ საუკუნოასა. რამეთუ უმეტეს ესახეიან სა-
 ყოველთაონი საუკუნესა: პირველად სამარადისობითა, და მეორედ
 ყოველთა ნაწილთა ერთებრივ თვს შორის ქონებითა *; და მესამედ
 პატივისა მიზეზობისა და უპირატესობისასა ზესთ ქონებითა. ხოლო
 ნაწილებითნი ვითარ უსახურეს, ესთავე და შორსცა. ხოლო აქა
 შორობა რაჲ და სიახლე გესმეს, ნუ აღგილითა ოცნოჲ, არამედ სი-
 მარჯვთა და იგივეობითა. ვინაჲ საუკუნითადმი უფრო მომმარჯუ
 და თვს ბუნებაჲ უკუდავთა და საყოველთაოთაჲ.

«ხოლო საუკუნითთა ზიარებად ნაწილსა შორის ეამისახსა
 ქმნილი შეუძლებელ არს, რამეთუ რომელიმე ქმნადი არს, ხოლო
 რომელიმე მყოფი».

ყოველი ხედვაჲ ამის თავისაჲ სამად აღიყვანების და განი-
 ყოფების: საუკუნოას შორისად, საყოველთაოასა ეამის შორისად
 და ნაწილებითისა ეამის შორისად.

აწ ისმინე, რამეთუ საუკუნოას-შორისთა ყოველთა არცა მიდ-
 რეკაჲ წარმოუდგების, და არცა რათეე ხრწნაჲ გუარისაჲ, ანუ უს-
 ხეულოასა დებისაჲ; რამეთუ ჰვიან და წყაროიან სამარადისოსა
 მასეობასა.

ხოლო საყოველთაოასა ეამისა შორისნი უფრო ეზიარებიან
 მას და ეხატვიან, ვითარ ნიადაგ და სამარადისოდ ქმნადნი. რამეთუ
 ქმნადობითა გაეყოფვიან მას, ვითარცა ნიადაგ დენისა მიერ ქმნილნი
 და სხუად და სხუად მომგებნი ქცევისანი, ვითარ ყოველი საესებაჲ
 ცისაჲ და საყოველთაოჲ ბუნებაჲ ყოველთაჲ; რამეთუ ამთ მყოფო-
 ბაჲ საუკუნესა შორის დაჰმსჭულავია. ხოლო ქცევაჲ სხუად და სხუა-
 დი ეამსა შორის საყოველთაოსა, ვინაჲ უმეტეს ჰგავს და ებადვის
 ოდესევე ქმნადსა და ოდესევე მყოფსა, ვითარ ესე არს მეკუდლოთა ესე

მედინი ბუნებაჲ: რამეთუ ყოველი მეკუდლოთა ბუნებაჲ და ნაწილნი
 ოთხრა ასოთანი და ქცევაჲ ზენათაჲ ოდესეგობასა შეუცავს. ხოლო
 საყოველთაონი ბუნებანი და ანაგი ცისა სისახისსაჲ სამარადისოდ
 ქმნასა და ქცევასა. ხოლო ოდეს რაჲ ეზიარებოდინ ოდესეგობასა
 შორის შეცეულნი, საუკუნითთა ნიადაგ და სამარადისოდ ქმნადისა

C 181

3 მას| მარადის E.—5 პირველად' ა'დ D.—9 ოცნოჲ C, უცნოჲ DEFH.—10
 მომარჯუ DEH.—19 რაჲვე| რაჲთვე AB.—20 ჰგია F.—წყაროჲან E.—27 დამს-
 კვალვიად.—30 ყოველთა D.—33 ქმნასა H.—ოდეს რაჲ| ოდესთაჲ D.—34 შეცეულნი
 FH.—და<EH.

* ეს სკედეგ AB-ს წყ. თავის პოლომდე შეღწაინდ ზედაჲ.

მიერ ეზიარებიან; რამეთუ საშუალო ოდესვეთა სამარადისოდ ქმნადნი ვითარ უფრო ხატნი და მსგავსნი უკუდაეთა ნაწილისანი.

«**ვინაჲ ოდესვეობასა შორის ქმნადთა და მარადის მყოფთა საშუალო ანუ ნიადაგ ქმნადი, ანუ ოდესვეობით მყოფი, ანუ არაობით მყოფი, ანუ ოდესვეობით მყოფთა მყოფი—შეუძლებელ არს ყოფად**». აქა კუალადცა გამოსცდის სიკჳოსა აღმდსაჩენთასა და იტყჳს, ვითარმედ საშუალო მარადის მყოფთა რომელ არიან საუკუნოაჲსა-შორისნი, და ოდესვეობით მყოფთა რომელ არიან ხრწნადნი და მეკუდონი—წარმოდგომილ არს ნიადაგ ქმნადი. ესე იგი არს ბუნებაჲ საყოველთაოთა და ციერთა. ხოლო ოდეს არაობით მყოფი მესმეს, მეკუდოთა და ოდესვეობით მყოფთა თანა შეატყჳ, რამეთუ არაობაჲ აობასა თანა წარმოსდგომია, ვითარ იგი ითქუმის, ვითარმედ სოკრატის დინებასა და გარდადინებასა შორის მყოფობაჲ აქესო.

«**ხოლო ოდესვე არაობით მყოფი ქმნადსა თანა იგივეობა**». გესმის აქა რას იტყჳს ძალი ამის ხედვისაჲ? რამეთუ პირველ საშუალო ოდესვეთა და სამარადისოთა ნიადაგნი დასხნა, ვითარცა უკუდავებითა ზიარნი სამარადისოთანი. ხოლო ქმნადობითა სანიადაგოაჲთა განყენა სამარადისოთაგან. ხოლო არცა ნიადაგობაჲ და სხუად და სხუად ქცევაჲ მათი სრულიად უსაქმო ყო, რამეთუ ყოველთა ოდესვეთა და მეკუდოთა ბუნებაჲ ქცევისა და სხუა და სხუაობასა მათსა თანა შეაკრა. რამეთუ ცისა და მზისა ქცევათა მიერ ყოველთა ქცევადთა ბუნებაჲ; და სადა იმარმენმანცა იწყო და ხუედრმან.

«**ვინაჲ ამის მიერ საცხადო, ვითარმედ ორი არს სამარადისობაჲ: საუკუნოაჲ უკუე სხუაჲ, და შებრ ეჳმითი სხუაჲ**». და განიყოფებიან ორად სამარადისობანი. რამეთუ საუკუნოაჲ არს მარადისობაჲ მიუდრეკელობასა თანა შეთხზული. ხოლო ეჳმის-შორისი მარადისობაჲ ნიადაგობასა თანა წარმოდგომილი და მიდრეკით სხუა და სხუაობასა.

«**რომელსამე შეერთებულად აქუს მყოფობაჲ და ერთბამ ყოველნი, ხოლო რომელიმე წარმოითხია და განეფინა განსაზიდსა თანა ეჳმებრივსა**». აქა ხედვანი შემოვლენ განაწილებულისა და განუნაწილებელობისანი. რამეთუ საუკუნითი ყოველი ერთებრივმან დაიპურა სფერომან; რამეთუ, ვითარცა ერთსა შორის სიმრავლე ყოველთა რიცხუთაჲ განუნაწილებელ და განუზიდველ, ეგრეთვე ნამდვლ მყოფსა შორის ერთებრივ ყოველი, რომელი ცაჲ არს ყოველთა საუკუნეთაჲ. ხოლო ეჳმის-შორისი ყოველი წარმოილურა და განეფინა და ნაწილთა მიერ შეიპურა.

1-2 ქმნადი E.—4-5 ანუ არაობით მყოფი < E.—12 ითქუმის) ითქვა E.—15 რას) რაჲს D, რასა F.—16 დასხნა F.—22 იმარმენმანცა EH.—26—27 შეთხზული — თანა იწყო და ხუედრმან E.—31 განუნაწილებულისა E.

«ღა რომელიმე განთვთებულად ყოველი, ხოლო რომელიმე ნაწილთაგან, რომელნი ესე განყოფილ ურთიერთას, ვითარცა პირველი და შემდგომნი». გესმაა, რამეთუ განიყოფვიან განთვთებული და განაწილებული? განთვთებულ უკუე საუკუნესა შორის გუარნი და 5 ერთსა შორის რიცხუთა თვთებანი; და არცა შერწყმულ და არცა შერეულ, არამედ ერთებრივ და არ შეერთებულიცა განიყოფვიან. რამეთუ შეერთებული ნაწილთა მიერ შეერთებულსა ეხუედრების, ხოლო ერთებრი განუნაწილებელისა არსებისა ხატ არს. ხოლო ჟამის-შორისი ყოველი შეერთებულ და განაწილებულ და განფენილ, 10 და არა ერთ და ერთებრივ.

თ ა ვ ი 56

შენსმენათათჳს და ჟუემდებარითა

«ყოველი შემდგომთა მიერ წარმოყენებული უფროჲს ხოლო პირველთა მიზეზთა მიერ წარმოიყენოს, რომელთაგანცა შემდგომნი 15 წარმოიყენნეს. რამეთუ ვინაჲთგან ყოველი არსებაჲ შემდგომთა პირველთაგან აქუს, და წარმომაყენებელობითიცა ძალი პირველთაგანვე ჰქონდის». ესე არს ხედვაჲ ესე, ვითარმედ რაჲცა ძალი აქუს შემდგომთა—ანუ მბადობითი, ანუ მპყრობელობითი—პირველთაგან აქუს. რამეთუ, ვინაჲთგან არსებანი შემდგომთანი პირველთაგან წარ- C 184 მოიყენნეს, უფროჲს ხოლო და მათ-შორისნი ძალნი და მოქმედებანი; 20 და ვინაჲთგან ესე ესთა არს, უფროჲს ხოლო პირველნი ჰბადებენ და წარმოაარსებენ ნაბადსა და ნაარსსა შემდგომთასა, ვითარცა პირველთა შორის და სახეთაცა მიერ ცხად გვქმნიეს.

«ვინაჲთგან წარმომაყენებელობითნი ძალნი მეტრ არსებით არიან A 113b 25 წარმომაყენებელთა შორის, და შეასრულებენ არსებათა მათთა».

ყოველი ხედვაჲ ამის თავისაჲ იტყვის ესთა, ვითარმედ ყოველი მიზეზობაჲ მიზეზთაჲ და მბადობაჲ მბადთაჲ მის ზესთ მბადისა და ზესთ მიზეზისა მიერ არსო. რამეთუ იგი მისცემს ყოველთა ძალთა და მიზეზთა, რაჲთა იყენენ შემდგომნიცა მისნი მბად და წარმომაყენებელ თჳს-ქუეშეთა. რამეთუ ესთა უფრო ეხატვიან და ესახვიან, 30 რაჲთა ჰბადებდენ და ამყოფებდენ თჳსგნით: რამეთუ ყოველთა მბადისა მბადნი უფრო ხატ და სახე; და ყოველთა მიზეზისა მიზეზნი შემდგომთანი უფრო თჳს. ხოლო რაჲხომევე მბადობისა და წარმოჩენისა და მიზეზობისა მთავრობათა მხუდართა სხუაგნით არ სადაჲთ მოუვიეს 35 თჳნიერ მის ზესთათაცა ზესთაჲსა მიერ; რამეთუ, ვითარ არსებანიცა

3 შემდგომი DEFH.—5-6 და არცა შერეულ<E.—21 და <AB.—24 ძალნი] რომელნი E.—29 და მიზეზთა<AB.—33 მბადობისა] მბადისა AB.—35 ზესთათაცა] ზესთაცა AB.—არსებანი AB.

თვსნი მის მიერ ჰქონან, ეგრეთვე და ძალნიცა და მოქმედებანიცა; რამეთუ ყოველი ძალი და მოქმედებაჲ სრულებაჲ არს ყოვლისა არსებისაჲ.

«რამეთუ განიზომა მუნით მდგომობითთა ძალითა», ესე იგი არს, ვითარმედ წარმოუდენელითა. რამეთუ ყოველნი შემდგომნი მიზეზნი თან მისცემენ თვსთა თვთებათაგან თვს მიერ წარმოარსებულთა; ხოლო იგი დაზენაებული ყოველთაჲ არ მისცემს ზემექონეობასა თვსისა თვთებისასა სწორებით შემდგომთა თვსთა.

| «მინაჲცა მის მიერ წარმოყენებული და მიზეზოან ქმნილი ^{A114a}
10 უპირატესისა მიზეზისა მიერ იყოს მიზეზოანი». ესე არს, ვითარმედ პირველისა და ზესთ ზესთაჲსა მიერ წარმოყენებული და მიზეზოანი სხუათა ყოველთა დაუზესთავედების მიზეზთა და არს, ვითარცა მიზეზი მიზეზთაჲ, და უფროჲს ხატ მის ყოველთა უმიზეზოდ მიზეზისა. ^{C 185}

«რამეთუ რომელიმან სრულ ყო ერთი მიზეზად, სრულ ყო და ¹⁵ სხუაჲცა მიზეზოანად». ხედენ ამას, რამეთუ მარადის რომელი იტქუმის განკარგულად და იგიდ და მასად, ზესთა დასდებს და თვთ მას ერთობასა; რამეთუ წარმოაჩინაო და სრულ ყო იგი ერთად, ვითარ მიზეზად ყოველთად. და ზედა დაჰრთავს, ვითარმედ სრულ ყოო მის ერთისა მიერ წარმონაარსი მიზეზოანად. ესე იგი არს, ვითარ- ²⁰ მედ მიზეზი ყოველთა ერთ ქმნისაჲცა და მიზეზობისაჲ; და მიზეზოანთა და მიზეზოვნობისაჲცა არს იგი ზესთ აზეებული ერთი და წარმომაყენე ერთისაჲ, ვითარცა უფრო მსგავსისა და ხატისა თვსისაჲ.

«რამეთუ რომელიმე თანზიარებით იქმნა წარმომაყენებელ სხუათა, ხოლო რომელიმე თანმიცემით»:

²⁵ მსთა ხედე ამას ხედვასა, რამეთუ წარმოაყენებს ყოველთა იგი ზესთაჲ ზესთათაჲცა, მაგრა თანმიცემით და არა თანზიარებით. ხოლო წარმოაყენებენ სხუანი ყოველნი სირათ-მთავარნი თანზიარებით, რამეთუ თან მისცემენ თვსთა არსებითთა თვთებათაგან.

თ ა ვ ი 57

³⁰ «ყოველი მიზეზი და პირველცა მიზეზოანისა იმოქმედებს და შემდგომადცა მიზეზოანისა უმრავლესთა არს წარმომაყენებულ».

მსე პირველთა შორის სახეთა მიერ ცხადად ძეს, ვითარმედ მიზეზი პირველ მოქმედებს მიზეზოანისასა, ვითარ ზესთაჲ მისი, და

1 ჰქონან F. - 16 განკარგულად EH.—მასად| მარად AB.—23 რამეთუ| ს' CDEF.—25 ხედენ F.—26 ზესთაჲ ზესთათაჲცა| ზესთათაჲცა D.—27 სირათ მთავარნი E.—28 არსებათა და თვითებათაგან D.—31 შემდგომადცა| კ'დცა EH.—32 სახეთა მიერ<C.—ცხადად| საცხადოდ C.—33 პირველი ABEFH.—ზესთაჲ| ზესთაჲსა AB, ზესთასა EFH.

შემდგომთა ცა შორის უშორეს განზიდავს თვსთა მოქმედებითა ძალ-
 თა, რამეთუ ნამდვლ მყოფი მიზეზ ცხოველობისა, და ვითარ ზესთაჲ
 უპირველეს თვსთა მოქმედებათაჲთ, ხოლო ვითარ უძლიერესი მი-
 ზეზი უმეტეს შორს გამწვთომ. რამეთუ რაჲცა რაჲვე მყოფობასა და
 5 გუარსა შეუტავს, ვერ ვინ განველთას გუარტ-მთავერობასა ნამდვლ
 მყოფისასა, რამეთუ პირველი გუარტი არს და პირველი არსებაჲ, და
 ერთბაჲმად ყოველთა მყოფთა ცხოველთა და უნაწილოთა ცხორე-
 ბისათა არს დასაწყის და მიზეზ, ხოლო ცხოველობა მათდა ოდენ,
 რომელთადა მხუდარ იყოს ძალი ცხოველობითი. და კუალად ერთი
 10 ყოველთა მყოფთა ცა მიზეზ, და კუალად იმრე მყოფთაჲსა არ-
 მყოფთა ცა ვითარ უგუაროჲსა ნივთისა, რამეთუ ვერ ვინაჲ განველ-
 თას საკრველთა ერთობისათა არაობაჲცა ნივთისაჲ. რამეთუ რაჲცა
 სხუა, რამეთუ ნივთი დაღათუ უსახო, მაგრა ერთ და შორის საზღ-
 ვარსა ერთობისასა. და კუალად ზესთ მექონეობაჲ ერთისაჲ ნამდვლ
 15 მყოფისგან დაზესთაებულ და დაერთებულ.

AT15b
C 187

«რამეთუ თან წარმოიარსებს ყოველსა, რაოდენთა ცა შეუძ-
 ლოს თან წარმოყენებად». ესე ზემოთა შორის გარდაგუეცა, ვითარ-
 მელ მიზეზნი მიზეზოანთა ცა შორის მოქმედებენ, სადამდის სწუდე-
 ბოდის ძალი მიზეზოანთაჲ. და კუალად უდარესცა გაზიდვენ თვსთა
 20 მოქმედებათა:

«ხოლო თუ პირველ მიზეზოანისა წარმოაყენებს, საცნაურ,
 რამეთუ პირველ მისსა ცა იმოქმედოს წარმოაყენებელითა თვსითა
 მოქმედებითა». შეისწავე, რომელ ყოველგან მიზეზნი ზესთ დაშთე-
 ბიან მიზეზოანთა არსებითა ცა და ძალითა და მოქმედებითა.

«ვინაჲ ყოველი მიზეზი და პირველ მიზეზოანისა ცა იმო-
 25 ქმედებს, და მიზეზოანსა ცა თანა, და კუალად შემდგომად მიზე-
 ჯოანისა ცა» განზიდავს თვსთა მოქმედებათა.

«ამისგან ხა ცნაურ უკუე, რამეთუ რაოდენთა ცა მიზეზ არს
 სული, და გონებაჲცა მიზეზ და არა რაოდენთა გონებაჲ მიზეზ,
 30 და სულიცა მიზეზ». გესმა, ზ გამგონერო? რამეთუ ყოველთა რაო-
 დენთა არს სული მიზეზ, უფროჲს ხოლო და გონებაჲცა, ვითარ
 მიზეზი სულისაჲ. რამეთუ სული ვიდრე სულიერთამდის არს მიზეზ,
 ხოლო გონებაჲ სულიერთა ცა და უსულოთა; და რაოდენთადა ცა
 მხუდარ არს გუარტი, ვითარ ქვათა და სხუათა ესვითათა. რამეთუ

AT16a

1 მოქმედებ^ათა A, მოქმედებათა BCDEH, მოქმედებითა F.—1-2 ძალთა] ძ^ალთთა A, ძ^ალთთა B.—2 და ვითარ] ვითარ F.—5 ვინ] ვინაჲ ABF.—8 ცხოველობა C.—მათად F.—9 რომელთა დამხუდარ F.—12 არაობა ცა CEF.—13 რამეთუ <EH.—ერთი AB.—18 უმოქმედებენ F.—22 წარმოაყენებელითითა F.—23 ყოველთაგან EH.—25 პირველ <AB.—მიზეზოანსა ცა ABEH.—26 შემდგომად] შორის EH.—33 ხოლო] რ F.

ყოველთა გუართა მთავარი დასაბამი გონებაა არს, რომელ არს ნამდვლ არსი და ნამდვლ მყოფი, ვითარცა ადგილი გუართაა.

«რამეთუ უსულონიცა, რაოდენ შეუძლონ | მიღებად გუარისა, C 188 მიიღებენ და ეზიარებიან გონებასა და მოქმედებათა მისთა».

5 იხილე, თუ ვითარ უსულოთა-შორისი გუარი უბაძევს გონიერთა გუართა, რამეთუ თვთვარეუბითა, რამეთუ მის შორის ძალთა სხუა და სხუაობითა, ვითარცა გვსწავიეს, ვითარმედ სხენან და ქვათაცა შორის ძალნი და მოქმედებანი, გასხუაებულნი და გათვთებულნი, ვითარ ჯაკინთსა და ამითვსტოსსა შორის, და აღმასსა და 10 მალნიენტსა შორის, და სადაათ ესე თვნიერ მიზეზთა და დასაბამთაჲსა.

«და კუალად რაოდენთაცა გონებაა მიზეზ, და პირველი კეთილობაჲცა მიზეზ, არამედ არა წინა-უკუშო». გესმია, რამეთუ გუართამდე გაზიდაეს მოქმედება გონიერი? ხოლო ს ტ ე რ ი ს ნ ი, რომელ | არიან მოკლებანი, არა არიან გუარ. მოკლებად უკუე გაიგონე A 116 სხუა და სხუაობაჲ გუართაჲ, რამეთუ ესე გუარი მოკლებულა ამის გუარისგან, და კუალად სხუაჲ სხვსგან. ხოლო ესე ს ტ ე რ ი ს ნ ი, რომელ არიან მოკლებანი, არ ისტოტელი არსებად აღმოაჩინნა, დაღათუ არიან უგუარო, და პირველსა ნიფთსაცა შორის განიცდების აობაჲ 20 ს ტ ე რ ი ს ა თ ა ჲ, რომელ არიან მოკლებანი. ხოლო ამათ მოკლებათა მარადის ვერ გასწუთების სხუაჲ რაჲვე მიზეზი თვნიერ იგი ზესთ მიზეზი ერთი. ხოლო მოკლებათათვს ძნელ და თვთ სათავისთაჲო არს წიგნი აღმოსაჩენთაჲ.

თ ა ვ ი 58

26 სიმარტივისათვს და შედგომილმეზისათვს არსებათაჲსა

«ქოველი უმრავლესთა მიზეზთა მიერ წარმოყენებული უფრო შედგმულ | უმცროხსთა მიზეზთა მიერ წარმოყენებულისასა». ესე A 117 ა ხედვანი სიმარტივესა არსებათასა და შედგომილებასა მათსა წინა მიყოფენ ჩუენ. ვინაჲ ესე ყოველთა მიერ არს საცნაურ, ვითარმედ უმარტივესნი. არსებათანი უფრო საღმრთოჲ და უმეტეს ერთის გუარ. ხოლო ესე იტყვს, ვითარმედ უფროხსთა ნაწილთა მიერ შედგომილი უმრავლესთა მიზეზთა მიერ წარმოიყენების, ხოლო უმარტივესნი უმცროხსთა მიზეზთა მიერ, ვითარ აწ სახეთა მიერ განცხადნეს.

5 უსულოთა-შორისი უსხეულოთა შორისი E.—უბაძევს F.—5-6 გონიერთა <AB, გონიერთთა EH.—8-9 განთვსებულნი E.—9 ამითვსტოსა E.—9-10 და აღმასსა და მალნიენტსა შორის<F.—15 გაიგონენ ABEH.—16 მოკლებულ C.—18 არისტოტელ F.—22 მიზეზი<F, მიზეზთ AB.—28 შედგმულებასა C.—31 შედგმული C.—32 წარმოიყენების ADEH.—33 სახეთა მიერ) სახეთა ზა EFH, სახეთა და D.

რამეთუ პირველი არსებაჲ, რომელ არს ნამდვლ მყოფი, ერთთა მათ რიცხუთა მიერ წარმოდგა, პირველისა საზღვრისა და პირველისა უსაზღვროობისგან, ვითარ აღმოიჩინა დიდსა საღმრთისმეტყუელოსა შორის. და კუალად სამარადმყოფ, რომელ არს საუკუნოჲ, ნამდვლ მყოფისა მიერ და თვითხვოლობაჲ ნამდვლ მყოფისა მიერ და საუკუნოაჲსა. და ესრეთვე შემდგომითი შემდგომად ყოველი აღნამკი გონიერთა და სულითთაჲ, და ვიდრე თვთ ამის გასფეროებულისა და სხეულოანისა აღნამკისამდის. ვინაჲ იყოს საუწყყო, ვითარმედ რაჯომითაჲცა უმარტივეს არსებაჲ, უმახლობელეს მას სწორებით ყოველთა საწყურსა ერთსა. ხოლო რაჯომით უმახლობელეს ერთისად, უმარტივეს და უზესთაეს და უმეტესთა მიზეზ და უფრო ღმრთიე და უძლიერეს. ხოლო უფროაჲსთა მიზეზთა მიერ წარმოყენებული, რაოდენთაჲცა მიერ წარმოიყენოს | მიზეზთა, ყოველთაგან მიიღებს და შემრავალ-
 10 კეცდების. ხოლო შემრავალკეცებული უცხო და უშორეს სიმარტივესა და ძალსა ერთებრსა.

თ ა ვ ი 59

შოველი მარტივი არსებით ანუ უმჯობეს არს შედგმულთა, ანუ უღარესა.

შოველი ხედვაჲ ამის თავისაჲ ამას შემასწავებს ჩუენ. პირველად, რამეთუ ორ არიან მარტივნი და ერთნი: საკუთრებით პირველ პირველი ყოველთაჲ, და ზესთაჲ ზესთათაჲ ერთი, უმიზეზოდ მიზეზი სწორად ყოველთაჲ; და კუალად სხუაჲცა ერთი პოვა | ნამრლუევემან და
 20 ნ უ თ მ ა ნ * გულის-სიტყუამან, რომელსა ვიტყვთ ნიეთად უმორფოდ. ხოლო აწ ვიხილოთ, რამეთუ ერთი იგი ზესთაჲ ზესთ უმჯობეს ყოველთა შედგმულთა, ვითარცა ზესთ განყენებული მზე გონებათა და ერთთაჲ. ხოლო სხუაჲ იგი ერთი, რომელსა ნიეთად და ვ პ ო ვ ა თ რ ა დ და პ ვ თ მ ე ნ ა დ უწოდა ხედვამან, უღარეს და უუკუანაჲსკენელეს ყოველთა მყოფთა და შედგმულთა, რომელი ითქუმის უსახოდ სახედ ერთისა და უმსგავსოდ მსგავსებად. ხოლო სხუაჲ ყოველი ხედვაჲ
 25 ამის თავისაჲ ზემოსა შორის ცხადად გარდავდევით.

2 მიერ < F.—3 დიდისა D.—8 აღნამკისა მ'დის D.—9 მას | მ'რ D.—ყოველთა | ვ'ა AB.—9—10 მას სწორებით—უმახლობელეს < F (ex homoioteleuto).—10 ერთისა D.—12 უფროაჲსა E.—17 შედგომილთა AB.—24 ვიხილოთ | ვხილოთ D.—ერთი | არს AB.—25 შედგმულთა | შედგომილთა ABH, შემდგომთა F.—26 ერთთაჲ | ვ'რთაჲ AD, ვ'რთა H, ვითა'რთა E, ვითართაჲ F; B-პა ჰედეგ ჰეუწორე-პაჲთ ერთთაჲ. ამ სიტყუაჲჲ მითითებთ ანამაჲჲ სწერა: ნუ თუ ერთთაჲ ABDEFH.—26-27 ვიპოვებთად D.—28 შედგომილთა ABDEF.—29 მესგავსებად H.—30—გარდავდევით | რ' დავდევით AB.

* ამ სიტყუას მითითების ნაშენი იქვს (), ხოლო ანამაჲჲ არაუგრა სწერა ABCDEH.

თ ა ვ ი 60

«შოველი უმრავლესთა მიზეზი უმჯობეს მისსა არს, რომლისადა მხუდარ იყოს უდარესი ძალი და იყოს წარმომაჩინებელ ნაწილთა, რამეთუ ესე ყოველობისა არს წარმომაყენებელ». გესმაა?

5 იტყვს, რამეთუ რომელიცა მიზეზთაა ყოველობათა და უმეტესთა იყოს წარმომადარსებელ, უმჯობეს მისსა არს, რომელი უმცროასთა და ნაწილთა იყოს მიზეზ და მადარსებელ. ხოლო შენ შეისწავენ, რამეთუ მიზეზთანი რომელნიმე ყოველობათა წარმოადარსებენ, ხოლო რომელნიმე ნაწილთა. ყოველობათა უკუე ვითარ ყოველობაჲ გონებათაჲ, რომელ არს ნამდვლ მყოფი, ერთთა მიერ და ერთისა წარმოიარსა. ხოლო სხუანი ნაწილებითნი გონებანი, ვითარ საუკუნოა, და თვთცხოველობაჲ, და გონიერი კრონოს, და რეა, და დია, ნამდვლ მყოფისა მიერ წარმოიქმნეს. და კუალად საყოველთაოჲ სული მიერ ნამდვლ მყოფისა; ხოლო საყოველთაოჲ ბუნებაჲ მიერ საყოველთაოჲსა სულისა; ხოლო საყოველთაოჲ სხეული მიერ საყოველთაოჲსა ბუნებისა; ხოლო ნაწილნი ამათნი ნაწილებითთა მიერ მიზეზთა, ვითარ ერთთა ზედა საცხადო ვყოთ სახეთასა. რამეთუ საყოველთაოჲ სული ყოველობასა ბუნებისა და ცისასა წარმოაჩენს; ხოლო ნაწილებითი სული ნაწილებითსა სხეულსა და ბუნებასა. და კუალად რამეთუ | ყოველობანი არსებათანი მას პირველობისაცა ზესთასა ჰგევანან და ჰბადვენ, ვითარცა უმეტეს ერთებრნი ნაწილთასა და უმეტეს ხატნი მის ერთისანი. და კუალად რამეთუ უმეტეს წარაელენენ თვსთა მგზავრობითთა მოქმედებათა; რამეთუ ნამდვლ მყოფი უმეტეს სხუათა ნაწილებითთა გონებათასა; და საყოველთაოჲ სული უმეტეს სხუათა ნაწილებითთა სულთასა; და საყოველთაოჲ სხეული უმეტეს სხუათა ყოველთა ნაწილებითთა სხეულთასა; რამეთუ სფეროჲ ცისაჲ უმეტეს მოქმედებს ყოველთა ნაწილებითთა სფეროთასა.

თ ა ვ ი 61

«შოველი განუნაწილებელი და ერთებრივი ძალი უფროასთა არს მიზეზ, ხოლო განნაწილებული უმცროასთა და უდარესთა».

ბქა აწ ამათ თავთა შორის ყოველი ერთ და იგივე ხედვაჲ. რამეთუ იტყვს, ვითარმედ ყოველნი ყოველობანი და განუნაწილებელნი არსებანი და ძალითაცა განუნაწილებელ და ერთის გუარ. ხოლო

2-3 რომლისა დამხუდარ ABEF, რომლისადა მკედარ D.—9 ყოველობათა AEH (ქვემოთ).—12 თვთცხოველობაჲ | თვთყოველობაჲ E.—16 ნაწილნი | ნამდვლნი AB.—ნაწილებითთა მიერ | ნაწილებითთაგან F.—17 ერთსა ABF.—18-19 ნაწილებითი | თვთებითი AB.—20 ყოველობანი | წყლობანი AB.—მას | მის E.—პირველობისაცა ზესთასა | აობისაცა ესთასა AB.—25 სულთა AB.—33 არსებათანი ABF.

ყოველნი განმრავლებულნი არსებითა და ძალითაცა გაკეცილ და A119b
 განწილებულ. ხოლო გაკეცილი და განწილებული არსებითა და
 ძალითა უმეტეს და უსახოდა უმსგავსო ერთისა. ხოლო უმეტეს უსა-
 ხური და უმსგავსო ერთისაჲ უმცროხსთა მბად და მაარსებელ, ვი-
 5 თარ ზემოთა შორის იჩუნენა.

თ ა ვ ი 62

«პოველი სიპრავლე უმახლობელესი ერთისაჲ რაოდნობითა
 უმცრო იყოს უშორიელესსა, ხოლო ძალითა უმეტეს. რამეთუ
 უმეტეს მსგავს ერთისა უმახლობელესობითა». იტყვს, ვითარმედ,
 10 რაოდენცა მრავლდებოდის და განწილებოდის არსებითა, განი-
 წილების და ძალითაცა; ხოლო რაოდენ უფრო ერთ და ერთებრივ A120a
 არსებითა, ეგვზომცა უძლიერეს და ზესთ მდებ ძალითა. რამეთუ ძალნი
 შეუდგან არსებათა; და თუ არსებანი ერთის გუარ იყვენენ, და ძალ-
 ნიცა მათნი ერთის გუარ და უმეტეს ხატ ერთისა. ხოლო უმეტეს
 15 ხატი ერთისაჲ, უმახლობელეს ერთისა. ხოლო უმახლობელესი
 ერთისაჲ, უფროხსთა და უმეტესთა მბად და მიზეზ.

თ ა ვ ი 63

«პოველი თანუქონოჲ მრჩობლსა წარმოაყენებს თანშექონეთა
 წესსა. ოდესმე თანშექონეთა, და კუალად სამარადისოდ და თან-
 20 შეწყობით თანშექონეთა».

მესმა, ზ გამგონეო, ხედულო გონებისგან? რამეთუ სამად
 გაყვნა ყოველთა არსთა წყარონი: თანუქონოდ, რომელ არიან სი-
 რათ-მთავარნი და დასაბამნი, რამეთუ არა რას მიიღებენ თვსთა
 შემდგომთაგან, არამედ სამარადისოდ დამსკუალულ არიან ზენაობასა
 25 შორის მთავრობისასა, ვითარცა მიზეზნი და წყარონი არსთანი, და
 არას მიიღებენ თვს-გამოთა მიზეზოანთაგან. ხოლო წარმოიყენებენ
 თვს ქუეშე ორთა მოქცევათა არსებათასა: ვითარ სამარადისოდ მა-
 ზიარებელთასა მათდამი, და ოდესმე მაზიარებელთასა. ხოლო სამა- C 195
 რადისოდ მზიარებელად იპყრენ ყოველნი საყოველთაონი და სამარა-
 30 დისონი, და უკუდაესა და დაუვსებელსა ნათელსა შორის მდგომარენი,
 ვითარ არსებაჲ საყოველთაოხსა სულისაჲ, რამეთუ ნიადაგ გონებასა
 შორის, და ვითარ ანაქუსი ესე! ამის სხეულოანისა ყოველობისაჲ, რო- A121b
 მელსა ერქუმის ცაჲ, რამეთუ დაღათუ სხეულთა მიერ აღგებულ; არამედ
 სამარადისოსა ნათელსა შორის გონებისასა იბრწყინებებს თვსთა ხედ-

7 რაოდენობითა EFH.—11 უფროს E.—15 ხატი ერთისაჲ ხოლო AB.—
 ერთისა] ერთისაჲ codd.—19 წესსა] თვსთა D.—20 თანშექონეთასა E.

ვათა და წურთათა და სურვილთა მის ზესთ ერთისა მიმართ ფილო-
 სოფოსი და ყოვლად ბრძენიცა ესე, და სურვილთა მიერ ერთი-
 სათა ნიადგ სდევს და ეტრფის ნამდვლ მყოფსა და მისსა მამასა
 ერთსა, ვითარცა გადგონისებული ტრფიალებითთა მიერ სურვილთა
 5 ერთისათა, და წაღწოჲს მისდამი შემტრფალი, და შეეყოფვის მას
 მიერ სულისა და გონებისა, და უკუდავ იქმნების მის მიერ, და
 იღმრთებს თვსთა ზექონებათა ყოველთა მეკუდოთა წესისა და ბუნე-
 ბისგან, ვითარ ზღომილი სანეტაროსა ხუედრსა, და მეკუდოთა უბა-
 დრუკებისგან ზესთ დაშთომილი. და კუალად ოდესმე თანმეკონედ
 10 იტყვს ყოველსა მეკუდოთა და ნაწილებითთა აგებულებასა. რამეთუ
 ოდესმე თან იქონებს მეკუდოთა ბუნებაჲ ცხოველობასა, და გონებასა,
 და ღწერტსა. რამეთუ, თუმცა სამარადისოდ თან იქონებდა და იყომცა
 შეკრულ სამარადისოდ ცხორებისა და გონებისა და ერთისადა, არამცა
 იყო მოკუდავ და სამარადისოსა დენასა შორის; არამედ ვითარცა
 15 ოდესმე მზიარებელი ამათი, ოდესმე და ცხოველ არს. ხოლო სა-
 მარადისოდ მზიარებელნი და თანშეყოფილნი მიზეზთა და ცხორები-
 სადა წარმოაარსებენ და ჰბადებენ ოდესმე ცხოველთა და ოდესმე
 მზიარებელთა ცხორებისათა, რაჲთა იყვნენ უფრო ხატ და მსგავს ^{A122a}
 ყოველთა მბადისა.

20 **თ ა ვ ი 64**

«ყოველი მხოლოჲ დასაბამებრივი ორსახეთა წარმოაყენებს
 რიცხუთა: რომელთაჲმე თვსრულთა გუამოცნებათსა, ხოლო რომ-
 მელთაჲმე ნაბრწყინთა ოდენ და სხუასა შორის გუამოცნებისა მომ-
 გებელთა. რამეთუ უღარესობისადმი ყოველი გზავნაჲ».
 25 აწ აქა ესთა იტყვან ესე ხედვანი, ვითარმედ ყოველნი სირათ-
 მთაეარნი და დასაბამნი ორსახეთა წარმოაყენებენ რიცხუთა, ესე
 იგი არს არსებათა. რიცხუად უკუე ამისთვის უწოდა, ვითარ მრავალ-
 თა, ვითარ საყოველთაოთა და ნაწილებითთა, რამეთუ არა ყოველი
 სული ერთ და იგივე, და არცა ყოველი სხეული ერთ და იგივე.
 30 რამეთუ რომელნიმე არიან ამათნი თვთმდგომ გუამოცნება, ხოლო ^{A123a}
 რომელნიმე ოდენ ნაბრწყინ და ესევითა ოდენ ნაელვებ, რომელთა
 დგომაჲ და მყოფობაჲ სხუათა შორის მოუგია, ვითარ ამათ სხეულ-
 თა-შორისთა, იტყვს სულთა. რამეთუ არ თვთმდგომ სხეულთა-შო-
 რისი ნაბრწყინი და ნაშხევი სული ესევითა შარავანდელი, რამეთუ

1 წრთუათა E.—1—2 მის ზესთ—სურვილთა <E (ex homoioteleuto).—2 ბრძენი
 ცაჲ ABCDEF.—4 ტრფიალებისა AB.—7 იღმრთებღს H.—10 აგებულებათა AD, აღგე-
 ბულებათა B.—13 ერთისა, და არამცა F.—28 ვითარ <D.—29 და არცა—იგივე
 <E (ex homoioteleuto).—34 ნაშხევი ნახევი EH.

ესთა ყოველთა მეკუდოთა სული. ხოლო აქი დიდთა უდიდესნი წინა-
 უკუმობანი შემოვლენ ყოველთა ასკლიპიანთა და აფროდი-
 სიელისნი, რამეთუ კაცობრივსაცა სულსა ნაბრწყინად იტყვს
 უცთომელისა სფეროვსგან და არა გუამოვნებად, ვითარ თვთმდგომ,
 5 არამედ ვითარ ნაელვად საყოველთაოვსა სულისაჲთ. ვინაჲ ამათ და
 ესვითათა ყოველთა სუეტნი სიბრძნისანი ყოველნი პლატონურნი
 დიდნი და ქეშმარიტებით ღმრთისმეტყუელნი არდი უჩინო ჰყოფენ,
 და უკუ არლუევენ, და სულსა კაცობრივსა თვთგუამოვნებად აღ-
 10 მოაჩენენ და პირველ მეკუდოთაჲსა არსებად გონიერად და ალაღმად C 19b
 გონებისად გამოაჩენენ.

ხოლო «უდარესთადმი ყოველი გზავნაჲ» ზენათაჲ. ესე არს
 ესე, ვითარმედ განჰზიდვენო ყოველნი მოქცევანი სირათანი პირველ-
 თაჲთ ვიდრე უკუანაჲსკნელთამდისო. ხოლო უკუანაჲსკნნი დამრუმ-
 15 დებიან, რამეთუ ოდენ ნამზევთა და ნაბრწყინთა მიითულვენ მოქმედე-
 ბათა და ძალთა, ვითარ უტყუთა. და კუალად წარმრრე ნერგთანი,
 რამეთუ ვითარ ნაბრწყინ და ნაკმევე მათ-შორისი სული. A123b

თ ა ვ ი 65

ყოველი «რაოდენვე წარმოდგომილი, ანუ მიზეზებრივ არს და
 დასაბამებრი, ანუ მეგრ მყოფობით, ანუ თანმიქონებით და ხატოვ-
 20 ნებით». ხედავა, ზ გამგონეო, მზესა ამათ ხედვითასა? რამეთუ სამად
 განჰყოფს არსებასა წარმოდგომილთასა, ესე იგი არს წარმონაარს-
 თასა. რამეთუ არსებანი წარმოდგეს ზესთ არსისა ყოველთა მხედისა
 მიერ, ხოლო ესენი არიან. სამსახე, ვითარცა პირველთა შორის ცხა- A124a
 დად გარდავდეით: ანუ კატეტიად, რომელ არს მეგრ მიზეზო-
 25 ბით; ანუ კათვპარქსად, რომელ არს მეგრ მყოფობით; ანუ კატა-
 მეთექსად, რომელ არს მეგრ თანქონებით. ვინაჲ აწ ჩუენ სახე- C 199
 თა ზედა კუალადცა განეაცხადოთ. მოიღე და იყოს ნამდვლ მყოფი.
 ესე ზესთა წმიდაჲ პირველი არსებაჲ სამ სახედ განიცილების: პირველსა
 მას მიუწთომელსა ზესთ არსსა ერთსა შორის; და მეორედ თვთ თვს მყო-
 30 ფობასა შორის; და მესამედ შემდგომთა შორის. აწ კარგად შეისწავე,
 ვითარ საკიროჲ, რამეთუ ოდეს მას მიუწდომელსა ზესთ არსსა
 შორის გესმეს პირველი არსებაჲ, უმჯობესად ჰრაცხე ბუნებასა არსე-
 ბისასა, და ვითარ ზესთ არსად და ერთებრივად. ხოლო ოდეს თვთ
 თვს შორის გესმეს და სწორად თვსდა, პირველად არსებად გაიგონე.
 35 ხოლო ოდეს უდარესთა შორის გესმეს და ხედო, ვითარცა მიზეზი

1 აქა] აჰა.—14 ოდენ] რაოდენ D.—ნამზევთა] ნახევთა EH.—15 წამრე ABD.
 —16 ნაკმევე] ნაკმევე F.—20 ხედვაჲ AB, ხედვაჲ E.—29 მეორე EH.—31 მიწუდომელსა
 A, მიუწთომელსა EFH.

სხუათა ყოველთა არსებათაჲ, მაშინ უდარესად თვთ თვისისა მყოფობისად ჰრაცხე. რამეთუ სამარადისოდ მიზეზნი შორის მიზეზოანთა განიკლებიან და ვითარ უდარესად თვისისა მყოფობისად. და კუალად მიზეზოანნი შორის თვსთა მიზეზთა იხილვებიან, მაგრა ზესთად და უმჯობესად თვსთა თვთებათად. და ესე კანონი ყოველთა ზედა რაჯომვე წარმოარსებულთა და წარმოქმნილთა.

თ ა ვ ი 66

ყოველადისა და ნაწილთათჳს

ყოველნი მყოფნი ერთმანერთისა მიმართ ანუ ყოველ არიან, ანუ ნაწილ, ანუ იგივეობა, ანუ სხუა». ესრეთ იტყჳს, ვითარმედ ყოველნი მყოფნი ანუ საყოველთაო არიან და შემკველ ნაწილთა, ანუ ნაწილ და შეცეულ და შესაზღვრებულ საყოველთაოთა შორის. და კუალად ანუ იგივეობა და ერთ ტომ და ერთ არსება, ვითარ უკუდავთა ყოველთა ვითარცა უკუდავთა შესცავს საზღვარი უკუდა- ევბისაჲ, დაღათუ სხუა და სხუა ბუნება იყენენ. ხოლო მეკუდროთა ყოველთა შესცავს საზღვარი მოკუდავებისაჲ, ვითარ იგი მეკუდრო არიან, დაღათუ სხუა და სხუა ბუნება არიან.

თ ა ვ ი 67

ნაწილისა და ყოველობისათჳს

ყოველი ყოველობაჲ ანუ პირველ ნაწილთაჲსა არს, ანუ ნაწილთაჲგან, ანუ ნაწილთა შორისა. აწ ესე ხედვანი ნაწილისა და ყოველობისათჳს შემოვლენ. ხოლო შენ ესთა ხედე, რამეთუ პირველ ნაწილთასა ყოველობაჲ არს, ოდეს ყოველნი რიცხუნი ერთსა შორის იხილნე და განიცადნე, ვითარ მიზეზსა შორის, რომელ არს ყოველობაჲ პირველ ნაწილთაჲ; ანუ ოდეს ტომსა შორის განიცადნე ყოველნი გუარნი, ვითარ ყოველობანი და შემასრულებელნი ტომისანი; ანუ თვთ თვს შორის თითოეული გუართაჲ. მოიღე და იყოს ერთი რაჲვე გუართაჲ, ვითარ და კაცისაჲ: რამეთუ ესე კაცი შედგა მიერ ნაწილთა, და იხილვე- ბის ყოველობაჲ კაცისაჲ შორის თვსთა ნაწილთა. და კუალად ყოველობაჲ ნაწილისაჲ, ვითარ კელისაჲ: რამეთუ კელი, ვითარცა კელი, ნაწილი არს ყოველისა გუამისაჲ; და კუალად ყოველობაჲცა არს, ყოველობაჲ უკუე ვითარ კელისაჲ, რამეთუ თითთა და მკლავისა და გოჯთა მიერ შედგა ყოველობაჲ კელისაჲ. ვინაჲ აწ ესე ყოველობაჲ კე-

3 თვისისა] თჳსა EH.—12 და შეცეულ] შეცეულ AB. 16 მეკუდრო] მეკუდრო AB, <D.—24 ოდენ E.—27 თვთ] თუ E.

ლისაჲ ნაწილ არს ყოველთა მიერ ასოთა შეყრილისა. ყოველობისა, და გაქუს სამ სახედ ყოველობაჲ: პირველ ნაწილთაჲსა, შორის ნაწილთაჲსა და ნაწილთა შორის ნაწილთასა. ეინაჲ და ესევე კანონი იპყარ ყოველთა ზედა სხეულეანთა და უსხეულოთა, და ყოველსა ზედა ანაგსა არსთასა.

თ ა ვ ი 68

ყოველობათა-შორისისა და ნაწილთ-მიმარისათჳს

«ყოველი ნაწილთ-შორისი ყოველობაჲ ნაწილი არს ნაწილთაგანისა ყოველობისა».

10 აქა ხედვანი მოჰქონან საპირონა და ღრიფნი. და თუ გწადის, გაიგონე, რამეთუ იტყვს ხედვაჲ ამის თავისაჲ, ვითარმედ ყოველი ნაწილთ-შორისი ყოველობაჲ ნაწილი არს ნაწილთაგანისა ყოველობისაჲ. ისმინე, რამეთუ აქა ორთა დაჰლექსაეს: ყოველობათა-შორისისა და ნაწილთ-მიერსა. ნაწილთ-შორისი უკუე ყოველობაჲ არს, ვითარ
15 ხილული ნაწილსა შორის, ვითარ ვთქუთ კელის ყოველობაჲ. ხოლო ესე ნაწილსა შორის ხილული ყოველობაჲ არს ნაწილ ყოველთა ასოთა მიერ შედგომილისა ყოველობისა, და არს ნაწილიცა და ყოველობაჲ. მაგრა ნაწილი ვითარ სხვსაჲ, ხოლო კუალად ყოველობაჲ ვითარ სხვსაჲ. რომელი ესე და სახემანცა ცხად გიყოს: რამეთუ არს ყოვე-
20 ლობაჲ ცისაჲ შედგმული რვათა მიერ სფეროთა და ოთხთა მიერ ასოთა, და არს ქუეყანაჲ ნაწილ ყოველობასა ცისასა, და კუალად თვთ თჳს შორისცა ქუეყანაჲ ყოველობა არს, რამეთუ შეიცაეს ყოველთა თჳსგნით ნაშობთა. ეინაჲ არს ნაწილცა და ყოველობაცა: ნაწილ უკუე სხვსა, ვითარ აღმოიჩინა ცისად; ხოლო ყოველობა უკუე სხუათა, რამეთუ თჳს მიერ ნაშეთა ყოველთა თჳს შორის შემოსწერს. და ესე კანონი შეისწავე ყოველთა ზედა.

C 202

თ ა ვ ი 69

სამად განყოფილთა ყოველობათათჳს

«ყოველი ნაწილთაგანი ყოველობაჲ ეზიარების ნაწილთ-პირველსა | ყოველობასა». აქა სამად განყოფილთა ყოველობათა ეზიარებს ურთიერთას. რამეთუ ნაწილთა-შორისისა ყოველობასა, ვითარ ქუეყანისასა ვიტყოდეთ, ეზიარებს მრავალთა ნაწილთა მიერ შედგმულსა ყოველობასა, ვითარ ცისასა. ხოლო კუალად ყოველობასა ცისასა და სხუათა ყოველთასა, რომელთა ნაწილ არს ცაჲ, ვითარ სულისა სავ-

A127a

1 ნაწილი F.—2 ყოველობაჲ AB.—14 და<AB.—16 ნაწილ| ნამდვლ D.—18 —19 ხოლო—სხვსაჲ დასტყუდს ანაჲ AD.—25 შორის<EH.

ყოველთაოადა. და კუალად სული საყოველთაოა ნაწილ საუკუხო-
 საა. ხოლო საუკუნოა ნაწილ ნამდვლ მყოფისა. ხოლო ნამდვლ მყო-
 ფი ნაწილ არს ყოვლობასა, არა თუ ნაწილთა მიერ შედგმულსა,
 არამედ პირველსა და ზესთასა ნაწილთასა; და ყოვლობასა არა ნა-
 წილთა-მიერსა, არამედ ზესთასა და ერთებრსა, რამეთუ ყოველი ნა-
 წილთა მიერ შედგმული ყოვლობა ენებასა თანამდებ არს შედგმუ-
 ლობისასა. ხოლო შეუდგმელი ყოვლობა ზესთა ძეს ყოველსა ენე-
 ბასა, დალათუ იყენენ მაკეთებელ ენებანი.

თ ა ვ ი 70

სამად განყოფილთა დასაბამებრთა მიჯნეთათჳს

10

«ყოველი უმეტეს ყოვლებრივი დასაბამთა შორის პირველ ნა-
 წილთადასა თჳსთა მაზიარებელთადმი ბრწყინავს». ყოველი ესე ზედვად
 ესთა გუეტჳს ჩუნენ, ვითარმედ ყოველი უფრო ყოვლებრივი უზეს-
 თაეს ძეს. ყოველთა, რომელთაცა იყოს უყოველიერეს. და უბრწყინავს
 თჳსთა. მოქმედებითა მჭეთა სამ სახედ თჳსთა შემდგომთა მიმართ. A128a
 რამეთუ იმოქმედებს პირველ შემდგომთადასა თჳსთა შემოქმედებითა
 მოქმედებათა, და შემდგომთა თანა მისცემს თჳსთა ძალთა და მოქ-
 მედებათა. და კუალად შემდგომად შემდგომთადასა, ოდეს ვერლარა
 კმა ეყენენ შემდგომნი მოქმედებად და წარმოჩენად, იმოქმედებს და
 წარმოაჩენს და შორს გაზიდაეს თჳსთა მამყოფებელთა მოქმედებათა,
 რომელთა ვერ უძლეს შემდგომთა თან გაყოლად, რომელი თჳთ ამან
 სახეთა მიერ ცხად ყო. ვინაჲ სამ სახედ იმოქმედებს ყოველი და-
 საბამებრი საყოველთაოა მიჯნე: პირველ შემდგომთადასა, თანა შემდ-
 გომთა და შემდგომად შემდგომთა.

25

თ ა ვ ი 71

«ყოველსა დასაბამებრივთა მიჯნეთა შორის უყოველიერესა
 და ზესთ მექონესა წესისასა განსაზიდასა შორის დასასრულთასა
 მის მიერ გამონაბრწყინნი ექმნებიან მამყოფებელ და წინამდე-
 ბარე».
 ყოველი ესე ზედვად იტჳს ესთა, ვითარმედ ყოველნი უმეტეს
 ყოვლებრივნი სირათ-მთავარნი წარავლენენ თჳსგნით ნაბრწყინთა,
 ესე იგი არს ძალთა და შემოქმედებათა, და თჳთ იგი შემოქმედებითნი
 ნაბრწყინნი ამყოფებენ არსებასა შემდგომთასა, და ალიქმან მათ C 2106

5-6 ნაწილთ მიერ H. - 6 თანამდებარე D. - 14 და < AB. - 15 მოქმედებათ-
 თა D. - 19 იმოქმედების ABD. - 28-29 წინამდებარე ქუედმდებარე P აკ. 46, 14. - 32
 შემოქმედებათა მოქმედებათა ABD. - 33 იყოფებენ F. - ალიქმენ ABH

მომმარჯუ შეწყნარებად მათ მიერ მინაბრწყინთა. და კუალად რამე-
 თუ უმსწრაფლეს და უმკუეთეს განსწუთებიან მინაბრწყინნი პირველ- A129a
 თა და ზესთათა მიზეზთანი უმწუერვალესთა განსაზიდსა თანა, ვიდრე
 საშუალთანი, ამისთვის რომელ ყოველსი სირათ-მთავარნი უფრო ერ-
 5 თის გუარ და საყოველთაო.

თ ა ვ ი 72

«ხოველსა თანმზიარებელთა-შორისსა ქუედმდებარისაჲ უპ-
 ყრიეს წესი, რამეთუ იწარმოებვის სრულთა და ყოველ'ებრივთა A129b
 მიზეზთაგან».

10 იტყვს ესთა, # გამკონეო, ვითარმედ ყოველსა თანმზიარებელ-
 თა-შორისსა ქუედმდებარისა უპყრიეს წესი. ესე ხედვაჲ არს ესე,
 რამეთუ ყოველი ქუედმდებარე არსებაჲ უდარეს არს ზენასა, ამისთვის
 რომელ ქუედმდებარენი არსებანი ზენათა მიერ წარმოიყენებიან, ვი-
 თარცა გუარნი ტომთაგან და ვითარცა ნაწილნი ყოველობისაგან. ხო-
 15 ლო ქუედმდებარენი და ნაწილებითნი ზენათაგან საყოველთაოთა
 მიიღებენ თვსთა მყოფობათა, და უპყრიეს ადგილი რეც თუ ქუეშე
 მდებარეთაჲ. |ხოლო ოდეს ქუეშე მდებარედ გესმნენ ნაწილებითნი C 207
 არსებანი და საყოველთაოდ, ნუ ვითარ არსებასა და შემთხუევითსა
 იქუნოი, ვითარცა იტყვს არისტოტელი შორის «სიტყუერე-
 20 ბითთა და ბუნებითთა», ვითარ უსრულთა სრულისა და
 ღმრთისმეტყუელებითისა ფილოსოფოსობისა მიმართ. არამედ ვითარ
 ერთებრნი და საყოველთაონი გზავნანი ნაწილებითთა მიმართ მამყო-
 ფებელნი.

თ ა ვ ი 73

25 განყოფისათვის ყოველობისა და მყოფისა

|«ხოველი უკუე ყოველი ერთბამად რაჲვე მყოფი არს და C 208
 ეზიარების მყოფსა, ხოლო არა ყოველი მყოფი მიემთხუევის ყოვე-
 ლობასა».

ამას უკუე თავსა შორის განჰყოფს ურთიერთობისგან ყოველ- A130b
 30 ბასა და იტყვს, ვითარმედ ყოველი რაჲცა რაჲვე იქმნა ყოველ, იქმნა
 თვსთა ნაწილთაგან, და მიხუდა პატივისა და წესისა ყოველობისასა, და
 წარმოდგა და ეზიარა მყოფსა. ხოლო არა ყოველი მყოფი მიხუდა
 საზომსა ყოველობისასა, რამეთუ ნაწილნი ნაწილთანი მყოფობა უკუე
 არიან, მაგრა ყოველობა არა. ვინაჲ არა ყოველი მყოფი მიხუდა

1 მომარჯუ DEH, მომარჯუ AB.—2 განსწუთებიან ADEFH, განსწუთებიან B.—3 უმწუერვალესთა] მწვერვალესთა D, მწვერვალეთა F.—19 იქუნოჲ DFH.

საზომსა და წესსა ყოვლობისასა. და კუალად იტყვს, ვითარმედ თუ ყოვლობაჲ ოდენ არს მყოფ და ნაწილნი არა, მაშა შედგეს ყოვლობაჲ უმყოფოთა ნაწილთაგან, და შეემთხვოს ყოვლობასაცა არა მყოფობაჲ, ამისთვის რომელ უმყოფოთა ნაწილთა მიერ შედგა. არამედ

5 არცა ნაწილნი უმყოფო, არამედ მყოფ, მაგრა ვითარ ნაწილნი, და ნაწილთა მყოფთაგან შედგა მყოფობაჲ ყოვლობისაჲ. ხოლო პირველ ნაწილთაჲსა ყოვლობაჲ ზესთა ძეს ნაწილთა მიერ შედგმულსა ყოვლობასა, ვითარ პირველთა შორის მდიდრად აღმოიჩინა. და კუალად განპყოფს მყოფსა და ყოვლობასა და იტყვს, ვითარმედ, რაჲცა რაჲვე

10 უმრავლესთა არს მიზეზ, უფრო შორს გამწვთომ ძალითა შემოკმედებიითთა, ხოლო მყოფი უფრო შორს გამწვთომ, რამეთუ ნაწილთაცა მისცემს. მყოფობასა რომელი, ვერ უძლო ყოვლობამან.

თ ა ვ ი 74

განყოფინათვის ყოვლობისა და გუარისა

15 «შოველი უკუე გუარი ყოვლობა რაჲვე არს (რამეთუ მრავალთა მიერ წარმოდგა რომელთაცა თითოეულთა შეასრულეს გუარი); არამედ არა ყოველი ყოვლობა იყოს გუარ. რამეთუ რაჲვე ნაწილებითი და განუკუეთელი ყოვლობა უკუე არს, ვითარცა განუკუეთელი, ხოლო გუარ არა არს».

20 მსე ხედეაჲ სახეთა მიერ იქმნეს საცნაურ, რამეთუ გაპყოფს ყოვლობასა და გუარსა ესთა, რამეთუ არს ცხოველი გუარ არსებისა და ყოვლობაცა; და კუალად არს სიტყვერი გუარ ცხოველისა და ყოვლობაცა; და კუალად არს კაცებაჲ გუარ სიტყვერისა და ყოვლობაცა, რამეთუ მოაქუს თვს შორის ყოველი კაცთა ბუნებაჲ,

25 ვითარცა ერთი და ყოველნი ნაწილებითნიცა კაცნი. ხოლო ვინ კაცი, ვითარ მოილე და იყოს სოფრონიკოჲს ძე სოკრათი, ყოვლობაჲ უკუე არს და ითქუმის ყოვლობად, ვითარ ნაწილთა მიერ შეყრილი, ხოლო გუარად არღარა, რამეთუ არ წარმოიქმს თვს ქუეშე სხუასა ნაწილებითსა, არამედ მასვე ვითარ და ერქუმის და განუკუე-

30 თელცა, ამისთვის რომელ არ განიკუეთა სხუად და სხუად არსებად, არამედ იგივეობად. სხუა ვიდრემე ყოვლობაჲ და სხუა გუარი, ვითარცა აღმოიჩინა*.

4 ნაწილთა მიერ] ნაწილთაგან H.—7 ძეს და ნაწილთა AB.—10 შორს] შს AB, შორის E.—16 რომელსაცა თითოეულსა ABDEF; F-ის ამაჲსე სწრაჲ: ნუ უმე რომელთაცა და თვთოეულთა.—22 ყოვლობაჲცა ABCEF.—23 ყოვლობაჲცა ABCEF.—26 იყოს<AB.—29-30 განუკუეთელსაცა EH. განუკუეთელსცა D.

* ამ განკარგუების განსწავლვის ამაჲსე სწრაჲ: რაჲ არს გუარი შეისწავე F, რაჲ არს გუარი შსწ DH. რაც უკუე ჰეკენაჲ: რაჲ არს გუარი შორის წ AE, რაჲ არს გუარის შსი B.

თ ა ვ ი 75

მიზეზთა სხუარობისათჳს

«შოველი საკუთრებით მიზეზად თქმული ზესთა ძეს მის გამო მისასრულთაგან, რამეთუ თჳს შორის მყოფობს». ესე ხედვად პირველად მიზეზთა გავყოფს, თუ რაოდენ სახე არიან. რამეთუ არიან ხუთ: შემოკმედებითად, მისრულებითად, გუაროვნებითად, ნივთოვნებითად და ორღანებითად. ეინაჲ ყოველსა საკუთრებით მიზეზად თქმულსა შემოკმედებითი უპყრიეს წესი და ადგილი, და ზესთ განყენებულსა ყოველსა თჳსგნითთა მიზეზოანთაჲთ, და არა ვითარ ნაწილთაგან შედგმულა თჳს გამო მიზეზოანთაჲთ. არამედ პირველ დაუმსკუალავს თჳსი ყოვლობაჲ, ვითარცა ერთსა ყოველთა რიცხუთადა; და არცა ვითარ ნაწილი ქმნადისაჲ, ვითარ სიტყვერი საზღვარსა შორის კაცისა ანუ ანგელოზისასა; და კუალად არცა ვითარ, ორღანებრივი მიზეზი არს, ვითარცა სიმკურვალე ქმნასა შორის A132b თესლთასა, ანუ ვითარ ჰერი აღრაჲ აღგებასა შორის სფეროჲსასა.

თ ა ვ ი 76

სამარადისოთა და ჰცევაღთა მიზეზთათჳს

«შოველსა უკუე მიუღრეკელისა მიზეზისგან ქმნილსა შეუცვალებელი აქუს მყოფობაჲ, და ყოველსა მიღრეკადისა მიერ წარმოჩენილსა შეცვალებადი».

იწყო უკუე წარმოჩენად და განყოფად სამარადისოთა და ქცევადთა მიზეზთა. სამარადისოდ უკუე იტყვს ყოველთა საუკუნესა შორის მომგებთა, მიუღრეკელისა და დაუესებელისა მყოფობისათა. რამეთუ მოუგია მათ მყოფობაჲ სამარადისოდ, და მეფობაჲ დაუბერებელი, და ცხორებაჲ დაუესებელი, ვიტყვ უკუე არსებასა გონებისა და სულისასა, რამეთუ და სულიცა არსებით შორის საუკუნოსა არს დამსკუალულ, დაღათუ მოკმედებით ჟამსა შორის განჰმინა თჳსნი მოკმედებანი. ხოლო ყოველი მიუღრეკელთა და ურყევთა მიზეზთაჲთ ქმნილი, დაღათუ იყოს სხეულოან, არს სამარადისოჲ. რამეთუ უკუედაესა შორის ცხორებასა იწყაროებს თუალთა თჳსისა ცხორებისათა, ვითარ მზე და ყოველი C 2:2 აღმკულებად ციერთაჲ. რამეთუ ნიადაგ იქმნების ყოველი არსებაჲ ცისაჲ, და უკუედავოს ვითარ მიუღრეკელთა მიზეზთაჲთ წარმოარსებული. A133b

5 რაოდენ სახე რაოდენსაცა DH.—7 ორღანობითად EFH.—9 ყოველთა CDE.—10 შედგომილა ABDFH.—13 ანგელოსისა E.—14 ორღანებრივნი EF, ორღანებრივნი H.—20 აქუსიყოს D.—26 უკუე<E.—29 მიუღრეკელსა F.—33 და <AB.—უკუედავოსა B, უკუედავოსა DE, უკუედავოსა H.

რამეთუ რომელთა მიზეზნი იყენენ მიუღრეკელ, მათგან წარმონაარს-
 ნიცა იყენენ სანიდადგოსა შორის ნათელსა უკუდავებისასა. ხოლო
 ყოველი მდინთა და ხრწნადთა ბუნება დახუდა ქცევადთა მიზეზთა
 აგებულებასა. რამეთუ რომელი ალაგო სამყურობამან დ ი ო მ ს მ ა ნ
 15 მზისა მიმართ, იგი დაჰქსნა ოთხყურობამან კ რ ო ნ ო მ ს მ ა ნ, და სა-
 ნიდადგოდ ესთა აღიქმნებისცა და იკსნებისცა ყოველი მეკუდლოთა
 ანაგი. რამეთუ შედგა იგი მიზეზთა მიმღრეკთა და სხუად და სხუად
 მქცევთავან.

თ ა ვ ი 77

ქალთა და მოქმედებათათჳს

10

«პოველი ძალითად მყოფი მოქმედებით მყოფისგან, რამეთუ
 ძალითა ოდენ მყოფმან მოქმედებისადმი იწარმოოს».

ესე ხედვაჲ ეტყჳს მხედველსა, ვითარმედ ყოველი ძალად ოდენ
 მყოფი მოქმედებით მყოფისა მიერ, ხოლო შენ ცნენ თუ რაოდენ სახე
 15 ძალად ოდენ მყოფნი, და რაოდენ მოქმედებით მყოფნი. პირველად
 იუწყენ, რომელ ყოველნი ყოვლობანი არსებათანი და უფროსს ხოლო
 რომელთა საუკუნესა შორის მოეგოს მყოფობაჲ, სამარადისოდ მოქ-
 მედება არიან, ვითარ სრულნი; რამეთუ თან წარმოსდგომია არსე-
 20 ბასა მოქმედებაჲცა, ვითარ ყოვლითურთ უკუდავსა ნეტარებასა შო-
 რის დაფუძნებულთა. რამეთუ ნიდაგ მოქმედებენ, ვითარ უზადონი A 13:18
 ხატნი და ალაღმანი მის ერთისანი. ხოლო ყოველი სხეულენთა ანა-
 გი, დაღათუ იყოს უკუდავთა ხუედრისაჲ, ძალად ოდენ არს ვითარ
 ციერთა ყოველთაჲ. რამეთუ ვითარ სხეული ნიდაგ უკუდავ იქმნე-
 25 ბის სავესებაჲ ცისაჲ, და არს ვითარ სანიდადგოდ ცხოვნებული სა-
 ნიდადგოსა მიერ მოქმედებისა, ვიტყჳ გონიერისა დ ი ო მ ს მ ა ნ. ხოლო
 კუალად ოდესმე ძალადნი ოდესმეობითისა მოქმედებისა მიერ, ვი-
 თარცა მეკუდლოთა ყოველთა ანაგი ოდესმე შემძლე ზიარებად ცხო-
 30 რებისა, და იწარმოებს ოდესობითისა ძალისა მიერ. ხოლო შენ
 ოდესობითად და ძალად მეკუდლოთა ესე მიზეზი ქცევაჲ ცისაჲ და
 35 ციერთაჲ გაიგონე. და კუალად საყოველთაოჲ და ზესთაჲ ერთებ-
 რივი მოქმედებაჲ ყოვლითურთ ძალადსა წარმოაჩენს, რომელ არს ნივ-
 თი უსახოჲ და უგუაროჲ, რამეთუ ყოვლითურთ ძალად ოდენ არს და
 მყოფობით უსახოჲ და უგუაროჲ ნივთი. ხოლო ძალადისა და მოქ-
 მედებითისათჳს «ბ უ ნ ე ბ ა თ - ს ა მ ე ტ ყ უ ე ლ ო ს ა» შორის ისწავო
 40 ვრცელად ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ს მიერ.

4 აგებულებათა AB.—6 და იკსნებისცა F.—21 ალაღმნი ABCD.—26 მოქ-
 მედებითისა H.—26-27 ვითარ H.—31 ყოვლითურთ H.—ძალად AB.—33 მყო-
 ფობით] მყოფით AB.—უსახო[უსახელო ABDEH.—33-34 მოქმედებისათჳს AB.

თ ა ვ ი 78

ო რ ი ს ბ ა ძ ა ლ ი ს ა თ ვ ს

«შოველი ძალი ანუ სრული არს ანუ უსრული. რამეთუ მოქმედებასა თვს შორის მექონე სრული არს ძალი. რამეთუ სსუათა სრულ ჰყოფს თვსთა მოქმედებათა მიერ». შეისწავე, რამეთუ აქა ორად განჰყოფს ძალსა: რამეთუ არსო ძალი, რომელსა და მოქმედებაცა თვს შორის წარმოსდგომია და არს სრულ ძალ; ხოლო კუალად არს სხუაჲ ძალი, რომელი ოდენ ძალად არს, ესე იგი არს შეძლებად, და არა აქუს თვს შორის მოქმედებაჲ, არამედ წარმატებისგან მოვალს მოქმედებად, ვითარცა არსებაჲ სულისა და ცისაჲ, რამეთუ ესე სრულ იქმნებიან მოქმედებათაგან ნიადაგ მოქმედისა გონებისათა.

თ ა ვ ი 79

«შოველი ქმნილი ორობითისა მიერ იქმნების ძალისა». ხედენ ამას ხედვასა, ვითარცა სათანადოსა. რამეთუ იტყვს, ვითარმედ ყოველსა ქმნილსა ორი ძალი უნდა: პირველად, რაჲთა ჰქონდის თვთ სიმარჯუე შეწყნარებად მოქმედებათა უზესთაესისა და მოქმედებითისა ძალისგან; მეორედ თვთ იგი მოქმედებითი ძალი, რომელი არსებად მოიყვანებს ოდენ ძალად მყოფსა. რამეთუ ერთი ვითარცა შემოქმედებითი მიზეზი გაიცადების და ზესთაჲ, ხოლო მეორე, ვითარ ქუეშე მდებარებითი და ნივთი და მოქმედებითი ძალი, აღიქმს და წარმოაარსებს ოდენ ძალად მომგებსა მყოფობისასა, ვითარცა გონებაჲ ცისასა.

თ ა ვ ი 80

ს ხ ე უ ლ თ ა თ ვ ს და უ ს ხ ე უ ლ ო ტ ა

«შოველი სხეული ბუნებით ვნებადი არს, ხოლო ყოველი უსხეულოჲ უვნებელ». რაჲ არს, თუ ყოველი სხეული ბუნებით ვნებადი არს? ესე იგი არს, ვითარმედ ქცევადი სხუად და სხუად; ხოლო ყოველი უსხეულოჲ უვნებ, ესე იგი არს, რამეთუ ნიადაგ ქვიცისა და მასვე თვსსა ზედა თვთებასა, ვითარ უქცეველი და ნამდვლ არსი. ხოლო ვნებანი რაჲ გესმნენ, ორ სახედ იგულხუმიე, ვითარცა

8 სკზუა H. — რომელი არს ოდენ A (არს წერტილგანა სხეულა). — 12 გონებისგან AB — 16 ქმნულსა E. — 20 გაიცდების CEF. — 21 აღიქუამს E. — 22 მყოფისასა E. — 26—28 ხოლო—ვნებადი არს < F (ex homoioteleuto). — 31 გესმნეს AB. — იგულხმე E, იგულხუმე H, იგულკმიე F.

მალმრთნი ოდეს უმჯობესთა ეზიარებოდინ. ხოლო ვითარ მაკლნი, ესე იგი არს ოდეს თვისისა მყოფობისაგან უდარეს ჰყოფდენ; და კუალად ესეცა შეიმეცნე, რომელ სხეულსა არ მოუგია თვს შორის ძალი მოქმედებითი, არამედ ძალი ოდენ სხუად და სხუად ქცევადი, 5 რამეთუ ჰბაძავს პირველსა ნიეთსა, რომლისაგანცა შედგა. და კუ:-
ლად იტყვს, ვითარმედ ივნებს უსხეულოცა სხეულთა თანზიარებისა მიერ, ვითარ ესე სულისა არსებასა ზედა განიცდების, რომელი ივნებს სხეულთა მიერ ოდესმე, და თან მიზრქელდების მათ, ვითარ ესე მძლავრთა ენებათა განცემასა შორის ცხადად იხილვების.

10

თ ა ვ ი 81

პირველისათვის, განუშორებელისათვის და განუშორებალისა

«ჰოველი განუშორებით მზიარებელი განუშორებელისა ვინაჲსა ძალისა მიერ, რომელსა მისცემს, მზიარებელსა წარმოუდგების».

16 აწ აქა სამთა წარმოიქმს: პირველსა, და განუშორებელსა, და განუშორებადსა, ვითარ იყოს საცნო სახეთა მიერ, რამეთუ პირველ არიან ნამძღვლ მყოფი და ყოველნი საუკუნოაჲს-შორისნი; ხოლო მზია- C 217 რებელ მათდა, ვითარ ყოველი ანაქუსი ცისაჲ; ხოლო განუშორებადნი, ვითარ ყოველთა მეკუდრთა ბუნებაჲ და ანაგი. და იზიარებიან 20 მეკუდრნი საუკუნითთა მიზეზთა, სამარადისოდ მათდა მზიარებელთა მიზეზთა მიერ.

თ ა ვ ი 82

არსებისათვის სულისა

25 «ჰოველი უსხეულოჲ თვსდადვე არს უკუშქცევ, და თვსთა მზიარებელთა განყენებულად ეზიარების».

აქა იწყებს არსებისათვის სულისა. რამეთუ ვითარ შთამოასრულ-
ნა ყოველნი გონიერნი და ზესთ გონიერნი არსებანი, მერმე აღილო არსებისათვის სულისა და იტყვს, ვითარმედ უკუნ იქცევისო თვსდადვე, ესე იგი არს, რამეთუ, ოდეს რაჲ განიგონოს სულმან თვისი საწადი 30 და გასაგონოჲ, კუალად მას გაგონებულსა უკუ ისფერებს და უკუნ იქცევის თვსდადვე, რომელი სხეულთა ვერ ძალ უც; არამედ ოდენ ჰბაძავს ცაჲ სამარადისოდ სფერებრივ უკუნქცევეითა, არამედ დაკ-
ლებულა: პირველად, მოქენე არს ადგილსა, ვითარ სხეული; მეორედ,

3 შეიმცნე D.—9 განცემასა < F.—19 ანაგი ანაი F.—20 საუკუნოთთა F.—29 აქლმან] სული ABD.—30 უკუ] უკუთ ABDEH.—უკუნ] უკუთ AB.—31 სხეულთა ვერ] სხეულთაებრ F.

რომელ დაღათუ უკუნ იქცევის, მაგრა არა ყოველი ნაწილი ყოველ-
თა შორის, რამეთუ განყრილა მიღმო ნაწილითა. ხოლო განყრილი
მიღმო ნაწილითა ყოველი ყოვლითურთ ვერ უკუნ იქცევის.

თ ა ვ ი 83

6 «**შოველი მეუწყე თვთობისა თვისისა ყოვლითურთ თვს-
დაღვე უკუშქცევ არს**». ესე ხედვანი განჰყოფენ უსხეულოთა გუარ-
თა სხეულოთა აგებულებისგან. რამეთუ ოდენ უსხეულონი უკუნ იქცევიან
თვსდაღმი, რამეთუ სცნობენ თვსთა არსებათა. ხოლო ყოველი მცნო-
ბელი თვისისა არსებისაჲ პირველ თვსდაღმი იმოქმედებს. ხოლო ყო-
10 ველი რაჲცა რაჲვე იმოქმედებს თვსდაღმი, არსებითცა უკუნ იქცევის
თვსდაღვე. რამეთუ შეუძლებელ ესე, თუმცა მოქმედებაჲ უძჯობეს
არსებისა იყო.

თ ა ვ ი 84

მარად მყოფისათჳს

15 «**შოველი მარადის მყოფი უსაზღვრო არს ძალითა**». რამეთუ
რომელთა სამარადისობაჲ წარმოსდგომოდის არსებითა და გუამო-
ვნებითა, და ძალითა და მოქმედებითაცა სამარადისო არს. რამეთუ
ნიადაგ შეუდგან მოქმედებანი და ძალნი არსებათა. და თუ არსებაჲ
სამარადისო, ძალი და მოქმედებაჲცა სამარადისო. ხოლო ესე სა-
2 ცნაურ არს, ვითარმედ სამარადისოჲ უსაზღვროობასა თანა წარმო-
დგომილ არს და სანიადაგოსა | გუარსა ვითარებისასა. ხოლო თუ
არსებაჲმან იგარდაოს, უფროჲს ხოლო და მოქმედებამანცა და
ძალმან. C 219
A138a

თ ა ვ ი 85

25 «**შოველსა სამარადისოდ ქმნილსა უსაზღვროჲ და მოუკლე-
ბელი აქუს ძალი ქმნისაჲ**».

ესე ხედვაჲ მეტყვეს ჩუენ, ვითარმედ რომელთა მოუგია ძალი
სანიადაგოდ ქმნისაჲ, ნიადაგცა და იქმნებიან, ვითარ არსებაჲ ცი-
საჲ, და ყოვლობაჲ ოთხთა ასოთაჲ, და საყოველთაოთა ბუნებათაჲ;
რამეთუ სამარადისოდ ქმნასა შორის აქუს თვისი მყოფობაჲ, და ნია-
30 დაგ უკუდავდებიან, და ესრეთ ჰგიან და დამსკუალულ არიან შორის
საუკუნესა ნიადაგ ქმნისა მიერ. ხოლო თუ განეცლთას ძალი ნიადაგ

5 თვისისა თვთობისა F.—8 თვსდაღვე AB.—12 იყო<AB.—17 რამეთუ |
და F.—22 იგარდამოს AB, იგარდაოჲს D.—27 რომელთა | ძალითა ADEFH.

ქმნალობით, დასცხრეს განსაზიდა შორის მიუწოდმელისა ეამისასა. რამეთუ ეამი, ვითარ ხატი საუკუნოდასა, დის სამარადისოდ, საუკუნესავე თანა განზიდული. რამეთუ სამარადმყოფიან საუკუნემან მოუდრეკელობასა შორისდა დამსკუალა თვისი დაუბერებელი მეფობაჲ, ⁵ ეინაჲ ხატად და ძეგლად თვსად წარმოაჩინა ბუნებაჲ ეამისაჲ, |რამეთუ A138b სამარადისობითა ეხატვის მას, ხოლო ნიადაგობით მიდრეკითა და დენითა განეყოფვის მას.

თ ა ვ ი 86

სხუარობისათჳს მიუწოდმელისა

¹⁰ «შოველი ნამდვლ მყოფი უსაზღვრო არს». ისმინე, ⁸ განმგონეო, რამეთუ აქა ნამდვლ მყოფად უწოდა ყოველსა გონიერსა და სამარადისოსა არსებასა, რამეთუ თვთ საკუთრებით ნამდვლ მყოფი პირველი ოდენ არსებაჲ არს, ხოლო სხუანი ყოველნი საუკუნენი ნაწილ არიან მისდა. იუწყე, რომელ ყოველი ¹⁵ ნამდვლ მყოფობისა ანაქუსი უსაზღვრო არს პირველად სამარადისობითა, და კუალად მოუკლებელითა და სამარადისობათა ძალითა ცხორებისაჲთა, და არა თუ განსაზიდითა არს უსაზღვრო და რაჲზომობითა. რამეთუ ყოველი ნამდვლ მყოფი უმრავლო და ერთებრივ რიცხვთა და განუზიდველ პილიკითა *, რამეთუ უდიდო რაჲთე მდგო- ²⁰ მარობაჲ მისი.

თ ა ვ ი 87

მყოფისათჳს და სხუარობისა მისისა

«შოველი საუკუნოჲ მყოფი არს, არამედ არა ყოველი მყოფი საუკუნოჲ». მეტყჳს ჩუენ ესე ხედული ხედვაჲ, ვითარ რაჲცავე ²⁵ ითქუმის საუკუნოდ, უფროჲს ხოლო და მყოფადცა. რამეთუ ნამდვლ და ქეშმარიტებით იგი არს მხუდარ უზადოსა პატიესა მყოფობისასა. ხოლო არს საუკუნოჲ ოდენ ზუელვით და სეხნაობით. |ეინაჲ იუწყე, რომელ მყოფი უზენაესი მიზეზი არს საუკუნოდასა, რამეთუ უშორიე- ^{C 222} ^{A140a} ლესთა გასწუთების წარმონაარსთა; რამეთუ მრავალნი მყოფთანი, ³⁰ რომელთა ერქუმის მყოფობაჲ, ვითარ ყოველთა მეკუდოთა ანაგსა, არამედ საუკუნოობისგან დაკლებულ არიან.

1 მიუწოდმელისა EFH.—4 შორისდა) შორის და ABD, შორის EFH.—მეფობაჲ) მყოფობაჲ DEH.—13 სხუანი<C.—17—18 და არა თუ—რაჲზომობითა <D.—28 უზენაესე ABCDE.—საუკუნესა AB, საუკუნესასა F.

* ამ ხატეჲს DEH ხელნაწერჲსა მითითეს აქვს. ხოლო არამჲს ანაგესი ხატეჲს; A. ს. ანაგესე კი მოგვიანო მხედრულიო ხატეჲს; პილი: კარი.

თ ა ვ ი 88

სამსახეობისათვის ნამდვლ მყოფისა

«პოველი ნამდვლ მყოფი ანუ პირველ საუკუნოებას არს, ანუ საუკუნესა შორის, ანუ იზიარებს და თან იქონებს საუკუნესა».

8 სამად უკუე განჰყოფს ანაქუსსა ღმრთისა ნამდვლ მყოფისასა: რამეთუ თვთ პირველი გონებაა, და პირველი ხატი, და პირველი შედგმული მათ ერთებრთა რიცხუთა და ღმერთთაგან ზესთა ძეს საუკუნესა, ვითარ მამაა და მიზეზი საუკუნოებაა, და წარმოიქმს ბუნებასა და ანაქუსსა საუკუნოებასა, და არს საუკუნოება და ნამდვლ მყოფი, ვითარ წარმონაარსი ნამდვლ მყოფისგან, შემდგომი საუკუნოებასანი, ყოველნი გონებითნი და გონიერნი ნამენი და ნათხზნი. და გაქუს სამ სახედ ნამდვლ მყოფი: პირველ საუკუნეთად, თვთსაუკუნოდ და მზიარებელად ნამდვლ მყოფისა და საუკუნოებასა. A140b

თ ა ვ ი 89

განსაზღვრებულთა და განუსაზღვრებელთათვის

15 «პოველი ნამდვლ მყოფი საზღვრისგან არს და უსაზღვროებასა». რამეთუ, ვითარ გესმნეს მრავალგზის, ვითარმედ ორნი წყარონი წარმოდგეს მის ერთობითისასაცა ზესთაესგან. ხოლო მან მიუწოდომელმან შეზავა პირველად შენადგად და შეაერთა ორნი ესე შემოქმედებითნი არსთა წყარონი, და პირველი შედგმული წარმოაჩინა, რომელ არს ნამდვლ არსი და მყოფი. ხოლო ესე ნამდვლ მყოფი უსაზღვრო არს ძალითა, ვითარცა პირველისა უსაზღვროებასა მიერ დაარსებული, და ერთ და უნაწილო არს გუარითა, ვითარ პირველისა საზღვრისა და გუარისა მიერ ერთ ქმნილი და დამთავრებული.

თ ა ვ ი 90

პირველისა საზღვრისა და პირველისა უსაზღვროობისათვის

25 «პოველთა საზღვრისა და უსაზღვროებასგან წარმოდგომილთა უპირველეს არს თვთებითა თვისთა პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვროებაა». ზუესმა პირველთა შორის, ვითარმედ ორნი წარმოიყენნეს წყარონი და ვითარ მხოლონი არსთანი: პირველი საზღვარი, ესე იგი არს პირველი და ზესთაა გუარი გუართაა, რომელი გაასაზღვრებს C 224

5 მყოფისა AB.—7 ღმერთთაგან J კლთაგან D.—10 მყოფი მყოფი A1.—12-13 თვთსაუკუნოდ <D.—18-19 მიუწოდომელმან EH.—20 არსთა <H.—23 ვითარცა BEH.—29 საზღვარი და პირველი <DE (ex homoioteleuta).

და გუარ იქმს და შემოსწერს ყოველთა თვისა თვთებასა შორის; და კუალად პირველი უსაზღვრობაჲ, ესე იგი არს ძალი მოუყლებელი არსთა გებისაჲ და უსაზღვროჲ წყაროჲ დაუესებელისა ცხორებისაჲ. რომელთა ამათ ორთაგან შედგა პირველი აღმკული და პირველი ანაჲ

6 ქუსი, რომელსა ნამდვლ არსად და ნამდვლ მყოფად უწოდა უტყუველმან ხედვამან. ვინაჲ აწ ესე ორნი მიზეზნი პირველისა არსებებისანი A141b უპირველეს არიან ყოველთა არსთა და შენადგსა და თვთ ნამდვლ მყოფსაცა. რამეთუ ყოველსა შორის სტკქიონი, რომელ არიან ასონი, უპირველეს მათგან შედგმულთა. ხოლო ესე ზესთ ღმერთნი პირ-

10 ველი საზღვარი და პირველი უსაზღვრობაჲ ზესთა დამყარებულ ყოველთა არსთა, და თვთ მათ ზესთა არსთა მხოლოთაცა; რამეთუ ორსახენი მხოლონი შთამოვლენ მათგან, რომელნიმე საზღვრის გუარნი, ხოლო რომელნიმე უსაზღვროჲს გუარნი, და შეიერთებიან და ერთ იქმნებიან მიერ მის მიუწდომელისა ერთისა, რომელცა მათითა

15 შეერთებითა ალაგო და შეადგინა პირველი არსებაჲ, და სხუანი ყოველნი შემდგომნი არსებათანი.

თ ა ვ ი 91

განსაზღვრებულისა და უსაზღვრომსა ძალისათჳს

«ყოველი ძალი ანუ განსაზღვრებული არს ანუ უსაზღვროჲ».

20 აქა განსაზღვრებულად ძალად ოდესმეთა ძალთა იტყვის. რამეთუ ოდესმეობაჲ საზღვარ მათდა არს, ხოლო უსაზღვროჲ ზესთა ძეს ოდესმეობასა, რამეთუ სამარადისოდ უწყაროს მათ ნათელი უკუდავებისაჲ. და კუალად რამეთუ ყოველი ოდესმეობასა თანა შექ-

C 225 რული ძალი სამარადისოჲსა დაუესებელისა ძალისა მიერ წარმოდ-

25 გების და მიიღებს მყოფობასა.

თ ა ვ ი 92

«ყოველი სიმრავლე უსაზღვროთა ძალთაჲ ერთისადმი თანახმებულა პირველისა უსაზღვროობისად».

30 მსე ხედვაჲ მეტყვის ჩუენ, ვითარმედ პირველი ძალი უსაზღვროობითი ზესთა ძეს ყოველთა სხუათა უსაზღვროობითთა ძალთა; | ამისთჳს მის მიერ აქუს ყოველთა მყოფობაჲ უსაზღვროთა ძალთა, A142b ვითარ ყოველთა გონებათა და გონიერთა, და ყოველთა სულთა, და თვთ ამას სხეულთანსაცა, რამეთუ მის პირველისა და ზესთაჲსა ძა-

4 (რომელთა) რა D.—14 ერთ] ესრეთ F.—მიუწთომელისა EH.—15 არსება] არსებითი AB.—22 უწყაროჲს ABDEFH.—27-28 თანახმებულა] თან აღკრულა EP (გვ. 177,7-8).—28 პირველსა უსაზღვროობასა D.

ლისგან აქუს ყოველთა ხუედრი უსაზღვროობისაჲ, ხოლო იგი ზესთ დაფუძნებულა საყოველთაოჲთა და მოუკლებელითა თვისითა ძალითა.

თ ა ვ ი 93

«წოველი უსაზღვროობაჲ მყოფთა-შორისი არცა თვისთა უზე-
5 ნავსთა შიშართ არს უსაზღვრო, არცა თვთ თვის შორის».

იტყვის ესე ხედვაჲ, ვითარმედ ყოველი ზესთა და პატივისა მიზეზობისასა ხლომილი უსაზღვრო არს ყოველთა მის-ქუეშეთა და მიზეზოანთაგან; მიზეზნი შემოსწერენ და გაასაზღვრებენ თვის-ქუეშეთა და მიზეზოანთა, ხოლო ქუეშენი და მიზეზოანნი ზენათა ვერ ეკმაებიან
10 შემოსწერად, რამეთუ, დაღათუ მიზეზოანმან შეეღოს ყოველითურთ მიზეზისადმი, არამედ დაუშთებისეე მიზეზსა შორის ზესთაჲ თვისი და შეუწერელი, და განუგონებელი და განუსაზღვრებელი მისგან, ამისთვის რომელ ზესთა ძეს ყოველი მიზეზი მიზეზოანსა, ვითარ C 227 ბუნებაჲ საქმეთაჲ წინა დამიღებს ჩუენ.

თ ა ვ ი 94

განყოფინათვის სამარადისოჲსა და უსაზღვროობისა

«წოველი სამარადისოობაჲ უსაზღვრო ვინაჲე არს; ხოლო არა ყოველი უსაზღვროობაჲ სამარადისოობაჲ».

აქა უკუე განყოფს სამარადისოსა და უსაზღვროობასა, და
20 ზესთ დასდებს უსაზღვროობასა სამარადისოობისგან. რამეთუ, რაჲცა რაჲეე სამარადისო არს, საუწყო, რამეთუ უსაზღვრო არს უკუდაეე-ბისა ნათლითა, რომელსა არცა დასასრული აქუს ძალისა და ცხო-რებისაჲ. ყოველი სამარადისო არს ვითარ დაფუძნებული დაუესე-ბელსა შორის მიზეზსა და სამარადისოდ თანაღსრული თვისსა მი-
25 ზეზსა და პერობილი მის შორის, ვითარ განუელთოლეელი ნათელი დასაბამებრივთა თვისთა დისკოთაჲთ. ხოლო უსაზღვროობაჲ ზესთ მიზეზი არს ყოველისა სამარადისოობისასა, რამეთუ უშორეს ჰყოფს C 228 თვისთა გაწუთომათა და გზაენათა, რამეთუ რაჲსომობასაცა შორის უსაზღვროობაჲ, ვითარ დართვასა და მატებასა შორის რიცხვისასა. და
30 კუალად მეკუდოთაცა ზედა იხილეების უსაზღვროობაჲ, ვითარ კუა-ლად და კუალად სხუა და სხუაობითა, რამეთუ უსაზღვრო ყოველი მეკუდოთა ბუნებაჲ კუალად და კუალადობითა, და თვთ იკი უსახოჲ

1 იგი<C.—4 უსაზღვროობით codd., უსაზღვროობაჲ P ვკ. 17, 21.—მყოფთა შორის AB.—9 ზენათაჲე ეკმაებიან AB EFH (B-ჰე ჰეჰჰჰჰჰჰჰჰჰჰჰჰჰჰჰ ზენათა ვერ), ზენაჲეე ეკმაებიან D.—19 სამარადისოობასა H.—26 ზესთა F.—27 სამარადისოობისა H.—28 გაწუთომათა] გაწობათა F.—31 უსაზღვროობა H.—32 ბუნებაჲ და D.

ნივთი უსაზღვრო, ვითარ მოკლებული გუართა და მორფოთა სხუად და სხუად ნიადაგ ქცევისა მისისათჳს.

თ ა ვ ი 95

«**შოველი ძალი ერთებრივ მყოფი გამრავლებულისასა უუსაზღვრეს არს.**»

იტყჳს ხედვაჲ ესთა, ვითარმედ გამრავლებულისასა ყოველი ერთებრი ძალი უფრო ჰბაძაჲს მას ზესთათა ზესთასა ერთსა. რამეთუ მის უთქჳსა ერთისა მიერ პირველ ყოველთა ზესთა არსთა ერთთაჲსა წარმოიცნეს ორნი წყარონი: პირველი საზღვარი, ვითარ ზესთ გუარი, ანუ, ვითარცა იტყჳს ელვატექსენი, ვითარ გუარი ყოველთა გუართაჲ; და პირველი უსაზღვრობაჲ, ესე იგი არს ძალი ანალკესტატი, ვითარმედ მოუკლებელიო უსაზღვრობითა. ხოლო ესე პირველი უსაზღვროჲ ერთ. და ერთის გუარ, რამეთუ პირველი წყაროჲ არს მის უოცნოჲსა ერთთა მზისაჲ და შეუსაზღვრებელ ყოველთა შემდგომთა და განნაწილებადთა ძალთაგან.

თ ა ვ ი 96

განყოფინათჳს უსაზღვროჲსა ძალისა და სხეულისა

«**შოველისა განსაზღვრებულისა სხეულისა იყოს თუ ძალი უსაზღვრო, უსხეულო არს.**»

აქა განჰყოფს უსაზღვროსა ძალსა და სხეულსა, ვითარ ცისასა, რამეთუ ძალითა უსაზღვრო მოქცევი ცისაჲ და უსხეულოცა. რამეთუ არა ეგების უსაზღვროჲ სხეულიანი, ამისთჳს რომელ ყოველი სხეული განსაზღვრებულ არს. ხოლო თუ არს და იხილევების სხეულსა შორის ძალი უსაზღვროჲ, უსხეულო არს და უსაზღვრო სამარადისობითა.

თ ა ვ ი 97

შესმენათა და ჰუმედებარეთათჳს

«**შოველი თითოეულსა ხირასა შორის დასაბამებრი მიზეზი ყოველისა თჳს-ქუეშესა სირასა თან მისცემს თჳსისა თვითებისგან. რამეთუ ვითარ იყოს იგი პირველ, იყვნენ იგინი შემდგომობით.**»

1 გუართა და] გუართა D.—სხუად და <ABD.—7 ზესთათა ზესთასა] ზესთასა ზესთასა A, ზესთასა B.—12 ვითარმედ] ვრ ABD.—15 განნაწილებათა F.—21 ძალთა AB.—უსხეულო ცაჲ D.—22 სხეულეანი F.—24 ძალი] რლი A.—24-25 სამარადისობით C.

მსთა გვნათლებს ზუნ ხედვაჲ ესე ხედვათაჲ, რამეთუ თითოე-
 ულსა სირასა შორის რაულ დასაბამცა იყვნენ სირათა დასაბამნი,
 ეგვიტარობასაცა თან მისცემენ ყოველთა თვს-გამოთა. რამეთუ გო-
 ნებაჲ პირველი მისცემს ყოველთა თვს-გამო[თა] გონებათა; და სული
 5 საყოველთაოჲ და განღმრთობილი თვს-გამოთა ყოველთა; და ბუნე-
 ბაჲ საყოველთაოჲ ბუნებათა ყოველთა; და სხეული ესე განღმრთო-
 ბილი სხეულთა ყოველთა; და ესრეთ ვიდრე უკუნაჲსკნელთამდის
 განზიდვაჲ და თანმიცემაჲ პირველთა თვთებათაგან. ხოლო გან-
 რაველებაჲ ყოველი უმსგავსოობითისა ძალისა | მიერ, ხოლო პურობაჲ A145b
 10 და თანმიცემაჲ თვთებასა პირველთასა მსგავსებითისა მიერ ძალისა.
 რამეთუ ნიდაღ მსგავსებაჲ მაიგიებელ, ხოლო უმსგავსობაჲ მა-
 სხუებელ.

თ ა ვ ი 98

«ყოველი მიზეზი განშორებული ყოველგან არს ერთბამად
 15 და არ სადა».

თანა გუაც, რაჲთა შევისწავებდეთ სიტყუასა და ხედვასა მიზეზ-
 თათვს. იტყვს უკუე, ვითარმედ ყოველი განშორებული მიზეზი ეზესთაე-
 ბის განუშორებელსა მიზეზსა. ხოლო თუ რაჲ არს განშორებული მი-
 20 ზეზი, ვიუწყოთ აქა, რამეთუ ყოველნი უსხეულონი მიზეზნი განშო-
 რებულ თვს-გამოთა მიზეზონათაგან. რამეთუ არა შეიპყრობვიან C 232
 ადგილსა შორის და არცა შეიცვიან სხეულთა თანა, ვითარ სული
 ცისა და ყოველთა | სხეულთაჲ. რამეთუ დაღათუ აღიქმს და წარმოა- A146b
 ჩენს სხეულთა ანაქუსსა, მაგრა ზესთა ძეს და შორს სხეულთაგან. და
 კუალად დაღათუ და უსხეულოთა იყოს მიზეზ ვითარ უსხეულოჲ.
 25 არ ყოველი მიზეზი უსხეულთა სწორ ძალ და სწორ მოქმედება;
 რამეთუ რომელიცა უფრო საყოველთაო იყოს და უმრავლესთა მი-
 ზეზ, უფრო ზესთ მდებარეობს სხუათა ნაწილებითთაჲსა, და არ
 სადა არს, ესე იგი არს ვითარმედ ერთისადმი. არამედ სწორებით
 ყოველთა ზესთ უშთების და უფრო ჰბაძავს პირველსა და ზესთასა
 30 მიზეზთა და ერთთასა.

თ ა ვ ი 99

პირველნი მიზეზნი არსთა და სირათანი

«ყოველი უზიარებელი, ვითარ და იგი არს უზიარებელ, იგი

1 ესე ხედვათაჲ — რკუა CDE.—2 რაულ A.—4 თვს გამო codd.—5-6 და ბუნებაჲ | ბუნებაჲ AB.—7 უკუნასკნელთა მდის AD.—15 არ სადა | არს და EH.—18 არს < H.—23 შორის | უს AB.

სხვსა მიერ მიზეზისა არა არს წარმოდგომილ. რამეთუ იგი არს მი-
ზეზ და დასაბამ ყოველთა მისდა მზიარებელთა».

მსთა იტყვს ხედვად ესე, რამეთუ უზიარებელად პირველნი მი-
ზეზნი არსთა და სირათანი საუწყო გკყენა. რამეთუ არა არიან
8 თვსთა შემდგომთა მოქენე, და არცა რას მიიღებენ სირათ-მთავარნა C 233
და პირველნი არსთანი თვსთა შემდგომთაგან, არამედ უფროას ხო-
ლო თან მისცემენ შემდგომთა და ამყოფებენ და აკეთილებენ მათ;
და არ თან განინაწილვიან და არცა თან იენებენ მათ, არამედ სამა-
რადისოდ ჰგიან და დამსკუთლულ არიან ზემექონებთასა შორის თვსთა.

10 **თ ა ვ ი 100**

«ყოველი სირაჲ ყოველთაჲ ერთისადმი უზიარებელისა დასა-
ბამისა აღციხკრდების. რამეთუ ყოველნი არ ვისდა მზიარებელნი
ერთისად დამოკიდებულ არიან ყოველთა დასაბამისად».

მესმა, ზ გამგონეო? რამეთუ ყოველთა სირათ-მთავართა და
15 პირველთა დასაწყთა ერთისადმი სწორებით ყოველთა მიზეზისა და-
მოკიდებს. რამეთუ მუნ შეაერთებს ყოველთა წყაროთა ძალისა და
ცხოველობისათა, რამეთუ მის მიერ ყოველნი ჰგიანცა და აკეთილე-
ბენცა ყოველთა თვს-ქუეშეთა სირათა. ხოლო თვთ თანა შეიღინე- C 234
ბიან ერთობისადა ზესთაჲსა კეთილობისად და ყოველნი მიიღებენ
20 მის მიერ. ხოლო იგი ზესთა ძეს ყოველთა თანმიმღებთათვს უზი-
არებლობითა მიუწდომელობისაჲთა. რამეთუ არა თუ განჰზომენ შე-
მდგომნი მხოლონი თვისითა მუნად შერწყმითა. არამედ თვსთა მყო-
ფობათა და კეთილობათა მიიხუმენ მის ზესთათადა ზესთაჲსა კეთი-
ლობისგან. ხოლო განზომად ანუ მიწუთომად მისდა სწორებით ყო-
25 ველნი ქუე დაშთებიან, ვითარცა განუელელისა უფსკრულისგან.

თ ა ვ ი 101

**განყოფისათვს პირველისა მყოფისა და პირველისა
გონებისა**

«ყოველთა მზიარებელთა გონებისათა ეპირველების და ეძ-
30 ლუანვის უზიარებელი გონებაჲ; და ყოველთა ცხოველობისათა
ცხოველობაჲ; და ყოველთა მყოფობისათა მყოფი».

1 წარმოდგომილ იგი AB.—4 არსთა მიერ და D.—9 ზემოქენებთასა
EF.—11—13 ყოველი სირაჲ აღციხკრებს და ვ'ე დასაბამისად codd.—19 ერთო-
ბასადა EH.—20 თანმიმღებელთათვს F.—21 მიუწდომელობისაჲთა EH.—24 მიწ-
თომად F.—29—31 ყოველთა მზიარებელთა ვ'ე მყოფობისათა მყოფი ABCDEH.

| მსე ხედვანი განგვყოფენ ცხადად პირველსა მყოფსა და პირ- A148b
 ველსა გონებასა. პირველად უკუე მყოფად ნამდვლ მყოფი გაიგონე,
 რამეთუ მან მიიღო პირველ მყოფობაჲ მის ყოველთა მყოფთა და ყო-
 ველთა ძალთა ზესთაჲსა ძალისგან, და წარმოდგა პირველად მყოფად
 5 და მიზეზად ყოველთა მყოფთად, ვითარცა ხატი პირველისა მის
 ერთისაჲ, რომელი შეადგა მან უთქუმან და ზესთამან ყოველთამან,
 და დადვა ხატად თვსდა და იგავად ყოველთა მყოფთად. რომლისა
 ნათხზთა ვერ კმა ეყოს აღმოჩენაჲ, რამეთუ არიან ღმრთიებერ მთენა-
 რე, რამეთუ მან ზესთამან იხუროვნაო ნამენი ნამდვლ მყოფისანი. ნუ
 10 გიკვრს ესეო, ვითარცა ეტყვის სოკრატის პარმენიდი, და კუა-
 ლად შემდგომად ცხოველობაჲ წარმოდგაო, რამეთუ ნამდვლ მყოფსა
 შორის არსებაჲ ცხოველობისაჲ. და კუალად ცხოველობასა შემდგო-
 მად არსებაჲ გონებისაჲ, ვითარ თვთმზიარებელთაგან და შემდგომ-
 თა აღმოიჩინოს, ვითარცა ითქუა პირველთა შორის. რამეთუ რაო-
 15 დენნიცა მიზეზთანი იყვნენ შორს გამწთომ, მიზეზოანთა წარმოარ-
 სებასა შორის უზესთაეს არიან ძალითა და არსებითითა ზემექონეო-
 ბითა. ხოლო ნამდვლ მყოფი უფრო გამწთომ შემოქმედებითითა ძა-
 ლითა. რამეთუ ყოველთა რაჲზომვე მყოფად სახელდებულთა მიზეზ
 არს ცხოველთა არცხოველთა. და ყოველთა რაჲზომვე მოუგია ზია-
 20 რებაჲ და მყოფობაჲ, და გაგუარებულა. ხოლო ცხოველობაჲ ვიდრე
 გაცხოველებულთამდე წარაველენს თვსთა გზაენათა. და კუალად გო-
 ნებაჲ ვიდრე მზიარებელთა, მდე გონებისათა. რამეთუ არიან მრავალნი A149a
 ცხოველთანი, რომელთა ცხოველობაჲ უკუე მოუგია, არამედ გონე-
 ბისგან არიან დაკლებულ. აწ ამათ კანონთა მიერ იპყარ, რამეთუ
 25 უპირველესნი მიზეზნი უშორეს განმგზავნ თვსთა ძალთა და მოქ-
 მედებთა.

თ ა შ ი 102

წყაროთა და დასაბამთათჳს პირველ მყოფთა

«ყოველნი რაოდენვე მყოფნი საზღვრისა და უსაზღვროობის-
 30 გან არიან პირველ მყოფისა მიერ. ყოველნი უკუე ცხოველნი თვს
 შორის მიმდრეკ არიან პირველისა მიერ ცხოველობისა. ყოველნი
 უკუე აღმეუწყენი და მცნობელნი ეზიარებიან ცნობასა და უწყე-
 ბასა პირველისა მიერ გონებისა».

4 პირველ H.—5 მყოფთა და ვითარცა AB.—7 თვსად AB.—მყოფად
 F.—8 მღთებერ A, ღთებერ DE, ღთებერ H, ღუთებერ F.—8-9 მთებარე F.—
 20 გაგუარებულთა EFH.—22 მზიარებელთადმდე H.—29—33 ყოველნი რაოდენვე
 მყოფნი ეწ პირველისა მიერ გონებისა C, ყოველნი რაოდენვე მყო მიდრეკებიან
 ეწ პირველისა მიერ გონებისა ABDEH.

ამათ სამთა წყაროთა და დასაბამთა დასხამს პირველ მყოფ-
 თასა. პირველ მყოფსა, რომელსა ნამდვლ მყოფად უწოდა სიტყუამან,
 რამეთუ იგი არს მიზეზი ყოველთა მყოფთა. ხოლო თვთ მას მყო-
 ფობაჲ აქუს პირველისა საზღვრისა და უსაზღვროდსა შეერთებისგან,
 5 და წარმოაარსებს თვს გამო პირველსა ცხოველობაჲსა, და მოქმე- A149b
 დებს მას შორის, სადამდის გასწუთებოდის ძალი ცხოველობითი.
 და კუალად შემდგომთა შორის მოქმედებს თვსთა მოქმედებათა
 ვიდრე უკუანაჲსკენელამდის. და კუალად მოქმედებს გონებასაცა თანა,
 სადამდის გასწუთებოდის ძალი გონებისაჲ, რამეთუ ვიდრე მქონე-
 10 ბელთამდის ძალსა ცნობისა და უწყებისასა გასწუთების გონებაჲ, და
 მიერთებან მოაკლებს თვსთა მოქმედებათა. ხოლო ნამდვლ მყოფისა
 ძალნი და მოქმედებანი ვიდრე უკუანაჲსკენლობათამდის გასწუთე-
 ბიან, ამისთვის რომელ უფრო საყოველთაოჲ არს ძალი არსებაჲ და C.237
 მოქმედებაჲ ნამდვლ მყოფისაჲ. რამეთუ ვიდრე ყოველთა გაგუარე-
 15 ბულთამდის განჭყენს და განზიდავს თვსთა შემოქმედებითთა მზეთა
 და ნათელთა. რამეთუ ნამდვლ არსი არს და ნამდვლ მყოფი, ნუ
 გიკვრს ესე, რამეთუ ერთმან მოპართო ხატად და ალაღმად თვსად.

თ ა ვ ი 103

«ყოველი ყოველსა შორის, ხოლო საკუთრებით თითოეულსა შო-
 20 რის: რამეთუ და მყოფსაცა შორის და ცხოველობაჲცა და გონებაჲცა;
 და გონებასაცა შორის მყოფობაჲცა და ცხოველობაჲცა; და ცხოველო-
 ბასაცა შორის მყოფობაჲცა და ცხოველობაჲცა; არამედ რომელსაჲ
 შორის გონიერად, ხოლო რომელსაჲ შორის ცხოველობით, ხოლო
 რომელსაჲ შორის მყოფობით არიან ყოველნივე».

ხედენ და განიცადე, ჳ გამგონეო ხედულსა გონებისგან, სიწ-
 25 ლოსა არსთა ანაქმისასა.

იტყვს, ვითარმედ ყოველი ყოველსა შორის, |ხოლო თითოეუ- C.238
 ლად თვს შორის. ესე არს ესე ხედებათა ხუაფი. რამეთუ მყოფსაცა
 შორის განიცდებიან ცხოველობაჲცა და გონებაჲ, არამედ კ ა ტ ე-
 30 ტ ი ა დ, რომელ არს მიზეზობენებით; რამეთუ მყოფსა პირველსა ვი-
 თარ ზესთ თესლნი მოქმონან თვს შორის ყოველნი შემდგომნი თვს-
 ნი. და კუალად ცხოველობასაცა შორის ნამდვლ მყოფიცა და
 გონებაჲცა, არამედ ვითარ ცხოველობით; რამეთუ ჰქონან თვთ-
 ცხოველსა თვს შორის ყოველნი, მაგრა ვითარ ცხოველობით.

4 და<AB.—5-6 მოქმედობს A.—6 მის შორის AB.—9 გასწუთების E.—
 ვიდრე] ვერ D,<AB.—12 მოქმედობანი A.—ვიდრე] ესე AB.—14 ვიდრე<AB.—
 19—24 ყოველი ყოველსა შორის ხოლო საკუ (საკუნო A, სკნო B, საკუაჲ D) ეჲ
 არიან ყოველნივე ABCDEH.—25 განიცადენ AB.

და კუალად ჰქონან გონებასაცა თჳს შორის ნამდვლ მყოფიცა და ცხორებაცა, არამედ ვითარ გონებით და გონებასა შორის. და ესთა ყოველთა შორის იხილო. რამეთუ სახეთაცა მიერ მიესცეთ საუწყოსა: რამეთუ არს კრონოს, და ყოველი მის შორის კრონოიანად. 5 და არს მზეცა, მაგრა ვითა მზიანად ყოველი მის შორის. და არს აფროდიტი, არამედ ვითარ აფროდიტიანად. და კუალად ოთხთაცა კავშირთა ზედა იხილო. ესე: რამეთუ ქუეყანასა შორის ქუეყნიერად, და წყალთა შორის წყლიერად, და აირსა შორის აირ- 15 აირად, და ცეცხლსა შორის ცეცხლიერად; და ყოველი ყოველსა შორის და თითოეულად თითოეული. ვინაჲ თანა გუაც, გამგონეო და შემავალო ხედვათა საღმრთისმეტყუელოთა, რაჲთა ამათ ყოველ- 10 თა ვითარ შესაქმეთა და დასაბამთა იყო მეცნიერ, რაჲთა არა გიბრკუმდებოდის თუალი ხედვისაჲ.

თ ა ვ ი 104

საუკუნოჲსა და უკუდავინათჳს

15

«ყოველსა საუკუნოჲსა პირველ მზიარებელსა არსებაცა და მოქმედებაჲ საუკუნოჲ აქუს».

თანა გუაც, რაჲთა შესწავებით სამარადისოდ თანა მოგუაქუნ- 15 დენ ხედვანი ესე. რამეთუ გაჰყოფს აქა სამარადისოდ საუკუნესა შორის მომგებთა არსებისა და მოქმედებისათა, რომელ არიან ყოველნი გონებითნი და გონიერნი არსებანი. რამეთუ სამარადისოდ და დაუვ- 20 სებელად არსებაცა და მოქმედებაჲ დაუვისებელსა უკუდავებასა შორის მოუგია. და არა არს, რაჲთამცა რომელიმე მისი შორის საუკუნესა მოეგო, ხოლო რომელიმე ეამსა შორის წარმოსგომოდა. არა- 25 მედ დაზესთაებულა ყოველი გონებათა აღმკულებაჲ ეამითთა ქცევათაგან. და არცა ესე, რაჲთამცა არსებაჲ ეამსა შორის მოეგო, ხოლო მოქმედებაჲ საუკუნესა. იყოს ვინაჲვე მოქმედებაჲ უმჯობეს არსებისა, რომელი არ ეგებოს, რამეთუ ნიადაგ ძალნი და მოქმედებანი უდარეს არსებათაჲსა არიან.

1 გონებაცა AB.—3 საწყოსა EH.—4 კრონიანად ABEFH, კრონიანად D.—6 არამედ <A-B.—8 ჰყენიერად AB.—აირსა] აპრსა A, ჰაერსა B.—8-9 ჰაერიელად B, არიელად E, აირელად H.—9 ცეცხლიერად A.—16-17 ყოველსა საუკუნოჲსა (სკნო AD, სკნა B, საუკუნოჲ EIH) ვე საუკუნოჲ აქუს (არს ABEH) ABCDEH.—18-19 მოგუაქუნდეს F.—23 მისი] მის EH.—24 შორის ეამსა DF.—25 დაზესთაებული C.—27 მოქმედობაჲ საუკუნესა A.

თ ა ვ ი 105

თანაშეღარებისათვის უკუდავებისა და სამარადისო-
ობისა

«წოველი უკუდავი სამარადისო არს, და არა ყოველი სამარა-
 5 დისოა უკუდავი». აქა თანა შეუღარებს უკუდავებასა და სამარადი-
 სობასა და იტყვს, ვითარმედ «ყოველი უკუდავი სამარადისო არს,
 და არა ყოველი სამარადისოა უკუდავი». ამისთვის რომელ ჰზესთაობს
 და ჰმეტობს სამარადისობაა უკუდავებასა: რამეთუ რომელიმე ზეს-
 თა ძეს უკუდავებასა, ვითარ ნამდვლ მყოფი, რამეთუ ზესთა ძეს
 10 უკუდავებასა და ყოველსა ძალსა ცხოვლობისასა. რამეთუ სხუა არა
 არს უკუდავებაა თვნიერ ნიადაგ მოგებაა დაუესებელსა ცხოვრებასა
 თვს შორის; ხოლო კულად არს სხუა მარადისობაა დაკლებული
 ცხოვრებისგან, ვითარ ყოველთა უსულთა და უზიაროთა ცხოვრები-
 15 ნითიცა უგუაროა, არამედ ვითარცა მოკლებული ყოველისა ცხო-
 ვლობითისა ძალისაგან. ვინაჲ გაქუს ორ სახედ სამარადისობაა:
 რომელიმე ვითარ ზესთაჲ ცხოვლობისაჲ, ხოლო რომელიმე ვითარ
 უღარე ცხოვლობისა.

თ ა ვ ი 106

20 «წოველითურთ ყოველსა საუკუნოჲს-შორისსა, არსებითა და
 მოქმედებითა. და კულად ყოველითურთ ჟამის-შორისსა საშუალ
 არს რომლითამე საუკუნოჲ, ხოლო რომლითამე ჟამისა მიერ გან-
 ზომილი».

ბესმა, ზ გამგონეო? არს თა თხზვასა და ყოველსა წარმონაქუსსა C 2.11
 25 მყოფთასა მსგავსებისა მიერ მოჰრთაეს, რაჲთა ერთ იყოს ყოველი
 მორთულებაჲ რჩეულ-მეკელოვნისა ღმრთისა. ხოლო შენ აქა იხილე,
 რამეთუ არს არსებაჲ ყოველითურთ საუკუნესა შორის დამსკუალული
 და დაფუძნებული შორის ნეტარებასა სამარადმყოფსასა, არსებითაცა
 და მოქმედებითა. და არს არსებაჲ ჟამის-შორისთა სამარადისოსა
 30 დენასა შორის და სხუა და სხუა ქცევასა უმდგომოობითა. აწ ამათ
 ორთავე ზედა იხილევბის ყოველი უმსგავსობაა: რამეთუ რომელიმე
 დაუესებელ და წარუდინო არს არსებითა და მოქმედებითა, ხოლო
 რომელიმე ყოველითურთ წარდინებადი და ქცევადი. ვინაჲ ჯერ არს,

7 ზესთაობს AB.—9—10 ვითარ—უკუდავებასა «*ἀποκρίσει*» ABD.—
 14 უსახოსაცა E.—15-16 ცხოვლობისათა AB.—20—23 ყოველითურთ ყოველსა
 ეწ ჟამისა მიერ განზომილი ABCDEH.—24 თხზვას] თხვეასა AB.—25 ერთი
 ყოს D.—28 ნეტარებული სამარადმყოფსა AB.—29 და არს] არს AB.—32—33
 დაუესებელ—რომელიმე <AB (*ex homoioteleuto*)>.

რამათა იყოს საშუალ ამათსა სხუაჲ ვინაჲ არსებამჲ, რამათა ეზიარებოდის ორთავე, ეამსაცა და საუკუნესა, რომელ არს არსებამჲ სული-სამ. აწ ესე არსებამჲ სულისამ ორთავე აზიარებს და შეჰყრის ორთავე ამათ განყოფილთა ურთიერთას: რამეთუ ერთი ყოვლითურთ უკუდავ⁵ და სამარადისო არს არსებითაცა და მოქმედებითა, ხოლო მეორე ორითავე ხრწნადი და ცვალებადი, ყოველი ეამის-შორისი. ხოლო არსებამჲ სულისამ ესრეთ გაიცდების და აღმოიჩინების, რამეთუ არსებით უკუდავებასა და საუკუნესა შორისად, ხოლო მოქმედებით ეამსა და დენასა შორისად. რამეთუ მოვა მიცილებად, და არა აქუს¹⁰ სულსა თვისი მოქმედებამჲ დაუვსებელად, ვითა გონებასა; რამეთუ სა-დაცა წარმოდგომილა ნათელი გონებითი, ცნობამჲცა და უწყებამჲ^{A152b} თანა წარმოსდგომია. ხოლო აწ სულისა მიერ იზიარნეს და მოირთნეს, და შეიერთნეს ეამის-შორითნი და საუკუნოჲს-შორითნი. რამეთუ არსებით ვითარ სამარადისოჲ ეზიარების გონიერთა არსებათა, ხო-¹⁵ლო მოქმედებითა ეამის-შორისთა, ვითარ ცვალებადთა და სამარადისოსა დენასა შორის მქონებელთა მყოფობისათა, და რამეთუ მოქმედებამჲცა სულისამ სამარადისოდ იქცევის. აწ ესე ყოველთა მზადისა მიერ კეთილ-იმუსიკელა. პირველად რამათა არ უცხო იყვნენ და-ბადებულნი ურთიერთობისგან, და რამათა ეზიარებოდინ ურთიერთას,^{C 242} და რამათა განგებამჲ ყოველთა მხედისამ ყოველთა მიერ წარმოჰვილიდეს ვიდრე უკუანაჲსკენელთამდის.

თ ა 3 ი 107

«ყოველი ვიდრემე რომლითამე საუკუნოჲ, ხოლო რომლი-
თამე ეამის-შორისი ერთბამად მყოფიცა არს და ქმნამჲცა.»

²⁵ ამათ ხედვათა იწყეს აწ არსებასა სულისასა დაღეჰსკვად. რამე-
თუ იგი არს რომლითამე მყოფი, ესე იგი არს ნიადავ ერთობასა ზე-
და მგები. რამეთუ მყოფსა ქმნამჲ არა აქუს, | რამეთუ ჰგია თვთებასა^{A153a}
ზედა თვისსა. ხოლო ეამის-შორისსა ყოველსა ქმნასა შორის მოუგია თვ-
სი მყოფობამჲ და არს მარტივად მყოფი, არამედ ვითარ ქმნადი სხუად³⁰
და სხუად. ხოლო სული მოქმედებით ქმნადია და არა მგები მასვეო-
ბასა ზედა, ვითარ არსებამჲ მისი საუკუნოსა შორის და მასვეობასა
მყოფობისასა. ვინამ იყოს სული ერთბამად მყოფიცა, ვითარ არსე-
ბით, და ქმნამჲცა, ვითარ მოქმედებით.

1 ამათსა] ამითს D.—სუბჲა H.—3 აწ—სულისამ <F (ex homoioteleuto).—
6 ორთავე D.—8 შორისად <AB.—11 გონებით AB.—13 ეამის შორისნი D.—და
საუკუნოჲს-შორითნი <AB.—17 აწ <AB.—18 რამათა <AB.—19 რამათა] რამ AB.
—20 რამათა <AB.—23—24 ყოველი ვიდრემე რომლითამე (რომლითა ABDEH)
ეწ და ქმნამჲცა ABCDEH.—25 დაღეჰსკვად] დაჰღეჰს ეწ. B.—26 მყოფ EFH.—
30 და არა] არა AB.—33 და <AB.

თ ა ვ ი 108

სქესთა ზიარებისათჳს და ჴესთათა და ჴუმადგებარეთა

აჲოველსა თითოეულსა წესსა შორის ნაწილებითსა ორ სახედ ძალ უც ჴიარებაჲ ჴესთ მდებარეობით მახლობელისა თჳსისა და ალმამკობელისა მხოლოჲსადმი.

ბესმა აქა, რამეთუ ორ სახედ ძალ უცო ჴიარებად სირათ-მთაერისა მიმართ სირათა შორის მყოფთა არსებათა: რამეთუ ანუ თვთ უსაშუელოდ ეზიარების, ვითარ მახლობელსა თჳსსა, ანუ საშუელობით, საშუალთა მიერ, ესე იგი არს თჳსთა უზენაესთა მიერ ჴესთ ჴენაჲსად. და კუალად ესეცა შეიმეცნე, ვითარმედ ყოველი მიზეზოანი თჳსისა მიზეზისა მიმართ ვითარ ნაწილი არს, და არ შეუძლებს, რაჲთამცა ყოველსა მიზეზსა გასწუთა მიზეზოანი. არამედ ეზიარების ვითარ ნაწილი ყოველობასა შორის, რამეთუ გარეშემოიცვის მიზეზისგან მიზეზოანი და არა მიზეზოანისაგან მიზეზი. და ესე ჴიარებაჲ მიზეზოანისგან მიზეზისადმი. ხოლო კუალად სხუჲა ჴიარებაჲ მიზეზისგან მიზეზოანისადმი, რამეთუ იზიარებს მიზეზი მიზეზოანსა. არა ნაწილებით, არამედ ყოველითურთ ყოველი შეიცავს და უპყრიეს თჳს შორის. და ესე კანონი ყოველსა შორის განსაზიდას სირათასა.

თ ა ვ ი 109

აჲოველი ნაწილებითი გონებაჲ ეზიარების ჴესთ გონებითსა დი პირველსა მხოლოსა ყოველობითისა მიერ გონებისა და თანდაწესებულისა თჳსისა ნაწილებითისა ერთისა. და ყოველი ნაწილებითი სული ეზიარების ყოველობითსა გონებასა ყოველობითისა სულისა მიერ და ნაწილებითისა გონებისა».

აქა ხედვაჲ ესე ესთა მეტყუჳს ჩუენ, ვითარმედ ნაწილებითი გონებაჲ მესაშუელობითა საყოველთაოჲსა გონებისაჲთა და თჳს-შორისისა ნაწილებითისა ერთისაჲთა ეზიარების მას ჴესთასა გონებათასა ერთსა ერთთასა. ვინაჲ ესეცა შეისწავე სათანადოდ, რამეთუ ნაბრწყინი მის ჴესთაჲსა ერთისაჲ თან მითესულა ყოველთადა რაჲზომეე მხუდართა არსებისადა რაბამობისაებერ თჳსთა მყოფობათაჲსა, და მის მიერ იძლუანვიან ჴიარებად მის ჴესთ ერთისად, ვითარ ერთთა დღისა და

3—5 ყოველსა თითო ჴიარებად ეწე მხოლოჲსადმი (ზსადმი A, ხოლოჲსადმი B) ABDEH, ყოველსა თითოეულსა წესსა ეწე მხოლოჲსადმი C.—6 ძალ უც D, ძალ უცთა F.—11 მიმართ<AB.—13 გარეშემოიცავს AB.—15 მიზეზისადმი—მიზეზისგან<AB (ex homoioteleus).—17 თჳს შორის<EH.—20—24 ყოველი ნაწილებითი (ნაწილებჲ EH) ეწე ნაწილებითისა გონებისა (გონებითისა ABD) ABCDEH.—20 ჴესთ] წესთ F.—29 ყოველთა და ABD.

მზისად. და კუალად სულნიცა ეზიარებიან საყოველთაოსა გონებასა ნაწილებითისა მიერ გონებისა და საყოველთაოაჲსა სულისა. და კუალად სხეულიცა ეზიარების სულსა საყოველთაოაჲსა მიერ ბუნებისა და ნაწილებითისა სულისა, ვითარ არსებაჲ ესე ცისაჲ; რამეთუ არა თუ ყოველი სული მოუგია თვს შორის, არამედ ნაწილები; რამეთუ არს თვს შორის განესნილად და ზესთა სხეულთაგან სფეროჲ და მოქცევი საყოველთაოაჲსა სულისაჲ. ხოლო საყოველთაოჲ ბუნებაჲ ცასა შორის, და არ განყენებულ ცეებრთა მოქცევთაგან.

თ ა ვ ი 110

10 «ხოველთა თითოეულთა სირასა შორის დაწესებულთა პირველნი და თვისისა მხოლოაჲსადა შეერთებულნი შემძლებელ არიან ზიარებად».

მესმა, მ გამგონეო, რამეთუ ყოველნი უპირველესნი შორის ნათხზსა სირაჲსასა შეუძლებენ ზიარებად შერაბამებულად თვსთა სიახლეთაებრ. ხოლო აქა გესმენ რაჲ სიახლენი, ნუ ადგილითთა განიციდი, არამედ სიმარჯუენი გაიგონენ მოქმედებათანი. რამეთუ ყოველი უფრო მომმარჯუე მოქმედებითა უფრო მახლობელ სირასა შორის; ხოლო უფრო მახლობელი უფრო მზიარებელ სირათ-მთავრისადმი; ხოლო შორს განზიდულნი უმარჯობითა ოდენ ინდალმათა A1552
20 მიმთუალველ ესეთთა ნაბრწყინთა.

თ ა ვ ი 111

საღმრთოთა საცნაურთათვს, და ლიტონთა საცნაურთა, და საცნაურთა სულთა, და ლიტონთა სულთა, და სიტყვერთა სხეულთა, და უსიტყუთა სხეულთა.

20 «ხოვლისა გონიერისა სირაჲსა რომელნიმე არიან ღმრთებრნი გონებანი, შემწყნარებელნი ღმერთთა ზიარებასა, ხოლო რომელნიმე მხოლოდ გონებანი».

იხილენ ხედეთა შეუნიერებანი, მ გამგონეო. რამეთუ არიან გონებანი ზიარებითა ღმრთიეთა ერთთაჲთა განღმრთობილნი და ვითარ ღმერთნი, ვიტყვ უკუე ვითარ ნამდვლ მყოფისა და საუკუნოაჲსა A155b
აღმკულებასა. და კუალად არიან ოდენ მარტივად გონებანი. და 2 ნაწილებისა C.—6-7 მოქცევა AB, მქცევი E.—8 ევებრიეთა ABDEFH.—10—12 ყოველთა თითოეულთა (თითო EH, მზიარებელთა AB) ეწე ზიარებად ABCEH, ყოვლისა ვინაჲ ეწე ზიარებად D.—15 გესმენ AB, გესმენ H.—17 მომმარჯუ C, მომმარჯუი F, მომმარჯუ EH.—25—27 ყოვლისა გონიერისა (გონი ABDEH) ეწე მხოლოდ გონებანი ABCDEH.—28 არ არიან AB.—30 ღმერთნი <AB (სადგე-ზა).—საუკუნესა AB.—31 ოდენ <AB.

ესრეთ სულთაცა ზედა იხილო, და ვიდრე სხეულთა მორთულე-
ბისამდე. რამეთუ არიან სულნი ვითარ გონებანი, რამეთუ საყოველ-
თაოჲ სული დაფუძნებულა ზესთ მექონეობასა შორის გონებისასა.
და კუალად არიან სულნი ოდენ მარტივად; და კუალად არს სხეული
5 ვითარ სული; და კუალად სხეულნი მარტივად. და ესრეთ მცირედ-
მცირედ ცვალებითა მორთულ არსთა აღმკულებამ. იწყე მათ ერთე-
ბრიეთა ღმერთთა და ზესთ არსთა წყაროთაგან და ვიდრე უკუანაჲს-
ნელობამდე სირათა განსაზიღისა.

თ ა შ ი 112

10 «შოვლისა წესისა უპირველესთა თვსთა უპირატესთა სახე
(მორტი) აქუს. რამეთუ თითოეული მწუერვალობითა ტომთაჲ
მსგავსებისა მიერ შეეხების ზესთ მდებარეთა თვსთა».

მეტყჳს ჩუენ ესე ხედვაჲ, ვითარმედ პირველნი და უზენაესნი
შორის სირათა ეზიარებიან თვსთა უზენაესთა წესთა. რამეთუ პირ-
15 ველი გონებამ ერთებრივ არს და ღმერთთ-მორტ. და კუალად პირ-
ველი სული გონების სახე არს, და პირველი სხეულთაჲ სულის სახე
არს და გონებისა. ხოლო ოდეს პირველად სხეულთად გესმოდის ცაჲ,
ესე მიზეზი და უღმრთივესი ყოველთა სხეულთაჲ იგულისხმბიე. ეინამ
ესრეთ პირველნი ყოველნი თვსთა უზენაესთა თან ესახისთერებთან
20 არსებათა სიწმიდითა. და ღმრთებრივი რიცხვ ერთებრივ არს, ეი-
ნამთაგან ღმერთი ერთ არს. სადა არიან რომელნი შეასმენენ ბრძენთა,
ვითარ მრავალღმრთეებისა მეტყუელთა და დანანარდებიან თვსთა
უმეცრებითა ტყუილ დაღეჳსვათა ზედა. ხოლო აქა აღმოაჩენს,
ვითარმედ ერთ ზესთ ერთი, და მისგან ორნი შემოკმედეგბითნი წყა-
25 რონი ზესთ არსნი ესეთამცა ერთისგან ერთნი, და ერთისა ზესთ
ღმრთისგან ღმერთნი, და ერთისა ზესთ წმიდისგან წმიდანი.

თ ა შ ი 113

საღმრთოთა ჩიტხუთათვს, და ზიარებითა ღმერთთა,
რომელ არიან საშოველთაონი

30 «შოველი ღმრთებრივი რიცხვ ერთებრივი არს. ხოლო თუ

4—5 და კუალად არიან—სული ჯ.პატკუელი ანაიჲ ABD.—6 ცვალებულთა
A.—7 და ზესთ] ზესთ AB.—8 განსაზიღდა AB.—10—12 ყოვლისა წესისა ე'ე მდე-
ბარეთა თვსთა ABCDEH.—10-11 სახე (ესე იგი მორტი) F.—13 ვითარმედ<D.—
21 ღმერთი] პ'ლი D.—ერთი EH.—22 დანნარდებიან E, დანარდებიან F.—24 შე-
მოკმედეგბითანი AB, შემოკმედნი EH.—30—ჲ. 13, ყოველი ღ'თთა რიცხვ (+ერ
ABCDEH) ე'ე თვისისა მიზეზისა მიმართ ABCDEH.

ღმრთებრივსა რიცხუსა აქუს მიზეზი უპირატესად და საკუთრებით ერთი, ვითარ გონიერსა რიცხუსა გონებაჲ და სულიერსა სული, და ყოველგან არს შესაბამი სიმრავლე თვისისა მიზეზისა მიმართ.

5 ესე ხედვანი აღმოაჩენენ, ზ გამგონეო, ვითარმედ პირველნი და დასაბამებრივნი | ყოველთანი არიან ერთ და მხოლოო, რამეთუ ერთ არს ზესთა პირველი ერთი; და კჳალად მის მიუწოდომელისა ერთისგან წარმოდგა სირაჲ ერთთა და მხოლოთაჲ, ვითარ ერთისგან ერთნი და ღმრთისაგან ღმერთნი. რამეთუ პირველ უმსგავსოთაჲსა მსგავსთა წარ-
10 მოიქჳს ყოველი შემოქმედი ბუნებათაჲ. ვინაჲ ერთ პირველი იგი ზესთ ერთი და მისგან ერთნი მრავალ. ხოლო პირველი ვითარ უზიარებელი და ზესთ განყენებული ყოველთაგან. ხოლო სხუანი შემდგომნი ერთნი თანმიცემით და თანზიარებით წარმოდგეს მის პირველობასაჲსა უზესთაესისა ღმრთისა და ერთისგან. ვინაჲ ესე კანონი ყოველთა არსთა და ზესთ არსთა შორის კჳოვო.

15 **თ ა ვ ი 114**

უზადოღესა ზიარებისათჳს

| «პოველი ზიარებით ღმერთი ერთი არს თვთსრული, და ყო- C 249
ველი თვთსრული ერთი ღმერთ ზიარებით».

20 აქა უზადოსა ზიარებასა | ორივე უნდა: პირველად რაჲთა ერთი იყოს, მეორედ რაჲთა თვთსრული; რაჲთა ერთობითა მას ზესთ ერთსა ეზიარებოდის, ხოლო სრულობითა ზესთ კეთილობასა ერთისასა. ხოლო რაჲც რაჲვე აკლდეს ამათგანი, ანუ ერთ იყოს და არა ზესთ სრულ, არსრულ და არა ერთ. ვერ არს უზადო ხატ მის მიუწოდომელობით ერთისა, არამედ არს უქჳუნაესთა ტომთაჲ. და ესეითა
25 სხუა ტომთა სიშორითა განზიდვისა მიერ სირათაჲსა. ხოლო უზადოდ ხატსა მის ერთისასა ორივე უნდა: სრულობაჲცა და ერთობაჲ; და უმანკოდ დაიხატვიდეს თჳს შორის პატივისა და გჳარსა ზესთ არსისა და ზესთ ერთისა ერთისასა.

თ ა ვ ი 115

წყაროღესათჳს ერთთა და მხოლოთაჲსა

80 «პოველი ზიარებით ღმერთი ზესთ არსი არს აოზაჲ და ზესთ გონებისა».

7—8 და მხოლოთაჲ—ღმერთნი <D.—12 მის] და EH.—17—18 ყოველი ზიარებით (ზიარე ABDEH) ვე ყოვლითურთ სრული ერთი ღმერთ ზიარებით ABCDEH.—21 სრულებითა E.—22 რაჲც] რათაც A, რათაცა B.—23 არსრულ] არს რ'ლ H, არს რომელ E.—25 სიშორისა D.—უზადო E.—27 არსისასა AB.—31 —32 ყოველი ზიარებით ღმერთი ვე ზესთ გონებისა C, ყოველი ზიარება ვე ზესთ გონებისა (განგებისა B) ABDEH.

აქა წყაროსა წარმოაყენებს ერთთა და მხოლოთასა ამათ
 კანონთა მიერ რომელი იტყოდა, ვითარმედ ვითარიცა იყოს სირათ-
 დასაბამი და მთავარი, ეგე ვითარსაცა წარმოაარსებს რიცხუსა არსე-
 ბათასა პირველ მსგავსსა თვსდამი უმსგავსოთაჲსა. ეინაჲ აწ ამათ
 5 კანონთა და აღმოსაჩენთა უძრავობისა მიერ ერთი ერთთა წარმოიქმს
 და ღმერთი ღმერთთა და ზესთ არსი ზესთ არსთა, რამეთუ ზესთა ძეს
 ყოველთა შეერთებულთა ერთთა აობაჲ. რამეთუ ჯერ არს, რაათა პირ-
 ველ იყოს მყოფობაჲ მარტივთა ერთთაჲ და მერმელა მათგან პირველი
 შეერთებული. რამეთუ ყოველგან პირველ შეერთებულთაჲსა მარტივ-
 10 ნი; რამეთუ ამათ მიერ აღმოსაჩენთა ზესთ დამყარებულ არიან ერ-
 თობით ყოველთადა ღმრთეებრნი და ზესთ არსნი რიცხუნი, ვითარ
 ღმერთნი. და პირველისაგან პირველნი წყანონი, და ღმრთისაგან
 ღმერთნი, და მის ერთისა მიზეზისგან პირველნი მიზეზნი ყოველთა
 არსთანი; რამეთუ ზესთ იქონებენ თვთმყოფობათა პირველისაცა არ-
 15 სებისასა, რომელ არს ნამდვლ მყოფისა და თვთცხოველობისასაცა
 და საუყუნოისსა, რამეთუ ამათ მიერ შედგა ნამდვლ მყოფისა არსებაჲ
 და სხუათა ყოველთა შემდგომთა.

თ ა ვ ი 116

«ყოველი ზიარებით ღმერთი ეზიარების თვნიერ ერთისა. ხო-
 20 ლო რამეთუ ერთი მხოლოჲ არს უზიარებელი, საუწყუო».

აწ ესე უმხილებელნი აღმოსაჩენნი მოჰქონან სიტყუასა, ვითარ-
 მედ ერთი მხოლოდ არს უზიარებლობისა ზემექონებობასა შორის
 დაღმრთობილი, რომელსა ზესთ ღმერთადცა უწოდა სიტყუამან. ესე
 ზესთ ღმერთი თვისითა მიუწდომელობითა თვთებითა ზესთა ძეს ყო-
 25 ველთა ზიარებათა. ხოლო ზიარებანი განიხედვიან ორ სახედ: რამე-
 თუ არცა პირველ თვსსა რაჲ აქუს, რაათამცა ეზიარა მას და მიიღომცა
 მის მიერ ერთ ქმნაჲ; და არცა კუალად თვსთა შემდგომთა ერთთა
 მისცემს სრულებით თვსთა მიუწდომელთა თვთებათა, არამედ უზიარ-
 30 ებელად იზიარებს და თანმიუქონელად თან იქონებს ერთებრივთა
 ყოველთა რიცხუთა, და წარმოაჩენს მათ სხუა და სხუა თვთება და
 მიუწდომელთა თვსთა ზესთ მოქმედებითა ძალთაჲთ მიუწდომელთა
 თვთებათა ერთთასა. ხოლო ყოველი ზიარებით ერთ ქმნილი ერთცა

3-4 არსებასა F.—8 მარტივად AB.—9 შეერთებულთაჲსა] შედგმულთასა
 ABDEFH, შეერთებულთაჲსა C, დაჲლბ დაჲაჲჲ ამ ხატეჲსჲე მათხოჲთი სწრაი შედ-
 გმულთაჲსა.—10 დამყარებულთა AB.—12 და პირველისაგან] პირველისაგან AB.—
 19—20 ყოველი ზიარებით (ზიარებ ABDEH) ეწ საუწყუო ABCDEH.—21 უზი-
 30 ელებელნი AB.—22 უზიარებლობითა AB.—24 მიუწდომელობითა EH (ჰქცე და სხვა-
 გარეც).—28 სრულობით AB.—29 თანმიუქონებლად AB.—31 ძალთაჲთ] ძალთათს
 AB, ძალთათ F, ძალთაჲ E.—32 ერთცა] ერთიცა AB.

არს|და არა ერთ. რამეთუ რომლითა ეზიარა ქმნასა, ერთ არს; C 252 ხოლო რომლითა იქმნა, არა ერთ. რამეთუ ყოველი ქმნილი სხუა უქმნელისგან, და პირველი ერთი ზესთა ძეს ზიარებასა, ხოლო მეორე და ქმნილი ერთი მიზეზ თანმიცემით ყოველთა მზიარებელთა.

⁵ ვინაჲ აქა და მიზეზნიცა ერთთანი განიყოფვიან, რამეთუ არს პირველი ერთი მიზეზი ერთთაჲ, არამედ არ თანმიცემ თვსთა თვთებათა შემდგომთა ერთთა. |და არს მის მიერ წარმოარსებული ერთი მიზეზ A159a და თანმიცემ თვსთა თვთებათა სირასა შორის ერთთასა. და არს პირველი ერთი ზესთაჲ ყოველთა ერთთა განკარგვით და თანდაუწყესებელ სირასა მას ერთთასა, არამედ ვითარ გამხოლოებული ვინაჲ ერთ არს. ხოლო წარმოერთებული მისგან ერთი, ვითარ სირათ-დასაბამი და სირათ-მთავარი ერთებრივთაჲ და არა ვითარ შეერთებული. რამეთუ სხუა არს შეერთებული ერთი და სხუა არს მის ზესთ ერთისგან წარმოშობილი. რამეთუ წარმოშობილი ერთი ზესთა ძეს ყოველთა

¹⁵ სირათა, ვითარ სირათ-მთავარი და ერთ-მთავარი. ხოლო შედგმული ერთთაგან ერთი შემდგომად ერთთაჲსა არს. რამეთუ შედგა ერთებრივთა მხოლოთაგან, ვითარ ეტყოდა დიდი პარმენიდი სოკრატის და ზინონს.

თ ა შ ი 117

²⁰ «პოველი ზიარებით ღმერთი საზომი არს მყოფთაჲ».

ამათ ხედვათა ხედენ, ზ მხედველო. იტყვს, რამეთუ ყოველი ღმერთი ზიარებითი, ესე იგი არს ერთთა ანათხზი და სირაჲ მათი, საზღვარი არსო მყოფთაჲ. გესმა, რამეთუ ყოვლისა რიცხვსა საზღვარი და გარე შემომწერელი ერთი არს; თუ არა თვთ თვსითა ბუნებითა ყოველი რიცხვ უსაზღვრო არს, არამედ განისაზღვრების და შემოიწერების ერთისა მიერ, რამეთუ შემოსწერსო ყოველსა რიცხუსა არსებათა და მყოფთასა ძალი და მოქმედებაჲ ერთისაჲ. რამეთუ დასაწყსაცა და საშუალსა და დასასრულსა არსებითთა რიცხუთასა ერთის გუარ ჰყოფს და თითოეულობასა მათსა და ყოველობასა.

²⁰ რამეთუ ვერაჲ განველთოს ძალსა ერთისასა, ხოლო უმეტეს ერთი, უმეტეს ერთის გუარ ანაქუსსა და განსაზიდსა შორის არსთა ანათხზისასა.

1 არა ერთ| არა ერთი ABCDEF.—2 არა ერთი AB.—3 ზესთა| თა D.—10 მას უწაილკობა წასმულა CDE, მის AB.—ერთ| ერთი DF.—14 რამეთუ წარმოშობილა<AB (ex homioleleuto).—21 მხედველთა AB.—ყოველი<D.—26 რიცხუთა AB.—27 მყოფთა AB.—27—28 რამეთუ—რიცხუთასა<D.—29 თვთოეულსა AB.—30 განველთო DEFH.—უმეტეს ერთი<H (ex homioleleuto).

თ ა ვ ი 118

«შოველი რააც რავეე ზიარებითა ღმერთთა შორის, ანუ თვსთა თვთებათაებრ წარმოდგომილ არს მათ შორის».

აქა ხედვანი სამ სახედ განიყოფვიან: ანუ მიზეზობით, ანუ მყო- C 25:1
 5 ფობით, ანუ თანზიარებით. ხოლო შენ დახედენ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ მყოფობით წარმოდგომილ არიან ყოველნი ზიარებით ღმერთნი და ერთნი და უფროაჲს ხოლო მიზეზობით. ისმინე რასა დამისახაეს ჩუენ მყოფობითი და მიზეზობითი: მყოფობით უკუე წარ- მოდგომაჲ არს, ოდეს იყოს წარმოდგომილი სწორ თვსდა, და არცა
 10 სჯობდეს და არცა უდარეს იყოს, არამედ იყოს საზომსა შორის თვთებისა თვსისასა; ხოლო მიზეზობით განცდაჲ არს, ოდეს თვსსა მიზეზსა შორის განიცდებოდის, რამეთუ თვსსა უზესთაესსა შორის განიცდების. და კუალად მესამე არს, ოდეს თვს-გამოთა შორის იხილვებოდის და უდარესთა თვსთა, ვითარ მიზეზი შორის მიზე-
 15 ზოანთა, რამეთუ უდარეს მიზეზოანი მიზეზსა. ხოლო ესე გუეტყვს ჩუენ, ვითარმედ ყოველი რიცხვ ერთთა სირაჲსაჲ და ზიარებით ღმერთთაჲ უმჯობესად იხილვების თვსსა მიზეზსა შორის, რომელ არს ზესთ ღმერთი და ზესთ ერთი; და მყოფობათაჲცა შორის მათთა განიცდებიან, ხოლო უდარესთა შორის არა თავს იღებენ განცდად
 20 ზემექონეობასა მყოფობათა მათთასა.

თ ა ვ ი 119

«შოველნი ზიარებით ღმერთნი ზესთ არსებითისა კეთილისა შიერ წარმოდგომილ და არიან კეთილობა».

აქა ზესთა-დასდებს და პირველისაცა არსებისა ანაქუსსა პირ-
 25 ველთა ერთთა, ვითარ უმახლობელსთა ხატთა ერთისათა. რამეთუ ბუნებასაცა და არსებასა ზესთ დაუშთების ზესთ არსთა ღმერთთა არსებაჲცა და მოქმედებაჲ; რამეთუ სრულებით კეთილობა არიან, ვითარ პირველნი ხატნი ერთისა და კეთილობისანი. ხოლო კეთი-
 30 იგივე. და ერთი და კეთილობაჲ ერთ და ერთი ერთ და იგივე.

2—3 ყოველი რააც ვ'ე მთ შორის ABCDEH; F-ს შიქუეჲს იჲკლგჲს ჲს ჲესუღჲს ზრულჲს ჲს აგჲჲლჲს კ-ღჲც; და არს თვთება მათი ერთებრივ და ზესთ არსებითი: ერთებრივ ვინაჲვე და ზესთ არსებით ყოველი მათ შორის (ა. შიქუეჲს, გვ. 72, 15-17).—8 მიზეზობითა AB.—9 თვსდა] თვს AB.—10 არამედ იყოს<E.—12 განიცდებოდეს F.—14 უდარესთა] უარესთა E.—22—23 ყოველნი ზიარებით ვ'ე და არიან კეთილობა C, ყოველნი ზიარ არსებითისა კეთილობისა ვ'ე არიან კეთილობა ABDEH.—27 არსებათა A (B-ს თა ვოულჲს ჲს წუჲსჲსი).—29 ერთ ერთი] ერთი AB.

თ ა ვ ი 120

განგებისათვის ყოველისა მკერობელისა მიერისა

«ყოველსა ზიარებით ღმერთსა თვისისა მყოფობისაებრ მოუ-
გის განგებაჲ ყოველთაჲ».

5 აქა ხედვანი შემოქმონან განგებისათვის ყოველისა მკერობელისა
მიერისა. რამეთუ საფუძველნი განგებისანი პირველ ყოველთასა ზეს-
თასა | ერთსა შორის დაფუძნებულ არიან და მერმე პირველთა შო- C 256
რის ხატთა ერთისათა, ზესთ არსთა შორის ხატთა ერთისათა, ზესთ
არსთა შორის ერთთა წარმოქმელის, და მათ მიერ მიეცემის შემდ-
10 გომთა, ვითარ აღმოაჩინა დიდმან პლატონ. ვინაჲცა განგებაჲ პირ-
ველ ღმერთთა შორის ერთისა მიერ ღმრთისა და ყოველთა მხედისა
და განგვისა. და ზესთ მოქმედებითი მოქმედებაჲ პირველ მათ შორის,
რამეთუ პირველ მათ დაარსებია ზესთ არსებითი კეთილობაჲ. და
ესთა ყოველთა აკეთილებენ შემდგომთა და თან | მისცემენ თვსთა A 161b
15 ზესთ განკარგულთა.

თ ა ვ ი 121

«ყოველსა განღმრთობილსა მყოფობაჲ უკუე აქუს კეთილო-
ბითი, ხოლო ძალი ერთებრი და ცნობაჲ დაფარული და მიუხებე-
ლი ერთბამად ყოველთა შემდგომთაგან».

20 მყოფობასა და ძალსა და ცნობასა ზესთ არსთა ერთთასა
იტყვს, რამეთუ ყოველი მყოფობაჲ მათი კეთილობისა მიერ აღქსულ
არს, რამეთუ მის ერთისა მიერ წარმოირიცხუა რიცხვ და მყოფობაჲ
ზესთ არსთა და ერთთაჲ, ვითარ ღმერთთა ღმრთისა მიერ და ერთ-
თაჲ ერთისა მიერ და კეთილთაჲ კეთილობისა მიერ. ვინაჲ შემდგომ-
25 თაგან ყოველთა არიან ზესთ დაშთომილ მიწთომასა, ვითარ მიზეზნი
ყოველთანი. ხოლო ესე პირველთა შორის აღმოიჩინა, რომელ ყოვე-
ლი მიზეზი ზესთა ძეს მიზეზოანსა. და არს რაჲმე შორის მიზეზსა,
რომელ არ იყოს მისაწთომ მიზეზოანისგან. ხოლო ესე ზესთა ძეს
ყოველთა და სწორად წარმოადგენენ ყოველთა, რამეთუ თვის ქუეშე
30 დაუფენიან არსებანი და ძალნი ყოველთა არსთანი. ხოლო მათ წარ-
მოსდგომია ძალი და განგებაჲ ყოველთა შემდგომთაჲ ზესთ არსი.

3—4 თვისისა—ყოველთაჲ <ABCDEH.—8 ზესთ არსთა შორის ხატთა ერ-
თისათა <E (ex homoioteleuto).—12 მოქმედებაჲ პირველი კეთილობა და ეს D.—
17—19 ყოველსა განღმრთობილსა (განღმრთობილ B, განღმრთობი ADE, განღმრთო H)
35 ექ ყოველთა შემდგომთაგან ABCDEH.—22 მიერ | მათ A.—რიცხვნი მყოფობაჲ
AB.—24 ვინაჲ <AB.—25 დასთომილ ABDE.—26—27 რომელ—მიზეზსა <AB
(ex homoioteleuto).—27 რაჲმე | რაჲმე F.—28 მოსაწთომ-ის ჰეპლეგ ჰელა: მიზეზოანთა-
გან და არს რაჲმე მიზეზსა რომელ არ იყოს მისაწთომ AB.—28—29 ძეს ყოველთა <F.

და დამყარებულ არიან ნეტარებასა შორის კეთილობისა და ერთობისასა. და ცნობაჲცა მათ-შორისი ზესთა ყოველთა არსებითთა ცნობათა, ვითარცა მიზეზი ყოველთა ცნობისა და ძალისა და მოქმედებისაჲ.

თ ა ვ ი 122

«მთველი ღმრთებრივი წინაჲთვე განაგებს შემდგომთასა და ზესთ მღებარე არს განსაგებელთაგან, არცა განგებაჲ დაამკობს თანუზიარებელსა თვისსა და ერთებრივსა ზესთ შექონებასა. და კუალად არცა თვნიერ შეერთებისა განგებასა აარაარებს».

- 10 მეთილად დასკურობენ, ზ გამგონეო; ესე თაჲი მეტად ღრიფობს. იტყვს ესთა, ვითარმედ განაგებენ ერთნი და ღმერთნი, ხატნი და იგავნი მის ერთისანი. მაგრა არცა განგებაჲ ეშლების თანშეერთებითა განსაგოთაჲთა, და არცა შეერთებაჲ თანგასაგოთაჲ განგებისა ზესთ განყენებითა. რაჲ არს ესე და ვითარ არს ესე? მომეც საცნოჲ, ზ გამგონეო. რამეთუ უკუეთუ შეიერთებდეს გამგე გასაგოთა, თან ივნებს და იქცევის ქცევათა მათთა სქესითა, რომელ არს თანმინახეთქი ანუ თანმიეგრეობაჲ. ხოლო თუ მიეგრეოს, თან იქცეს და თან ივნოს ქცევასა თანა გასაგოჲსასა. და კუალად უკუეთუ არ შეიერთნეს გასაგონი განმგემან, ვით თან წარმოუდგეს თვისთა გასაგოთა? რამეთუ
- 15 კიდე და შორი, და რაჲზომევე კიდე ვერ წარმოუყენებს განგებასა თვისსა გასაგოსა, და ესთა ძნელოჲს ხედეაჲ ამის ხედვისაჲ. ხოლო ესე დაჰქსნის ესთა, რამეთუ ზესთ უსხეულონი თან წარმოუდგებიან უადგილოდ, და იზიარებენ განყენებულად, და არ თან შეიცვალებიან თვისთა გასაგოთა. მოიღე და სახეცა გიძიო მომზავი. რამეთუ არს
- 20 ერთი და ესე ერთი თან მისცემს ყოველთა რიცხუთა თვისისა ერთობისგან; ხოლო იგი ჰგიეს თვისსა ზედა ზეობასა ერთობისასა. და კუალად მზე იზიარებს ყოველთა შობადთა რამეთუ მის მიერ, და კუალად ანათლებს თვს შორის ყოველთა განათლებულთა, არამედ არას ივენებს მათთა ქცევათა და ვნებათა მიერ, რამეთუ უსქეტოდ იზიარებს თვისთა მზიარებელთა. ვინაჲ ესე თუ ესთა, უფროჲს ხოლო იგი ზესთ არსნი ერთნი შეიერთევენცა და განაგებენ ყოველთა, და არცა განგებითი შეერთებაჲ შლის ერთობასა მათსა და არცა ერთობაჲ თან აქცევს და ავენებს გასაგოთა თანა გამგეთა, არამედ უსქეტოდ და თანუქცეველად განაგებენ ყოველთა.

3-4 ძალი აქუს მოქმედებისა D.—6—9 ყოველი ღმრთებრივი წინაჲთვე (წინაჲ ABDEH) ეჲ განგებასა (განგებჲ ABE, განგება DH) აარაარებს ABCDEH.—10-11 ღრიფობს] არიფობს H.—12-13 თანშეერთება D.—14 ზესთ განყენებითა <AB.—16 თანმინახეთქი D.—19 რამეთუ<AB.—31 განაგებდეს AB.—32 შგლის H.—ერთობასა] ერთობჲთა AB.—33 გასაგონთა F.

თ ა ზ ი 123

პირველისა მიზეზისათჳს

1 | «შოველი ღმრთებრივი ზესთ არსებითისა თჳს შორის ერთ A:164b
ქმნისა მიერ გამოუთქუმელ არს და უცნაურ ყოველთა შემდგომთა-
5 გან, არამედ მისდა ზიარებულთაგან იცნობვის და მიიწთომვის».

15 ისმინენ, Φ გამგონეო, ხედვანი უჩუეველნი. იტყვს, ვითარმედ არსებაჲ და ძალი და მოქმედებაჲ გონებასა შორის საუკუნესა დაჰმსკუალვიო მიუღრეკელობითა. რამეთუ ყოველი საუკუნესა-შორისი ყოველითურთ თუ იყოს, მიუღრეკელ არს. რამეთუ არცა ძალი მისი წარმატებასა და მოკლებასა მიიღებს და არცა მოქმედებაჲ მისი წარმატებათაგან შედგების. არამედ ჰგიეს მასეეობასა ზედა თვისსა, და იმოქმედებს თვისდამი, და ხედავს თვისდამი. რამეთუ ყოველივე 20 თვის შორის შემოუცავს გასაგონოჲ. და გამგონე თვისთა თვთებათა C 310 ყოველსავე გაიგონებს. და გაიგონა რაჲ თვისი თვთებაჲ, გაიგონა თვისი გასაგონოჲ. და არცა გამგონე სხუაჲ არს და არცა გაგონებულისა, არამედ გამგონე გაგონებული და გაგონებული გამგონე. ხოლო A195b საშუვალ გასაგონოხსა და გამგონისა იყოს თვთ თვისი არსებაჲ.

25 მოხედენ! იტყვს, რამეთუ აქა სამი გუაქუს ოდეს რას გაეიგონებდეთ: გამგონე, გასაგონოჲ და საშუალ გონებაჲ. ხოლო თვთგონიერთა გაგონებათა შორის არ ესთა, რამეთუ თვთ არს გამგონეცა და გასაგონოცა და არ დამრავალკეცდების, ესეთთა აქა სულისა გაგონებათა ზედა ვხედაეთ, რამეთუ დასამდების, ხოლო შენ გახედე 30 თხზვასა აღმოსაჩინთასა.

5 სამარადისოდ გაიგონებს და <E, +ABCDFH.—6 და <AB.—7 გაგონებაჲცა] გონებაჲცა ABD.—9 გაგონებაჲცა მოქმედებაჲცა AB.—13 ისმინე HF.—უჩუეველი E.—15 რამეთუ] ხ' D.—16 თუ <AB.—23 და გაგონებული] და AB.—29 გახედენ B.

თ ა ვ ი 170*

«პოველი გონებაა ყოველსა ერთბამად გაიგონებს. ხოლო უზიარებელი და პირველი მარტივად ყოველსა».

იტყვს ესთა ხედვაა ესე, ვითარმედ ვინაჲსგან სამარადმყოფსა

6 შორის დაუფუძნებია თვისი არსებაჲცა და მოქმედებაჲ, ყოველსა გონებასა არ წარმატებით გაიგონებს და შემდგომითი შემდგომად, არამედ ერთით ყოველსა, ესე იგი არს მიმართ აჲა ერთბამად ყოველსა; და არა ვითარ არსებაჲ სულისაჲ შემდგომითი შემდგომად, რომელსა შორის იხილვების პირველი და შემდგომი, გარდასრული და მომავალი.

10 ლი. ხოლო რომელი ამათ შორის გაიგონებდეს, იგი მიდრეკისადა თანაშეკრულ ვითავე სული. რამეთუ არსებაჲ სულისაჲ საუკუნესა მიდრეკასა შორის გაიგონებს ყოველსა, მაგრა მიდრეკით, ესე იგი არს ამისგან ამისდად და შემდგომითი შემდგომად. ხოლო გონებასა მიუდრეკელად და საუკუნოსა! შორის წარმოსდგომია არსებაჲცა და

15 მოქმედებაჲ თვისი, და ყოველსა ერთებრივ და უქამოდ გაიგონებს და არა ამის გასაგონოჲსგან სხუად მიდგების, რომელ ესე არს სული თვისი გაგონებისაჲ და ეამის-შორისი. ხოლო საყოველთაოჲ გონებაჲ საყოველთაოთაჲცა გასაგონთა გაიგონებს შესაბამად თვისისა არსებისა, ხოლო ნაწილებითი ნაწილებითად, ვითარ და არსებაჲცა მისი.

C 312

20 თ ა ვ ი 171

«პოველი გონებაჲ განუწვალებელი არსებაჲ არს».

ისმინე, რამეთუ ყოველი უდიდოჲ, ესე იგი არს რომელსა არა ჰქონდის რაჲზომიეჲ გუამებრი სიდიდე რაჲვე, უსხეულო არს და მიუდრეკელ. რამეთუ რაჲ მიდრეკეს მისი, რომელი ყოვლითურთ უდი-

25 დოჲ არ შემოცეა ადგილმან? ხოლო ყოვლითურთ უდიდოჲ და მიუდრეკელი | განუწვალებელ. რამეთუ ყოველი განწვალებადი ანუ სიმრავლითა არს ვითარ რიცხვ, ანუ სიდიდითა ვითარ რაჲ ონკოს, რომელ არს ზუაფი, ანუ მოქმედებათებრ ვითარ სული. რამეთუ განიწვალების და განიყოფვის მოქმედებაჲ სულისაჲ თვისსა არსებასა,

30 ვითარ ეამსა შორის აღებადი, ვითარ მიდრეკადი. ხოლო უსხეულობასა არსებისასა თვისდა მიმართ უკუნ ქცევაჲ ცხად ჰყოფს. რამეთუ ყოველი შემძლებელი ყოვლითურთ | თვისდადვე უკუნ სფერებად უსხე-

4197A ულო არს: უკუ ისფერებს უკუე და ცაჲცა, ვითარ მობაძაფი სულისაჲ და გონებისაჲ, არამედ დააკლდების: რამეთუ ყოველთა თვისთა ნა-

C 313

A 197A

4 ვითარმედ| ფდ D.—6 წამატებით F.—18 საყოველთაოცა D.—33 უკუ ისფერებს| უკოისფრებს D.
 * თაჲ 170. თაჲთა AB ხელისწერაჲს.

წილთა ყოველთა მიმართ ვერ უკუაზიარებს. ხოლო უსხეულოჲ ყოველი ყოველსა შორის უკუ ისფერებს და არა რაჲ არს, რომელიმეცა არ მიხუდა ურთიერთას უკუნ ქცევასა. ხოლო საუკუნეობასა გონებისა გამოაცხადებს, რომელ არსებასავე თანა დასთანაებია მოქმედებაცა.

5 რამეთუ ვითარ აქუს არსებაჲ, ესთავე და მოქმედებაჲ, ვითარცა მზესა თჳსნი შარაჲანდნი თჳს თანა. ხოლო შეერთებასა მის შორის სიმრავლისასა ზესთა არსთა ერთთა შეერთებაჲ მის შორის ჰყოფს საუწყყო.

თ ა ვ ი 172

«ყოველი გონებაჲ სამარადისო არს უმახლობელესად და მეგრ
10 არსებით უცვალეპელთა წარმოაყენებს».

მსე არს ხედვაჲ ესე. იტყჳს, რამეთუ გონებჲჲ ვითარცა მიუ- A 197b
დრეკელი და საუკუნოჲ არსებითაცა და მოქმედებითა მიუდრეკელთა უხრწნელებითა არსებათაჲთა და უკუდავთა და სამარადისოთა წარმოაყენებს, ვითარცა მიუდრეკელი და სამარადისოსა შორის და- C 314
15 ფუძნებული მიზეზი. ხოლო მიდრეკადნი მიზეზნი და მბადნი მიდრეკადლაცა ჰბადებენ და წარმოაყენებენ.

თ ა ვ ი 173

სამ სახელ განცდისათჳს გონებისა

«ყოველი გონებაჲ გონიერ არს პირველთაცა მიმართ და
20 შემდგომთა».

ყოველი გონებაჲ, ვითა მეტყჳან ხედვანი, სამ სახელ განიცდების: ანუ ზიარებით, ვითარ თჳსთა დასაბამთა მიმართ და უმჯობესთა; ანუ თვთ თჳსისა არსებისა სწორად და თჳსსა შორის თვთებასა; ანუ თჳსთა უდარესთა მიმართ, ვითარცა მიზეზი მათი და მბადი და
25 ვითარ მიზეზოანთა შორის მიზეზი.

თ ა ვ ი 174

გონებისათჳს და ნაქმისათჳს მისისა

«ყოველი გონებაჲ თჳსსა გაგონებასა შორის წარმოაყენებს შემ-
დგომთა; და ნაქმი მისი გონებასა შორის და გონებაჲ ნაქმსა შორის».

80 მსე არს ესე, რამეთუ, რაჲცა გაიგონა, და ქმნაცა; და რაჲცა ქმნა, გაიგონაცა. და არა არს გაგონებაჲ უქმ და არცა ნაქმი გაუ-

2 უკუ უკუ ABD.—იფერებს AD.—4 თანა < AB.—დასთანებია E H, დასთანავებია AB. 9—10 ყოველი გონებაჲ ვე წარმოაყენებს C.—9 უმახლობელესად და უმახლობელესთა ABDEFH.

გონებელ. რამეთუ არს არიან ნაქმნი და გაგონებანი გაგონებისანი. და თვთ თვსთა გაგონებათა შორის ერთ და იგივე. და წარმოიქმს ვითარ არსი არსთა: რამეთუ ყოველთა რაოდენთადაცა მზუდარა გუარნი, ყოველთა მამა და მექმე გონებაჲ არს, ამით რომელ ყოველი ⁶ გაგონებაჲ ვიდრე გუართამდის და გაგუარებულთა. ხოლო გაუგუარებელთა გაგონებასა და მოქმედებასა დასცილდების რომელთამე ვითარ ზესთათასა, ხოლო რომელთასამე ვითარ მოკლებულთასა უგუარობითა.

თ ა ვ ი 175

¹⁰ «**შოველი გონებაჲ ერთბამად არსებით და მოქმედებით გონიერთა მიერ იზიარების პირველ**».

მსე უკუე იყოს საცნო, რომელ რომელთაცა მოუგია არსებაჲ მოქმედებასა თანწარმოდგომილად, იგინი არიან პირველ ურთიერთას მზიარებელ, ვითარ გონიერთა ყოველთა. ხოლო საყოველთაოსა ¹⁵ სულსა, დაღათუ ეამსა შორის აქუს თვისი მოქმედებაჲ, არამედ სამარადისოდ იგივე გაიცდის მოქმედებათა შორის თვსთა გონიერთა გუართა, და იხარებს მათ შორის ხედვათა მიერ, დაღათუ სულითთა და ეამის-შორისთა, მაგრა სამარადისოთა საუკუნეობითა. და კუალად სული ცისაჲ ხედავს ნამდვლ მყოფისა შორისთა და ღმერთთა ²⁰ და მზეთა ერთებრთა | მესაშუელობითა ნაწილებითისა გონებისა და საყოველთაოჲსა სულისაჲთა, ხოლო ოდესმე გამგონე სული უსაშუელოდ ვერცა საყოველთაოჲსა სულისა შეუძლებს ზიარებად და ვერცა ^{A198a} ^{C 317} ნაწილებითისა გონებისა. არამედ საშუალთა მიერ შეეყოფვის მათ, ვითარ სული დ ი ო ა ს მიმართ სფეროთა დიოჲს მიმართ აღმუყანე- ²⁵ ბელობითთა ძალთაჲსა და ვერეთევე კრონოებრი კრონოიანთა მიერ მოქცეეთა ძალთაჲსა. და ესევე კანონი ყოველთა ზედა.

თ ა ვ ი 176

«**შოველნი გონიერნი გუარნი ერთმანერთსაცა შორის არიან და თვს შორისცა თითოეული**».

³⁰ მსე ხედვანი დაფრიალებულნი სიკუჲთა გაიცადენ, მხედველო. რამეთუ ყოველნი გონიერნი გუარნი შეერთებულ და ვითარ ერთ

1 ნაქმნი F.—3-6 გაგუარებულთა H.—6 გაგონებასა] გაგონებულთა AB.—7 ვითარ<AB.—მოკლებულთა AB, მოკლებულისა F.—10 ერთბამად<CDEFH. —13 თანწარმოდგენილად] წარმოდგომილად AB.—15 შორის] მას EH.—21-22 ხოლო —სულისა<AB (ex homoioteleuia).—22 და<AB.—25 კრონოებრი >BD.—კრონიანთა HDEFH, კრონანთა A.—26 მოკცეეთასა AB.

არიან გონიერსა შორის საშოსა. რამეთუ ვითარ საშოსა შორის ერთ და იგივე გუარი თესლისაჲ, ვიდრე არ იწყოს განყრად ნაწილთაჲ სიტყვსა მიერ შემოქმედებითისა. და კუალად ვითარ ერთსა შორის ერთ და იგი გუარნი ყოველთა რიცხუთანი: რამეთუ სადაჲთმცა რიცხუნი თვნიერ ზესთ მიზეზობითისა ძალისა ერთისგან, ესრეთვე გონებითსა და გონიერსა შორის აღმკულსა სიმრავლე ყოველთა გუართაჲ. ხოლო შეურწყმელობასა მათისა შეერთებისასა საცხადო ჰყოფს მზიარებელთა განთვთებული განყოფილებაჲ. რამეთუ სადაჲთ-
 5 მცა მოიღეს შემდგომთა განყოფაჲ თვსთა თვთებათა თვნიერ და-
 10 საბამთა და მიზეზთაჲთ, რამეთუ შემდგომნი პირველთა მიზეზთაგან გათვთლებიან. ვინაჲ პირველ მამათა და დასაბამთა შორის თვთებაჲ ყოველთა გუართაჲ.

C 319

თ ა ზ ი 177

«ყოველი გონებაჲ სრულებაჲ არს გუართაჲ და რომელიმე
 15 ყოვლებრივთა გუართა არს შემცველ, ხოლო რომელიმე ნაწილ-
 ბითთა».

ყოველი ესე ხედვაჲ ესთა მეტყვს ჩუენ, ვითარმედ გონებათანი რომელნიმე არიან ყოვლებრივ და უზენაეს, ხოლო რომელნიმე ნაწი-
 20 ლებრივ და უქუენაეს. ხოლო უზენაესნი და უფრო საყოველთაონი
 უფროცა შორს გაზიდვენ თვსთა დასაბამთა | დასასრულთადმი და
 უმეტესთა შემოიქონებენ გუართა და არსებათა; ხოლო უქუენაესნი
 და უფრო ნაწილებითნი უმცროსთა არიან მიზეზ და შემცველ გუარ-
 25 თა. რამეთუ უქუენაესნი სიმრავლითა უკუე უფრო, ხოლო ძალითა უკნიეს; ხოლო უზენაესნი რაჲზომობითა სიმრავლისაჲთა უმცრო,
 ხოლო დაზესთაებითა ძალთაჲთა უფრო, რამეთუ უმეტეს ჰბადვენ მას
 ზესა ზესთაობისასაცა. ხოლო შენ ოდეს ზეობაჲ გესმას ანუ ქუეობაჲ,
 ნუ აღგილთა წარმოიკერებ და ჰაზროჲ უსხეულოთათვს და განუზიდ-
 ველთა, ონკოთა და განსაზიდთა, არამედ სიმარჯუენი არსებათა
 და ძალთანი და უფრო მოქმედიერობაჲ გაიგონე.

A 200a

თ ა ზ ი 178

გონიერისა გუარისათჳს

30

«ყოველი გონიერი გუარი სამარადისოთა არს მამყოფებელ».
 მსე ხედვაჲ ზემოთა შორის გარდავეციტ. ხოლო შენ აქაცა
 შეისწავე, რომელ ყოველი გონიერი გუარი სამარადისოთა გუარითა

4 ერთ და იგივე EFH.—11 მამათა<F.—18 ხოლო] და H.—21 შემოიქონებენ] გამოიქონებენ H.—26 გესმეს H.—27 ნუ] ანუ AB. - 34 გუართა] გუართა EH.

წარმოიყენებს, ვითარ სულთა და არსებასა უკუდაეთა სხეულთასა, ვითარ აპოლოლოქსისა და ერმისისა და სხუათა თანტომთასა. რამეთუ მიუდრეკელსა მიუდრეკელადცა ჰქონან თვს შორის გუარნი, ვითარცა საუკუნოსა შორის მომგებსა მოქმედებისა და არსებისასა.

5 **თ ა ვ ი 179**

გონიერისა რიცხვისათვის

«პოველი გონიერი რიცხვ განსაზღვრებულ არს».

აწ ამას ხედვასა აღმოაჩინს და იტყვს, ვითარმედ რიცხვ გონიერთაჲ არ უსაზღვრო არსო, ამისთვის რომელ უფრო ახლავს თვს-
10 თა შემდგომთ'ასა მას ზესათასა ერთსა; ხოლო უფრო მახლობელი A201a ერთისაჲ უფრო ერთის გუარ; და უფრო ერთის-გუარი უმცრო სიმრავლითა შემდგომთაჲსა. ხოლო სადაცა უმცროსი და უფროსი იხილვების, მუნ ურიცხობასა და უსაზღვროობასა ადგილი არა აქუს. C 322

თ ა ვ ი 180

ყოველობისათვის

16

«პოველი გონებაჲ ყოველობა არს, ვითარ ნაწილთა მიერ წარმოდგომილ თითოეული».

შესმა, ზ გამგონეო, თუ რაოდენ სახედ მივეციო სიტყუაჲ ყოველობისათვის პირველთა შორის? განალა სამ სახედ დავლექსეთ სიკჷოჲ
20 გარდაცემისაჲ:

რამეთუ არს ყოველობა პირველ ნაწილთაჲსა; და დადევ იგი ზესთაჲ ნაწილთაჲ ყოველობაჲ ერთთა და ღმერთთა შორის.

და სხუაჲ ყოველობაჲ ნაწილთა მიერ შედგმული; და დადევ იგი არსებასა შორის ნამდვლ მყოფისასა, რამეთუ ნაწილთა მიერ შედგა
25 ყოველობაჲ ნამდვლ მყოფისაჲ, ვითარ პირველ სიტყუამან აღმოაჩინა, მაგრა ყოველთა მიერ ნაწილთა რომელსა არაჲ განველთა. A201b

და კჷალად არს სხუაჲ ყოველობაჲ, ვითარ ნაწილთა-შორისი, რომელ დაუსახენით ხუედრნი მრავალნი, ვინაჲ ჰპოო თვსსა ადგილსა. ხოლო შენ ესე ნაწილთ-შორისი ყოველობაჲ დადევ ნაწილებითთა
30 ზედა გონებათა. ხოლო ყოველობაჲ ნამდვლ მყოფისაჲ შესცავს თვს შორის ყოველსა ყოველობასა ნაწილთ-შორისსა. ხოლო ნამდვლ მყოფისა ყოველობაჲ შეიცივის პირველ ნაწილთა ყოველობისა მიერ, რამეთუ ზესთაჲ არს და ერთებრი ყოველობაჲ ერთთაჲ და ერთისაჲ.

4 საუკუნესა F.—და<AB.—13 აქუს) აქუ D.—16-17წარმოდგომილ არს თითოეული F.—18—19 მივეციო .სამ სახედ<AB (ex hom.).—25 ვითარ) ვითარცა ABD.—26 მაგრა) მაგისა AB.—განიელთა AR.—32 შესცავს D.—33 ზესთაჲ) ზესთ AB.

თ ა ვ ი 181

ზიარებულისა გონებისათჳს

«ქოველი ზიარებული გონებაჲ ანუ ღმრთებრივი არს, ვითარცა ღმრთებრივთად შეყოფილი ანუ მხოლოდ ოდენ გონიერი».

5 აქა ხედვათა განწყოფს და გონებათაცა ხედულთა. რამეთუ ყოველსა სირასა შორის იტყვს უზიარებელთა და პირველთა უფრო, ღმრთივად და ზესთად, ვითარ სირასა შორის გონებათასა სირათ-
 მთავრად და პირველად გონებად დასდებდა ნამდვლ მყოფსა, და
 10 განღმრთობილად და ერთთა მიერ შემდგმულად და მათ მიერ დაბრ-
 წყინებულად, და ყოვლითურთ | საღმრთოდ. და ესეთთა ღმრთად C 324
 გონებად იტყოდა პირველსა გონებასა, რომელსა ნამდვლ მყოფობაჲ
 უგალობა სიტყუამან. ხოლო მის მიერ წარმონაჩენად საშუალთა გონ-
 ებათა, ვითარ საუკუნოჲსასა და თვთცხოვლობისასა, და კჳალად
 შემდგომითი შემდგომად გონებად ყოველთა უწოდა ვიდრე გონიე-
 15 რისა გონებისამდის, სადა გონიერი აპოლო და კრონოს და
 რეა და დია გამოჩნდეს, რომელნი ხედვენ ცასა გონებათასა, რომელ
 არს ნამდვლ მყოფი, და ღმერთ იქმნებიან მის მიერ.

აწ ვინაჲ დახედენ, რამეთუ გონებაჲ გასაგონო ყოველთად
 ნამდვლ მყოფი არს, ხოლო შემდგომნი ყოველნი ნამდვლ მყოფისა
 20 მიერ გონიერ და საესე მისთა ნათელთაგან. მაგრა რომელნიმე უსა-
 შუელოდ, ხოლო რომელნიმე საშუალთა მიერ, და ესრეთ ვიდრე
 უკუანაჲსკნელთამდის. ხოლო ესე იყოს შესწავებულ, რომელ პირ-
 ველნი და სირათ-მთავარნი თჳსთა უზესთა ფერ და გუარ არიან, ვი-
 თა აწ ნამდვლ მყოფი ღმრთის გუარ. და კჳალად სულსაცა ზედა,
 25 რამეთუ სული გონების გუარ პირველი. ხოლო კჳალად პირველი
 სხეულთაჲ სულისა და გონებისა გუარ. ხოლო საშუალნი რომელ- A202b
 თამე პირველთა მსგავს, ხოლო რომელთამე შემდგომთა, რაჲთა
 გზავნაჲ და ზიარებაჲ არსთა მორთულეებისაჲ მსგავსებისა მიერ იყოს.

თ ა ვ ი 182

საღმრთოჲსა გონებისათჳს

30 «ქოველი საღმრთოჲ გონებაჲ ზიარებული სულთა მიერ იზიარების საღმრთოთა».

მსე ხედვაჲ ზემოსა თავსა შორის განემარტა, რომელი იტყოდა,

3 ზიარებული| მზიარებელი AB.—9 შემდგმულად| შემდგომილად EFH.—15. გონიერი<F.—16 რეა| არეა H.—18 დახედვენ ABD.—20—22 მაგრა—უკუანაჲს-
 კნელთამდის<AB.—21 რომელნი F.—22-23 რომელ პირველნი| რ'ლნი AB.—23
 უზესთა ფერ| უზესთაჲს AB.—33 განიზარტა H.

C 325

რამეთუ პირველნი სირათანი, მზიარებელნი უზესთაესთა სირათანი, მათ გუარ არიან, ვითარ აწცა იტყვს, ვითარმედ პირველი სული გონების გუარ საღმრთოაჲსა: რამეთუ გონებისა მიერ ეზიარების სული ერთთა, და თვთ მათ ღმრთებრივთა ერთთა შიერ მითესული ერთი საყოველთაოსა და პირველსა შორის სულსა შეახებს პირველსა სულსა საღმრთოაჲსა გონებისადმი.

თ ა ვ ი 183

გონებაჲ გონებითი და გონებაჲ გონიერი

«შოველი გონებაჲ, ზიარებული ვინაჲვე და მხოლოდ ოდენ გონიერი, იზიარების სულთა მიერ, არცა ღმრთებრივთა და არცა გაგონებისა და უგუნურებისა მიერ ქცევადთა».

ბუესმა, ვითარმედ სხუაჲ არს გონებაჲ გონებითი, ვითარ ზესთაჲ, და სხუაჲ არს გონიერი. და კუალად სულთა განყოფილებანი, ვითარ საღმრთოთაჲ, რომელნი არიან შეყოფილ გონებათა და ერთთადა. და კუალად სხუანი სულნი ქცევადნი, ოდესმე გაგონებად და ოდესმე უგუნურებად. და კუალად საშუალ ამათსა სხუანი სულნი არცა პირველნი და ღმრთივნი და ქცევადნი. ვინაჲ აწ ამათ იტყვს გონიერთაგან ზიარებად და არა გონებათაგან: რამეთუ სხუა გონიერი და სხუა გონებაჲ.

თ ა ვ ი 184

სულისათჳს

«შოველი სული ანუ საღმრთოჲ არს, ანუ ქცევადი გონებისგან უგონებობადმი, ანუ საშუალი ამათი».

ბაასრულა რაჲ გონებათათჳს (რამეთუ განყენა გონებანი სამ დასად: საღმრთოდ გონებად, და თვთ ოდენ გონებად, და გონიერად არსებად), ვინაჲ აწ კუალად და სულთაცა ზედა ამასვე წესსა დაიცავს. რამეთუ არსო საღმრთოჲ სული საყოველთაოჲ და პირველი და გონებათა და ღმერთთა შეყოფილი. და არსო იგი ყოვლითურთ ღმრთისა და გონების გუარ. და კუალად არსო სული ქცევადი, ესე იგი არს ესე ჩუენი, ოდესმე გონებისადა შეყოფილი და ოდესმე უგუნურებისადა, ვითარ გამგდე გონებისაჲ. და ამათ საშუევალ არსო სხუაჲ სული, სამარადისოდ გონიერთადა შეყოფილი და უქცევი, ვითარ მზისაჲ და სხუათა ესეითათაჲ.

1 უზესთათა AB.—14 ერთთადა] ერთთა AB.—18 რამეთუ] ს F.—23 უგონებლობადმი AB.—27 პირველი] პირი ABDEFH; ა] ს.ტყვესე მათეთათ არსაჲ სწერათ: პლი ნუ თუ DH, ითლ ნუ თუ A; BF-ს მათეთათ აქვს, ამაჲსე კ ამავერ სწერათ.—29 და ესე AB.

თ ა ვ ი 185

საღმრთოთა სულთათჳს

«ჰოველნი უკუე საღმრთონი სულნი ღმერთ არიან სულებრივ. C 327
 ხოლო ყოველნი მზიარებელნი გონებისანი ღმრთებრივთა მიმდ-
 5 გომნი მარადის. ხოლო ყოველნი მიღმოქცევისა შემწყნარებელნი
 ღმრთებრივთა მიმდგომ ოდესმე».

იტყვს ესთა ხუაეი ამათ ხედეთაჲ, ვითარმედ არიანო სულნი
 ღმრთებრივნი, რომელნი შეყოფილ არიან ნიადაგ გონებისა და ერთ-
 თადა. და კუალად არიან სულნი შეყოფილნი ოდენ გონებათადა,
 10 ხოლო სამარადისოდ მიმდგომ საღმრთოთა სულთადა, ვითა სული
 ცისაჲ და ყოველთა ციერთაჲ. და კუალად არიან სულნი ოდესმე
 მიმდგომნი საღმრთოთა სულთადა, ვითარ ესე კაცთანი.

თ ა ვ ი 186*

სულისა განწყენებისათჳს სხეულთა არსებობასან

15 «ჰოველი სული არსებაჲ არს უსხეულოჲ და განყენებადი
 სხეულთაგან».

მსე ხედვანი სრულებით განაყენებენ სულსა სხეულთა არსებისა
 და გუარისგან და ყოვლითურთ უსხეულოთა ნაწილისადა აღმოაჩენენ
 მას. იტყვს, ვითარმედ, ვინაჲთგან უკუმქცევი არს და უკუმესფერე
 20 თვსდადვე, უსხეულო არს; რამეთუ ყოველი უსხეულოჲ არსებაჲ უკუ
 ისფერებს თვსდადვე. ხოლო თუ რაჲ არს უკუნქცევაჲ თვსდადვე?
 ესე იგი არს ცნობაჲ თვთ თვისისა არსებისა და თვთებისაჲ: რამეთუ
 ეძიებს სული თვისსა აობასა და ჰპოებს ორ სახედ, ანუ მიზეზსა შო-
 რის თვისსა. ხოლო პოვნაჲ მიზეზსა შორის უმჯობეს თვთ თვს-შო-
 25 რისისა; რამეთუ ყოველი ცნობაჲ აღმოსაჩენთაჲთ მიზეზთა არს ცნო-
 ბაჲ და დასაბამთა პირველთაჲ. ხოლო სხეული თვთ თვისითა აობითა
 არცა ეძიებს თვისსა მყოფობასა და არცა უკუნ იქცევის თვსდადვე.
 ხოლო თუ უკუნ იქცევის, სულისა მიერ უკუნ იქცევის და გონებისა,
 ვითარცა ესე განღმრთობილთა სფეროჲ ცისაჲ; და კუალად არცა
 30 სხეულთაგან განუშორებელი არს, ვითარ სტაგირელინისა ენტე-
 ლექიჲ, რომელი პირველთა შორის სხოლიოთა მდიდრად გარდა-
 ვეცით.

5 მიღმოქცევისა E.—12 კაცთანი] კაცთა ზედა EH.—18 ყოვლითურთ] ყლი
 თვთ E.—უსხეულთა C.—19 ვინაჲთგან] ვინაჲ ვითარ E.—24-25 თვს შორისისაჲსა
 F.—27 ექცევის CEH.—30-31 ენტელექსიაჲ C, ენტელექისა H, ენტელექსიაჲ E,
 ენტელექისა F.

* ოაკე- 187, 186, 187 და 188 (სიკვეჲაჲჲ ვითარ თვთებისა გვ. 195.25) აკლ
 ABD ზელ-ნიწყაჲს.

თ ა ვ ი 187*

დაუზღრომელისა და უზრუნველისა სულისათჳს

«შოველი სული დაუზღრომელ არს და უზრუნველ».

C 339

შეისწავე, ვითარმედ არსებაჲ სულისაჲ ყოველითურთ ზესთ

⁵ დაუშთების შედგომითა და ქცევითა ვნებათა. რამეთუ არცა კავ-
შირთა მიერ სხეულებრთა შედგა მყოფობაჲ მისი და არცა სხეუ-
ლებრივთა რომელობათა მიერ იენებს რას და თან შეიცვალეზის,
ვითარ ესე ყოველთა შედგმულთა შორის განიცდების. რამეთუ ყოვე-
ლითურთ უთავსდებო არს რაჲზომვე სხეულებრივთა ვნებათა მიუშალ-

¹⁰ ვად. რამეთუ თუმცა რაჲზომვე მიითუალვიდა ზღრომის სახეთაცა
ვნებათა, სრულებითმცა ზედ მიიხდიდა ხრწნასა არსებისა თჳსისასა.
რამეთუ რაჲზომვე თანმიმცემნი თვთებათა თჳსთა, თჳსთა ვნებათადმი
სრულსა ქცევასა და ხრწნასა ზედ მოიხდიან, ვითარ ესე ცხოველთა
სხეულებსა ზედა იხილევების. და კუალად არცა ვითარ არისტო-

¹⁵ ტელის ენტელექიანი წინამდებარეთად მოქენე არიან, არამედ სრუ-
ლიად ზესთა ძეს ესე ვითართა ხრწნა-ქცევითთა ვნებათა.

თ ა ვ ი 188*

სული—მიზეზ და წყარო ცხოველობისა

«შოველი სული ცხოველობაჲ არს და ცხოველი. რამეთუ,

²⁰ სადაცა წარმოადგეს სული, ესე ცხაველ იქმნების საკიროდ».

შეისწავენ ესე ხედვანი, რამეთუ სული არს მიზეზ და წყარო
ცხოველობისა, და სადაცა ვიეთცა წარმოუდგეს, ცხოველ ჰყოფს,
ანუ ინდალმათა ოდენ მისცემს, და არა არს იგი სრულ ცხოველ,
ვითარ ნერგთა და ესვითათა ყოველთა. რამეთუ ინდალმანი არა თვ-

²⁵ თება სულისა, არამედ ვითარ თვთებისა აჩრდილ და ნამწუერვალ.
და კუალად სხუა ცხოველი და სხუა ცხოველობაჲ. რამეთუ ცხოველი
ზიარებითა ცხოველობისაჲთა ცხოველ ოდენ და არ უკუმქცევ და
მეძიებელ თჳსთა თვთებათა და არსებასა. ხოლო ცხოველობაჲ
უკუმქცევ და მეძიებელ თჳსსა არსებასა, რომელ არს სული.

3 ყოველი—უზრუნველ<codd.; დეკლავიო თჳთ : ზოკდეჲს დუზღუბაჲ შაიდ-
კით (ა. შ. კაკაბანი“ გვ. III, 26).—12 თჳსთა, თჳსთა| თჳსთა H.—14 სხეულებასა
E.—ვითარ არცა H.—16 ეს ვითართა C.—20 ესე<F.—21 შეისწავების H.—
მიზეზი C.—25 ყწნი უკუთ ჩრდილ და AB.—27 ცხოველობისათა| ცხოველო-
ბითასა A.—29 უკუმქცევ ABF.

* 187. ღა 188. თჳთა (ვარე სუტუკაჲჲ სკრ. 25 ვითარ თვთებისა) აკლას ABD
ხელთაწერკუ.

თ ა ვ ი 189

«შოველი სული თვთცხოველია».

ესე ხედვანი მათ ზემოთა შორის მიუთანანენ. არამედ იტყვს, ვითარმედ არ წინაგანრჩევით და განზრახვათა მიერ ცხოველ ჰყოფს სული გაცხოველებულთა, არამედ მომმარჯუთა სხეულთა წარმოუდგების და გააცხოველებს. ხოლო ეძიებდე თუ სხეულთა მომმარჯობასა, რანი მიზეზნი მისცემენ, ჰპოვო. რამეთუ ვარსკულათა მოქმედებითი ხიბლვაჲ ესევითა თიკის-მეკეცეობს და აღიქმს სხეულთა, და დასხამს მათ შორის სიმარჯუეთა, რაჲთა წარმოუდგეს ძალი ცხოველობითი ანუ თვთ სული სიტყვითი, ვითარ კაცობრივი.

თ ა ვ ი 190

«შოველი სული საშუვალი არს განუწვალეებელთაჲ და სხეულთადმი განწვალეებულთაჲ».

ამას ხედვასა | თვთ თვისი წიგნი აქუს და «მონოვიელოჲ». ამას ხოლო აწ ჩუენ თანწარვლის სახედ დავლექსოთ. რამეთუ არს ყოვლითურთ განუწვალეებელი და ერთებრი აღმკული ყოველი სიერცე გონებითთა და გონიერთა არსებათაჲ, ამისთვის რომელ მოუგიეს არსებაჲ და მოქმედებაჲ თანმორბედად, და არს იგი ყოვლითურთ ერთ, | ვითარცა პირველი ხატი და პირველი ნათხზი მის გუართა ზეს-თაჲსაჲ. და კუალად ესე ყოველივე სხეულებრივი მორთულებაჲ ყოვლითურთ განბნევადი და განწვალევადი, და ყოვლითურთ სხუად და სხუად მქცევადი და განბნევადი. ვინაჲ ჯერ არს სამუსიკოთა რთვათაებრ, რაჲთა საშუალთა მიერ იზიარებოდინ ყოველნი, რაჲთა მორთულებაჲ ეგოს დაუკსნელ და საუკუნო, ვითარ რჩეულ მრთველისა კელოვნისა და ღმრთისა მიერ მორთული. ვინაჲ ჯერ არს, რაჲთა საშუალი ორთავე კიდურთა უმსგავსოობითა ჰგვანდეს. და შეაკრნეს და მოჰრთნეს ორნივე უმსგავსონი არსებანი, და აზიარნეს ყოვლითურთ უზიარებელნი. ხოლო თუ ვინ არს საშუალი, ძებნა და პოა აღმოსაჩენმან ბრძენთამან. ესე არს უკუე არსებაჲ სულისაჲ, რომელი არსებით ყოვლითურთ განუნაწილებელთა ეზიარების. რამეთუ საუკუნესა შორის ჰნათოის მასცა უკუდავებაჲ ცხორებისაჲ. ხოლო მოქმედებით განინაწილვის, რამეთუ მიცილვებად მოვა მოქმედებაჲ

3 არამედ | რ' E.—5 მომარჯუთა. DF.—6-7 მომარჯუობასა FH.—7 ჰპოვონ AB.—14 და მონოვიელოჲ | და მონ: ოვიელოჲ C; და მონ: ოე ივ'ლოჲ AB; და მონ: ოე ივილოჲ (ივლოჲ H) EH; დამონ, ოე, ივლოჲ F, დამონ: პოე ივპლოჲ D.—16 ერთებრივი E.—21 და განწვალევადი | განწვალევადი არს არსი ყოვლითურთ AB.—25 კელოვანისა H.

მისი. ხოლო ყოველი, ვერ თანგამწთომი საუკუნეობასა არსებითსა სულისასა, განეყო ფვის მას და განინაწილების მისგან, რომლითა A206a ეზიარების ხილულსა ამას და ყოვლითურთ განნაწილებადსა სხეულთა ბუნებასა, რაჟთა მორთულებაჲ ეგოს და დაუცილებელად წარმოეღოს ზემექონებამან ზესთ წმიდისა განგებისამან ვიდრე უკუნადასკნელთამდის.

თ ა ვ ი 191

ზიარებადისა სულისათჳს

«ჰოველსა სულსა ზიარებადსა არსებაჲ უკუე საუკუნოჲ აქუს,

10 ხოლო მოქმედებაჲ ეამის-შორისი».

|ამასცა ხედვასა გამოსცდის სიტყვერთა მიერ აღმოსაჩენთა; და A206b ვითარ თხზვამან აღმოსაჩენთამან და სიტყუამან სარწმუნომან დაამტკიცოს, მერმელა თანგანელის სახედ სვმპერაზმა უზამს და იტყვს, ვითარმედ «ყოველსა სულსა მზიარებელსა სხეულთადა არსებაჲ სა-
15 უკუნოჲ აქუს, ხოლო მოქმედებაჲ ეამის-შორისი». ხოლო შენ თხზვასა აღმოსაჩენთასა დასკურითენ.

თ ა ვ ი 192

ზიარებულისა სულისათჳს

|«ჰოველი სული ზიარებული მარადის მყოფთა არს და პირ- C 335
20 ველი აღგებდათა».

ზესმაა, თუ რასა დაჰლექსაევს? იტყვს, ვითარმედ სული არსებისა მიერ თვისისა განისაზღვრების თუ მოქმედებისა. ხოლო თუ არსებისა მიერ, საუკუნოსა შორის აქუს მყოფობაჲ და დაუესებელსა ცხორებასა; ხოლო თუ მოქმედებისა მიერ, ეამსა შორის მოუგიეს
25 მყოფობაჲ. ხოლო ყოველი ეამის-შორისი თვისითა ბუნებითა დენასა და |ხრწნასა შორის, რამეთუ არა რაჲ არს ეამის-შორისთაჲ, რადმცა A207a ეგო იგივეობასა და უკუდავებასა ზედა. არამედ ყოველი, რაჲცაეე მიიღებს. საზღვარსა, არსებით მიიღებს და არსებისგან თვისისა გარე შემოიწერების, ვითარ უზესთაესისა და პირველისგან, და არა შემ-
30 დგომისა და უკუნადასკნელისგან, ვითარცა არს მოქმედებაჲ. რამეთუ მოქმედებაჲ, ვისდაცა იყოს მოქმედებაჲ, უკუნადასკნელ არსებისა თვისისა, ვინაჲ და სულიცა თვისისა არსებისა მიერ ეგოს და განისაზღვროს შორის საუკუნესა, ვითარ უხრწნელი და სამარადისოჲ არსებაჲ.

1 თანგანწთომი CF.—10 ეამის შორის codd.—15 მოქმედობაჲ AB.—23 დაუესებელსა] დაუსრულებელსა E.—27 ეგო] ეგოს და AB.—31 მოქმედებაჲ ვისდაცა] ვისდაცა AB.—32 არსებისა მიერ თვისისა H.

თ ა ვ ი 193

წარმოშობისათვის სულისა

«შოველი სული მახლობლობით გონებისა მიერ წარმოდგა».

მსთა მეტყვს ჩუენ ხედვაჲ ესე, ვითარმედ სული მიუდრეკელი-
სა და სამარადისოაჲსა მიერ წარმოდგა მიზეზისა, და რომელსა მასვე- C 336
ობასა შორის საუკუნოასასა მოუგოეს თვისი მყოფობაჲ, ესე იგი A207b
არს გონებაჲ, რამეთუ ყოველი მიუდრეკელთა მიზეზთაჲთ წარმო-
დგომილი უხრწნელ უკუდავებთა. ხოლო უკუნ იქცეს რაჲ სული
თვისდამი, პირველისა თვისისა არსებისადმი უკუნ იქცეს. ვინაჲ ვითუცა
10 წარმოუდგეს სული, ვითარ უკუნქცეული თვისდამი, გონიერ ჰყოფს მათ.

თ ა ვ ი 194

«შოველსა სულსა ჰქონან თვის შორის ყოველნი გუარნი».

ისმინე, რამეთუ, რაჲცა ატუს დასაბამთა და მიზეზთა, თან მის-
ცემენ თვის მიერ წარმოხარსთა. ხოლო ვინაჲთგან მამა სულისა გო-
ნებაჲ არს, ხოლო გონებასა თვის შორის ჰქონან ყოველნი გუარნი
15 არსთანი, და სულსაცა თან მსცემს, ვითარ მამაჲ ბუნებითი ბუნე-
ბით თვისგნით წარმონაშესა. ხოლო გონებასა ჰქონან უწმიდესად და
დახესთაებულად, ხოლო სულსა სულებრივ და უდარესად. ვინაჲ არ-
ცა ყოველთა სულთა ერთ სახედ ჰქონან გუარნი არსთანი. რამეთუ
20 სხუებრ მზისასა და სხუებრ კრონოასსა. და ესრეთ სხუებრ
და სხუებრ განყოფისაებრ არსებათაჲსა.

თ ა ვ ი 195

არსებაჲ გონიერისა სულისაჲ

«შოველი სული ყოველი საქმე არს: იგავებრივ უკუე გრძლო-
25 ბადნი, ხოლო ხატოვნებით გონიერნი».

ესე ხედვაჲ სათანადოდ თანა აც სულსა, რაჲთა ზედამიწეენით
გაიგონოს არსებაჲ გონიერისა სულისაჲ, თუ რაჲ არს იგავებრივო-
ბაჲ და თუ რაჲ არს ხატოვნებითობაჲ. ითქუა ზემოთა შორის, ზ გამ-
გონეო, ვითარმედ სული თვისითა არსებითა საშუალ გონიერთა და
30 გრძლობადთაჲსა წარმოდგა და აღიქმნა კეთილ-მეხუროსა ღმრთისა A208b
და მბადისა მიერ, რაჲთა შეაერთნეს ყოვლითურთ განუწვალებელ-
ნი და ყოვლითურთ განუწვალებადნი. რაჲ გესმენ გონიერი და ზესთ

3 მახლობლობითი D.—6 სკენესა AB.—18 სულიერებრივ AB.—20 და
სხუებრ კრონოასსა <AB.—21 და სხუებრ <AB. 24 იგავებრივი B, იგავებრივნი
A.—26 ხედვანი F.—აც EFH.—29 ვითარმედ <AB.—32 რაჲ AB.—გონი-
ერი AB.

გონიერი, გაიგონე არსებამ, რომელთა ამათ ყოველთა შორის მი-
 ითუალავს და ეხატების საყოველთაო სული. რამეთუ ყოველი რა-
 დენი გონებათა და გონიერთა აქუს არსებით, აქუს სულსაცა სული-
 თად და ხატოვნებით ზენათაგან დაეღვებულად. და კუალად ჰქონან
 5 თვს შორის იგაენი ყოველთა გრძობადთანი, ვითარ უპირმშოესსა
 და მიზეზსა გრძობადთასა. მაგრა სულებრივ ყოველნი თვს შორის
 მოჰქონან: რომელნიმე ხატოვნებით, ვითარ ზენანი და გონიერნი;
 ხოლო რომელნიმე იგაეებრივ და მიზეზოვნობით, ვითარ; მამასა ყო- C 338
 ლისა ამის გრძობადისა აღმკულისასა.

თ ა ვ ი 196

განყოფინათვს ზიარებადისა სულისა უზიარებელისა
სულისაგან

«ყოველი სული ზიარებადი იკარებს პირველ სხეულთა სა-
მარადისოთა».

15 თქუა რამ, ვითარმედ ზიარებადი, განყო უზიარებელისგან; არს
 ყოველითურთ უზიარებელიცა სხეულთა სული, ვითარცა განუშორე-
 ბელი ყოველითურთ სხეულთაგან, და ზესთამ სული, ვითარ ღმრთეებ-
 რი ყოველთა სულთამ და ყოველითურთ შეყოფილი ნამდვლ მყოფი-
 20 თამ. ესე არს უხრწნელთა და სამარადისოთა, ვითარ ყოვლისა ცისა
 მორთულებისა და ანაქუსისა, რამეთუ სამარადისო არს. და ესე სუ-
 ლისა მიერ მოუგის მისდა უზიარებელისა, რამეთუ უქცევ არსებით
 სული, ვითარ საუკუნესა შორის მქონებელი თვისისა არსებისამ და
 ვითარ უქცეველი და უხრწნელი ასამარადისოებს თვისითა თანდაარ-
 25 სებითა ყოველსა ანაქუსსა ცისასა.

თ ა ვ ი 197

სულისა არსებითობამ, ცხოვლობითობამ და
ცნობითობამ

«ყოველი სული არსებამ არს ცხოვლობითი და ცნობითი, და
 30 ცხოვრებამ არსებითი და ცნობითი, და ცნობამ ვითარ არსებამ და C 340
 ცხოვრებამ».

მსე ხედვანი ხედვათა სიკშოსა მისცემენ მხედველსა. იტყვს, ვი-
თარ ყოველითურთ განუნაწილებელთა, ესე იგი არს გონიერთა, და ყოვე-

1 რომელთა) რომელ H.—2 ეხატვის AB.—3 აქუს და სულსაცა სულითად
DEF, აქუს სულითად სულსაცა H.—6 და< AB.—15 განყო A B D E F.—16-17 განუ-
შორებელი განუშორებელი C.—24-25 თ(მიზიარებერთა A B D.—32 ზნდვდელი AB.

ლითურთ განწილებადთა საშუალ წარმოდგა მყოფობაჲ სულისაჲ.
 ვინაჲ მის-შორისი არცა ყოველნი ერთებრივ და ერთის | გუარ, ვითარ ^{A210a}
 გონიერსა შორის არსებასა. და კუალად არცა ყოველითურთ განწვა-
 ლებულ და განჭრილ, ვითარ ბუნებაჲ სხეულენათა გუართაჲ, არამედ
 5 საშუალ ამათ ორთავე კიდურთაჲსა, ვითარ ზემოთა შორის აღმოი-
 ჩინა. და შეერთებულ მის შორის ყოველნი გუარნი და ერთ ქმნილ,
 არამედ შეურევენელ და გათვთებით, ვითარ ესე ცხად ჰყოფს, რამე-
 თუ სულსა შორის ყოველნი სიტყუანი არსთა და გუართანი. მაგრა
 არცა განწვალებულად და არცა შერეულად, არამედ შეურევენელად
 10 ყოველნი მოჰქონან თვს შორის: და ცხორებაჲცა არსებასა შორის,
 და არსებაჲ ცხორებასა, და ცნობაჲ ცხორებასა და არსებასა შო-
 რის, და არსებაჲ და ცხორებაჲ ცნობასა შორის. რამეთუ მეცნიერ
 თვისისა აობისა გონიერი სული.

თ ა ვ ი 198

15 «შოველი მზიარებელი უამისაჲ, ხოლო სამარადისოდ მიდრე-
 კადი, გზავნითთა მოქცევთა მიერ განიზომების».

ვითარ ეხედოთ, & გამგონეო, ხედვასა ამას? იტყვს, ვითარმედ
 მოქმედებაჲ სულისაჲ ხუდაო სამარადისობასა უამებრსა და გზავ-
 ნასა, ესე იგი არს გუარითი გუარად თანმიცვალებასა. რამეთუ ყო-
 20 ველი გაგონებაჲ სულითი რიცხვითი რიცხუად თან მიიცვალების, ესე
 იგი არს გუარითი გუარად. რამეთუ რიცხუნი არსებათანი გუარნი
 არიან, ხოლო სული გუარითი გუარად გამგონე. არამედ არ წრფლივ
 მოქცევენი არსებითთა რიცხუთანი, არამედ მრგულივ და სფეროჲს
 სახე. ხოლო სულმან წარვლნეს რაჲ ყოველნი რიცხუნი, კუალად
 25 თვსდადვე უკუ ისფერებს, და გაგონებათა თვსთა თვსდმი უკუ ირწყუაჲს
 შეურწყმელად, ვითარ უსხეულოჲ არსებაჲ უსხეულოთა გუართა
 და რიცხუთა.

თ ა ვ ი 199

სუეროჲ და მოჰცევი სულისაჲ

30 «შოველი სული აღმკულის-შორისი ნამრგულივთა გზავნათა
 იემარებს | თვისისა ცხოველობისათა, და, სადაჲთ იწყო, მუნვე კუა- C 342
 ლად უკუნ ქცევათა».

ესე ხედვაჲ ზემოთა თან მიუდასე, & გამგონეო. ხოლო გზავ-

16 მქცევთა E.—23 მრგულივ | მგურგულივ F.—24 წარვლეს A, წარვლეს
 B.—და კუალად AB.—25 ირწყუაჲს E.—27 რიცხუთა H.—31 ცხოველობისათა |
 ცხოვრებისათა E.—33 გამგონეო ხოლო <F.

ნითად მოქცეულად გაიგონენ ესევეთა უკუპრობით სხვსგან სხუად გუარად მიდგომაჲ სულითთა განაგონთაჲ. რამეთუ ყოველთა საზომთა და რიცხუთაებრ არსებითთა გაიგონებს და იგულბუშაებს. და ესთა კუალად უკუ ისფერებს თვსდადვე და თვსისა ცხოვლობისა.
 5 და ესე არს სფეროჲ და მოქცევი სულისაჲ.

თ ა ვ ი 200

«შოველი სული მოქცევთა მიერ უამისათა განაზომების».

მსე ხედვანი იტყვან, ვითარმედ შემდგომობაჲ და პირველობაჲ უამსაცა შორის და მიდრეკათა იხილვებისო. რამეთუ საყოველთაოჲ
 10 უამი და მიდრეკაჲ საყოველთაოჲსა სულისად და მარადის მიმდრეკისად, ხოლო სხუანი ნაწილებითნი ნაწილებითად, საზომისაებრ A212a ყოველობათაჲსა.

თ ა ვ ი 201

სამად განყოფიდა სულთა სფეროჲსა მოქცევისაჲ

15 | «შოველთა ხალმართთა სულთა სამსახე აქუს მოქმედებაჲ». A212b
 ისმინე ზ გამგონეო, ხედულო გონებისგან, რამეთუ სიერცესა შორის სულთა წარმოჩენისასა სამ სახედ წარმოაჩენენ. რამეთუ არს სული საღმრთოჲ და საღმრთოჲსა რიცხვსადა თანაღკრული. ხოლო საღმრთოდ რიცხუად გუესმა პირველთა შორის, რომელ სიტყუამან *
 20 ერთნი დასხნა, ვითარ პირველნი ხატნი, ერთნი ერთისგან და ღმრისგან ზესთ ერთისა ღმერთნი. ვინაჲ ამათდა შეერთებულნი სულნი, ვითარ ღმერთნი და ერთნი, ჰბრწყინვენ ყოველთა და განაგებენ, მაგრა ვითარ სულნი. და კუალად არიან სხუანი სულნი, გონებისადა თანაღკრულნი და ვითარ გონიერნი, მაგრა ვითა სულითსა ხუდების
 25 არსებასა. და კუალად სხუანი არიან სულნი, რომელთა მოუგვის და მხუდარა ძალი თვთცხოვლობისაჲ, და, ვიეთცა წარმოუდგენ, მიმდრეკჷყოფენ. რამეთუ პირველ თვთ აქუს თვს შორის ძალი თვთმიმდრეკობისაჲ და, ვიეთცა თან ექმნენ და წარმოუდგენ, ცხოველ და თვთმიმდრეკელ ჷყოფენ.

3 იგულბზაებს E, იგულკმაებს ABF.— 4 ისფრებს CE.—7-9 ესე ხედვანი იტყვან ვითარმედ ყოველი სული მოქცევთა მიერ უამისათა შორის და მიდრეკათა იხილვებისო AB.—15 სულთა<P.—სამ სახედ E.—19 რომელ რათა EH.—25 სულნი<D.

* ამის ჰქმნებ AB ხელნაწერის აკლია ამ თავის პოლომე და აქაი 202. და 203. ამასვე სწავია: აქა აკლია დედასა ფურცელი A, აქა ფურცელი აკლია B.

თ ა ვ ი 202 *

ზესთა საღმრთოჲ სული და ნაწილებითნი სულნი

«შოველი სული შედგომილი და მიღვენებული არს ღმრთებრივთა და უღარესი ერთებრივთა რიცხუთა, ხოლო ზესთ მღება-
ბარე არს ნაწილებითთა სულთა».

3 ვითა გაყო მოქცევი სულთა სფეროჲსაჲ სამად, აწ იტყვს, ვითარმედ საყოველთაონი და ზესთანნი სულნი და ერთთადა შეყოფილნი და გონებისა მიერ გონიერ ქმნილნი განაგებენ სხუთა შემდგომთა სულთა ნაწილებითთა, და ეღმრთიან მათ, ვითარ და თვთ იგი ღმრთებრივი რიცხვ. რომელთადა იგი არიან თანალკრულ და შეყოფილ განაგებს ყოველთა მყოფთა და ჰმართებს ზესთ კეთილობითთა განგებისა ნათელთაჲთ, ესთავე და სულნიცა საღმრთოჲსა რიცხვსადა თანალკრულნი. და კუალად იტყვს, რამეთუ ნაწილებითნი უსაშუვლოდ ვერ შეიწყნარებენ მზეთა და ხედვათა საღმრთოჲსა სულისათა.
15 ხოლო საშუალ ნაწილებითთა და საღმრთოჲსა სულისა არიან სხუანი სულნი შეერთებულნი ოდენ გონებისადა საძარადისოდ, ვითარ სულნი ცისა და მზისა და სხუათა მნათთანი. ვინაჲ ესე არიან საშუალ ზესთ საღმრთოჲსა სულისა და სულთა ნაწილებითთაჲსა. და ამათ მიერ ეზიარებიან ნაწილებითნი სულნი საღმრთოჲსა სულსა.

თ ა ვ ი 203 *

20 «შოველისა სულიერისა სიმრავლისა საღმრთონი უკუე სულნი ძალითა და ზესთაებულ არიან».

შოველი გონებაჲ ამის თავისაჲ ამას მეტყვს ჩუენ, ვითარმედ საღმრთონი სულნი პირველ უფრო ერთებრივ და ერთის გუარ არიან, ვითარ უმახლობელესნი ერთისადა; ხოლო შემდგომნი ძალითა უკუე უღარეს, ხოლო სიმრავლითა უფროჲს. რამეთუ თან განიწვალებიან მათდა, რომელთადა შეყოფილ იყვნენ, ვითარ განთვსულთა სფეროთადა.

თ ა ვ ი 204

საღმრთოჲსა სულისათჳს

20 «შოველი საღმრთოჲ სული მრავალთა ემძლუარვის სულთა სამარადისოდ». ☩

7 სულნი] სხანი D.—31 ყოველი] ყოველთა D.

* 202. და 203. თაკვი აკლია AB ხელნაწერებს; ირმაზეც სწრაჲ: აქა აკლია დედასა ფურცელი A, აქა ფურცელი აკლია B.

მსე ხედვანი და კშირნი მიმოდაკაჰვეანი ესთა აღმოაჩენენ. იტ-
 ყვს, ვითარმედ სული საღმრთოჲ განაგებს ყოველთავეო, ვითარ უმა-
 ხლობელესი ერთისაჲ და შეყოფილი ერთებრივისა რიცხვსადა. ხო- C 31S
 ლო პირველ იზიარებს და ღმერთ ჰყოფს გონებისადა შეყოფილთა
 5 სულთა სამარადისოდ. ხოლო ოდესმე გონიერთად სამარადისოდ გო-
 ნიერთა მიერ იზიარებს. რამეთუ ყოველნი ზიარებანი მსგავსთა მიერ
 ვიდრე უმსგავსოთამდის განსაზიდას შორის სიჩათასა. ხოლო სხუაჲ
 ზემოთა შორის გარდაგვკეძია.

თ ა ვ ი 205.

ნაწილებითისა სულისათჳს

10

«ყოველსა სულსა ნაწილებითსა ესე ვითარი აქუს შესარაბამი
 საღმრთოჲსა სულისა მიმართ».

მსე ხედაჲ ესთა მეტყჳს ჩუენ, ვითარმედ ვითარცა განყოფილა
 სული საყოველთაოჲ სულისა ნაწილებითისადა ბუნებით, ეგრეთვე
 15 და ოქიმაჲცა მისი განყოფილა ბუნებით. რამეთუ საყოველთაოჲსა
 სულისა ეტლ და ოქიმა საღმრთოჲ ესე სხეული ცისაჲ, ხოლო ნაწი-
 ლებითთა სულთა ნაწილებითნი სხეულნი. და ვითარ ოქიმაჲ ოქიმასა
 გაეყოფვის ბუნებით, ეგრეთვე სული სულსა. ხოლო ყოველი განყო-
 ფაჲ ბუნებითი არს, ოქიმათაჲცა და სულთაჲ.

20

თ ა ვ ი 206

«ყოველსა ნაწილებითსა [სულსა] ძალ უც სამარადისოდ შთას-
 ლვად ქმნისადმი».

ხედენ ესთა ხედვათა, რამეთუ იტყჳს [ვითარმედ], ყოველსა ნა-
 წილებითსა სულსა აქუს ძალი სამარადისოდ შთამოსლვად ქმნისადმი.
 25 რაჲ არს თუ ქმნისადმი? რამეთუ ყოველი ეამსა შორის დაწყებული
 აღგებული არს, ესე იგი არს შეზავებული, ხოლო ყოველი აღგებული
 ეამის-შორისი და დაქსნადი. რამეთუ რამანცა მიიღო დასაბამი და
 დაწყებაჲ ეამის-შორისი, საჭირგო არს, რაჲთა ხრწნაჲცა მიიღოს და
 დასასრული. ხოლო ამას ყოველსა ქმნა ეწოდების ბრძენთა მიერ;
 30 ხოლო ყოველი უქმნელი ეამსა შორის დაუწყებელ; და ყოველი დაუ- A 214a
 წყებელი უქმნელ. რამეთუ არა არს ეამითი მიდრეკასა შორის და-
 წყებული, რაჲთამცა ეგო განსაზიდას თანა მარადისობისასა, მით C 35o
 რომელ მიმდრეკთა და სხუად და სხუად შეცვალებადთა მიზეზთა

1-2 იტყჳს<F.—3 ერთისაჲ და] ერთისაჲდა H.—13 ვითარმედ<AB.—15
 უქიმაჲცა ACE.—16 უქიმა ACDF.—23 ვითარმედ<codd—28 საჭირო ABEFH.—
 ხრწნაჲცა H.—29 ბრძენთა H.—30—31 ეამსა უქმნელ<AB (ex homoioteleuto).

მიერ წარმოადგა. ხოლო არსებამ სულისაა არა ჟამსა შორის აღგებულთაა არს, ვითარცა ზემოთვე სიტყუამან აღმოაჩინა, არამედ საუკუნესა. ხოლო მოქმედებით ჟამის შორის არს და მიდრეკათა მიერ ჟამისათა განიზომების, ვითარ აღმოიჩინა პირველთა შორის დაფრიადებულად. ხოლო შთამოვალსო ქმნისადმი და კუალად აღვალსო, ვითარ იტყოდა სოკრათი, ვითარ ფრთე-დაცვივნებული ფრინველი, პტეროროუსა, ესე იგი არს, რამეთუ მოსწყდეს რაა გონებასა, უგუნურ იქმნების: რამეთუ ფრთე სულისა გონებაა, ხოლო, ოდეს სასწავლოთა და სათნოებათა მიერ მიიხუნეს ფრთენი თვისნი, რომელ არს გონებაა, კუალად სულთა მამისადვე აღფრინდების. რომელსა ამის ყოვლისა იქვ კიდე და უც, რომელსა და მუსიკა ამასვე დაჰლექსავს, დაღათუ კრეტსაბმელთა და ფარდაგთა მიერ.

თ ა ვ ი 207

აზნაურები თისა სულისათვის, რომელ არს სიტყვირი სული

15

«მოვლისა ნაწილებითისა სულისა ეტლი მიუდრეკელისა მიზეზისა მიერ აღქმნილ არს».

ხოლო აწ მე სათანადოდ აღმიჩნდა, რაათა ეტლისათვის მივსცე სიტყუასა. რამეთუ იტყვან, ვითარმედ სამარადისოდ აქუსო სულთა ნაწილებითთა ოქიმაა, რომელ არს ეტლი ნათლის გუარი, ვითარ ამათ ციერთა მნათობთაა. და ესე ეტლი არა თუ ჟამითისა მიზეზის-
გან წარმოსდგომია მათ, ვითარ აღგებული; რამეთუ ყოველი აღგებული მიდრეკადისა მიერ მიზეზისა, ხოლო ყოველი მიდრეკადისა მიერ დასაბამისა მომგები მყოფობისაა ხრწნადი არს და ცვალებადი.
რამეთუ რომელი აღჰკაზმა ამან მიდრეკამან, ხრწნა და დაარღვივა იგი სხუამან წინგამწყობმან მისმან მიდრეკამან. ხოლო ყოველი მიუდრეკელისა მიზეზისა მიერ წარმონაარსი უხრწნელ და სამარადისო, ვითარ ესე აქა ოქიმაა სულისაა.

C 351

თ ა ვ ი 208

«მოველი ნაწილებითისა სულისა ოქიმაა უსხეულო არს».

3 მოქმედებითი E. — და < AB. — 5 [შ]თამოვალს D. — 6 ფრთე დაცვივნებული ABF. — 7 ფრინველი ABEFH. — 10 და კუალად AB. — 11 ამის] ამას ABDEFH. — ევეი BD, ევე H. — რომელსა] სლსა AB. — 11-12 მუსიკა] მოსეცა B. — 17 აღქმნილ H. — 25 ამან] მისმან AB. — დაარღვა F, დაარღვია DH. — 25—26 მიდრეკამან — მისმან < AB (ex homoioteleuto). — 26 წინგამწყობმან] წმიდამან გამწყობმან, F, წინგანმწყობმან E, წინა განმწყობან H. — 30 უსხეულო არს <] ABEH.

იტყვს, ვითარმედ რაჯზომევე თან მიეჭმნას მას ვნებაჲ და გან-
 წვალებაჲ, არღარა ეგოს უენებელობასა ზედა, რამეთუ რაჯზომევე
 მიმღები ქცევისაჲ, ყოვლითურთ იქცეს და შეიცვალოს. ხოლო ოქი-
 მაჲ სულისაჲ ვინაჲთგან მიუღრეკელთა მიზეზთა მიერ წარმოდგა,
 5 უბრწუნელ და სამარადისო. მიუღრეკელად უკუე მიზეზად სიმტკაცე-
 სა გონებისასა იტყვს: რამეთუ მიუღრეკელი ყოველი ნაქმი და წარ-
 მონაარსი გონებისაჲ, მით რომელ შორის საუყუნესა დამყარებულ C 352
 სიმტკიცე მისთა მიზეზთაჲ.

თ ა ვ ი 209

10 «წოველისა ნაწილებითისა სულისა ოქიმაჲ შთავალს უკუე
 დაძინებითა».

მისთა იტყვს, ვითარმედ, უგონებო რაჲ იქმნა სული ადამ,
 დაირთნა და მოიბლარდნნა სხეულნი ესე. და რეც თუ თან შეეყენეს
 ოქიმასა სულისასა, და განცხოველდეს მის მიერ და იქმნეს, ვითარ
 15 თვტცხოველნი საბლარდნნი ესე ტყავებრნი ქიტონისკნი. აჰა აქა სი-
 ტყუაჲ მოსესი, | რამეთუ შეიმოსაო ტყავებრი სამოსი. ხოლო ოდეს C 353
 რაჲ იწყოს განწმედად, ესე იგი არს თანშეხებად გონებისა და ღმრთი-
 სადა, კულად განჰყრის თვსგან ნივთებრივთა მათ ქეტონისკთა,
 რომელნი შთამოსნა მას უგუნურებამან, და აღვალს მამისადმი თვისსა.

თ ა ვ ი 210

20 «წოველსა სულისა ეტლსა თანშებუნებებულსა სამარადისოდ
 ერთი და იგივე ნაკუეთი და სიდიდე აქუს».

მსე ხედვაჲ შეტყვს ჩუენ, ვითარმედ სამარადისოდ ერთ და
 იგივე ოქიმაჲ სულისაჲ, მით რომელ მიუღრეკელისა სულისა მიზეზი-
 25 სა მიერ აღიქმნების, ხოლო სხუად და სხუად იხილევების და იოც-
 ნების, მით რომელ სხუათა და სხუათა სხეულთა ეზრახვის კავში-
 რებრივთა და ნივთიერთა; და ოდესმე ამის გუარ და სახე ან-
 დების და ოდესმე ამის. რამეთუ მიიღებს კერპებრთა და ზრქელთა
 სხეულთა სხუა გუარ და სხუა სახე აღმჩენელთა მისთა. ხოლო ოდეს
 30 რაჲ მოეგებოდის თვთ თვსდად და შეეყოფოდის თვისსა მამასა გო-
 ნებასა, ყოველთა ზედ შემოკერპებულთა სხეულთა განჰყრის თვსგან
 და განწმედილი | ღმერთსა და მამასა აღეხების.

C 354

11 დაძინებითა | და ძი ADEH, და B; F განაგძიოს ღუჲულუჲს: დაძინებითა
 ნივთ-შორისთა საბლარდნელთა (ახ. „კაკობინა“ გვ. 124. 6).—13 მოიბლარდნა C.
 —15 საბლარდნი C.—ქიტონისკნი codā.—ტყავებრივნი ABEFH.—18 ქიტონისკთა
 H.—19 მამისა მით თვისსა D.—28 ზრქელთა H.—32 ღისა AB.—აღეხების ABE

თ ა ვ ი 211

«ქოველი ნაწილებითი სული, შთამოსრული კმნისადმი, ყოველობით შთამოიარსებს».

ამას ხედვასა ესთა იტყვს, ვითარმედ თუმცა მწუერვალეებითი⁵ და საყოველთაოჲ იყო სული, სამარადისოდმცა გაიგონებდა და არამცა შთამოიპრებოდა უგუნერებისა მიერ. არამედ ესზნესმცა თვსნი გონიერნი თუალნი და ეგომცა სამარადისოსა შორის ნეტარებასა სამოთხისასა, ესე იგი არს გონიერთა გუართა მკულებისასა. რამეთუ მუნ შესამარადისოე სული ხედაეს გუართა და მზეთა გონიერთა. ხოლო,¹⁰ ოდეს რაჲ გარდამოეარდეს მუნით, კერპთა თან აღერევის და უმეცრებისა მიერ განშიშულ¹დების მათ ზესთ საღმრთოთა გუართა ხედვისაგან^{C 355} და გონიერთა და ზესთ გონიერთა შეხებათა გემოჲსაგან და თანშეყოფისა. ვინაჲ მაშინ ეთქუმის მას, ვითარმედ ადამ სადა ხარ|თუ^{A217a} სადაჲთ სადა უგონებობამან მიაცილვა ღმერთი და მამაჲ თვსი.

2 სული და შთამოსრულ AB.—მ იყოს EH.

იოანე ჰეტრიწისა

ბოლო-სიტყუაჲ

ჩუენ-შორისიმე მიდმო სიტყუაჲ, რომელსა გულის-შორისად მბჰო- C 361

ბლად ვიტყვთ, ვითარ ვინამე საწონი საწონელთად და ვითარ ქვაჲ,
6 რომლისა მიერ განურჩევენ სიკეთეთა ოქროსა, ესე სახედ დადვა და
მიჩუენშორისა მექმან ჩუენმან ღმერთმან შორის-მღებარეობითი
სიტყუაჲ, და ნუ გარემოსილი და ორლანებრივი, რაჲთა იმრ და იმრ
ვსჯილეთ ნაქმადთა სულთა ჩუენთასა, ვითარ სათნოებათა და ჩუეუ-
ლებითთა შებუნებთა, ვინათაჲცა შორის კეთილ და თნებჲ ანუ თუ
10 წინა-უკუჲმოდ იხილევბის. და ღმრთისა მიერ დამდებელისა მისდა ბუ-
ნებასა შორის ჩუენსა მიდმო ისჯების და ხუედრი მისაგებელთა დაე-
თანაების, და თვთ ამით მეტკეობისა ძალითა უფალმან მსახმან ბუნე-
ბისამან შეატყუა თავსა თვსსა ბუნებჲ ჩუენ კაცისაჲ გამოყოფითა
უტყუებისაგან სულისა სული სიტყვითი. რამეთუ უკუეთუ ხუედრისაებრ
15 ბუნებითისა მიდმო ვსდებდეთ მექმისა ჩუენისა ღმრთისა საქმეთა და
ნაზავთა ბუნებისათა, სუფევაჲ მკლავისა თვსისაჲ მოგუტეს, რომელ
არს ძე, და ძალსა თვსგან გამომავეალსა გვზიარნეს, რომელ არს სული.
ვინაჲ და მრავალ ვინაჲ სათანადო არს ჩუენდა, რაჲთა გაე-
ბჰოთცა და საბჰოსა შორის სულისა ჩუენისასა კერძო და უღელი აღმ-
20 ქმნელისა ჩუენისაჲ ღმრთისაჲ ვიპყრათ და ამის კერძოჲსად თანა-
შემწენი ჩუენნი გონებად სულთა ჩუენთა შევრაცხნეთ | და თუალად A217b
გუამისა ჩუენისა. ხოლო მამმრუმნი დღისანი და მარლუნი გონებათა
ჩუენთანი განვიშორნეთ ჩუენგან, ანუ მარჯულობდეს ბოროტი გინა
თუ და მარცხულოს. რამეთუ დამხე იმრჩობლებს, ვითარცა წინარე
25 წმიდათაგან განჩენილ არს.

ხოლო აწ ჩუენ ვიძიეთ ესე და თანაპყრობითა მამისა | ღმრთისა C 362
სიტყვსაჲთა გაებჰეთცა და შევეხენით ამას წიგნსა ლოცვისსაჲცა, ვით

3 სიტყუაჲ] სხუაჲ ABCDEH.—3-4 მჰობლად DE.—6 მიჩუენშორისა] მი ჩნ
შს AB.—შორის მღებარეობით D.—8 სათნოებითა H.—9 შებუნებათა F.—შორს
E.—12 უფალმან] თან E.—13 ჩუენი D.—14 უტყუებისამან AB.—სულისა] სულსა
FH.—16 მოგუტეს AD.—17 ძეჲ F.—ძალისა D.—21 შევრაცხნეთ DEH.—22 მამ-
რუმნი EH, მამმრუმნი C.—24 თუ < H.—და იმარცხულოს F.—დამმჰე C.—25
წმიდათაგან] წმთგან A, წთაგან H.—26 თანაპყრობისა ABCDEF.

საცავსა, ესე ვითა ებგურსა ქს მამისა ვენაკთასა, რომელთა წნებად მოვალს, ვითარ უტყუელი აღთქუმათა შორის და სასყიდელი თითოეულისაჲ თვს თანა აოდენ ნალოცთა თვსთა ღვნოსა მისცემდეს მალასა. რამეთუ იტყვს ილოცეთო და მიეცით მალასა.

- 5 მინაჲ აწ ამის სულითისა ორღანოჲსადა თქუას სიტყუამან, ვითარმედ შეწყობა ორ ფეოჲსა წიგნისა, სიკეთენი რაულ რაედენ ვინ გარდასცნეს მოსახვასა, ვითარ რაჲ ზესთა მძლისანი; ნუ გიკვრს, რამეთუ სულმან პირველისა მის გონებისამან შესაქმოდ სიწმიდეთა თვსთა მოქმედებისათვს იესესი, ესე რომელსა იწადებს შეტყუელი,
- 10 ვითარმედო «კაცი გულითობითი ჩემი». და ამას შორის კაცსა და მეფესა შეძრა სამოსთა თვსთა ძალები მორთვად წიგნსა ამას შორის გზასა სულთასა სულთა მამისა მიმართ. და თქუას სიტყუამან, ვითარმედ ვითარ რაჲ თვს თვს განთვსულად მდგომთა გოდოლთა მრავალთა, ოდეს ერთი რაჲ ყოველთა შემკრველი ლოდი ზედ ექმნას, ვითარ
- 15 ესევე იტყვს დაურჩომელი კეთილთაჲთ თავად კიდურთაჲდ და ურთიერთად შემხემ მწუერვალეზსა, კიდურთად და ძგიდეთად. მოიხუენ გოდლებად ყოველნი იგი მადლნი და ნიჭნი, რომელნი სულისა მიერ წმიდისა ზენაჲ მოიცნეს სიბრძნესა, ვიტკვ გონებითსა, რომელთაცა ნახეთქთა შორის ეამისათა ზენაჲთმო ჩუენდამო თნებულთა,
- 20 ვითარ აბრაჰამის მიერ, ვითარ ხალდეველთა და კუალად ელლენთა მიერ. ვინაჲ მემოდლურე ჩუენისა ამის ეკლესიისაჲ პავლე თვთ მისევე სულისაგან და სიბრძნედ უწოდს ღმრთისად, და აწ ამის დიდსა და ზესთასა უზენაობითსა ჩუენისა ქრისტეს გოდლისად ვიტყვთ მკადრენი სხუათასავე თანა შეაკრნა და მოუზიდნა თანამელაღედ წამებათა მისთა ცისკროვნებისად, ვითარ მოწაფენი მოძლუარსა. რამეთუ ყოველნივე აჰა და რეკა ზიდვიდეს სულსა ზენაჲე, არამედ უკუნაჲსკენელ მზემან მამისა მიერ წარმოარსებულმან თვთ საზესთაოთა მათცა ზესთა აღჰკადნა სულეზნი ჩუენ კაცთანი.

მინაჲ აწ ესე ჩემი ორ ფეოჲს ამათ ყოველთა სულითთა ბრძენთა ქრისტესთა მათ მიმართ ოდესმე ვნებითთა ჩუენთვს თავსდებათა, ოდესმე ღმრთეებითთა ზესთა მამადობათა, და ოდესმე ნამზნთა სულთ მაცხოვრებელთა, ვინაჲ თანა მოუქმს და ერთ დღე ჰყოფს გონებითთა

1 საცავსა] საცა ვისა D.—3 თანა ა ოდენ F, თანა ოდენ H.—ლონოსა E, ლუნოსა ADF.—7 ნუ] ანუ F.—8 სიწმიდეთა] სიწადეთა E (C-ის აღმკვე სიწმიდეთა-ზე მოთუპოი სწრაჲ: სიწადეთა).—10 გულითადობითი F.—ამას] ამის AB.—13 ვითარ<AB.—15 თავად და კიდურთად E.—16 შეზხამ H.—18 ზენაჲთ F.—19 ზენათმო ჩანდა მოთნებულთა E.—20 ელლინთა H.—21 ჩუენი E.—ამის<D.—24 მოუზიდნა] მოუხადნა AB, მოუზხადნა FH.—თანამელაღადედ] თანამელაღადედ D, თანამელიაღადედ AB (აჲ წ-ბ აღმკვე).—26 ზენაკედ არამედ E, ზენაკეროდ არამედ F; აჲ სიტყუაზე მოთუპოი აღმკვე სწრაჲ: ზენაკე: ად ADH; ზენაკე ად: ასე ეწერა არშიახე და შიგავ F.—29 ჩემი] ჩუენი E.—ორფეროს D.—31. ნამკნთა C.

ამათ გოდლებთა, და კიდურთა მათთა მიუხებს ღმრთისა სიტყუასა ნათელთად.

მოსესი რაჲ და მოსეანთაჲ მათ რამეთუ ყოველნივე ყოვლობითურთ თვს შორის მოუქმნიან! წინამეტყუნი განგებითისა ამის ^{A218} ღმერთ-კაცობისათვს, და მერმისა მისცა საყდართა წარმოობისათვს და ძუელისა მის დღეთაგან ოჲ მე განჩენისათვს, რამეთუ «ცეცხლი წინაშე მისსა აღეტყინოსო და გარემოს მისსა ქარ-სეტყუაჲ ფრიად მფროჲ».

ხოლო ხალდეველთაჲ რომელიმე კეშმარიტობდა და ნაღბლი ¹⁰ თნებისა მათისაჲ, ვითარ მსხუერპლთათვს, ვითარ შვდთა ამათ მნათთათვს, რამეთუ ესეცა იტყვს ვითარმედ «შემან იმეცნა დასლვად თვისი». ვინაჲ ვინაჲთგან ემეცნა დასლვასა, არცა თუ და აღმოსლვასა უმეცარ ექმნა. და ამათ შორის მექმე დრეკათა თვსთა ქცევითა, რომლისა დრეკათა მიერ განიმტკაველების ყოველივე ჯამი საზომთა მიერ ¹⁵ დრეკისათა და «მთუარე ქმნაო ჟამთადმი». ესეობს ძალი სიტყუაჲ, რამეთუ ყოველთა ზენათაგან თვს შორის მიმთუალველი მთოვარე ესევითავე ნათელთა ეგრეცა და ძალთა. და მის მიერ ჩუენდამო ყოველთა ქმნადთა და გარდაქმნადთად ქცევისავე თვსსა შორის მექონე ქცევადთა და ხრწნადთა აღქმნისა, ვინაჲ და ძალითთა ძრეათა მიერ ²⁰ მიუქმს სულეზსა ყოველთასა მაქებელად დიდსა მას მექმეობასა თვისისასა. არამედ ყოველი მიდრეკილი ანუ გარეგნით და იძულებით დრეკების, ანუ შიგნით და ბუნებით, ვითარცა ხულომილი მისდა მბადისგან.

არამედ სამობით ხედვისათვს საღმრთოჲსა ბუნებისა მწუერვალ- ²⁵ საცა მასცა ფილოსოფოსთა დღისასა პლატონს თანა გამოქითა-^{A219a} ნაებს, ვითარ მიპრონსა ღმრთისმეტყუელებისასა ჩემი ესე ღმრთისმეტყუელი, რამეთუ იტყოდის რაჲ მამისა მიმართ, ვითარმედ «ნათელსა შორის შენსა ვიხილეთო ნათელი ესე», ესრეობს მეტყუელი მამისა მიმართ: | «სულსა შენსა შორის ვიხილეთო ნათელი ძე შენი». ^{C 364} ³⁰ ხოლო ფილოსოფოსი თანა მიუკმაებს, ოდეს რაჲ «ტიმეოს» შორის და «პარმენიდის» აკუმიდეს ოქრომძივთა მათ თვსთა ჩემი იგი ატიტიკელი, რამეთუ იტყვს, ვითარმედ «მხოლოჲ დასაბამსავე

4 მოუქნიან DEFH.—განგებითისა] გონებითისა F.—5 მერმისცა H.—6 ოჲ] ო'ჲ ABC, ო'ისა FH, უ'ისა E.—7 აღეტყინოს E, აეტყინოსო AB—გარემო მისა H.—7-8 ფრიად მფროჲ] მფროჲ ფრიად CDEH, მფროჲ F; აჲჲჲჲჲჲ აჲჲჲჲჲჲ: მფროჲ ფრიადსა ეწოდა (ეწყო AEH, იწყო D) ADEFH.—9 კეშმარიტობდა C, კ'ტობდა D.—11 მზებან] მიზებან D.—დასლვაჲ] და ასლვა A, და აღსლვაჲ D. 15 ძალი] ძალის F, რ'ი AB.—17-18 ჩუენდამო ყოველთა] ჩ'ენ მოყ'ლთა AD, ჩ'ნ მოყ'ლთა B, ჩანნ მოყ'თა C (აჲჲჲჲჲჲ: ჩუენნო C), ჩ'ნძიო ყოველთა EH.—18 ქმნადთად C.—19 ქცევადთა] ქცევათა AB.—და ხრწნადთა<E.—20 მაქებელად] მქონებელად E.—25 მასცა] მისცა E.—26 მირონსა FH.—ჩემი] ჩუენი E.—26 ესრეობს] ესეობს F.

დრკა და ვიდრე სამობამდის დადგა». და ესეცა წინამეტქუესა მას
 დიდსა და ვითს თანა დაეღალადების, რამეთუ მხოლოდ ერთსა და
 მამსა და გზად მიდრეკად გამოსავალთათ ძესა, ხოლო დგომად და
 მისრულებად სამობისა სულისა წმიდისა, და ზედ კუალად მეთქუე
 5 ამისდავე ერთი მყოფი და ძალი ერთად მასვე ღმერთსა და მამასა,
 ხოლო მყოფად მამისაგან ძესა, რამეთუ ძე შორის მოაქუს მამასა ყო-
 ველივე სავსებად ღმერთობისა თვისისაჲ, ვითარ და თანა მეკმეობს
 ჩემიცა პავლე. არამედ ძალად სულსა ზესთა წმიდასა და უფროჲს ხო-
 10 ლო მაწმიდობელსა ზენათაცა ძალთასა, რამეთუ ამის ღმრთისა სულისა
 მიერ, რომელ არს ძალი, ჰვიან და იპყრობიან მყოფობანი არსთანი
 ძესა შორის, რომელ არსი და მყოფი ერთისა მიერ გამომავლობით
 შთამომძღუანეელი განგებისაჲ. რამეთუ ესევე აღმოაჩინეს მიდმო და
 თქუმათა შორის განგებისათჳს ყოველთაჲსა, ვინაჲ დასდებს ამას
 ერთსა და მხოლოსა | შორის, რომელ ვიტყუთ მამად, ვითარ თხემსა A219b
 15 შორის კეთილობასა წყაროებისასა, და ზედ კუალად თანამეწამე
 ღმრთისა კეთილობათა მდინეობისათჳს, ვითარცა მესმე წმიდასა წი-
 ნამეტქვსაჲ, რამეთუ ესე უწოდს ლუარად საშუებელთად და ვითარ
 მთიებად ღმრთისად და მთიებად საუკუნოდ. ხოლო ატტიკელი
 ესე საკუთრად მყოფთა წარმოობისათჳს კეთილობასა დასდებს სახე-
 20 ლად, რამეთუ იტყვს არ რიდილად და საუწყოდ ესთა, ვითარმედ
 კეთილობაჲ ყოველთა ღმრთისაო ვერ იტია თჳს შორის განმხოლოე-
 ბულად, არამედ ზესთა საზესთაოთაჲსა გარდმოიცა, რათა სხუანიცა
 წარმოაჩინეს თანმეთანედ და მეზიარედ კეთილობათა თჳსთაჲსა,
 რამეთუ კეთილობაჲ შურთაგან მიუხებელ არსო, ვინაჲ ესთა თან
 25 მეკმეობს ჩუენსა მას ორფეოს ატტიკელი ესე, დავითს
